

780  
1990

ISSN 0134-9848


1990/6

# საქართველო

საქართველოს  
საზოგადოებრივი მედიის  
სამსახური

საქართველო-დემოკრატია

№ 287  
(6)







საქართველოს  
მუზეუმი

ელ გრანდო. დღე.



# საუნჯე

1990/6  
 მედიის მუშაობის  
 გინესის რეკორდი

(99)



## შინაარსი

### კროზა და კოეზია

უილიამ ფოლკანერი, აგვისტოს ნათელი, რომანი, დასასრული, ინგლისურიდან თარგმნა: ზაზა ჭილაძემ	8
ივანე კობლეძის კრიტიკა: ენა და უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძემ	151
თომას მანი, ქალაქებზე ფილიპს კრულის აღსარება, რომანი, დასასრული, გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ	160
გერმანულ ბალადები, თარგმნა აკაკი გელოვანმა	211
+ შერკუდ ანდერსონი, მოთხრობები, ინგლისურიდან თარგმნა რუსულიდან მახათაძემ	222
+ შერკუდ ანდერსონი, ძმები, ინგლისურიდან თარგმნა იუსა უაჭეიშვილმა	258
+ ძია ი. ოლა გუნადში, თარგმნა ბექა ბარქაიამ	244

### წერილები

გორის მოლჩანოვი, ანტიკრიტიკა, თარგმნა ვასო ზურკაძემ	249
კუგო ფრიდრიხი, თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა, დასასრული, გერმანულიდან თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა	270
იუმორი, გამოჩინილ ადამიანთა ღიმილი, თარგმნა შოთა ამირანაშვილმა	319

საქართველოს მწერალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეგია



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

«САУНДЖЕ»  
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1970 № 6

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ  
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

მთავარი რედაქტორი:

შოთა ნიშნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა ღარიბია (პე. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:

ჯემალ აჯიაშვილი

მზია გაბრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

მურაზ გოგიაშვილი

ნოდარ გურაშვილი

მამალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

რენე კალანდია

გიორგი ნიშნიანიძე

დალი ფანჯიკიძე

ნიკო შინასაშვილი

დავით წერეთელი

გარეკანზე, ხუან კარანო და მირანდა ნათლისღება

მხატვარი ა. თოდუა, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნოლოგიური ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, კარლ მარქსის ქ. № 1, ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22, განყოფილებათა გამკვეთი — 72-26-30.

ვ. ბ. წიგნი 25, 10, 30 წ. ხელმოწ. დასაბეჭდად 16, 02, 91 წ. ქაღალდის ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
სააბრ. თ. 25, 51. სასაბ. თ. 28. სალუბრის ვაჭ. 38,7, ტირ. 10,000. შეჯ. № 2322.

ფასი 1 მან. 40 კპპ.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,  
380009, თბილისი, მ. კობახიძის ქ. 14.





რომანი

ანგლისურიდან თარგმნა ზაზა შილაძემ

19609

ასე დაიწყო მეორე ფაზა. ეგონა, ფუნსადგილის ორმოში ჩავევარდით. უკვე სხვა ცხოვრებაში მომხდარივით ავინდებოდა ხოლმე ის პირველი. უბრალო და მამაკაცური დამორჩილება. უბრალო და საზარელი, რაღაცით სულიერი ჩონჩხის მახერხვის მსგავსი. რომლის მეუხეების ტყავატყუციც მტკივნეულად სკრიდა ყურს და დანებების აქტივ თითქოს შვენიად, დაძაბულობის განმუხტვად ესახებოდა. იმ დამარცხებულ გეხერლის საქციელად, უკანასკნელი ბრძოლის გადაადის შემდეგ, ღამით, საგანგებოდ რომ გაიპარსავს პირს. ჩექმებს ბრძოლის ველის ტალახს ჩამოაშორებს და დილით ხმლის ჩასაბარებლად ეახლება გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს.

ორმო მხოლოდ ღამდამობით იყვებოდა. დღეები ახლაც ისევე მიედინებოდა. როგორც ადრე, როგორც მუდამ, დილის შვიდის ნახევარზე საშუალოდ მიდიოდა. ქობიდან გამოსული, ერთხელაც არ გაიბედავდა სახლისაკენ. საღამოს ექვსზე უკან ბრუნდებოდა და მაშინაც თვალს არიდებდა სახლს. მერე დაიბანდა, თეთრი პერანგსა და შავ, გაუთოებულ შარვალს ჩაიცვამდა. საძვარეულოს მიაშურებდა და მისთვის გაწყობილ ვანშამს შეეჭკეოდა. ქალს კვლავინდებურად ვერსად ზედავდა. არადა, მის არსებობას გახუწყვებლივ გრძობდა და ამ ძველთაძველ კედლებში საბუნელის დასადგურებდაც თითქოს ამსხვრევდა რაღაცას. თითქოს რაღაცას ზრწნიდა მოლოდინით. იყოფა. როგორ ატარებდა ქალი დღეს, არც მისი ცხოვრების ყაიდა შეცვლილიყო. ოღონდ ამ ცხოვრებითაც თითქოს სხვა ცხოვრობდა მის მაგივრად. აშირად წარმოუდგენია. როგორ დიასახლისობდა შინ. ერთსა და იმავე დროს როგორ მიუჯდებოდა ხოლმე დაეწრულ მერხს, ახლა, როგორ ესაუბრებოდა ზანგის ქალებს, წლების მანძილზე გაკვალული, სახლიდან ურმის თვლის მანებებით გატოტვილი ბილიკებით რომ მოდიოდნენ მასთან გაღმა-გამოღმიდან. არ იყოფა, რა ჰქონდათ ამდენი სალაპარაკო, თუმცა დანახვით კი ბევრჯერ დაუნახავს. როგორ მიადგებოდნენ ხოლმე სახლს, არამცთუ საიდუმლოდ, ოღონდ მიზანდასახულად, უფრო ხშირად თითო-თითოდ, ზოგჯერ კი ორ-ორიცა და სამ-სამიც, წინსაფარაფარებულნი, თავზე ბილაბანდშემოხვეულნი, ხანდახან მხრებზე მამაკაცის პალტოებმოსხ-

დასაწყისი... 19609


საპარტვილოს  
სა.ი.წ.წ.ლი  
ბიბლიოთეკა



მულნიც და კოტა ხნის მერე, ახლა უკვე შინისაკენ გაუყვებოდნენ სხივე-  
 ბად განფენილ ბილიკებს — არც ჩქარა და არც ფერიათრევილი მანქანები მა-  
 ლავე ავიწყდებოდა, ისევ და ისევ ქალი დაუდგებოდა სოლომონის ახ-  
 ლა ამას აკეთებს, ახლა ამას მაგრამ, არც ეს გრძელდებოდა და დადიანის თა-  
 ნაც დარწმუნებული იყო, მთელი დღე არც ქალი ფიქრდებოდა და დადიანის  
 ლამობითაც, ჩაბნელებულ საძინებელ ოთახშიც, როცა ქალი დაწვრილებით,  
 მოსაბეზრებლად უამბობდა მთელი დღის ამბებს და მისგანაც იგივეს მო-  
 ითხოვდა ჩიუტად, მხოლოდ და მხოლოდ შეყვარებულთა წესს უხდიდნენ  
 ხარკს; დაფინებით და უსასრულოდ სიტყვებად კი აქცევდნენ უმნიშვნელო  
 წვრილმანსაც, მაგრამ ერთმანეთის მონაცოლს უკვე ლამის აღარც უსმენდ-  
 ნენ, მერე ვახშამს მოათავებდა და ქალთან მიდიოდა, აღარ ჩქარობდა ხოლ-  
 მე, რაც უფრო გადიოდა დრო, რაც უფრო მეტად ხუნდებოდა მეორე ფა-  
 ზის სიახლე და ჩვევად იქცეოდა, მით უფრო ხშირად ყოვნდებოდა სამზა-  
 რეულოს ღია კართან, ბინდბუხდს ვასცქეროდა და, ვინ იცის, იგი წინათ-  
 გრძობით შეპყრობილი, ხედავდა კიდევ სასტიკ და უკაცრიელ, საკუთარი  
 ნებით არჩეულ, მომლოდინე ქუჩას; ერთი ფიქრი აწვალებდა ჩემი ცხოვრე-  
 ბით არ ვცხოვრობ, მე აქ უცხო ვარ.

თავიდან, ერთი პირობა შეერთა: შეზარა ნიუ-ინგლენდური ბიბლიუ-  
 რი-ჯოჯობეთის ცეცხლში უეცრად გახვეული ნიუ-ინგლენდურივე მყინვა-  
 რის უსუსურმა გააფთრებამ, შეიძლება ხვდებოდა კიდევ, რა თავგანწირვა  
 იმალებოდა ამ გააფთრებაში, მბრძანებლური, მოუთოკავი ვნება ფუქი და  
 უსაშველო წლების ქეშმარიტი სასოწარკვეთის შენიღბვას ცდილობდა და  
 ყველაფრის ერთად, ერთ ღამეში ანაზღაურებაც სურდა, თითქოს სჯეროდა,  
 ყოველი ახალი ღამე უკანასკნელი აღმოჩნდებოდა დედამიწაზე, ამიტომაც  
 შეგნებულად განამზადებდა, შეგნებულად სწირავდა თავს სამარადისო, მა-  
 მა-ბაპისეული ჯოჯობეთისათვის, რადგან არა მარტო ცოდვაში ჩაფლული-  
 ყო, არამედ ქუჩეშიც, გაგიყვებით უყვარდა უშვერი სიტყვები; ვერ ძლებო-  
 და მათი მოსმენითა და გამეორებით ბავშვურად უსაზღვრო და გულუბრ-  
 ყვილო ცნობისმოყვარეობას ავლენდა აკრძალული თემებისა და საგნებისა-  
 დმი; დასტაქრის საქმიან, გაუნელებელ, პროფესიულ ინტერესს — ადამი-  
 ანის სხეულისა და მისი შესაძლებლობებისადმი, დღისით კი, კვლავინდებუ-  
 რად მშვიდ, ცივსახიან, ლამის მამაკაცურ, შუახანს მიტანებულ, თცი წლის  
 სიმარტოვეს შეჩვეულ ქალად იქცეოდა, ვისთვისაც, ამ განმარტოებულ, მე-  
 ზობელი ზანგების ანაბარა დარჩენილ სახლში, მაინც უცხო იყო ნებისმი-  
 ერი ქალური შიში, ვინც ყოველდღიურად, მკაცრად განსაზღვრულ დროს,  
 საწერ მაგიდასთან ატარებდა და მშვიდად მკდომი, აუჩქარებლად წერდა  
 ახალგაზრდებისა თუ მოზუცებისათვის განკუთვნილ თავის პრაქტიკულ  
 რჩევა-დარიგებებს — ერთდროულად მოძღვარიც, ბანკირიცა და მრავალ-  
 ჭირნახული მოწყალეების დაც.

მათი ურთიერთობის ამ პერიოდის განმავლობაში (თაფლობის თვე მას  
 ნამდვილად ვერ დაერქმეოდა) კრისტმასი ნათლად ხედავდა, როგორ იცე-  
 ლიდა ქალი სახეს, როგორ გადიოდა მიჯნურობის ავატარის ყოველ საფე-  
 ხურს, მალე ქალმა არა მარტო შეაერთო, არამედ განაცვიფრა და შეაცბუ-  
 ნა კიდევ, იმისმა გაშმაგებულმა ეჭვიანობამ შეაცბუნა, ეჭვიანობის მოუ-  
 ლოდნელმა შემოტეევებმა, წარმოუდგენელი იყო, რაიმე მსგავსი გამოცდი-  
 ლება ჰქონოდა, არც ეჭვიანობის საფუძველი გააჩნდა და არც მეტოქე ჰყავ-





და: ქრისტმასის ღრმა რწმენით, ეს ქალსაც მშვენივრად მოეხსენებოდა. მაგრამ, თითქოს თვითონვე განზრახ გამოეგონა ყველაფერი, რათა პიესასავით გაეთამაშა სიყვარული. არადა, ისეთი მძვინვარება, ისეთი დამაჯერებლობა და შინაგანი რწმენა ეტყობოდა, თავიდან დაეჭვდა კიდევ იქნება კინმე მოატყუაო. მაგრამ მესამედაც რომ განმეორდა იგივე, იფიქრებდა: „აქვე“ ბუღაო. ქალმა ინტრიგის მოულოდნელი და შეუმცდარად დასრულდა. დაიყინა, ბარათებისა და წერილების ჩასაყრელად საიდუმლო ადგილია საჭირო და გამომბალ თავლასთან მესერის ფუტურთ ბოძი ამოარჩია. ერთხელაც არ დაუნახავს. ქალს იქ ბარათი ჩაეგდოს, არადა, კირვეულად თხოულობდა, მიდი და ნახეო; მართლაც, რამდენჯერაც მივიდა, წერილი დახვდა როცა არ მიდიოდა და გასამართლებლად რამეს მოიგონებდა ხოლმე, აღმოჩნდებოდა, რომ ქალს უკვე მახე პკონდა დაგებული მისთვის, ტყუილში გამოსაჭერად; ასეთ დროს ტიროდა ხოლმე, გულსაკლავად ჭვითინებდა.

ზოგჯერ ბარათში ეწერა, ამა და ამ საათამდე არ მოხვიდეთ, იმ სახლში უკრძალავდა შესვლას, სადაც წლების მანძილზე მის გარდა არც ერთ თეთრკანიანს არ შეეძგა ფეხი, სადაც, ოცი წელიწადია, დამლამობით მარტო-მარტო იყო ხოლმე ქალი: ზოგჯერ მთელი კვირა ფანჯრიდან აძრომიალებდა, კარიდან არ უშვებდა. ისიც ემორჩილებოდა და მერე კარგა ხანს დაეძებდა ჩაბნელებულ სახლში, ვიდრე საკუჭნაოში ან რომელიმე ცარიელ ოთახში არ იპოვიდა დამალულს — მომლოდინეს, აქოშინებულს, ბნელში კატასავით თვალეზდაკვესილს. ხანდახან ეზოშიც უნიშნავდა პაემანს, რომელიმე ბუჩქთან, და იქ დედიშობილა ან ტანზე სანახევროდ ტასაცმელშემოგლეჯილი ხვდებოდა, ნიმფომანიის ველური შემოტევით შეპყრობილი — მისი სხეული შუქს ირეკლავდა და ისეთი თვალშისაცემი ეროტიული მოძრაობებით ირწეოდა აქეთ-იქით, რასაც, ალბათ, მხოლოდ პეტრონიუსის თანამედროვე ბირდსლი თუ დახატავდა. ასეთ დროს, ჩახუთულ, აქოშინებულ, კედლებით შემოუზღულდავ სიბნელეში ველურს ემსგავსებოდა, თმაგაწეწილს თითქოს თმის ყოველი ხვეული უცოცხლდებოდა. რვაფეხას საცეცებივით უთრთოდა და, თვითონაც ერთიანად ვნებას აყოლილი და აცახცახებული — ზანგო! ზანგო! ზანგო! — ეჩურჩულებოდა სულშებუთული.

ექვს თვეში ქალი საბოლოოდ გაირყვნა. ოღონდ, მის გარყვნაში ქრისტმასს არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა. უწესრიგო და შემთხვევითი კავშირების მიუხედავად, ქრისტმასი მაინც საკმაოდ წესიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, ჩვეულებრივი, ჩანმრთელი და ნორმალური ცოდვილის ცხოვრებით. ამიტომაც ქალზე მეტად უჭირდა გარყვნილების წყაროს პოვნა. სინამდვილეში ისე გამოდიოდა, თითქოს პაერიდან შეწოვილი გარყვნილებით ქალი მასაც რყვნიდა. თანდათანობით შიშიც გაუჩნდა. ეშინოდა, არ კი იცოდა რისი, ახლა თითქოს შორიდან შესცქეროდა საკუთარ თავს — უძირო ქაობში ჩაფლულს. თუმცა ჯერ ბოლომდეც ვერ გაეაზრებინა ყველაფერი. უბრალოდ, უკაცრიელ, სასტიკ და გრილ ქუჩას ხედავდა წამდაუწყებ. სწორედაც რომ გრილს: ფიქრობდა, ხანდახან კი ხმამაღლაც ამბობდა ხოლმე თავისთვის, „ჯობია დავიძრა, ჯობია გადავიკარგო აქედანო“.

მაგრამ, ნებისმიერი ფატალისტის მსგავსად, იმასაც აკავებდა რალაც: ცნობისმოყვარეობა, პესიმიზმი, უბრალოდ, ინერციაც. ურთიერთობა კი, გრძელდებოდა და დამეული მბრძანებლური და ყველაფრის გამთელავი გაფთვრებაც უფრო და უფრო ღრმად ითრევედა. შეიძლება ხვდებოდა, ვე-



რაფრით ველარ ვუშველი თავსო. ასეა თუ ისე მაინც დარჩა, დარჩა, რათა კვლავ ეცქირა, როგორ იბრძოდა ერთ სხეულში ორი არსება — მთვარით განათებული შავი, მღვრიე ტბის ზედაპირზე მოფართხალე ორი ლანდივით, დასაღუბად განწირულნი, მაინც რომ არ ნებდებიან ბედს, ბოლომდე წვალობენ და თავის გადასარჩენად რიგრიგობით სძირავენ ერთმანეთს. ხე პირველი ფაზის დროინდელ უძრავ, ცივ, თავშეკავებულ სახეშიც ვხვდებით დაღუპული და დაწყევლილი, მაინც რომ ინარჩუნებდა იტყუებულნი მიუდგომლობას, ხან კი მეორეს, იმ მიუდგომლობის გააფთრებით უარმყოფელს. ვისაც თავისი ხელით გათხრილ უფსკრულში სურდა ჩაემარხა იმდენხანს შენარჩუნებული ფიზიკური სისპეტაკე, უკვე ვეღარასოდეს, ვერასდიდებით რომ ველარ დაკარგავდა. ზოგჯერ ორივე სახეება ერთად ამოტივტივდებოდა ხოლმე ტბის შავ ზედაპირზე, დებივით ჩახუტებულნი; წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი და მაშინ ქვეყანაც ბრუნდებოდა ხმაურით: ოთახი, კედლები, ეზოდან მომავალი მირიადი მწერის ორმოცწლიანი მშვიდი ზუზუნი და ბზუილი. ასეთ დროს ველური და სასოწარკვეთილი სახით შესცქეროდა ხოლმე ქალი და მის შემხედვარეს, ძველი მოგონების პერიფრაზი გაუელვებდა ხოლმე ფიქრში: „ლოცვას ცდილობს, ოღონდ ლოცვაც არ იცისო“.

ქალს სიმსუქნე დაეტყო.

პირველისაგან განსხვავებით, ეს ფაზა უეცარი კულმინაციით არ დამთავრებულა. ისე თანდათანობით გადაიზარდა მომდევნოში, ვერავენ იტყოდა, სად დასრულდა ერთი და სად დაიწყო მეორე. ზაფხული ილეოდა, უკვე შემოდგომაც ველარ ითმენდა და ჩამავალი მზის წაგრძელებული ჩრდილებივით აპარებდა ზაფხულს თავის სიგრილესა და სუსხს; თუმცა, მომაკვლევი ზაფხულიც ისევ ძალობდა და, ჩანავლებული კოცონივით, ხანდახან ისევ აბრალებებოდა ხოლმე, ორწლიანი მონაკვეთი მთავრდებოდა. ქრისტმასი ჯერ კიდევ სარანდავ ფაბრიკაში მუშაობდა, თუმცა, უკვე ცოტ-ცოტა ვისკიტაც ვაჭრობდა, ჭკვიანურად ააწყო საქმე, სულ რამოდენიმე მუშტარი ჰყავდა და ისინიც არ იცნობდნენ ერთმანეთს. ქალისთვის არაფერი უთქვამს, არადა, ვისკის მარაგს იმის მამულში ინახავდა. მუშტარსაც იმისი საძოვრის გადაღმა, ტყეში ხედებოდა. ქალი არაფერს დაუშლიდა, ისევე, როგორც ადრე მისის მაკიპერნი. მაგრამ, შეიძლება, ახლაც სწორედ იმიტომ არ გაუმხილა თავისი ბუტლეგერობა ქალს, რა მიზეზითაც მისის მაკიპერნს არ განდო მაშინ დამალული თოკის ამბავი. საერთოდ, როცა მისის მაკიპერნი, თოკი, ანდა ოფიციანტი ქალი ახსენდებოდა, ვისთვისაც არასოდეს უთქვამს, სად შოულობდა ხოლმე ფულს, როცა, ახლაც, ამჟამინდელ სატრფოზე და ვისკიზე ფიქრობდა, თანდათანობით რწმუნდებოდა, ფულის შოვნისა და გამდიდრების სურვილი კი არ მაყიდინებს ვისკის, ეტყობა, უბრალოდ ასე დამებედა: მუდამ რაღაც უნდა დავუმალო ჩემ ირვვლივ მყოფ ქალებსო. დროდადრო შორიდან, ქალს დღისითაც ხედავდა; საბლის უკან მოფუსფუსეს სუფთა, სადა კაბა ეცვა ხოლმე, კაბის ქვეშ კი უკვე თვალშისაცემად ფეთქავდა გადამწიფებული, ლპობაგამჯდარი სიმსუქნე, ჭაობის მცენარესავეით, შეხებისთანავე რომ უნდა გასკდეს და ლორწოდ დაიღვაროს. ქალი ერთხელაც არ გამოხედავდა, ერთხელაც არ გამოექცეოდა ქობისკენ თვალი, ქრისტმასს კი მუდამ ის, მეორე, თითქოს მხოლოდ ღამიანობით, მხოლოდ



სიბნელეში არსებული ბიროვნება ედგა თვალწინ და დღისით, მზის სინათ-  
ლეზე დანახული ქალიც ვილაც უცნობი, იმ ღამეული დის მიერ მოკლულის  
აჩრდილად ესახებოდა — ძველისძველ მამულში უმიზნოდ მოხეტიალე აჩრ-  
დილად, ვისთვისაც დაჩივლების უფლებაც კი წაერთმიათ. *ქრქქქქქქქქ*

მეორე ფაზის თავდაპირველი სიშმაგე, რაღა თქმა უნდა — *ქრქქქქქქქქ* —  
ბოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო. ნიაღვარივით მოვარდნილი, ის ახლა  
მოქცევა-უკუქცევად გარდაქმნილიყო. მოქცევისას ქალი ლამის მართლა  
ახერხებდა ქრისტმასიც მოეტყუებინა და საკუთარი თავიც. თითქოს, რაკი  
მოქცევას ისევ მალევე უნდა მოჰყოლოდა უკუქცევა, უფრო და უფრო  
შმაგდებოდა, სულ უფრო და უფრო დაუნდობლად უარყოფდა წარსულს და  
უკვე სრულიად მოულოდნელ, წარმოუდგენელ ხორციელ ექსპერიმენტებში  
ეძებდა თავდავიწყებას — თავისთვისაც და ქრისტმასისთვისაც — რათა, ყვე-  
ლა სურვილისაგან დაეკლინა, ორივენი ბრმად მიჰყოლოდნენ დინებას.  
თითქოს იცოდა, დრო ცოტაღა მრჩებაო, შემოდგომა მომდგომია კარსო, თუმ-  
ცა შემოდგომის ზუსტი მნიშვნელობა ჯერ მაინც არ ესმოდა კარგად. ალბათ,  
მხოლოდ ალღო ამოძრავებდა: ქალური ალღო და თანდაყოლილი ქინი ფუ-  
ჭად ჩავლილი წლების დავიწყებისა. მერე მოქცევას მართლაც ცვლიდა  
უკუქცევა. და ისინიც თითქოს მობეზრებულ და გამოფიტულ ნაპირზე ეყარ-  
ნენ ჩამდგარი მისტრალის შემდეგ, უცხოებივით შესცქეროდნენ ერთმანეთს,  
უიმედო, მოსაყვედურე (ქალი — სასოწარკვეთილი, ის — დაღლილი) თვა-  
ლებით.

მაგრამ შემოდგომის ჩრდილი მაინც უკვე დასცემოდა. ბავშვიც ახსენა,  
თითქოს ალღომ გააფრთხილა, დროა ან თავი იმართლო, ანდა მოინანიოო.  
უკუქცევისას ახსენა, რადგან ლამის დასაწყისი მუდამ წარღვნას ჰგავდა  
ხოლმე — თითქოს ყოველდღიური განშორება დაწრეტილ ნაკადულს სი-  
ცოცხლეს უხანგრძლივებდა, ბოლომდე დაშრობას არ აცლიდა, რათა მერე,  
ლამით, ცოტა ხნით მაინც დამსგავსებოდა ნიაღვარს. თუმცა მალე ნაკადული  
მაინც დაშრა. ახლა უკვე უხალისოდ, უცხოსავით მიდიოდა ქალთან და თვა-  
ლიც გამოქცევაზე ეჭირა; მის გვერდითაც უცხოსავით იჭდა ჩაბნელებულ სა-  
ძინებელ ოთახში და იქიდანაც უცხოსავით გამოდიოდა, ვილაც მესამე, და  
რაც მთავარია, კიდევ უფრო უცხოზე საუბრის შემდეგ. მაშინღა შეამჩნია,  
თითქოსდა რაღაც წინასწარი განზრახვის კარნახით, მუდამ საძინებელ ოთახ-  
ში რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ცოლ-ქმარივით. ახლა მთელ სახლში აღარ  
სჭირდებოდა ქალის ძებნა; ის ღამეები, როცა დამალულს, აქოშინებულს,  
შიშველს პოულობდა ხოლმე ბნელში ჩანთქმულ სახლში თუ გაპარტახებულ  
ეზოში, სამუდამოდ ჩაბარებოდნენ წარსულს, ისევე, როგორც მესერის ფუ-  
ტურო ბოძი თავლასთან.

ყველაფერი დამთავრებულიყო; სცენებიც კი, გასაიდუმლოებული და  
უხამსი სიამოვნებისა თუ ეჭვიანობის სცენებიც. არადა, არ იცოდა, თორემ  
ახლა ეჭვიანობის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. თითქმის ყოველ კვირას ქრის-  
ტმასი საქმეზე მიემგზავრებოდა — ასე ეუბნებოდა ქალს. საქმეს კი მემფის-  
ში ჩაჰყავდა, სადაც სხვა, ფულით ნაყიდ ქალებთან ღალატობდა ხოლმე.  
ქალმა არაფერი იცოდა. არც აინტერესებდა, რადგან სხვა სადარდებელი  
ადარდებდა და ქრისტმასს გულაზდილობის სურვილი რომც გასჩენოდა, შე-  
იძლება მისი ნათქვამი არც დაეჯერებინა, ის კი არა, იქნებ საერთოდ არც და-  
ეგდო ყური. ქალს ძილი გაუკრთა, მთელი ღამეები ძილგამკრთალი იწვა სა-



წოლში და მხოლოდ დღისით, ნაშუადღევს თუ მოატყუებდა ხოლმე თვალს. ავად არ იყო; სხეულს ვერაფერს დააბრალებდა. უკეთესად არასოდეს უგრძენია თავი; მგლის მადა ჰქონდა და ოცდაათი ფუტითაც მეტს იწონიდა ახლა, ვიდრე ადრე, ოდესმე. უძილობას სხვა მიზეზი ჰქონდა, სიბნელის, მიწის, მომაკვდავი ზაფხულის გაჩენილი; შიშისმომგვრელი და სასტიკი უფრო საზარელი, რაც უფრო ჯიუტად არწმუნებდა ალღობის და გიშავდებო; განსაცდელი და იმედის ვაცრუებაც მოგელის, მაგრამ ნუ გეშინია, უვნებელი გადარჩებიო: ცხოვრება ძველებურად გაგრძელდება, უკეთესიც გახდება, ნაკლებად საშინელიო, არადა, ეს ზარავდა სწორედ, რადგან თვითონ ყველაზე ნაკლებად გადარჩენა სურდა. „მე ჯერ არა ვარ მზად სალოცავადო“, ამბობდა მშვიდად, მტკიცედ, ხმადაბლა, ფართოდ თვალებგახელილი; ფანჯარაში კი მთვარე იღვრებოდა და ოთახიც სიცივით, უსასობით, გამწარებული სინანულით ივსებოდა. „ჯერ ლოცვას ნუ მაიძულებ, ღმერთო ძლიერო, ცოტა ხანს კიდევ მამყოფე დაწყევლილი, სულ ცოტა ხანს“. ახლა, როცა თავის განვლილ ცხოვრებას იხსენებდა, ნაკრისფერი, გრძელი გვირაბივით გასცქეროდა შიმშილობის წლებს, გვირაბის შორეულ ბოლოში კი მარადიულ საყვედურად, სინდისის მარადიულ ქენჯნად დარჩენილ საკუთარ შიშველ, სამი ხანმოკლე წლის წინანდელ მკერდს ხედავდა, და ნატანჯი, უმანკო და მოკვდიანებული ხორციც ახლაც ისევ სტკიოდა როგორც მაშინ, სამი წლის წინათ: „ჯერ არა, ღმერთო, ღმერთო ძლიერო, ჯერ არაო“, — იმეორებდა ერთსა და იმავეს.

მოკლედ, როცა ახლა ისევ ესტუმრებოდა ხოლმე ქრისტმასი მის საძინებელ ოთახს და როცა უგულოდ, დუნედ, მხოლოდ ჩვეულების გამო გადაუხდიდნენ ხოლმე ხარკს ვნებას, მუდამ ბავშვზე იწყებდა საუბარს. თავიდან განყენებულად ლაპარაკობდა, ზოგადად ბავშვებზე. შეიძლება, უბრალოდ, ქალური, თანდაყოლილი ეშმაკობაც აღაპარაკებდა მიკიბულ-მოკიბულად. ასეა თუ ისე, კარგა ხანი გავიდა, ვიდრე, ცოტა არ იყოს შემკრთალი ქრისტმასი მიხვდებოდა, მართლა შესაძლებლად, მართლა დასაშვებად რომ თვლიდა ქალი შეილის გაჩენას. მიხვდა თუ არა, მაშინვე — არაო — ეთბრა.

„რატომ?“ ჰკითხა ქალმა, თან ჩაფიქრებული შესცქეროდა, ქრისტმასი კი საგონებელში ჩავარდნილიყო, გამალებული ფიქრობდა გათხოვება უნდა, სხვა არაფერი. ბავშვი ჩემზე მეტად არც ამას სჭირდება რამეში „მეხუმრებო“, იმშვიდებდა თავს. „მაგრამ, მაინც მეტი ჭკუა მმართებდა, ესეც უნდა მეფიქრა. ერთი წლის წინ უნდა ავორთქლებულიყავი აქედანო“. თუმცა ქალს ხმამაღლა ვერაფერს ეუბნებოდა, სიტყვა ქორწინების ხსენებისაც ეშინოდა, ფიქრობდა. „შეიძლება მსგავსიც არაფერი უგულისხმია, შეიძლება მე თვითონ ვუკარნახო ეს აზრიო“. ქალი დაფინებით მისჩერებოდა. „რატომ არა?“ გაუმეორა ისევ, მერე უეცრად, წამით, ქრისტმასისაც გაუელვა მართლაც რატომ არა? ბავშვი ხომ სიმშვიდეს ნიშნავს, უსაფრთხოებას, უზრუნველობას მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. აღარც წანწალი დაგჭირდება, ვითომ რითი იქნება ქორწინება ამაზე უარესი მაგრამ, ფიქრი სხვას კარნახობდა, „ახლა რომ დავთმო, მთელ ჩემს ოცდაათწლიან, საკუთარი ნებით არჩეულ ცხოვრებასაც ერთბაშად უნდა გადავუსვა ხაზიო“. ბოლოს, როგორც იქნა, ისევ ამოიღო ხმა:

„შეილის გაჩენას თუ აპირებდი, ამ ორი წლის წინ გაგეჩინა“.

„ორი წლის წინ არ გვინდოდა“. თქვა ქალმა.



„არც ახლა გვინდა“.

მაშინ სექტემბერი იდგა. სწორედ შობის შერევი ქალმა უთარა — ფეხ-მძიმედ ვარო. ჯერ სიტყვაც არ დაემთავრებინა და ქრისტმასმა ირწმუნა. მატყუებსო. მიხვდა. სკამი თვე სულ ამ აღსარებას რომ ელოდებოდა. მაგრამ, როცა უფრო დღებით დააცქერდა, უცებ დაიჭერა ქვეყნის ქვეყნადი: სიმართლეს ამბობს და თავის სიმართლეს აღარც თვითონ ბეჭეფს. მისი მხრე გაიფიქრა. „ესეც ასე. ახლა მეტყვის, ცოლად შემირთვო. ოღონდ, სხვა თუ არაფერი. მანამდე აქედან ვასვლას მაინც ხომ მოვასწრებო“.

მაგრამ ქალს არაფერი უთქვამს. გაუნძრევლად იჯდა საწოლზე. ხელე-ბი ქალთაში დაეკრიფა და გაქვავებული, ნიუ-ინგლენდური სახეც (ქერაც შინაბერა ქალისა: დაწვმაღალი, გრძელი, გამზდარი, ლამის მამაკაცური, უკვე თვალშისაცემად შეუფერებელი მის მსუქან, გაფუფულ, ცხოველურად რბილ ტანთან) დაემაღა. ცოტა ხნის შემდეგ დაილაპარაკა, ჩუმად. მოწყენილად, გულგრილად: „ზანგის ნაბიჭვარი. სხვა რაღა დარჩა? ნეტავი ახლა ქელეწინისა და მამაჩემის სახეები დამანახა. ისე, გაქცევას თუ აპირებ, უკეთეს დროს ველირ იპოვი“. მაგრამ, თითქოს არც უსმენდა საკუთარ ხმას, არავითარ იზრს არ ანიჭებდა სიტყვებს: უბრალოდ, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად გაებრძოლა კერძსა და მომაკვდავ ზაფხულს, რომელსაც გაუფრთხილებლად, მუხანათურად დასხმოდა თავს შემოდგომა, ნახევრად სიკვდილის დასაწყისი. „ახლა კი მორჩაო“, ფიქრობდა მშვიდად: „დამთავრდა ყველაფერი“. ყველაფერი, გარდა მოლოდინისა — ერთ თვეს უნდა გაევილო კიდევ, რათა საბოლოოდ ვათანტულიყო ყველა ეჭვი: ზანგი ქალებისგან იცოდა, ორ თვეზე ადრე ვერაფერს იტყვი დაბეჭითებით. ამიტომაც უნდა ეცადა კიდევ ერთი თვე, კალენდარს მიჩერებულს, ნებისმიერი შეცდომისგან თავის დასაზღვევად, ფანქრითაც კი აღნიშნა: ის დღე კალენდარზე; საძინებელი ოთახის ფანჯრიდან გასცქეროდა, როგორ ილეოდა თვე. ყინვები დაიჭირა, ფოთლებსაც შეეპარა სიყვითლე. შერევი კალენდარზე აღნიშნული დღეც დადგა და გავიდა; ბოლომდე დასარწმუნებლად ერთი კვირა კიდევ დაინიშნა. არ ზეიმობდა, რადგან არც უკვირდა არაფერი. „ორსულად ვარო“. თქვა მშვიდად, ხმაშაღლი.

„ხვალ წავალ“, გადაწყვიტა ქრისტმასმა სწორედ იმ დღეს. „არა, კვირას ჯობია“, გააგრძელა შერევი ფიქრში. „ჯერ მოვიციდი, ამ კვირის გასამრჯელოსაც დაველოდები და შერევი მეძებონ“. შაბათის მოლოდინში სულ იმას ვარაუდობდა, საით გაუდგებოდა გზას. მთელი კვირა აღარ უნახავს ქალი, ელოდებოდა — თვითონ დამიძახებსო. ქობში შესულიცა და იქიდან გამოსულიც უნებურად ამჩნევდა, როგორ არიდებდა სახლს თვალს, როგორც ადრე, ქობში ახლად დაბინავებული. ქალი აღარსად ჩანდა. ხანდახან მხოლოდ ზანგის ქალებს ხედავდა ხოლმე, შემოდგომის სუსხისგან თავდასაცავად რაღაც უაზრო, უცნაურ სამოსში განხვეულები რომ მიდი-მოდოდნენ გაკვალულ ბილიკებზე სახლისკენ ანდა სახლიდან. ეს იყო და ეს. შერევი შაბათიც დადგა. მაგრამ მაინც არსად წასულა. „კიდევ ცოტა ფულს რომ მოვუყარო თავი, არ მაწყენსო“, გაიფიქრა. „თვითონ თუ არ მაგდებს, მე რა მრჯის, იქითა შაბათამდე დავრჩებიო“.

დარჩა კიდევ. ცივი დღეები დაიჭირა, ცივი და ნათელი. ფარღალა ქობში თავის ბამბის საბანში რომ გაეხვეოდა, ქალის საძინებელი ოთახი წარ-



მოუღებდა თვალწინ — იქაური ცეცხლი, იქაური განიერი, დალიანდა-გებული, ღუნღუნდა საბნები. ასე ძლიერ არასოდეს შებრალებია საკუთარი თავი. „ერთი საბანიც რომ გამოეგზავნა, ვითომ რა მოხდებოდა“ ფიქრობდა ბრაზიანად. ისე, საბნის ყიდვა თვითონაც შეეძლო მაგრამ არ უყო-დია. არც ქალს გამოუგზავნია. მაინც ელოდა, როგორც თვითონ ეგონა, უსაშველოდ დიდხანს ელოდა. მერე, ერთ საღამოსაც, მსუბუქად შინ დაბრუნებულს საწოლზე ბარათი დახვდა. მოკლე ბარათი იყო, ბრძანება-სავით. ამაღამ გელოდებიო, არ გაპკვირვებია. ჭერ ისეთი ქალი არ ენახა, დროზევე არ მოგებულყო გონს, თუკი, რასაკვირველია, სხვა კაცს ვერ იშოვიდა. ახლა უკვე ისიც იცოდა, მეორე დღეს აუცილებლად რომ აიკ-რავდა გუდა-ნაბადს. „ამას ველოდიო“, ფიქრობდა; „ვალის გადაუხდელოდ არ მინდოდა წასვლაო“. ტანზე გამოიცვალა და პირიც გაიპარსა. თავისდა უნე-ბურად, სასიძოსავით კობტავდებოდა. სამზარეულოში მაგიდა ჩვეულებისა-მებრ იყო გაშლილი; იმ ხნის მანძილზე, რაც ქალი არ ენახა, ვახშამი მაინც სულ ელოდებოდა. ივახშმა და კიბეს აუყვა. არ ჩქარობდა. „მთელი ღამე წინააო“. ფიქრობდა, „ქოხი ცარიელი რომ დაუხვდება, რალაცა მაინც ექ-ნება მოსაგონარიო“. ქალი ცეცხლთან იჯდა. თავიც არ მოუბრუნებია, ისე გამოსძახა — სკამი გამოაყოლე ხელსო.

ასე დაიწყო მესამე ფაზა. და ამ ფაზამ ცოტა ხნით უფრო დიდ საგო-ნებელში ჩააგდო, ვიდრე პირველმა ორმა. აღფრთოვანებას, უსიტყვო ბო-დიშს ელოდა; ყოველ შემთხვევაში, ალერსზე საპასუხო ალერსის იმედი ნამდვილად ჰქონდა. თანახმაც იყო. არადა, ხელში უცხო ადამიანი კი შერჩა, რომელმაც მშვიდად, მამაკაცური სიმტკიცით მოიშორა, როცა ამან, ბოლოს და ბოლოს, გაბედა და თავგზააბნეულმა, სასოწარკვეთილმაც კი, მოფერება დაუპირა. „მოდო ჩემთანო“, — მაინც არ გაიტეხა იხტიბარი. „თუ სათქმე-ლი გაქვს რამე, მერე უკეთესად მეტყვი. ბავშვსაც არაფერი დაუშავდება, ნუ გეშინიაო“.

ქალმა ერთადერთი სიტყვით შეაჩერა: ქრისტმასმაც მაშინ პირველად შეხედა და ცივი, შორეული, ფანატიკური სახე დაინახა. „როგორ არ გესმის“, თქვა ქალმა. „როგორ არ გესმის, ტყუილ-უბრალოდ რომ ფლანგავ სიცოცხ-ლეს“, ქრისტმასი გაქვავებული მისჩერებოდა, თითქოს საკუთარ ყურებსაც არ უჩერებდა.

კარგა ხნის მერედა ჩასწვდა საბოლოოდ ქალის ნათქვამის აზრს. ქალი კი ზედაც არ უყურებდა. ცეცხლს მიშტერებული იჯდა, სახეგამკაცრებული, უძრავი, ჩაფიქრებული. უცხოსავით ელაპარაკებოდა და ქრისტმასიც შეუ-რაცხყოფილი და თან გაოგნებული უსმენდა. ქალს გადაეწყვიტა მთელი თავისი საქმეები მისთვის გადაეხარებინა — კორესპონდენციაცა და პერიო-დული ვიზიტებიც ზანგურ სკოლებში. გულდასმით მოეფიქრებინა გეგმა და ახლა ამ გეგმის დეტალებსაც დაწვრილებით უხსნიდა, რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, ქრისტმასსაც მით უფრო მეტად იბყრობდა გამმაგება და გაოცება. ქალის ჩანაფიქრის თანახმად, მთელი პასუხისმგებლობა მას უნდა ეკისრა, თვითონ კი ქრისტმასის მდივანი. მისი თანაშემწე ვახდებოდა: სკო-ლებსაც ერთად მოინახულებდნენ და შინაც ერთად ესტუმრებოდნენ ხოლ-მე ზანგებს; გაბრაზებული კი უსმენდა, მაგრამ ამ გეგმის სიგიჟეში წამითაც არ შეპარვია ეჭვი. არადა, ქალის მშვიდსა და სერიოზულ პროფილს რომ შესცქეროდა ცეცხლის გამოჩაშუქზე, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ჩარ-



ჩოში ჩასმულ პორტრეტს უყურებდა. ოთახიდან გომოსელის მერეღა გაახსენდა. ერთხელაც არ უხსენებია ბავშვად.

ჭერ შაინც ბოლომდე არ სჯეროდა ქალის სიგიჟე. ფეხმძიმობით ცდილობდა ყველაფრის ასხრას, ასლოსაც ალბათ მაგიტომ არ გამოიქარაო. ერთი პირობა შეეცდებოდაც დაუპირა. მაგრამ გინდაც კედელთან წაქცეულ ქალმა აუღელვებლად მოუსმინა და მერე ისევ დინჯად, ცივი ხმით გააგონებდა თავისი. თითქოს ქრისტმასს საერთოდ არც დაეძრა კრინტი. ბოლოს და ბოლოს სკამიდან რომ წამოდგა და გამოვიდა, დარწმუნებული არც იყო, შეამჩნია თუ არა ქალმა მისი წამოსვლა.

მომდევნო ორი თვის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ნახა. ისევ გაგრძელდა ყოველდღიური რუტინა, ოღონდ ეგაა, ახლა სათოფეზე აღარ ეკარებოდა სახლს, კვლავ ქალაქის ცენტრში ჭამდა ხოლმე, როგორც მაშინ, როცა ფაბრიკაში მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონდა. მაგრამ მაშინ, მუშაობის დაწყებისას, დღის განმავლობაში ქალზე ფიქრი არ აწუხებდა; საერთოდ თითქმის არც ფიქრობდა მასზე. ახლა კი თავს ველარაფერს უხერხებდა. გამტდმებით თვალწინ ედგა, ლამის მართლა ხედავდა — მომლოდინეს, მომთმენს, შეშლილსა და ბედისწერასავით გარდაუვალს. პირველი ფაზის განმავლობაში, ქრისტმასი თითქოს გარეთ. დათვლილ მიწაზე იდგა და სახლში შეღწევას ცდილობდა; მეორე, ორმოს ფსკერზე, ჩახუთულ, ცხელ, გიჟურ სიბნელეში გაატარა; ახლა კი, ტრიალ მინდორში დარჩენილიყო. სადაც არც სახლი ჩანდა, არც თოვლი, არც ქარი.

თუ აქამდე მხოლოდ გაურკვეველობა აწუხებდა, ხანდახან ავი წინათგრძნობა და საკუთარი განწირულობის შეგნება თუ სტანჯავდა, ახლა შიშიც გასჩენოდა. უკვე ამხანაგთან ერთად ყიდდა ვისკის; ამ ქალაქში ბრაუნსაც შემთხვევით ამოეყო თავი და სამუშაოს ძებნაში, ადრიალი გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ქრისტმასივით ისიც ფაბრიკას მისდგომოდა. სიბრიყვე სახეზე ეწერა, მაგრამ თავიდან იფიქრა, „იმდენი ჰკუა მაინც ეყოფა, უსიტყვოდ დამემორჩილოს, თვითონ ტვინის განძრევა არ დასჭირდებოა“, მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა — სულელი იმის სულელია, საკუთარ გონავრულ რჩევასაც რომ არ უგდებს ყურს. ბრაუნს არავინ იცნობდა, თან მზიარული კაცაც იყო, დაუფიქრებლად ამყოლიც და უფრო ამიტომ შეიამხანაგა; სიმამაცისა, რა თქმა უნდა, არაფერი ეცხო, მაგრამ ქრისტმასმა იცოდა, გონიერი კაცის ხელში ლაჩარსაც რომ შეუძლია გარკვეული სარგებლობის მოტანა, ყველასათვის, საკუთარი თავის გარდა.

მარტო იმის ეშინოდა, შეიძლება ქალის ამბავი შეიტყოს და, თავისი გაუთვალისწინებელი სიბრიყვის წყალობით, რამე გამოუსწორებელიც ჩაიდინოსო. ისევ ჭიუტად გაუბოდა, ჭიუტად ემალებოდა ქალს და ამიტომ შიშობდა, ვაითუ ერთ ღამესაც თვითონ მომადგეს, თვითონ მომაკითხოს ქობიო. თებერვლის მერე მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი. მიაკითხა და ქობში ბრაუნის დაბინავების ნებართვა სთხოვა. კვირა დღე იდგა. უკანა პარმალიდან დაუძახა, ქალიც გამოვიდა და მშვიდად მოუსმინა. „არ იყო საჭიროო“, — უთხრა. თავიდან ვერც მიხვდა, რას გულისხმობდა. მოგვიანებითღა განათდა გონებაში. ერთბაშად, დაბეკდილ წინადადებასავით: ჰგონია მისგან თავის დასახსნელად მოვიყვანე, დაიჭრა, თითქოს ბრაუნის იმედად ვიყო, თითქოს ბრაუნი თუ მეუოლება გვერდით, თვითონ ველარ გაბედავს მოხვლას და იძულებულიც გახდება თავი დამანებოს



ეს ფიქრი ჩაინერგა და შიშიც გაუჩნდა ქალის მოსალოდნელი საქციელის გამო, თუმცა, სინამდვილეში, საკუთარ აზრებს მიაწერდა მხოლოდ. ეჭვი აღარ ეპარებოდა, რაკი ასე ფიქრობს, აღარც ბრაუნისა მოელოდება და, ჯიბრზე, უფრო მომადგება ქობშიო. თვეზე მეტია, ქალს ნოათე მოემოქმედებინა, ჯიუტად ღუშდა და, ქრისტმასის ღრმა რწმენით სწულდა, ახლა უნდა გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი. უკვე თვითონაც უნდა დაეჭვებინა იწვა ხოლმე ღამღამობით, ფიქრობდა. „რალაც გზას უნდა დავადგე, უთუოდ ჩავიდენ რალაცასო“.

ამიტომაც ეშმაკობდა, ბრაუნს ატყუებდა, ემალებოდა და მუდამ პირველი ცდილობდა ქობში დაბრუნებას. სულ ელოდებოდა, ქალი დამიხვდება ქობშიო. მაგრამ ქობამდე რომ მიაღწევდა და ქობიც ცარიელი დაუხვდებოდა, რალაცნაირი დამაუძღურებელი გააფთრება იპყრობდა სოლმე: თვითონ სულ ფეთებაში იყო, რალას არ იგონებდა, ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ქალი კი იჭდა თავისთვის შინ, უსაქმოდ, მარტოდმარტო და მხოლოდ ის ჰქონდა საფიქრალი, ახლავე გავცე თუ ცოტა ხანს კიდევ ვაწვალოო. სხვა დროს ფეხებზე დაიკიდებდა, გაიგებდა ბრაუნი მათი ურთიერთობის ამბავს თუ ვერა. არც დიდი თავდაჭერილობა ახასიათებდა და არც ქალისადმი რაინდული მოწიწება. პრაქტიკული, საქმიანი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. გინდაც მთელ ჯეფერსონს გაეგო იმათი საყვარულობანა, არ დაგიდევდათ: ქალის მამულში შენახული ვისკის გამო ასაიდუმლოებდა ასეთი მონდომებით პირად ცხოვრებას, რადგან ვისკის მოჰქონდა სწორედ ყოველკვირეულად ოცდაათი-ორმოცი დოლარი მოგება. ეს იყო ერთი მიზეზი, მეორე კი — პატივმოყვარეობა. უმალ მოკვდებოდა ან მოკლავდა, ვიდრე სხვას, მეორე კაცს გააგებინებდა, სადამდე მისულიყო მათი ურთიერთობა. ქალს არა მართო საკუთარი ცხოვრება შეეცვალა ძირფესვიანად. არამედ მისი ცხოვრების შეცვლასაც ცდილობდა და ქრისტმასისგან რალაც საშუალოს შექმნას აპირებდა განდევილსა და ზანგების მისიონერს შორის. იცოდა, თუკი ბრაუნი ამბის დასაწყისს შეიტყობდა, აღარც დანარჩენის ვაგება გაუჭირდებოდა. ამიტომაც, როცა ათასი ტყუილისა და ოინის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ქობს მიადგებოდა, როცა უკვე კარს შეახებდა ხელს, ერთბაშად მოეძალებოდა ხოლმე შიშითა და უძღური მძვინვარებით ნასაზრდოები სიძულვილი, რადგან, უკვე ფეთებისა და გულისხეთქვის ამოებაში დარწმუნებულს, მაინც ვერა და ვერ დაედლია ჩვევად ქცეული სიფრთხილე. მერე ერთ საღამოსაც, კარი შეაღო თუ არა, საწოლზე ბარათი დაინახა.

ოთხკუთხა, თეთრი და იღუმალეებით მოცული ბარათი მუქი ფერის საბანზე იდო და შესვლისთანავე ეცა თვალში. იმდენად იყო საკუთარ გუჟანს მინდობილი, წამითაც არ დაფიქრებულა, რას უქადდა, რა ეწერა შიგ. არც სიხარულს შეუპყრია და არც მღელვარებას; შვება დაეუფლა. „მორჩაო“, გაიფიქრა, ოლონდ შუაზე გაკეცილი ქალაღდისათვის მაინც არ უხლია ხელი. „ისევ ძველი დრო დაბრუნდება, გათავდა ზანგებზე და ბავშვებზე ყბედობა. ჭკუას მოუბჰო, გადაუარა, ნახა, რაც ელოდა, დარწმუნდა, მხოლოდ და მხოლოდ კაცი რომ უნდა, კაცი სჭირდება, თანაც ღამღამობით; დღისით რას აკეთებს ეს კაცი, მნიშვნელობა არა აქვსო“. მაშინ იმასაც უნდა მიმხვდარიყო, რატომ არ წასულიყო აქამდე, უნდა ეგრძნო, რომ ჯერაც მდუმარე და არაფრის მთქმელი ქალაღდის პატარა ოთხკუთხედი ჯაჭვზე და ბოქლომზე საიმედოდ უბორკავდა ხელ-ფეხს. მაგრამ ამაზე არ ფიქრობდა. დანაპირები



სიამოვნების ზღვარზე იდგა და წინდაწინ ტკბებოდა ამ სიამოვნების წარ-  
მოდგენით ოღონდ ახლა უფრო მშვიდად მოხდებოდა ყველაფერი; ორ-  
მხრივი თანხმობით; არ აპირებდა უფროად მოპოვებული ძალაუფლების ბო-  
როტად გამოყენებას. „გათავდა სისულელეები“, აგრძელებდა ფიქრს და  
ჯერ გაუხსნელი ბარათიც უკვე ხელში ეჭირა. „ამდენი სიყვარული სიცოცხლე  
და მეც მაინც ისევ ისა ვართ, რაც აღრე ვიყავით“. წაბნელებული ფიქრით  
იცილებდნენ ამაღამ წარსულზე, მერე, მოგვიანებით, ყველაფრის შემდეგ —  
როცა მშვიდი საუბრისა და მშვიდად სიცილის ეამი დადგებოდა: ყველა-  
ფერზე იცილებდნენ, ერთმანეთზეც, საკუთარ თავზეც.

ბარათი კი მაინც არ გაუხსნია. გვერდზე გადადო, დაიბანა, პირი გაი-  
პარსა და ტანსაცმელი გამოიცვალა, თან რაღაცას უსტვენდა. ბრაუნი რომ  
შემოვიდა, სამზადისი ჯერ არ დაემთავრებინა. „კარგია, კარგი“, — თქვა ბრა-  
უნმა. ქრისტმასს პასუხი არ გაუცია. კედელზე მიმაგრებულ სარკის ნატეხში  
იყურებოდა. ყელსახვევს იკრავდა. ბრაუნი შუა ოთახში გაჩერდა: მაღალი,  
გამსდარი. ახალგაზრდა კაცი იყო, ჭუჭყიანი კომბინეზონი ეცვა, მზედაკრუ-  
ლი, უნებისყოფი, ლამაზი საბეჭონა და ცნობისმოყვარე თვალები. ტუჩის  
კუთხეში დორბლივით აჩნდა წვრილი, თეთრი ნაიარევი. ცოტა ხანს ჩუმად  
იდგა. მერე უთხრა: „გეტყობა, სადღაც გაგიწევიაო“.

„მართლა გეტყობა?“ შეეხმიანა ქრისტმასიც, თავი არ მოუბრუნებია.  
ისევ უსტვენდა, მონოტონურად, სწორად: რაღაც მინორულს, გულსაკლავს,  
ზანგურს.

„მაშ მე აღარ დავიბან“, თქვა ბრაუნმა. „შენ მაინც უკვე მზადა ხარ“.

ქრისტმასმა გამოხედა. „რისთვისა ვარ მზად?“

„განა ქალაქში არ მიდიხარ?“

„როდის გითხარი, ქალაქში მივდივარ-მეთქი?“ ქრისტმასი ისევ სარკეს  
მიუბრუნდა.

„პოლო“, გააგრძელა ბრაუნმა. ქრისტმასის კეფას მიშტერებოდა. „ესე  
იგი, თუ არა ეცდებით, პირად საქმეზე მიბრძანდებით, არა?“ ქრისტმასს  
თვალს არ აშორებდა. „ისე, ცივი ღამეა. ნოტიო მიწაზე გაიყინები, ქვეშ კნა-  
ქა გოგოს მეტი თუ არაფერი დაიგე“.

„ეგრე ფიქრობ?“ თქვა ქრისტმასმა, სტვენა არ შეუწყვეტია, დინჯად,  
საქმიანად იკრავდა ყელსახვევს. მერე შემობრუნდა, პიჯაკს დასწვდა, ჩაიც-  
ვა: ბრაუნი თვალს არ აშორებდა. ქრისტმასი კარებთან მივიდა და — „აბა  
დილამდეო“ — გამოსძახა. კარი არ გაუხსურავს. თუმცა იცოდა, ბრაუნი უთ-  
ვალთვალეზდა. უკვე აღარაფრის დამალვას არ აპირებდა. პირდაპირ სახლი-  
საკენ დააღერა თავი. „მიყუროს, რამდენიც უნდაო“, ფიქრობდა. „თუ უნდა,  
უკანაც გამოწყვესო“.

სამზარეულოში გაშლილი სუფრა ელოდა. ვიდრე მაგიდას მიუჯდებოდა,  
გაკეცილი ბარათი ჯიბიდან ამოიღო და თეფშის გვერდით დადო. ბარათი  
არც კონვერტში ჩაედოთ და არც დაებეჭდათ: თავისთავად გადაიხსნა, თით-  
ქოს ეპატიყდებოდა, წაკითხვას სთხოვდა. მაინც არ დაუხედავს ზედ, ისე შე-  
უდგა ქამას. აუჩქარებლად იღეჭებოდა. უკვე ამთავრებდა ვახშამს, როცა  
უეცრად დაიძაბა, თავი აიღო და რაღაცას მიაყურადა. მერე წამოდგა, კატა-  
სავით უხმაუროდ მიუახლოვდა კარს და ერთბაშად მოაფრიალა. გარეთ ბრა-  
უნი იდგა ყურებდაცქვეტილი, კისერწაგრძელებული, კარისკენ წახრილი,  
თითქოს კარის გაღება ვერც შეამჩნიო. სამზარეულოს შუქი რომ დაეცა.



ქრისტმასმა დაინახა რა დააბოლოა ბავშვური ინტერესი ეწერა სახეზე, თუმცა ინტერესი მაშინვე გაოცებამ შეცვალა. ხოლო როცა საბოლოოდ მოეგო გონს, სწრაფად გასწორდა წელში და თავიც ეჩებურად უწინ წავიდა. ხმა კი მაინც მხიარული ქჟონდა. ოღონდ ჩუმად, წინდასდულად, შეტყობილით დაპარაკობდა, ვითომ, არაფერი მაინტერესებს, არაფერი მაინტერესებს გეკითხება — ისე გაერთგულებ და დაგიდგები გვერდში, თუნდაც ძოლოდ მაშაკაყური ერთსულოვნების გამოო: „კარგია, კარგია, აი, თურმე სად დასუნსულეებ ყოველ დამე კატასავით, როგორც იტყვიან, პირდაპირ ცხვირწინ...“

ქრისტმასმა ხმის ამოუღებლივ მოუქნია ხელი, თუმცა მაგრად ვერ მოარტყა, რადგან ბრაუნის ხეინგინით, უდანაშაულო და უდარდელი კაცის იერით იხვედა უკან-უკან. ხმა კი გააწყვეტინა; დამფრთხალი, უკან გამბტარი, შუქს გაერიდა, ბნელში გაუჩინარდა და, თითქოს ისევ მშაკაცზე ზრუნავდა, თითქოს ეშინოდა, საქმე არ გავუფუჭოო, ახლა იქიდან შეეხშიანა ხმადაბლა, თუმცა, უკვე დაძაბული, აგანგაშებული, გაოცებული: „ხელა აღარ მახლო!“ ტანად უფრო მაღალიც იყო და უფრო მოსულიც, მაგრამ უშნოდ აწოწილი და ერთიანად მორღვეული, ისე სასაცილოდ, ისე მოუქნელად მიბორძიკობდა ქრისტმასის უსიტყვო, ჭიჭური შეტევით გულგახეთქილი, კაცი იფიქრებდა. საცაა ხმაურით დაენარცხება მიწას და ნაწილ-ნაწილ დაიშლებოო, ყალბი მუქარით ერთსულოც რომ გამოსძახა — იცოდე, ხელი აღარ მახლოო — შიშისაგან უკვე ხმაც გაწვრილებოდა. გასაქცევად შებრუნებულს, ახლა მხარში მოხვდა მუშტი, მაშინ კი იკადრა და თავქუდმოგლეჯილი მოსწყდა ადგილს. ასიოდე ნაბიჯი გაირბინა, ედრე ფებს შეანელებდა და უკან მოიხედავდა. „დამძალო, ქვეშაფსია იტალიელო“, დაუძახა ქრისტმასს, ისე, გამომცდელად, და თან, მაშინვე თავი გადააქნია, თითქოს ასე ხმამალა დაყვირებას არ აპირებდა. სახლიდან ჩამიჩუმში არ ისმოდა; სამზარეულოს ჩაკეტილი კარიც, ბნელში ჩანსკმულიყო, მაშინ ცოტა კიდევ აუწია ხმას: „შე დამძალო, ქვეშაფსია იტალიელო! გასწავლი, ვის ემამიძუნო“. არავინ გამოძახებია, გრილოდა, სახლს ზურგი შეაქცია და ბურტყუნ-ბურტყუნით ქობისაკენ წაჩანჩაღდა.

როცა ქრისტმასი სახლში შებრუნდა, მაგიდისკენ და ჯერაც წაუკითხავი ბარათისკენ აღარც გაუხედავს. სამზარეულოდან გავიდა და კიბეს აუყვანელ-ნელა, აუჩქარებლად, უკვე ხედავდა საწოლი ოთახის კარს, კარის ღრიალში მოციმციმე ცეცხლის აღს, დინჯად მიადგა კარებს. სახელურს ჩაავლო ხელი, ცოტა ხანს ასე იდგა, ბოლოს კარი შეაღო და ადგილზე გაქვავდა. ქალი მაგიდას უჯდა, ღამის შუქი ეცემოდა. ქრისტმასი ნაცნობ სხეულს შესცქეროდა, ნაცნობ ტანსაცმელს — თითქოსდა დაუდევარი კაცისთვის შეეკრიღს, დაუდევარი კაცისავე ნაზმარს, ქალს ქალარა მომატებოდა, თმაც უკან გადაეეარცხნა და უხეშად, უშნოდ დაგრაგნილი ისე აჯდა კეფიზე, როგორც მახინჯა კორძი დაავადებული ხის ტოტს. ქვემოდან რომ ამოხედა, რკინის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა — ადრე არასოდეს უნახავს სათვალით, ქრისტმასი ისევ გახვევებული იდგა კარებში, სახელურს ჩაფრენილი, ეჩვენებოდა, ვითომ მართლაც ესმოდა საკუთარ არსებაში განმეიანებული სიტყვები: ის ბარათი უნდა წაგეკითხა, ის ბარათი უნდა წაგეკითხა ფიქრობდა, „რალაც უნდა ექნა, უთუოდ ჩავეიდენ, რალაცასო“.

მაშინაც ეს სიტყვები ედგა ყურში, როცა უკვე ფურცლებით მოფენილ მაგიდას მიუახლოვდა, მაგიდასთან ისევ ისე, გაუნძრევლად მჯდომ ქალს,



და როცა ქალის მშვიდი, ცივი, მონოტონური ხმით წარმოთქმულ სისაძაგ-  
ლეს უსმენდა, როცა თვითონაც, მაგიდაზე მიმობნეულ საიდუმლოებით მო-  
ცულ ქალღლებსა და დოკუმენტებს დაშტერებული, უნებლიეთ იმეორებდა  
ამ სისაძაგლეს, მისი მდორე და მოცლილი ფიქრი სულ სხვას დასტერიალებ-  
და: ნეტავი ეს რა ქალაღლია, ან ეს, მეორე, რას უნდა ნიშნავდესო? „სკო-  
ლაში“, გაიმეორეს მისმა ტუჩებმა

„პო“, თქვა ქალმა „მიგიღებენ. ნებისმიერში. ჩემს <sup>უკრუნველში</sup> ~~სკოლაში~~ <sup>სკოლაში</sup> მომე-  
ლიც მოგეწონება, იმას აირჩევ. არაფრის გადახდა არ მოგიწევს“.

„სკოლაში“. გაიმეორეს ტუჩებმა ისევ. „ზანგების სკოლაში. მე“.

„პო. მერე მემფისში წახვალ. პიბლისის ოფისში სამართალს შეისწავლი.  
ის შეგასწავლის. მაშინ მთელ საქმეებსაც შენ გადაიბარებ, ყველაფერს, რა-  
საც პიბლისი აკეთებს ჩემთვის“.

„სამართალი შევისწავლო ზანგი ადვოკატის ოფისში“. გაიმეორეს ტუ-  
ჩებმა.

„პო. საქმეებსაც და ფულსაც შენ გადმოგაბარებ. ყველაფერს. ფული  
როცა დაგჭირდება, შეგეძლება... მოკლედ, მაშინ თვითონვე გეცოდინება, რა  
უნდა ქნა; ვეჭილებმა იციან, როგორ კეთდება ასეთი საქმეები... სიბნელი-  
დან გამოსვლაში მიეხმარები და გინდაც რამე გაიგონ, ვერავინ დაგადანა-  
შაულებს, ვერაფერს დაგაბრალებენ... გინდაც აღარ დააბრუნო... მაგრამ თუ  
გენდომება, დაბრუნებითაც მშვენივრად დააბრუნებ, ვერც შეამჩნევს ვე-  
რაინ...“

„კარგი. მაგრამ ზანგების კოლეჯი, ზანგი ადვოკატი?!“ მშვიდი ნმა  
ჰქონდა, კამათს არ აპირებდა: მხოლოდ შეხსენება სურდა. ერთმანეთს არ უც-  
ქერდნენ: ოთახში რაც შევიდა, ქალს თავი ერთხელაც არ აუწევია.

„უთხარი ყველაფერი“, თქვა ქალმა.

„ზანგებს ვუთხრა, ზანგი ვარ-მეთქი?“ ქალმა პირველად შეხედა. სა-  
ხეზე სრული სიმშვიდე ეწერა. მოხუცი ქალი შემოსცქეროდა.

„პო. ამის თქმა მოგიწევს. ფული რომ არ მოგთხოვონ, ჩემს ხარჯზე რომ  
ისწავლო“.

მაშინ კი აევსო მოთმინების ფიალა და თითქოს ტუჩებს უბრძანა: „გე-  
ყოფათ. მორჩით სისულელეების ტლიკინს. მეც მათქმევინეთ სიტყვაო“. ქა-  
ლისკენ დაიხარა. ქალი არ შერხეულა. ლამის ერთმანეთისთვის მიებჯინათ  
სახეები: ერთს ცივი, მიტკალივით გაფითრებული, ფანატიკური, გიჟური; მეო-  
რეს კი პერგამენტისფერი, პირქუში, სიმწრით დაღრეჯილი, მშვიდად უთხრა:  
„შენ ბებერი ხარ. ახლალა შეგატყვე. ბებერი ქალი. ქალარა“. ქალი არც ახ-  
ლა შერხეულა, ოღონდ მაშინვე, დაუყოვნებლივ შემოჰკრა სილა. სილის  
ტკაცუნი ყრუდ გაისმა ოთახში და ამ ხმას, ექოსავით სწრაფად მოჰყვა სა-  
პასუხო დარტყმა. ქრისტმასმა მუშტი გაართყა და უეცრად კვლავ მოვარდ-  
ნილი ქარის ზუზუნში ძალით წამოაგდო სკამიდან, მაგრად ჩაბლუჯა და ასე  
ეჭირა — თვალეზადქცეული, გახევებული, საჩეგაქვავებული; თვითონ ისევ  
ქარი უზუზუნებდა ყურებში, მთელი ძალით დასტგერებოდა ცოდნის გაბმუ-  
ლი ქარი. „შენ არც ბავშვს ელოდები“, უთხრა ქალს. „არც ყოფილხარ ფეხ-  
მძიმედ. სიბერის მეტი არაფერი გჭირს. უბრალოდ, დაბერდი, შენი დრო  
მოჰამე და აღარაფრად ვარგინხარ. ეგ არის და ეგ მთელი შენი უბედურება“.  
ხელი გაუშვა და ისევ გაართყა. ქალი მოკუნტული გადავარდა საწოლზე, თან  
ქვემოდან ამოსცქეროდა, ქრისტმასმა ხელახლა გაართყა, თავზე დაადგა და



სწორედ იმ სიტყვებით დაუწყო გინება, რომელთა მოსმენაც ერთ დროს ასე ძლიერ უყვარდა ქალს, როგორც თვითონვე ამბობდა ხოლმე — თითქოს გემოთივე შეიგრძნობდა ჩურჩულით ნათქვამ ამ უწმაწურსა და თან საალერსო სიტყვებს. „მორჩა. შენ შენი დრო მოჭამე. აღარაფრად ვარჯიხსო მორჩა“.

ქალი გვერდულად იწვა საწოლზე, თავი მისკენ მოებრუნებინა და პირგასისხლიანებული ამოსცქეროდა. „იქნებ ჯობდა, სორივე მთავრად დაიწყებოდა თო“ — თქვა.


კარის გაღებისთანავე ხედავდა ხოლმე საბანზე დადებულ ბარათს. მივიდოდა, აიღებდა, გაშლიდა. მესერიის ღრუ ბოძი ახლა სხვისი მონაყოლივით ახსენდებოდა, სხვის ცხოვრებაში მომხდარი ამბავივით, იმ ცხოვრებაში, რომელსაც მის წარსულთან საერთო არაფერი ჰქონდა. იმიტომ, რომ იგივე ქალაღზე, იგივე მელნით დაწერილი ბარათები, არაფრით განსხვავდებოდნენ ძველებისგან. ძველ ბარათებშიც ორიოდ სიტყვა ეწერა ხოლმე და მრავალსიტყვაობით არც ახლები გამოირჩეოდნენ. ოღონდ ეგაა, ახლა აღარაფერი შერჩენოდათ გამომწვევი, უტყვი დაპირებისა. უკვე აღარ მოასწავებდნენ მადისაღმძვრელ, სიტყვით გამოუთქმელ სიამოვნებას. ეპიტაფიებზე უფრო მოკლე იყო ეს ბარათები და ბრძანებებზე უფრო ნათელი.

მაინც არ მივალ — პირველი ეს აზრი გაუელვებდა ხოლმე ყოველი ბარათის დანახვაზე. ეგონა, ვერც გაბედავდა მისვლას. არადა, სინამდვილეში, მისვლას კი არა, სწორედ მიუსვლელობას ვერ ბედავდა. ახლა უკვე ტანსაცმელსაც აღარ იცვლიდა. ისევ ოფლით დალაქული კომბინეზონი ეცვა ხოლმე, როცა მაისის გვიან საღამოს ბინდბუნდს შეერეოდა და მერე სამზარეულოში შევიდოდა. უკვე აღარც გაწყობილი ვაშამი ხვდებოდა. ზოგჯერ მაგიდას რომ ჩაუვლიდა და გახედავდა, ფიქრობდა. „ღმერთო ჩემო, როდის იყო მშვიდად რომ ვიჯექი და აქ ვჭამდიო“ — და იმ დროს ვერ იხსენებდა.

მერე სახლში შედიოდა და როგორც კი კიბეს აუყვებოდა, მაშინვე ქალის ხმასაც გაიგონებდა ხოლმე, რაც უფრო მაღლა ადიოდა, რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა საწოლი ოთახის კარს, ხმაც მით უფრო ძლიერდებოდა. კარი მუდამ დახურული, ჩაკეტილი ხვდებოდა; ოთახიდან მონოტონური, ერთფეროვანი ხმა გამოდიოდა. სიტყვებს ვერ არჩევდა; მარტო გაბმული დუდუნნი ესმოდა. არც ცდილობდა სიტყვების გარჩევას, ვერ ბედავდა, ფიქრსაც ვერ ბედავდა იმაზე, რას აკეთებდა ქალი. იდგა და ელოდა, როდის მიწყდებოდა ხმა, როდის გაუღებდნენ კარს, როდის შეუშვებდნენ ოთახში. მერე, საწოლთან რომ ჩაივლიდა, უნებურად საწოლის გვერდით იატაკსაც დახედავდა და ეჩვენებოდა, ვითომ მართლა არჩევდა იქ მუხლების ანაბეჭდს, მაშინვე აარიდებდა ხოლმე თვალს — თითქოს თვალებს სიკვდილი დაენახოთ.

როგორც წესი, ლამპა არ ენთო, არც ერთი არ ჯდებოდა. უწინდელვით ზეზეურად საუბრობდნენ, როგორც მაშინ. ორი წლის წინათ; ბინდბუნდში იდგნენ და ქალიც თავის ზღაპარს აგრძელებდა: „...არ გინდა სკოლა და ნუ გინდა... უსკოლოდ გავიდეთ იოლად... მაგრამ სული, მონანიება...“ ის კი, ყინულივით ცივი, გაქვავებული, იდგა და იცდიდა, როდის გაჩუმდებოდა ქალი: „...ჯოჯოხეთი... სამუდამოდ, სამარადისოდ...“

„არა“, პასუხობდა მუდამ ერთსა და იმავეს. ქალიც მშვიდად ისმენდა მის პასუხს, რადგან ორივემ მშვენიერად იცოდა, ვერასდიდებით რომ ვერ









„მხოლოდ ერთი რამ“. გაიმეორა ქრისტმასმაც.

მორჩა. დამთავრდა ყველაფერით — ფიქრობდა სწორი ჯაგნარის ჩრდილში მჯდომი და ესმოდა, როგორ მიჩუმდა, როგორ ჩაკვდა სადღაც შორეული საათის უკანასკნელი დარტყმაც. იმ ადგილას იჯდა, სადაც ერთხელ, ორი წლის წინათ, ერთ გიჟურ ღამეს იპოვა დამალული ქალი. თუმცა ესეც სხვა დროში სდებოდა. სხვა ცხოვრებაში. ახლა აქნის მხოლოდ სუფივედა, სიწყნარე. ნოყიერი მიწაც მძიმე-მძიმედ სუნთქავდა და სიგრილეს აფრქვევდა. სიბნელე ხმებით იყო სავსე. განვლილი, გარდასული ცხოვრების უამრავი ნაცნობი ხმით. თითქოს მოვლი წარსული, ერთფეროვანი და მოსაწყენი, ერთ სიბრტყეში გაწოლილიყო. ოღონდ, თან უნდა გაგრძელებულიყო კიდევ: ხვალინდელ ღამეში, ყველა ხვალეში — უნდა გაგრძელებულიყო და კვლავ ერთფეროვნების ნაწილად უნდა ქცეულიყო. თან ამშვიდებდა და თან ანცვიფრებდა ეს ფიქრი: მარადიულ გაგრძელებაზე, უსასრულობაზე. უთვალავ ნაცნობ ხმაზე, რადგან ყოველივე ოდესღაც არსებული, მოსახდენს ჰგავდა, რადგან ხვალ, „არის“ და „იყო“ ერთი და იგივე იქნებოდა. მერე ეამბაც დაპკრა.

წამოდგა. ჩრდილს გამოეყო, სახლს შემოუარა და სამზარეულოში შევიდა. სახლში ბნელოდა. დილას აქეთ ქოხში არ შეევიდოდა და არ იცოდა. დღესაც დაუტოვა ქალმა ბარათი თუ არა, არ იცოდა. ამაღამაც თუ ელოდებოდა. თუმცა, მაინც არ ფრთხილობდა. არც იმას ფიქრობდა. სძინავს თუ არაო, ძილის არსებობა თითქოს საერთოდ აღარც აჩსოვდა. აუჩქარებლად აათავა კიბე და ოთახში შევიდა. ლამის მაშინვე გამოელაპარაკა ქალი. ლამბა აანთო, — გამოსძახა საწოლიდან.

„შუქი არ დაგვჭირდება“. უთხრა ქრისტმასმა.

„მაინც აანთე“.

„არა“, თქვა ისევ. უკვე საწოლთან იდგა. ზემოდან დასცქეროდა. ხელში სამართებელი ეჭირა. ოღონდ, ჯერ დაკეცილი. ქალს ხმა აღარ ამოუღია და ქრისტმასს მოეჩვენა, თითქოს საკუთარი სხეული გამოეყო და გაშორდა. სხეული მაგიდასთან მივიდა, ხელმა სამართებელი მაგიდაზე დადო, ლამბა მოიძია. ასანთს გაპკრა. ქალი ლოგინში წამომჯდარიყო, ზურგით საწოლის თავს მიყრდნობილი. ლამის პერანგზე შალი მოესხა და მკერდზე გამოეკრა. გულხელი დაეკრიფა და ხელის მტევნები შალის ქვეშ შეემალა. ქრისტმასი მაგიდასთან იდგა. ერთმანეთს შესცქეროდნენ.

„დაიჩოქებ ჩემ გვერდით?“ ჰკითხა ქალმა. „იცოდე, მე არ გთხოვ“.

„არა“, თქვა ქრისტმასმა.

„მე არ გთხოვ. მე არა ვარ ის, ვინც გთხოვს. დაიჩოქე“.

„არა“.

ერთმანეთს შესცქეროდნენ. „ჯო“, წამოიწყო ქალმა ისევ. „უკანასკნელად გეუბნები. მე არ გთხოვ. ეს იცოდე. დაიჩოქე ჩემ გვერდით“.

„არა“, თქვა მან. მერე დაინახა, როგორ გაშალა ქალმა ხელები, როგორ გამოაძვრინა შალს ქვემოდან მარჯვენა და როგორ გამოიშვირა წინ. ხელში ძველებური, ორლულიანი, ფისტონიანი დამბაჩა ეჭირა. ლამის პატარა თოფისოდენა და თოფზე უფრო მძიმე. არადა, არც დამბაჩისა და არც წინგაწვდილი მკლავის ჩრდილი ოდნავადაც არ თრთოდა კედელზე. საზარლად გაქვავებულიყო და საზარლად შემართული ჩაბმახიც ბოროტად გა-



ჩინდელი გველის მოთვალული თავივით დასცქეროდა ზემოდან; არც ჩახმახის ჩრდილი იჩნებოდა. არც ქაღის დაუბოდა თვალები აქვიათ. არც თვალები იძვროდნენ დამბახის ლულის შავი, ძრგვალი ტუხრით. თუცა ამ თვალებში არც სიფიცხისა და მძვინგარების კვალი ჩანდა, სწორედ იყვნენ და უჩრავნი, როგორც თავად სიბრაღული, როგორც თავად სწორედ სწორედ, როგორც თავად რწმენა, მაგრამ ქრისტემასი თვალებს არ უცქეროდა. დამბახის ჩრდილს მიშტერებოდა კედელზე; მაშინაც მიშტერებოდა, როცა შემართული ჩახმახის ჩრდილი შეთრთოლდა.

ქრისტემასი შუა გზაზე იდგა, მოახლოებული მანქანის სინათლეში თავფეხიანად გახვეულს, ხელი მალლა აეწია, თუმცა იმედი არ ჰქონდა. მანქანას თუ გაუჩერებდნენ. არადა, მოულოდნელად, მანქანა მართლა გაჩერდა — ერთი დაიწკმუტუნა, წაიბორძიკა და რალაცნაირად სასაცილოდ გაირინდა. პატარა მანქანა იყო, შელახული, ძველი. ახლოს რომ მივიდა, მოეჩვენა, თიოქოს ფარების არეკლილ შუქზე ორი ახალგაზრდა სახე, ფერგადასული და შემკრთალი, საპაერო ბურთებივით ტორტმანებდა. — ქრისტემასისკენ უფრო ახლოს გოგო იჭდა — შეძრწუნებისგან სახეგამოლენჩებული, გასაქცევად გამზადებული, მაგრამ, ქრისტემასს მაშინ არაფერი შეუმჩნევია. „რას იტყვი, გამიყოლებთ, საითაც მიდიხართ?“ — ჰკითხა. მანქანაში მსდომთ არაფერი უპასუხიათ. გაშტერებულნი და შეძრწუნებულნი, თან ცნობის-მოყვარედაც შესცქეროდნენ, ოღონდ ქრისტემასი ჯერ მაინც ვერაფერს ამჩნევდა. კარი გამოაღო და უკანა სკამზე დაჯდა.

დაჯდა და გოგომაც მაშინვე მოგუდული ზღუქუნი ამოუშვა, თუმცა ეტყობოდა, გაცილებით უფრო ხმამალლა აღრიალდებოდა, როგორც კი შიშს ცოტაოდენი გაბედულება შეემატებოდა. მანქანა უკვე დაძრულიყო; მოკლე-მოკლე ნახტომებით მიიწევდა წინ და ბიჭიც, ორივე ხელით საჭეს ჩაფრენილი, კისერგახევებული და გზას მიშტერებული, გოგოს გაჩუმებას ცდილობდა: „სუ! გაჩუმდი! თუ გაჩუმდები, შეიძლება გადავრჩეთ! ხმა გაკმინდეთ“. ქრისტემასს არც ბიჭის სივილი ესმოდა. უკანა სკამზე იჭდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა სასოწარკვეთა და შიში მიერეკებოდა მანქანას. მხოლოდ წამით გაუელვა, სოფლის ვიწრო გზის კვალობაზე, ცოტა არ იყოს, თავზეხელაღებით ხომ არ მიქრის ეს პატარა მანქანაო.

„საით მიდის ეს გზა?“ იკითხა ისევ.

მძლოლმა უპასუხა, იგივე ქალაქი დაუსახელა, რაც ზანგის ბიჭმა სამი წლის წინათ, სწორედ იმ საღამოს, როცა პირველად დაინახა შორიდან ჯეფერსონი. მძლოლს გაბზარული, გაპარული ხმა ჰქონდა. „იქით მიდიხართ, უფროსო?“

„ჰო“, თქვა ქრისტემასმა. „იქით იყოს, თქვენი თანამგზავრი გყოფილვარ“.

„ნამდვილად“. შეეხშიანა ბიჭი, ისევ ხმაგაბზარული. „საითაც გვიბრძანებთ“ გოგო ისევ აკრუსუნდა, მოგუდულად, გაბმულად, პატარა ცხოველივით; ბიჭმაც კვლავ გადაუსისინა, ოღონდ არც ახლა მიუტრიალებია მისკენ თავი. კისერგახევებული კვლავ გზას გასცქეროდა, რომელზედაც ნახტომ-ნახტომ, ბიძგებით მიქროდა მანქანა: „სსსსუუუუ! ჩუმათ! ჩუ!“ ქრისტემასი კი ვერაფერს ამჩნევდა. ის მხოლოდ ორ გახევებულ, გზას მიშტერებულ თავს ხედავდა კაშკაშა სინათლის ფონზე, ორ თავს და სინათლეში უც-



რად შემოტრიალი გზის უსასრულო ღუნების წაქეზებას თუმცა, რასაც ხედავდა, იმასაც ენობისმოყვარეობის ანგარიშში მისცემდა. იქვე არ მარტოვდებოდა, არც მამის უსტურობის ზოგადი უფროსი ხელის მოკლე გამოცხადება და შინაგანად კარგა ხანია, რაღაცას რომ უფროსი უფროსი თმასმა არ იტყობოდა იყვნენ. რა გზა გამოველოთ ბიჭის სიყვარულს, სველებ-სველებით ღამარაკობდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა. გაცხადებდა სიტყვების მონახვას ცდილობდა და ისე მკათიოდ და დინჯად გამოსთქვამდა ამ სიტყვებს, თითქოს უცხოელს მიმართავდა: „მისმინეთ, ახლა გადავუხვევ უბრალოდ, გზას შევიძოკლებთ, თანაც, უკეთეს გზაზეც გადავალთ. მეტი არაფერი. აი, ახლავე იქნება გადასახვევი. უკეთესი გზისკენ, უფრო მალე რომ მივიდეთ, ხომ გესმით?“



ქრისტეშვილი  
გამოსცლიათ

„ქი ბატონო“, თქვა ქრისტემასმა. მანქანა მიხტოდა, გზას აგრძელებდა. მოსახვევებში კუდს იქნევდა, ბორცვებზე აღიოდა და მერე ისე მიექანებოდა კვლავ თავდაღმართში. თითქოს ბორბლებქვეშ მიწა გამოსცლიათ. ხანდახან ჩაბნელებულ სახლებს ჩაუქროლებდნენ ხოლმე. ბიჭი ისევ ალაპარაკდა:

„აი, ამ ადგილზე გეუბნებოდით, სწორედ აქაა. აქ ვაპირებ გადახვევას. ოღონდ გეზს ქი არ ვიცვლით. უბრალოდ, უკეთეს გზაზე უნდა გადავიდეთ. ხომ გესმით?“

„კარგი“, თქვა ქრისტემასმა. მერე ისე, სხვათაშორის, დაუმატა: „ოქვენ სადღაც ახლომიხლო უნდა ცხოვრობდეთ, არა?“

ახლა გოგომაც ამოიღო ხმა. სკამზე გველნაკბენივით შემოტრიალდა და მოლოდინისგან, შიშისგან, ვირთხის ბრმა სასოწარკვეთისაგან ფერმიხდილი და დაძაბული პატარა სახე ქრისტემასს მიაპყრო: „ქი, აქა ცცხოვრობთ!“ შეჰყვირა გოგომ. „ორივე! აქვე, ყურისძირში! ზოდა, მამაჩემი და ჩემი ძმები რომ...“ უცებ გაჩუმდა, ხმა ჩაუწყდა: ქრისტემასმა დაინახა, როგორი გააფთრებით ააფარა ბიჭმა პირზე ხელი. ის ქი, გოგო — გაგუდული და სულშეხუთული, ორივე ხელით მაჯაში ჩააფრიალდა. ქრისტემასი წინ გადაიხარა.

„აქ ჩამოვალ“, უთხრა ბიჭს. „აქ გამიჩერეთ“.

„ეს გინდოდა“, უკვე ბიჭსაც აღარაფერი უკლდა ტირილს, სასოწარკვეთილსა და თან გაყოფებულს, კიდევ უფრო გაუწვრილდა ხმა. „შენ რომ წყნარად მჯდარიყავი...“

„გააჩერე მანქანა“, თქვა ქრისტემასმა. „არც ერთს არაფერს გერჩით. უბრალოდ მანქანიდან ჩასვლა მინდა“. მანქანა ახლაც მოულოდნელად გაჩერდა, ახლაც ბორძიკ-ბორძიკით, ოღონდ ძრავა მაინც მუშაობდა და ხელახლაც მანამდე მოწყდა ადგილს. ვიდრე ქრისტემასი საფეხურიდან ფეხს ჩადგამდა; რამდენიმე ნაბიჯის გარბენაც მოუწია წონასწორობის შესანარჩუნებლად. როცა საბოლოოდ გაჩერდა, რაღაც მაგარი და მძიმე მოხვდა ფერდში. მანქანა ქი მიქროდა, თვლების დახამხამებაში უჩინარდებოდა. თუმცა გოგოს სისხლის გამყინავი კვიტილი ჯერაც ისმოდა. მერე ეს ხმაც გაქრა; კვლავ ჩამობნეულდა იქაურობა, უჩინარი მტვერიც ისევ დაეფინა მიწას და ზაფხულის ვარსკვლავებქვეშაც სიჩუმემ დაისადგურა. ფერდი სტკიოდა; მარჯვენა ხელში რაღაც ეჭირა. ხელი ასწია და ძველებური, მძიმე დამბაჩა დაინახა. დამბაჩის არსებობაც აღარ ახსოვდა; არ ახსოვდა როდის აედო, ან რატომ. არადა, ახლა ნამდვილად ხელში ეჭირა. „მანქანასაც ეს ხელი ავუწიეო“, გაიფიქრა. „რალა მიკვირს, თუ ის გოგო... ორივე...“ ხელი უკან წაიღო. დამ-



ბაჩის გადავდება დააპირა. მერე ცოტა ხანს შეიცადა, ასანთს გაჰკრა და ასანთის სუსტ, მოლიცლიცე ალზე დამბაჩა დაათვალიერა. ასანთი უცებ ჩაიწვა და ჩაქრა, მაგრამ თითქოს ბნელშიც ხედავდა ძველებურ იარაღს იმის ორ გაუსროლელ ვაზნას: ერთს ჩახმახი დასცემოდა, მაგრამ არ აფეთქებულყო, მეორეს კი ჩახმახის არავითარი ნაკვალევი არ აჩნდა, თუმცა წყნარად კანონით, ისიც უნდა გავარდნილიყო. „თავისთვის და ჩემთვის“ მანქანა მალა. ზელი მოიქნია და დამბაჩა მოისროლა. გაიგონა, როგორ გაიყვლილა ბუჩქებში. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. „თავისთვის და ჩემთვის“.

13

ჯერ ნუთიოდე წუთსაც არ გაევილო. რაც გლებმა ხანძარს მიაკვლია და მის ბარდენის კარმიდამოზე უკვე ქვეყნის ხალხმა მოიყარა თავი. შაბათ დღეს ქალაქში მიმავალმა ბევრმა სხვადასხვა გააჩერა ფორანი, ბევრნიც, შორიახლოს მცხოვრებნი, ფეხით მოვიდნენ. ამ ზანგური ქობმახებისა და გამოფიტული, უნაყოფო მინდვრების მხარეში, მამუბართა რაზმი სხვა დროს სანთლითაც ვერ პოულობდა ხოლმე თუნდაც ათიოდე ადამიანს — ქალსა თუ ბავშვს — ახლა კი, ნახევარ საათში, დიდძალი პატარიანად ლამის ყველა გარეთ გამოეფინა, თითქოს სოკოებივით ამოიზარდნენ მიწიდან და თითო-თითოდ, წყვილ-წყვილად, ჯგუფ-ჯგუფად მიაშურეს ცეცხლმოდებულ სახლს. მერე ქალაქელებიც მოცვივდნენ აქაქანებული და აბლავლებული მანქანებით. ოლქის შერიფიც იმათ მოჰყვა — მსუქანი, აულელვებელი, ერთი შეხედვით მიაპიტი და გულუბრყვილო კაცა, არადა, სინამდვილეში, ეშმაკი და გამჭრიახი ჭკუის პატრონი — და მაშინვე მოსვლისთანავე, ძალისძალიად მიმოფანტა გახევებული და გარინდული, ზეწარზე უძრავად გართხმულ სხეულს იმ ბავშვური განცვიფრებით მიშტერებული ბრბო, რა განცვიფრებითაც, ჩვეულებრივ, მოზრდილი ხალხი საკუთარ გარდაუვალ მომავალს უცქერის ხოლმე. ბრბოში იანკებიც ერივნენ, საერთოდ შემთხვევით მოხვედრილნი ამ მხარეში, ლარიბ-ლატაკი თეთრკანიანებიცა და ის სამხრეთელებიც, ვისაც ცხოვრების გარკვეული ნაწილი ჩრდილოეთში გაეტარებინათ, და ყველანი ჯიუტად, ყველანი ერთხმად ამტკიცებდნენ — ამ მკვლელობაში ზანგის ხელი ურევიაო. ოღონდ, ვილაც ერთ, კონკრეტულ შავკანიანს კი არ ადანაშაულებდნენ, ზოგადად ზანგსა სდებდნენ ბრალს. თანაც, ისიც იცოდნენ, ისიც სჯეროდათ, იმის იმედიც ჰქონდათ, გაუპატიურებულებიც რომ იყო ქალი; სულ ცოტა, ერთხელ მაინც ყელის გამოჭრამდე და ერთხელაც ყელის გამოჭრის შემდეგ. გვამთან შერიფიც მივიდა, ერთი კი დახედა, მაგრამ მაშინვე ბრძანა — წაიღეთო — მაშინვე გაარიდა ცნობისმოყვარე თვალებს ეს საცოდავი სანახაობა.

ხალხსაც აღარაფერი დარჩა საცქერი ცეცხლისა და იმ ადგილის გარდა, სადაც ცოტა ხნის წინ გვამი ვსვენა. თუმცა, მალე ვერც ველარავინ იხსენებდა ზუსტად, სად, რა ადგილას ეფინა ზეწარი და, ამიტომაც, ყველანი ცეცხლს მიუბრუნდნენ. იდგნენ გახევებულნი, პირდაპირნილნი და ძველთაძველი, მყრალი გამოქვაბულიდან გამოყოლილი პირველყოფილი გოცებით მიშტერებოდნენ, თითქოს, სიკვდილისა არ იყოს, არც ცეცხლი ენახათ აქამდე არასოდეს. როდის-როდის, სახანძრო მანქანაც მოგრილდა, მხნედ, ომახიანად, ზარის რეკვითა და სტვენა-სტვენით, ახალთახალი მანქანა იყო, წითლად გადაბრიალებული, მორთულ-მოვარაყებული. ზელის სირენიანი;



იმისი ოქროსფერი, ხმაწკრილა ზარიც მედიდურად და ამაყად რედა. მან-  
 ქანაზე თავშიშველი კაცებისა და ქალაქელი ბიჭბუჭობის ჯგუფის მონაწილე-  
 ლებულოცო. ძლივძლივობით იმაგრებდნენ ზელ თავს, ეტყობა. რაღაც ქა-  
 დოსნობის წყალობით, ბუზებივით იმათაც მოეხერხებინათ მხარეთუღონის კა-  
 ნონის დაძლევა. სახანძრო მანქანას მექანიკური კიბეებიც მსხვერპლად მი-  
 ონისტის დასაკეცი ცილინდრივით, ხელის ერთი შეხებით თვალუწვდენელ  
 სიმაღლეზე რომ აიტყორცნებოდნენ, და ჯერაც უხმარი, პოპულარულ ეურ-  
 ნალებში დაბეჭდილი სატელეფონო კომპანიების რეკლამებივით კონტად დახ-  
 ვეულ-დაგრაგნილი შლანგებიც, მაგრამ, ახლა ველარც კიბეები უშველიდ-  
 ნენ საქმეს და ველარც შლანგებით ჩააქრობდნენ ცეცხლს, თუნდაც იმიტომ,  
 წვეთი წყალიც რომ აღარ მოიძებნებოდა ამ შლანგებისთვის ანლომაბლო.  
 ამიტომაც, დახლებსა თუ საწერ მაგიდებს ნაუცბათევად მომწყდარი კაცები  
 მაშინვე მანქანიდან ჩამოხტნენ, ყველანი, იმ ერთის ჩათვლით, ვისაც სი-  
 რენის სახელურის ტრიალი ევალეზოდა, და ისინიც ხალხში შეერივნენ, რა-  
 საკვირველია, იმათაც უჩვენეს რამდენიმე ადგილი, სადაც ვითომ ცოტა  
 ხნის წინ ზეწარი ეფინა და ზოგიერთმა მათგანმა, ყოველი შემთხვევისათ-  
 ვის წინდაწინვე დამბაჩით შეიარაღებულმა, დანარჩენების წაქეზება დაიწ-  
 ყო — რაღას ვუდგავართ, რატომ არ დავსჯით დამნაშავესო.

არადა, მსხვერპლი არსად ჩანდა, საკუთარ საზრუნავში ჩაფლულ ქალს  
 ისე მშვიდად გაეტარებინა წუთისოფელი, გაოცებისა და შეურაცხყოფის  
 გარდა სხვა ვერაფერი ეანდერძა ქალაქისათვის, იმ ქალაქისათვის, სადაც და-  
 ბადებულოცო, სადაც ეცხოვრა და სადაც მაინც უცხოდ, უცხოელად მომ-  
 კვდარიყო; ამიტომაც, ველარც ქალაქი აპატიებდა ამ გაოცებასა და შეურაც-  
 ხყოფას, და, მიუხედავად უკანასკნელი, სიკვდილის შემდეგ გამართული თავ-  
 აწყვეტილი ნადიმისა, ლამის რომაული დღესასწაულისა, ველარც მშვიდად,  
 წყნარად სიკვდილს დააცდიდა, ეს არამც და არამც არ მოხდებოდა, სიმშ-  
 ვიდე იშვიათი ხილია. პოდა, ისინიც დაძრწოდნენ, ბჭობდნენ, ვერ ისვენებ-  
 დნენ, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდათ, ცეცხლის ალიც, სისხლიცა და ლა-  
 მის უკვე სამი წლის მკვდარი და მხოლოდ ახლა, ეს-ესაა კვლავ სიცოცხლეს  
 დაბრუნებული სხეულიც. შურისძიებას ღალადებდნენ; არაფრით არ სჯე-  
 როდათ, ცეცხლის ალტაცებული გააფთრებაცა და სხეულის უმოძრაობაც,  
 ერთიც და მეორეც, ადამიანურ ტკივილთა და ვნებათაგან თავისუფალი, სა-  
 ბოლოო მიზნის მიღწევას თუ ადასტურებდა, ვერც ვერაფრით დაიჯერებდნენ,  
 რადგან საპირისპიროს დაჯერება გაცილებით უფრო მეტად ხიბლავდათ, სა-  
 პირისპიროს დაჯერება, მართლაც სჯობდა შეჩვეული და მობეზრებული ნივ-  
 თებით გამოტენილ თაროებსა და დახლებს. მით უმეტეს, როცა მათი შეძენა  
 მფლობელის ოცნებით, ალტაცებით, ანდა, თუნდაც პატივმოყვარეობის დაკ-  
 მაყოფილებით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ, ათასი ტყუილისა და ეშმა-  
 კობის ფასად, საქონლის როგორმე გასაღებისა და სარგებლის ნახვის იმე-  
 დით; მით უმეტეს, როცა იმედიც არ უმართლდებოდათ ხშირად და უკვე  
 ბრაზით, ბრაზით კი არა, სიძულვილით და, იქნებ, სასოწარკვეთითაც შესც-  
 ქეროდნენ გასაყიდსა და ჯერ გაუყიდავ საქონელსაც და საქონლის ორჭოფ  
 მუშტარსაც, სჯობდა აშმორებულ კაბინეტებსაც, სადაც გარდასულ სურვილ-  
 თა და აჩრდილთა შორის ადვოკატები განაბულან, ანდა, სადაც ბასრი და-  
 ნებითა და მწარე წამლებით შეიარაღებული ექიმები, დარწმუნებულნი,  
 ბრმად, უსიტყვოდ და უსაბუთოდ დაგვიჯერებენო. პაციენტებს უმტკიცებდ-



ნენ. ჩვენი დღე და მოსწრება მხოლოდ იმას ვცდილობთ. იქნებ როგორმე უმუშევრები დავრჩეთ. ქალებიც ბევრი მოვიდნენ. ჭყეტელა, ნაუცბათე-ვად გადაცმულ კაბიანი ფუქსავატი ქალები, იდუმალი ქინით თვალებანთე-ბულნი, გაცრუებული ვნებით მკერდგატანჯულნი (სიკვდილი მათ მუდამ სიმშვიდეზე მეტად იზიდავდა). მოვიდნენ. რათა გაუთავებელ ჩურჩულში ვინ იყო? ნეტავ ვინ მოკლა? თავიანთი უთვალავი, პატარ-მაგარი ქუსლებით ამგვარი ფრაზებიც ჩაებეჭდათ როგორ, ჯერაც არ დაუჭერიათ? მართლა არ დაუჭერიათ?

შერიფიც გაღიზიანებული და გაოცებული შესცქეროდა ცეცხლის ენებს. რადგან დანაშაულის ადგილას დასათვალისწინებელი სხვა არაფერი გადარჩე-ნილიყო. ჯერ ვერ მიმხვდარიყო, ადამიანის ჩარევას რომ გაეწილებინა ასე-ცეცხლს აბრალებდა ყველაფერს. თითქოს ცეცხლი თავისთავად, თვითნებუ-რად გაჩენილიყო და საწადელიც აესრულებინა. თითქოს ის, რისი წყალობი-თაც და რისი მეშვეობითაც მის წინაპრებს იმდენხანს გაეძლოთ ქვეყნად. ბოლოს და ბოლოს თვითონაც რომ დაბადებულიყო — ახლა დანაშაულის თანამონაწილედ ქცეულიყო. ასე მიდი-მოდოდა ჩაფიქრებული და გაღიზი-ანებული თავნება მონუმენტის ირგვლივ. რომელსაც, ერთდროულად, იმე-დისა და კატასტროფის ელფერი მისცემოდა, ვიდრე თანაშემწე არ მიუახ-ლოვდა და არ შეატყობინა — მე მგონი, სახლის უკან, ქობში, ვილაცას უც-ხოვრიაო. ხანძრის აღმომჩენმა გლეხმაც (ის ჯერაც არ წასულიყო ქალაქში: მის ჯორებს გოჭითაც არ მოუცვლიათ ადგილიდან ფეხი მას შემდეგ, რაც ორი საათის წინ თვითონ ფორნიდან გადმოვიდა, ახლაც ჯერ ისევ ხალხში ტრიალებდა თმაგაჩეჩილი და ალგზნებული, დაქანცულ სახეზე ბრიყვული, შეშლილი ღიმილი შეჰყინვოდა და ხმაც ხავილივით ამოსდიოდა ყელიდან) მაშინ გაიხსენა, კარი რომ შევამტვრიე, სახლში ვილაც დამხვდაო.

„თეთრკანიანი იყო?“ ჰკითხა შერიფმა.

„დიახ, ჩემო ბატონო. ჰოლში დაბორილობდა, თითქოს ეს-ესაა კიბე-ზე ჩამოვარდაო. ზევით არ მიშვებდა. ამწუთას ვნახე, არავინ არისო, მე რომ ისევ ჰოლში ჩამოვბრუნდი, იქ აღარ დამხვედრია“.

შერიფმა ირგვლივ მიმოიხედა. „მაინც, ვინ ცხოვრობდა იმ ქობში?“

„არც მეგონა, ვინმე თუ ცხოვრობდა“, მიუგო თანაშემწემ. „ზანგები თუ იყვნენ, ალბათ ზანგებს აცხოვრებდა თავისთან. მე ის მიკვირს, აქამდე რომ არ მოუღეს ბოლო“.

„ვინმე ზანგი მომიყვანეთ“, ბრძანა შერიფმა. თანაშემწემ და ორმა-სამ-მა მოხალისემ ბრძანება წამსვე შეუსრულეს. „ვინ ცხოვრობდა იმ ქობში?“ ჰკითხა შერიფმა ზანგს.

„აბა რა ვიცი, მისტერ უატ“, თქვა ზანგმა. „რა ჩემი საქმეა?! განა ცხოვრობდა ვინმე?“

„ერთი აქეთ წამოიყვანეთ“, თქვა შერიფმა.

ხალხი ახლა შერიფის, შერიფის თანაშემწისა და ზანგის ირგვლივ იყ-რიდა თავს, ყველას ერთნაირი, ერთიმეორის მსგავსი სახეები დასდებოდა და ერთნაირად ხარბი თვალები ცეცხლის მშიერი ენების ანარეკლით და-პინდვოდა თითქოს მათი ხუთივე გრძნობა აპოთეოზში შერწყმულიყო. გა-ერთიანებულიყო და მხედველობის ერთ ორგანოდ ქცეულიყო. ხალხში დარ-ჩეული ხმები კი ეგ არის? მაგან მოკლა? უკვე დაიჭირა შერიფმა ქარსა თუ ქაერის ტალღას მოეტანა სადღაცოდან. შერიფმა მიმოიხედა. „წადით“, უთხ-



რა ხალხს, „ყველანი წადით, ცეცხლს უსკირეთ, დახმარება თუ დამკარდა, დაგიძახებთ, ახლა კი დაიშალეთ“. შერე შეტრიალდა და თავის თანამგზავრებს ქოხისკენ გაუძღვა. მაგრამ გაძევებულებს მაინც არ მოუშვა თვალი. ისევ ისე იდგნენ, ვიდრე სამი თეთრკანიანი და ერთი ზანგა ქოხისკენ იმართდნენ. ჩინარდა და ქოხის კარებიც არ მიიხურა. ფეხმოუცვლელად იდგნენ. ზურგს უკან კი ჩანავლებული ცეცხლი ბუბუნებდა. ცეცხლის ბუბუნების ხმა იმდენად მთელი პაერი და, თუმცა სიტყვებზე ხმამაღლა არ ისმოდა — ღმერთმანი, თუ მართლა მაგან მოკლა, რაღას ველოდებით, რაღას ვუდგავართ? თეთრი ქალი მოკლა მაგ... — ყოველ შემთხვევაში, ჩანდა მაინც, საიდან მოდიოდა, არადა, არც ერთ მათგანს ფეხიც კი არასოდეს შეეღგა ამ სახლში. ის კი არა, სანამ ქალი ცოცხალი იყო, თავიანთ ცოლებსაც არ აჭაჭანებდნენ აქეთ, აღრე, როცა ჯერ ისევ ბავშვები ეთქმოდათ (თუმცა ბევრის მამაც სწორედ ასევე იქცეოდა). ქუჩაში გამოსულ ქალს ფეხდაფეხ აედევნებოდნენ ხოლმე და — ზანგების ბოზო! ზანგების ბოზო! — მისძახოდნენ.

ქოხში შერიფი მძიმედ დაეშვა საწოლზე. ერთი კი ამოიხვნეშა ამ მართლა კასრივით გაბერილმა, კასრივით უმოძრაო კაცმა და ახლა მაინც გაზაგებიანეთ, ვინ ცხოვრობდა ამ ქოხშით — ბრძანა.

„აკი ვითხარით, არათვრი ვიცი-მეთქი“. ისევ თავისი წამოიწყო ზანგმა. ოდნავ ბრაზიანი ხმა ჰქონდა. ბრაზიანი და თან დაძაბული. თუმცა ცდილობდა დაძაბულობა არ შესტკობოდა. შერიფს მისჩერებოდა, ორი სხვა თეთრკანიანი ზურგსუკან ედგა. იმათ ვერ ხედავდა, არც უცდია დაენახა, ერთხელაც არ გააქცევია იმათკენ თვალი. შერიფის სახეს შესცქეროდა, თითქოს სარკეში იყურებოდა. შეიძლება, მართლა სარკესავით აერეკლა შერიფს სახეზე ყველაფერი. თუმცა, შეიძლება არც იყო ასე. რადგან თუკი მართლა შეეცვალა სახე, მხოლოდ ოდნავ და ისიც სულ რაღაც ერთი წამით. ზანგს კი მაინც არ მიუხედავს უკან, ბეჭებზე ქამარი რომ გადაუჭირეს, იმანაც წამით შეიჭმუნა წარბი, სიმწრისგან დაიღმინჭა და, თითქოს იღიმებოდა, კბილები გამოაჩინა. შერე ისევ დაუმშვიდდა სახე. ისევ აიფარა იდუმალების ნიღაბი.

„მე მგონი, არცა ცდილობ, რაიმე გაიხსენო“, უთხრა შერიფმა. „რა გავიხსენო, რაც არ ვიცი“. თქვა ზანგმა. „თანაც, მე აქედან შორს ვცხოვრობ, თქვენც ხომ იცით ჩემი ადგილ-სამყოფელი, თუთრო კაცებო?“ „მისტერ ბოფორდი ამბობს, აქვე, გზისპირას ცხოვრობსო“, თქვა შერიფმა.

„გზისპირას ბევრი ვინმე ცხოვრობს, მისტერ ბოფორდს, წესით, ჩემი სახლი სხვისაში არ უნდა შეეშალოს“.

„ტყუის“, თქვა შერიფის თანაშემწემ. სწორედ ის იყო ბოფორდი. ქამარიც იმას ეჭირა, ხელში ათამაშებდა. ქამრის ბალთიანი ბოლო ძირს ეთრეოდნოდა. თან შერიფს შესციცინებდა თვალებში. პატრონის ბრძანებისთანავე წყალში გადასაბრტომად გამზადებულ სპანიელს ჰგავდა.

„ტყუის თუ არა, არ ვიცი“, თქვა შერიფმა. ჩაფიქრებული უყურებდა ზანგს. გაუნძრევლად იჯდა, ვეებერთელა, მოშვებული, იმის სიმძიმეს და მის ჩაეწყვიტა საწოლის ზამბარები. „ოღონდ, მე მგონი, ვერა ხედავია, სამის ჩაეწყვიტა საწოლის ზამბარები. „ოღონდ, მე მგონი, ვერა ხედავია, სასუმაროდ რომ არა მცალია, არც მე და არც გარეთ დარჩენილ ბიჭებს. აი იმათ, ვისაც თავიანთი ციხეც არა იქვთ, იქ რომ ჩაამწყვდიონ, თუკი, ღმერთმა დაიფაროს, ცუდად შეუტრიალდა საქმე-თუმცა, რომც ჰქონდეთ, აღბათ არც მაშინ შეიწუხებდნენ, მაინცდამაინც, თავს“. შეიძლება შერიფს თვა-



ლებში ისევ რაღაც ნიშანმა გაიელვა: შეიძლება არა. შეიძლება. ნიშანი ზანგმაც დაინახა; შეიძლება ვერა. ასეა თუ ისე. ქამარმა ერთხელ კიდევ აუწვა ზურგი და ქამრის ბალთაც მწარედ მოხვდა ბეჭებში. „კა. ვაინაინე?“ რკითბა შერიფმა.



„ორნი არიან. თეთრები“. თქვა ზანგმა. ცივი ხმა ჰქონდა, არა ბრაზიანი, საერთოდ არაფრის გამომხატველი. „არც სახეც და არც ასავალ-დასავალი. რა ჩემი საქმეა. თვალითაც არ მინახავს არცერთი. ყური კი მოვკარი, ორი თეთრკანიანი ცხოვრობს ბარდენების კარმიდამოზეო. არც მიკითხავს ვინ იყვნენ. სხვა არაფერი ვიცო; თუ გინდათ, ცემით მომკალით, მეტს მაინც ვედარაფერს გეტყვით“.

შერიფმა ისევ ამოიოხრა. „საკმარისია. მე მგონი, მართალს უნდა ამბობდეს“.

„ქრისტმასი იქნებოდა, ფაბრიკაში რომ მუშაობდა, და აი, ის, მეორე, ბოაუნე“. პირველად ამოიღო ხმა მესამე თეთრკანიანმა. „ჯეფერსონში ნებისმიერი შექვეითიანებული კაცი გვეტყოდა ამდენს“.

„ალბათ, ვგეტ სწორია“. თქვა შერიფმა.

მერე ქალაქში დაბრუნდა. ხალხი რომ მიხვდა, შერიფი მიდისო, ისეთი ამბავი ატყდა, თითქოს საყოველთაო გამოსვლა დაწყებულიყოს. უკვე აღარაფრის ცქერას აღარ ჰქონდა აზრი. გვამიც წაეღოთ და ახლა შერიფიც მიდიოდა. თითქოს შერიფი საკუთარ არსებაში, ამ მობოშებული და ანგნეშებული ხორცის მიღმა, საიდუმლოს დაატარებდა და საიდუმლოს შეცნობის წყურვილით ადგილიდან დაძრულსა და ერთბაშად გამოღვიძებულ ხალხსაც თაღაცას ჰპირდებოდა, მაძრისად მუცლის ამოყორვასა და ერთფეროვნებაზე უკეთესს. მოკლედ, ცეცხლის გარდა აღარაფერი დარჩენილიყო სანახავი; ცეცხლს კი უკვე სამი საათია შესცქეროდნენ. უკვე მისჩვეოდნენ, გაშინაურებოდნენ კიდევ; ცეცხლი არა მარტო მათი განცდების, არამედ მათი ცხოვრების განუყრელ ნაწილად ქცეულიყო და ეჭვი არ ეპარებოდათ, როდესაც მოისურვებდნენ. იმწამსვე ხელახლა დაბრუნდებოდნენ კვამლის უძრავ. მონუმენტივით მყარ, მაგრამ ნებისმიერ მონუმენტზე უფრო მაღალ სვეტთან. ამიტომაც დაპყრავდა ქალაქში ჩასულ ქარავანს სამგლოვიარო პროცესიის მედიდური თავდაპერილობის ელფერი — ყველაზე წინ შერიფის მანქანა მიდიოდა, დანარჩენები, მტვრის ბუქში გახვეულნი, პიპინ-პიპინით მიჰყვებოდნენ უკან. გზაჯვარედინზე, მოედნის შორიახლოს, ქარავანი ცოტა ხნით სოფლურმა ფორანმა შეაყოვნა, რომელიც მგზავრის გადმოსასმელად შეჩერებულაყო. შერიფმაც იქით გაიხედა და დაინახა როგორ ფრთხილად, მძიმე-მძიმედ გადმოდიოდა ფორნიდან ვიღაც უცხო, ახალგაზრდა ქალი. სწორედ იმგვარი ფრთხილი უგერგილობით, ორსულ ქალებს ფეხმძიმობის ბოლო ეამს რომ აჩასიათებთ ხოლმე. მერე ფორანი გვერდზე მიდგა; ქარავანმაც გზა გააგრძელა და მოედანი გადაჭრა, უკვე ბანკის მოლარესაც გამოეღო სეიფიდან მოკლული ქალის მიბარებული კონვერტი; კონვერტზე ქალის ჩელითვე ეწერა გაიხსნას ჩემი გარდაცვალების შემდეგ. ჯონა ბარდენი მოლარე კონვერტიანად შერიფის ოთახში იცდიდა. კონვერტში ერთადერთი ფარატიინა ფურცელი იდო, ისიც ქალის დაწერილი შეატყობინეთ ე. ე. პიბლსს, ადვოკატს — ბილ სთრითი, მემფისი, ტენ., და ნათანიელ ბარინგტონს, — სენტ ექსეტერი, ნ. ბ. ეს იყო და ეს.

„ეგ პიბლსი ზანგი ადვოკატია“. თქვა ბანკის მოლარემ.



„შართლა?“ გაიკვირვა შერიფმა.

„ღიახ, რას მიბრძანებთ, როგორ მოვიქცე?“

„ისე ვქნათ, როგორც ქალაქზე სწერია“, თქვა შერიფმა. „თუმცა, კობია მე თვითონ მივხედო ამ საქმეს“. შერიფმა ორი დეკანოზი გამოიწვია. მემფისიდან ნახევარ საათში მიიღო პასუხი, მეორე პასუხი კი შემდეგ მოვიდა; ათ წუთში ქალაქში ხმა დაირხა, მის ბარდენის ნიუ ჰემფშირელი ბიძაშვილი მკვლელის დამკერს ათას დოლარ ჯილდოს ჰპირდებოდა. მერე, საღამოს ცხრა საათზე, ის კაციც გამოჩნდა, გლახს რომ დახვედროდა ცეცხლმოდებულ სახლში. ოღონდ თვითონ დილანდელზე კრინტიც არ დაუძრავს და თავიდან ქალაქელები ვერც მიხვდნენ ვერაფერს. მხოლოდ ის გაიგეს, ქალაქში ცოტა ხნის წინათ გამოჩენილი, ყველასათვის ბუტლეგერად ცნობილი ბრაუნი (არადა, კაცმა რომ თქვას, რა ბუტლეგერი ის იყო), როგორ გამოვარდნილა უეცრად შუა მოედანზე და აღგზნებულს, სახეშეშლილს, როგორ დაუწყია შერიფის ძებნა. მოგვიანებითა გაირკვა ყველაფერი. შერიფს ადრეც მოეკრა ყური, ბრაუნს კუდი კუდზე რომ ჰქონდა გადაბმული მეორე ვიგინდარასთან, ქრისტმასთან, ვისი ავანჩავანიც ბრაუნისაზე კიდევ უფრო ნაკლებად იცოდნენ, თუმცა ქრისტმასს აგერ უკვე სამი წელიწადი გაეტარებინა ჯეფერსონში; ახლავა შეიტყო შერიფმა, ის სამი წელი ქრისტმასს მის ბარდენის სახლის უკან, ქოხში რომ გაეტარებინა. ბრაუნს კი ლაპარაკი სწყუროდა; ამ წუთასვე მათქმევინეთ ყველაფერი ბოლომდეო. კოჭებში ეტყობოდა, ათასი დოლარი არ აძლევდა მოსვენებას.

„შენ რა, შტატის მოწმედ გინდა სასამართლოზე გამოსვლა?“ ჰკითხა შერიფმა.

„არავის მოწმეობა მე არ მინდა“. უპასუხა ბრაუნმა. ჩახეული, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, ჯერაც არ დასწყნარებოდა სახე. „მე ვიცი, ვინც არის მკვლელი და, როცა ჯილდოს მივიღებ, გეტყვით კიდევ“.

„დამნაშავეს როცა დაიჭერ, ჯილდოზე მაშინ ვილაპარაკოთ“, უთხრა შერიფმა. მერე ბრაუნი ციხეში წაიყვანეს, აქაოდა, სიფრთხილეს თავი არა სტკივანო. „თუმცა, მე მგონი, ტყუილად ვირჩებით“, თქვა შერიფმა. „სანამ იმ ათასი დოლარის სუნი სცემს, მაგას კეტითაც ვერ გავაგდებთ აქედან“. ვიდრე ჯერ ისევ ხმაჩახლეჩილი, აღგზნებული და თან შეურაცხყოფილი ბრაუნი ციხეში გადაჰყავდათ, შერიფმა მეზობელ ქალაქში დარეკა. იქ ორი მამებარი ძალღიჟყავდათ და დაჰპირდნენ, ძალღებებს დილის მატარებელს გამოვაცოლებთო.

იმ კვირა დილით, სევდიან ალიონზე, სადგურის გათოშილ ბაქანზე ოცდაათი თუ ორმოცი კაცი ელოდა მატარებლის მოსვლას. მერე მატარებელიც გამოჩნდა, ბინდში განათებული ფანჯრები გაკრთნენ და, წამიერი შეჩერებისას, უსიამოდ გაიყვლიალეს. ჩქარი მატარებელი იყო და ჯეფერსონში ყოველთვის არ ჩერდებოდა. ახლაც მხოლოდ იმდენხანს შეანელა სვლა, ორი ძალღიჟის ამონთხევა რომ მოესწრო: ათასი ტონა ძვირფასი, უცნაურად დაგრეხილ-დახლართული ლითონი თვალისმომკრელი სინათლითა და ხმაურით შემოიჭრა, ხმაურით შეასკდა კაცების გაუბედავი ჯმებით სავსე, საზარელ სიჩუმეს და ორი გასავათეებული, კუდამოძუებული მოჩვენება ამოარწყია, ყურებჩამოყრილნი, გასაცოდავებულნი, მოწყენილი თვალებით რომ მისჩერებოდნენ ერთდროულად შიშისმომგვრელი და თან უსუსური მოუთმენლობით გარშემორტყმული, მთელი ღამის უძინარი კაცების დადლილსა და გა-



დაფითრებულ სახეებს. თითქოს ძალადობას, მკვლელობის პირველსაწყისს, მართლა გამოეღო ნაყოფი და ნებისმიერი მომდევნო საქციელიც უაზრობად, გონისთვისაც და ბუნებისთვისაც მიუღებელ საშინელებად გადაექცია.

როცა პოლიციელთა რაზმმა დაფერფლილ-დანახშირებულ ნასახლარს ჩაუარა და ქოხს მოადგა, მზე ის-ის იყო ამოიწვერა. მზის შუქითა და სითბოთი გათამამებულმა თუ კაცების დაძაბული მღელვარებას დაძაბულმა ძაღლებმა ქოხის ირგვლივ სუნსული და ღრენა დაიწყეს. მამალისა და მამალისაგანდნენ ჰაერს, ერთად, ერთდროულად, მერე გეში აიღეს, კვალს დაადგნენ და პოლიციელიც თან გაითრიეს. დაახლოებით ასი იარღი ირბინეს გვერდიგვერდ, მერელა გაჩერდნენ, ვაშმაგებით მოჰყვნენ მიწის ფხოჭვნას და იქამდე არ მოისვენეს, ვიდრე ორმო არ ამოთხარეს, სადაც ვილაცას ცარიელი კონსერვის ყუთები ჩაემარხა. ორმოს ძლივს მოაშორეს. ცოტა კიდევ ატარეს და ხელაჯლა სცადეს ბედი. ძაღლებიც აქეთ-იქეთ ეცნენ, იწკავწკავეს და წინ გაიჭრნენ, ენაგადმოყრილები, აქაქანებულები, დუემორეულები, კაცები გინებ-გინებით მისდევდნენ უკან, ისინი კი კვლავ ქოხთან მიცვივდნენ, ქოხის წინ გაშეშდნენ და, უკან თავგადაგდებულებმა და თვალეზადათეორებულებმა, იტალიური ოპერის ბარიტონთა მგზნებარებითა და თავდავიწყებით შეუყეფეს გამოცარიელებულ ქოხს. ძაღლები მანქანით დააბრუნეს ქალაქში და საკმელი აჭამეს. მოედანზე უკვე დინჯად, წყნარად რეკდნენ ზარები, უკვე დარბაისელი ბალხიც გამოფენილიყო ქუჩებში და ქოლგებმომარჯვებულნი, ბიბლიებითა და ლოცვანით ხელდამშვენებული აუჩქარებლად მიეშურებოდა ეკლესიისაკენ.

იმ ღამეს შერიფის სანახავად ვილაც სოფლელი ბიჭიც ჩამოვიდა მამამისთან ერთად. ბიჭმა თქვა, პარასკევს, გვიან ღამით, მანქანით ვბრუნდებოდი შინ და მკვლელობის ადგილიდან ორიოდ მილის მოშორებით ვილაც კაცმა გამაჩერა, ხელში დამბაჩა ეჭირაო. ბიჭს ჰგონებია, გაძარცვას, ანდა, იქნებ, სულაც მოკვლას მიპირებსო; ამბობდა, მოტყუება მოვუნდომე, ნებაართვა გამოვტყუე, როგორმე ჩემი ეზოსკენ გადამეხვია და იქ ვინმესთვის საშველად დამეძახაო, მაგრამ კაცს რაღაც უეჭვია, მანქანა გაუჩერებინებია და გადასულა. მამას აინტერესებდა, ათასი დოლარიდან ჩვენ რამდენი გვერგებო.

„დაიჭირეთ და მერე ვნახოთ“. უთხრა შერიფმა. ძაღლები მაშინვე გააღვიძეს, სჩვა მანქანაში ჩასხეს და ბიჭმა იმ ადგილას მიიყვანა, სადაც კაცი მანქანიდან გადმოსულიყო; ძაღლები მიუშვეს, ისინიც დაუზარებლად შეეცივდნენ ტყეში და, ეტყობა, ლითონის ნებისმიერი საგნისადმი თავიანთი ამკარა მიდრეკილების წყალობით, უცებ იპოვეს გატენილი, ორლულიანი ძველებური დამბაჩა.

„სამოქალაქო ომის დროინდელი იარაღია“, თქვა შერიფის თანაშემწემ. „ერთი ფისტონი გამსკდარია, ოლონდ არ გავარდნილა. როგორ გგონიათ, დამბაჩა რაღა ჯანდაბად უნდოდა?“

„ძაღლები აუშვით“, თქვა შერიფმა. „შეიძლება ღვედი აწუხებთ“. ასეც მოიქცნენ. ძაღლები ახლა თავისუფლები იყვნენ; ნახევარ საათში კი დაიკარგნენ. არა, კაცებს არ დაჰკარგვიათ ძაღლები; კაცები დაეკარგნენ ძაღლებს. არადა, ერთმანეთისგან მხოლოდ პატარა ნაკადული და გორაკი ჰყოფდათ, კაცებს მკაფიოდ ესმოდათ იმათი ხმა. თუმცა უწინდებური რწმენითა და სიამაყით, უწინდებური სიამოვნებით აღარ ყეფდნენ. გაბმულად,



უიმედოდ ყმუოდნენ და კაცებიც ამაოდ ეძახდნენ, ამაოდ უხმობდნენ უკან. იმათ კი, ეტყობა, სმენაც დახშოდათ, ორივეს ხმა კარგად ისმოდა, ოღონდ ეს გაწეილი და შესაბრალისი ყმუილი თან თითქოს ერთი ყელისადაა ამოდისოდა, თითქოს ერთმანეთს შეზრდიან და მიტყუებებიანო. ერთი ხნის შემდეგ მართლაც ასე იპოვეს — თბრილში გვერდიგვერდ მდებარე მუხლები ბავშვებივით აღწევებულები. თვითონაც იქ დაუცადეს გაჩენისას მერელა გამოიგნეს გზა მანქანებისაკენ. ორშაბათი თენდებოდა.

ორშაბათს კიდევ უფრო ჩამოცხა. სამშაბათ ღამითაც, მთელი დღის პაპანაქების შემდეგ, პაერი ჯერ ისევ ჩახუთულია, დამძიმებული; სახლში შედის თუ არა, ბაირონი მაშინვე ვრძნობს, როგორ ეჭიმება, როგორ ეძაბება ნესტოები მარტოხელა მამაკაცის ამ აშშორებულ ბინაში დაგუბებული მკისე სუნისაგან. მერე, პაითაუერი რომ მიუახლოვდება, სხვა სუნიცა სცემს, მსუქანი, დაუბანელი ხორცისა, უსუფთაო ტანსაცმლისა — მოდუნებული, უმოძრაო ცხოვრებისა და ზედმეტი, ქონმოდებული ხორცის სუნი და ეს სუნი ახლა უკვე ყველა დანარჩენს ახშობს. შესვლისთანავე ხელახლა აეკვირება ძველი, აღრინდელი ფიქრი: „ეს მისი კანონიერი უფლებაა. მე შეიძლება არც მომწონდეს, ამას კი ვერაფერს აუკრძალავს ასე ცხოვრებასო“. ახსენდება, თითქოს შთაგონებისა თუ წინასწარმეტყველების კარნახით, ერთხელ როგორ იპოვა პასუხი: „ეს სუნი სიკეთის სუნია. ჩვენ რა თქმა უნდა, არ მოგვეწონება, ჩვენ, უკეთურებსა და ცოდვიანებსო“.

კვლავ ერთმანეთის პირისპირ სხედან კაბინეტში, ახლაც საწერი მაგიდა ჰყოფთ, მაგიდაზე კი ისევ ღამა ანთია. ბაირონი ახლაც მაგარზურგიან სკამზე ზის, გაქვავებული სახე დაუმალია, იატაკს ჩასცქერის. მშვიდი ხმა აქვს, ჭიუტი: იმ კაცის ხმა, ვინც არა მარტო არასასიამოვნო, არამედ, თან დაუჯერებელ ამბავსაც ჰყვება. „სხვა თავშესაფერი მინდა ვუპოვო. უფრო მყუდრო. სადაც...“

პაითაუერი ბაირონის ჩაქინდრულ თავს მისჩერებია. „სხვაგან რატომ უნდა გადავიდეს? აკი კარგად მოეწყობო? თან ქალიც გვერდში ჰყავს, თუ რამე გაუჭირდება.“ ბაირონი არაფერს პასუხობს. გაუნძრევლად ზის, თავჩაქინდრული; სახეც ჭიუტი აღევს, გაქვავებული; სწორედ ამ სახის შემხედვადრე ფიქრობს პაითაუერი. „ერთბაშად ხდება ამდენი რამე და იმიტომთ. ესაა მიზეზიო. კაცი გაცილებით მეტ ტვირთს იკიდებს ზურგზე, ვიდრე ზიდვა შეუძლია. მერელა ხვდება, ყველაფრის ზიდვა შემიძლიაო. ჰო, ჰო, და საშინელებაც ესაა ყველაფრის ზიდვა რომ შეუძლია, ყველაფრისო“. ბაირონს თვალს არ აცილებს. „მაშ, მხოლოდ მისის ბიარდის გამო მინდომა გადაბარგება?“

ბაირონი არც ახლა იღებს თავს, ლაპარაკით კი ისევ მშვიდი, ჭიუტი ხმით ლაპარაკობს: „ისეთი ბინა სჭირდება, სადაც უფრო შინაურულად იგრძნობს თავს. ბევრი დროც აღარ დარჩა, პანსიონში კი, სადაც უმეტესობა მამაკაცებია... დრო რომ მოუვა, წყნარად უნდა იწვევს, ვილაც ოხერმა ცხენით მოვაჭრემ თუ სასამართლოს მსაჯულმა რომ დერეფნიდან...“

„გასაგებია“, სიტყვას აწყვეტინებს პაითაუერი. თან ბაირონის სახეს შესცქერის. „ესე იგი, გინდა აქ შევიფარო“. ბაირონი რალაცის თქმას აპირებს, ოღონდ პაითაუერი არ აცლის: იმასაც ცივი ხმა აქვს, ცივი და მშვიდი: „ეგ არ ივარგებს, ბაირონ. ამ სახლში ქალიც რომ ცხოვრობდეს, კიდევ მეს-



მის. არადა, მართალი ვითხრა, თან მრცხენიკ კიდევ უარის თქმა: ჩემთან ადგილიც ბევრია და სიწყნარეცაა. მაგრამ მე იმაზე ვზრუნავ, ჩემს თავს არ დავეძებ. მე აღარც შენაღვლება, რას იტყვიან და რას იფიქრობენ ჩემზე“.

„მაგას არცა გთხოვთ“. ბაირონი თავჩაქინდრული ზის გრძნობს ჰაითაუერის მზერას. ფიქრობს თვითონაც იცის რას ვგულისხმობ. უკვე ვხედავდი ფიქრით სულ სხვას ფიქრობს. არც მიკვირს. ვითომ ვინაც ვხედავდი უფრო იფიქროს ჩემზე „მე მგონი, უკვე არ გეპარებათ“. ალბათ, მართლა არც ეპარება. ოღონდ ბაირონი მაინც არ იღებს თავს, მაინც არ უსწორებს თვალს. ისევ ლაპარაკს აგრძელებს, უწინდებურად რწლისმომგვრელი, მოღლილი ხმით, უწინდებურად თავჩალუნული; მაგიდის იქითა მხარეს კი ჰაითაუერი გაზგასმულად, თვალში საცემად წელგამართული ზის და მის გამზდარ, ქარდაკრულ, ჯაფით განწმენდილ სახეს აკვირდება ხარბად. „თქვენ ამ საქმეში როგორ გაგხვევთ, თქვენ რა შუაში ხართ, ჯერ თვალითაც არ გინახავთ და არცა მგონია, როდისმე ნაბოთ. ალბათ, ის კაციც არ გეცოდინებათ. უბრალოდ ვიფიქრე, ექნებ...“ ბაირონს ხმა უწყდება. მაგიდის იქიდან წელში გამოთული მღვდელი შემოსტკერის დაძაბული, ოღონდ დახმარებას მაინც არა და არ სთავაზობს. „როცა კაცი გადაწყვეტს რამე არ გააკეთოს, მე მგონი, შეუძლია გულის კარნახს აპყვეს. აი, როცა გაკეთებაზე მიდგება საქმე, მაშინ კი ნებისმიერ რჩევას ყური უნდა მიუგდოს. ოღონდ მე თქვენ არაფერში გხვევთ. არც მინდა ფიქრით თავი შეიწუხოთ“.

„მე მგონი, ვხვდები“, ამბობს ჰაითაუერი, ბაირონს მისჩერებია და — „მე ხომ ხალხში აღარ ვითვლებიო“. — ფიქრობს. „ამიტომაც აღარც სხვის საქმეში ჩარევა ღირს, აღარც უნდა ვცადო. ესეც ისევე ვერ მომისმენს, როგორც ის ქალი და კაცი (პო, ბავშვიც) ვერ მომისმენდნენ და ვერ გამიგებდნენ. გინდაც ხელახლა მეცადა, ცხოვრებას დავბრუნებოდიო“. „აკი მითხარი, ქალმა არ იცის იმის ადგილსამყოფელიო?“

„ღიახ“, ამბობს ფიქრში წასული ბაირონი. „მეგონა, აქ მაინც ვერავის ვერაფერს დავუშავებ-მეთქი, ვერც დიდსა და ვერც პატარას. არადა, ხეიროიანად არც იყო შემოსული, ყველაფერი რომ დავფქვი“.

„მაგას არ გეუბნები. მაშინ თვითონაც არაფერი იცოდი. მე დანარჩენი მაინტერესებს, იმის და იმ მეორის... რა ქვია... უკვე სამი დღე გავიდა, შენ ეტყოდი თუ არა, სულერთია მაინც ყველაფერს გაიგებდა, ამდენხანს რა დაიმალებოდა?“

„ქრისტმასი“. ბაირონი თავს არ იღებს. „ტუჩთან თეთრი იარა ხომ არა აქვსო, რომ მკითხა, მერე კრინტიც აღარ დამიძრავს. იმ საღამოს, სანამ ქალაქში ამოვდიოდით, მთელი გზა მიში მკლავდა, აი ახლა მკითხავს და აი ახლა-მეთქი რაღას არ ვიგონებდი სიტყვის მასალად, ოღონდ იმას ხმა არ ამოვლო. ვფთომ ვზოგავდი, გამოქცევას და გვარის გამოცვლას ვილა ჩივის, ახლა იმ ბრაუნისა თუ ბარჩის ბუტლეგერობაც არ გაიგოს-მეთქი, იმან კი თურმე უკვე იცოდა ყველაფერი. იცოდა, რა უვარგისსაც გადაჰკიდებოდა“. ბაირონი ახლა რალაუნაირი ფიქრიანი გაოცებით ლაპარაკობს: „არ მჭირდებოდა რამის დამალვა და მოგონება. ეტყობა, წინასწარვე იცოდა, რის თქმას ვაპირებდი, ტყუილს როდის ვეტყოდი. თითქოს ადრევე თვითონაც ეფიქრა ყველაფერზე და უკვე იქამდე დაეჭვებულყო, სანამ მე საერთოდ პირს გავაღებდი სიტყვის სათქმელად. ამასაც კიდევ არა უშავს. უბრალოდ, მისი არსების რალაც ნაწილმა სიმართლე იცოდა და რაც არ უნდა მეღონა, იმ ნა-



წილს მაინც ვერასდიდებით ველარ მოვატყუებდი...“ ბაირონი თითქოს სიტყვებს დაეძებს. წინდაწინ სწონის. მაგიდის მეორე მხარეს მჯდომი, წელგამართული კაციც თვალს არ აშორებს. თუმცა დახმარებას ჯერ მაინც არ უპირებს. „თითქოს ორად იყო გაყოფილი, თან იმისი არამხადობის ამბავიც იცოდა და თან სჯეროდა, კაცი და ქალი შვილის გაჩენას რომ განიზრახავენ და უამიც დაქრავს, უფალი იზრუნებს იმათ შეერთებაზე. უფალი იცავს ქალებს კაცებისაგან. ოღონდ, თუ ღმერთს არა სურს ამ ორი ნაწილის შეერთება და შერიგება, ვითომ მე რატომ უნდა შევადერთო?“

„სისულელეა“, ამბობს ჰაითაუერი. თან მოსაუბრის უძრავ, ჩიუტ, ასკეტურ სახეს მისჩერებია: ქვიშის ქარაშოტებს ნაჩვევი მეუღაბნოვის სახეს. „მე თუ მკითხავ, ყველაფერს ისა სჯობია, ისევ თავისიანებთან, ალაბამაში დაბრუნდეს“.

„არა მგონია“, ამბობს ბაირონი, დაუყოვნებლივ პასუხობს, გადაჭრით, თითქოს მთელი ამ ხნის მანძილზე სულ ამ სიტყვებს ელოდებოდაო. „ეგ არ დასჭირდება, მე მგონია, არ დასჭირდება“. თავს კი მაინც არ იღებს. განუწყვეტლივ გრძნობს ჰაითაუერის მზერას.

„ბა... ბრაუნმა თუ იცის ქალის ჩამოსვლის ამბავი?“

ბაირონს ლამის ეღიშება, სულ ერთი წამით ტუჩი გვერდზე ექცევა: სუსტი, უსიხარულო ჩრდილი გადაურბენს სახეზე. „სამაგისოდ სადა სცალია, ათას დოლარზე ფიქრმა აურია თავგზა, მართლა სასაცილო საცქერია, იმ კაციფითაა, ვისაც დავერის ინჩიბინჩი არ გაეგება და მაინც მთელი ძალით საყვირს უბერავს, ჰგონია, ცოტაც და ხმას ამოვალებინებო, ყოველ თორმეტ თუ თხუთმეტ საათში ერთხელ ხელებზე ბორკილდადებულს დაათრევენ იჭით-აქეთ მოედანზე, არადა, ის მაძებრებიც რომ მიუჭსიონ, აქედან მაინც ვერ მოაცვლევინებენ ფეხს. შაბათ ღამეს ციხეში აყურყუტეს, პირი არ გაუჩერებია, აქაოდა, ყველანი მე მიდგაბართ კრიჭაში, ყველა მე მეცილებით იმ ათას დოლარს და ლამისაა ქრისტმასთან ერთად მეც გამრიოთ ქალის მკვლელობაშიო; ბოლოს ბაკ ქონერი აუვარდა საკახში და დაემუქრა, თუ ხმას არ ჩაიწყვეტ და პატიმრებს არ დააძინებ, იცოდე, ალიკაპს გაგიკეთებო. მაშინ კი გაჩუმდა, მაგრამ მერე, კვირა ღამეს რომ გაიგო, ისევ სადღაც მიპყავთ ძაღლებიო, ისეთი ვაი-უშველებელი ატეხა, შერიფი იძულებული გახდა ისიც თან წაეყვანა. ძაღლები კი თურმე ადგილიდან არ იცვლიდნენ ფეხს, კინალამ გადარეულა, ყვიროდა, ავინებდა, საცემლადაც გაუწევია — კვალს როგორ ვერ მიაგენით, თქვე უჭიშოებოო; ყველას უმტკიცებდა, პირველმა მე გამხილე ქრისტმასი და ახლა თქვენ იცით და თქვენმა სამართალმაო. ბოლოს შერიფს გვერდზე გაუყვანია და ერთი-ორი ტკბილი სიტყვა უთქვამს ჩუმად. ვერაფერს გაიგო, რა ილაპარაკეს, ეტყობა, დაემუქრა — კეუით აუ არ იქნები, ციხიდან საერთოდ აღარ გამოგადგმევენებ ფეხსო. მოკლედ, ცოტა დაწყინარდა და იმათაც გზა გაუგრძელებიათ, ორშაბათს, გვიან ღამით-ლა დაბრუნდნენ ქალაქში, მაშინ უკვე აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა, ალბათ მართლა კარგა მაგრად დაიქანცა. აბა, რა იქნებოდა, ძილი იმან აღარ იცოდა და თან, თურმე, ძაღლებსაც ვჯიბრებოდა სირბილში, იმდენი უჭნია, ბოლოს შერიფი ისევ დამუქრებია, თუ არ გაჩერდები, ჩემს თანაშემწეს გადაგაბამ ბორკილით, მოეშვი მაგ ძაღლებს, ეგება შენი სუნის გარდა სხვაც იყნოსონ რამეო. შაბათს, ციხეში რომ ჩასვეს, უკვე გვარიანი გასაპარსი იყო, მაშინ კი თურმე საერთოდ აღარ შეეხედებოდა ზედ, მე მგონი, ქრისტმასზე



მეტად ისა ჰგავდა მკვლელს. ქრისტმასს ახლა უშვერი პირით ლანძღავდა და აგინებდა. ვითომ ქრისტმასი მარტო იმის ჯიბრით გაქცეულიყო, მარტო იმის გულის გასახეთქად იმალებოდა და სხვა დარდი არა ჰქონდა. უღონდაც ბრაუნს არ ერგოს ის ათასი დოლარიო. მერე ისევ ციხეში მიიყვანეს და საკანში ჩაკეტეს. ამ დილას კი, ეტყობა, ახალ კვალს დაადგნენ, ძაღლებიც წაიყვანეს და ისიც თან გაიყოლიეს. ხალხი ამბობს, სანამ ქალაქიდან არ გავიდნენ, ენა არ გაუჩერებიაო“.

„და შენ გგონია, ქალმა არაფერი იცის? გგონია, ყველაფერი დაუმალე? რატომ გირჩევენია, არამზადა ეგონოს და არა ბრიყვი?“

ბაირონს ისევ გაჰქვავებია, ისევ დასერიოზულებია სახე, წელანდელი ღიმილის ნატამალიც აღარ შერჩენია ზედ: „არ ვიცი. კვირას თქვენგან რომ დავბრუნდი, მეგონა, დაძინებული დამხვდებოდა, ის კიდევ სასტუმრო ოთახში მულოდებოდა, მკითხა — რა იყო? რა ხდება ამ ქალაქშიო? — დაძაბული შემომცქეროდა, მე კი თვალს ვერ ვუსწორებდი. ვიღაც ზანგს თეთრკანიანი ქალი მოუკლავს-მეთქი. ტყუილი იყო? ისე გამიხარდა, ტყუილს რომ აღარ ვეუბნებოდი, იმწამსვე, დაუფიქრებლად დავუმატე — მოუკლავს და იმის სახლისთვის ცეცხლიც წაუკიდებია-მეთქი. ჯერ იყო და, კვამლი დავანახე, მერე ქრისტმასის და ბრაუნის ამბავი ჩავუკაკლე, ბოლოს კიდევ ესეც წამომცდა. ზუსტად თქვენსავით შემომცქეროდა. ეტყობა, მართლა სწყალობთ ღმერთი, რაც არ უნდა მოიგონო, რისი გაგებაც უნდათ, მაინც გათქმევინებენ. ისე გათქმევინებენ, თვითონ არც შეგეკითხებიან არაფერს. თუ გაგება უნდათ, თუ არადა, პირიქით, ყრუვდებიან, ბრმავდებიან, სიმართლესაც ვერ შეასმენს კაცი. მოკლედ, ვეღარც მივმხდარვარ. რა იცის და რა არა, ერთი კი დავუმალე, არ მითქვამს, ვისაც დაეძებ, სწორედ იმან გაუმხილა პოლიციას მკვლელის ვინაობა და თუ ძაღლებთან ერთად არ დასდევს თავის ამხანაგსა და შემფარებელს, სხვა დროს ციხეში ჰყავთ-მეთქი დამწყვდეული. აი, ეს მართლა არ მითქვამს“.

„ახლა რას აპირებ? მაინც სად უნდა გადაბარგება?“

„იქ, იმ ქოხში უნდა დაელოდოს. ვუთხარი, ლოდინი დიდხანს მოგიწევს, ბრაუნი შერიფმა გაგზავნა საქმეზე-მეთქი. კაცმა რომ თქვას, მთლად ტყუილიც არ მითქვამს. ადრევე მკითხა, სად ცხოვრობსო და როცა ვუთხარი, დაიჩემა, რაკი ეგაა იმის ბინა, მეც იქ გადავალ და იქ დავუცდიო. თვითონაც მომიწონებს საქციელსო. რა უნდა მეთქვა, ხომ არ ვეტყოდი, ამქვეყნად თუ რამე არ უნდა, ყველაზე მეტად ეგ არ უნდა-მეთქი? ამ საღამოს ფაბრიკიდან რომ დავბრუნდი, უკვე წასასვლელად გამზადებული დამხვდა, ფუთაც გამოეკრა, ქუდიც ეხურა — მარტო მეღა მულოდებოდა. „ერთი პირობა კი ვიფიქრე მარტო წასვლაო“, მეუბნება. „მაგრამ შემეშინდა, ვაითუ გზა ვერ გავიგნოო“. უკვე გვიანია, ხვალ აჯობებს-მეთქი, — ვუთხარი. არაო, ჯერ რა დროს დაღამებააო, ორი მილიც არა გვაქვს გასავლელიო. ძლივს გავაჩერე. ნებართვა უნდა ვთხოვოთ-მეთქი. „ნებართვა ვის უნდა ვთხოვოთ, განა ლუკასის სახლში არ გადავდივარო?“ ვგრძნობდი, რა დაჟინებით მომჩერებოდა, მითხრა, „აკი თქვით, ლუკასი იქ ცხოვრობდაო?“ თვალს არ მაცილებდა, მერე მკითხა, „ვინ არის ის მღვდელი, სულ იმას რომ ელაპარაკებით ჩემზეო?“

„მაშ, იქ გინდა გაუშვა საცხოვრებლად?“

„იქნებ ეგრე სჯობდეს. თავის გემოზედაც მოეწყობა და, ამასობაში, ვინ იცის, ეს საგიჟეთიც მოთავდეს“.







ველთან ამოღულღულღებულ ათიოდე სიტყვას ქალის სიმტკიცესთან, ანდა იმ ბავშვთან შედარებით?"

„კი ბატონო, იმ ფულს თუ ჩაიჭიბავს, ეგება არც არსად გაიქცეს, ისე დაამღერებს, რასაც უნდა გააკეთებინებს კაცი, იქნება ცოლიც შევართო...“

„ეჰ, ბაირონ, ბაირონ“

„აბა, რა ვქნათ... მე რა ვქნა? რას მირჩევთ?“

„წადი, ჩეფერსონიდან წადი“, ისევ ერთმანეთს შესცქერიან დაეინებით. „არა“, ამბობს ბოლოს ჰაითაუერი, „შენ ჩემი დახმარება არ გკირდება, შენ უკვე ჩემზე ბევრად ძლიერი გეხმარება“

ცოტა ხანს ბაირონი ხმას არ იღებს, თვალმოუშორებლად შესცქერიან ერთმანეთს, „ვინ, ვინ გეხმარება?“

„ეშმაკი,“ ამბობს ჰაითაუერი.

„ეშმაკი იმაზეც ზრუნავს“, ფიქრობს ჰაითაუერი, სახლისაკენ მიაბიჯებს, ჯერ ნახევარი გზაც არ გაუვლია, მკლავზე პირთამდე სავსე, პატარა, მოწინული კალათა წამოუცვამს. „იმაზეც, იმაზეცო“, ფიქრობს და ქუჩას მიუყვება, ცხელა, ჰაითაუერი უპიჯაკოდაა, შავი შარვალი აცვია, მალალი, თხელი ფეხები აქვს, გამზდარი, გაღეული მკლავები და მხრები, ქონმოღებულ მუცელი კი არაბუნებრივად გამობერია, ორსულ ქალსავით წამოზრდია წინ, თეთრი, ოღონდ არც მთლად სუფთა პერანგი აცვია; პერანგის საყელოცა და დაუდევრად გაკვანძული ბატისტის ყელსახვევიც გასჭუჭყიანებია, ეტყობა, ორი-სამი დღეა პირიც არ გაუპარსავს, თავზე გაზინზლული პანამა ხურავს, ქუდის ქვეშ კი, სიცხისგან შეწუხებულს, ქუჭყიანი და დაჭმუჭნილი ცხვირსახოციც ჩაუფენია, როგორც წესი, კვირაში ორჯერ გამოდის ხოლმე ქალაქში საყიდლებზე; აწოწილი, მოღვენთილი, ლოყებზე ქალარაწვერმოღებული, სათვალთ თვალეზდაბინდული, ფრჩხილებჩაშავებული და ჯდომას მიჩვეული, დაუბანელი ხორცის მძაღე, მამაკაცური სუნით გაჟღენთილი — დღესაც ესტუმრა ნაირგვარი სურნელით სავსე, აფუსფუსებულ დუქანს, სადაც ჩვეულებრივ ვაჭრობდა ხოლმე და ანგარიშსაც მუდამ ნაღდი ფულით ასწორებდა.

„გაიგეთ, როგორც იქნა მიუგნიათ იმ ზანგის კვალისათვის“, უთხრა მედუქნემ.

„ზანგის?“ გაიმეორა ჰაითაუერმაც, უკვე ხურდას იღებდა ჩიბეში და უეცრად გაქვავდა, ხელი გაუშეშდა.

„რა ქვია?... აი იმ ბიჭისა, მკვლელის; სულ ვამბობდი, რაღაც არ მომწონს-მეთქი, თეთრკანიანი არ უნდა იყოს-მეთქი, რაღაცა კჳონდა უცნაური, მაგრამ, სანამ უბედურება არ მოხდება, ხალხს რამეს შეასმენ...“

„მაშ იპოვეს?“ თქვა ჰაითაუერმა.

„აბა, რა ჯანდაბას იზამდნენ, ის შტერი ჩვენს ოლქში დარჩენილა, ჩვენ-მ, შერიფმა ქვეყანა შეაწრიალა ტელეფონით იმის ძებნაში, ის შავი ნაბი... პო, ის კიდევ თურმე ამ დროს აქვე ყურისძირში არ იმალებოდა?!“

„ესე იგი, უკვე...“ ჰაითაუერი თავმობმული კალათის ზემოდან დახლისკენ გადაიბარა, მუცლით მიაწვა დახლის კიდეს, დახლი მაგარი იყო, მყარად იდგა; დახლი კი არა, თითქოს მიწა ირყეოდა, სუსტად, ოდნავ შესამჩნევად, თითქოს ადგილიდან მოსაწყდომად იღებდა ქანს, მერე, თითქოს, მართლა მოსწყდა კიდევ ადგილს, აუჩქარებლად, ნებაზე მიშვებულობით დაქან-



და თავქვე, თანდათან სიჩქარესაც უმატა, ოღონდ, თან რაღაც თვალმძებლურადაც მიქროდა. რადგან მოტყუებული თვალი აშკარად ხედავდა, არც მხინჯ თაროებს, არც ამ თაროებზე ჩარიგებულ, ბუნჯაჯდომ კონსერვის ქალებსა და არც მედუქნეს უწინდელი ადგილი არ შეეცვალათ; შეურაცხყოფელი, გამაბითურებელი შეგრძნება იყო. ჰაითაუერმა უკვე მხეჭობდა, „არ არ მინდა! მე ხელშეუხებლობა მოვიპოვე. ხელშეუხებლობა საფასურის კარგა ხანია გადავიხადეო“.

„ჯერ არ დაუქვრიათ.“ თავისას აგრძელებდა მედუქნე. „მაგრამ სადღა წაუვათ. შერიფმა უთენია მიიყვანა ძაღლები ეკლესიასთან. ექვსიოდე საათითლა თუ ჩამორჩებიან ალბათ, იმ დამპალს მეტი ჰკუთნა კი მართებდა, მაგრამ ხანგს რა გინდა მოკითხო? სულ ეგ იყო?“ — დაამატა მერე.

„რა?“ თქვა ჰაითაუერმა. „რა მითხარით?“

„სხვა არაფერი გინდათ?“

„ჰო, ჰო, სხვა...“ ჯიბეში ააფათურა ხელი. მედუქნე გაკვირვებული ბიჩერდა. მერე, ჯერაც ათრთოლებული ხელი ჯიბიდან ამოიღო, ახლა დახლზე მოაფათურა, დახლზე ხურდა ფული გაიბნა. მედუქნემ ხელი შეაშველა, ფული დახლიდან რომ არ გადაცვნილიყო.

„ეს რილას ფულია?“

„რისი და...“ ჰაითაუერმა ახლა უკვე სავსე კალათაში დაიწყო ხელს ფათური. „რისი და...“

„აკი უკვე გადაიხადეთ“. მედუქნე თვალს არ აცილებდა, ცნობისმოყვარედ შესცქეროდა. „ეს თქვენი ხურდაა, ახლა არ დაგიბრუნებთ?! დოლარის ხურდა“.

„ჰოო,“ თქვა ჰაითაუერმა. „მართალია... მე... უბრალოდ...“ მედუქნემ ხურდა მოხვეტა და ისევ გადმოაწოდა, მუკში რომ უყრიდა, იგრძნო, როგორ გაპყრნოდა ჰაითაუერს ხელი.

„სიცხის ბრალია“, თქვა მედუქნემ. „გათანგავს კაცს, ჯერ ნუ წახვალთ გინდათ, ცოტა ხანს ჩამოჯექით?“ ჰაითაუერს კი, ეტყობა, აღარაფერი ეყურებოდა. უკვე კარებისკენ დაეღერებინა თავი, მედუქნემ თვალი გააყოლა მერე ქუჩაში გამოვიდა. მკლავზე კალათი წამოეცვა და გაშეშებული, ფრთხილად მიაბიჯებდა. თითქოს ყინულზე დადისო ცხელოდა; ასფალტს ცახცახი ასდიოდა ხვატი. მოედნის ირგვლივ ნაცნობ შენობებს თითქოს შარავანდუდით მოსავდა და თითქოს იმათაც აცოცხლებდა. იმათაც ათრთოლებდა. გზად ვიღაც გამოელაპარაკა: ოღონდ ჰაითაუერს არაფერი შეუმჩნევია. თავს გზას მიყვებოდა. ფიქრობდა იმაზეც, იმაზეც ახლა ჩქარა მიდიოდა და როცა ბოლოს და ბოლოს, გზიდან გადაუხვია და იმ მკვდარსა და უკაცრიელ, პატარა ქუჩას აუყვა. საღაც მკვდარი და უკაცრიელი სახლი ელოდებოდა, ლამის ველარც იბრუნებდა სულს. „სიცხის ბრალიაო“, კარნახობდა, უმტკიცებდა, უხსნიდა გონების ზედაპირი. მაგრამ აქაც, ამ წყნარ ქუჩაზეც, სადაც ათასიდან ერთი კაცი თუ შეანელებს ფეხს, ათასიდან ერთს თუ გაახსენდება უკვე გამოჩენილი აბრა, სახლი, მარტოხელა კაცის თავშესაფარი, სადღაც, ზედაპირის ქვეშ, ჯერაც გრძელდება თავგზის ამაბნეველი და თან დამამშვიდებელი ფიქრი: „არ მინდა, არ მინდა, მე ხელშეუხებლობა მოვიპოვეო“ უკვე ლამის ესმის კიდევ ეს ჭიუტი, ყოვლისამხსნელი და ყოვლისმბატონი ბელი სიტყვები: „საფასურიც გადავიხადე და ფასზედაც არ მივაქრია, ამას ვერავინ დამწამებს. მე მხოლოდ სიმშვიდე მსურდა; შეუვაქრებლად გა“



დაეიზადე საფასურიო“. ქუჩა თრთის და მიცურავს: ჰაითაუერი გაოფლილა, ოლონდ ახლა შუადლის პაპანაქებაც სიგრილედ ეჩვენება. მერე ოფლიც სიციხეც, მირაჟიც — საბოლოო, ცეცხლოვან გადაწყვეტილებად ეჩვენება და ცეცხლივით ბუგავს. ცეცხლივით სპობს და ანადგურებს და ნებისმიერ მტკიცებასაც: „უარს ვამბობ! მაინც უარს ვამბობ!“

ერეწეწეწი

ბიზლიქოთქა

აბალშებიინდებულზე კაბინეტის ფანჯარასთან ჩამომჯდარმა ბიზლიქოთქამ სინათლის წრეში შემოსული ბაირონი დაინახა. მაშინვე, გველნაკბენივით წამოხტა ზეზე, ასეთ დროს ბაირონის დანახვას არ გაუკვირებია. თავიდან, როცა მომავალი იცნო, გაიფიქრა აი, აკი ვიცოდი, ამაღანაც რომ მესტუმრებოდა, აბა ხად ბაირონი და ხად ავი საქმე სწორედ ამას ფიქრობდა. უფერად რომ შეცბა, სანახევროდ წამოვარდა სავარძლიდან: იცნო თუ არა ნათურის კაშკაშა შუქზე სტუმარი, თითქმის იმწამსვე შეეპარა ეჭვი, ზომ არ მეშლენაო, არადა, შეცდომა გამორიცხებული იყო. ასეთ დროს, ბაირონის გარდა, სხვა არავინ შეიძლებოდა მისდგომოდა კარს, მით უმეტეს, ის უკვე ეზოშიც შემოსულიყო.

ოლონდ დღეს ბაირონი მაინც არა ჰგავს საკუთარ თავს: სადღაა მისი ძველებური სიარული, ძველებური მინრა-მოხრა; ხიამაყე უხწავლია, თუ გათავხედებულა თავისთვის ამბობს სავარძლიდან სანახევროდ წამომდგარი ჰაითაუერი, ბაირონი კი სწრაფად მოაბიჯებს, თავაწეულო, წელში გამართული, „რალაც ჩაუდენია, რალაც ნაბიჯი გადაუდგამს“ — ლამის უკვე ხმამაღლა ამბობს ჰაითაუერი, ფანჯრისკენ, სიბნელისკენ გადახრილი, ენას აწკლამუნებს და ცდილობს კარგად დააკვირდეს მომავალს, ის კი, წამით თვალს ეფარება, პარმალზე აღის და ცოტა ხანში უკვე აქიდან მოისმის ნაბიჯების ხმა და მერე კაკუნი, „მე არაფერი გამიზიარა“, ფიქრობს ჰაითაუერი, „არადა, მოვუსმენდი, დავაცდიდი, ხმამაღლა ეფიქრა ჩემი თანდასწრებით“, უკვე წამომდგარა, წამით საწერ მაგიდასთან ჩერდება ლამპის ასანთებად, მერე კარის გასაღებად მიდის

„მე ვარ, მამაო“, ამბობს ბაირონი

„გიცანი“, პასუხობს ჰაითაუერიც, „თუმცა ამჯერად ბოლო საფეხურზე ფეხი აღარ წამოგიკრავს მერამდენედა ხარ ამ სახლში და დღეს პირველად მოხდა ასე“, ბაირონის ყოველი კიზიტი ჩვეულებრივ ასე იწყება ხოლმე: ხუმრობითა და სითბოთი შეზავებული ეს ვითომ მბრძანებლური კილო ეხმარება შინაურულად იგრძნოს თავი, ცოტა ხნით მაინც დაძლიოს და დაივიწყოს ის ტლანქი, სოფლური სიმორცხვე, რაც თვითონ თავაზიანობად მიაჩნია, ჰაითაუერს ზოგჯერ ისიც მოსჩვენებია, თითქოს ბაირონს აფრა უკეთია, მე კი სულს ვუბერავ სვენებ-სვენებით, წვალემ-წვალეებით შემომყავს სახლშიო.

ახლა კი სიტყვის დამთავრებასაც ვერ ასწრებს, ისე შემოდის სტუმარი ოთახში — ლალად, თამამად, სანეზეც ახლებური იერი დასთამაშებს, უცებ ვერც მიხვდება, თავდაჯერებული თუ თავხედი ვაჟისა, „მე მგონი, მაღე ღარწმუნდებით, ის დრო რომ სჯობდა, როცა კისერს ვიტეხდი ხოლმე კიბეზე“ ამბობს ბაირონი.

„შენ რა, მაიმედებ თუ მემტკრები, ბაირონი?“

„აბა, რასა ბრძანებთ, მუქარა რა სახსენებელია“, ამბობს ბაირონი.

„პოო“, ამბობს ჰაითაუერი, „სხვაგვარად რომ ეთქვათ, იმედოც არაფე-



რისა უნდა მქონდეს. კეთილი, ასეა თუ ისე, წინასწარ მაინც გამაფრთხილე. მაგაზედაც მადლობელი ვარ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ქუჩაში რაც დაგინახე, მას მერე სულ ფრთხილად ვარ. გეტყობა, რალაცის შოკოლას აპირებ. ვხედავ, რალაც ჩაგიდენია. თუმცა ჩემთან წინდაწინ შეთანხმება არ ისურვე“. კაბინეტის კარებისაკენ მიდიან. ბაირონი შუა გზეზე შეუდგება. უკან იხედება. ქვემოდან ასცქერის ჰაითაუერს.

„მაშ, უკვე იცი“. ამბობს ბაირონი. „უკვე გაგიგიათ“, გაუნძრევლად დგას, ოღონდ ახლა ჰაითაუერს აღარ უყურებს. „ძალიანაც კარგი“. აგრძელებს ცოტა ხნის შემდეგ: „ენაზე კლიტეს ვერავის დაადებ, მით უმეტეს ქალებს. მაინც ვინ ვითხრათ? განა მრცხვენია რამისა, არც მიფიქრია თქვენთვის დამემალა, აკი, მოვახერხე თუ არა. მაშინვე თქვენსკენ გამოვეშურე“.

განათებული ოთახის კარებთან დგანან. ჰაითაუერი ახლავს ამჩნევს ქალაქის პარკებსა და ფუთებს. ეტყობა, ბაირონს საბაყლოში გამოუვლია. „რის სათქმელად გამოვეშურე?“ ეკითხება ჰაითაუერი. „რა უნდა მითხრა? თუმცა ჯერ ოთახში შემოდი. შეიძლება, მართლაც უკვე ვიცი ყველაფერი, მაგრამ მაინც მიჩვენია შენი სახე დავინახო, როცა თვითონ შეტყვი. აი, მეც წინასწარ გაგაფრთხილე“. განათებულ ოთახში შედიან, ქალაქში აშკარად სურსათ-სანოვაგა გახვეული: ჰაითაუერსაც იმდენი ასეთი პარკი თუ ფუთა უყიდია და უტარებია, ნამდვილად არ შეეშლება. „დაჯექი“, ეუბნება ბაირონს.

„არა“, პასუხობს ბაირონი. „დიდხანს ვერ დავრჩები“. მართლაც არ ჯდება, ფეხზე დგას — მშვიდი, თავდაკერილი, — სახეზე თანაგრძნობა აწერია, თანაგრძნობა, სიმტკიცე და გაბედულება, ოღონდ სიმტკიცეს თვითდაჯერება აკლია, გაბედულებას კი შეუპოვრობა: იმ კაცის სახე ადევს, ვისაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გადაუწყვეტია ყველაზე ახლობელი ადამიანისათვის გაუგებარი და მიუტევებელი საქციელის ჩადენა, გადაუწყვეტია, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულს, ბოლომდე სჯერა, ამ საქციელს ვერასოდეს ერთი თვალით რომ ვერ შეხედავენ თვითონ და ის ახლობელი. „ვიცი, განზრახვას არ მომიწონებთ. მაგრამ სხვა გზაც არა ჩანს. ნეტავი თქვენც ჩემსავეთ ფიქრობდეთ. რას იზამ, ამ ამბავს, ეტყობა, აღარაფერი ეშველება“.

ჰაითაუერი ისევ მაგიდას მისჯდომია და მოღუშული შესცქერის. „მაინც რა ჩაიდინე ასეთი, ბაირონ?“

ბაირონს ხმაც შესცვლია: მოკლედ, ლაკონურად ლაპარაკობს, ყოველი სიტყვა წინდაწინვე აუწონ-დაუწონია და სათქმელსაც ნათლად ამბობს: „დღეს საღამოს გადავიყვანე. ქოხიც ადრევე გავამზადე, კარგად გავასუფთავე იქაურობა. ახლა უკვე დაბინაკებულია, ასე ისურვა. უკეთესი სახლი ბრაუნს არცა მქონია და არც არასდროს ექნება. ამიტომ, მე მგონი, ქალსაც შეუძლია იქ იცხოვროს, მით უმეტეს, პატრონს ის ქოხი აღარაფერში სჭირდება. ჩავთვალოთ, რომ ცოტა ხნით სხვაგან გადაბარგდა. ვიცი, თქვენ ეს ამბავი არ მოგეწონებათ, ალბათ უამრავ საფუძვლიან მიზეზსაც დამისახელებთ. მეტყვით, ქოხი არც ბრაუნისაა და არც ის ქალი უნდა შეგეშვაო. კეთილი. შეიძლება მართალი ბრძანდებით. მაგრამ, ჩვენს შტატში კი არა, მთელ დუნიაზე თუ მოუბრუნდება ვინმეს ენა და თუ დამარწმუნებს ვინმე, უფლება არა აქვს დროებით შეაფაროს იქ თავიო? ვიცი, იმასაც მეტყვით, გვერდში უთუოდ ქალი უნდა ედგასო კი ბატონო. იქვე, ორას იარდში ცხოვრობს



ერთი ხანშიშესული ზანგი დედაკაცი საკმაოდ ჭკუადამჯდარი ქალი ჩანს. თუ გაუჭირდა, წამოდგომაც არ დასჭირდება. შეუძლია საწოლიდანვე მიაწვდინოს ხმა. მეტყვიით, ქალი კია, მაგრამ თეთრკანიანი ხომ არ არის? მაშინ მცდე გკითხავთ, მშობიარობის დრო რომ მოუვა, თეთრკანიან ჯეფერსონიანი ქალბატონები რას მიეხმარებიან-მეთქი? რას მიეხმარებენ, კეთილგონიერ ერთი კვირის ჩამოსულიც არ არის და ისე ვერც ერთს ვერ გაძღვნიან. მაშინვე ზურგსუკან თუ არ აქირჩილდნენ — ამას ჯერ ჯვარიც არ დაუწერიდა და ვიდრე ის გაფუჭებული ცოცხალია და თუნდაც ხანდახან მაინც ესმის იმის ამბავი, ვერც დაიწერს ვერასოდესო? მითხარით ერთი, რას დაეხმარებიან, რა ზეირს დააყრიან? კი, უპატრონოდ ალბათ არ დააგდებენ ქუჩაში და ალბათ სადმე საწოლსაც უშოვნიათ. მაგას არ ვამბობ, თუმცა, ჩვენში დარჩეს და, იმათაც არ გაემტყუნებათ, თუ თქვეს, მეტიც ღირსი არ არის, ამ დღეშიც ღია ცის ქვეშ ჩავარდა და არც მაშინ გახსენებია საწოლით. მაგრამ ბავშვს ხომ არ ჰქონია ასარჩევად საქმე? და გინდაც ჰქონოდა, ღმერთმანი, ნებისმიერი საცოდავი პატარა ბავშვი, რომელსაც ჯერ არაფერი გაეგება, რა ულის ამ ქვეყანაზე, მაინც იმსახურებს... მეტს იმსახურებს... უკეთესს, ვიდრე... მე მგონი ხვდებით, რას ვამბობ. თქმითაც თქვენ უკეთესად იტყვიან? ჰაითაუერი მაგიდასთან ზის და უხმოდ შესცქერის, ბაირონსაც ისევ მწვიდრი, დაურვებული ხმა აქვს, მხოლოდ ერთადერთხელ აერია სიტყვა, როცა რაღაც მოულოდნელის, ბუნდოვანის, მართალია, გუმანით ნაგრძნობის, მაგრამ ბოლომდე გაუაზრებლის გამოთქმა სცადა. „მესამე მიზეზიცაა, თქვენ, რა თქმა უნდა, არც თეთრკანიანი ქალის იმ არემარეში მარტოდმარტო ყოფნა მოგეწონებათ. მოგეწონებათ კი არა, ყველაზე უფრო ალბათ ეგ გაგაბრაზებთ“.

„ეპ, ბაირონ, ბაირონ“.

ბაირონს ხმა უჩიუტდება. თავი კი ჯერაც ისევ მაღლა უჭირავს. „მე ქონში არ ვიცხოვრებ, კარავი ვაშოვე. შორიახლოს დავდგი, იოლად რომ მომაწვდინოს ხმა. ქონის კარებს ურდულიც დავადე. ვისაც უნდა მოვიდეს და ნახოს — მე დღედაღამ კარავში ვარ“.

„ეპ, ბაირონ, ბაირონ“.

„ვიცი, თქვენც სხვებივით არ ფიქრობთ, თქვენ მაინც გამიგებთ, გინდაც ის ქალი... ის რომ... განა ვერა ვხედავ, თქვენც ხალხის ყბედობა გადარდებთ“.

ჰაითაუერი ახლაც აღმოსავლური კერპის პოზაში ზის, მკლავები სავარძლის სანელურებზე დაუსვენებია. „წადი, ბაირონ, წადი, ახლავე, დაუყოფნებლივ, სამუდამოდ მიატოვე იქაურობა, მიატოვე ეს საზარელი, საზარელი ადგილი. მე ხომ ყველაფერი მესმის, მეტყვი, ახლაღა გავიგე, სიყვარული რა ყოფილაო: მე კი გიპასუხებ, ეგ სიყვარული კი არა, იმედია-მეთქი, იმედი და მეტი არაფერი. იმედის საგანს კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც იმედისთვის და, მით უმეტეს, არც შენთვის. შენ მიერ არჩეულ გზას ერთადერთი ბოლო აქვს: ან ცოდვა და ან ქორწინება, ღმერთო, შემინდე და, ამ ორიდან შენთვის იქნებ ცოდვა სჯობდეს კიდევ, მაგრამ ხომ გიცნობ, რაცა ხარ. შენ ან უნდა იქორწინო, ან არადა გაწბილებული დარჩე. ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ქორწინება ვირჩევნია, შენ შენსას ეცდები და, ალბათ, იმასაც დაარწმუნებ: იქნებ უკვე დაარწმუნე კიდევ, ოღონდ ჯერ ვერ ხვდება, ჯერ საკუთარ თავსაც ვერ გამოსტყდომია: თუ არა-და, მაშინ აქ რაღა აჩე-



რებს. ან იმ კაცის ნაზვას მაინც რატომ არა ცდილობს? ცოდვისკენ როგორ გიბიძგო? რომც გიბიძგო კიდევ, არა მარტო შენ შემიძულე, სიძულვილს იმასაც გადასდებ. ამიტომ წადი, ახლავე, დაუყოვნებლივ. წადი, არ უკან აღ- არ მოიხედო. უღონოდ ეგ ფიქრი კი თავიდან ამოვიგდე, ბაირონ!

ერთმანეთს შესცქერიან. „ვიცოდი, განზრახვას არ გამოიწონებდი“, ამბობს ბაირონი, „მე მგონი, სწორი ვქენი, რომ არ დავსწრისკენ უმრობა არ გაეაბი. თუმცა, არც ამას ველოდი, არ მეგონა, თქვენც თუ აუმხედრდებოდით მოტყუებულ და მიტოვებულ ქალს...“

„არც ერთი ქალი, ვისაც შეილი ჰყავს, მოტყუებული არ არის; დედის ქმარსაც, სულერთია, მამა იქნება თუ არა, უკვე რქები ადგას თავზე, ათიდან ერთი საშუალება მაინც დაიტოვე, ბაირონ, თუკი მაინცდამაინც ცოლის შერთვა გინდა, ამქვეყნად გაუთხოვარ ქალებს რა გამოლევს, ქალიშვილებს, ქალწულებს, უსამართლობაა მსხვერპლად შეეწირო ქალს, ვინც ერთხელ უკვე აირჩია, ახლა კი ამ არჩევანის უარყოფა უნდა, ეგ არ არის სწორა, უსამართლობაა, ქორწინებას რომ აწესებდა, არც ღმერთს ჩაუფიქრებია ასე, აწესებდა კი? ქორწინება ქალების მოგონილია“.

„მსხვერპლად შეეწირო? მე შეეწირო მსხვერპლად? მე მგონა, მსხვერპლი თუა...“

„ოღონდ ის არა, ღინა გროუვეებისათვის ამქვეყნად მუდამ არსებობს ორ- ნაირი მამაკაცი, ლუკას ბარჩების და ბაირონ ბანჩების რიცხვი ლეგიონია, მაგრამ არც ერთი ღინა, არც ერთი ქალი არ იმსახურებს ერთ-ერთ მათგანზე მეტს, არც ერთი იყვნენ კარგი ქალები, ვინც მართლა გაიუბედურეს თავი, მართლა შეეწირნენ მსხვერპლად პირუტყვებს, ლოთებსა და ათასნაირ ნა- ძირალებს, მაგრამ, აბა რომელი ავი თუ კარგი ქალი გატანჯულა იმაზე მე- ტად, ვიდრე კაცები გაუტანჯავთ კარგ ქალებს? მითხარი“.

მშვიდად საუბრობენ, ვაფიცხება არც ერთს არ ეტყობა, ჩუმდებიან კი- დევ ერთიმეორის სიტყვების ასაწონ-დასაწონად, ოღონდ, მაინც საკუთარი რწმენის ბოლომდე ერთგულ ხალხსაც ჰგვანან, „თქვენ, ალბათ, მართალი ბრძანდებით“, ამბობს ბაირონი, „ყოველ შემთხვევაში, მე ვერ გეტყვით, ცდებით-მეთქი, ვიცი, არც თქვენ გამამტყუნებთ, გინდაც მეშლებოდეს“.

„არ გაგამტყუნებ“, ამბობს ჰაითაუერი.

„გინდაც მეშლებოდეს“, იმეორებს ბაირონი, „ახლა კი დაგემშვიდობე- ბით, კაიხელა ვზა მაქვს გასავლელი“.

„კიცი“, ამბობს ჰაითაუერი „ხანდახან მეც დავდიორდი ხოლმე იქით, სა- მი მილი იქნება“.

„ორია“, ამბობს ბაირონი, „აბა, წავედი“, კარებისკენ ტრიალდება, ჰა- ითაუერი გაუხმრევლად ზის, ბაირონი ცდილობს უფრო მარჯვედ, უფრო მოხერხებულად დაიკავოს სანოვაგით სავსე შეკვრები, რომლებიც მთელი ამ ხნის მანძილზე ხელიდან არ გაუშვია, „კარგად ბრძანდებოდეთ“, ამბობს კა- რისკენ მიმავალი, „როგორც მოვახერხებ, მაშინვე გინახულებთ“.

„პო“, ამბობს ჰაითაუერი, „მე რით დაგეხმარო? რა გჭირდება? ქვეშა- გები ხომ არ გინდა, ან რამე ეგეთი?“

„მადლობელი ვარ, მე მგონი, ყველაფერი საქმარისად აქვს, იქაც დაგვ- ხვდა, მადლობელი ვარ“.

„ხომ გამაგებინებ? თუ რამე შეიცვლება, ბავშვი... ექიმს შეუთახხმდი?“

„მავასაც მივხვდა“.



„როგორ, ჯერ არ გინახავს? არ შეიპირე?“

„ყველაფერი რიგზე იქნება. თქვენც გაგაგებინებთ“.

ბაირონი მიდის. ჰაითაუერი ფანჯრიდან აყოლებს თვალს, ხედავს როგორ მიუყვება ქუჩას სანოვაგით დატვირთული, ორი მილის გასაფლად გამზადებული. წელგამართული, ჩქარი ნაბიჯით მიმავალი, თანდათან უფრო უფრო თვალს; ზედმეტი ქონისა და სულის ხუთვისაგან გატანჯული, დაწვეწვევით მჯდომიარე ცხოვრებას მიჩვეული მოხუცი ამ ნაბიჯს უკვე ველარასოდეს აუწყობს ფეხს. ამიტომაც ჰაითაუერი ისევ ფანჯრისკენ, აგვისტოს ხვატისკენ გადაიხრება. ცოტა ხნით, მუდმივ თანამგზავრად ქცეული სუნისგანაც თავისუფლდება — ცხოვრებას გამოკლებული კაცის, კვდომამამჯდარი სიმსუქნის, ამშორებული თეთრეულის სუნისგან — და დაძაბული აყურადებს სიჩუმეს. თითქოს ჯერაც ესმის მიმავალის ფეხის ხმა, ფიქრობს — „ღმერთო შენ უშველე. ღმერთო, შენ შეეწიეო“. ფიქრობს ახალგაზრდობა. რა შეედრება ახალგაზრდობას. ამქვეყნად ახალგაზრდობის მეტი არც არსებობს არაფერი „ლოცვას არ უნდა გადავჩვეულიყავიო“. ფიქრშივე ამატებს მშვიდად. მერე წამოსახული ნაბიჯების ხმაც წყდება. ახლა მხოლოდ უთვალავი, დაუღალავი მწერის შარიშურილა ესმის, ფანჯრიდან გადახრილი მიწის ცხელ, მსუყე, ფერადოვან სურნელს ისუნთქავს და ახსენდება. ადრე, სიჭაბუკეში, ვიდრე თვითონაც ახალგაზრდა იყო. როგორ უყვარდა ლამამობით მარტოდ-მარტო ხეთა შორის ბორიალი, თუ ხის ძირას ჯდომა. მაშინ თითქოს მიწაც და ხეებიც ცოცხლდებოდნენ, პირველყოფილ იერს იბრუნებდნენ და ერთდროულად თან სიამოვნებისა და თან შიშის უცნაურ, ავისმომასწავებელ გრძნობას ბადებდნენ. მართლა ეშინოდა. შიშისგან ძრწოდა, ოღონდ ეს შიშიც უყვარდა. მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას, უეცრად მიხვდა, რომ შიში გამქრალიყო. თითქოს რაღაც უხილავი კარი დაიხშო. სიბნელის შიში კი დაეძლია. მაგრამ შიშის ადგილი სიძულვილს დაეკავებინა; უკვე იმდენად სძულდა სიბნელე, თავქუდმოგლეჯილი გაერბოდა და ოთახებში, არაბუნებრივ სინათლეში აფარებდა თავს. „ჰო, ლოცვას არ უნდა გადავჩვეულიყავიო“, — ფიქრობს. მერე ფანჯარას ზურგს შეაქცევს. კაბინეტის ერთი კედელი მთლიანად დაუფარავს წიგნის თაროებს. ჰაითაუერი თაროების წინ ჩერდება და კარგა ხნის ძებნის შემდეგ თაროდან წიგნი იღებს. ეს ტენისონის კრებულია. სემინარიის დროინდელი, კუთხეებ-აპრუხილი ფურცლებით. ლამპასთან ჯდება და წიგნს შლის. დიდხანს არც სჭირდება ლოდინი. ლექსის დახვეწილი, ლაღი ენა. გამოფიტული ხეებითა და დაშრეტილი სურვილებით სავსე ღონის წამრთმევი მოთენთილობა ლამის ამწამსვე ითრევს თავის მდორე, მშვიდ, უწყვეტ ტალღებში. ეს უხმო, უსიტ-ეკო ლოცვასაც სჯობია. თითქოს ტაძარშია და იმ უცხო ენაზე მგალობელ საჭურისს უსმენს, რომლის არ გაგებაც კი არ სჭირდება.

„ვიდაც უნახავთ იმ ქოხში“, უთხრა თანაშემწემ შერიფს. „არ იმალება: საცხოვრებლად გადასულა“.

„შენც მიდი და გაარკვიე.“ უბრძანა შერიფმა.

თანაშემწე წავიდა და მალევე დაბრუნდა უკან.

„ქალი ყოფილა. ახალგაზრდა ქალი. ეტყობა, კარგა ხნით დაბინავებუ-



ლა; იქვე შორიანლოს კი, აი, როგორც აქედან და ფოსტამდე, ბაირონი ბანჩსაც გაუშლია კარავი“.

„ბაირონი ბანჩს?“ უკვირს შერიფს. „რა ქალია ამისთანა?“  
 „არ ვიცი, ჩვენ არ ვიცნობთ. ახალგაზრდა ქალია. როგორც მანინვე მიაგებო ქონში ფეხი შევდგი თუ არა, იმწამსვე დაიწყო მოყოლა, თითქოს სიტყვა აქვს მომზადებული. თითქოს თავისი ვაჟის შესახება ჩვეულებად გადაქცევიაო. ალბათ, მართლაც მიეჩვია, სანამ ქორის ძეინა-ძებნაში ალაბამადან, თუ რა ვიცი საიდან, ჩვენამდე ჩამთალწევდა. ჯერ ქმარი წამოსულა სამუშაოს საშოვნელად, ქალიც, ეტყობა, მალევე გამოჰყოლია უკან და გზაში ვილაციგან გაუგია, შენი ქმარი ჯეფერსონში მუშაობსო. ამასობაში ბაირონიც შემოვიდა ქონში და მითხრა, დანარჩენს მე გეტყვიო. თითქოს თქვენთანაც სდომებია მოლაპარაკება.“

„ბაირონი ბანჩი“, იმეორებს შერიფი.

„დიან“, კვერს უკრავს თანაშემწეც. მერე ისევ აგრძობს: „ორსულადაა, საცაა იმშობიარებს კიდევ“.

„ორსულადააო?“ ამბობს შერიფი, თან თანაშემწეს მისჩერებია. „შაშ, ალაბამადან ჩამოვიდა? ალაბამადან კი არა, საიდანაც გინდა იყოს, ბაირონისგან მაგას მაინც ვერ დავიჯერებ“.

„მე რა, მე არც არაფერს ვამბობ“, ამბობს თანაშემწე. „განა ვამტკიცებ, ბაირონისგანაა-მეთქი, თანაც ბაირონსაც არ უთქვამს, ჩემიო, მე მხოლოდ იმათ ნათქვამს ვიმეორებ“.

„პოლო“, ხენეშის შერიფი, „გასაგებია ყველაფერი, მივხვდი, რატომაც ჩამოსულა, რომელია? ქრისტმასი, არა?“

„არა, ბაირონმა ეგეც მითხრა, ქონიდან გამიყვანა, ქალმა არ გაიგონოსო, თქვენთანაც სდომებია მოსვლა, ბრაუნისაა, ოლონდ ბრაუნი არ ყოფილა გვარად, ლუკას ბარჩი რქმევია, ქალი ალაბამაში მიუტოვებია, დაპირებია, სამუშაოს ვიშოვი, ბინასაც მოვაწყობ და მაშინვე მოვაწვდენ ხმასო, სადაცა ბავშვი უნდა დაიბადოს, იმისგან კი თურმე ჩამიჩუმიც არ ისმოდა, ქალიც ამდგარა და წამოსულა, კითხვა-კითხვით გამოუვლია ამოდენა გზა, ხანდახან თუ დაიმგზავრებდა ვინმე ღვთისნიერი, ბოლოს მოუსწავლებიათ, ვილაც ბარჩი თუ ბანჩი ჯეფერსონში მუშაობს, სარანდავ ფაბრიკაშიო. შაბათს ჩამოსულა ფორხით, ჩვენ რომ მკვლელობის ადგილას ვიყავით, ის ფაბრიკაში მისულა და თავისი ბიჭის მაგივრად ბაირონი შერჩენია ხელში. ბაირონსაც მაშინვე ყველაფერი წვრილიდ დაუფქვავს, ქალიც აღარ მოშვებია და ბოლოს ბრაუნის ადგილსამყოფელიც უთქმევინებია, ოლონდ ის კი აღარ გაუმხელია, ბრაუნი თუ ბარჩი ქრისტმასის ამბავში რომაა გახვეული, საქმეებზეა წასულიო — ასე უთქვამს ქალისათვის, ჩვენში დარჩეს, რითი არაა საქმე? საქმე თუ არა, სამუშაო მაინც? ჯერ ჩემს დღეში არც მინახავს, კაცს ითასი დოლარი ასე ნდომებოდეს და ამდენიც ეწვალოს, ქალს უთქვამს, ლუკასი ალბათ სწორედ ამ ბინაზე მელაპარაკებოდანო, და ქონში გადაბარგებულა, აქ დავუცდი, ვიდრე დაბრუნდებოდესო. ბაირონმა, ვერაფრით გავაჩერეო, ერთი რომ მოვატყუე, მერე ველარ ვუთხარი ბრაუნის კაიკაცობის ამბავიო, შერიფის წახვას ადრევე ვაპირებდი, მაგრამ სანამ გადაბარგებას მოვრჩით, ალბათ თვითონვე შეიტყო ყველაფერიო“.

„ლუკას ბარჩი, კა?“ ამბობს შერიფი.



„ცოტა არ იყოს, მეც გამიკვირდა“, პასუხობს თანაშემწე „რა ვქნათ?“

„რა უნდა ვქნათ?!“ ამბობს შერიფი. „მე მგონი, იქ არავინ არაფერს დაუშავებენ. ვერც გამოვეყრი, ჩემი საბლი ხომ არ არის? თან უნდა ვიქნებოდე — კაც უოკვამს იმისთვის, ბარჩია თუ ბრაუნი, კიდევ კარგა ზანგმა ლისო“.

„ბრაუნს თუ ეტყვით ქალის ამბავს?“

„აბა მგონია“, ამბობს შერიფი. „რა ჩემი საქმეა?! მე იმისი ალაბამელი, თუ რა ვიცო, კიდევ სადაური ცოლების დარდი არა მაქვს. მე იმის ჯეფერსონელი ქმარი უფრო მაინტერესებს“.

თანაშემწე ხორბოცებს. „ნამდვილია, წყალი არ გაუგა“. ეუბნება შერიფს. თანდათან მშვიდდება. რაღაცას ფიქრობს. „იმ ათას დოლარს თუ ვერ ჩაიგდებს ბელში, მართლა მოკვდება ის უბედური“.

„ნუ გეშინია, არ მოკვდება“, ამბობს შერიფი.

ოთხშაბათს, დილის სამ საათზე, ქალაქში ვიღაც ზანგმა უბელო გორი შემოაგელვა. შერიფს შინ მიადგა და გააღვიძა ჯეფერსონიდან ოცი მილით მოშორებული ზანგური ეკლესიიდან მოსულიყო, პირდაპირ ლამის ლოცვიდან. თურმე წინა საღამოს, შუა გალობისას, ეკლესიაში რაღაც საშინელი ამური გაუგიათ. მლოცველები ამ ხმაურზე შეტრიალებულან და კარებში უცნობის ლანდი დაუნახავთ. კარი ჩაკეტილი არ ყოფილა, ღია დაეტოვებინათ. უცნობს კი, ეტყობა, მთელი ძალით მოექაჩა საბელური, მოექაჩა და ისეთი გამეტებით მიეჩახუნებინა კარი კედელზე, ამ ჯახანს დამბაჩის გავარდნასავით ჩაურშვია შეწყობილი გალობა. მერე, უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუქში, სწრაფად გაუვლია სკამებს შორის და კათედრისკენ დაუღერებია თავი. საიდანაც ჯერაც ხელებაპყრობილი და პირდაბჩენილი მღვდელი გადმოხედილიყო. მაშინდა გაურჩევიათ იმისი კანის ფერი. ვიდრე კათედრას არ მიუღლოვებია, ზეთის ორი ჭრაქით კიდევ უფრო ჩაყამებულ, ბლანტ, გამოქვაბულისებრ ბინდში ვერავის გაუგია, ვინ იყო და რა სულიერი, მერედა დაუნახავთ — ზანგი არ არისო — მერედა აწივლებულა ვიღაც ქალი, უკან მსაბრძონიკ გულგახეთქილნი წამოშლილან და გამოსასვლელს მისწყდომიან; თანამოეტა სკამზე მჯდომი მეორე ქალიც ლამის ტკუიდან გადასულა, წამომბატარა, თვალგადამოცევილი, თვალგადამოცევილი, ცოტა ხანს მიშტეობდა უცნობს და უკვილია — „ეშმაკია! სატანააო!“ მერე გაქცეულა, მაგრამ პირდაპირ უცნობს გადასწყომია ზედ, იმას კიდევ ისე უბგუტია სახეში, უკვიც არ შეუხელებია, წაქცეულისთვის გადაუბიჯებია, დაზაფრული, დასაკვივლებლად პირდაბჩენილი ხალხის ზღვა გაურღვევია, კათედრაზე ავარდნილა და ახლა მღვდელს ჩაფრენია კისერში.

„არც მაშინ უბლია იმისთვის ვინმეს ხელიო“, ჰყვებოდა მაცნე. „ისე უცნობს მოხდა ყველაფერი, ისიც ვერ გავიგეთ, ვინ იყო, რას გვეჩოდაო“. ქალები ყურისწამლებად კიოლნენ თურმე, უცნობი კი კათედრაზე შემბატარა და მშა ბედენბერის დასძვარებია. მშა ბედენბერი, როგორც შეეძლო, უყვავებდა და ამშვიდებდა თურმე, ის კი სახეში სცემდა და კათედრიდან აგდებდა. ისეთი წივილ-კივილი მდგარა ირგვლივ, არავის გაუგია, რას ეუბნებოდა მშა ბედენბერი უცნობს. მაგრამ ხელის შებრუნებაც რომ არ უფიქრია, ყველა ბედავდა. მერე, დიაკვანთან ერთად, ჩამდენიმე დარბაისელი კაციც ასულა



კათედრაზე და ახლა იმათ უცდიათ უცნობთან გამოლაპარაკება. იმას კი ძმა ბედენბერისთვის თავი გაუნებებია და ერთი ისეთი უთაქებია სამოცდაათი წლის მამილო ტომპსონისათვის. საცოდავი პირდაპირ მონანიცთა სკამზე გაშოტილა. მაშინ უცნობსაც გადმოუღაჭებია კათედრიდან, სკამს დასწვდენია, თავზემთ დაუტრიალებია და ჭიქურ წამოსულა ხალხისკენ, რა უნდა გვექნა. სხვა რა უნდა გველონა — გზა ვუტიეთო“. — ჰყვებოდა მაცნე. „ეკლესიაში ისეთი გნიასი და ვაი უშველებელი იდგა. ძლივს გამოვალწიეთ იქიდანო“. ის კი ისევ კათედრაზე ასულა, თავფეხიანად ტალახში ამოთხვრილი, გაბურძგნული და გაუპარსავი, ძმა ბედენბერის ადგილზე უტიფრად გაჩგიმულა და მღვდელივით აღუბრია ხელები. ასე იდგა და ღმერთს აგინებდა თურმე ყვირილით, ისე ხმამაღლა გაჰყვიროდა, ქალების კივილიც კი ჩაუხშვია. სამაგიეროდ, მამილო ტომპსონის შვილიშვილს, როზ ტომპსონს, ორმეტრიან ახმახს, ძლივს აკავებდნენ თურმე, როზს გახსნილი სამართლებელი სჭერია ხელში „მოვკლავ, ძმებო, გამიშვით, სულერთია მოვკლავ. ბაბუაჩემს გაარტყა, ვეხვეწებით, გამიშვითო“. — ევედრებოდა თურმე თავისიანებს, ხალხი კარებს დაეძებდა, ერთმანეთზე გადადიოდა, თავ-პირის მტვრევით გამორბოდა გარეთ, ის კიდევ კათედრაზე მდგარა და ღმერთს აგინებდა, როზიც თურმე ისევ მოსაკლავად იწევდა, ძლივს აჩერებდნენ, კარებისკენ ექაჩებოდნენ, როზი კი — გამიშვით და გამიშვითო — გაჰვიროდა თავისას გამწარებული, როზი ერთხელაც გაქაჩულა, ძლივს გაუკავებიათ, იმას, ეტყობა, ხმაურობა გაუგონია და სიცილი დაუწყია კარებში მდგარა უკვე. შუქი უცნიდან ეცემოდა და ხმამაღლა იცინოდა, მერე კვლავ გინებას მოჰყოლია, მერე სკამის ფეხი მოუქნევია და ჯერ ერთი ქრაქის მსხერევის ხმა გაუგონიათ, კიდევ უფრო დაბნელებულა ეკლესიაში, მერე მეორისა და ახლა მთლად ჩამობნელებულა, როზი კი მაინც არა და არ წყნარდებოდა თურმე, „არ გაუშვა! არ გაუშვა! დაიჭიო!“ ჩურჩულით აყვირებულა ვილაც, მერე სხვასაც დაუძახია ხმამაღლა: „გაგვექცაო“ — და გაუგონიათ, როგორ გაქანებულა როზი ეკლესიისკენ, მაშინ უთქვამს დიაკვან ვაინსს მაცნესათვის, „როზი იმას მოკლავს, ჩქარა ჯორს მოახტი, შერიფი მოძებნე და რაც შენი თვალით ნახე, ყველაფერი უამბეო“. „გეფიცებით, არავენ ერჩოდა, უფროსო“, ჰყვებოდა ზანგი „არც ვიცნობდით, არც გვენახა, როზის გაკავებასაც გულით ვცდილობდით, ოღონდ როზი მოსული ბიჭია, იმანაც სამოცდაათი წლის ბაბუა გაულახა, თან სამართლებელი ეჭირა ხელში და ძალიან არ გაარჩევდა, ვინ დააკავებდა და ვინ გადაუდგებოდა გზაზე, თუმცა, ღვთის წინაშე, მაინც გულით ვცდილობდით გაგვეჩერებინაო“.

აი, ეს უამბო შერიფს, რადგან სხვა მაშინ, თვითონაც არაფერი გაეგებოდა. ქალაქში დაუყოვნებლივ წამოსულიყო და რა იცოდა, ზანგი როზი ამ დროს უკვე უგონოდ რომ ეგდო ეკლესიის მეზობლად, ქობში, არ იცოდა, ეკლესიაში შევარდნილს, კარებთან, სიბნელეში გალურსულმა ქრისტმასმა სკამის ფეხით, რომ გაუბო თავი, ერთადერთხელ დასცხო, გამეტებით, გაბოროტებით, ნაბიჯების ხმას დაუმიზნა, კარებში ვიყვივით შემოჭრილ ვეება ჩრდილს, და ლამის იმწამსვე გაიგონა გრუხუნით როგორ დაასკდა როზი გადაბრუნებულ სკამებს, მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ქრისტმასიც მაშინვე ვარეთ გამობრუნდა და ახლა ეკლესიის ეზოში გაჩერდა, სკამის ფეხი ისევ მაგრად ჩაებლუჯა, მშვიდად იყო, სუნთქვაც კი არ გახშირებოდა, წვეთი ოფლი არ გამოსელია, პირიქით, თითქოს გაგრილდა კიდევ და სიბნელეც გრი-



ლად ეკვროდა გარს. ეკლესიის ეზოს გათელილი, დატკეპნილი, უფერული მიწის ნახევარწრეს, ბუჩქები და ხეები შემოსჯარვოდა. ბუჩქნარი ბუჩქებით იყო საფსე. ქრისტმასი განუწყვეტლივ გრძნობდა იმათ მზერას. „მიცქერენ და მიცქერენო“, გაიფიქრა. „რა იციან, რომ ვერა მხედავენო“. ხარბად იხუნ-თქავდა ჰაერს; მერეღა შეამჩნია, თურმე კარგა ხანია სკამის ფეხს ეფარება. შებდა, ცნობისმოყვარედ, თითქოს წონას უსინჯავდა. თითქოს მანამდე არასოდეს სჭეროდა ხელში. „ხვალ ნაქდევს გავუყუთებო“, გაიფიქრა. სკამის ფეხი იქვე ეკლესიის კედელს მიაყუდა და პერანგის ჯიბიდან სიგარეტი და ასანთი ამოაძვრინა. ასანთს გაჰკრა და ვიდრე ყვითელი, უღონო ალი ძალას მოიკრებდა, ოდნავ გვერდზე თავგადაბრილი, წამით გაირინდა. უცებ ფლოქვების თქარათქური გაიგონა. უსმენდა, თანდათან როგორ ძლიერდებოდა და მერე ნელ-ნელა როგორ მიწყდა. „ჯორია“, თქვა არცთუ ისე ხმამაღლა. „ქალაქისკენ მიქრის მახარობელი“. სიგარეტს მოუკიდა, ასანთის ღერი წკიპტურტით მოისროლა, იდგა, ეწეოდა. ცეცხლის პაწია, ცოცხალ წერტილზე ზანგების მიშტერებულ თვალებს გრძნობდა. ვიდრე სიგარეტი ბოლომდე არ ჩაიყვანა, არც შერხეულა, თუმცა სიფიზლე წამითაც არ მოსდუნებია. მერე ზურგით კედელს მიეყრდნო და მარჯვენა ხელით ისევ სკამის ფეხს დასწვდა. ბოლო ნაფაზიც დაარტყა და ანთებული სიგარეტი წკრიპტურტით გატკორცნა ბუჩქებისაკენ, გატრუნული ზანგებისკენ. „ნაფაზი კიდევ გამოვა, ბიჭებო“, გასძაბა სიბნელეს და მისი ხმა მოულოდნელად, მჭანვდ გაისმა სიჩუმეში. ბუჩქნარიდან ჰაერში გაელვებულ სიგარეტი დაინახეს. ცოტა ხანს კიდევ უცქირეს მიწაზე მოციმციმეს, ოღონდ ის კი ვერავინ შეამჩნია. ქრისტმასი როდის წავიდა, რომელ გზას დაადგა.

მეორე დილით, რვა საათზე, შერიფიც ჩავიდა თავის რაზმიანძალლებიანად. ერთი ნადავლი მაშინვე ჩაუვარდით ხელთ, თუმცა ამ საქმეში ძალებს არავითარი წვლილი არ მიუძღვოდათ. ეკლესია ცარიელი იყო; ირგვლივ ზანგის ჭაქანება არ ჩანდა. რაზმი ეკლესიაში შევიდა და აუჩქარებლად მოაგლო თვალი წუხანდელ ნამუსრევს. მალევე გამობრუნდნენ უკან. ძალებშიც იმწამსვე აიღეს გეში, ოღონდ ვიდრე იმათ მიუშვებდნენ კვალზე, შერიფის თანაშემწემ მანამდე იბოვა კედლის ბზარში გარკობილი ქალაღის ნაგლეჯი. ქალღლი აშკარად შეგნებულად დაეტოვებინა ვილაცას, როცა გახსნეს, ცარიელი, საგულდაგულოდ გასწორებული სიგარეტის კოლოფი შერჩათ ხელში. რომლის შიგნითა, სუფთა მხარეზე რამდენიმე სიტყვა ეწერა ფანქრით, დაუდევრად, გაუწაფავი ხელით ან იქნებ, სიბნელეში დაწერილი ერთადერთი, უწმაწური, ხელმოუწერელი ფრაზა პირადად შერიფისადმი იყო მიმართული. „სომ გეტბნებოდით?“ თქვა რაზმის ერთ-ერთმა წევრმა. იმასაც წვერი მოეშვა უტოლცილივით, რომლისთვისაც ჯერ შორიდანაც არ მოეკრათ თვალი, ისიც ტალღაში ამოგანგლულიყო, დაძაბული სახე იმედისგაცრუებისა თუ შეურაცხყოფისაგან შეშლოდა და ხმაც ჩაბრინწვოდა, თითქოს ეს-ესაა ყელი ყვირალით ჩაუხვეია. ანდა, კარგა ხანი გაუჩერებლივ ულაპარაკიაო. „სულ ვამბობდა! სულ ამას გიჩიჩინებდით!“

„რას მეთბნებოდით?“ ჰკითხა შერიფმა. ცივი, აუღელვებელი ხმა ჰქონდა, გაყინული თვალებით მისჩერებოდა და ქალაღის ნაგლეჯიც ჯერ ისევ ხელში ეჭირა. „რა მითხარი და როდის?“ მეორე უხმოდ შესცქეროდა, აღშფოთებული, სასოწარკვეთილი, ეტყობოდა, ცოტაც და საბოლოოდ გაუწყდებოდა მოლოინების ძაფი; იმის შემხედვარე შერიფის თანაშემწემ გაიფიქრა. „არა“



ჩილდო თუ ვერ მიიღო, ნამდვილად მოკვდება ეს უბედურიო“. თან რაღაცის თქმასაც კდილობდა. პირი დაეღო, ოღონდ ხმა კი არ ამოსდიოდა, თავ-გზააზნიული დაეკვებულა. გაოცებული იდგა. „შენ ვერჩეხარ, ჩემი ნათქვამი დაიხსომო“, უთხრა შერიფმა. ისევ ცივი, ისევ მშვიდი ხაით „მ/ც ხომ გითხარი? თუ არ მოგწონს, რასაც ვაკეთებ, კეთილი იხვეწეხარ, თქვენს დაე-ტიე. იქ შენთვის ერთი კარგი ადგილი შეგულება. გრძობა-სიყვარული-ლად რას იხრუკები? არ თქვა ახლა, არ გითქვამსო.“

იმან პირი დამუწა, თითქოს დიდი ძალდატანების ფასად შერიფს თვალი აარიდა და, თითქოს დიდი ძალდატანების ფასადვე — „პოო“, — ამოიხრა-ალა სულშეხუთულმა.

შერიფი მძიმედ შეტრიალდა, თან ბარათს ჭმუქნიდა. „პოდა, მაშინ ეცადე ჩემი ნათქვამიც აღარ ამოგივარდეს თავიდან. თუკი საერთოდ გაბია მხრებზე თავი“. დილის მზის შუქში იდგნენ, მშვიდი, საკმიანი სახეებით გარ-შემორტყმულნი. „ისე, ჩვენში დარჩეს და, ძალიან კი შეეკვება“. დაუმატა ბოლოს, ვილაცამ დაიბორბოცა, ერთხელ, როყოოდ, „გეყოთ ხმაური“, გაბ-რაზდა შერიფი. „წასვლის დროა, ძაღლები მიუშვი, ბუფ“.

ძაღლები მიუშვეს, ოღონდ ღვედები ჯერ მაინც არ მოუხსნიათ. იმათაც მაშინვე იპოვეს კვალი. კარგი კვალი იყო, ნამის წყალობით იოლი მისადევ-ნი, არც ლტოლვილი კლია კვალის დამავას წყაროს ნაპირას, სადაც, ეტ-ყომა, წყლის დასაღვეად ჩაემუხლა. მისი მუხლები და ხელების ანაბეჭ-დიც ჩანდა. „ჯერ არასდროს შემხვედრია მკვლელი, თავისი მღვერები უკე-თესად სცნობოდეს“, თქვა შერიფის თანაშემწემ. „ოღონდ ამ შტერს, ეტყო-მა, ძაღლების არსებობა საერთოდ დავიწყებია“.

„ძაღლებით არ დავდევთ კვირიდან მოყოლებული?“ თქვა შერიფმა. „და ჯერაც ვერ დაგვიჭერია“.

„ის რა კვალი იყო?! დღევანდელამდე წესიერი, ცხელ-ცხელი კვალი არც გვიპოვია, ახლა კი, როგორც იქნა, დაუშვა შეცდომა, დღეს უმჯველად ივიუ-ვანთ, იქნება შუადღემდეც დავიჭიროთ“.

„აღდგომა და ხვალეთ, იქნებ მაგ დროს მეც მოვესწრო“, თქვა შერიფმა. „მოვესწრებით“. მიუგო თანაშემწემ. „ვერა ხედავთ, ლიანდაგივით ვაჭი-მული კვალია, ლამის მარტოკა მივყვე, შეხედეთ, აგე, როგორ მოჩანს ნაფე-ხურები, იმ შტერს იმდენი ქუთაც არ ეყო, შარაზე გადასულიყო, მტვერში, ამ ნაკვალევის ბოლოს ძაღლები ათ საათამდე მიაგნებენ“.

ასეც მოხდა, მალე ნაკვალევმა მკვეთრად, სწორი კუთხით გადაუხვია გვერდზე, მღვერებიც მიწაში ცხვირჩარგულ, მოწადინებულ ძაღლებს მიჰყე-ნენ და გზაზე გამოვიდნენ. ძაღლებმა ცოტა კიდევ ირბინეს, მერე ისკუბეს და ისევ გადაცვივდნენ გზიდან, მინდორში ეულად მდგომი ბამბის საწყობიდან ჩამომავალი ბილიკისკენ იბრუნეს პირი, არეულ-დარეულად, წვალებ-წვალე-ბით, ხმამაღლა აყეფდნენ ერთხელაც, აწკმუტუნდნენ, აღეგზნენ და ახალი ძა-ლით გაიწიეს. „რა შტერია!“ თქვა შერიფის თანაშემწემ. „აქ დამჭდარა და-სასვენებლად: აგე ნაკვალევი: იგივე რეზინის ქუსლებია, ერთი მილითაც აღარ გვისწრებს! აბა, ბიჭებო, წავედით!“ კვლავ განაგრძეს გზა, ძაღლებიც აყეფ-დნენ, ღვედები დაჭიმეს, ფეხი აჩქარებინეს მღვერებს, შერიფი გაუპარსავ კაცს მიუბრუნდა.

„აი, თუ კარგი ბიჭი ხარ, ახლა გადაგვისწარი, დაიჭირე და ის ათასი დო-ლარიც ჩაიჭიბე, პა, რაღას უცდი?“



იმას არაფერი უბასუბია; უკვე ძლივს იბრუნებდნენ ყველანი სულს, მით უმეტეს მაშინ, როცა ლამის მთელი მილი არბენინეს დაულოებელია და აყუფებულმა ძაღლებმა ბილიკ-ბილიკ აღმართში. სიმინდის უნიკალური მერვე უეცრად გაკმინდეს ხმა, უეცრად შეწყვიტეს ყეფა, თუმცა, წსდილი თუ არ ნომატებიით, ნამდვილად არ მოჰკლებიათ; კაცებიც მირბოდნენ სი- ძაღლე სიმინდების იქით ზანგების ქოხი იდგა: „იქ არის, თქვა შეიიფმა, თან დამბაჩას იღებდა ბუდიდან. „ახლა კი უურადლებით, ბიჭებო. იმასაც ექ- ნება იარალი“.

ყველაფერი გონივრულად და ოსტატურად გაკეთდა: ჩასაფრებული, შე- იარაღებული მღვვრები უხმაუროდ შემოურტყნენ გარშემო სახლს, შერი- ფი კი. ეს ვეებერთელა და ზონზრონა კაცი, თანაშემწესთან ერთად საოცა- რი სისწრაფით მიიჭრა ქობთან და ისე აეკრა კედელს, ლტოლვილს ვერცერ- თი ფანჯრიდან რომ ვერ დაენახა. მერვე კედელ-კედელზე შემოურბინა ქობის კუთხეს, კარი წიხლით შეაღო და დამბაჩამომარჯვებული შიგნით შევარდა. ქონში ზანგის ბავშვი დაუხვდა. დედიშობილა იჯდა ჩამქრალ კერიასთან და რაღაცას ლოღნიდა. ეტყობა, შინ მარტო იყო, თუმცა წამის შემდეგ ტი- ხარს იქიდან ქალიც გამოვიდა. გაოცებისგან პირი დააღო და ხელიდან ტაფა გაუვარდა. კაცის ფეხსაცმელები ეცვა, შერიფის ერთ-ერთმა რაზმელმა მაშინვე იცნო. ქალმა უამბო, გამთენიისას როგორ შეხვედროდა გზაზე ვილაც აეთრკანიანი და როგორ გაეცვალათ ფეხსაცმელები: ქალს ქმრის უხეში წა- ლები სცმოდა და უცნობსაც, სანაცვლოდ, სწორედ ისინი წაეღო. შერიფი ამისამოუღებლად უსმენდა. „სად მოხდა ეს ამბავი, ბამბის საწყობთან?“ ჰკითხა ბოლოს. „პოო“. დაუდასტურა ქალმაც. შერიფი ისევ თავისიანებთან დაბრუნდა, ალგზნებულ, გაქაჩულ ძაღლებთან. ვიდრე რაზმელები შეკითხ- ვას შეკითხვაზე აყრიდნენ, ძაღლებისთვის თვალი არ მოუშორებია, მერვე ყვე- ლანი გაჩუმდნენ. უხმოდ შეაცქერდნენ შერიფს. იმან დამბაჩა ისევ ბუდეში ჩააბრუნა და თითო მძიმე წიხლი უთავაზა ძაღლებს. „მომამორეთ ეს ქარა- ქუცებიო“. — ბრძანა.

შერიფი მუყაითი ოფიცერი იყო. თვითონაც და მისმა რაზმელებმაც მწვენივრად იცოდნენ, ისევ ბამბის საწყობთან დაბრუნება რომ მართებდათ, სადაც. მათი ღრმა რწმენით, მთელი ამ ხნის მანძილზე იმალებოდა ქრის- თმასი. თუმცა, არც იმის იმედი ჰქონდათ, ლტოლვილი ისევ იქ დაგვიხდე- ბო. ძაღლები რის ვაი-ვაგლაბით მოაშორეს ქობს და ათი საათის კაშკაშა მზე- შილა შემოარტყეს ალყა ბამბის საწყობს — ისევ ოსტატურად, ისევ უხმაურ- როდ, ყველა წესის დაცვითა და ყოველგვარი იმედის გარეშე; საწყობში შეც- ვენილებს, ერთი გაოცებული და გულგანეტქილი ვირთაგვის მეტი არაფე- რი უბოვიათ. ახლა მხოლოდ ძაღლების იმედი თუღა ექნებოდათ, არადა, ასანიც სათოფეზე არ ეკარებოდნენ საწყობს; ცოცხალი თავით გზიდან ფე- ზის მოცვლას არ აპირებდნენ, იქაჩებოდნენ, ლამის საყელოებიდან გამომძვ- რალიყვნენ და ისევ უკან, ქობისკენ იწევდნენ, ქობისკენ მიილტვოდნენ, სა- რდანაც ძლივს წამოეთრიათ. ორი კაცის ღონე დასჭირდა იმათ მოყვანას, მაგრამ, ღვედები ოდნავ მოუშვეს თუ არა, ერთდროულად მოსწყდნენ ად- გილს. წინ გავარდნენ, საწყობს შემოურბინეს, კედლის ჩრდილში, ჭერაც ნამიან სარეველაში ცოტა ხანს ყნოსეს ლტოლვილის ნაფებურები და კვლავ გზისკენ გაქანდნენ, ის ორი კაციც დაახლოებით თრმოცდაათი იარღი ათ- რივს და არბენინეს, ვიდრე დიდი წვალემა-ჯაბირის ფასად ღვედებს ხეზე



გამობაქმნიან და ასე დააოკებდნენ გადარეულ ძალებს. ამხერად შერიფს უილიამ ალარ გაუშვებია მათთვის.



როგორც იქნა მიწყდა, როგორც იქნა ჩათუდა ნადეზჟდინისი და ორომტრიალი, წადირობის ხმაური და მძვინვარება. კაუჩინს-მარტინს რომ ჩაირბინეს, ქრისტმასი ბამბის საწყობში აღარ იყო. შერიფს ვარაუდი არ გაუმართლა, იქ მხოლოდ წაღების შესაკრავად შევოვნდა: შავი, ზანგის სუნიტ გაეღენთილი ფეხსაცმელების შესაკრავად. ფეხსაცმელები რკინის მადნიდან ბლავვი ცუდით გამოჩორკნილებს ჰგავდა. ერთი კი დახედა ამ უბეშ, დაუშთავრებელ, ტლანქ უფორმობას და — „ჰაჰო“, — გამოსცრა კბილებში. ეჩვენებოდა, თითქოს გვერდიდან ადევნებდა თვალს საკუთარ ვაწამაწიას, საკუთარ თავს, თეორიკანიანი მდევრების მიერ, ბოლოს და ბოლოს, შედენილს, ბოლოს და ბოლოს, მიმწყვდევულს შავ მორევში, რომელიც ოცდაათი წელი ცდილობდა, ოცდაათი წელი ელოდა მის ჩაღრჩობას და ახლავა აესრულებინა საწადელი — ავი თვალნათლავ აჩნდა კოჭებთან, სადამდისაც ჩაფლული-ყო უკვე.

განსიადია, მზე ეს-ესაა ამოიწვერა: ვანაცრისფრებულ, გაუკაცურებულ მდუმარებაში მწყობად, გაუბედავად იღვიძებენ ჩიტები, პაერი წყაროს წყალივით კამკამებს, ქრისტმასიე ხარბად, სვენებ-სვენებით ისუნთქავს პაერს და გრძნობს, ყოველი ჩასუნთქვისთანავე თვითონაც როგორ ითქვიფებან სინაცრისფერეში, თვითონაც იმ მდუმარებისა და სიმშვიდის ნაწილი ხდება, რომლისთვისაც ერთნაირად უცნობია მძვინვარებაცა და სასოწარკვეთაც. „მეტე არც არაფერა მდომებთაო“, ფიქრობს დაწყნარებულად, გაოცებულად. „სულ ეს იყო: ოცდაათი წლის მანძილზე, განა რა იმდენი მითხოვია ოცდაათ წელიწადში“

ოთხშაბათს აქეთ თითქმის არ სძინებია, მერე ოთხშაბათი ისევ დადგა და გავიდა კიდევ, თუმცა თვითონ არც იცის, როცა დროზე ფიქრობს, ეჩვენება, თითქოს ოცდაათწლიანი ცხოვრება სახელდებული, დათვლილი, მარგილებით ჩარიგებული დღეების მესერს მიღმა გაატარა — ხოლო ერთ დღის ნეაერს გარეთ გამოუღვიძა, მოულოდნელად, თავიდან, მას მერე რაც პარასკევს ღამეს ჯეჯერსონიდან გამოიქცა, ძველი ჩვეულების კარნახით ცოტა ხანს კიდევ ცდილობდა დღეების სათვალავი არ არეოდა, ერთხელ თავის ზეინში გაათია ღამე და სწორედ იმ დროს გაახილა თვალი, როცა შორიან-ლოს მდებარე ფერმაც ის-ის იყო იღვიძებდა, ჯერ დაიხანა, ყვითლად როგორ შეცურდა სამზარეულოში ღამპა, მერე, ნაცრისფერ დილაბნელში, ცულის გამოზომილი, ვრუ დარტყმები გაიგონა, ცოტა ხანში კი ბოსლიდან ახლად გაღვიძებული აქონლის ბლავილი და კაცების ნაბიჯების ხმაც მოესმა, ბოლოს, კვამლის სუნაც ეცა, კვამლისა და ცხელი, მძაფრი საჭმლისა, რამდენჯერმე ჩუმად, თავისთვის გაიმეორა მას მერე არ მიჭამია, მას მერე არ მიჭამია ცდილობდა გაუხსენებინა, რა დრო გასულიყო პარასკევს ჯეჯერსონის რესტორანში ვახშმობის შემდეგ, გაუნძრევლად იწვა, მოუთმენლად ელოდა, როდის მოამთავრებდნენ კაცები საუზმეს, როდის წავიდოდნენ მინდორში, და უეცრად ჰამაზე უფრო მნიშვნელოვნად იმის გაგება მოეჩვენა, რა დღე იყო, კვირის რომელი დღე დამდგარიყო, ამიტომაც, როცა, ბოლოს და ბოლოს, კაცები შინიდან გაეტყვენ და თვითონაც ფერმისკენ დაეშვა, რბილად, ჩალისფრად დაღვრილ მზეში შეაბიჯა და სამზარეულოს კარს, მიადგა, საჭმლის



თხოვნა აზრადაც არ მოსვლია. არადა, აპირებდა, გრძნობდა კიდევაც, როგორ მწყრივდებოდნენ გონებაში მაგარ-მაგარი სიტყვები და როგორ მოიწევდნენ ენის წვერისკენ. სამზარეულოდან გამხდარმა, ტყავივით გამომშრალმა ქალმა გამოხედა, ერთი კი შეათვალიერა და ისეთი შიში, ისეთი შეძრწუნება ჩაეღვარა თვალეებში, ეტყობოდა, იმის ყურამდეც უნდა მიქცებოდა — ქრისტმასის ამბავს მიცნობს. ამასაც მოუკრავს ყური გაიფიქრა და ვიდრე ფიქრს დაასრულებდა, მანამდე გაიგონა საკუთარი მშვიდი ხმა: „ხომ ვერ მეტყვით, დღეს რა დღეა? სხვა არაფერი მინდა, მხოლოდ ამის გასაგებად მოვედიო“.

„რა დღეა?“ ქალსაც, ქრისტმასივით, ხმელი საბე ჰქონდა, ქრისტმასივით გამხდარი, ქრისტმასივით დაულალავი და ნატანჯი სხეული. „აქედან დამეკარგე!“ აყვირდა უცებ. „სამშაბათია! აქედან დამეკარგე! იცოდე, ჩემს კაცს დავუძახებ!“

„მადლობთო“, — თქვა ქრისტმასმა წყნარად, როცა ქალმა ცხვირწინ მიუჩახუნა კარი. მერე უკვე გარბოდა. არ ახსოვდა, როდის გაქცეულიყო. ცოტა ხანს ეგონა, შორეული მიზანი მიხმობს, ამ მიზნისაკენ მივრბივარო, თითქოს ფეხებს სირბილშივე გახსენებოდათ რაღაც, ფეხები მიარბენინებდნენ დაუკითხავად და ამიტომ, აღარც იმაზე სჭირდებოდა ტვინის ჰყლეტა, ასე გივივით რად გავრბივარო. მით უმეტეს, სირბილი არ უჭირდა, პირიქით, სიმსუბუქეს გრძნობდა, წონა დაჰკარგვოდა. მთელი სისწრაფით მიქროდა და ვიდრე არ წაიქცა, მაინც სულ ეჩვენებოდა, საერთოდ ვერა ვგრძნობ ფეხებს, მიწას არც ვაკარებო. არაფერს წამოსდებია, მთელი ტანით კი გაიშლართა, თუმცა ერთი პირობა ჯერ ისევ ეგონა, არაფერი მომსვლია. ისევ მივრბივარო. არადა, გადახნული მინდვრის ნაპირას ეგდო, დამშრალ თბრილში სახე-ხარგული. „ადგომა აჯობებსო“, თქვა. წამოჯდა კიდევ და ნახა, მზეს ნახევარი გზა დაარჩენოდა მუბის ტარამდე, ოღონდ ახლა მეორე მხრიდან დანათოდა. იფიქრა, ალბათ მხარი მეცვალაო. მერელა მიხვდა, მოსალამოვებულაო. დილით წაქცული, სალამოსლა წამოდგა ფეხზე, თუმცა თვითონ დარწმუნებული იყო, მაშინვე წამოვჩქეიო. „მეძინაო“, გაუელვა ფიქრში „ექვს საათზე მეტი მეძინა, იქნებ, სირბილში ჩამეძინა, კი, სწორედ ასე იქნებოდაო“.

გაოცებით მაინც არაფერს გაუოცებია. დროს, სინათლისა და სიბნელის მონაცვლეობას, უკვე კარგა ხანია დაერღვია დადგენილი წესრიგი. ველარ გაეგო. როდის დღე იყო და როდის ღამე — მართლაც ისე უეცრად, ერთ წამში, თვალისდახამხამებაში სცვლიდა ბნელს ნათელი და ნათელს ბნელი. კერც იტყოდა, როდის გადადიოდა ერთიდან მეორეში, ეძინა, მაგრამ არ ახსოვდა, როდის დაწოლილიყო. გზას ადგა და ვერ გაეხსენებინა, როდის გაქვდივებოდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ თივის ზვინში, თბრილსა თუ მიტოვებულ ფარდულში ძილს დაუყოვნებლივ ახალი ღამე მოსდევდა, დღე აღარ არსებობდა, გზის გასაგნებად აუცილებელი დღის სინათლე; ზოგჯერ დღესაც ისევ დღე მოსდევდა, ისევ სირბილი, ისევ დავიდარაბა, თითქოს მზე კი არ ჩადიოდა, პორიზონტისკენ მიმავალი, უცბად იცვლიდა გეზს, უკან, საპირისპირო მიმართულებით აგრძელებდა სვლას და ახლა სიბნელეს, ძილს, დასვენებას ხდიდა სანატრელს. როცა ზეზეურად, ანდა წყაროსთან წყლის დასალევად ჩამუხლულს ჩაეძინებოდა ხოლმე, არასოდეს იცოდა წინასწარ, მზით გაჩახჩახებულ თუ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ გაახელდა ხელახლა თვალს.



თავიდან, ცოტა ხანს, განუწყვეტლივ შიოდა, დამბალ, მატლების გამობრულ ხილს აგროვებდა და იმას ჭამდა: ხანდახან ყანაშიც გაუბებარებოდა ხოლმე და ჩაცუცქული ღრღნიდა სიმინდის მწიფე კარტოფილის სხეხივით მაგარ ტაროებს. განუწყვეტლივ ჭამაზე ფიქრობდა, სულ ნაირნაირი კერძები ედგა თვალწინ, სამი წლის წინ სამზარეულოს მაგისტრის ნაშენების გაწყობილი ვახშამიც ახსენდებოდა, არც ის დავიწყებოდა, როგორ დინჯად, აუჩქარებლად ათამაშებდა ხელში საჭმლიან თეფშებს, ვიდრე გამეტებით მიახლიდა კედელს და ეს მოგონება სინანულის, სინდისის ქენჯნის, გაათორების მტანჯველ, დაუძლეველ გრძნობას ბადებდა. მერე, ერთ მშვენიერ დღესაც, შიმშილი თავისთავად გაუქრა. მოულოდნელად, უმტკივნეულოდ მოხდა ყველაფერი, დამშვიდდა კიდეც, ერთბაშად დაცხრა. არადა, იცოდა, უჭმელობაც არ იქნებოდა. ამიტომაც, თავს ძალას ატანდა, ძალისძალად იტენიდა პირში დამბალ ხილსა თუ მაგარ სიმინდს და ნელ-ნელა, საქმიანად, უგემურად ლეჭავდა. უამრავს ჭამდა, მერე კი სისხლზე გადიოდა. თუმცა, მაინც ხელახლა, ლამის დაუყოვნებლივ, ისევ ჭამის სურვილი უჩნდებოდა. ოღონდ მოთხოვნილებას კი არ უხდიდა ხარკს, აუცილებლობის შეგნებით იყო ერთიანად შეპყრობილი. ცდილობდა და ვერ იხსენებდა უკანასკნელად როდის შეეჭამა აღამიანური, ცხელი კერძი. ბუნდოვნად შეიგრძნობდა რაღაცას, ბუნდოვნად ხედავდა რაღაც სახლს თუ ქოხს, ოღონდ ვერაფრით გაერკვია რომელი იყო — სახლი თუ ქოხი, თეთრკანიანებისა თუ ზანგების ბინა. მერე, ერთხელაც, როცა დაქანცული იჯდა და ისვენებდა, როცა გამზდარ, დაღლილ, გაუპარსავ სახეზე ნეტარი რინდი გადაჰფენოდა, უეცრად ზანგის სუნი ეცა. არ შერხეულა (ზურგით ხეს მიყრდნობოდა, წყაროსთან, თავი უკან გადაეგდო, ხელები კალთაში დაეკრიფა და ნატანჯ-ნაწამები სახე დამშვიდებოდა), ზანგური კერძის, ზანგური საჭმლის სუნსა გრძნობდა და ხედავდა კიდეც ამ საჭმელს. ოთახში იყო. არ ახსოვდა, როგორ მოხვედრილიყო იქ. ოთახში პანიკურ შიშსა და თავზარდაცემას დესადგურა. თითქოს მოულოდნელი საფრთხით გულგახეთქილი ბინადარნი ცოტა ხნის წინ თავქუდმოგლეჯილნი გაცვენილიყვნენ გარეთ. თვითონ მაგიდასთან იჯდა, იცდიდა, არაფერზე ფიქრობდა ამ მდუმარე, დაზაფრულ სიცარიელეში. მერე საჭმელი დაინახა, საჭმლიანი თეფში გრძელ, მოქნილ, შავ ხელებს მოჰქონდათ და, ვიდრე მაგიდაზე დადებდნენ, თითქოს იმათაც სულ გაქცევაზე ეჭირათ თვალი. არ უსმენდა, ოღონდ მაინც ესმოდა ლეჭვისა და ყლაპვის ხმებში არეული, გაქცეული და მიმალული ხალხის ოხვრაზე უფრო ჩუმი, შეძრწუნებული და მწუხარე მოთქმა-გოდება. „ზანგების ქოხში ვიყავიო“. გაიფიქრა. „იმათ კი ეშინოდათ. თავიანთი ძმისა ეშინოდათ“.

იმ ღამეს უცნაური სურვილი დაებადა. დასაძინებლად იწვა. მაგრამ ძილი არა და არ ეკარებოდა თითქოს, სწორედ ისევე, როგორც კუჭი აღარ იკარებდა ძალდაუტანებლად მობეზრებულსა და უსარგებლო საკვებს. უცნაური კი ის იყო, ვერაფრით რომ ვერ მიმხვდარიყო. ვერაფრით აეხსნა, საიდან ან რატომ გასჩენოდა ამგვარი სურვილი: თურმე ცდილობდა, გამოეთვალა კვირის რომელი დღე იდგა. თითქოს, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ახლალა დაეუფლებოდა დაეინებული და ჭიუტი მოთხოვნილება ერთხელ და სამუდამოდ გადაესვა ხაზი უკვე განვლილი დღეებისათვის დღეთა იმ მარაგიდან, რომელნიც გარკვეულ მიზანს, გარკვეულ დღესა თუ საქციელს აშორებდნენ და, თან არც დაეკლო სათვალავისთვის რამე და არც გადაეჭარბებინა. სწორედ ამ მოთ-



ხოვნილებით შეპყრობილი მინებდა უგონობასაც, რადაც ახლა ძილი ქცეულ-  
ყო მისთვის, ხოლო როცა ნაცრისფერ, ნამიან ალიონზე გამოეღვირა, მოთ-  
ხოვნილებას იმდენად მკაფიო სახე მიეღო, უკვე უცნაურადაც აღარ მოსჩვე-  
ნებია.



თენდება, მზე ეს-ესაა ამოიწვერა. ქრისტმასი წყაროზე ქაფუხუხულადან  
სამართებელს, ფუნჯსა და საპონს იღებს. ვერ ისევ ბნელა. მზე-მზე მთა-  
ვერ არჩევს საკუთარ სახეს და ცოტა ხანს იცდის, გათენებას ელოდება. მე-  
რელა ისაპნავს ლოყებს მოთმინებით, წყალი ცივია, სუსხიანი, ხელი უკანკა-  
ლებს, ჩქარობს, ოღონდ ისეთი ქანცაწყვეტილია. მთელი ნებისყოფის მოკ-  
რება უხდება, სამართებელი რომ არ გაუვარდეს. სამართებელი დაბლაგვე-  
ბულა: ცდილობს წალის ყელზე გაღესოს. მაგრამ ტყავი ნამს დაუცვარავს,  
რკინასავეით გამაგრებულა, რის ვაივაგლახით იპარსავს. ხელი უკანკალებს;  
მაინც ცოდვილობს და სამჯერ თუ ოთხჯერ იჭრის კანს, სისხლის დენას ცივი  
წყლით იჩერებს. მერე საპარს მოწყობილობას ისევ ჯიბეში ინახავს და მიდის,  
შეუძლია იოლი გზა აირჩიოს, მინდორში გადავიდეს, მაგრამ ჯიუტად სწორ  
ხაზზე მიაბიჯებს. ცოტა ხანში შარაზე გადის და გზის პირას ჯდება. უკაც-  
რიელი, მღუმარე შარა უჩუმრად გაწოლილა მის თვალწინ, უჩუმრად იკარგება  
შორეთში; უფერულ მტვერს იშვიათი ფორნების ვიწრო ნაკვალევი და ცხე-  
ნებისა და ჯორების ნაფეხურები ამჩნევია. აქა-იქ — ადამიანის ნატერფა-  
ლიც. ქრისტმასი გზისპირას ზის, უპიჯაკოდაა, ერთ დროს თეთრი პერანგიცა  
და ოდესღაც გაუთოვებული შარვალიც გასტუტყუიანებია, ტალახით მოთხვრია,  
იმისი გამხდარი სახე აქა-იქ შერჩენილ წვერსა და შემხმარ სისხლს დაულა-  
ქავს, დაღლილობისა და სიცივისგან ოდნავ შესამჩნევად კანკალებს, მაგრამ  
მაღე მზე ძალას იკრებს და თანდათან ათბობს ცოტა ხნის შემდეგ მოსახ-  
ვევში ორი ზანგი ბავშვი გამოჩნდება, ნელ-ნელა უახლოვდებიან. ვიდრე ხმას  
არ ამოიღებს, ქრისტმასს ვერც ამჩნევენ; მერელა შეშდებიან, ერთ ადგილას  
ქვავდებიან და თეთრად დაყვლებილი თვალებით მიიჩერდებიან. „რა დღეა  
დღეს?“ ეკითხება ახლა იმათ. ისინი კი ხმას არ იღებენ, დამუხჩებულნი შეს-  
ცქერიან. ქრისტმასი ოდნავ აქნევს თავს. „წადით“, ეუბნება ბავშვებს, ისინიც  
მიდიან. თვალს არ აყოლებს, ძველებურად ზის, ჩაფიქრებული მიშტერებია  
იმ ადგილს, სადაც წელან ბავშვები იდგნენ, თითქოს წყვილი ნიჟარიდან გა-  
მოვიდნენ, ნიჟარები კი იქვე დატოვესო. ვერ ხედავს, როგორ გარბიან თავ-  
ქუდმოგლეჯილნი.

თვითონაც ვერ ხედავს, გზისპირას ჩამომჯდარსა და მზით გამთბარს რო-  
დის ერევა რული — მოულოდნელად აფხიზლებს აელრიალეებულ-აქრიალე-  
ბული ხისა და რკინის საშინელი რაბარუხი და ფლოქვების თქარათქური.  
სწორედ იმ დროს ახელს თვალს, როცა ფორანი მოსახვევში უჩინარდება,  
ფორანში მსხდომნი მხარს ზემოდან გამოსცქერიან, მეფორნე კი გამალე-  
ბული იქნევს მათრახიან ხელს. „ამათაც მიცნესო“, ფიქრობს. „ამათაც, იმ  
თეთრკანიანმა ქალმაც და ზანგებმაც, ვისთანაც იმ დღეს ვქამე. თუ მოინდო-  
მებდნენ, ნებისმიერ მათგანს შეეძლო ჩემი დაქერა. მაგრამ ყველამ რატომ-  
ღაც გაქცევა ამჯობინა. ყველას ჩემი დაქერა უნდა, არადა, როცა თვითონვე  
ვეახლები ხოლმე და ლამისაა ვუთხრა კიდევ, აჰა, ბატონო, აგერა ვარ,  
არსად ვიმალები-მეთქი ჰო მართლა ვეტყოდი, ვეტყოდი, დამლალა ამდენმა  
წანწალმა და სირბილმა დავიღალე საკუთარი სიცოცხლის კვერცხებით სავსე  
კალათასავით თრევით-მეთქი, უკანმოუხედავად გარბიან. თითქოს ჩემი შეპყ-



რობის რაღაც სავალდებულო წესი არსებობდეს და თუ სხვანაირად ჩამიგდეს ხელში, იმ წესს დაარღვევენ“.

ისევე ბუჩქნარში ბრუნდება. თუმცა ახლა გაფაციცებული აქვთ და ფორჩის ჩმაც მანამდე ესმის, ვიდრე გამოჩნდებოდეს. ჯერ მაინც იმალება, ფორანი რომ გაუსწორდება. მაშინლა გამოდის გზაზე და მისი მხედრობის ხმა მალევე ხმადაღწის. ფორანი ბიძგით ჩერდება. მოწყუეტიან. ზანგი მისი მხედრობის უკან უვარდება; სახეზე იმასაც გაცხება აწერია, მერე ეტყობა, ქრისტმასს სცნობს და თავზარი ეცემა. „რა დღეა დღეს?“ ეკითხება ქრისტმასი.

ზანგი გაშტერებული, აბაჩამოვარდნილი უყურებს. „რრა ბრძანეთ?“ „რა დღეა-მეთქი დღეს? ხუთშაბათი? პარასკევი? ჰა? რა დღეა? ნუ გეშინია, არაფერს გიზამ“.

„პარასკევია“, ამბობს ზანგი. „ოხ, ღმერთო ჩემო, პარასკევი“.

„პარასკევი“, იძუორებს ქრისტმასი ისევე იქნევს თავს. „წადი“. ზანგი გამეტებით ურტყამს ჯორებს მათრახს, ჯორებიც დაფუტებულნი სწყდებიან ადგილს. ეს ფორანიც საშინელი სისწრაფით ეფარება თვალს. მათრახი გაუჩერებლივ ადი-ჩადის ზევით-ქვევით, მაგრამ ქრისტმასს ფორნისთვის უკვე ზურგი შეუქცევია. ისევე ტყეში შებრუნებულა.

ახლაც პირდაპირი გეზი აურჩევია, თითქოს მიწისმზომელის გავლებულ ხაზს მიჰყვებო, და არც მთას ეპუება, არც ხევს, არც ჭანჭრობს. თუმცა არ ჩქარობს. იმ კაცსა ჰგავს, ვინც მშვენივრად უწყის სადაა და საით მიდის, წუთის სიზუსტით გამოუთვლია, რა დრო დასჭირდება დანიშნულ ადგილამდე მისაღწევად. თითქოს ერთადერთი სურვილია შერჩენია, ერთადერთი ნატვრა — მშობელი მიწა ნახოს და, პირველად თუ უკანასკნელად, მთელი სისავსათ შეიგრძნოს კიდევ. სოფელში გაიზარდა და დავაუკაცდა, ფიზიკურადაც და გონებრივადაც იქაური გავლენით ჩამოყალიბდა. ოლონდ, ცურვის უცოდინარი მეზღვაურივით, მაინც ვერაფრით გაითავისა, ვერაფრით შეიცნო მისი ქეშმარიტი სახე და არსი. ახლაც უკვე მთელი კვირაა მის იდუმალ სანახებს აფარებს თავს. მთელი კვირაა ქურდულად დაიძურწება და, მიუხედავად ამისა, ვერაფრით ჩასწვდენია იმ მარადუცვლელ კანონებს, რასაც მიწა ემორჩილება. ცოტა ხანს, სანამ კვლავინდებურად დინჯად, აუჩქარებლად მიიბიჯებს, ასე ჰგონია, ვითომც სწორედ ის ახიჭებს სიმშვიდესა და სიწყნარეს, რასაც უცქერის და რასაც ხედავს, მაგრამ უეცრად, ქეშმარიტი პასუხიც უნათებს გონებას. გრძნობს, თითქოს ერთიანად გამოშშრალა შიგნიდან, წონა დაჰკარგვია. „საკმლისათვის თავის შეწუხება აღარასოდეს მომიწევსო“, ფიქრობს. „აი, ესაა სწორედ საქმეო“.

შუადღემდე რვა მილის გავლას ასწრებს. უკვე გზატკეცილზე გამოსულა, ხრეშმოყრილ გზაზე, ამჯერადაც რომ უწყევს ფორანს ხელს. ფორანი წყნარად, ხელ-ნელა ჩერდება. არც კოფოზე მჯდომ ზანგის ბიქს ეტყობა გაცხება ან შიში. „ეს გზა საითკენ მიდისო?“ ეკითხება ქრისტმასი.

„მოთსთაუნში, მეც იქით მივდივარ“.

„მოთსთაუნში, ჩეფერსონზე არ გაივლი?“

ბიჭი თავს იქეჭავს. „რო არ ვიცი ეგ საითაა. მე მოთსთაუნში მივდივარ“.

„კარგი“. ამბობს ქრისტმასი. „გასაგებია, გეტყობა, აქაური არ უნდა იყო“.

„არა, ბატონო, აქედან შორსა ეცხოვრობ, სამი დღეა გზაში ვარ, მოთს-“



აქუნში ერთი წლის უმობელის წამოსაყვანად მივდივარ, მაშაქემა იყიდა თქვენს მოთხოვნში მიბრძანდებით?

„აო“, პასუხობს ქრისტმასი კოფოზე აღის და ბიჭის გვერდით დება ფორანაც, გზას აგრძელებს. „მოთხოვნი“, ფიქრობს ქრისტმასი, გვერდისი ნამდე ოციოდე მილია. „ახლა შეიძლება ცოტათი მოვეშველებოდე თქვენს ფიქრშივე, „შვიდი დღეა, არ დამისვენია, რა იქნება, ცოტა სული მოვითქვა?“ ფორანაც ისე მიიჩნევა და ანანაევებს, ჰგონია დაეძინება, მაგრამ ვერ იძინებს, არც ეძინება, არც შია, დაღლილობასაც კი არ გრძნობს, სადღაც ამ გრძნობებს შორისაა მოქცეული, ამ გრძნობებს შუა გამოკიდულა და ნებისმიერი ფიქრისა და განცდისაგან დაცლილი, ფორნის რწევას აყოლილი, თითქოს თვითონაც პაერში ირწევა. დროისა და სივრცის სათვალავიც არე-ვია; იქნებ ერთი საათი გადის, იქნებ — სამიც, როცა ბიჭი ამბობს, აგე, მოთხოვნიო.

წინ იხედება, და უჩინარ მოსახვევს იქით ცაზე დაბლა გაწოლილ კვამლს ხვდავს; ისევ ძველ ქუჩას უბრუნდება, ქუჩას, რომელიც ოცდაათი წელიწადია მოიკლავნება, ამ მოკირწყლულ ქუჩაზე იოლად და სწრაფად დააბიჯებდა ხოლმე, ახლა ქუჩას სრული წრე შემოუხაზავს, თვითონ კი მაინც წრის შიგნით დარჩენილა. მართალია, ბოლო შვიდი დღის განმავლობაში მოკირწყლული ქუჩის მსგავსი შორიდანაც კი არ უნახავს არაფერი, მაგრამ მაინც უფრო მეტის გავლა მოახერხა, ვიდრე მანამდე, ოცდაათ წელიწადში. და მაინც, ჯერაც ისევ წრის შიგნითაა. „მართალია, შვიდ დღეში მეტი გავიარე, ვიდრე ოცდაათ წელიწადში, მაგრამ წრე კი მაინც ვერაფრით გავარღვიეო“, ფიქრობს. „ვერა და ვერ გავწყვიტე ჩადენილი და გამოუსწორებელი შეცდომების ჯაჭვიო“. მშვიდად ფიქრობს, კოფოზე ზის და ზანგის სუნით აქოთებული შავი ფეხსაცმელები ფორნის ფიცარზე მიუბჯენია: კოჭებთან ისევ ამჩნევია დაღლი — შავი მოქცევის აშკარა და მარადიული ნიშანი ნელ-ნელა მოუყვება მის ფეხებს და, სიკვდილივით, ჯიუტად მოიწევს სულ ზევით და ზევით.

მოთხოვნში, სადაც ქრისტმასი შეიპყრეს პარასკევს, ერთი მოხუცი ცოლქმარი ცხოვრობდა, პაინსება. უკვე საკმაოდ ბებრები იყვნენ, ზანგების მეზობლად, პატარა, ერთსართულიან, ფიცრულ სახლში ედოთ ბინა და ისეთ სიბინძურეში, ისეთ სილატაკესა და უსაქმურობაში ამოსდიოდათ სული, ქალაქს ვერაფრით აეჩხნა. რითი ირჩენდნენ თავს, საერთოდ რა აძლებინებდათ იმ საცოდავებს; უფრო ის აკვირვებდა ყველას, პაინსს უკანასკნელი ოცდაბუთი წლის მანძილზე არავითარი საქმე, არავითარი მუდმივი სამუშაო რომ არ გააჩნდა.

მოთხოვნში ოცდაათი წლის წინ გამოჩენილიყვნენ, თავიდან, ერთ მშვენიერ დღეს, ქალს მოჰკრეს თვალი, ჯერ სწორედ ის დაბინავდა პატარა სახლში, სადაც მას მერე მუდმივად ცხოვრობდნენ კიდევაც, თვითონ პაინსს კი, მომდევნო ხუთი წელი, მხოლოდ თვეში ერთხელ, ისიც შაბათ-კვირას თუ ხვდავდნენ ხოლმე, როგორც გამოირკვა, პაინსი მემფისში მსახურობდა, ოღონდ ზუსტად მაინც ვერაფერს დაადგინა, მემფისში რას აკეთებდა, რას საქმიანობდა, რადგან უკვე მაშინაც იდუმალებით მოცული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ვერ მიხვდებოდი, ოცდათხუთმეტი წლისა იყო თუ ორმოცდაათისა,



და ისეთი ცივი ისეთი შინაგან, ფახატაური და, ცოტა არ იყოს, შეშლილი  
 თვალებით "ცოლა" ცხერა, წამსვე დაუჭრობდა მოსაუბრეს ცნობისმოყვარე-  
 თბასოც და შეუთქმულ სიბრძნისა და სიბრძნისა სიბრძნისა სიბრძნისა სიბრძნისა  
 მზურალოდ გახლდათ — მარტაულები ვალორისი შებისი...  
 თუ ქალზე იღნავ უფრო ტანმოორჩილები, თითქოს სხვა თაყუანით გან-  
 სივადებულ მოდვმას განეკუთვნებოდნენ — მაგრამ, ამისთვის მომ-  
 დევნო ხუთიექვსი წელი, უკვე მას მერე, რაც ჰაინსი, ეტყობა, საბოლოოდ  
 დამკვიდრდა მოთსთაუნში, საბოლოოდ დაბინავდა ცოლთან ერთად თავიანთ  
 ბაწია სახლში, ვიღაც-ვიღაცები ხანდაზან მაინც ქირაობდნენ ხოლმე წვრილ-  
 მანი, შემთხვევითი და, როგორც თვითონ მიაჩნდათ, სწორედ ჰაინსის ძალ-  
 ლონისათვის ზედგამოჭრილი საქმისათვის, ოღონდ თავის დროზე ჰაინსმა ამა-  
 ზედაც უარი თქვა, ნეტავ, ახლა რაღას იზამენო, იწუხა ცოტა ხანს ქალაქმა,  
 მაგრამ ღარდი დიდხანს არ ვაძყოლია, არც მაშინ და არც მერე, უფრო მოგვი-  
 ნებით, როცა შეიტყო, ჰაინსს თურმე მთელი თლქი ფუხით რომ ჰქონოდა  
 მოვლილი და თან, თურმე, ზანგების ეკლესიებში ჭადაგებდა, როცა საკუთარ  
 რი თვალითაც იხილა, ათასში ერთხელ როგორ შეიძურწებოდნენ ხოლმე  
 უკანა კარბიდან ჰაინსების ბინაში ზანგი დედაკაცები საჭმლიანი თეფშებით და  
 როგორ გამოდიოდნენ იქიდან ხელცარიელნი: ერთი პირობა, მცირე ხანს, ამ  
 ამბებზედაც იმტვრია თავი, მაგრამ უწინდელივით მალევე დაივიწყა ყველა-  
 ფერი, დაივიწყა, ანდა, უბრალოდ მიუტევა ჰაინსს, რაკი ის ბებერიც იყო  
 და უწყინარიც; არადა, იმის ადგილას ნებისმიერ ახალგაზრდა კაცს, ალბათ,  
 დაუფიქრებლად აცვამდა ჯვარზე, აკაცები არიან: ზანგებს აურევიათ უბე-  
 დურებასთვის ტენი, ვინ იცის, იქნებ იანგებიც იყვნენო", მხოლოდ ესღა  
 თქვა და ამ საქმეზე ფიქრს თავი მიახება, თუმცა, შეიძლება ჰაინსს კი არ აბატა  
 ზანგთა სულის ბნისათვის ამგვარი თავგანწირული ზრუნვა, პირიქით, საკუთარ  
 თავს მიუტევა ამ ფაქტის უგულვებელყოფაც და ზანგების ნაწყალობევეზე  
 თვალის დახუჭვაც, მიუტევა, რამდენადაც ესაა სწორედ გონების ბედნიერი  
 უნარი — იოლად დაივიწყოს ყველაფერი, რაც კი სინდისისათვის ძნელად  
 მისაღები და ძნელად შესაგუებელია.



მოკლედ, მოელი ოცდახუთი წელიწადი მოხუც ცოლ-ქმარს ცხოვრების  
 არაფითარი სხვა ბილულა სახსარი არ მოეპოვებოდა და ქალიქიც, ერთი კა-  
 ცივით, შეგნებულად იბრძავებდა თვალს, შეგნებულად ცდილობდა არ შეემჩნია  
 ზანგი დედაკაცების მიერ სამადლოდ მიტახილი, თავდახურული თეფშები და  
 ქვაბები, თუმცა, მშვენივრად მოეხსენებოდა, ამ თეფშებისა და ქვაბების  
 უმრავლესობა აშკარად თეთრკანიანთა სამზარეულოებიდან რომ იყო გამობა-  
 რებული, სწორედ იმ სამზარეულოებიდან, სადაც ეს ზანგი დედაკაცები მზა-  
 რეულობდნენ, ალბათ, მართლა გონების გულმაფიწყობით აიხსნებოდა ყველა-  
 ფერი, ყოველ შემთხვევაში, ქალაქიც გულმოდგინედ არიდებდა თვალს და  
 მოხუცი ცოლ-ქმარიც ოცდახუთი წელიწადი საკუთარი სიმარტოვისა და ვა-  
 რიყულობის დამყაყებულ გუბეში ცხოვრობდა — ჩრდილო ბოლუსიდან გად-  
 მონგეწილი და გზაბნეული ორი ხარვერძივით თუ გამყინვარებას გადარჩე-  
 ნილი, რომელიდაც უცნაური, უსახლკარო და მიუსათარი ცხოველივით.

ცოლს, მართლაც თითქმის ვერსად ხედავდნენ, თუმცა ქმარი — რატომ-  
 დაც ყველასთვის ძია დოკად ცნობილი — უკვე შინაურ კაცად ქვეულიყო  
 ქალაქის მოვდანზე; წვირიან, ჩიი მოხუცს, — ნათელმზილველსა თუ გამოუს-  
 წორებელ ეგოისტს, — ვისაც სახეზე ოდინდელი სამამაკისა თუ სიგიჟის



ანარეკლი დასთამაშებდა, მუდამ ერთნაირი, უსაყულო, ლურჯი ტილოს სამოსი ეცვა და ხელშიც განუყრელი. მძიმე, თვითნაკეთი ჯოხი ეჭირა ტართან ჩამუჭებულ-ჩამავეებულნი და შუშასავეით გადასლიპინებულნი. ადრე, სანამ ჯერ ისევ მემფისში მსახურობდა, ყოველთვიური სტუმრობის ეამს იმგვართად საკუთარ ამბავსაც ჰყვებოდა ხოლმე. ჰყვებოდა არა მარტო უფროსი კაცის თვითდაჯერებით, არამედ რაღაც სხვანაირი ღირსებითაც. თანავე ვის დროზე, და თანაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, არამცთუ მხოლოდ დამოუკიდებელი, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი პიროვნებაც ბრძანდებოდა. დაჩაგრულ-დაბეჩავეებულისა არაფერი ეცხო. უფრო იმ კაცის თავდაჯერება ეტყობოდა, ვინც ჰვეშევრდომთა. მასზე დაბლა მდგომთა ბედ-იღბალს განაგებდა და ნებაყოფლობით, გარკვეულ მიზეზთა გავლენით, რომელთა გამოჩარეკასა და გამოძიებასაც, მისი ღრმა რწმენით, ვერაფერს გაუბედავდა, შეეცვალა ცხოვრების ყაიდა. მაგრამ, ნაამბობის აშკარა თანამიმდევრობის მიუხედავად, საკუთარ თავზე მონათხრობი და მისი იმეამინდელი ყოფა მაინც ვერაფრით ეხამებოდა ერთიმეორეს. ჰოდა, უკვე მაშინ ყველამ ერთხმად გიჟად ჩათვალა, ოლონდ, არა იმიტომ, თითქოს ვინმეს ეჭვი შეჰპარვოდა — ერთი ამბის მოყოლით, რაღაც სხვა ამბის დამალვას ცდილობსო. უბრალოდ მისი ნაამბობი იმ ფარგლებში ვერ თავსდებოდა, რაც მსმენელს დასაშვებად (და აუცილებლად) მიაჩნდა ნებისმიერი ერთი კაცის გაქანებისათვის. ზოგჯერ დაასკენიდნენ ხოლმე, ალბათ ადრე მღვდელი იქნებოდაო. მერე ჰაინსი ისევ მემფისზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ბუნდოვნად და მალაღფარდოვნად მოჰყვებოდა ქალაქის ამბებს და თან ისე იბლინძებოდა, თითქოს მთელი ცხოვრება მართლა იქაურ მნიშვნელოვან, ოლონდ, ისევ და ისევ, იღუმალეებით მოცულ მუნიციპალურ დაწესებულებაში გაეტარებინა. „აბა რაო“, ქილიკობდნენ მაშინ მის ზურგსუკან მოთსთაუნელები: „მაგას მთელი მემფისის რკინიგზა ებარა. ყოველთვის, როცა კი მატარებელი ჩაივლიდა, შუა ქუჩაში იდგა და წითელ დროშას იქნევდაო“. „არაო“, ლაზლანდარობდნენ სხვები. „რკინიგზას კი არა, საგაზეთო საქმეს განაგებდაო, ბალში, სკამებქვეშ გაზეთების ნაკუწებს აგროვებდაო“. თუმცა პირში მაინც არაფერს ეუბნებოდნენ, ყველაზე უდიერნიც ზოგავდნენ, ისინიც კი, ვინც არაფერს დაერიდებოდნენ, ოლონდ როგორმე ენაკვიმატი კაცის სახელი დავარდნოდათ.

მერე მემფისში სამუშაო დაკარგა, ანდა, შეიძლება, თვითონაც მიანება თავი, ყოველ შემთხვევაში, ერთ შაბათს შინ დაბრუნდა და ორშაბათი რომ დადგა, აღარსად წასულა. მას მერე მთელ დღეებს ქალაქის ცენტრში, მოედნის შორიანლოს ატარებდა, დამუნჯებული. კუჭყიანი, თვალეშშიც მძვინვარე და შიშისმომგვრელი გამომეტყველება ჩაბუდებოდა, რასაც ყველა შეშლილობად უთვლიდა: სუნევიტ, სურნელივით დაჰყვებოდა თან ყავლგასული სისასტიკე; ნალვერდალივით ჩანავლებული, ლამის უკვე მთლად ჩამქრალი ევანგელისტური ფანატიზმი, რომლის ერთ მეოთხედსაც, თავის დროზე, ურყევი რწმენა შეადგენდა. სამ მეოთხედს კი ფიზიკური გამბედაობა. ჰოდა, როცა შეიტყვეს, ფეხით დადის მთელ ოლქში ზანგების ეკლესიებში საქადაგოდო, მაინცდამაინც აღარ გაჰკვირვებიათ; აღარც ერთი წლის მერე გაოცებულან დიდად, მაშინ, როცა ისიც გაიგეს, რას ქადაგებდა და რაზე ლაპარაკობდა ხოლმე იქ. ეს თეთრკანიანი ბერიკაცი კი, ვისი არსებობაც უპირატესად სწორედ ზანგების გულუხვობასა და გულმოწყალებაზე იყო დამოკიდებული, მარტოდმარტო მიაშურებდა ხოლმე რომელიმე შორეულ, ზანგურ



ეკლესიას, წირვა-ლოცვას გააწყვეტინებდათ. კათედრაზე ავიდოდა და ზან-  
 ლეჩილი, ყრუ ხმით, ხშირად უშვერი და უწმაწური სიტყვებითა, ზანგებს  
 ნებისმიერი სხვა, უფრო ღია ფერის კანის წინაშე მონაწილეობას უქა-  
 დაგებდა: თეთრი რასის უპირატესობაზე ელაპარაკებოდათ და რაც არ უნ-  
 და უაზროდ და პარადოქსულად მოსჩვენებოდა ვინმეს, ამგვარად უპასუხე-  
 სამაგალითო წარმომადგენლადაც საკუთარ თავს უსახავდათ. იმის სიგიჟეში  
 არც ზანგებს ეპარებოდათ ექვი, თუმცა, თან ღვთისაგან ხელდასხმულ თუ  
 ოდესღაც უფალს ნაზიარებ კაცადაც თვლიდნენ. დიდი გულისყურით, აღ-  
 ბათ, არასოდეს უსმენდნენ, რადგან გიზდაც მოსმენა ეცადათ, ბევრს მაინც  
 ვერაფერს გაიგებდნენ ჰაინსის ნალაპარაკებიდან. შეიძლება, ღმერთადაც კი  
 მიაჩნდათ, რაკი, მათი წარმოდგენით, ღმერთიც თეთრკანიანი იყო და ხში-  
 რად, ვერც მის ნებას სწვდებოდნენ ხოლმე გონების თვალთ.

მაშინაც, იმ საღამოსაც, ქალაქის ცენტრში ტრიალებდა, როცა ქუჩებში  
 პირველად გაისმა ქრისტმასის სახელი და მოთსთაუნის ბიჭბუჭობაცა და მო-  
 წიფული კაცებიც — ვაჭრები, კლერკები, ცნობისმოყვარე უსაქმურები, უპი-  
 რატესად კი კომბინიზონიანი სოფლელები — უეცრად მოსწყდნენ ადგილს და  
 სადღაც გაიქცნენ, გაქცეულებს ჰაინსიც მიჰყვა. მაგრამ სწრაფად ვერ მიბ-  
 რებოდა და როცა, ბოლოს და ბოლოს, დანიშნულების ადგილს მიაღწია, ტან-  
 მორჩილმა და დაღუტულმა, ცნობისმოყვარეთა მიტყუებულ მხრებს ზემოდან  
 ბევრი მაინც ვერაფერი დაინახა, მიუხედავად ამისა, ფარხმალი არ დაუყ-  
 რია, ნებისმიერი იქმყოფივით უხეშად და დაეინებით ცდილობდა გაეკვლია  
 გზა ამ ახმაურებულსა და აზავთებულ ბრბოში, თითქოს ხელახლა დაპბრუ-  
 ნებოდა ის ოდინდელი სისასტიკე, რისი კვალიც ჯერ კიდევ აჩნდა საბუზე, გა-  
 აფთრებული ეპოტინებოდა ზურგზე წინ მდგომთ, ფხოქნიდა და მანამდე  
 ურტყამდა ჯოხს, ვიდრე, ბოლოს, ვიღაცები არ მოუბრუნდნენ, არ იცვნეს,  
 არ გააკავეს და ჯოხზე არ უტაცეს ხელი. „ქრისტმასიო?“ ყვიროდა ჰაინსი:  
 „რაო, რა თქვეს, ქრისტმასიო?“

„ჰო, ქრისტმასი“, ყვირილითვე უპასუხა ერთ-ერთმა, ვინც მის გაკავე-  
 ბას ცდილობდა, იმანაც დაძაბულმა, იმანაც საბე აღგზნებულმა. „ქრისტმასი!  
 აი, ის თეთრი ზანგი, ერთი კვირის წინ ჯეფერსონში ქალი რომ მოკლა!“

ჰაინსმა ახლა ამ კაცს მიანათა თვალები, უკბილო პირზე ოდნავ აჩნდა  
 აჭაფებული დორბლი, მერე ხელახლა გაიბრძოლა, გამწარებულმა, გინებ-  
 გინებით: ჩია, პატარა მოხუცი, რომელსაც ბავშვურად სუსტი, ბავშვურად  
 წვრილი ძვლები ჰქონდა, ცდილობდა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ჯოხის  
 დაჩმარებით მაინც დაეხსნა თავი და შეჩგუფულ ხალხში როგორმე გაეკვლია  
 გზა სახედასისხლიანებული ტყვისკენ. „გეყო, ძია დოკ!“ უყვავებდნენ ირგვ-  
 ლივ მდგომნი, თან მაინც არ უშვებდნენ ხელს, მაინც იჭერდნენ: „გეყო, დამ-  
 შვიდდი, უკვე დაიჭირეს, ველარსად გაიქცევა, დაწყნარდი“.

ის კი მაინც იბრძოდა, არ ჩერდებოდა, ხმაც გაპბზარვოდა, გაწვრილე-  
 ბოდა, პირზე დუყმომდგარი უშვერი სიტყვებით იგინებოდა და პატარა, მისი  
 ზომისათვის შეუსაბამო, წყლის მაღალი წნევისგან თავაწყვეტილი შლანგი-  
 ვით აწყდებოდა აქეთ-იქით, წამდაუწუმ უსხლტებოდა ხელიდან მისი და-  
 ქერის მოსურნეთ, მთელ ბრბოში ახლა მარტო ტყველა იდგა მშვიდად, ჰაინსს  
 კი ძალა მოზღვავებოდა, ბებერ, სუსტ ძვლებსა და კანაფივით კუნთებში თით-  
 ქოს გაცოფებული თრითინის მოქნილობა ჩაღვროდა და ბოლოს, აკი მართლაც  
 დაიხსნა თავი, წინ გაიქრა, თავჩალუნულმა გაარღვია წრე და პირისპირ შეეფეთა



ქრისტმასს. მხოლოდ მაშინლა გაირინდა წამით, თან დაყინებით მიშტერე-  
ბოდა ტუსალის სახეს. წამი კარგა ხანს გაგრძელდა და ვიდრე ისევ ხელს სტა-  
ცებდნენ და გააკავებდნენ, ჯოხი ასწია და მაგრად, გამეტებით დაკრა; კი-  
დეგ და კიდევ ცდილობდა დაერთყა, როცა ხელახლა გაქაჩეს, ხელახლა დაუ-  
ჭირეს ჯოხი გააფთრებისგან დაუძლურებულსა და ტუჩებზე დაუჭირებულს,  
ოღონდ პირზე ხელი არ აუფარებიათ და ისიც — მოკალით ეგ ნაბიჭვარი,  
მოკალით, რაღას უდგახართო! — გაჰყვიროდა ერთსა და იმავეს

ნახევარი საათის შემდეგ ორმა კაცმა მანქანით მიიყვანა შინ. ერთი სა-  
ქესთან იჯდა, მეორე კი უკანა სკამზე. ჰაინსის გვერდით. ჰაინსს თვალები და-  
ეხუჭა და ჯაგარმოდებული, ჭუჭყიანი სახეც მიტკალივით გადაფთრებოდა.  
ხელში ატატებული გადმოიყვანეს მანქანიდან, ჭიშკარში შევიდნენ და კი-  
ბისკენ გაუყვნენ დაფშვნილი, ობმოდებული აგურითა და ბეტონის ნამსხვ-  
რევეებით მოფენილ ბილიკს. ჰაინსს უკვე თვალები გაეხილა, ოღონდ აზრის  
ნატამალი არ შერჩენოდა, თვალები უკან გადაეტრიალებინა და მხოლოდ ამ-  
ღვრეული, მოცისფრო გარსი მოუჩანდა. ჯერაც ერთიანად მოღვენთილსა და  
დაუძლურებულს მთლად გამოსცლოდა არაქათი. ლამის პარმალს მიაღწენ  
კიდევ, როცა მოულოდნელად კარი გაიღო, სახლიდან ქალი გამოვიდა, კა-  
რი ზურგსუკან მიხურა, იქვე გაჩერდა და უსიტყვოდ დააქცერდა ზემოდან. სახ-  
ლის პატრონის ვინაობა იცოდნენ და მხოლოდ ამან მიახვედრათ, პარმალზე მდგო-  
მი მისის ჰაინსი იქნებაო. მართლაც, ჰაინსის ერთ-ერთ თანმხლებს მთელი  
თავისი ცხოვრება მოთსთაუნში კი გაეტარებინა, მაგრამ ამ ქალისთვის ჯერ  
შორიდანაც არ მოეკრა თვალი. „რა იყო, რა მოხდაო?“ იკითხა ქალმა.

„არაფერი, ნუ გეშინიათ“, შეეხმიანა ერთ-ერთი მოსულთაგანი. „უბ-  
რალოდ, ცოტა ხნის წინ ქალაქის მოედანზე პატარა აურზაური ატყდა, თან  
ეს ოხერი სიცხეც დაემატა და ეტყობა გადაიღალა“. ქალი კარებთან გაქვა-  
ვებულებიყო, თითქოს სახლისკენ მიმავალ გზას უღობავდათ — ჯმუხი, ტან-  
სრული, დაბალი, — მრგვალი სახე ჭუჭყიან, ალაო ცომს მიუგავდა, მეჩ-  
ხერი თმა კი მაგრად გამოენასკვა კეფაზე. „ეს-ესაა დაიჭირეს ის ზანგი,  
ქრისტმასი, ერთი კვირის წინ ჯეფერსონში ქალი რომ მოკლა“, გააგრძელა  
კაცმა. „ძია დოკიც, ამ ამბავმა ცოტათი ააღელვა“.

მისის ჰაინსი უკვე შებრუნებულებიყო. კარის გაღებას თუ აპირებდა, და,  
როგორც მოგვიანებით უთხრა მოთსთაუნელმა თავის თანამგზავრს, სანახევ-  
როდ კარებისკენ შებრუნებული, უეცრად გაირინდა, თითქოს ვიღაცამ მსუ-  
ბუქად ნასროლი კენჭი მოარტყაო. „ვინ დაიჭირეს?“ იკითხა მისის ჰაინსმა.

„ქრისტმასი“, უპასუხა კაცმა. „ზანგი მკვლელი, ქრისტმასი“.

ქალი პარმალის კიდეზე იდგა და ნაცრისფერ, უძრავ სახეს არ აშორებ-  
დათ. „თითქოს წინდაწინვე იცოდა, რასაც ვეტყვოდიო“. ეუბნებოდა მანქა-  
ნასთან მობრუნებული მოთსთაუნელი თავის თანამგზავრს. „თითქოს მთელი  
იმ ხნის განმავლობაში, ერთდროულად თან უნდოდა და თან არც უნდოდა  
მკვლელის ვინაობის გაგებაო“.


„როგორ გამოიყურება?“ იკითხა ქალმა ისევ.

„მე არაფერი დამინახია“, თქვა მოთსთაუნელმა. „დაჭერისას, ეტყობა,  
ცოტა დაუსისხლიანებიათ. ისე, ახალგაზრდა ბიჭია ჩემზე, მეტად არა ჰგავს  
ზანგს“. ქალი თვალს არ აშორებდათ, ისევ ზემოდან დასცქეროდათ. ორ თა-  
ნამგზავრს შორის კი ჰაინსი ახლა უკვე მყარად იდგა ფეხზე და ახლად



გამოღვიძებულივით რაღაც გაუგებარს ლულულულებდა. „რას გვიბრძანებთ, ძია დოქს რა ვუყოთ?“ ჰკითხა კაცმა.

ქალმა არაფერი უპასუხა. თითქოს ვერც კი იცნო სჯულისმცემარიო, უთხრა მოგვიანებით მოთსთაუნელმა ამხანაგს. — რას უბრძანებდა ისევ ქრისტმასის ამბავი იკითხა.



„რას უბრძანებენ?“ თქვა კაცმა. „პოოო. ზანგს. ეგ ჯეფერსონმა უნდა გადაწყვიტოს იმათი საქმეა“.

ქალი ზემოდან დასცქეროდათ. ნაცრისფერი, უძრავი, გარინდული. „განა დაუცდიათ ჯეფერსონს?“

„დაუცდიათ?“ გაიმეორა კაცმაც. „აიიი“, გააგრძელა მაშინვე. „რა ვიცი აბა. თუ ჯეფერსონმა ძალიან არ დაიგვიანა...“ მერე ჰაინსის მკლავზე ხელი მოინაცვლა და — სად დავაწვინოთო? — იკითხა კიდევ ერთხელ. ქალიც მაშინლა შეირბა. კიბეზე ჩამოვიდა. მიუახლოვდათ. „თქვენ რე წუხდებით, ჩვენ შემოვიყვანთ სახლში“.

„მე თვითონ შევიყვან“, თქვა ქალმა. /ისა და ჰაინსი დაახლოვებით ერთი სიმაღლისანი იყვნენ. ოღონდ ქალი უფრო ტანსრული ჩანდა. მისის ჰაინსმა ქმარს მკლავები შემოხვია. „ეუფეუს“. თქვა არცთუ ისე ბმამადლა. „ეუფეუს“. მერე კაცებს მიუბრუნდა. „წადით, ამას მე მოვუფლიო“, უთხრა მშვიდად. კაცებმაც მაშინვე ხელი უშვეს ჰაინსს. ეტყობა, უკვე იმასაც დაბრუნებოდა საძრათობა. კაცები ხედავდნენ, როგორ მიეხმარა ცოლი კიბეზე ასვლაში და როგორ შეიყვანა შინ. ქალს ერთხელაც აღარ მოუხუდავს უკან.

„მადლობაც კი არ გვაღიროსა“, პირველად ამოიღო ხმა მეორე კაცმა.

„იქნებ ჯობია, უკან წავიყვანოთ და იმ ზანგთან ერთად ჩავამწყვდიოთ ციხეში, რაკი ასე კარგად სცნობია“.

„ეუფეუსო“, თქვა მოთსთაუნელმა. „ეუფეუს, თხუთმეტი წელი ვიმტვრიე თავი, ნეტავი რა უნდა ერქვას-მეთქი. ეუფეუს“.

„წამო, დავბრუნდეთ. არაფერს გამოვაკლდეთ“.

მოთსთაუნელმა ერთხელაც გახედა სახლს, სახლის ჩარახულ კარს, რომლის მიღმაც ორი ადამიანი გაუჩინარებულყო „ქალიც იცნობდა“.

„ვისა?“

„ვისა და იმ ზანგს. ქრისტმასს“.

„წამო, წამო“, კაცები მანქანასთან დაბრუნდნენ. „ის დამპალიც კაი ჩიტია ჩანს. პირდაპირ ქალაქში არ მობრძანდა, მკვლელობის ადგილიდან ოცი მილის მოშორებით?! მანამდე ისეირნა ქუჩებში. სანამ ვინმე იცნობდა, ნეტავი, მე ვყოფილიყავი იმ ბედნიერის ადგილას. მე ვიცი, როგორ დავამღერებდი ათას დოლარს. ჩემი ბედი რა ვთქვი“. მერე მანქანა ადგილს მოსწყდა. მოსთაუნელი კიდევ ცოტა ხანს იცქირებოდა დაბნული კარისკენ. რომლის იქითაც წელან მოხუცი ცოლ-ქმარი მიიშალა.

ჰაინსები კი თავიანთი პატარა სახლის ერთიბეწო, ჩაბნელებულ, გამოქვაბულივით აყროლებულ წინკარში იდგნენ. დაუძლურებული კაცი ჯერაც ნახევრად უგონოდ იყო და როცა ცოლმა სკამთან მიიყვანა და გაჭირვებით დასვა, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ უბრალო, ჩვეულებრივ მზრუნველობას ვადაუხადა ხარკიო, ოღონდ, ვერავინ ახსნიდა, ხელახლა რისთვის მიბრუნდა კართან და საგულდაგულოდ რატომ ჩაკეტა. მერე ისევ ქმარს დაადგათავზე. ერთი შეხედვით, ვითომ თანაგრძნობითა და წუხილით დააკვირდა. მაგრამ სხვასაც რომ დაენახა ამ ღროს ეინმეს, იოლად შეამჩნევდა, რა საშინ-



ლად კანკალებდა ქალი. ეტყობა, სკამზეც მხოლოდ იმიტომ დაესვა ჰაინსი. შემთხვევით იატაკზე რომ არ დაეარდნოდა. ანდა, ვიდრე თვითონ ხმის ამოღებასა და დალაპარაკებას მოახერხებდა. ადგილიდან ვერ მოეცვალა იმას ფეხი. ბოლოს ქმრისკენ გადაიხარა: ჯმუხი, სქელი. ერთიანად მაკაოსფერი, დამბრჩვალის გვამივით სახეშეშუპებული. როცა ხმის ამოღება შეიძლო, ხმაც უთრთოდა და ისიც დიდი გულმოდგინებით ებრძოდა. დიდხანს ვერ იტანებოდა ცდილობდა ხმის დამორჩილებას, თვითონაც ერთიანად დასუსტებული, ხელეებით სკამის სახელურებს ჩაფრენოდა და სკამზე სანახევროდ გადაწოლილ ქმარს შროლოვარე, შეკავებული ხმით ერთსა და იმავეს უმეორებდა: „ეუფეუს, მომისმინე, უნდა მომისმინო. ადრე არასდროს შემეწუხებინარ. ოცდაათი წელია არაფერი მიკითხავს შენთვის. ახლა კი უნდა გკითხო. შე ყველაფერი უნდა ვიცოდე და შენც ვალდებული ხარ მითხრა. ეუფეუს, უნდა მითხრა, რა უყავი მილის ბავშვსო?“

მთელი იმ გრძელი საღამოს განმავლობაში არა და არ ცხრებოდნენ მოედანსა და ციხის წინ შეკრებილი კლერკები, უქნარები თუ კომბინიზონიანი სოფლელები; არც მითქმა-მოთქმა ცხრებოდა; კიდით-კიდემდე მოეცვა მთელი ქალაქი და ხან ჩაკვდებოდა, ხან კი, ქარივით თუ ცეცხლივით ძალამოკრებილი, ისევ ხელახლა იფეთქებდა ხოლმე, სანამ, ბოლოს, ჩრდილები არ წაგრძელდნენ. სოფლელები თავთავიანთ ფორნებსა და მანქანებში არ ჩასხდნენ და შინ არ გაემგზავრნენ, ქალაქელებმა კი სახლებს არ მიაშურეს სავახშმოდ. ვააშობისას მაგიდებთან ერთხელ კიდევ გამოცოცხლებულმა მითქმა-მოთქმამაც უკვე ოჯახურ წრეში გადაინაცვლა. ელექტრონით გაჩახახებულ ოთახებსა და ნავთის ლამპებით განათებულ მთის მივარდნილ, შორეულ ქონმახებში, როგორც დღეს კი, საამურ, უსასრულო, გაქიანურებულ კვირა დღეს, როცა გასწავლულ პერანგებსა და მონატრულ აჭიმებში გამოწყებილნი დინჯად, საქმიანად აქსუტუნებდნენ განუყრელ ჩიბუხებს და, ვიდრე ქალები სადილის სამზადისში სანზარეულოში ტრიალებდნენ, ჩაცუცქულნი ისხდნენ სოფლის ეკლესიათა ეზოებსა თუ თავთავიანთი ბაღების ჩრდილში, რომელთა ღობეებთანაც სტუმრების ფორნები და მანქანები ჩამწყრივებულიყნენ, ვინ იცის მერამდენედ იხსენებდნენ წინა დღით მომხდარ ამბებს: „ერთი შეხედვით ჩვენზე უფრო არც ისა ჰგავს ზანგს, ოლონდ, ზანგური სისხლი კი მართლა უნდა ერიოს, კაცი რომ ცოლის შერთვას ჩაიფიქრებს და გადაწყვეტს, იმავეს თითქოს ასე ჩაიფიქრა და გადაწყვიტა, ვინმესთვის თავი დაექვრინებინა. აუ- ერთი კვირის წინ აუბნია ჯეფერსონელებს თავგზა და სახლისთვის დაესვლი რომ არ წაეკიდებინა, იქნება მთელ თვესაც ვერავის შეეტყო მკვლელობის ამბავი. ქრისტმასზე ალბათ ახლაც არ მიიტანდნენ ეჭვს, იმ ბიჭს, არაუნს, რომ არ ეთქვა სიმართლე. ზანგს თავი თეთრკანიანად მოჰქონდა, საწყალ ბრაუნს კი ვისკის აყიდინებდა და, ეტყობა, იმედიც ჰქონდა, ვისკით ვაჭრობასაც და მკვლელობასაც იმას გადავაბრალებო.“

გუშინ დილით კი მოთსთაუნში გამოგვეცხადა, დღისით, მზისით, თანაც შაბათს, როცა ქალაქში მილეთის ხალხი ირევა ხოლმე. თეთრკანიანების სადალაქოში შებრძანდა და რაკი სახეზე მართლა არაფერი ეტყობოდა, ეჭვიც არავის შეჰპარვია იმის კაიკაცობაში. არც მაშინ დაექვევებულან, როცა ფენსაქმლის მშენებელმა იმისი ზომაზე დიდი, გამონაცვალი წაღები დააპრიალა. სადალაქოში წვერი გაიპარსა, თმაც გაიკრიჭა. ფული გადაიხადა და ისევ



ქუჩაში გამობრუნდა, ახლა დუქანს მიაშურა, იმ უბედური ქალისთვის მოპარული ფულით ახალი პერანგი, ყელსახვევი და ჩალის ქუდი იყიდა, მოკლედ, გაკობტავდა, გამოიპრანჭა და, თითქოს ქალაქის ბატონ-პატრონიად დღისით, მზისით, ქუჩაში სეირნობას მოჰყვა. აღმა-დაღმა დასეირნობდა და ვინ იცის, რამდენმა ჩაუარა გვერდით. ვიდრე პოლიდეიც მოჰკრავდა, უფლებსქული იმან კი, არც აცია, არც აცხელა, მაშინვე ეცა, ხელები შემოხვეოდა და იქნებ განა ქრისტმასი არა ხარო? — ჰკითხა, კიო, კვერი დაუკრა ქრისტმასმა, ერთხელაც არ უცდია ვინაობის დამალვა, საერთოდ არ უღონია არაფერი, არც ზანგივით იქცეოდა, არც თეთრკახიანივით, ასე იყო, ხალხიც ამან გადარია. მკვლელი გაწყებულ-გამოპრანჭული ქალაქში ცხვირწინ დაუდიოდათ, თითქოს ამბობდა, კარგი ბიჭები ხართ და აბა ერთი რომელიმემ ხელი დამაკარეთო, არადა, წესით, ტყე-ტყე უნდა ეწიანწალა, სოროში უნდა ჩამძვრალიყო ერთი-ანად ტალახში ამოთხვრილ-ამოგანგლული, იმას კი, ზანგობას ვიღა ჩივის, თითქოს ისიც კი არ ახსოვდა, მკვლელი რომ იყო.

მოკლედ, პოლიდეი (სახე შეშლოდა, აღგზნებულიყო, ატყობა, უკვე ათასი დოლარის სუნი სცემდა; ქრისტმასისთვის ერთი-ორჯერ ხელი შემოერთყა, ის კი, ქრისტმასი, მართლა ზანგივით უხმოდ ითმენდა ყველაფერს. პირ-ქუშსა და მშვიდ სახეზე სისხლი სდიოდა, ოღონდ კრიტნსაც არა სძრავდა) ორივე ხელით თავის ტყვეს ჩაფრენოდა და მთელი ხმით რაღაც გაუგებარს გაჰყვიროდა, როცა მოულოდნელად საიდანღაც ერთი მოხუციც გამოტყვრა. — ქალაქში ყველანი ძია დოკს რომ ეძახიან, — ზანგს ეცა და მანამდე სცემა თავისი ჯოხით, ვიდრე ორმა კაცმა ძლივძლივობით არ გააკავე და მანქანით არ წაიყვანა შინ. არავინ იცოდა, მართლა იცნობდა იმ ზანგს თუ არა, კოჭლობ-კოჭლობით მოჩლახუნდა და აღრიაღდა, „მართლა ქრისტმასია მაგისი გვარი? მართლა ქრისტმასი თქვით თუ მომეყურაო?“ მუჭლუგუნებით გა-არღვია ბრბო, ერთი კი შეხედა ზანგს და მერე ჯოხით დაუწყო ცემა. მონუსხულსა ჰგავდა, იძულებულნი გახდნენ ძალით გაეკავებინათ, იმან კიდევ თვალები გიჟივით გადაატრიალა და პირზე დუემომდგარმა იქამდე იქნია ჯოხი უაზროდ, სანამ არაქათი მთლად არ გამოეცალა. მაშინლა წაიყვანეს შინ, ცოლს ჩააბარეს და ისევ უკან, ქალაქში გამობრუნდნენ, ვერავინ გაიგო, რა ეტაჟა მოხუცს, რატომ ააღელვა ასე ზანგის დაჭერამ, თუმცა, მალევე დაავიწყდათ ყველაფერი, რაც იყო, იყო, ახლა აღბათ აღარაფერი უჭირსო. თქვენც არ მომიკვდეთ, ნახევარ საათსაც არ გაუვლია ისევ მოედანზე არ გამოცხადდა?! უკვე საბოლოოდ შეშლოდა სახე, ქუჩის კუთხეში იდგა და გამვლელ-გამომვლელს ლანძღვა-გინებით იკლებდა, ლაჩრებს ეძახდათ — ჩეფერსონს რას ელოდებით, რატომ ციხიდან არ გამოათრევთ იმ ზანგს და აქვე, პირველსავე ხეზე არ ჩამოჰკიდებთო. საგიჟეთიდან გამოქცეულს ჰგავდა, თან რომ იცის, მოსასწრები უცბად უნდა მოვასწრო, თორემ საცაა მოვლენ, მომაგნებენ და ისევ უკან დამაბრუნებენო, ხალხი იმასაც ამბობს, ადრე მგონი ქადაგი იყოო.

ერთსა და იმავეს გაიძახოდა, უფლება მაქვს ამ ზანგის მოკვლისაო, ოღონდ უფლება საიდან ჰქონდა, ის აღარ უთქვამს და ვინდაც ვინმეს მოეხერხებინა და ეკითხა რამე, ისეთი აღგზნებული და შეშლილი იყო, მისი პასუხიდან აზრს მაინც ვერაფრით გამოიტანდა, თანდათანობით კარგა მოზრდილი ბრბო შემოიკრიბა გარშემო, იდგა და გაჰყვიროდა — პირველ რიგში მე უნდა გადავწყვიტო, იცოცხლოს ზანგმა თუ არაო, ისიც კი იფიქრეს, ამასაც ცი-



ხეში ხომ არ მივუჩინოთ ადგილი ზანგის გვერდითო, როცა, მოულოდნელად, საიდანღაც ძია დოკის ცოლიც გამოჩნდა.

ისეთი ხალხიც ბლომად მოინახება, ვისაც მოთსთაუნში ოცდაათ წელიწადზე მეტი გაუტარებია და ეს ქალი კი არასოდეს უნახავს თვალთ. სანამ ქმარს არ გამოელაპარაკა. თავიდან ვერც მიხვდნენ მის ვენაობას. კვადგან თუკი ენახა კიდეც ვინმეს, ისიც მარტო იმათი პატარა სახლუცსავე დახვდნენ, ზანგების უბანში, საშინაო კაბასა და მამაკაცის ნახმარ ქუდში გამოწყობილი. ახლა კი ისე გამოპრანჭულიყო, ნაცნობებიც ველარ სცნობდნენ. მეწამული აბრეშუმის კაბა ეცვა, ბუმბულიანი ქუდი ეხურა და ხელშიც ქოლგა ეჭირა, ბრბოს მიუხალოვდა, აღრიალებულ ქმართან მივიდა და „ეუფეუსო“, უთხრა ერთხელ. ისიც მაშინვე გაჩუმდა, უხმოდ მიაჩერდა, დუემორეული და ყბაჩამოვარდნილი, შემართულ ხელში ახლაც ჯოხი ეჭირა და ჯოხიც თითქოს ირწეოდა. აქეთ-იქით ქანაობდა. ქალმა მკლავში ჩასჭიდა ხელი, ჯოხის შიშით ვერავინ უბედავდა მიახლოებას, მართლაც ისეთი სახე ედო, ყოველ წუთს შეეძლო ნებისმიერი მათგანისთვის დაერტყა, თანაც თავისდა უნებურად, უნებლიედ, გაუაზრებლად. ქალი კი ჯოხსაც არ შეეპტუა, მკლავში ხელი ჩაავლო, მოედნის მეორე მხარეს გადაიყვანა, დუქნის წინ სკამზე დასვა და — „ძემს მოსვლამდე აქედან ფეხი არ მოიცივალო, იცოდე, არ გაინძრე, გეყოფა ღრიალიო,“ — უთხრა.

კაცმაც დაუჯერა. მართლა დამორჩილდა. გაუნძრევლად იჯდა და ქალსაც აღარ გაუბედავს მისკენ. ყველამ შეამჩნია ეს ამბავი. ალბათ იმიტომ. მანამდე მინიდან გამოსული ქალი არასოდეს რომ არ ენახათ, გამძვინვარებულ ჩია ბერაკაცს კი ვერავინ უბედავდა ქალქში გზაზე გადადგომას. მოკლედ, ასეა თუ ისე, ყველანი გაოჯნებულნი დარჩნენ. რას იფიქრებდნენ, ძია დოკი ვინმესგან ჭკუის დარიგებას თუ მოითმენდა. თითქოს ცოლმა ძია დოკის რაღაც საიდუმლო იცოდა და საიდუმლოს გამხელის შიშით ისიც იძულებული გახდა დამორჩილებოდა, ანგარიში გაეწია, მის ნებას დაჰყოლოდა. მართლაც, ერთი უარ შერხეულა სკამზე. აღარც ყვიროდა, დადუმებულებოდა, თავი ჩაეჭინდრა, ჯოხზე დაკრეფილი ხელები უცახცახებდა და გულისპირზე წვეთ-წვეთად ეღვრებოდა დორბლი.

ქალმა კი პირდაპირ ციხისაკენ დააღერა თავი. ციხის კარებთან უამრავი კაცი შეგროვილიყო — ჯეფერსონელებს შემოეთვალათ, უკვე გზაში ვართ, ზანგის წასაყვანად მოვდივართო. ქალმა ბრბო გაარღვია, ციხეში შევიდა და მეთქაფს უთხრა — „პატიმრის ნახვა მინდაო“.

„პატიმრის ნახვა რად გინდათო?“ ჰკითხა მეთქაფმა.

„არ შევაწუხებო“, უპასუხა ქალმა. „მხოლოდ ერთს შევხედავო“.

მეთქაფმა უთხრა, მაგის მსურველი ბლომად მეგულება, ისიც ვიცო, გაპარებას რომ არ უპირებთ, ოღონდ, მე მხოლოდ და მხოლოდ ციხის ზედამხედველი ვარ და შერიფის უნებართვოდ ვერავის შევუშვებ საკანშიო. მეწამულკაბიანი ქალი კი მაინც არ იცვლიდა ფეხს, ისე უძრავად იდგა, ქუდზე ოდნავადაც არ ერჩეოდა ბუმბული. „შერიფი სადღააო?“ ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

„იქნებ თავის კანტორაშიც იყოსო“, მიუგო მეთქაფმა. „მოძებნეთ, ნებას თუ დავრთავთ, მერე ზანგსაც გაჩვენებთო“. ეგონა, ამით დასრულდებოდა ყველაფერი. ციხიდან გამოსულ ქალს თვალი გამოაყოლა, დაინახა, ერთხელ კიდეც როგორ გაარღვია ბრბო და როგორ აუყვა ქუჩას მოედნისკენ. უკვე



ბუმბულიც აქანავებულოცო. ქალი მესერს იქით მიდიოდა და მესერს ზემოთ მხოლოდ ბუმბული მიიწყოდა. მერე მოედანიც გადაჭრა და სასამართლოში შევიდა. ვერავინ მიხვდა. სასამართლოში რაღა უნდოდა. რადგან მეთქაფს ჯერ ციხეში მომხდარზედაც ვერ მოესწრო ვინმესთვის რაღის თქმა/ უბრალოდ, იდგნენ და ხედავდნენ. როგორ გაუჩინარდა სასამართლოში. დანარჩენს მერე უკვე რასელი მოჰყვა — „ჩემს მაგიდასთან“ უჩვეულებები. შემთხვევით, თავი რომ ავწიე და ფანჯარაში სწორედ ის ბუმბულიანი ქუდი დავინახეო“. ვერ გაეგო. რამდენ ხანს იდგა ქალი მის ჯიხურთან, რამდენ ხანს ელოდებოდა იმისი თავის აწევას. „ტიხარს ზემოთ მარტო თავი მოუჩანდა, თითქოს ტანი საერთოდ არცა ჰქონდაო“. კომიქსებში პატარა კათცენიამერები რომ ცელქობენ, თითქოს ისე ეცელქა ვილაცას, რასელის ფანჯრის წინ სალალობოდ, გასართობად, საპაერო ბუმბუტი ჩამოეკონწიალებინა. ზედ საზე დაეხატა და სასაცილო ქუდიც დაეკოსებინა. „შერიფის ნახვა მინდაო“, ეუბნება თურმე ქალი. „შერიფი არ არისო“. უთქვამს რასელს. „მე შერიფის თანაშემწე ვარ. რით შემძლია დაგეხმაროთო?“

ქალი ცოცა ხანს უხმოდ შესცქეროდა. პასუხს არ სცემდა. მერე — აბა, სად იქნებო — ეკითხება თურმე.

„რა ვიცი, იქნება შინაც იყოსო“. ეუბნება რასელი. „მთელი კვირა ძალიან დაკავებული იყო. დამეები არ სძინებია. ჯეფერსონელ ოფიცრებს ეხმარებოდა. შეიძლება ახლა შინაა და ისვენებს. მითხარით რა გნებავთ, იქნებ მე დაგეხმაროთო...“ მაგრამ ქალს ბოლომდე არც მოუსმენია. „ფანჯრიდან გავიხედე და დავინახე, მოედანი როგორ გადაჭრა, მერე კი შერიფის სახლისკენ გაუხვიო“. თქვა რასელმა. „თან სულ ვცდილობდი და ვერ გამეხსენებინა, ვინ იყო. აღრე სად შენახაო“.

ქალმა კი შერიფი მაინც ვერ იპოვა. თუმცა, რომც ეპოვა, შერიფის ნახვას უკვე აზრიც აღარ ჰქონდა. არადა, შერიფი მთელი ამ ხნის მანძილზე სულ ციხეში იყო, ოღონდ მეთქაფმა ქალს სამართლე დაუშალა და ისიც ხეირიანად არ გასცლოდა ციხის შენობას. როცა ორი მანქანით ჯეფერსონელი ოფიცრები მოგრიადნენ და იმწამსვე ციხეში გაუჩინარდნენ. თვალისდახამხამებაში მოხდა ყველაფერი. მაგრამ მათი ჩამოსვლის ამბავი ლამის იმწამსვე მოედო ქალაქს და ციხის კართანაც თითქმის ორასმა კაცმა, ქალმა თუ ბავშვმა მოასწრო შეგროვება. როცა პარმალზე ორივე შერიფი ერთად გამოვიდა და მოთსთაუნელმა შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა, სთხოვა კანონისათვის პატივი ეცათ და საკუთარი და ჯეფერსონელი შერიფის სახელითაც აღუთქვა. ზანგს სწრაფად და სამართლიანად გავასამართლებთო: „სამართლიანადო, პა?“ გაისმა ხალხში. „განა მაგან კი სამართლიანად გამოუტანა მსჯავრი იმ თეთრკანიან ქალს?“ აი მაშინ კი ყველა ერთად აყაყანდა, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ოღონდ შერიფების კი არა, სწორედ მოკლული ქალის გასაგონად იხევდნენ ყვოს. შერიფი მაინც მშვიდად ცდილობდა ლაპარაკს. ირწმუნებოდა, მე მხოლოდ არჩევნების დღეს თქვენს წინაშე დადებულბ ფიცის აღსრულება მწადია და სხვა არაფერიო. „ნებისმიერ აქ მყოფ თეთრკანიანზე მეტად არც მე მეხატებიან გულზე ზანგი მკვლელებიო“, ამბობდა. „ოღონდ მე წმინდათაწმინდა ფიცი მაქვს დადებული და, ღვთის წინაშე, ამ ფიცს აღვასრულებ კიდევ. ეს ყველამ კარგად დაიხსომეთო“. პოლიდეიც შერიფების გვერდით იდგა. ისიც კეთილგონიერებისკენ მოუწოდებდა ხალხს, არ გვინდა, ძმებო, შფოთი და აყალმაყალიო, გაჰყვიროდა. „პო, აბა რა, გასაგებია“, ისევ აყ-



ვირდა ბრბოში ვიღაც „შენ, რა თქმა უნდა, მაგ ზანგის ლინჩის წყლით გასამართლება ხელს არ გაყლევს მაგრამ ჩვენ რომ მაგის სიკოცხლე ათასი დოლარი არ გვიღირს? ათასი დოლარი კი არა, ასანთის ათასი დამწვარი შერიც არ ვვიღირს“. „შერედა რა, პოლიციის ზანგის მოკვლა თუ არა? ანაწრათოდ შეეძინა შერიფი „განა ყველა ჩვენგანსაც იგივე არ გვწალია? ჭილდოს ჩვენებური მიიღებს: ფულიც აქ, მოთსთაუნში დაგზავნის შერიფი, იდგიწვთ, ჩეფერსონელს რომ მიეღო ჭილდო, სწორი არა ვარ, ხალხო? მეძლება რამე?“ შერიფის ხმა სუსტად ისმოდა, თოჯინის ხმასავით, ზოგჯერ მოსულა, ზორბა კაცებოც ლაპარაკობენ ზოლმე ასე, მაშინ, როცა ხალხს მიმართავენ და იმდენად ხალხის ყურადღების მიპყრობას არ ცდილობენ, რამდენადაც იმის უკვე სანახევროდ მიღებული გადაწყვეტილების შერყევასა და გაქარწყლებას.

ასეა თუ ისე, მისმა ნათქვამმა რაღაც ნაყოფი მაინც გამოიღო, თუმცა ეჭვი, რა თქმა უნდა, არავის შეჰპარვია, მოთსთაუნი იქნებოდა თუ ნებისმიერი სხვა ქალაქი, პოლიციისნაირ კაცს მისხალსაც რომ ვერ გააგდებინებდა იმ ათასი დოლარიდან. მაგრამ შერიფის სიტყვამ მაინც გაჭრა, ხალხი უცნაურია, თუ ახალ-ახალი საბუთები მოაკლდა, დიდხანს ვერასდიდებით ვერ აფიქრებინებ და ვერც გააკეთებინებ ერთსა და იგივეს, შერე კი, გული თუ აიცრუა ერთხელ, უკვე საბუთებსაც აღარ დაგიღევს, უკვე სულ სხვაზე უჭირავს თვალი, მოკლედ, ერთბაშად არავის დაუბეჯია უკან, უბრალოდ, აქოთქოთებული ბრბო თუკი ადრე შიგნადან დუღდა და გადმოდუღდა, ახლა ოდნავ ჩაცხრა, გაიტრუნა და შერიფის ნათქვამს ჩაუკვირდა, შერიფებმაც წამსვე აუღეს ალღო, ოღონდ, თან დარწმუნებულნი იყვნენ, ასე დიდხანს არ გაგრძელდება, და დრო აღარ დაუკარგავთ, მაშინვე ციხეში შებრუნდნენ და ლამის დაუყოვნებლივ, თვალის დაბამხებაში გამოვიდნენ უკან ხუთი-ეექსი თანაშემწის თანხლებით, შუაში პატიმარი ეყენათ, ეტყობა, ამ ხნის მანძილზე გამზადებულს იქვე კარსუკან აყურყუტებდნენ, რადგან მართლა ძალიან სწრაფად გამობრუნდნენ ყველანი. პატიმარს სახეზე ტალახი და სისხლი შეხმობოდა, ბორკილი ედო და ჩეფერსონელ შერიფს იყო გადაბმული, „აააჰჰჰო“, აღმოხდა ბრბოს მათ დანახვაზე.

კიბიდაა ქუჩამდე რაღაც ცოცხალი დერეფნისმაგვარი გააკეთეს, ქუჩაში ჩეფერსონელთა მანქანა იცდიდა, ძრავა გაუჩერებლივ მუშაობდა და არც მძღოლი გადმოსულიყო მანქანიდან, შერიფები წამის დაკარგვასაც არ აპირებდნენ და, უცებ, ისევ გამოჩნდა ის ქალი, მისის ჰაინსი, ჩიკაგ-ჩიკავით მოიკვლევდა გზას ბრბოში, იმდენად დაბალი იყო, ხალხი მართო იმისი ქუდის ბუმბულს ხედავდა, ბუმბულიც ნელ-ნელა, ბიძგებით მოცურავდა, თუმცა ქალის შეჩერება არაფერს შეეძლო, პატარა ტრაქტორს ჰგავდა, გინდაც არაფერი ელობებოდეს, მაინც ნელა რომ მიიწევს წინ, ნებისმიერ წინალობას კი დაუფიქრებლად იშორებს გზიდან, ბოლოს, როგორც იქნა, გაარღვია ხალხი და ცოცხალ დერეფანსაც მიადგა, შერიფებსა და პატიმარს აესვეტა წინ და ისინიც იძულებულნი გახდნენ ნაბაჯი შეენელებინათ, ცოტა ხანს მაინც შეჩერებულიყვნენ, ქალს საგოზავის ვეება გუნდას მიუგავდა სახე, ქუდი გვერდზე მოქცეოდა, ბუმბული შუბლზე ჩამოვარდნოდა და მალიმალ გვერდზე სწევდა, ოღონდ სხვა არაფერი მოუმოქმედა, უბრალოდ წამით თვითონაც გაქვავდა, ისინიც გააქვავა და დაყინებით დააცქერდა ზანგს, კრინტიც არ დაუძრავს, თითქოს სხვა არაფერი სურდა, მხოლოდ ამისთვის შეეწუხებინა



ხალხიც და გამოპრანქულიც ამ მიზნით გამოსულიყო ქალაქში. ერთადერთხელ რომ დაენახა ზანგი პატომრის საბუ. მართლაც. მაშინვე შეტრიალდა და ისევ ბრბოში გაუჩინარდა. როცა მანქანები ზანგიანად და ჩეფერსონის კანონის დამცველებიანად ადგილს მოსწყდნენ და ხალხმაც ირგვლივ მივიხედდა. მისი ავალიც გამჭრალიყო უკვე. მოედანზე დაბრუნებულემს აღსა. ცხი დოკ დაუხვდათ თავის ადგილას. იქ სადაც ცოლმა დატოვა უჩქვანსა. ოღონდ. მოედანზე ყველა არ დაბრუნებულა. ბევრი იწინადა. ისევ ციხის შენობას შესცქეროდა. თითქოს წელან იჭიდნ მიოლოდ პატომრის ლანდი გამოსულიყო.

ეგონათ. ალბათ შინ თუ წაიყვანა ძია დოკით. სკამი დოლარის დუქნის წინ იდგა და სწორედ დოლარმა თქვა. ვიდრე ციხესთან ხალხი შეგროვდებოდა, მანამდე დაეინახე. როგორ დაბრუნდა ქალი უკან იმავე ქუჩითო. სახამ ჭმართან არ მისულა და მხარზე ხელი არ დაუდია, ძია დოკიც ძველებურად, გაუნძრევლად მჯდარა. მონუსხულივით. მხოლოდ მერეღა წამომდგარა და უხმოდ გაპყოლია ცოლს. დოლარსაც თვალი გაუყოლებია. ძია დოკს ასეთი საბუ ედო. პატრონი რომ პყოლოდა. წესით საერთოდ არ უნდა გამოედგმე-უინებინა შინიდან ფეხით.

არადა. მაშინაც არ წაუყვანია ცოლს შინ. ცოტა ხნის მერე ისევ ერთად გამოჩნდა ორივე და ძია დოკსაც უკვე ისეთი საბუ ედო. სხვისი წასაყვანი არაფერი სჭირდა. თითქოს ორივეს ერთი სურვილი გასჩენოდა. მიზანი კი არა. სურვილი. მიზანი სხვადასხვა პყონდათ და ისიც იცოდნენ. ერთის მიზნის გან-აოქცილება მეორეს კარგს არაფერს უქადდა. უსიტყვოდ ესმოდათ ერთ-მანეთისა და ფხიზლად ადევნებდნენ ერთმანეთს თვალს. თუმცა. ალბათ. ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა ორივეს. საქმეში პირველობა ჭალს რომ უფრო შეშვენოდა.

პირდაპირ გარაყისკენ გაემართნენ. სადაც საღმონს თავისი გასაქირავე-ბელი მანქანა უყენია. ლაპარაკით მარტო ქალი ლაპარაკობდა. ჩეფერსონში ვვინდა გამგზავრებო. ეტყობა. არ ეგონათ. საღმონი კაცზე ოცდახუთ ცენტ-ზე მეტს თუ მოითხოვდა. რადგან სამი დოლარით. რომ გაიფეს, ქალმა. თით-ქოს ყურებს არ დაუჭერაო. ნათქვამი ხელახლა გაამეორებინა. „სამი დო-ლარით“, არ გადათქვა საღმონმაც. „ნაკლებ არაფრით არ იქნებო“ ისინიც იდგნენ. ძია დოკი საქმეში არ ერეოდა. ვითომც არაფერი ებებოდა. მშვიდად იცდიდა. რადგან. როგორც ჩანს. ეჭვიც არ ეპარებოდა. საწუხარი არაფერი მაქვს. ავად თუ კარგად. მაინც ჩამიყვანს ცოლი ჩეფერსონშიო.

„ამდენს ვერ გადავიხდითო“. ეუბნება თურმე ქალი.

„ნაკლებად სხვაგანაც ვერ იშოვითო“. თავისაზე მდგარა საღმონიც. „თუ-კი. რა თქმა უნდა. მატარებლით არ წახვალთ. იქ თითო ბილეთი ორმოცდა-თორმეტი ცენტი ღირსო“. ქალმა კი იმასაც არ აცალა სიტყვის დამთავრება. უეცრად შეაქცია ზურგი და ძია დოკიც ძალივით აედევნა უკან.

ეს ამბავი დაბლოებით ოთხ საათზე მოხდა. ექვსამდე სასამართლოს ეზო-ში სკამზე ისხდნენ. ერთმანეთს ერთხელაც არ დალაპარაკებია: თითქოს ერთ-მანეთის არსებობაც დაავიწყდათო. უბრალოდ. გვერდივევრდ ისხდნენ. უც-ხოებივით. ქალსაც ჯერ ისევ თავისი საგარეო სამოსი ეცეა. იქნებ. მხოლოდ ერთობოდა. იქნებ. მოსწონდა. მთელი შაბათი საღამო ასე გამოპრანქულს რომ უნდა ეტრიალა ქალაქის თვალწინ შეიძლება. იმისთვისაც იგივეს ნიშნავდა ეს ყველაფერი. რასაც სხვისთვის — მემფისში დროსტარება.



სანამ საათმა ექვსჯერ არ ჩამოჰკრა, ფეხი არ მოუცვლიათ. მერელა წამოდგნენ, ხალხი ამბობდა, კაცისთვის სიტყვაც არ უთქვამსო; უბრალოდ, ერთდროულად წამოიშალნენ, როგორც ტოტიდან ჩიტები, და ვერაფერს შეამჩნია, ნიშანი რომელმა მისცაო. ძია დოკი ახლაც უკან მისდევდა მოედანს/გადიარეს და სადგურისკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვნენ. კიდევ სამ საათს მოთსთაუნში არცერთმა მატარებელს არ ელოდნენ და ხალხი ერთი კარსკენ წაუქცდა კიდევ. იქნებ არც აპირებენ მატარებლით სადმე წასვლასო, მერე კი ისეთი ამბავი მოხდა, ექვისთვის ვილას ეცალა. პირდაღებულნი დარჩნენ ყველანი. ცოლ-ქმარი სადგურის მახლობლად კაფეში შევიდა და ივახშმა, არადა, ერთად ვახშმობას ვინ ჩივის, მოთსთაუნში გადმოსახლების მერე ქუჩაში ერთად გამოსულიც არ ენახათ, ასეა თუ ისე, ქალმა პირდაპირ კაფეს მიაშურა; ალბათ ეშინოდა, ქალაქში თუ დავრჩით ვახშმად, მატარებელი გაგვასწრებსო. ჯერ შვიდის ნახევარიც არ იყო, იქ რომ მივიდნენ, დახლთან, დაბალ სკამებზე დასხდნენ და ქალმა. — ქმრისთვის ზრდილობისთვისაც არაფერი უკითხავს, — საკმელი შეუკვეთა კაფეს პატრონისგანაც მან გაიგო, ჯეფერსონისკენ მიმავალი მატარებელი ნაშუადღევს, ორ სათზე რომ გადიოდა. „ამალამ ჯეფერსონში დიდი ამბავი იქნებაო“, ეუბნება თურმე კაფეს პატრონი. „შეგიძლიათ ქალაქის ცენტრში მანქანა იქირაოთ და ორმოცდახუთ წუთში ჯეფერსონში ხართ, ორ საათამდე მატარებელს რად უნდა უცადოთო?!“ ეტყობა, იფიქრა, ჩამოსულები არიანო, ქალაქის გზაც მიასწავლათ.

ქალს არაფერი უბასუბია, კამას რომ მორჩნენ, დაკეცილი ქოლგიდან გაკვანძული ჭინჭი ამოიღო, ჭინჭიდან რიგრიგობით ამოაძვრინა ათცენტრიანი და ხუთცენტრიანი და ვახშმის საფასური უბნოდ გადაიხადა, ძია დოკს ისევ უწინდებურად გაოგნებული, თითქოს მთვარეულის სახე ედო მერე კაფედან გამოვიდნენ, კაფეს პატრონს ეგონა, ჩემი რჩევა ჭკუაში დაუჭდათო, ალბათ ქალაქისკენ წავლენ და მანქანას დაიქირავენო, მაგრამ ფანჯრიდან რომ გაიხედა, დაინახა სადგურისკენ მიმავალნი, როგორ გადადიოდნენ ლიანდაგებზე, ჯერ დაძახება დააპირა, თუმცა მაშინვე გადაიფიქრა. „მეგონა, მე ვერ მივუხვდები-მეთქი, ალბათ, სამხრეთისკენ მიმავალი ცხრასაათიანი მატარებლის ამბის გაგება უნდოდათო“

მოსაცდელ დარბაზში მერხზე ისხდნენ, როცა კომიუნიკაციებმა, უსაქმურებმა თუ სხვა, ათასი ჯურის ხალხმა ნელ-ნელა იწყო შეგროვება და სამხრეთის მატარებლის ბილეთების შეძენა. მოლარეც თქვა, ვახშმის მერე, რვის ნახევარზე რომ მივბრუნდი სადგურში, მოსაცდელ დარბაზში ვილაცები კი შევამჩნიე, ოღონდ ვიდრე ქალი სალაროს ფანჯარასთან არ მოვიდა და ჯეფერსონის მატარებლის ამბავი არ მკითხა, მაინცდამაინც დიდი უურადლება არ მიმიტყევიან იმათთვისო. ჩემი საქმე მქონდა, ერთი კი ავხედე და, საქმისთვის თავიც არ მიმინებებია, ისე ვუთხარი — ნაშუალამევს-მეთქი, მერე, ცოტა ხანში, რალაცა ძალამ ისევ ამალებინა თავი, ფანჯარაში ისევ ის მრგვალი სახე და ბუმბული დავინახე და ქალმაც მითხრა — ორი ბილეთი მომეცი მაგ მატარებელზეო.

„მატარებელი მხოლოდ დილის ორ საათზე მოვა“, ეუბნება თურმე მოლარე, ქალი ვერც იმას უცენია. „თუ მანამდე გინდათ ჯეფერსონში ჩასვლა, არ გირჩევნიათ ქალაქში მანქანა იქირაოთ, ხომ იცით ქალაქის გზა?“ ქალი კი თურმე ეკვე თავმოკრული ჭინჭიდან ამოღებულ ათ და ხუთცენტრიანებს ითვლიდა, მოლარეცა ორი ბილეთი მისცა, მერე ქალიდან ძია დოკისკენ გადა-



იტანა მზერა და ქალის ვინაობასაც მაშინღა მიხვდა. სანამ სამხრეთის მატარებლის მგზავრები თავს იყრიდნენ, ისინიც გაუნძრევლად ისხდნენო. მერე მატარებელი მოსულა, წასულა კიდევ. იმათ კი ფეხიც არ მოუცვლიათ. ძია დოკი მძინარეს ჰგავდაო, თითქოს ბურანში იყო, ან რაღაც უცხოური სჭირდაო. მატარებლის გასვლის მერე გამცილებელთაგან ბევრნი სადგურშივე დარჩნენ. ფანჯრიდან იჭყიტებოდნენ. ხანდახან მოსაცდელად დარბაზში შედიოდნენ და მერხზე ჩამომჯდარ ცოლ-ქმარს უთვალთვალდნენ, ვიდრე მოლარემ შუქი არ გამორთო.

ზოგი ამის შემდეგაც დარჩა. მაინც იხედებოდნენ ფანჯარაში და ბნელში გაყუჩებულ მოხუცებს უცქერდნენ. ბუმბულს თუ ხედავდნენ სიბნელეში. ანდა, ძია დოკის მელოტ, მბზინავ თავს. მერე, თანდათანობით, ძია დოკიც გამოერყვა, გამოთხიზლდა, არც გაოცება შესტყობია — ნეტავი აქ რამ მომიყვანაო, — და არც გაბრაზება — რა მინდოდა აქო. უბრალოდ, გამოცოცხლდა, თითქოს კარგა ხნის ინერციით მოძრაობის მერე ისევ სიჩქარის ჩართვის დრო დაუდგაო „უზუზუზუ, უზუზუზუ“, ესმოდათ, როგორ აჩუმებდა ქალი, მერე კი ძია დოკის ხმაც გამოიჭრა ბაქანზე. უწინდებურად ისხდნენ, როცა მოლარემ კვლავ ანათო შუქი და — სადაცაა მოვა ორსაათიანი მატარებელიო — უთხრაო: „უზუზუზუ, უზუზუზუ“, ჭერაც უყვავებდა ცოლი, თითქოს ბავშვის დაძინებას ცდილობსო, ძია დოკი კი — „სიძვა და სიბილწე! სიბილწე და სიძვაო!“ — გაძვევიროდა ერთსა და იმავეს.

კაკუნზე არავინ ეპასუხება და ბაირონიც ისევ ქვევით ჩამოდის პარმადიდან. სახლს გარს შემოუვლის და პატარა, მყუდრო, უკანა ეზოში გადის. მაშინვე ამჩნევს თუთის ქვეშ დადგმულ სკამს. მრავალგზის დაკერებული და გახუნებული ტილოს შეზღონგი იმდენი ხნის წინ ჩაუზნეჭია პაითაუერის სხეულის სიმძიმეს, უკვე თითქოს ცარიელიც კი ინარჩუნებს ხოლმე პატრონის აჩრდილის სქელ, მობოშებულ უფორმობას; ბაირონი სკამისკენ მიაბიჯებს, უახლოვდება და თან ფიქრობს, ამაოების, უმოქმედობის, ცხოვრებისაგან სავალალო განდგომის ნიშნით აღბეჭდილი სკამი როგორ ქცეულა იმავედროულად პატრონის არა მარტო სიმბოლოდ, არამედ მთელი მისი არსის გამოხატულებადაც. „მე კი ხელახლა უნდა შევაწუხოო“, აგრძელებს გუნებაში თავისებურად ოდნავ ტუჩმოქცეული, ფიქრობს ხელახლა? ადრინდელ შეწუხებას ვინღა ჩივის, ყველა ადრინდელი შეწუხება ახლა თვითონაც სისულელედ მოეჩვენება, თანაც ისევ კვირა დღეს მოვადექი. თუმცა, რა, განა კვირა დღეც სიამოვნებით არ იძიებდა მასზე შურს, რაკი ისიც კაცის მოგონილია.

სკამს ზურგიდან უახლოვდება და ზემოდან დასცქერის. პაითაუერს ჩასძინებია, გამობერილ მუცელზე, იქ, სადაც ნახმარი შავი შარვლიდან თეთრი (ამჯერად სუფთა და ახალი) პერანგი ამოსჩაჩვია, გადაშლილი წიგნი უდევს პირქვე. ხელები წიგნზე დაუკრეფია, მშვიდად, მოწყალედ. პაპივით, ძველ-მოდური პერანგი აცვია, ნაოქასხმულ გულისპირიანი, დაუდევრად დაუთოვებული, და არც ახლა უკეთია საყელო. პირი ღია დარჩენია, მრგვალი ღრმულის გარშემოც, საიდანაც ჩაშავებული ქვედა კბილები მოუჩანს, და ლამაზ, ნატიფ ცხვირთანაც, რომელიც ჭერაც უცვლელი დარჩენილა, ჭერაც არ შე-



პუებია ასაკსა და მწარე მარცხით აღსავსე წლებს. ხორცი მობოშებია და ჩამოჰკიდებია. ბაირონი მძინარის სახეს დასცქერის და ეჩვენება, თითქოს ამ ხანდაზმული კაცის მთელი სხეული საკუთარ ცხვირს გაურბის და ცხვირს ეძებდა. ის კი, ცხვირი, დაცემულ და დანგრეულ ციხის ქონგურზე მიეჩვენებულ დროშასავით, მაინც ჭიჯტად ებლაუჭება, მაინც არა სძინავს მისთვის და სიმამაცის მონარჩენებს, ცის ანარეკლი, თუთის ფოთლებში მოქიანებული შუქი, სათვალის შეშებზე ტყდება და ბაირონიც ვერ ამჩნევს, როდის ახელს ჰაითაუერი თვალს. მარტო იმას ხედავს, უეცრად პირს რომ დამუწავს და წიგნზე დაკრუფილ ხელებს ააფათურებს უაზროდ. „ჰა?“ ამბობს შემკრთალი; „ვინ არის? ააა, ბაირონ შენა..“

ბაირონი ზემოდან დასცქერის, მეტისმეტად სერიოზული სახე დასდებია. თუმცა ახლა თანაგრძნობა აღარ აწერია ზედ. საერთოდ არაფერს გამოხატავს მისი სახე სიმშვიდისა და სიმტკიცის გარდა. ხმაც მშვიდი აქვს, ნებისმიერი გრძნობისგან დაცლილი: „გუშინ დაიჭირეს, ალბათ არც ეს გაგივიათ, როგორც მაშინ მკვლევლობის ამბავი“.

„დაიჭირეს?“

„ქრისტმასი, მოთსთაუნში, ქალაქში ჩასულა და მანამდე მდგარა ქუჩაში, სანამ ვიღაცამ არ იცნო“.

„დაიჭირეს“, ჰაითაუერი სკამზე სწორდება. „და შენც მოხვედი, რომ მითხრა... მითხრა, რომ...“

„არა, ჯერ არაფერი უქნიათ, ჯერ ცოცხალია, ციხეში ზის, არაფერი უჭირს“.

„არაფერი უჭირს, მაშ, არაფერი უჭირსო, ჰა? ბაირონი ამბობს, არაფერი უჭირსო... ბაირონ ბანჩი ქალის კუროს მეგობრის ათას დოლარად გაყიდვაში მიეზმარა და ახლა ბრძანებს, არაფერი უჭირსო, ქალი საკუთარი შვილის მამას დაუშალა, ვიდრე... ვთქვა, მეორე კურო-მეთქი, ბაირონ? ვთქვა? თუ მეც დავხუჭო სიმართლეზე თვალი, რაკი ბაირონ ბანჩს ასე ურჩევნია?“

„თუკი ხალხის ყბედობას დაეჯერება, მაშინ, ალბათ, მართალი ბრძანდებით, მით უმეტეს, როცა გაიგებთ, ორივე ციხეში რომ დავიგულე“.

„ორივე?“

„ჰო, ბრაუნიც, ოლონდ, მე მგონი, უკვე ყველა მიხვდა, ბრაუნს იმ მკვლევლობაშიც იმდენივე წვლილი მიუძღვის, რამდენიც მკვლელის დაჭერაში. მაგრამ, ასეა თუ ისე, ხალხი ალბათ მაინც ლაპარაკობს, ბაირონმა, როგორც იქნა, ციხეში ამოაყოფინა თავი და მშვიდადაც ამოისუნთქაო“.

„ჰოო, მართალია“, ჰაითაუერი ხმამაღლა, წვრილი, ოდნავ მთრთოლვარე სმით ლაპარაკობს. „ბაირონ ბანჩი, საზოგადოების კეთილდღეობისა და ზნეობის ფაჩიზელი დარაჯი, კანონიერი პატრონი, კანონიერი მემკვიდრე ჯილდოებისა, მართლაც, ჯილდო ხომ ახლა იმ კაცის მორგანატულ მეუღლეს ერბება, ვინც... ვთქვა? ესეც ავუხსნა ბაირონს?“ მერე უეცრად ტირილს იწყებს, საკუთარი სიმძიმით ჩაზნექილ სკამზე ზის, ვეებერთელა, მოშვებული, და საბეზე ღვირად სდის ცრემლი. „მე ასე არ ვფიქრობ, შენც ხომ იცი, მაგრამ არც ჩემი შეწუხება გეკადრება, ჩემი ასე აწრიალება, როცა მე... როცა თავს ვაიძულე ჩრდილში დგომა... მაიძულეს... სიბერეში რაღატომ უნდა დამტყდომოდა თავს ეს ამბავი, ავი მორჩილად შევეგუე იმას, რაც სხვებმა...“ ერთიერად, ადრე უნარავს ბაირონს, როგორ იჯდა ჰაითაუერი და ცრემლივით რო-



გორ უცვარავედა სახეს ოფლი; ახლა კი მართლა ცრემლებს ხედავს, ბედავს, ოფლივით რომ სდის მობოშებულ ლოყებზე ცრემლი.

„განა ვერა ვნუდები? საცოდავობაა, საცოდავობაა თქვენი მწერაობა. მე არაფერი ვიცოდი, არაფერი ვიცოდი, როცა ამ საქმეში გავერიე, თორემ უთუოდ... მაგრამ თქვენ ღვთის მსახური ბრძანდებით, თქვენ არ შეგეძლიათ თავის არიდება“.

„ალარა ვარ ღვთის მსახური, თანაც ჩემი ნებით არ ამიღია ღვთისმსახურებაზე ხელი, ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე, იცოდე, ჩემი არჩევანი არაფერ შუაშია, იმათი სურვილი იყო, ბრძანებაზე ძლიერი სურვილი, შენნაირების, იმ ქალისნაირების, იმ პატიმრისა და იმათნაირების, ვინც ბორკილი დაადო და ციხეში ჩაამწყვდია, ოღონდ კი საკუთარი ნება-სურვილი აესრულებინა როგორმე, შეურაცხეყო და, ჩემსავით, თავიანთი სისასტიკის მსხვერპლად ექცია, არადა, ისიც ხომ იგივე ღმერთის გაჩენილია, თვითონ არ მიიყვანეს იქამდე, რის გამოც ახლა ეცემიან და ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთენ? ჩემი არჩევანი არაფერ შუაშია, კარგად დაიმახსოვრე ეს“.

„განა არ ვიცი? ვიცი, რადგან კაცს ამდენი არჩევანის უფლება არცა აქვს, თქვენ თქვენი არჩევანი აღრევე გააკეთეთ“. პაითაუერი ყურადღებით შესცქერის. „არჩევანის უფლება ჩემს გაჩენამდე მოგეცათ და თქვენც მანამდე აირჩიეთ თქვენი გზა, ვიდრე მე, ის ქალი, ანდა ის კაცი მოვევლინებოდით ქვეყანას, სწორედ მაშინ აირჩიეთ, თანაც, მე მგონი, კეთილმა ხალხმაც ისევე უნდა აგოს პასუხი საკუთარი არჩევანის გამო, როგორც ბოროტმა, როგორც იმ ქალმა, იმ კაცმა, მე, სხვებმაც, თუნდაც მეორე ქალმა“.

„მეორე ქალმაო? ვინ მეორე ქალმა? ორმოცდაათ წელს გადაცილებულ კაცს განა ორმა გზააბნეულმა ქალმა უნდა დამინგრიოს ცხოვრება და სიმშვიდეც მომისპოს, ბაირონ?“

„არა, ის მეორე გზააბნეული არ არის, ოცდაათი წელი მართლა კი ჰქონდა გზა და კვალი არეული, მაგრამ ახლა აღარ, ბებიაშე გეუბნებით“.

„ვის ბებიაზე?“

„ვისი და ქრისტმასისა“, ამბობს ბაირონი.

თვალეზადქცეული, მიყურადებული ზის კაბინეტის ბნელ ფანჯარასთან, ქუჩას, კიშკარს გასცქერის და შორეული მუსიკის ხმაც დაწყებისთანავე ესმის, თვითონ არც იცის თუ ელოდება, ვერ მიმხვდარა, ყოველ ოთხშაბათ და კვირა ღამეს, ბნელ ფანჯარასთან მჯდომი, სწორედ ამ ხმის გაგონებას რომ უცდის მუდამ, ღამის წამის სიზუსტით გრძნობს მის დაწყებას და არც მაჯის, არც კედლის საათი არ სჭირდება. უკვე ოცდახუთი წელიწადია აღარცერთი არ დასჭირვებია, მექანიკური დროისაგან სრულიად გამიჯნული ცხოვრობს, თუმცა, სწორედ ამ მიზეზის გამო, ჯერ არასოდეს გამოჰპარვია მუსიკის ხმა, თითქოს ცნობიერების ფსკერიდან, გონების ჩაურევლად, თავისთავად ამოტივტივდება ხოლმე რამოდენიმე მკაფიოდ განსაზღვრული მომენტი, რომელნიც, ერთ დროს, მის ამქვეყნიურ მკვდარ ცხოვრებას წარმართავდნენ და აწესრიგებდნენ, საათის დაუხმარებლად შეუძლია ფიქრში ზუსტად, უშეცდომოდ აღიდგინოს, სად იქნებოდა და რას გააკეთებდა ძველ ცხოვრებაში იმ ორ, უცვლელ წამს შორის, რომელნიც კვირა დღის ცისკრისა და მწუხრის ლოცვისა და ოთხშაბათ ღამის წირვის დასაწყისსა და დასასრულს აღნიშნავდნენ, როდის შევიდოდა ეკლესიაში, საკუთარი ვარაუდით, როდის დაამთავ-



რებდა ლოცვასა თუ ქადაგებას. ასე რომ, ვიდრე ჯერ საბოლოოდ დაბნელდებოდეს, ვიდრე ჯერ საბოლოოდ იძალებდეს დამე, თავისთვის ამბობს აი, ახლა თანდათანობით იკრიბებიან, ნელ-ნელა მოუყვებიან ქუჩას, აბლოვდებიან, ერთმანეთს სალამს აძლევენ, შემოდიან: ჯგუფ-ჯგუფად, წყვილ-წყვილად, თითო-თითოდ. ეკლესიაშიც ხმადაბლა აგრძელებენ ადრე-ადრე დაწყებულ საუბარს, მანდილოსნები ოდნავ შესამჩნევად არხევენ განუყოფელი სიტყვებს, თავის კანტურით ესალმებიან ახლად მოხულებს, სკამებს შორის მომავალთ. მის ქარადერსიც აქაა (მისი ორდანიტი, აგერ უკვე ოცი წლის მკვდარი): სადაცაა ქანდარაზე ავა და ორდანს მიუჯდება მწუხრის წირვა-ლოცვა კვირა საღამოს. მუდამ ეჩვენებოდა, სწორედ ამ დროს უახლოვდება ადამიანი ყველაზე მეტად ღმერთსო. გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მსგეფსის ნებისმიერ სხვა ეამს. სწორედ მაშინ, და არა ეკლესიაში მრევლის სხვა რომელიმე შეკრების დროს, ისადგურებს ხოლმე რაღაც იმ სიმშვიდისმაგვარი, რასაც ჰპირდება, რითაც ანუგეშებს ეკლესია ადამიანს, რაც, საბოლოო ჯამში, შეადგენს კიდევ მის მიზანს. თუკი ოდესმე იწმინდება, სწორედ მაშინ იწმინდება ხოლმე კაცის გონებაც და გულიც; განვლილი კვირა, მისი ათასი დავიდარაბითა და გასაჭირით, უკვე დამთავრებულია, შეჯამებულიც და მონანიებულიც ცისკრის ლოცვის მკაცრი და დარბაისლური სიმშაგით; მომდევნო კი, თავისი ახალი სატანჯველით, ჯერ არ დამდგარა და გულიც დამშვიდებულია, ცოტა ხნით გაუგრილებია რწმენისა და იმედის სიოს.

ბნელ ფანჯარასთან მჯდომი, თითქოს ხედავს კიდევ აი, უკვე შეგროვდნენ ყველანი, კარებში შემოდიან, თითქმის აღარავინ აკლიათ და მერე, ოდნავ წინგადახრილი, „დროა, დროაო“ — ამბობს ხმამაღლა; თითქოს მის ნიშანს ელოდაო, დაუყოვნებლივ გაისმის მუსიკის ხმაც. ზაფხულის ღამეში ომანიანად, მქეპარედ ეღერს საორდანო მელოდია, ხმაშეწყობილი, მოგუგუნე, ერთდროულად მორჩილიც და ამაღლებულიც, თითქოს გათავისუფლებულ ბგერებს ჯვარცმის ფორმა და სახე შეუძენიათ, და აღტაცებული, დიდებული, გულშიჩამწვდომი მუსიკაც, თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრებს, მაგრამ, ახლაც კი, ჯერ ისევ დაჰკრავს სიმკაცრის, ულმობლობის, აიცვივის რაღაც ელფერი, იმდენად აღტკინებით არ არის სავსე რამდენადაც თავგანწირვით, ვედრებით, თხოვნით, ოღონდ არა სიყვარულისა, არა სიცოცხლისა — რამდენადაც, მთელი პროტესტანტული მუსიკის დარად, — ერთსაც უკრძალავს ადამიანს და მეორესაც, არამედ სიკვდილისა, თითქოს სიკვდილი მადლი იყოს კაცთათვის. თითქოს ისინი, ვინც სიკვდილს დაწყაბულდნენ და ვინც მისი ძალა აღიარეს, ვინც ზოტბა შეასხეს და მის სადიდებლადაც აღიმაღლეს ხმა, ვინც იმაზე აღიზარდნენ, ვინც იმით ისულდგმულეს, რასაც სწორედ ამგვარი მუსიკა განადიდებდა, რის მარადიულ სიმბოლოსაც წარმოადგენდა, ახლა ზოტბისა და ქება-დიდების შეშვეობითვე იძიებენ შურს თავიანთ აღმზრდელსა და მასულდგმულებზე, უსმენს და ჰგონია, ამ ხმებში, საკუთარი ისტორიის, საკუთარი მიწის, საკუთარი სისხლის ამოთეოზიც ესმის: მისი გამჩენი, მის ირგვლივ მცხოვრები ხალხისა, ვისაც უხმაუროდ და უაქალმაყალოდ არც შეგუება შესძლება ოდესმე სიამოვნებასა თუ უბედურებასთან, და არც რომელიმესთვის თავის არიდება, თითქოს ვერც ვერაფრით შეკვებიან, ვერც ვერაფრით აუტანიათ სიამოვნება თუ აღტაცება; საშველს სისასტიკეში, სასმელში, ჩხუბში და ლოცვაში ეძებენ ხოლმე; უბედურებაც ასე, ისიც გარდაუვალ სისასტიკეში უნდა გადაიზარდოს მუდამ ჰოდა, განა



საკვირველია, ბოლოს და ბოლოს მათი რელიგიაც ერთიმეორის ჯვარცმამდე თუ მიდის ეჩვენება, თითქოს მუსიკა იმასაც აუწყებს და ამცნობს, რაც ხვალ უნდა მოხდეს. რაც ხვალ უნდა ჩაიდინონ, რაზეც უკვე თვითონაც თქვირბენ. თითქოს გასული კვირა ნიაღვარივით მოვარდა, ნიაღვარივით წალეკა ყველაფერი, მომავალი კი, ხვალ დასაწყები, უფსკრულია და ვიდრე უფსკრულში საბოლოოდ და სამარადისოდ ჩაინთქმებოდეს, უფსკრულში მჩხვრეტავირთებულ ნიაღვარს ერთადერთი, გაბმული, რიხიანი, უწყალო ყვირილი აღმოხდება, არა პატიების, არა სამართლიანობის მთხოვნელი: უბრალოდ, უკანასკნელი სალაში გაქრობის, გაუჩინარების წინ, თანაც, არა რომელიმე ღმერთისადმი აღვლენილი, არამედ ჩარაზულ საკანში დამწყვდეული, გახწირული კაცისადმი მიმართული, იმისადმი, ვისაც ახლა მათი ხმაც ესმის და ორი სხვა ეკლესიისაც. ვის საწამებლადაც ხვალ დაუფიქრებლად აღმართავენ კიდევ ერთხელ ჯვარს. „და თან ხალისითაც“, ამბობს ბნელ ფანჯარასთან გარინდული, გრძნობს, როგორ ეჭიმება ტუჩები, როგორ ეძაბება ყვრიმალეებზე ძვლები, წინათგრძნობის კარნახით, რაღაც სიცილზე უფრო საშინელის გავლენით. „რადგან მისი შეცოდება და შეწყალება საკუთარი თავისადმი უნდობლობის აღიარებასაც ნიშნავს, იმას ნიშნავს, თვითონაც რომ აქვთ სხვათაგან შებრალებების იმედიცა და მოთხოვნილებაც. ამიტომაც ხალისით ჩაიდენენ ყველაფერს. აი, ესაა სწორედ საშინელი, საშინელი, საშინელიო“. მერე, ფანჯრიდან გადახრილი ხედავს, როგორ უახლოვდებიან, როგორ შემოდიან კიშკარში სამნი, ქუჩის ნათურის შუქი ეკემათ და მხოლოდ ჩრდილებში მომავალთა სილუეტებს არჩევს. თუმცა ბაირონს მაინც სცნობს და ახლა დანარჩენ ორს აკვირდება. ცოლ-ქმარს ელოდება, მაგრამ ერთ-ერთს კაბა რომ არ ეცვას, ალბათ ვერც ვერაფრით განასხვავებდა ერთმანეთისგან: ერთი სიგრძე-სიგანისანი, ნებისმიერ ქალსა და კაცზე ტანსრულები და ტანმორჩილები, ორ ფეხზე შემდგარ დათვებსა ჰგვანან. ვერც ასწრებს თავის შემაგრებას, ისე უეცრად უტყდება სიცილი. „თავზე ხილაბანდი და საყურეებილა აკლია ჩვენს ბაირონსო“. ფიქრობს და იცინის, იცინის გაუჩერებლივ, უხმოდ, თან მაინც თავის შეკავებას ცდილობს, რადგან საცაა ბაირონიც დააკაკუნებს და თვითონაც კარის გასაღებად მოუწევს წამოდგომა.

ბაირონი სტუმრებს მოუძღვება, კაბინეტში შემოჰყავს — ტანდაბალ, ჯმუხ ქალს მეწამული ფვრის კაბა აცვია. თავზე ბუმბულიანი ქუდი ხურავს, ხელში ქოლგა უჭირავს და სრულიად უძრავი სახე ადევს. საოცრად ჭუჭყიანსა და ძალიან ბებერ კაცს კი თხასავით წვერი თამბაქოს ბოლით ჩაყვითლებია და აქეთ-იქით აცეცებს გიჟის თვალებს. მორიდება ან კრძალვა არც ერთს არ ეტყობა. მოსამართი, ზამპარიანი თოჯინებივით შემოდინან ოთახში. ქალი ცოტათი უფრო თვითდაჯერებულად გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში, ამ ორიდან უფრო შეგნებულს ისა ჰგავს. მართლა თოჯინასავით გახევებულს, თითქოს ვიღაც სხვა კი დაატარებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეტყობა, მაინც რაღაც გარკვეული მიზანი თუ ბუნდოვანი იმედი ამოძრავებს. კაცი კი ლამის უგონოდაა, რასაც, პაითაუერიც იმწამსვე ამჩნევს, თითქოს ვერც მიმხვდარა და არც აღარდებს, სად იმყოფება, სად ამოუყვია თავი და, ერთდროულად უცნაურად გარინდული და თან გაფაციკებული, ყოველ წუთს ასაფეთქებლადაა მზად.

„აი, ეს ქალია“, ამბობს ბაირონი წყნარად. „ესაა მისი პაინსი“.



ცულ-ქმარი გაუნძრევლად დგას. შუა ოთახში ბანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ უცხო ხალხში: უცხო გარემოში მოხვედრილი დაშფოთებული, გახვეებული ქალი. ქვისგან გამოყვეთილსა და გაბნეულს ეკრძა რომ ჰგავს, და გამოთიშული, გარბნულს, ფართული რისაყრით დაძვრულ ქუჩუიანი ბერიკაცი. ბერიკანი და ჯერ არცერთს არ შიშობს ბერიკანისთვის — არც ცნობისმოყვარედ და არც ცნობისმოყვარეობის გამოცხადებულ ზიზზუარით დასხდომის სთავაზობით. ბაირონს ქალი სკამისკენ მიჰყავს და ისიც, ქოლგაჩაბლუჭული, ფრთხილად ჰდგება. ვატი კი პარიქით მოწყვეტით ეყთვება სკამზე. ბოლოს ზაითაფერიც იკავებს თავის ჩვეულ ადგილს და — ააა, რის შესახებ სურთ ჩემთან ლაპარაკით? — ეკითხება ბაირონი.

ქალი სკამზეც გაუნძრევლად ზის. ეტყობა, არც გაუგონია ზაითაფერის შეკითხვა, იმ ადამიანსა ჰგავს, უისაც დასაპირების ხათრით ძნელი გზა გამოუვლია და ახლა ერთიანად მოშვებულია, მოლოდინად ქცეულია. „ესაა“, ეუბნება ბაირონი ქალს. „ესაა ღირსი ზაითაფერი უთხარით, უამბეთ, რისი მოყოლია ვინდათ“. ქალი უტყვი, უაზოთ, არაფრისმთქმელი საზოთ მისჩერებია ბაირონს. შეიძლება, ამ საზის შიღმა, ბუნებრივი, თანდაყოლილი სიმუნჯე და უენობაც იმალება. შეტყველების უნარი კი თითქოს თავად საზის უპრობასა და უაზრობას წაურთმევი ქალისათვის; შეიძლება, იმედი და სურვილი — ოღონდ, არც ერთის კვალი ატყვია და არც მეორისა „უთხარით“, — ეუბნებს ბაირონი. „უთხარით რამაც მოგიყვინათ, რისთვისაც ჩამოხვედით ჩუფერსონში“.

„რისთვისა და...“ ამბობს ქალი, მოულოდნელად გაისმის ოთახში მისი ინა, მოგუდული, ღამის უბეშაც კი ოღონდ, შიშის რუმი, თუმცა, თითქოს თეთონ ამასაც არ ულოდათ, მაშინვე ჩუმდება, ეტყობა, საკუთარი ხმის გაგონებით გაოცებული, და რან ბაირონს, რან კი ზაითაფერს შესცქერის საბეჭი.

„უთხარით“, ამბობს უკვე ზაითაფერიც. „სკადეთ მითხრათ“  
 „რისთვის, რომ მე...“ ვაოცებას ჯერაც არ გაუვლია, ქალს ისევ უცებ უწყდება უწინდელივე ჩუმობა. თითქოს ეს სამე სიტყვა მისთვის გადაეკლავა, ჩულოყნურ დაბრკოლებად ქცეულა: თითქოს ზედავენ კიდევ, როგორც ცდილობს გვერდი აუაროს ამ დაბრკოლებას „არც კი მინახავს, ფეხი როგორ აიდგა“, ამბობს ქალი. „არცდაათი წელიწადია შორიდანაც არ მომიკრავს მისთვის თვალი, რაც ფეხი აიდგა, ლაპარაკი დაიწყო...“

„სიძვა და სიბილწე!“ მოულოდნელად ევირის ბერიკაცი. „ამაძალია, კაცინავად ყურსწამლებად სიძვა და სიბილწე!“ იმეორებს ერთხელ კიდევ და ჩუმდება. მოვარეულივით გამოთიშული, მისხის გაშმაგებით, ყველაზეს მოულოდნელად წამოისვრის ამ სიტყვებს და ერთი არაფერია, ისევ ითხდება. ზაითაფერი გაოცებული მიშტერება: შერე უკვე ბაირონზე გადაექვს მხერა და ისიც მამადალა უხსნის.

„ის ამითი ქალიშვილის შეიღია მან...“ ოდნავ შესამჩნევად გადააქნევს თავს ბერიკაცისკენ. იმან კი თავისი დაკვესილს ვიუერა თვალენა დაბრკოლებისთვის მიუხაბებია. „დაბრკოლისთანვე სადღაც წაიყვანა თურმე, ცოლი-თვისაც არ გაუბნებია ჩვეშვან ადგილსამეოფელი, ქალს ცოცხალიც აღარ აგონებია, ვიდრე...“

სიტყვას ისევ ბერიკაცი აწყვეტობენ. ისევ მოულოდნელად, ოღონდ ახლა აღარ ევირის დაშფოებულია და ბაირონივით გასაგებად, უაღავებულად



ლაპარაკობს. თუმცა ოდნავ ნაწყვეტ-ნაწყვეტ: „პო ბებერმა დოკ პაიხსმა წაიყვანა. ღმერთმა მოუმართა ბელი და იმანაც არ გაუცრუა ამერი ღმერთს. ბავშვების პირით განაცხადა უფალმა საკუთარი ნება ბავშვები დაიძახოდნენ - ზანგო! ზანგო! - ღვთისა და კაცის წინაშე. ღვთის ხელს არასრულელებდნენ. ბებერმა დოკ პაიხსმა კი უფალს ჰკითხა, „ეგ კი კარგი მაგონი განა ეგ კმარა განა ბავშვები ერთმანეთს უარეს საბელევისად დასძინებენ?“ უფალმა კი, „დაიცადე და ნახეო. მე ამქვეყნიურ სიბილწეზე და სიძვაზე დასაკარგავი დრო არა მაქვსო. მე მართო ნიშანი დავადე და აბლა ქვეყანასაც მოვდებ მის ამბავს. შენ კი იმისათვის დაგაყენე აქ. ჩემი ნება რომ აღასრულოო. დანარჩენზე უკვე შენ თვითონ უხდა იზრუნო და თბიზლადაც უნდა იყოო“. ბერიკაცი ჩუმდება: ისე უცბად უწყდება სიტყვა. თითქოს ვიღაცამ ვისაც მუსიკის მოსმენა მობეზრებია. თირფიტის ნემსი აიღოო. უკვე პაითაუერსაც უელავს თვალები. ბერიკაციდან კვლავ ბაირონზე გადააქვს მზერა.

„რას ნიშნავს ეს? რას?“ ეკითხება ბაირონი.

„შინდოდა რამენაირად მართო ქალი მომეყვანა“. ამბობს ბაირონი. „მაგრამ ვერსად დავტოვეთ. ქალიც ამბობს. თვალს ვერ მოვაშორებო. თურმე გუშინ მოთსთაუნშიც აქებებდა ხალხს. მოდით აბლავე ლინჩის წესით გავასამართლოთო. არც იცოდა. რაში სდებდნენ ბრალს“.

„ლინჩის წესით?“ ყურებს ვერ უჯერებს პაითაუერი. „საკუთარი შვილი-შვილი?“

„ქალი ასე ამბობს“. პასუხობს ბაირონი დინჯად. „ქაც მთავრობ ჩამოვიდაო. თვითონაც იძულებული გამხდარა გამოკოლოდა. როგორმე ბელი რომ შეეშალა“.

ისევ ქალი იწყებს ლაპარაკს შეიძლება. ამ ხნის მანძილზე სულ უსმენდათ. თუმცა მეტი აზრი არც აბლა აწერია სახეზე. ვიდრე ოთახში შემოსვლისას ეწერა: საბეგაქვავებული. ხმაჩამკვდარი ლაპარაკობს. ლამის კმარივით მოულოდნელად ერთვება საუბარში. „ორმოცდაათი წელია ასეა. მეტიც. ორმოცდაათი წელია მე ვუძლებ. სანამ დაკოორწინდებოდით. მანამდეც სულ ჩხუბზე ეჭირა თვალი. იმ დამესაც. ძილი რომ გვეყოლა. ჩხუბისთვის ციხეში ამოაყოფინეს თავი. აი. რა გადავიტ... რას ვუძლებდი ამბობდა. იძულებული ვარ ვიჩხუბოო. სხვებზე ტანმოხილი ვარ და სხვანაირად ყველა ჩემს დაჩაგვრას და დაბეჩავებას ეცდებოო. პატრემოყვარეობა და სიამაყე ალაპარაკებდა. მე კი ვეუბნებოდი. ეშმაკი ჩაგბუდებია-მეთქი. ერთ დღესაც უსათუოდ მოგადგება და თვალის დახამჩამებასაც ვერ მოასწრებ. ისე მოგთხოვს-მეთქი თავის კუსაენილ ხარკს. მილას დაბადების მეორე დღესაც ამას ვეჩიჩინებოდი. ციხიდან აბლად გამოშვებულს; ჯერაც ისეთი დასუსტებული ვიყავი. თავი ვერ ამეწია. ასე ვუთხარი: ღმერთი ნიშანს გაძლევს და გაფრსხილებს-მეთქი; შენი შვილის დაბადებისას ციხეში რომ იჯექი. ეგ უფლის ნიშანია და იცოდე. ხეციერი ათასოდეს. მოგანდობს ქალიშვილის აღზრდას-მეთქი. იმასაც განიშნებს. ქალაქს (მაშინ რკინიგზაზე მუშაობდა კონდუქტორად) ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ჩვენი ოჯახისთვის-მეთქი. ეტყობა. დამიჯერა. დაიჯერა. მართლა ნიშანს რომ აძლევდა უფალი. რადგან ქალაქიდან კარგა ხნით ამოვიკვეთეთ ფეხი და ეფუფესიც სამხერხაოში მოეწყო ოსტატად. თავიდან კარგად წაუვიდა საქმე. რადგან იმ დროს ჯერ არ დაეწყო ამოებითა და სიამაყით შეპყრობილს უფლის საბელის ფუქად ხსენება. ისიც



მხოლოდ იმიტომ, როგორმე ეშმაკის მონება რომ დაემალა და გაემართლებინა. პოდა, როცა ცირკიდან შინისკენ მიმავალმა ლემ ბუშის ფორანმა ჩაგვიარა და მილი სახლთან არ გადმოსვა, როცა ეუფეუსი გადარეულვით შემოვარდა ოთახში და ყველა უჯრა ამოაქოთა, სანამ დამბაჩას იპოვიდა, ვუთხარი: „ეუფეუს, ეგეც ეშმაკია-მეთქი, შენ ახლა მილიზე დარეულვით ფორანებისხარ-მეთქი ეგრე“. ამან კიდევ, „სულერთიაო, სულერთიაო“ უმხმარებდა, მერე გამარტყა, საწოლზე დამაგდო და მეც ვხედავდი...“ ქალი ჩუმდება, ოღონდ ნელ-ნელა, თანდათანობით უწყდება ხმა, თითქოს პატეფონი მხოლოდ სანახევროდ, ჰაიჭარად მოუმართავთო, ჰაითაუერს ისევ ბაირონისთვის მიუპყრია ანთებული, გაოცებული მზერა.

„მეც ასე მიაშბო“, ამბობს ბაირონი, „თავიდან ბევრი ვერაფერი გავიგე, სამხერხაოში ცხოვრობდნენ თურმე, არკანზასში, ოსტატად მოწყობილი იქ, გოგო მაშინ უკვე თვრამეტეოდე წლისა ყოფილა, როცა ერთ ღამეს სამხერხაოსთან ქალაქისკენ მიმავალ ცირკს ჩაუვლია, დეკემბერი მდგარა, წვიშიანი, ერთ-ერთ ფურგონს სამხერხაოს შორიახლოს ხიდი ჩასტეხია, ვილაც იმათიანი მისდგომია შინ, გაუღვიძებია და უთხოვია, იქნებ ფურგონის ამოთრევაში მოგვეხმაროთო...“

„უფლისთვის საძულველი ქალის ხორცი!“ ყვირის უეცრად ბერიკაცი, ყვირის და მაშინვე იკმენდს ხმას, მაშინვე ჩუმდება; თითქოს მხოლოდ წამით სურდა ყურადღების მიპყრობაო, მაგრამ ცოტა ხანში ისევ ჩქარ-ჩქარა იწყებს ლაპარაკს, დამაჯერებლად, ბუნდოვნად, ფანატიურად, საკუთარ თავს ახლაც მესამე პირში ინსენიებს, „მან იცოდა, იცოდა ბებერმა დოკ ჰაინსმა, ავი ნანაზიც ჰქონდა უკვე მის ტანზე, მის კაბის ქვეშ უფლისთვის საძულველი ქალური ნიშანი, პოდა, როცა ლაბადა მოისხა, ფარანი ანთო და სახლიდან გამოსვლა დააპირა, გოგოც კარებთან დაუხვდა, იმასაც ჩაეცვა საწვიმარი, ჰაინსი ეუბნება, „წადი, დაწეკიო“, გოგო კი — „მეც მინდა წამოსვლაო“, „წადი, ოთახში შებრუნდიო“, უთხრა ჰაინსმა, გოგოც დამორჩილდა, მერე ჰაინსი იმათ გაჰყვა, სამხერხაოდან მოზრდილი მორი დაიტრია და ფურგონის ამოთრევაში მიეხმარათ, ლამის გათენებამდე იმუშავა, დარწმუნებული იყო, გოგომ დამიჯერაო, მამის ნებას დაჰყვაო, უფლისგან მონიჭებულ ნებას, მაგრამ მეტი ჰქუა მართებდა, ვალდებულებაც იყო არ დავიწყებოდა ქალის ხორცისადმი უფლის ზიზღი და სიძულვილი; უნდა ეცნო მრუშობისა და სიბილწის მოარული საბე, უკვე აქოთებული, უკვე ყროლებული ღვთის თვალწინ, ბებერ დოკ ჰაინსს უმტკიცებდა, მექსიკელიაო, დოკ ჰაინსს! არადა, შეხედა თუ არა, მაშინვე დაუნახა სახეზე ყოვლისშემძლე ღმერთის შავი წყევლის დალი, ეუბნებოდა...“

„რაო?“ ამბობს ჰაითაუერი, ხმამალლა ამბობს, თითქოს წინდაწინვე იგრძნო, მხოლოდ საკუთარი ხმის სიძლიერით რომ მოახერხებს მეორე ხმის ჩაიშობას, „რას ნიშნავს ეს ყველაფერი“.

„ეს ბიჭიც თურმე ცირკს ახლდა“, უხსნის ბაირონი, „როცა გაქცეულებს დასწევია, მექსიკელიაო — ქალიშვილს უთქვამს ამისთვის, შეიძლება, ბიჭისგან იცოდა იმის მექსიკელობა, ოღონდ ამას...“ — ბაირონი ისევ ბერიკაცზე უთიბებს — „საიდანღაც შეუტყვია, ზანგური სისხლი ურევიაო, ეტყობა, ციოკის მსაპიობთაგან უთხრა ვინმემ, არ ვიცი, თვითონ არავის გამოსტეხია, ვინ აუხილა თვალი, თითქოს ამ ამბავს არც ჰქონდა რამე მნიშვნელობა, ისე,



მე შგონი, მართლაც არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, მომდევნო ღამის შემდეგ მაინც“.

„მომდევნო ღამის?“

„ეტყობა მაშინ, აი, ფურგონი რომ გადავარდნილა ხიდიდან, გოგო მაინც გაიპარა შინიდან, ეს ასე ამტკიცებს. თვითონ ღრმად და დარწმუნებულად და მართლაც, ეჭვი რომ არ გასჩენოდა, გოგოს რომ არ შეეშინებოდა სახაბი, მერე რაც მოხდა, ალბათ, არც მოხდებოდა. მეორე საღამოს გოგო უკვე ეილაც მეზობელთან ერთად წასულა წარმოდგენაზე, ამასაც გაუშვია, ჯერ არ შეჰპარვოდა ეჭვი, მაშინაც არაფერს შეუშფოთებია თურმე, როცა საკვირაოდ გამობრანქულ-გამოწყობილი გოგო მეზობლის ფორანში ჯდებოდა. შეილის დაბრუნებას მაინც მოუთმენლად ელოდა თურმე და როცა ფორანის ხმა გაუგია, ფორანს კი ამათი სახლისთვის ისე ჩაუვლია, ისე გაუგრძელებია გზა, თითქოს გოგოს გადმოსმას არც აპირებდა, გიჟივით გამოვარდნილა შინიდან და ჯვირილ-ჯვირილით გასდევნებია უკან. ფორანი გაჩერებულა, ოღონდ გოგო შიგ არა მჯდარა. ცირკთანვე დაგვშორდაო, — უთქვამს მეზობელს. — ასე გვითხრა, ამაღამ ჩემ დობილთან ვრჩებიო, გაჰკვირვებია კიდევ, შენ როგორ არაფერი იცი, შინიდან წამოსვლისას ხელში ხომ სამგზავდეც, შენ როგორ არაფერი იცი, შინიდან წამოსვლისას ხელში ხომ სამგზავდეც ჩანთა ეჭირაო, ჰაინსს ჩანთა არ დაუნახია, ეს ამბობს“, — ბაირონი ახლა სახეგაქვავებულ ქალზე უთითებს: ქალი კი უძრავად ზის, ვერც შეატყობ, ესმის მათი ნალაპარაკევი თუ არა — „ეშმაკი მიუძღვოდა წინო, ჩემზე უკეთ საიდან ეცოდინებოდა მილის ადგილსამყოფელი, არადა, მაინც დაფეთებულა შემოვარდა შინ, დამბახას ეცა, მე საწოლზე დამანარცხა და, რამდენი არ ვეცადე გამეჩერებინა, მაინც ვერაფერს გავხდი, მაინც შეკაზმა ცხენი და გიჟივით სადღაც გააქენაო, ერთადერთი მოკლე გზა ეგულებოდა და ისიც სწორედ იმ გზას დაადგა ბნელშიო, გაქცეულების დაწევა ათიოდე სხვა გზითაც შეიძლებოდა, მაგრამ მაინცდამაინც ის ამოარჩიაო. ეტყობა, რაღაც სხვა გუმანს მიჰყავდა, სხვა გუმანი კარნახობდა. მართლაც, მალევე უპოვნია, თითქოს წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომელ გზას დაადგებოდნენ, სად იქნებოდნენ, თითქოს იმ შექსაკელთან თუ ზანგთან პემანი ჰქონოდა დანიშნული, წინათგრძნობა ენახებოდა, უკუნი სიბნელე მდგარა და მაშინაც კი, როცა იმათ პაწია ორთვალას დასწევია: ხუსტად ვერაფრით ეცოდინებოდა, მართლა ისიხი ისხდნენ შიგ თუ სხვები მაინც ჩასდგომიათ კვალში, მაინც ჰქენებით მიჰყოლია იმ ღამეს შესვედროლ პირველასვე ეტლს, მერე მარჯვნიდან ამოსდგომია, ცხენის კისერზე გადაწოლილა და იმ უკუნ ღამეში სიტყვის უთქმელად, ცხენის შეუჩერებლად, მეეტლისათვის, ვინც, თავისუფლად შეიძლებოდა, უცნობი ანდა სულაც მეზობელი გამომდგარიყო, მაგრად ჩაუვლია ჩელი, ცალი ხელით ჩაუბლუჯავს, მეორეთი დამბახა მიუბჯენია, გაუსვრია და ადგილზევე გაუთავებია: მერე გოგო უკან შემოუსვამს უნაგირზე და შინ დაბრუნებულა, ორთვალაც და მოკლულიც გზაზე უპატრონოდ დაუყრია, მაშინაც წვიმდა თურმე“.

ბაირონი ჩუმდება, ჩუმდება და მაშინვე ქალი იწყებს ლაპარაკს, თითქოს ერთიანად დაჭიმული, მოუთმენლობით შეპყრობილი, მხოლოდ ბაირონის დადუმებას ელოდებოდაო, უწინდებურად მკვდარი, უხალისო, რულის-მომგვრელი ხმა აქვს: ორი ხმა ენაცვლება ერთიმეორეს, მონოტონურად, სტროფივით და ანტისტროფივით: ორი უსხეულო ხმა თვლემამორეული ჰყვება რაღაც ამბავს, არარსებულ მხარეში მომხდარს, არარსებული ხალხის







უყვანიათ, ის კი თურმე დააღ-ღას უღერებდა ხალხს, ემუქრებოდათ, იქვე ეკლესიაში, კიდრე კანონის დამცველეთ, არ მისულან და არ დაუბატიმრებიათ; ღმერთმანი, გიჟს ჰგავდაო — ამბობდნენ მას, მნახველები, მერე ძველი ამბავიც გამოუჩნდრიკეს, რომელიღაც ქალაქში ექიმი ეუფეუესი უწოდებოდა მაშინ მოესწრო გამოქცევა, დროზევე ეშველა თავისებურად — მხატვრობის ციხიდან რომ გამოუშვეს, მილის დროც, პა და პა, უკვე მოწეული იყო, მეგონა, დაწყნარდა-მეთქი, ბოლოს და ბოლოს ღვთის ნებას ჩასწვდა-მეთქი რადგან ლამის საერთოდ აღარ იხმობდა იმისი ხმა; ერთ დღეს, მე და მილი იმისგან მალულად ბავშვის ტანსაცმელს რომ ვკერავდით, იმ ტანსაცმელსაც მივანო და კრინტიც არ დაუძრავს, მარტო გვეკითხა, როდის იქნება ეს ამბავიო, ყოველდღე გვეკითხებოდა, მეგონა, ალბათ ბედს შეეგუა, ეკლესიაში სიარულმა ანდა ისევ ციხეში ჯდომამ ცოტა გული თუ დაუშვიდა, როგორც მაშინ, მილის დაბადებისას-მეთქი ასე იყო თუ ისე, ერთ ღამესაც მილიმ გამაღვიძა და — დაიწყოო — მითხრა, მეც ჩავიცვი, ეუფეუესიც გავაღვიძე და ექიმის მოსაყვანად გავგზავნე, ისიც უჩუმრად გავიდა შინიდან, ყველაფერი გავამზადე, ვზივარ, ველოდები, მაგრამ არც ეუფეუესი ჩანს, არც ექიმი, აი, საცაა შემოვლენ-მეთქი, ვფიქრობ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ბოლოს ავდექი და პარმალზე გავედი — გავხედავ-მეთქი — და რასა ვხედავ? კიბეზე ზის, ზედა საფეხურზე, კალთაში თოფი უდევს და მეუბნება, „სახლში შედი, კახპას მშობელოო“, „ეუფეუეს-მეთქი“, დავაპირე რალაციის თქმა, მაგრამ თოფი მოიმარჯვა და — „შინ შედიო, დააცადე ეშმაკს დათესილის მომკაო“, უკანა კარიდან ვცადე გაპარვა, მაგრამ, ეტყობა, ხმა გაიგონა, სახლს შემოურბინა თოფმომარჯვებულმა, თოფის ლულით მცემდა და მეც ისევ მილისთან შევბრუნდი, რა მექნა?! თვითონ დერეფანში იდგა, კარებთან და უხმოდ უყურებდა, როგორ კვდებოდა მილი, მერეღა შემოვიდა ოთახში, საწოლს მიუახლოვდა, ბავშვს დახედა, მერე დასწვდა, მალლა ასწია და ასე აწეული ეჭირა ლამის ზევით, თითქოს ელოდებოდა, თითქოს ცდილობდა არ გამოჰპარვოდა, რომელი გაიმარჯვებდა — ეშმაკი თუ ღმერთი, მე საწოლთან ვიჯექი, არაფრის თავი აღარ მქონდა, მარტო ჩრდილებს ვხედავდი კედელზე — იმისას, იმის ხელებისას, და უფრო ზევით — ბავშვისას, მაშინ გამიელვა თავში, ღმერთმა გაიმარჯვა-მეთქი, თუმცა ახლა კი აღარაფერი ვიცი, ამან ბავშვი ისევ მილის მიუწვინა გვერდით და ოთახიდან გავიდა, საერთოდ წავიდა სახლიდან, ავდექი, ღუმელში ცეცხლი დავანთე და რძე ავადუღე“, ქალი ჩუმდებდა; კვდება იმისი უხალისო, მოგუდული ხმა, მაგიდის იქით პაითაუერი ზის, უძრავ, სახეგაქვავებულ, მეწამულ კაბაში გამოწყობილ ქალს მისჩერებია, რომელიც ოთახში შემოსვლის შემდეგ ერთხელაც არ შერბეულა, მერე ქალი ისევ აგრძელებს ლაპარაკს, გაუნძრევლად მჯდომი ლამის ტუჩებსაც კი არ ამოძრავებს, თითქოს თოჯინა იყოს, ხმას კი მუცლითმეზღაპრე გამოსცემდეს მეორე ოთახში.

„გადაიკარგა ეუფეუესი, სამხერხაოს პატრონმაც ვერ გაიგო მისი ასავალდასავალი, ახალი ოსტატი კი აიყვანა, მაგრამ მე ცოტა ხანს კიდევ დამრთო სახლში დარჩენის ნება — ეუფეუესისა არაფერი ვიცოდით, ზამთარი კარს იყო მომდგარი და ჩვილი ბავშვის პატრონს ქუჩაში ხომ არ გამაგდებდა, სანამ წერაილი არ მივიღე, მისტერ გილმანისა არ იყოს, არც მე ვიცოდი, სად მეძებნა ქმარი, შემდისიდან გამოვეჩვენა, შიგ მარტო ფული იდო, სხვა არაფერი ვერც წერაილმა გამაგებინა ხეირიანად რამე, ნოემბერში ისევ მი-



ვოლუ კონვერტით ფული. ბარათი არც მაშინ გამოუყოლებია. აღარაფრის თა-  
 ვი აღარ მქონდა. მერე, შობამდე ორი დღით ადრე, უკანა ეზოში მემას ვა-  
 პობდა და შინ რომ შევბრუნდი, ბავშვი აღარ დამხვდა. ერთი საათიც არ  
 ეყოფოდა ეზოში, კინძე რომ შემოსულიყო ან გასულყოფოდა. ვეფხვე-  
 ლებლად უნდა დამენახა, მაგრამ არავინ დამინახია. ბარათი კი ვიპოვე. ეუ-  
 ფეუსს დაეტოვებინა, იმ ბალიშზე, ბავშვს რომ ამოვუდებდი ხოლმე გვერ-  
 დით — საწოლიდან არ გადმომივარდეს-მეთქი. ისეთი დაღლილი ვიყავი,  
 არაფრის თავი არა მქონდა. ვიჯექი და ველოდი, სხვა რა დამრჩენოდა? შო-  
 ბის მერე ეუფეუსიც დაბრუნდა, ოღონდ არაფერს მეუბნებოდა. მარტო ისა  
 თქვა, გზას უნდა გავუდგეთო. ვიფიქრე, ბავშვი წინდაწინვე თუ დააბინავა და  
 აქლა მეც ჩამომაკითხა-მეთქი. არც ის ვიცოდი, სად მივდიოდით; აქვე ახლო-  
 სო, მხოლოდ ეს ვათქმევინე, თან ჩემი მემართებოდა. ლამის გავგიყდი დარ-  
 დით. ჩვენს ჩასვლამდე ბავშვს რა ეშველება-მეთქი, ამას კიდევ პირში წყალი  
 მქონდა ჩავუბებული, არც მეგონა, ცოცხალი თუ ჩავალწევდი ახალ ადგილას.  
 როგორც იქნა, ჩავალწიეთ. მაგრამ ბავშვი იქ არ დაგვხვედრია და ვეკითხება,  
 „მითხარა რა უყავი-მეთქი ჯოს. იცოდე, გინდა თუ არა, მაინც ვათქმევინებ-  
 მეთქი“. მეც ისე შებოძებდა, როგორც იმ დამეს მომაკვდავ მილის და მითხ-  
 რა, „აი, ესაა უფალი ღმერთის სიძულვილი. მე კი მისი ნების აღმსრულებელი  
 იარაღი ვარო“. მეორე დღეს ისევ გადაიკარგა, ისევ არ ვიცოდი, სად მეძებნა,  
 ფულიც ისევ მივიღე ფოსტით და როცა, ბოლოს და ბოლოს, ერთი თვის  
 მერე შინ დაბრუნება იკადრა, მითხრა, მემფისში ვმუშაობო. ვიცოდი, სად-  
 ლაც მემფისში რომ გადაემალა ჯოც და თავს ვინუგეშებდი, მე თუ არა,  
 ამას მაინც შეუძლია თვალი ადევნოს და მიხედოს-მეთქი. ვიცოდი, ცოტა  
 უნდა დამეცადა, გაშვებო, რა ედო გულში, და იმედიც მიჭიატებდა, ერთხე-  
 ლაც იქნება, მეც თან წამიყვანს-მეთქი ჰოდა, ვიცდიდი. ვკერავდი, ტანსაც-  
 მელს ვუმზადებდი ჯოს, ეუფეუსის დაბრუნებისასაც მუდამ ყველაფერი მზად  
 მქონდა ხოლმე, მინდოდა მეთქმევინებინა, მოერგებოდა ჯოს ჩემი ნახელავი  
 თუ არა, რას შვრებოდა, როგორ იყო, მაგრამ ეს არაფერს მეუბნებოდა დაჯ-  
 ლებოდა და ბიბლიას კითხულობდა ხმამაღლა, ხმამაღლა კი არა — ყვირი-  
 ლით, თან ჩემს მეტი მსმენელი არავინ ჰყავდა და თითქოს ექვი ეპარებოდა  
 მეც თუ მჯეროდა მისი წაკითხულისა. ხუთი წელი არაფერი უთქვამს ჩემ-  
 თვის, არც ვიცოდი, მიქმონდა ჯოსთვის ჩემი შეკერილი ტანსაცმელი თუ  
 არა, თან კითხვისაც მეშინოდა, მეშინოდა ჩემი სადარდებლის გამყდავნება,  
 ჩანდაბას, მე თუ არა, ეგ მაინც ხომავა-მეთქი ბავშვის სიახლოვეს. მერე, ხუ-  
 თი წლის თავზე, ერთხელაც შინ დაბრუნდა და — „უნდა ავიბარგოთ“ — მითხრა;  
 ვიფიქრე, ესაა, მელირსა, მოვესწარი-მეთქი, ისევ ვნახავ-მეთქი ჩემს ჯოს; რამე  
 ცოდვა თუ გვედო, ამ ხნის მანძილზე გამოვისყიდეთ-მეთქი, მეგონა, ეუფეუსსაც  
 კი ვაბატოე ყველაფერი მეგონა, მემფისში გადავსახლდებოდით, ახლა მაინც,  
 ბოლოს და ბოლოს, მაგრამ იმედი გამიცრუვდა, მემფისში კი არა, მოთსთა-  
 უნში ჩავედით ისე, მემფისზე გავიარეთ, რამდენს ვეხვეწებოდი! ჩემს სი-  
 ცოცხლეში პირველად ვთხოვე რაღაც, აღარაფერს დავეძებდი, ერთი წუთი,  
 ერთი წამი-მეთქი, ვევედრებოდი: ხელსაც არ ვახლებდი, არც დაველამა-  
 რავდი, არც არაფერი, მაინც არ დამრთო ნება, სადგურიდან არცკი გაგ-  
 ედვამს ფეხი ერთი მატარებლიდან გადმოვვდიოთ, შვიდი საათი ვიცადეთ სად-  
 გურში. მერე მეორეში ჩავსხედით და მოთსთაუნში ჩავედით, მემფისში აღ-  
 არც თუთონს დაბრუნებულა სამუშაოდ, ცოტა ხნის მერე ვუთხარი, „ეუფეუსს“



ხუთი წელიწადი ლოდნში გაეტარა და ერთხელაც ამ შემოწმებისხარ. ის მაინც მოთხარო. ცოცხალია თუ არა? მათქა? ერთი სხვანაირად შეიძლება და „მკვდარი“ — მოთხარა ამკვდარი თუ ჰქმნისაა-მეთქი? თუ მხოლოდ ჩემთვისაა, ამ დავეძებ, ოღონდ სიშარბლეთ და... ხუთი წელია არაფრით შემოწმებისხარ-მეთქი. „შენთვისაც მკვდარისა და ღმერთისთვისაც. მთელი სამზღოსთვისაა მკვდარი საუკუნოდ და სამარადისოდ“.



ქალი ისევ ჩუმდება. მაგარდასთან მჯდომი ჰაითაუფრი მშვიდი. უიმედო გაოცებით შესცქერის, ბაირონიც გაუნბრველად ზის, ოდნავ თავჩაქინდრული. სამი მათგანი, ბეროკაცის გარდა, მოწყვეტის მეორე ნაპირთან გამიშვლებულ სამკლდესა ჰგავს, ბეროკაცი კი ამჯერად, ეტყობა, ყურადღებით უსმენს ცოლს, თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, უველიფრიადმი ყრუ ყურადღებით, რასაც მაშინვე, იმწამსვე, ისევ უგონობა და რინდი ენაცვლება, თან თვალვბსაც ისე ეცნაურად და შემზარავად გადაატროალეპს ბოლმე უკან, თვალის კაცლები აღარც უჩანს. თითქოს დათხრილი თვალები ფვითონვე, თაუისი ბელითვე ჩაუხვამს, ოღონდ უკლდამო მოულოდნელად აკაცანდება, მხიარულად, გიჟურად ბებერი, შეშლილი, საშინლად ბინძური. „ღმერთი იყო, ღმერთი იყო, ექ ბებერი, დოჲ ჰაინსმა არც ღმერთს გაუცრუა იმედო ღმერთმა ჩაგონა, რაც უნდა ექმა და ბებერმა დოჲ ჰაინსმაც არ დაბანა, შერე უფალი ეუბნება, ახლო კი უცქირე, ნახე, როგორ აღსრულდება ჩემი ნებთი“. ბებერი დოჲ ჰაინსიც უცქირდა და ესმოდა კიდევ პაწაწინა ბავებას მიერ წარმოთქმული სიტყვა, უფლის ობლების, უფედმაბოების, ესმოდა, როგორ იმეორებდნენ უფლის ჩახვონებს, როგორ ამკლავებდნენ უფლისგან შეძენილ ცოდნას, მაშინაც კი, როცა ჯერ თვისთან ვერაფერს ბედებოდნენ, ჯერ არაფერი გაეგებოდათ, რადგან უცოდველები იყვნენ, ჯერ გოგოყბისთვისაც უცნობი იყო ცოდვა და სიყვა. ზანგო! ზანგო! იმეორებდნენ ბავშვების უმანკო ბავება, „რას გეუბნებოდით?“ უთარა უფალმა ბებერ დოჲ ჰაინსს, „ათ, საცა აღსრულდება ნერა ჩემი და შეც მივდივარო, დინარჩენი ხელის გაავრადაც აღარა ღორსო, რას დავეძებ ერთი კახბის მრუშობას, თუკი ესეც ჩემი მიზნის აღრულებას ემსახურობათ“. ბებერ დოჲ ჰაინსს გაუკვირდა, „კახბის მრუშობა შენი მიზნის აღსრულებას რახირად ემსახურებათ?“ უფალმა კი მიუვტო, „დითყდაც და ნახავ შენ გგონია, მაინცდამაინც იმ ახალგაზრდა ექიმმა შემთხვევით იპოვა შობა ღამეს კარბთან საბანში გახვეული ჩემთვის სამელველი ჩვილით? უბრალო შემთხვევითობის წყალობად მიგაჩნია იმ ღამეს დარეკტორის არყოფნა, რათა ახალგაზრდა კახბებს იმ ჩვილისთვის ქრისთმასის დარკმვეა შესძლებოდათ ჩემი ძის სახელის შესაბლალავადო? ასე რომ, მე მიუდივარ, რადგან ჩემი ჩემის აღსრულებას ვეღარაფერი დაუდგება წინ, შენ კი დარჩი თუ ვინდა, დანარჩენს თვალყური ადევნეო? ბებერი დოჲ ჰაინსიც იცდიდა და თვალყურს ადევნებდა, უფლის საქვანიდან ადევნებდა თვალს ბავშვებს, იმათ შორის, შოარულ, ოღონდ იმათთვის შეუცნობელ, ოესლს, ემპაკოსას, ქვეყნის წამბილწველს, ვისზეც უნდა აღსრულებულიყო განგება ღვთისა, და თანდათან სრულდებოდა კიდევ სრულდებოდა, რადგან ის უკვე ძველებურად აღარ თამაშობდა სხვებთან ერთად, თავისთვის იდგა ხოლმე, მარტო, გარიყული, მაშინ ბებერი დოჲ ჰაინსიც მიხვდა, როგორ ჩაესმთლა უკვე იმასაც ღვთის განგების იდუმალი გაფრთხილება და უთარა, „უწიხდელიყოთ რაგომ აღარ ეთამაშები ბავშვებ-



სო?" იმან არაფერი უპასუხა, მაშინ ბებერა ჰაინსი ეკითხება: „ზანგს რომ გეჭაჩიან, იმიტომო?" იმან არც ახლა გასცა პასუხი. „გგონი, ზანგს რადგან ღმერთმა სახეზე ნიშანი დაგასვაო?" ჰკითხა ჰაინსმა. იმან კიღაც „ღმერთიც ზანგიაო?" „ღმერთი უფალია მრისხანე ანგელოზებისაო". ბებერმა დოკ ჰაინსმა. „და აღსრულდება ნება მისი. არა შეგინგაწინააღმდეგებენცა და მეც. ორივე, ნაწილი ვართ მისი მიზნისა და მისი შურისძიებისაო". იმან ზურგი შეაქცია. წავიდა და დოკ ჰაინსიც ხედავდა, როგორ უსმენდა, როგორ აყურადებდა უფლის შურისმგებელ ნებას, მერე ისიც გაიგო, როგორ ასვეტია თურმე წინ ეზოში მომუშავე ზანგს და მანამდე უცქერია დაჟინებით, ვიდრე ზანგს არ უკითხავს. „რა იყო, რას მიყურებ, ბიჭუნაო?" „ზანგი როგორ გახდიო?" უთქვამს იმას. „ვინ გითხრა, რომ ზანგი ვარ. შე თეთრი მათხოვრების ნაბიჭვაროო?" უკითხავს ზანგს. „მე ზანგი არა ვარო". უპასუხია ბიჭს ზანგს კი— „შენ უარესი ხარო. შენ ისიც არ იცი, ვინა ხარ, მეტიც, ვერც გარგებ ვერასოდეს ისე იცნოვრებ და ისე მოკვდები, არაფერი გეცოდინებაო". „არც ღმერთია ზანგიო". უთქვამს იმას. „ღმერთის ამბავი ალბათ შენ უკეთესად გეცოდინებაო". უპასუხია ამაზე ზანგს. „რადგან ღმერთის მეტმა არავინ იცის შენი ვინაობაო". ღმერთს კი იმისთვის აღარაფერი უთქვამს. ღმერთი იქ აღარ იყო, თავისი ნება აღასრულა და მეთვალყურედ ბებერი დოკ ჰაინსი დატოვა. იმ პირველ ღამესვე დატოვა, როცა საკუთარი ნების აღსასრულებლად ყველაფერი განამზადა და დათქმულ ვადად თავისი ძის წმინდათაწმინდა დღესასწაული აირჩია. იმ ღამეს ციოდა, ბებერი დოკ ჰაინსი კუთხეს ეფარებოდა. კარებს შესცქეროდა და ხედავდა, როგორ სრულდებოდა ღვთის ნება, ახალგაზრდა ექიმიც დაინახა, დაინახა, როგორ მოდიოდა, როგორ მოჰყავდა გარყვნილებისა და სიძვის ყინს, მერე გაჩერდა, დაინახა, ცოდვის შვილი აიტატა და სახლში შეიყვანა. ბებერი დოკ ჰაინსიც ფეხდაფეხ შეჰყვია, ყველაფერი ნახა, ყველაფერი გაიგონა. იმ ახალგაზრდა კახპებსაც საკუთარი თვალით ხედავდა, დირექტორის არყოფნაში რომგარეული გოგლიმოგლითა და ვისკით რომ ბალწავდნენ უფლის წმინდათაწმინდა დღესასწაულს. მერე საბანს მისცვივდნენ და გასსნეს. იმან კი, ექიმის იეზაბელმა, უფლის იარაღმა. „მოდით, ქრისტმასი დავარქვათო", მეორემ. „კარგი, ოლონდ სახელი, სახელი რა შევურჩიოთო?" და მაშინ ღმერთმაც ჩააგონა ბებერ დოკ ჰაინსს — „უთხარიო". იმათაც, სიბილწის ოხშივარში გახვეულებმა, დოკ ჰაინსს მიაბყრეს მზერა და აუვირდნენ. „უი, ეს ხომ ძია დოკია, ნახე რა მოგვიტანა, რა დაგვიტოვა კარებთან სანტა კლაუსმა, ძია დოკო". ბებერმა დოკ ჰაინსმაც უთხრა, „ამისი სახელი ჯოზეფიაო". იმათ სიცილი შეწუვიტეს, ბებერ დოკ ჰაინსს მიაჩერდნენ და იეზაბელმა ჰკითხა. „თქვენ საიდან იცითო?" ბებერმა დოკ ჰაინსმაც — „ღმერთი ამბობს ასეო", — უთხრა, მაშინ ისევ გაიცინეს. ისევ აუვირდნენ, „კი, ბიბლიაშიც ასე სწერიაო: ქრისტმასი, ჯოს ძეო, ჯო, ძე ჯოსიო, ჯო ქრისტმასიო". „ჯო ქრისტმასს გაუმარჯოსო", თქვეს და ეცადნენ ბებერი დოკ ჰაინსისთვისაც დაეღვევინებინათ სადღეგრძელო, ღვთის დასაგმობად, მაგრამ იმან კიქა გვერდზე მოისროლა, მას მხოლოდ უხდა ეცქირა და ეცადა, ასეც იქცეოდა. ვიდრე უფლის დათქმულმა დრომ არ მოაწია და ბოროტებამ ბოროტება არ შვა, ექიმის იეზაბელმა მიიბრინა მასთან, თავისი ავხორციული სარეკლიდან, ჯერ ისევ ცოდვითა და შიშით აქოთებულმა. „საწოლია უკან იყო დამალულიო", ეუბნება, ბებერმა დოკ ჰაინსმა კი — „განასწვათა საცთუნებლად და შენივე თავის დასაღუპავად თვითონვე არ ხმარობ-



დო ნაირ-ნაირ სურნელსაგან საპნებსო. ლეთის საგმობად და შესაჩრებლადო? ასლა კეთილი ინებე და იტახჯე კიდევაცო“. ის კი ეუბნებოდა: „ჩემო თქვენ შეგიძლიათ დაელაპარაკოთო. ვიცი, ჩემი თვალით მინახავსო. იტყება, როგორ-მე დაიყოლიოთო“. მაშინ ბებერმა დოკ ჰაინსმა უთხრა, „მამქვენსეჲქი არ მე-დარდება შენი გარყვნილება, როგორც ღმერთსო“. „გამაბინავეო, თანამით-აოვენო, თავი მოშეკრებო“. გაიძახოდა, თავისი ავსორცობითა და სიძვით კარდა, ბებერი დოკ ჰაინსის პირისპირ იდგა და აშკარად აჩნდა ლეთის ნება, ლეთის სახლის შეურაცხყოფელს, სადაც უფალს თავისი ობლებისათვის მი-უჩენია ბინა: „შენც არარაობა ხარო“. უთხრა ბებერმა დოკ ჰაინსმა: „შენცა და ყველა შენნაირი კახბაც, შენა ხარ იარადი უფლის მრისხანე მიზნისა, მის უხებართვოდ კი ერთი ბედურაც ვერ ჩამოვარდება ციდან. შენც, ჯო ქრის-თმასივით და ბებერი დოკ ჰაინსივით, უფლის იარადი ხარო“, ქალი შეტრი-აღდა და წავიდა, ბებერი დოკ ჰაინსი კი იცდიდა და თვალს ადევნებდა, დიდი დრო არ გასულა, ისევ რომ მობრუნდა უკან, უდაბნოს ბინადარი მტაცებელი ნადირის სახე ედო: „დავაბინავეო“, თქვა, ბებერმა დოკ ჰაინსმა კი ჰკითხა: „სად დააბინავე, როგორო?“ რადგან იმისი უცოდინარი არაფერი შეიძლე-ბოდა დარჩენილიყო, უფალი არ უშალავს თავის მიზანს საკუთარ რჩეულებს, და ბებერმა დოკ ჰაინსმაც უთხრა: „შენ აღასრულე ლეთის განგება, ახლა შეგიძლია მიბრძანდე და განკითხვის დღემდე მშვიდად აკეთო შენი ბინძუ-რი საქმეო“. იმას კი ბილწი კუჭკუით მოთხვრილი სახე უდაბნოს მტაცებელს მიუგავდა და ურცხვად დასცინოდა უფალს, მერე მოვიდნენ და წაიყვანეს. ბებერი დოკ ჰაინსი ხედავდა, როგორ სვამდნენ ეტლში, მერე ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა, რათა უფლის გამოცხადებას დალოდებოდა, უფალიც გამოცხადდა და უთხრა, „ახლა შენც შეგიძლია წახვიდეო, შენ ჩემი ნება აღასრულე, ქალურა ბოროტების გარდა, აქ სხვა ბოროტება აღარ დარჩენი-ლა, ეს კი ჩემი რჩეულის საცქერლად არა ღირსო“. ბებერი დოკ ჰაინსიც ლეთის ნებას დაემორჩილა, ოღონდ უფლის გამოცხადებას ისევ და ისევ ელოდებოდა, „ის ნაბიჭვარი, უფალოო?“ შექალადა ერთ ღამეს, და ღმერთ-მა უიხრა: „ის ჯერაც დადის ჩემს მიწაზეო“, და ბებერი დოკ ჰაინსი კვლავინ-დებურად უცდიდა უფლის გამოცხადებას, სხვა ღამეც დადგა და ისევ ჰკით-ხა: „ის ნაბიჭვარი, უფალოო?“ ღმერთმა მიუგო, „ის ჯერაც ჩემს მიწაზე და-დისო“, ბებერი დოკ ჰაინსიც იცდიდა, ელოდებოდა, ერთ ღამესაც ვეღარაფ-რით მოიხვენა, იბორჯა, იშფოთა და ბოლოს ხმამაღლა შეჭბავლა, „ის ნა-ბიჭვარი, ღმერთო! მე ვგრძნობ! ვგრძნობ ბოროტის კლანჭებსა და ეშვებსო!“ და ღმერთმაც — „ეგ ისაა, ის ნაბიჭვარიო, შენი საკეთებელი საქმე ჯერ არ დასრულებულაო, ის ჯერაც წამლავს და ჯერაც ბილწავს ჩემს მიწასო“.

შორეული ეკლესიის მუსიკის ხმა დიდი ხანია მიწყდა, ღია ფანჯრიდან მხოლოდ ზაფხულის ღამის მშვიდი, მირიადი ხმალა იჭრება ოთახში, პაითაუ-ერი მაგიდასთან ზის და როგორც არასდროს, ისე ჰგავს მახინჯ, ტლანქ ცხო-ველს, გასაქცევად გამზადებული, ეშმაკობითა და მოტყუებით რომ გაუჩე-რებიათ და, მისივე გამაბრიყვებლებსა და მომტყუებლებს, ჩიხში მოუშეშვე-ვიათ განწირული, სტუმრები უხმოდ მისჩერებიახ, ღამის მსაჯულებივით, ორი მათგანი პაითაუერივით უძრავად ზის — სახეგაქვავებული, მოლოდი-ნად ქცეული, კლდესავით მომთმენი ქალი და გამოფიტული, ულმობლად, სულის ერთი, ღონიერი შებერვით ჩამქრალი სანთლის დანახშირებული ძა-



ფიქრით ყინწმოსწყვეტილი ბერიკაცი. მარტო ბაირონს შერჩენია სტოცხლის ნიშანწყალი. თავი ჩაუქინდრავს. ცერსა და საჩვენებელ თითს ხელზე უსვამს ერთმანეთს. თითქოს რაღაცას ასორსოლავენბსო, და ფიქრში წასული, თვალეზგაშტერებული, ჭიუტად დასცქერის მუხლზე ჩამოდებული წვეთთარ ხელს. ჰაითაუერი რომ ლაპარაკს აწყებს, დარწმუნებულბაი ბჭუნს მარტოთავსო, არც მე და არც სხვას, ამ ოთახში მყოფსო. „ჩემგან რას მოითხოვენ?“ ამბობს ჰაითაუერი. „რისი იმედი აქვთ, მაინც რა ჰგონიათ, რა შემოძლია?“

ამას არავინ იღებს; ეტყობა, მისი შეკითხვა ცოლ-ქმარს არც გაუგონია. არც ბაირონს ჰქონია იმედი. ბერიკაცი თუ გაიგებდა რამეს. „ამას არაფერი დახმარება არცა სჭირდებაო“, ფიქრობს და ახსენდება, მთელი თორმეტი საათი, მას შერე, რაც ჰაინსებს გადაეყარა, როგორ დაჩანჩალებდა ცოლს აკიდებული ბერიკაცი მთვარეულივით, გამოთიშული, საცნაურდაკარგული, ავადმყოფურად გარინდებული. „დახმარებას კი არა, როგორმე ხელი უნდა შევეშალოთ. მარტო ცოლმა კი არა, ყველამ უნდა ვილოცოთ, დიდხანს იყოს ასე გასაუფლებულიო“. შერე ქალისკენ გადააქვს მზერა, მშვიდად, ლამის ტკბილად ეუბნება: „განაგრძეთ. უთხარით, რაც გინდათ, ხომ უნდა იცოდეს, უთხარით“.

„ვიფიქრე, იქნებ...“ ამბობს ქალი. აუღელვებლად ლაპარაკობს. რიდი კი არ აწყვეტინებს სიტყვას. არამედ ხმაში გამორეული ხრინწი, თითქოს ხმას ალა დაატანეს, აიძულეს რაღაც სიტყვით გამოუთქმელი, მხოლოდ ნაგრძნობი, ცოდნაში ღრმად დამარხული გამოეთქვა. „მისტერ ბანჩმა თქვა, იქნება...“

„რა?“ ამბობს ჰაითაუერი. მკაცრად, მოუთმენლად, ბრაზიანადაც კი; ჯერ არ განძრეულა, სკამზე უკანგადაწეული ზის, ხელები სახელურებზე დაუსვენებია. „რაო? რა თქვა მაინც?“

„ვიფიქრე...“ ქალს ისევ უწყდება ხმა. ფანჯრის იქით ჭიუტი, დაულალავი ნწერები ხმაურობენ. შერე კვლავ აგრძელებს გაწყვეტილ სიტყვას, მოღლილი, არაფრისმთქმელი ხმით ლაპარაკობს. თვითონაც ოდნავ თავჩაქინდრული ზის და თითქოს მშვიდი ყურადღებით ისიც საკუთარ ხმას უსმენს: „ის ჩემი შვილიშვილია, ჩემი გოგოს პატარა ბიჭი. მე ვიფიქრე, თუ მე... თუ ის...“ ბაირონიც მშვიდად უსმენს, თან ფიქრობს გაგიჟდება კაცი, ვინმეს ეგონება ადგილები გაუცვლიათო. თითქოს ჰაითაუერსა ჰყავს ზანგი შვილიშვილი და ჩამოხრჩობაც იმას ეშუქრება ქალი კი თავისას აგრძელებს. „ვიცი, არ ვარგა უცნო კაცის შეწუხება. მაგრამ თქვენ იღბლიანი ბრძანდებით, უცოლო, მარტოხელა, მშვიდი სიბერე გელით და სიყვარულის სასოწარკვეთაც უცხოა თქვენთვის, სწორად თუ ვერ ვლაპარაკობ, ბოდის ვიხდი, თუმცა, სხვაწაირად თქმა რომც შემეძლოს, ალბათ მაინც ვერ გამიგებდით უბრალოდ, ვიფიქრე, ერთი დღე მაინც ვიცნოვრო-მეთქი ისე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ერთი დღეს მაინც დაივიწყოს-მეთქი ხალხმა. მკვლელი რომ ჰქვია...“ ხმა ერთხელ კიდევ წყდება. ქალი კი არც შერბეულა. გაჩუმებასაც თითქოს ისევე ელოდება, როგორც ადრე ლაპარაკის დაწყებას ელოდა, უწინდებურად დაძაბული, გაფაციცებული, ყველაფერს შეგუებული.

„განაგრძეთ“, ეუბნება ჰაითაუერი, ხმამაღლა ეუბნება, მოთმინებადაკარგული. „განაგრძეთ“.

„არც მინახავს, როგორ აიდგა ფენი, ლაპარაკი როგორ დაიწყო, ოცდაათი წელიწადია, შორიდანაც არ მომიკრავს მისთვის თვალი, არ ვამბობ, რა“



საც აბრალებენ, არ ჩაუდენია-მეთქი. არ უნდა იტანჯოს-მეთქი იმათსავეთ, ვისაც უყვარდათ და საყვარელი ადამიანი დაპყარგეს. მაგრამ თითქმის დღით რომ გამოეშვათ... თითქოს ჯერ არც მომხდარა არაფერი, თითქოს ჯერ არც ამხედრებია ქვეყანა. მაშინ ვიფიქრებდი, ვაიზარდა, ღიკაცდა და უკან დამიბრუნდა-მეთქი. მხოლოდ ერთი დღით... მერე აღარაფერში ჩავერეოდი. თუ მართლა ჩაიდინა, რასაც აბრალებენ, თითქაც არ ვაფანძრევ. ტანჯვა რომ ავაცილო თავიდან. მხოლოდ ერთი დღით, თითქოს იმოვზაურა და დამიბრუნდა, თავის თავგადასაველს შიამბობს და ქვეყანაც ჯერ არ გადამტერებია“.

„აააა“. ამბობს ჰაითაუერი გამყინავეი, წვრილი ხმით. ერთხელაც არ შერხეულა, სკამის სახელურებს ჩაფრენილი ხელის თითები დასჭიმვია და გასთეთრებია, თავის შეკავებას კი ცდილობს. მაგრამ ნელ-ნელა მაინც იტანს ცახცახი, მთელი ტანი უცახცახებს და ტანსაცმელიც ვერ ფარავს ამას. „მაშ ეგაა, არა?“ ამბობს ჰაითაუერი. „სულ ეგაა. ეგ ადვილია, ადვილი, ადვილი“. გიფივიით იმეორებს ერთსა და იგივეს. „ადვილია, ადვილი“. თავიდან ხმადაბლა ლაპარაკობდა, ახლა ხმას აუწია. „რას მოითხოვს ეს ხალხი? ახლა რაღა უნდა გავაკეთო? ბაირონი! ბაირონი, რას ნიშნავს ეს? რაღა უნდათ ჩემგან?“ ბაირონი ფეხზე წამომდგარა. მაგიდასთან დგას, ხელები მაგიდაზე დაუბჯენია და ჰაითაუერს შესცქერის სახეში. ჰაითაუერი ჯერაც გაუნძრევლად ზის, ოღონდ ზონზროხა სახეული ერთიანად ცახცახს აუტანია. „ააა, სწორია, აბა რა, უნდა მცოდნობდა უნდა მივმხვდარიყავი, ბაირონის მეტი სხვა არაყინ მთხოვდა ამას. უნდა მცოდნობდა, ესეც რომ ვცელოდა მე და ბაირონს. რაღას უცდი, გაბედუ. ნულა ყოყმანობ“.

ბაირონი მაგიდას დასცქერის, მაგიდაზე დაბჯენილ საკუთარ ხელებს. „საცოდობაა, საცოდობა“.

„ააა. მითანაგრძნობ კიდევ, არა? ამდენი ხნის მერე? ოღონდ, მე მითანაგრძნობ თუ საკუთარ თავს? მიღა, თქვი რაც სათქმელი გაქვს, რა გინდა? რას ითხოვ? ვიცი, შენგან მოდის ყველაფერი. ყოველთვის ვიცოდი, ეპ, ბაირონი, ბაირონი, რა დრამატურგი იყარგები“.

„ალბათ, კომივოთაეერიო, გინდოდათ გეთქვათ, ან დაღლილი, ან ვაჭარი“. ამბობს ბაირონი. „საცოდობაა, მეც ვიცი, თქვენი თქმა რად მინდა?“

„მაგრამ მე ხომ შენსავეთ ვამჭრიახი არა ვარ, შენ, გეტყობა, წინდაწინ იცოდი, რასაც ვიბასუხებდი, თუმცა სათქმელს ბოლომდე არც შეუბნებია. მაინც რა გინდა გავაკეთო? წავიდდე და მკვლელობა დაეიბრალო? ჰა?“ ბაირონს სახე ებზარება, ისევ ის, თავისებური, ოდნავშესამჩნევი, მოულოდნელი, სარდონიკული, დაღლილი და უსიხარულო ჩრდილი გადაურბენს. „კაცმა რომ თქვას, თითქმის მართლა ეგაა“. ისევ უმშვიდდება სახე, უსერიოზულდება. „საცოდობაა ამისი თხოვნა, ღმერთმანი თვითონაც ვხვდები“. ზანტად, გაუბრებლად, უნებლიედ დაიკურებს ხელს მაგიდის ზედაპირზე და თვალმოუშორებლად დასცქერის „მანსოვს, ერთხელ გათხარით, ბოროტებისა არ იყოს, სიკეთის საზღაურიც არსებობს-მეთქი; საზღაური კი უხდა გადაიხადო; თანაც, დრო რომ დგება, სწორედ კეთილ კაცს არ შეუძლია ხოლმე ვალისთვის თავის არიდება, იმ უბრალო მიზეზის გამო, ვერავითარი ძალდატანებით სხვანაირად რომ ვერ გადაახდევინებ, კეთილი კაცი პატიოსან მოთამაშესა ჰგავს. ბოროტი, პირიქით, სულ თავის დაძვრენას ცდილობს; ამიტომაც არავინ ელოდება მაშინვე რომ გადაიხდის, ან თუნდაც დიდი ხნის მერე, პა“.







ლი პარმალისკენ მიმავალ ჩაბნელებულ ბაღს. ძალიან კი ჩქარობდა, ოღონდ, თითქოს გვერდიდანაც შესცქეროდა საკუთარ თავს და თან პრახიანად, გაუ-  
ოცებლად ფიქრობდა: „სად ბაირონ ბანჩი და სად მშობიარე ქალზე ზრუნვა, ღმერთმანი, ორი კვირის წინ რომ მთმხდარიყო ეს ამბავი, ფეხებს არ და-  
ვუჭერებდი, მატყუებთ-მეთქი, ვეტყობდიო“.

ერქენულნი

იმ ოთახის ფანჯარა, სადაც ეჭვსა საათის წინ მდგომელი დატკვა, ახლა  
ბნელში ჩანთკმულიყო. სირბილშივე გაახსენდა პაითაუერის მელოტი თავი,  
იმისი მომუშტული ხელები, მაგიდაზე გადაწოლილი დუნე სხეული. „მაგრამ,  
ალბათ, ბევრი არ სძინებია“. გაუელვა ფიქრში. „გინდაც არ თამაშობდეს...  
არ თამაშობდეს...“ ფიქრშიც ვერ გაებდა ბებიაქალის ხსენება, არადა  
იცოდა, პაითაუერი უთუოდ ამ სიტყვას იტყოდა, „ეტყობა, მართლა არც უნ-  
და ვიფიქროო“, აგრძელებდა გუნებაში. „იმ კაცივით, თოფს რომ გაურბის,  
ანდა, პირიქით, თოფისკენ მირბის და დროც აღარ რჩება გასარკვევად, რა  
პქვია მის საქციელს — სიმხდალე თუ სიმამაცეო“.

კარი ღია დაუხვდა, ალბათ, სხვას არც ელოდა არაფერს, დერეფანში  
ხელისცეცებით გაიკვლია გზა, თუმცა ოდნავადაც არ ცდილა უხმაუროდ ევ-  
ლო. იმ ოთახს, სადაც გარახჩაბებული ლამპის შუქზე უკანასკნელად იჩილა  
მაგიდაზე გართბმული სახლის პატრონი, ადრე არასოდეს გასცილებია, არადა,  
ახლა უშეცდომოდ პირდაპირ სასურველი კარისკენ დაადერა თავი, თითქოს  
გუმანს მიჰყავდა, თითქოს ხედავდა რამეს სიბნელეში, თითქოს ვიღაც მი-  
უძლოდა. „ესეც ასე იტყოდაო“, გაიფიქრა მოუთმენლობით შეპყრობილ,  
გზა-კვალის ამბნევ სიბნელეში მიმავალმა „ესეც და ქალიცო“ ლინას გუ-  
ლისხმობდა, იქ, ქოხში მწოლიარეს, უკვე ტყვილებით გაწამებულს. „ოღონდ,  
ვინც არ უნდა იყოს ჩემი მეგზური, სახელს მაინც ორივე სხვადასხვას დაარ-  
ქმევდა“. ოთახში შესვლამდე მოესმა პაითაუერის ხვრინვა. „ყველაფრის მე-  
რე თითქოს მაინცდამაინც არც აღელვებულა“, გაიფიქრა ბაირონმა, მაგრამ  
იმწამსვე, დაუყოვნებლივ, ფიქრშივე დაამატა: „არა, არა ვარ მართალი, უსა-  
მართლობაა, თვითონაც რომ არ მჯერა საკუთარი სიტყვებისა, უბრალოდ, მო-  
ხუცია და ჩემდენის გაძლების თავი აღარ აქვს, ეგაა და ეგ მაგის ძილისა  
და ჩემი უძილობის მიზეზიო“.

საწოლს მიუახლოვდა, საწოლის ჯერაც უჩინარი ბინადარი საშინელ  
ხმაზე ხვრინავდა, სრული, საბოლოო დანებება მოისმოდა ამ ხმაში, დაღ-  
ლილობა და დაქანცულობა კი არა, სწორედ დანებება, თითქოს ერთხელ და  
სამუდამოდ შეეწყვიტა წინააღმდეგობა, ერთხელ და სამუდამოდ შელეოდა  
ერთმანეთში არეულ სიამაყესაც, იმედსაც, პატივმოყვარეობასაც, შიშსაც და  
ის ძალიც გამოსცლოდა, რომლის წყალობითაც კაცი თანაბრად ებღაუჭება  
დამარცხებასაც და გამარჯვებასაც, რომელიც უფლებას აძლევს თქვას — მე-  
ვარო — და რისი უარყოფაც, ჩვეულებრივ, სიკვდილს ნიშნავს ხოლმე, სა-  
წოლთან მდგომმა ბაირონმა ერთხელ კიდევ გაიფიქრა ცოდვაა, ცოდვა ახლა,  
ამ წუთას, მძინარის გაღვიძება ყველაზე საშინელ ვნებად ეჩვენებოდა, რაც  
კი ოდესმე მიეყენებინა მისთვის. „მაგრამ, მე ხომ არ ვუცდი“, გაუელვა  
ფიქრში. „ღმერთია მოწმე, მე მგონი, ამ ბოლო დროს, სხვებისა არ იყოს,  
ღმერთიც ჯიუტად მადევნებს თვალს და ფიქრობს, აბა, ერთი სხვას რას  
მოიმოქმედებს კიდევო“.

მერე მძინარეს შეახო ხელი, უხეშად არა, ოღონდ მტკი-  
ცედ, პაითაუერსაც შუა გზაზე გაუწყდა ხვრინვა: უცებ ტალღასავით აუზვირ-







გადგმული ფესვი; ფეხები ახლა ბრმად ემორჩილებოდნენ. სწორედ იმ ექი-  
ნის სახლისაკენ მიჰყავდათ. უისაც მაშინ, იმ ზანგი ბავშვის გაჩენისას, როცა  
მის მოვალეობას სამართებლითა და თავისი წიგნით აღსრულებული ჰქონდათ  
არ უღებდა — მეტასმეტად დაეგვიანა.

დაგვიანებით ექიმმა ამჯერადაც დაიგვიანა. ჯერ უკვე იმის ჩაცმას არ  
დაადგა საშველი. უკვე ხანშიშესული, ფუსფუსა კაცოვანი დროს  
გალვიძებულსა და ლოგინიდან წამოგდებულს. ბოლომდე ვერც უკმაყოფი-  
ლებისა და გაღიზიანების დამალვა მოეხერხებინა. მერე მანქანის გასადე-  
ბის ძებნა მოუხდათ, გასადები ლითონის პატარა, ცეცხლგამძლე ყუთში იდო  
თურმე. კარგა ხანს იმ ყუთის გაღებაზეც იჭახირეს, ბაირონმა ერთი პირობა  
საკეტის გატეხვაც კი დააპირა, მაგრამ ექიმმა ცოცხალი თავით არ დაანება.  
მოკლედ, როცა ბოლოს და ბოლოს ქობს მიადწიეს, აღმოსავლეთი უკვე  
ღიაყვითლად შეფერილიყო. უკვე ქიატებდნენ ზაფხულის მზის მკვირცხლი  
სხივები და აი, ორი, ახლა უკვე ხანში შესული კაცი, ისევ შეზავდა ერთმანეთს  
ერთოთახიანი ქობის კარებთან, და მოყვარულსაც ისევ, ერთზე კიდევ და-  
ემარცხებინა პროფესიონალი, დაემარცხებინა, რადგან ქობში რომ შედიოდა,  
ექიმს სწორედ მაშინ მოესმა ჩვილის ტირილი, კირვეული მხერა შეავლო  
მღვდელს, „სალამი, ექიმო“, უთხრა, „ნეტავი ეთქვა ბაირონს, თქვენ თუ  
გიბმით, ჯერაც ლოგინში ვიწვებოდიო“ გაჭირვებით აუქცია გვერდი ჰაითა-  
უერს და ოთახში შეაბიჯა. „ვატყობ, ამჯერად უფრო იღბლიანი აღმოჩენილ-  
ხართ, ვიდრე ჩვენი უკანასკნელი კონსულტაციისას, ოღონდ ისეთი სახე გა-  
დევთ, მგონი, ექიმი თავადვე გჭირდებათ, ანდა, იქნებ თინჯანმა ყავამ უფრო  
გარგოთ“. ჰაითაუერმა რაღაც უპასუხა, მაგრამ ექიმში აღარ გასჩერებია, აღარ  
მოუცდია მისი პასუხისთვის, ოთახში შევიდა, სადაც მისთვის უცნობი, ახალ-  
გაზრდა, ფერმიხდილი, არაქათგამოცლილი ქალი ვიწრო, ჯარისკაცულ საწოლ-  
ზე იწვა, მოხუც, მეწამულკაბიან, ასევე უცნობ ქალს კი ბავშვი ეჭირა მუხ-  
ლებზე, მეორე საწოლზე, ჩრდილში, ბერიკაცს ეძინა, შეამჩნია თუ არა,  
მკვდარსა ჰგავსო, თქვა ექიმმა თავისთვის, ისე ღრმად, ისე მშვიდად ეძინა  
ბერიკაცს, თუმცა შემჩნვეით შესვლისთანავე არ შეუმჩნევია. ჯერ მოხუც  
ქალს მიუახლოვდა. „კეთილი, ჩემო ბატონო, ძალიან კარგი“, თქვა ექიმმა.  
„ბაირონი ალბათ ძალიან დედავდა, არ უთქვამს, მთელი ოჯახი თუ დამიხვ-  
დებოდა აქ, ბებია-ბაბუიანად“, ქალმა ქვეშ-ქვეშად ამოხედა. „ეს სკამზე კი  
ზის, მაგრამ ბერიკაცზე მეტად მაინც არა ჰგავს ცოცხალსო“, გაიფიქრა ექიმ-  
მა. „ისეთი უაზრო სახე ადევს, ბებოობას ვინღა ჩივის, მგონი, დედა რომაა,  
ისიც კი აღარ ახსოვსო“.

„ღიახ“, თქვა ქალმა, ბავშვს გადაჰფოფრავდა და ქვემოდან ასცქეროდა  
ექიმს, მერეღა შენიშნა ექიმმა, არც ბრიყვული სახე აქვს და არც უაზროო, მე-  
რეღა დაინახა, ერთდროულად მშვიდი და თან საშინელი სახე ედო ქალს, თით-  
ქოს სიმშვიდეცა და საშინელებაც ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინ შეჰკვ-  
დომოდა ზედ და ახლა ერთბაშად, ერთსა და იმავე დროს გაცოცხლებული-  
ყო ორივე, რაღაცნაირად უცნაურადაც იჯდა — კლდესაც ჰგავდა და მობუ-  
ზულ მხეცსაც — და ექიმსაც ყველაზე მეტად ეს ეუცხაურა. მერე ქალმა  
მძინარისაკენ გადაიქნია თავი; ექიმიც პირველად მაშინღა დააკვირდა ხან-  
გრძლივად მეორე საწოლზე გაშოტილ ბერიკაცს, თითქოს ნელ-ნელა შიშს  
მოეერიო, ქალი უცებ ეშმაკურად და თან დამაბულად აჩურჩულდა: „კეთაში  
მოვარტყვე ვუთხარი, ვითომ ამჯერად უკანა კარიდან შემოხვიდოდით“.



გაგაბრიყვე მაგრამ, აი თქვენც უკვე აქა ხართ, ახლა შეგიძლიათ მილის მი-  
ხედოთ. მე კი, ჯოს მოვუვლი". მერე ყველა ეს შთაბეჭდილება უეცრად გაქ-  
რა. ვიდრე ექიმი შესცქეროდა, სიცოცხლეს და გზნებაც უკვალოდ გასქარ-  
და ქალის სახიდან. რომელიც ახლა ისე პირქუშად და ისე უაროდ გამოი-  
ყურებოდა, თითქოს წელანდელი, ცოტა ხნის წინანდელი სახე, მოჩვენება ყო-  
ფილიყო; მუნჯი, უტყვი, არაფრის მთქმელი, თავგზააბნეული თვე-  
რებოდა ექიმს, რალაცას ეკითხებოდა და ბავშვსაც ისე იფარავდა მთელი ტანით.  
თითქოს წართმევას უპირებდა ვინმე, ქალის მოძრაობამ, ეტყობა, ბავშვიც  
შეაერთო; წაიტერა, მერე ის თავგზააბნეული მზერაც გაქრა, ჩრდილივით და-  
უბრკოლებლად გაქრა; ქალმა ბავშვს დახედა — ჩაფიქრებულმა, სახეგაქ-  
ვალებულმა, სასაცილომ, „ეს ჯოა“, უთხრა ექიმს, „ჩემი მილის პატარა ბიჭი“.

ბავშვის ტირილი კარებთან გაშტერებულმა ბაირონმაც გაიგონა, გაიგონა და  
რალაც საშინელი დაემართა, კარვიდან მისის ჰაინსმა გამოიხშო, ისეთი ხმით  
დაუძახა, ლამის სირბილშივე ჩაიყვანა შარვალი, გიყვივით ჩაუქროლა ქობის  
კარში გაბირულ მისის ჰაინსს, რომელსაც იმ ლამით საერთოდ არც გაუხ-  
დია ტანთ, და დაფეთებულ ოთახში შევარდა, მერე ისიც დაინახა, დაინახა  
და ამ ხილვამ თოფნაყრაფივით გააშეშა ადგილზე მისის ჰაინსი უკვე გვერ-  
დით ედგა, ელაპარაკებოდა: შეიძლება, თვითონაც გასცა პასუხი, თვითონაც  
გამოელაპარაკა, ასე იყო თუ ისე, ჯორი საჩქაროდ შეკაზმა და უკვე ქალა-  
ქისკენ მიერეკებოდა კიდევ, არადა, თითქოს ჯერაც ისევ მის სახეს შესცქერო-  
და, თითქოს ჯერაც მას ხედავდა, საწოლში წამომჯდარს, მკლავებზე დაბჯე-  
ნილს, საბანქვეშ საკუთარი სხეულის მოხაზულობას დაშტერებულს, აღმუფ-  
ლებულსა და უიმედო შიშით შეპყრობილს. სულ ეს სახება ედგა თვალწინ  
ვიდრე პაითაუერს აღვიძებდა, ვიდრე ექიმს ცეცხლს უნთებდა, სადღაც მი-  
სი არსების სიღრმეში კი ბრჭყალებიანი დადარაჯებულიყო, თავის დროს  
უძლიდა და ფიქრიც მეტისმეტად სწრაფად მიქროდა, დასაფიქრებელ დროს  
არ უტოვებდა, ასე იყო, ისეთი გამალებით ქროდნენ ფიქრები, დაფიქრება  
ვერც მოახერხა, ვიდრე ექიმთან ერთად ქობთან არ დაბრუნდა, მაშინ კი, უკ-  
ვე ქობის კარებთან გაშტერებულმა, გაიგონა ერთი როგორ წაიტერა ბავშვმა  
და რალაც საშინელი დაემართა.

ახლა უკვე ბრჭყალებიანის სახელიც იცოდა, იცოდა, რა განაბულიყო  
მის არსებაში მოლოდინად ქცეული, ვიდრე თვითონ მოედანს გადასერავდა,  
ვიდრე ექიმს დაეჭებდა, ვისთანაც წინდაწინ შეთანხმება ასე სულელურად  
უაფიწყებოდა, უკვე აღარც ამ დაუდევრობის მიზეზის ახსნა გასძნელებია, უბ-  
ნალოდ, სანამ მისის ჰაინსმა კარვიდან არ გამოიხშო, არც სჯეროდა, ექიმი  
თუ დასჭირდებოდა (ქალს თუ დასჭირდებოდა), მართლა ასე თუ გაუჭირდე-  
ბოდა, ბოლო ერთი კვირის მანძილზე მისი თვალები თითქოს კი მისჩვეოდ-  
ნა, ლინის მუცლის ცქერას, მაგრამ გონებას კი მაინც არ სჯეროდა და არა,  
„არადა, რომ ვიცოდით“, ფიქრობდა, „უნდა მცოდნოდა: სხვანაირად აბა რას  
მოვალეობს ამდენ სირბილს, ამდენ ტყუილს, ამდენი ხალხის შეწუხებასო“.  
თავს ეტყუებდა, არაფერიც არ იცოდა, სანამ მისის ჰაინსს არ ჩაუქროლა და  
ქობის არ შეიხედა, მისის ჰაინსის ხმამ პირველად რომ შეაღწია მის ძილში,  
მაშინვე მიხვდა ამ ხმის მნიშვნელობას, მიხვდა, რაც მომხდარიყო: წამოხტა,  
სიჩქარეც და ფაცაფუციც თითქოს კომბინიზონივით ამოიყვანა ნაუც-  
რათევად, იცოდა, რატომაც გაეღვიძებინათ, იცოდა — უკვე ხუთი ლამეა სულ  
ამას ველოდებოდით, და მაინც, ჯერ კიდევ არ სჯეროდა, ახლალა ხვდება:



ქობთან რომ მივირბინე და შიგ რომ შევიბუნე, იმედი მქონდა, ფეხზე და მიხვდებოდაო: იქნება, ისიც უგონა, კარებთან შემომყვებოდა — ხვეულუბისამებრ წყნარი, მშვიდი, დროის დინებას დაუმორჩილებელი, მაგრამ კარხელი შეახო თუ არა, რაღაც ისეთი გაიგონა, რაც მანამდე არასოდეს გაუგონია. ხმამალალი, ერთდროულად მგზნებარე და დაბნელებული კვნესა-გოდება იყო, თან, თითქოს, ვიღაცასაც მიმართავდა ქალი პირადად, ბაირონისთვისაც და ნებისმიერი მამაკაცისთვისაც უცხო, უცნობ ენაზე, მერე კარებში გახირულ მისის ჰაინსს გვერდი აუარა და საწოლზე მწოლიარეც დაინახა, დაწოლილი ადრე არასოდეს ენახა და იმედი მქონდა, როცა თუკი — ოდესმე ნახავდა კიდევ, ქალი დაძაბული, გაფაციცებული, შეიძრება, ოდნავ გაღიმებულიც კი შეეგებებოდა — იცნობდა, შეამჩნევდა, არადა, ქობში შესულს ზედაც არ შეხედა, კარის გაღებაც ვერ შეამჩნია, ვერ შეამჩნია, კიდევ ვიღაც თუ რაღაც სხვაც რომ იყო ოთახში საკუთარი თავისა და იმის გარდა, ვისაც მამაკაცთათვის გაუგებარ ენაზე კვნესა-გოდებით ელაპარაკებოდა. ნიკამამდე ჩამალულიყო საბანში, იდაყვებზე წამოწველიყო და თავი დაებრა, თმაგაჩერჩილს თვალები ორ ხვრელს მიუგავდა, ტუჩები სისხლისგან დასცლოდა, ბალიშისპირივით გასთეთრებოდა, ასე აგანგაშებული და გაოცებული, თითქოს საბანქვეშ საკუთარ სხეულს ათვალერებდა, თან თვალებისთვისაც ვერ დაეჭერებინა და უცებ, ისევ ეს ხმამალალი, დაძაბული, გულისგამგმირავი ყვირილი აღმოხდა, მისის ჰაინსი თავს დასტრიალებდა, მერე შემობრუნდა, შეწამულ მხარზე მოდან გამოხედა ბაირონს, განეცებულო საბე მიაპყრო და, „წადით, ექიმი მოიყვანეთ, უკვე ეწყებაო“, — უთხრა.

არც აბსოვდა, როგორ აღმოჩნდა თავლაში, თუმცა, უკვე იქ იყო, უკვე ჯორს აკავებდა, უნაგირს მოათრევდა, ზურგზე ადგამდა, სწრაფად ირჩებოდა, მაგრამ ფიქრი მეტისმეტად მდორედ, ტატიტ მიედინებოდა, ახლალა მიმხედარიყო მიზეზს, არც ფიქრის სიზახტე ყოფილა შემთხვევითი, ხელ-ხელა ტორტმანებდა, როგორც ზეთი აღლელებული, ქაფმოდებული ზღვის ზედაპირზე. „მაშინ რომ მცოდნოდაო“, ფიქრობდა „მაშინ რომ მცოდნოდა, მაშინ რომ მივმხვდარიყავი“. მშვიდად ფიქრობდა, სასოწარკვეთითა და სიხანულით შეძრწუნებული, „ძო, დაუფიქრებლად შევაქცევდი ზურგს და სადმე გადავიკარგებოდი, უგზო-უკვლოდ, დაუფიქრებლად, უკანმოუხედავად“ მაგრამ ახლა გვიანლა იყო ამაზე ფიქრი, ქობს, ჭენებით ჩაუქროლა, ფიქრიც ისევ ზანტიად, აუჩქარებლად ტორტმანებდა, ოღონდ, მაშინ ჯერ არ იყო და რატომ, „ნეტავი მანამდე ჩაუთარო, ნეტავ მანამდე გავცდე, ვიდრე ხელახლა დაიყვირებდესო“, ფიქრობდა, „ნეტავი, ის ხმა აღარ გამაგონაო“, ცოტა ხანს ამ ფიქრს მიჰყავდა ვზისკენ, კუნთმაგარი, პატარა პირუტყვიც სწრაფად მიქროდა, ფიქრი კი, ზეთი, მდორედ, გლუვად იგლისებოდა ზედაპირზე, „ჯერ ჰაითაუერთთან მივალ, ჯორს დავუტოვებ, არ დამავიწყდეს, წიგნი უნდა გავაბსუნო, არ დამავიწყდეს“, ზეთი კარნახობდა, ზეთი მიერეკებოდა იქით, სადაც ცოტა ხნის შემდეგ გაქენებული ჯორიდან გადმოსტებოდა და თავქუდმთვლეჯილი ჰაითაუერის სახლისკენ გაქანდებოდა, მერე სხვა ეინმა აიტანა, „ეს მორჩაო“, ფიქრობდა გინდაც ხეირიანი ექიმი ვერ ვიპოვო, ამ ეინმა გაიყვანა მოედანზეც და იქ მიატოვა: ახლა ბრჭყალებიანის, მოძლოდინეს, გალურსულის არსებობასაც გრძნობდა, ფიქრობდა გინდაც ხეირიანი ექიმი ვერ ვიპოვო, იმიტომ, რომ არც მიფიქრია არასოდეს, მართლა თუ დამჭირდებოდა ექიმის პოვნა, ნამდვილად არ მჭეროდა ეს უტრიალებდა გონებაში, ეს ფიქრი მიქ-



როდა ჭენებით, სიჩქარის აუცილებლობასთან ერთად შებმული პარადოქსის უთელში. სულ განუწყვეტლივ, ვიდრე მონუც ექიმთან ერთად ცეცხლგამძლე ყუთის გასაღებს დაეძებდა, რათა მერე იქიდან მანქანის გასაღებიც ამოეღოთ. როგორც იქნა, გასაღების პოვნასაც დაადგა საშველი და ცოტა ხნით სიჩქარის აუცილებლობაც დაემთხვა მოძრაობას, წინსწარმს შექმნილი ალიონზე, უკაცრიელ გზაზე ქროლვას — ან მართლა მოხდა ასე, ან უბრალოდ, თვითონვე გადააბარა, თვითონვე აჭიდა მთელი სინამდვილე, მთელი შიში და გულისხმეთქვა მანქანაში გვერდით მჯდომ ექიმს, როგორც საერთოდ სჩვევია ხოლმე ადამიანს. ასეა თუ ისე, ქობთან ისევ ამან დააბრუნა, იქ მანქანიდან გადმოვიდნენ და ქობს მიუახლოვდნენ, საიდანაც ჯერ ისევ ლამპის შუქი გამოდიოდა: სწორედ მაშინ დაეუფლა უკანასკნელად სიმშვიდის შეგრძნება. მაგრამ სულ ერთი წამით, რადგან დაუყოვნებლივ იგრძნობნარე დარტყმა და ბრწყინებებიანიც მაგრად ჩააფრინდა ზურგიდან. ბავშვის ტირილი მოესმა და უკვე ყველაფერი იცოდა. განთიადი ძალას იკრებდა. მშვიდად იდგა გრილ სიჩუმეში, გამოღვიძებულ სიმყუდროვეში — ეს ჩია, შეუმჩნეველი კაცი, ვისთვისაც ჯერ არასოდეს, ჯერ არავის — არც კაცსა და არც ქალს — ხელმეორედ ზედ არ შეეხედა, თვალი არ გაეყოლებინა. უკვე აღებლოდა თვალი, უკვე მიმხვდარიყო, მთელი ამ ხნის მანძილზე ფარული ძალა რომ იფარავდა. ბოლომდე რწმენას არ აცლიდა და, სწორედ რწმენის მეშვეობითვე, იცავდა რაღაცისაგან, მკაცრი, პირქუში გაოცებით ფიქრობდა ვიდრე მისის ჰაინსმა არ დამიძახა, ვიდრე მისი ხმა არ გავიგონე, ვიდრე მისი სახე არ დავინახე და არ დავრწმუნდი, იმ წუთას ბაირონ ბანჩი საერთოდ რომ არ არსებობდა ამქვეყნად მისთვის, არც კი დავფიქრებულვარ ქალწული თუ არ იყო საშინელებად ეჩვენებოდა ეს ფიქრი, მაგრამ ამას კიდევ არა უშავდა. სხვაც ელოდა რაღაც. თავი არ ჩაუქინდრავს. უძრავად იდგა განთიადის ძალამოკრებილ მზეში, ფიქრი კი მშვიდად აგრძელებდა თავისას როგორც ღირსი ჰაითაუერი იტყვის, ესეც შემონახულია ჩემთვის. ახლა კი უნდა ვუთხრა. მე ახლა ლუკას ბარჩს უნდა ვუთხრა აღარც აოცებდა და აღარც არ აოცებდა არაფერი, სიყმაწვილის საშინელი, უკურნებელი სასოწარკვეთა დაუფლებოდა. კი, მაგრამ აქამდე ხომ არც მჭეროდა იმის კაიკაცობა. აქამდე ხომ თითქოს მეც, ეს ქალიც და ყველა დანარჩენიც, ვისი საქმეში გარევატ მომიხდა, მხოლოდ და მხოლოდ აზრს მოკლებული სიტყვების გროვა ვიყავით და მეტი არაფერი, ჩვენსავე საკუთარ თავს არ ვგავდით არც ერთი, მთელი ამ ხნის მანძილზე სხვას არაფერს ვაკეთებდით ლაყბობის გარდა, ვლაყბობდით, ვლაყბობდით და სიტყვა ერთხელაც არ შემოგვკლებია. დიახ, ჩემო ბატონო, აქამდე არც მჭეროდა ის თუ მართლა ლუკას ბარჩი იყო. საერთოდ თუ არსებობდა ქვეყნად ლუკას ბარჩი

„იღბლიანი“, ამბობს ჰაითაუერი; „იღბლიანი, ვინ იცის, იქნებ მართლა მწყალობდა იღბალი“. ექიმი უკვე ქობში შესულა. ჰაითაუერიც კიდევ ცოტა ხანს ადევნებს თვალს, საწოლთან მოფუსფუსე ხალხს უცქერის, ექიმის ხალისიან ხმას უსმენს. მოხუცი ქალი ახლა მშვიდად ზის, არადა, ჰაითაუერს ეჩვენება, თითქოს წუთის წინ გამოგლიჯა ხელიდან ბავშვი ძალისძალიად, დამუნჯებულ, გაძვირვარებულსა და შეძრწუნებულ ქალს, იატაკზე რომ არ დავარდნოდა შემთხვევით. სიმუნჯეც ვერ მალავდა იმ მძვირვარებას, რა მძვირვარებითაც დასწვდა ბავშვს, ლამის დედის საშოდან გამოხტომაც არ



აქვია, მაღლა აიტატა, მერე წყალში მოიხარა — დათვივით ზონზრობი, დათვივით ტოხი — და მძინარე ბეროვაცს შიპყრო მზერა. ჰაითაუერის მისელოსასაც ეძინა, თითქოს არც კი სუბოქავდა. ქალი მისი/მობუზული პრეპერდით, სკამზე, ფესვრულთან თავზე გადაკიდებული ვაგდა, მოსაწვდომად გამზადებულს: ჰაითაუერს წამით გაუბრალებდა. ამჯერად წინდაწინვე, დროულად იზრუნა ყველაფერზე მერე უკვე აღარც ეროსიონის აღარ ეცალა: ქალიც მის გვერდით დაფუსფუსებდა, ოღონდ, ვიდრე ჯერაც სუბოქავაშეარულ ბავშვს არ მიადრინდა, ვიდრე მაღლა არ აიტატა და თან ძვე ვეფხვივით არ მიამტერდა მძინარე ბეროვაცს, მისი არსებობა არც შეუქმნიდა. ბავშვმა ამოისუნთქა, ატირდა. ქალმაც თითქოს პასუხი მისცა, ვეფხვისათვის უცნობი, ველური, მოზეიშე ხმით, მერე, ჩელიდან არ გაუფარდესო, ჰაითაუერი ბავშვის გამოსართმევად რომ წაეტანა, ქალმა ლამის მართლაც შესლალის სახე მიანათა. „აჰ, შეხედეთ!“ ეუბნებოდა ჰაითაუერი „ნახეთ! წივს თავისთვის და სძინავს, ამჯერად აღარსად უპირებს წაყვანას“. ის კი მაინც არ აცილებდა თვალს, უტყვი, უენო მხეცივით მისჩერებოდა, თითქოს ინგლისური არც ეცურებოთ ოღონდ სახეზე აღარც მძვინვარებისა და აღარც ზეიმის ნატამალი აღარ შერჩენოდა: ხმაჩახლუჩილი ზღუქუნებდა და ისევე ბავშვის დაბრუნების ლამობდა, „ფრთხილად, ფრთხილად“, ეუბნებოდა ჰაითაუერი „ნომ არ გაგივარდებიათ?“ ქალმა თავი გააქნია, უსიტყვოდ, ზღუქუნ-ზღუქუნით, თან თავის დათვივით ტორს ნაზად უთათუნებდა ჩელი-ბელეებზე სიმტკიცე ეტყობოდა და ჰაითაუერმაც უფრო ამიტომ დასება ბავშვი, ახლა კი ზის წყნარად, ჩვილი მუხლებზე უქირავს, ვიდრე დაგვიანებული ექიმი საწოლს დაატრილოებს, მხნე, დაღისიანი ხმით ლაპარაკობს და ხელებს წამითაც არ აჩერებს, ჰაითაუერი აღარ უცქერის, ტრიალდება და შოდის, ფრთხილად მოუყვება ჩამოტეხილ საფენურებს, ქვემოთ, მიწისკენ, ეოთბამად კიდევ უფრო მეტად დაბერებულ, მოტეხილი, ლიპიდაც თითქოს რადიფის, დინამიტივით საბედისწეროს, და საგულდაგულოდ ჩაკეტის ლაპარაკებს უკვე გათენებულა, დილაა, განთიადი აღარც ეთქმის: მზეს ძალა მისცემია, ჰაითაუერი აქეთ-იქით აცოცებს თვალებს, წამით ჩერდება; „ბაირონო“, იმახის არავინ ეპასუხება, მერეღა ამჩნევს, შორიახლოს, ღობის სარზე გამოშვული ჭორიც აღარსად ჩანს, ერთს მძიმედ ამოიოხრებს, „კეთილი და პატიოსანით“, ფიქრობს, „ამასაც ნომ მოვესწარი, ბაირონის ბოლო თავი-უდობის — საბლაშდე ფეხით ჩანჩალოსო, არ ეკადრება ეს ბაირონს, და, სხვათა შორის, არც სიძულვილს არ ეკადრებაო, თუმცა, რას იზამ, ადამიანს ხომ ძალიან უშირად არ შეეფერება საკუთარი საქციელი, ანდა პირიქით, თვითონ არ შეეფერება თავის საქციელსო“.

ხელ-ნელა, აუჩქარებლად ბრუნდება უკან, ქალაქისკენ — აწოწილი, ღიმილის თავზე ჭუჭყიანი პახამა ხურავს, უბეში ბამბის ლამის პერახვის კალთა რას ვაი-ვაგლახით ჩაუტანია შავ შარვალში, „კიდევ კარგი, ფეხსაცმლის ჩაცმა მაინც მოვასწარიო“, ფიქრობს, „დავიღალე“, აგრძელებს ფიქრს ბრაზიანად, „დავიღალე და ვერ კი დავიძინებ“ გულით ბრაზობს, მართლა დაღლილია, ნაბიჯებს უწყობს ფიქრს და მალე საკუთარ კიშკარში შედის, მზე ახლა მაღლა დგას, ქალაქსაც გაუღვიბია: ყოველი მხრიდან ცეცხლზე შემოღებულ საფრისის სუნს სცემს, „გორა ხომ წაიყვანა და წაიყვანაო“, ფიქრობს დაბოლოს, „სხვა თუ არაფერი, წინ მაინც გამოეწერო და ქურაში ცეცხლი







ხანს კიდევ აქეთ-იქით აცვებდნენ თვალს, თითქოს აყურადებდნენ და ელოდებოდა, კვლავ მტკიცე, საკუთარ თავში დაჭერებულო სახით, ჯერ არც წელანდებოდა სიმბურვალე გამქრალა ბოლომდე „არადა, იმედი მქონდა, ძალში გამომ- ნელდებოდა“. ფიქრობს და მაშინვე, ფიქრშივე ამბობს „არა, იმედი მქონ- დათ, არ მინდოდა შეთქვა, უფრო მეშინოდა მაშ, დამიყრიდა ფარ-ხმალი და და ეგ არის“. უძრავად ზის, მშვიდად ფიქრობს, მერე მარტინის ფუნქციას იწ- ყებს, რბილად, დამნაშავესავით, „დავნებდი, დავყარე ფარ-ხმალი, ჰოდა, ძა- ლიანაც კარგი, ამის ხეობას მაინც შეეცქირე საკუთარ თავს, დიან, იქნება ესე- ცაა საჩემოდ შემონახული, მეც ავღვები და დავყაბულდები“. მერე უკვე სხვა აზრი, სხვა ფიქრი ებადება, ის ბავშვი მე რომ გავაჩენინე, ჩემი სახელი ჯერ არავისთვის დაურქმევიათ, არადა, რამდენი მადლიერი დედა ვიცი, პა- ტვისცემის ნიშნად შვილისთვის ექიმის სახელი რომ უწოდებიათ, ოღონდ, ბაირონს რა ვუყოთ, ბაირონს, რა თქმა უნდა, ჩემთან შედარებით მეტი უფ- ლება გააჩნია, მაგრამ ის ხომ კიდევ ბევრს გააჩენს, სხვებსაც ახსენდება ახალგაზრდა, ლონიერი სხეული, ტკვილშიაც რაღაც მშვიდსა და უშიშარ შუქს რომ ასხივებდა, კიდევ ბევრს, ძალიან ბევრს, და ეს იქნება მისი ბედი, მისი ცხოვრება, ამ ბედის კარნახს დამორჩილებული კეთილი თესლიც გაი- ხარებს და ნაყოფიერი მიწაც დასახლდება; ეს ლონიერი წელი, სიჩქარისა და ზედმეტი ფაცაფუცის გარეშე შობს დედასა და ქალიშვილს, ოღონდ, უკვე ბაირონის ნაშიერთ, საწყალი ბიჭი, ფეხით კი მატარა, მაგრამ მაინც მეცოდება

პაითაუერი სახლში შედის, პირს იპარსავს, ღამის პერანგს იხდის და სა- გარეოდ ეწყობა, არც საყულო ავიწყდება, არც ბატისტის ყელსახვევი და არც პანამა, თითქოს ქონამდე მანძილი შემცირებულა, დილით მეტი დრო მოან- დომა შინ დაბრუნებას, არადა ახლა ტყე-ტყე მიდის, უფრო ძნელი გზით, „უფრო ხშირად უნდა ვიარო ფეხით“, ფიქრობს, მზის მცხუნვარე, დატე- ხილ-დაქუცმაცებულ შუქში მიაბიჯებს და ხარბად ისუნთქავს მიწის, ტყის ველურ და ნოყიერ სურნელს, ხმამალალ სიჩუმეს, „არც ეს ჩვევა უნდა მომე- შალა, იქნება, ორივე განვაახლო, გინდაც სეირნობა ლოცვას ვერც შეედრე- ბოდესო“.

ტყიდან ქოხის უკან, საძოვრის შორეულ ბოლოში გამოდის, ქოხის იქით კორომი მოჩანს, სადაც ადრე, ხანძრამდე, სახლი იდგა, ოღონდ დანახშირე- ბულსა და დამუნჯებულ ნაღვერდალს, ერთ დროს ფაცრები და დირეები რომ ერქვა სახელად, მაინც ვერ ხედავს, „საცოდავი ქალიო“, ფიქრობს, „საცოდა- ვი, ბერწი ქალი, ერთი კვირაც რომ ეცოცხლა, ნახავდა, როგორც დაუბრუნდე- ბოდა აქაურობას ბედნიერება, ბედნიერება და სიცოცხლე დაუბრუნდებოდა ამ უნაყოფო და გაჩანაგებულ მიწას“, ეჩვენება, თითქოს ხედავს, გრძნობს შორიანლო გაწოლილი დოვლათიანი მინდვრების სულებს, ამ მხარის ნაყო- ფიერ, ნოყიერ, შავ ცხოვრებას, რბილი, მკერდისძიერი ხმებიც ესმის, ჯი- შიანი ქალებისა, სახლის წინ მტვერში მოთამაშე ჩანსალი, ტიტლიკანა ბავშ- ვებისა; დიდ სახლსაც ხედავს თითქოს, ხმაურიახს, მრავალი თაობის ყრიაშუ- ლით ახმაურებულს, ქოხთან მიდის და კარზე აკაკუნებს; საცაა შეაღებს კარს, საცაა შევა, თუმცა ჯერ რიხიანი, როხროხა ხმით კითხულობს: „ექიმს არ შემოუშვებო?“

ქოხში დედისა და ჩვილის მეტი არავანაა, ქალი საწოლში წამომჯდარა, ბავშვს ძუძუს აწოვებს, პაითაუერის შესვლისას ჯერ ბოლომდე ვერც ასწ- რებს მკერდზე ზეწრის აფარებას, თან კარს შესცქერის შემფოთებული კი



არა გაფიცვებული, სახეზე სიმშვიდე და სითბო გადაჰყენია, თითქოს გალი-  
მებას ატირებდაო. ჰაითაუერი ამჩნევს, როგორ ეცვლება სახე. „მე მეგონა...“  
ამბობს ქალი.

„შაინც ვინ გეგონებ?“ ამბობს, რობრობებს ჰაითაუერი. საწოლს და-  
ლოვდება და ზემოდან დასცქერის ქალს, ჩვილის ერთი მუცა, დაკმულს, გა-  
ბომწვარ თიხისფერ სახეს, ჩვილი კი, მძინარე, უსხეულო, დედის მკერდს ჩა-  
ჭიდებული, თითქოს ჰაერში გამოვიდოდა. ქალი კიდევ უფრო უსხეულოდ  
ტანს ზეწარს, მშვიდი, მორიდებული, თავს აწოწილი, ღიპიანი, მელოტი კა-  
ცი დასდგომია და ნაზი, აღტაცებული, მოზვიმე სახით დასცქერის. ქალი  
ბავშვს არ ამორებს თვალს.

„ეტყობა, ამის გულს ვერაფრით მოვიგებ. მგონია, დაიძინა-მეთქი, არა-  
და დავაწვენი თუ არა, მაშინვე ატირდება, მეც რა ვქნა, ისევ ხელახლა უნდა  
ვაჯამო“.

„მარტო არ უნდა იყოთ აქ“, ამბობს კაცი, ოთახს ათვალიერებს. „სად  
არია?“

„ქალიც წავიდა. ქალაქში, ჩემთვის არ უთქვამს, ქალაქში მივდივარო,  
მაგრამ ვიცი, ჯერ კაცი გაიპარა, ქალმა რომ გაიღვიძა და იმისი ამბავი მკითხა,  
მერე თვითონაც უკან გაბრუნდა“.

„ქალაქში? გაიპარა?“ მერე — „ააააო“, — ამატებს მშვიდად, უკვე და-  
სერიოზულდება სახე.

„ქალი მთელი დღე იმას უთვალთვალავდა, ის კიდევ ქალს, ვატყობდო,  
თავს იმძინარებდა. ქალს კი ეგონა, მართლა სძინავსო. სადილის მერე იმასაც  
გამოელვია არაქათი. აბა რა იქნებოდა, წუხელ თვალი არ მოუხუჭავს, პოდა,  
ნასადილევს სკამზე ჩამოჯდა და მაშინვე ჩასთვლიდა, კაცი კი უთვალთვალე-  
ბდა, მერე უჩუმრად, უხმაუროდ წამოდგა საწოლიდან, თან თვალს მიშვრე-  
ბოდა და შემანკებოდა. სანამ კართან არ მივიდა, მხარზემოდან სულ მე გა-  
მომცქეროდა და თვალს მიკრავდა, მერე ფეხაკრეფით გაიძურწა ქოხიდან.  
არც იმის გაჩერებას ვცდილვარ და არც ქალის გაღვიძებას“. ღინა ჰაითაუერს  
შესცქერის, თავისი ქვეიანი, ფართოდ გახელილი თვალებით, „თან შემე-  
შინდა კიდევ, უცნაურად ლაპარაკობს და ცქერითაც რაღაც სხვანაირად მიც-  
ქერდა თითქოს, იმიტომ კი არ შემანკებოდა და იმიტომ კი არ მიკრავდა  
თვალს, ქალი არ გააღვიძო, შემტყრებოდა — თუ გააღვიძებ, ნახავ, რაც მო-  
გივარო. მართლა შემეშინდა, ხმაგავმენდილები ვიწუქით და მალე ქალმაც გა-  
ახილა თვალი, მაშინლა მივბვდი, თავისდა უნებურად რომ ჩასძინებოდა, კა-  
ცის საწოლისკენ რომ გარბოდა, თითქოს ჯერაც ბოლომდე ვერ გამოფხიზ-  
ლებულიყო, მერე საწოლზე გიყვირით მოათათურა ხელები, ეტყობა, არაფ-  
რით სჯეროდა კმრის გაპარვა, საბანში დაეძებდა, ალბათ ეგონა, სადმე სა-  
ბანში გაიბლანდებოდაო, მერე მე შემომბნედა, ერთხელ, იმას არც თვალის პა-  
ტუხი დაუწყია და არც მანკვა-გრება, მაგრამ ღამის ვინატრე, ნეტავი ამანაც  
თვალი ჩამიკრას-მეთქი, კაცის ამბავი მკითხა, ვუთხარი, ქუდი დაიხურა და  
წაიქცა“. ღინა ჰაითაუერს შესცქერის, „მიხარია კიდევ, რაც ჩემთვის გაა-  
ქეთა, იმის მერე ასე ალბათ არ უნდა ვამბობდე, მაგრამ...“

ჰაითაუერი ზემოდან დასდგომია საწოლს, ვერ შეატყობ, საერთოდ თუ  
აედავს ქალს, ძალიან სერიოზული სახე ადევს, თითქოს ათი წლით დაბერდა,  
აქ დგომაშიო, ანდა, თითქოს თავისი ჭეშმარიტი სახე ახლავდა დაიბრუნაო,  
ოთახში შემოსვლისას საკუთარ თავს არცა ჰგავდაო. „მაშ, ქალაქში, არა?“



ამბობს ცოტა ხნის შემდეგ. უკვე თვალზე იღვიძებენ. ისევ უბრაუნდებათ მხედველობა. „კეთილი, რაღა გაეწყობა“ ეუბნება ლინას. „ეგეც არ იყოს. ქალაქი ხალხითაა სავსე. ვინმე გონიერიც ხომ გამოერვეს... ხომ მოინახუბა ვიღაც... რად გიხარიათ იმათი წასვლა?“

ლინა თავს დაბლა ხრის, ხელით თითქოს ჩვილს თავზე ეხუტება. ოღონდ არ ეხება: ეს მოძრაობა აშკარად ინსტინქტურია და სრულიად გაუაზრებელი. „ქალზე აუგის სათქმელად ენა როგორ მომიბრუნდება. აუგის კი არა, პირიქით, შენ დაისვენეო, ბავშვი სულ თვითონ ეჭირა ხელში, არც მანებებდა. იჯდა სკამზე და... უი, მაპატიეთ, სულ გამოვსულელიდი, დაჯდომა როგორ არ შეგთავაზეთ“. ჰაითაუერი საწოლისკენ იჩოჩებს სკამს, ჯდება. „...იჯდა და უთვალთვალებდა, ის კიდევ თავს იმძინარებდა“. ლინა ჰაითაუერს შესცქერის: რაღაცას ეკითხება თვალებით, დაჟინებით. „სულ ჯოს ეძახის, არადა, ჯო არ ჰქვია, სულ...“ ჰაითაუერს შესცქერის, თვალები სავონებელში ჩაცვენილან, დაეკვებულან. კთხვაზე პასუხი ვერ უპოვიათ. „სულ ერთსა და იგივეს ლაპარაკობს... უნდა ურევდეს რაღაცას ვუსმენ და ზოგჯერ მე თვითონაც ტვინი მერვეა, როცა იძულებული ვარ...“ მისი თვლები, მისი სატყვები, აქეთ-იქით აწყდებიან, გზას დაეძებენ, გამოსავალს.

„ურევდესო?“

„ბავშვზე სულ ისე ლაპარაკობს, თითქოს მამამისი ის იყოს... აი, ციხეში როცა, მისტერ კრისტმასი, დაუჩემებია რაღაცა და მეც მამბნევს, ზოგჯერ უკვე მეც ვეღარ... თითქოს სულ ამერია თავგზა, მეც ის მგონია ხოლმე ბავშვის მამა... მისტერ კრისტმასი...“ ლინა ჰაითაუერს შესცქერის; თითქოს ებრძვის, ძალას ატანს თავს. „არადა, ხომ ვიცი, რომ სინამდვილეში ასე არ არის, ვიცი, სისულელეა ვველაფერი, ის კიდევ ერთსა და იგივეს გაიძახის, მეც, ეტყობა, ჯერ ვერ მოვმაგრდი, გონება ვერ მოვიკრიბე, ამიტომაც მეშინია...“

„რისი?“

„არ მიყვარს, როცა ვიბნევი ხოლმე, მეშინია, სულმთლად არ ამიბნიოს თავგზა, აი, ხომ გაგიგონიათ, რომ ამბობენ ხოლმე, თვალებს თუ დააეღმებ, მერე შეიძლება ვეღარც გაასწოროო...“ ჰაითაუერს აღარ შესცქერის, გაუნძრევლად ზის საწოლში და ჰაითაუერის დაჟინებულ მზერას გრძნობს.

„თქვენ თქვით, ჯო არ ჰქვიაო, მაშ რა დაარქვით?“

ლინა კიდევ ცოტა ხანს არიდებს სახეს მერე თავს მაღლა სწევს. „ჯერ არაფერიც არ დამირქვევიაო“. — პასუხობს სწრაფად, ლამის დაუფიქრებლად.

ჰაითაუერი ამის მიზეზსაც ხედება, თითქოს პირველად არაა ხედავს ქალს ოთახში შემოსვლის მერე, ახლადა ამჩნევს, ცოტა ხნის წინ თმა რომ დაუვარცხნია, სახეც გამოსცოცხლებია და ზეწარქვეშიც, ჰაითაუერად, ნაჩქარევად შეუჩურთია სავარცხელი და სარკის ნატები. „მე რომ შემოვედი, ვიღაცას ელოდით, რა თქმა უნდა, მე არა, ვის ელოდებოდით?“

ქალი თვალს არ არიდებს, არც უმანქო ეთქმის ახლა იმის სახეს და არც თვალთმაქცური, აღარც წყნარი და მშვიდი. „ველოდი?“

„ბაირონ ბანჩს ელოდით?“ ქალი არც ახლა არიდებს თვალს, ჰაითაუერს მშვიდი სახე ადევს, მტკიცე, კეთილმოსურნე, თუმცა ის უღმობლობაც აწერია ზედ, რაც ლინას ადრეც არაერთხელ უნახავს, ადრეც არაერთხელ შეუმჩნევია უმთავრესად იმ კეთილი მამაკაცების სახეებზე, ვისაც კი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე შეხვედრია ჰაითაუერი ლინასკენ გადაიხ-



რება. იმ ხელზე ჰკიდებს ხელს, რომლითაც ქალს ბავშვი უჭირავს. „ბაირონი კარგი კაცია“. ამბობს ჰაითაუერი.

„მე მგონი, სხვაზე უარესად არც მე ვიცი ეგ ამბავი. იქნებ ბევრზე უკეთ ვიცოდე“.

„თქვენც კარგი ქალი ხართ, იქნებით. მე არ ვგულისხმობ...“ ბოლო სიტყვებს სწრაფად ამატებს. მერე ჩუმდება. „არ ვგულისხმობდი. უკრწუნუღნი

გინგლიჩიძე

„მე მგონი, მესმის თქვენი“, ამბობს ლინა. „არა, სხვას ვამბობ. ამას არა აქვს მნიშვნელობა. ეგ ჭერ კიდევ არაფერი

აა. მერეა საქმე, მომავალში. მერე რას უზამთ საკუთარ თავს, სხვებს“. ქალს მისჩერებია და ისიც არ არიდებს თვალს. „გაუშვით წაყიდეს, უთხარით მოგცილდეთ“, ერთმანეთს შესცქერიან. „დაითხოვე, შვილო, ის ხომ, ალბათ,

ორი შენი ხნისაა. შენ კი იმაზე ორჯერ მეტი გიცხოვრია უკვე. ველარასოდეს დაგეწევა. ველარასოდეს გაგითანაბრდება, რადგან ძალიან ბევრი დრო და-

კარგა. თანაც, იმის არაფერსაც ისევე აღარ ეშველება, როგორც შენს ყველაფერს. ისიც ისევე ვერ დაბრუნდება უკან და ვერ გააკეთებს გასაკეთებულს.

როგორც შენ ვერ გამოასწორებ გაკეთებულს. შენ ბიჭი გყავს, სხვისგან გყავს, სხვა კაცისგან. ძალად უნდა შეიყვანო იმის ცხოვრებაში ორი უცხო მამაკაცი და ქალის კი — მხოლოდ ერთი მესამედი, არადა, იმდენს

მაინც ხომ იმსახურებს. ოცდათხუთმეტწლიანი არაფერი აუცილებლად თუ უნდა დაინგრას. უმოწმეებოდ მაინც მოხდეს მოსახდენი. გაისტუმრე“.

„ეგ ჩემი საქმე არ არის. ის თავისუფალი კაცია. ჰკითხეთ, თვითონ გითხრათ, ერთხელ მაინც თუ ეცდილვარ ძალათი იმის დაკავებას“.

„საქმეც ეგაა. თუ ეცდებოდდი, ალბათ ვერც დააკავებდი. საქმეც ეგაა. რომც გცოდნოდა, როგორ უნდა ცდილიყავი. თუმცა, ეგ რომ გცოდნოდა, მა-

შინ აქაც ხომ არ იქნებოდდი ახლა, ძუძუთა ბავშვიც ხომ არ გეწეებოდა გვერდით. მაშ, არ გააგდებ? სიტყვასაც არ ეტყვი?“

„რაც უკვე ვთქვი, იმაზე მეტს აღარაფერს ვიტყვი. აკი, ხუთი დღის წინათვე ვუბასუბე — არა-მეთქი“.

„უარი უთხარი?“  
„ცოლად გამომყევით. ახლავო. მეც, არა-მეთქი, ვუთხარი“.

„და ახლაც იგივეს ეტყობი?“  
ქალი წარბშეუხრელად შესცქერის. „დიახ, ახლაც იგივეს ვეტყობი“.

ჰაითაუერი, დიდი, ზონზრობა, ფორმადაკარგული, მძიმედ ოხრავს; მობოშებულ სახეზე ისევ აშკარად ეტყობა დაღლილობა. „მჯერა, მჯერა, სულ ასე უბასუბებ. ვიდრე არ დარწმუნდები...“ ისევ ლინას შესცქერის, დაყინებით. მტკიცედ. „ახლა სად არის? ბაირონი?“

ლინაც ჰაითაუერს უყურებს. ცოტა ხნის შემდეგლა ამბობს წყნარად — არ ვიციო. თვალს მაინც არ აშორებს მოსაუბრეს; მერე, უეცრად, სახე ერთიანად უცარიელდება. თითქოს ის, რაღაც, რაც სიმტკიცესა და ფორმას ანიჭებდა

ამ სახეს, ნელ-ნელა თანდათანობით დაიწრიტაო. აღარც თვალთმაქცობის, დაძაბულობისა თუ გაფაციცების ნატამალი შერჩენია. „ამ დილით, ასე, ათ სა-

ათზე დაბრუნდა. ოთახში არც შემოსულა. კართან გაჩერდა და იქიდან მიყურებდა. წუხანდლიდან არ მენახა, არც იმას ენახა ჭერ ბავშვი და ვუთხარი,

მოდით, დახედეთ-მეთქი. იქიდან, კარებიდანვე შემომხედა და — „ამბის გასაგებად მოვედი, როდის გინდათ იმისი ნახვაო?“ „ვისი ნახვა-მეთქი?“ „ალბათ

შერიფის თანაშემწესაც გამოაყოლებენ თან, თუმცა, მე მგონი, ქენედის და-



ყოლიებას მოვახერხებ და გამოუშვებენო" — „ვის გამოუშვებენ-მეთქი  
 სა და ლუკას ბარჩსო". „ჰო, დიახ-მეთქი" — სხვა ველორათური ვით  
 სალამოს არა უქირსო? „დიახ-მეთქი" და „სიც წავიდა კოტა ხანს  
 მერე წავიდა", ქალი ტირილს იწყებს და სალონის საათწამ  
 შეპყურებს. რასაც უკველი მამაკაცი განიცდის იმ დედის  
 დანახვისას, ქალი წელგამართული ზის. გულს მუხუჭებს  
 რას, არც ხმამიღლა და აოც გულამოსკვნილი უბოლოოდ, ყოვლისმ  
 და უსასოო მორჩილებით და თან, სახის დამალვასაც არ ცდილობს.  
 კი უარესად მტანჯავთ და მაწამებთ. „არა" უთხარი თუ არაო, ვუთხარ  
 უკვე ვუთხარი, ვუთხარი და წავიდა კიდევ, აღარასოდეს დაბრუნდ  
 ღარასოდეს ვეღარ ვნახავ". ჰაითაუერი უწინდებურად ზის, ბოლოს  
 ლოს, ლინაც ზრის თავს, ჰაითაუერიც სკამიდან დგება. ზემოდან დას  
 იმის ჩაქინდრულ თავზე უდევს ხელი და ფიქრობს მადლი უფალს, ღ  
 შენ მიშველე, მადლი უფალს, ღმერთო შენ მიშველე.

ტყეში ქრისტმასის გაკვალულ, ფაბრიკისკენ მიმავალ ბილიკს მოაგ  
 იმ ბილიკს მიჰყვა. მანამდე მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, მ  
 როცა ნახა, საით მიდიოდა, აღზნებულსა და ალტაცებულს, ესეც გან  
 ნიშნად მოეჩვენა, ლინასი გულით კი სჯერა, მაგრამ მისი ნათქვამის  
 ტურებაც სურს, უბრალოდ, სიამოვნებს იგივეს ხელახლა სხვა წყარ  
 მოსმენა, ფაბრიკამდე რომ მიადწევს, ბოლოს და ბოლოს, ოთხ საათს  
 ფერი უკლია, ამბის გასაგებად კანტორისკენ მიეშურება.

„ბანჩი", ამბობს ბუღალტერი, „აქ ვეღარ ნახავთ ამ დილით მიანება  
 შაობას თავი".

„ეიცო, ვიცო", ამბობს ჰაითაუერი.

„შვიდი წელი იმუშავა ჩვენთან, შაბათობით, ნაშუადღევსაც კი  
 ობდა ხოლმე, ამ დილას კი გამოგვეცხადა და, კარგად მენახეთო, მიზეზი  
 ფერი უთქვამს, ეგ სოფლელები ყველანი ეგეთი უცნაურები არიან".

„დიახ, დიახ", ამბობს ჰაითაუერი, „ოღონდ მშვენიერი ხალხი კია,  
 ბიც კარგები არიან და ქალებიც". მერე კანტორიდან გამოდის, ქალაქის  
 საჩირხავ ფარდულთან გადის, აქ, სადაც ადრე ჰაირონიც მუშაობდა, ჰ  
 უერი ოსტატსაც იცნობს, მუნის „გავიგე, ჰაირონი დაგმშვიდობებო  
 ეუბნება გაუჩერებლად.

„ჰო", პასუხობს მუნი, „ამ დილით დაგვიკრა თავი", მაგრამ, ჰაითაუ  
 აღარ უსმენს; კომბინიზონიანი მუშები თვალს ვერ ამორებენ ამ უცნაურ  
 ფერთხილ, არცთუ მთლად ნაცნობ სტუმარს, ერთგვარი მოზვიძე ინტერ  
 რომ მისჩერებია კედლებს, ფიცრებსა თუ იმ იდუმალო მექანიზმებს, რომ  
 თა არსსა და დანიშნულებასაც ვერასოდეს ჩასწვდება, რომც მოინდომოს  
 სცადოს, ვერასოდეს გაუგებს თავსა და ბოლოს, „ჰაირონის ნახვა თუ  
 ბავთ, მე მგონი, მოედანზე, სასამართლოსთან ნახავთ" ეუბნება მუნი.

„სასამართლოსთან?"

„დიახ, სერ, დღეს დიდი ვიური იკრიბება, საგანგებო შეკრებაა, იმ მკვლ  
 ბრილდება უნდა წაუყენონ".

„დიახ, დიახ", ამბობს ჰაითაუერი, „მაშ, წავიდა, არა? დიახ, მშვენი  
 აბალგაზრდაა, მშვიდობით, მშვიდობით, ბატონებო, კარგად მენახეთ"  
 თაუერი გზას აგრძელებს, კომბინიზონიანი მუშები კი კოტა ხანს კიდევ  
 ლებენ თვალს, ხელები უკან დაუკრეფია, მიაბრჩებს და მშვიდად, აუღელ



ლად, სევდიანად ფიქრობს: „საწყალი კაცი. საბრალო ბიჭი. არავის მიეტყუება, არავის უნდა მიეტყუოს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა: ყველაზე ნაკლებად კი უფლებამოსილ პირს. თავის თანამოძმეთა ნაფიც მსახურს. მართლაც, როცა ეს უფლება საჯაროდ აქვს მინიჭებული ვიღაც ერთ ოფიცერს, ვისაც თავისი მსხვერპლისგან, რაც გინდათ ის დაარქვით იმ მსხვერპლს, არავითარ პირადი წყენა და ტკივილი არ ახსოვს. სხვას, უბრალო, ჩვეულებრივ მოქალაქე როგორღა უნდა მოსთხოვო რამე. იმან როგორღა უნდა შეიკავოს მსხვერპლი თავისი მსხვერპლი ამომგდებად. ამკლებად და გამაუბედურებლად მიაჩნია?“ მიღის, მიაბიჯებს; უკვე თავის ქუჩაზეა. ცოტაც და თავის მესერსაც დაინახავს. თავის აბრასაც; მერე აგვისტოს ხშირ ფოთოლნარში სახლიც გამოკრთება. „მაშ, წავიდა და არც გამომემშვიდობა. ყოველივე იმის მერე, რაც ჩემთვის გააკეთა. რაც მომიტანა. ჰო, რაც მომცა. განმიახლა. მოდი და ნუ ფიქრობ. ესეც იყო ჩემთვის შემონახულიო. თუმცა, ახლა კი მორჩა“.

მაგრამ, არაფერიც არ მორჩენილა. ერთი რამ მისთვის კიდევაც შემონახული.

როცა ბაირონი ისევ ქალაქში დაბრუნდა — მოცდა მოგიწევსო, — უთხრეს, შუადღემდე ვერ ნახავ შერიფს. რადგან მთელი დილა სასამართლოში იქნება, საგანგებო სხდომას უნდა დაესწროსო.

„რა გაეწყობა“, თქვა ბაირონმაც. „ეგ მაინც მეხერხებაო“.

„რა გეხერხებაო?“ — ჰკითხეს, მაგრამ აღარაფერი უბასუხია. შერიფის ოთახიდან გამოვიდა და პორტიკის ქვეშ გაჩერდა, რომელიც მოედნის სამხრეთ მხარეს გასცქეროდა. ვიწრო, ფილებით მოკირწყლული გალერეიდან ქვის მაღალი, გვარიანად შეფერთხილი, ვინ იცის, რამდენი თაობის ნალექი თამბაქოთი დაურიდებლად დანერწყვილ-დალაქავებული სვეტები აზიდულიყვნენ და კამარით ბოლოვდებოდნენ. კამარის ქვეშ დინჯად, გაუჩერებლად, სერიოზული უმიზნობით მიმოდიოდნენ კომბინიზონიანი სოფლელები (აქა-იქ, სვეტებთან, რამდენიმე, შედარებით ახალგაზრდა, ქალაქელი კაციც იდგა, ზანტად. ზარმაცად საუბრობდნენ ერთმანეთში, ზოგიერთს, კლერკებს, დამწყებ ვეჭილებსა და, წარმოიდგინეთ, ვაჭრებსაც კი, ბაირონიც იცნობდა, იცნობდა იმათ ერთნაირ, ქედმაღლურ იერს, რაც ყველას, ცოტა არ იყოს, გადაცმულ პოლიციელებს ამსგავსებდა. ფეხებზე რომ ჰკიდიათ, შეატყობს ხალხი პოლიციელობას თუ ვერა), მონასტრის ეზოში მოსეირნე ბერების სახეები ედოთ. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ ფულზე, მოსავალზე და ხანდახან მშვიდად ახედავდნენ ხოლმე ქერს, რომლის მიღმაც, ჩაკეტილ ოთახში, დიდი ფიური მალე გამოუტანდა განაჩენს იმ კაცს, ვისაც, არამც თუ არ იცნობდნენ, ნახვითაც თითო-ოროლა მათგანს თუ ჰყავდა ნანახი; იმ ქალის მოკვლის გამო წაართმევდა სიცოცხლეს. ვისაც, ალბათ, ასევე არცერთი მათგანი არ იცნობდა და ვისთვისაც კიდევ უფრო ცოტას მოეკრა თვალი, თუნდაც შორიდან. მოედნის ირგვლივ იმათი ფორნები და დამტვერილი მანქანები ჩამწყრივებულიყვნენ, ქალაქში ჩამოყოლილი იმათი კოლები და ქალიშვილები კი ქუჩებში, დუქნებში, დუქნების წინ ირეოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ზანტად, უაზროდ — ნაზირივით თუ ღრუბელივით. ბაირონიც კარგა ხანს იდგა იქ, გაქვავებული, გარინდული — ჩია, კაფანდარა კაცი. ვისაც შვიდი წელი კი გაეტარებინა ამ ქალაქში, მაგრამ კიდევ უცხოოდ და უცნობად დარჩენილიყო სოფლელობათვის. ვიდრე მკვლელი და მოკლული ქალი.



თლონდ ახლა ბაირონი იმაზე არ ფიქრობდა. ერთი კვირის წინანდელისგან განსხვავებით. ახლა ეს იმაზე არც აღარდებდა. თუმცა, ერთი კვირის წინ აღაბათ, არც იდგებოდა აქ, ამ გამოსახენ ადგილას. სადაც წებსმწიფი გამვლელს შეიძლება თვალში მოხვედროდა და ვილამის იქნებ ვიღაც კაცი. აგა ბაირონი ბანჩი, მარტოდმარტომ, დაუხმარებლად რომ გამოდგოდა სხვისა უანა. ეგ არის, სხვის კახას რომ გადაყვა უანგაროდ. რავეცა ეს სხვა ათახი დოლარის ხაშოვნელად იდგამდა წელეებზე უფს. ბაირონი ბანჩი, ქალის პათიოსანი სახელის ქომაგი — არადა, ქალსაც და იმ თავის კუროსაც ეგ თქვენი პათიოსნება სულ ფეხებზე ეკიდათ. ვილამის ნაბიჭვარზე ზრუნავდა — ადამიანურად, წესიერად გაჩნდეს ამქვეყანაზე. — ბარჯიც გასწია, მადლობის ნიშნად კი ერთხელ მოსმენინეს ბავშვის ჩხავილი. თუმცა როცა უკვე აღარავის აღარაფერში სჭირდებოდა, როცა, ბოლო-ბოლო, იმ ბიჭმაც იშოვა ათახი დოლარი, იმისი ნებაც დართეს, ხელახლა იხვე თვითონ შეეხვედრებინა ერთმანეთს ქალი და ქალის კურო. აი, ეგ არის, ეგ არის ის ბაირონი ბანჩი ახლა ეს შემიძლია გზასაც გავედგეო". გაიფიქრა ბაირონი. რატომღაც ღრმად დაიწყო სუნთქვა, გრძობდა. რა ხარბად იაყუნებოდა პატარს და თან ეშინოდა. ვაითუ მომდევნო ჩასუნთქვებზე პატარი აღარ შეეყო და რაღაც სამიწილეება მოხდებოდა ეგობა. შერბებზე თუ დაიხედავდა, სიცოცხლის ნიშან-წყალსაც ვეღარ შეატყობდა. — დინამიტით უძრავი იქნებოდა გულმკერდი. იმ დინამიტით, ნულ-ნელა რომ ღვივდება. თანდათანობით იძენს სასიამოლო მომაცვდინებელ ძალას — ახლა, ახლა, ახლა — და გარეგნულად კი ისე იტყობია: ეგონა, გამვლელ-გამომვლელიც ვერაფერს მიაჩნს ეს უფსოვანი ჩია, კეთილდარა კაცს. ვისაც ხელმეორედ არაფერ შეედავდა. მთელ ახლავს ეაუყურებდა ამდენი თუ გავეყთებისა, ამდენი ვახეცადა და გულმკერდს ვინა თომად იყო დარწმუნებული. იქ, ფაბრიკაში, შაბათ საღამოს, მარტი ამარტო დარჩენილს, ვერაფერთარი წყენა და გულისტკივილი ახლოსაც ვერ გამოდგოდა.

ბაირონი, ხალხში მოკვლევდა გზას. „სადმე უნდა წავიდეო“, ფიქრობდა. ამ ფიქრს აქოლავდა მიაბიჯებდა: „სადმე უნდა წავიდეო“. ფიქრი სიარულსაც უკავშირდებდა. ჯერაც ამ სიტყვებს იმეორებდა გუნებაში, როცა პანსიონის ბაირონი, მისი ოთახი კუჩის გადმოსცქეროდა, ნახამდე პაროდა ფანჯარას თვალს, სადაც ბოლომდე გაიბრებდა — იქით ვიყურებო. „შეიძლება ისიც უფროსი ბავრონი კითხვლობს ან როგორ ამოღებს ფანჯარასთან ვილამის“ — ფანჯარა მერე დერეფანში შევიდა. დილის ვაშკაში მზის შემდეგ ცოტა ხანს თვალს ვაფარებდა. სველი თიხოლოეებისა რა საპნის სუხი ეცა „ქერ ისევ თრეშობათო“. გაიფიქრა. „ადარ პახსოვდა ან იქნებ უკვე მომდევნო ორ-შაბათს დადვა: კი, ნამდვილად ეგრე იქნებაო“. არავისთვის დაუძახია, მალე სიარულსაც მიაჩნია თვალის დერეფნის ბოლოში. ანდა, შეიძლება საშხარეულთაში ვიღაცასთან ხეჩდნენ იატაკს, სინათლის მარტყუთებში გამოლეთულ ღვინა ვაშის — ჯერ მისის ბიარდის თავი გამოჩნდა და მერე ბაირონისკენ მომავალი მისი სილუეტი.

„აი, აი“, თქვა ქალმა. „მისტერ ბაირონი ბანჩი მოსულა. მისტერ ბაირონი ბანჩი“.

„აი, აი“, თქვა ბაირონიმაც და თან გაიფიქრა. „მარტო სველი ქალი. ეს მალე სიარულსაც აღბათ, აი ეს ვეღარ დაიტყეს, არ ეცდება...“ ამქვრადაც ვერ იმეორა ის საჭირო სიტყვა, რომელიც მათათურს აუცილებლად ეყოლი-



ნებოდა, დაუფიქრებლად წარმოთქვამდა. „ეტყობა, იმის დაუხმარებლად არამცთუ არაფრის გაკეთება არ შეძიძლია, ფიქრითაც კი ვეღარ ვფიქრობ უმისოდო“. „ღიახ“, გაიმეორა ისევ. გაშეშებული იდგა და იმდენივე ვერ მოუხერხებინა, ქალისთვის აეხსნა — გამოსამშვიდობებლად მოვედით. „იქნება არც მოვსულვარო“. გაიფიქრა, „წესით კაცი ერთ ოთახში უნდა იდგას, რომ იცხოვრებს, ერთ დღეში აღარ უნდა მიუკეტონ ცხვირში“. „არა მგონია, ამაზე დარდმა ახალი მდგმურის პოვნაში მაინცდამაინც შეუშალოს ხელიო“. „მე მგონი, ქირა ცოტათი დაგიგვიახეთ“, თქვა ბაირონმა.

ქალი უსიტყვოდ მიაჩერდა: მკაცრი, მშვიდი, თანაც უბოროტო საბით. „რისი ქირაო?“ ჰკითხა ბოლოს. „მეგონა, დაბინავდით, ზაფხულის კარავში გატარება გადაწყვიტა-მეთქი, ვიფიქრე“. თან ისევ ისე შესცქეროდა, მერყე სათქმელიც უთხრა. — შეძლებისდაგვარად მორიდებით, შეძლებისდაგვარად ხათრიანად, „აკი იმ ოთახის ქირა უკვე გადამიხადეს კიდევ“.

„ქოო“, თქვა ბაირონმა. „ღიახ, ღიახ, გასაგებია“. მშვიდად ასცქეროდა ახლად დაგვილ, ლინოლეუმგადაკრულ, მისი ფეხებითაც გადაპრიალებულ კიბეს. სამი წლის წინ ახალი ლინოლეუმი რომ დააგეს, სწორედ ბაირონი აყო, უნც პირველმა გაიარა ზედ. „ქოოო“, გაიმეორა ისევ. „კეთილი, მაშ კობია...“

ქალმა ახლაც დაუყოვნებლივ, უბოროტოდ უპასუხა. „ეგ საქმეც მოვაგვარე, რაც დატოვეთ, ყველაფერი თქვენს ჩემოდანში ჩავალაგე, ჩემს ოთახშია, ისე, თუ გნებავთ, მაინც ადით და თვითონაც ნახეთ“.

„არა, თქვენ, რა თქმა უნდა... კეთილი, მაშ...“

ქალი თვალს არ აშორებდა. „ეჰ, კაცებო, კაცებო“, უთხრა მერე, „რაღა გასაგვირია, თქვენი გადამკიდე, ქალებს მოთმინება თუ დალატობთ ხოლმე, ეშმაკობის ზომაც არ იციოთ, არადა, სინამდვილეში, მთელი თქვენი ეშმაკობა ქინძისთავეზე დაეცემა, მაგაშიც ისევ ქალები რომ არ გიმართავდეთ ხელს, სანამ ათი წლისანი გახდებოდით, ყველანი მანამდე ამოყოფდით ზეცაში თავს“.

„არა მგონია, რამე საბაბი გქონდეთ იმ ქალზე ძვირის თქმისა“. თქვა ბაირონმა.

„არცა მაქვს და არცა მჭირდება, მაგაზე თუ მიდგა საქმე, ქალს ქალის სალანძღავედ საბაბი რად უნდა, არ ვამბობ, ქალებს არ დაუწყვიოთ ათასი მიეთმოტით-მეთქი, ოღონდ, კაცს რაც მოუთხოვება, იმაზე მეტი ჰქვია რომ გამოგეჩინათ, მიხვდებოდით, რა ფასიც ადევს ქალების ყბედობას, ეგ კაცებსა, გონიანთ ლაპარაკი რაღაცა, არც ერთი ქალი არც თქვენზე და არც იმაზე გულში ცუდს არ ფიქრობს, რადგან ყველამ იცის, ის ბავშვიც რომ არა, მაინც არ გააჩნია თქვენთან ბუტიობის მიზეზი, არც თქვენთან და არც ნებისმიერ სიგა კაცთან, ნამდვილად არ გააჩნია, განა თქვენც, იმ მღვდელმაც და სხვებმაც, უნც იმისი ამბავი გიგო, ყველაფერი არ გაუკეთეთ, რაზეც კი ოცნება შეეძლო? მაშ, რაღასთვის უნდა გაიბუტოს? მითხარით ერთი, თუ ღმერთი გწამთ.“

„ღიახ“, თქვა ბაირონმა. ქალს აღარ უყურებდა. „მე მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ...“

ვიდრე სიტყვას დაასრულებდა, ქალმა ამაზედაც უპასუხა. „ალბათ მაღე გამოგვემშვიდობებით“. თან თვალს არ აცილებდა. „რა ქნეს დილას სამართლოში?“

„არ ვიცი, ჯერ არ დაუმთავრებიათ“.



„ეგრეც ვიცოდი, იწვალეებენ არა, რაც შეუძლიათ მეტ დროსა და ოლქის ფულს გაანიავენ იმის გასაკეთებლად, რასაც ჩვენ, ქვეყნის მამათ სალამოსვე მოვაგვარებდით ათ წუთში. რა სულელი უნდა იყო, არა, ჩეფერსონი უიმისობას როგორმე გადაიტანს: ვერ ვიტყვი, უსილოდ ვერ გაძლებს-მეთქი, მაგრამ რა სულელი უნდა იყო, რამ უნდა შეეშინებინა კაცს, ქალის მოკვლა იმაზე მეტს შემშატებს რამეს, რასაც ქალის კაცის მოკვლა შიშატებდაო... მეორეს გაუშვებენ, არა?“

„აღბათ მეც ეგრე მგობია“

„არადა, ეგონათ, ისიც ეხმარებოდაო, ამიტომ იმ ათას დოლარსაც ჩაუთვლიან, შენი კირიმე, არაფერი გეწყინოს, არ იფიქრო, შენზე გულში ბოღმა ჩავიდეთო, მაშინ დაქორწინებაც შეეძლებათ, ასეა, არა?“

„ღიან“, განუწყვეტლივ გრძნობდა ქალის დაფინებულ, უბოროტო მზერას.

„და, როგორც ეტყობა, თქვენც გვტოვებთ, მაშ, ჩეფერსონმა საბოლოოდ მოგაბეზრათ თავი?“

„არც უმაგისობაა, მე მგონი, ჯობია ვზას გავუდგე“.

„აბა, რა გითხრათ? ჩეფერსონი კარგი ქალაქია, ოღონდ, არც იმდენი კარგი, თქვენნაირმა თავისუფალმა კაცმა სხვაგან ვერ იპოვოს თავისი წილი საეშმაკო და საწუხარო... თუ გინდათ, სანამ წახვიდოდეთ, ჩემოდანი აქ იყოს“.

შუადღემდე იცადა, ცოტა მეტხანსაც მახამდე, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდა, აბლა კი ნამდვილად მოათავებდა შერიფი სადილობასო, მერე შინ მიადგა ოღონდ სახლში ცოცხალი თავით არ შევიდა, კარებთან უცდიდა, ვიდრე შერიფმა არ გამოხედა - მსუქანმა, ზონზრობა კაცმა, ვისაც ქარსის ნამტვრევებივით ჩაჰკარგვოდა უძრავ, ხორციან სახეში წვრილი და ქვეყნის თვალები, გვერდზე გადგნენ, ჩოდილში ეზოში სკამი არ იდგა; ჩვეულებების წინააღმდეგ (ორივე სოფლელები იყვნენ, სოფელში გაზრდად დაბადებულები) არც ჩაუბუხლიათ, შერიფი უხმოდ უსმენდა უწყიხარ, ჩია კაცს, რომელიც შვიდი წელიწადი ქალაქისათვის სულ მუდამ პატარა საიდუმლოდ რჩებოდა, შვიდ დღეში კი ღამის საზოგადოების შეურაცხყოფელად და მტრად ქცეულიყო.

„გასაგებია“, თქვა შერიფმა, „მაშ, ფიქრობ, დაქორწინების დრომაც მოაწია?“

„რა ვიცი, ეგ იმათი საქმეა, უბრალოდ, ჯობია მივიდეს და ნახოს, ამის დრო ნამდვილად დადგა, თუ გინდათ, თანაშემწეც გააყოლეთ, ქალს ვუთხარო, ამ სალამოს მოვა-მეთქი, მერე რას იზამენ, უკვე იმათი საქმეა, მე აღარ მეჩება“.

„სწორია“, თქვა შერიფმა, „შენ რა შუაში ხარ“, თან ბაირონის პროფილს შესცქეროდა, „აბლა რას ამირებ, ბაირონ?“

„რა ვიცი“ ბაირონი ნელ-ნელა უხახუნებდა მიწას ფეხს; კიუტად დასცქეროდა, „მემფისში წასვლას ვფიქრობ უკვე ორიოდე წელია, იქნება ასეც მოვიტყუე, რა ურია ამ პატარ-პატარა ქალაქებში“.

„სწორი ხარ, ვისაც ქალაქური ცხოვრება უყვარს, იმისთვის მემფისი მისწრებაა, თან არც ოჯახი გაწევს კისერზე, ათი წლის წინ მეც მარტონელად რომ ვყოფილიყავი, იქნება მეც იგივე მექნა ვინ იცის, უკეთესადაც წასულიყო ჩემი საქმე, მაშ, ალავე მიემგზავრები?“



„რალაზე ვითრიო ფეხი“. ბაირონმა წამით ზევით ააზედა, მერე ისევ მიწას ჩააცქერდა. „დილას ფაბრიკიდანაც დაველობე“.

„ვიცი“, თქვა შერიფმა. „მივხვდი, თორმეტიდან პარველამდე სწორდნა გზის გამოვლას და უკან დაბრუნებას ვერ მოასწრებდი. კეთილი, ისეთი პირი უჩანს...“ გაჩუმდა. იცოდა, ეიური დაღამებამდე წაუყენებდა ქვეყნის ბრალდებას და ბრაუნიც — ბარჩიც — ისევ თავისუფალი კაცად უნდა დარჩებოდა. სანამ მომავალ თვეში სასამართლოზე მოწმედ გამოიჩაბებდნენ, თუმცა ალბათ სასამართლოზედაც იოლად გავიდოდნენ უმისოდ. რაკი ქრისტმასს არაფერი უარუყვია და, შერიფის ღრმა რწმენით, დაძაბვებდაც სცნობდა თავს, ოღონდ კი სიცოცხლე შეენარჩუნებინა. „დაშავებითაც არაფერი დაშავდება, იმ ჯიბიდან გავარდნილს ერთხელ მაინც თუ ჩავუნერგავთ ღვთის შიშს“, გაიფიქრა ბრაუნზე. „მე მგონი, ეგ საქმე იოლად მოგვარდება“. თქვა ცოტა ბნის შემდეგ. „შენი თქმისა არ იყოს, თანაშემწეც უნდა გავაყოლო. გინდაც გაქცევა არ ედოს გუნებაში. გინდაც ჯერ ისევ ჰქონდეს ჯილდოს იმედი, თან არც იცის, რა ელოდება იქ, ჯერ არ იცის“.

„არა“, თქვა ბაირონმა. „არ იცის, ქალი ჯეფერსონში არცა ჰგონია“.

„ბოდა, ავდგეთ და თანაშემწესთან ერთად გავისტუმროთ. ნურაფერს ვეძებთ; უბრალოდ, გავუშვათ. გინდა, შენც გაყევი?“

„არა“, იუარა ბაირონმა. „არა, არა“. ოღონდ ფეხი არ მოუცვლია.

„ასე ვიზამ. შენ იმ დროისათვის ალბათ უკვე წასულიც იქნები. თანაშემწეს კი გავაყოლებ. ოთხი საათი უპრიანია?“

„მშვენიერია, დიდი სიკეთე იქნება თქვენგან. დიდი ყურადღება“.

„ჯეფერსონში ჩამოსვლის მერე სიკეთე არც უჩემოდ მოჰკლებია, კეთილი, იცოდე, არ გემშვიდობები. იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს ისევ გინდავთ ჯეფერსონში. ჯერ ისეთი კაცი არ შემხვედრია, ცოტა ხანი მაინც ეცნობროს აქ და მერე საბუღალსოვლოდ გადაკარგულიყოს. იმ ბიჭის მეტი, აი, ციხეში რომ ზის ახლა. მაგრამ, მე მგონი, დასაშაულს მაინც აღიარებს, გადაირჩენს თავს. ჯეფერსონს კი სათოფეზედაც აღარ გაეკარება, იმ ქალის ბედიც არა მშურს. ბებიაპისთ ვარო, რომ დაუჩემებია. შინ რომ ვბრუნდებოდი, ის ბებერი კაციც ისევ შუა მოედანზე იდგა, ყვიროდა, ილანძლებოდა, ლაჩრები სართ ყველანი, რატომ ციხიდან არ გამოათრევთ და აქვე არ მოუგრებთ კისურსო“. შერიფი მძიმე-მძიმედ ამორბოცდა. „ჭკუით იყოს, თორემ პერსი გრიფი ოთუ დაადგა თავს თავისი ლაშქრით...“ მერე უცებვე დასერიოზულდა. „ცუდ დღეშია საცოდავი. ქალები საერთოდ ცუდ დღეში არიან“. ისევ ბაირონის პროფილს შეავლო თვალი. „არც ჩვენ დაგვდგომია უკეთესი დღე, კეთილი, აბა, მალე დაგვიბრუნდი. იქნებ მერე მაინც მოგექცეს ჯეფერსონი ადამიანურად“.

იმავე დღეს, ოთხ საათზე, სამალაგიდან უთვალთვალეს მოაბლოებულ მანქანას, ხედავს, როგორ ჩერდება ქობთან, როგორ გადმოდიან მანქანიდან შერიფის თანაშემწე და ის კაცი, ვისაც ბრაუნად იცნობდა, და ქობისკენ მიემართებიან. თვალს არ ამორებს, ბრაუნს ახლა ხელბორკილი აღარ ადევს, ქობის კარებთან მისულს შერიფის თანაშემწე ზურგში უბიძგებს ხელს და ზურგს უკან კარს უკეტავს, მერე თვითონ კიბის საფეხურზე ჩდება და ჯიბიდან თამბაქოს ქისას იღებს. ბაირონი ფეხზე დგება. „ახლა კი შემიძლია გზას გავუდგეო“, ფიქრობს. „უკვე შემიძლია წავიდეო“. სამალაგად ჩაგნარი აურ-



ჩვეია. მდელიოზე, სადაც ერთ დროს სახლი იდგა. ჯაგებს უკან ჯორი აბია, არც გზიდან ჩანს. არც კონიდან. გაცვეთილ უნაგირზე შეფერთბილი ყვეთელი ჩემოდანია მიმაგრებული. ნელოვნურტყავგადაკრული. ბაირონი კორზე. დება და გზისკენ ერეკება. უკან არ იყურება.



ნაშუადღევის ძალადაკარგული. გადახრილი მზით განსწქმსქმს... და წითელი გზა გორაკს მიუყვება. „კარგი, ბატონო. როგორმე ამ გორაკსაც გადავივლიო“, ფიქრობს ბაირონი. „როგორმე ამასაც გაეუძლებო“. ირგვლივ შვიდი წლის ნაცნობ სიმშვიდესა და მყუდროებას დაუსადგურებია. „ეტყობა, კაცს ყველაფრის გაძლება შეუძლია. იმისაც, რაც არასოდეს ჩაუდენია. იმ ფიქრისაც, რაღაც გაუსაძლისიც არსებობსო. ხან ისე აქვს საკმე. მიწაზე უნდა გორავდეს და ბლაოდეს. არადა, თავს ამდენის უფლებას არ აძლევს და თან ამასაც უძლებს. უკან გაბედვის ცდუნებასაც უძლებს, მაშინაც უძლებს, როცა იცის, გინდა გაიხედე. გინდა არა — ხეირი მაინც არაფერი იქნებაო“.

გზა სულ ზევით და ზევით. გორაკის თბემისკენ მიიკლავება. ზღვა არასოდეს უნახავს და ალბათ ამიტომ ფიქრობს. „თითქოს არარაობის ნაპირთან ვდგავარო. თითქოს ერთი თუ გადავაბიჭე, მეც არარაობაში ამოვყოფ თავსო. იქ, სადაც ხეებიც სხვანაირები არიან და ადამიანებიც. არც ხეებს ჰქვიათ სახელად ხეები და არც ადამიანებს — ადამიანებიო. იქ აღარც ბაირონი ბანჩის დასჭირდებოდა ყოფილიყო ან არ ყოფილიყო ბაირონი ბანჩიო. უფსკრულში დაქანებულნი, ისიც და იმისი ჯორიც არარად იქცეოდნენ. გავარვარდებოდნენ და ბოლოს იმ ქვებივით დაიწვებოდნენ, ღირსი პაითაუერი რომ ამბობს — სივრცეში დაქრიან. ცეცხლი უჩნდებათ, ვარვარდებიან და ისე იფერფლებიან. მიწამდე იმათი ნაცარიც აღარ აღწევსო“.

მაგრამ მწვერვალზე ასულს მაინც სულ სხვა ხედი ეშლება თვალწინ. ხედი. რომლის ხილვასაც თვითონაც ელოდება: ნაცნობი ხეებიცა და შიშისმომგვრელი. მოსაბეზრებელი სივრცეც. სადაც, სისხლის კარნახს აყოლილმა, მარად და მარად უნდა იმოძრაოს მკაცრი მიწის ორ, გადაულახავ ჰორიზონტს შორის მომწყვდეულმა. ნელ-ნელა ეშლება ეს ყველაფერი თვალწინ. არც აებუდივად და არც შიშისმომგვრელად. ასეა, ნელ-ნელა, თანდათანობით ჩნდებიან ბეთა კენწეროები და თან არც ბაირონის არსებობა ახსოვთ. არც მისი ასავალ-დასავალი აღარდებთ. „არც მიცნობენ და არც ვენალვლებით“, ფიქრობს. „თითქოს ამბობენ ძალიან კარგი. მაშ, ვიტანჯებით, ამბობ? ძალიან კარგი. მაგრამ სიტუვაზე რატომ დაგიჯეროთ? ბაირონი ბანჩი ვარო, გაიძახი. კი ბატონო, ოღონდ შენ ზომ მხოლოდ ახლა, დღეს, ამ წუთასა ხარ ბაირონი... და თუკი მართლაც ასეა“. აგრძელებს ფიქრში. „მაშინ ბოლო სიამოვნებასაც აღარ მოვიკლებ და უკან მიბედვის ცდუნებასაც დაგნებდებით“. ჯორს აჩერებს და უნაგირზე მთელი ტანით ტრიალდება.

არ ეგონა. ასე შორს თუ წამოვიდა, ასეთი მაღალი თუ იყო მწვერვალი. მოპირდაპირე მთავრებილზე ჩეფერსონი შეფენილა. მთავრებილსა და მთავრებილს შორის კი ერთი ბეწო. ხელისგულისოდენა ფიალასავით მოჩანს ოდესღაც ვრცელი სამფლობელო იმ ოჯახისა, რომელსაც სამოცდაათი წლის წინ პლანტატორთა ოჯახი ერქვა სახელად. ოღონდ პლანტაციია ახლა უწესრიგოდ მიმობნეული ზანჯური ქობმახებით. ბაღჩების ნაკუწებით და მკვდარი. ეროზიით შექმული, მუხნარით, ხურმით, დაფნითა და ასკილით დაფარული მიწდვრები — დაქუცმაცებული. პლანტაციის შეფაგულში მუხვების კორომი ქერაც ისევ დგას, როგორც მაშინ. სახლის აშენებისას იდგა. თუმცა



თავად სახლის ნაკვალევით აღვიდა პირისაგან მიწისა. ბაირონი აქედან ნათანძრალის კრილობებისა ცერ ხედავს და ეს კოროში ჩამოქცეულს თავი და. ოდნავ მოშორებით ქობი რომ არა. აღმათ ვერც იტყვიან. სადასად სად, რა ადვილას იდგა სახლი. ქობი კარგად მოჩანს. მთლიანად. წამის სა-თამაშოსავით გარინდულა ნაშუადღევის მზეში: სათამაშოსა მტყუნებშია. ნომჯდარი შერიფის თანაშემწეც. ბაირონი იქით იყურება და ეტყვიან. მათ ქოს რაღაც ქადოქრობის წყალობით. ქობის უკან სხვა კაცის გამოჩნდება. უკვე გარბის. სირბილით გამოვიარდნილა უკანა ფანჯრიდან. შერიფის თანა-შემწეს ეს ეტვიც არაფრისა აქვს. ზის კიბეზე თავისთვის მშვიდადა კიდევ ცო-ტა ხანს ბაირონიც არ ირბევა. უნაგირზე შებრუნებულა ზის და ხედავს, რო-გორ არბის მოტიტვლებულ ფერდობზე. ტყისკენ. პაწაწინა ფ-გურა.

მერე, თითქოს სუსხიანი, ძლიერი ქარი დაუვლის მთელ არსებაში. ერთ-დროულად სასტიკიცა და მშვიდიც. და ბზესავით, ნაგავივით თუ მკვდარი ფოთლებივით ერეკება სურვილებსაც. სასოწარკვეთასაც. უიმედობასაც. ტყვილსაც და ფუტ ოცნებებსაც. თითქოს მართლა ქარი დასძგერებოდეს. ბაირონი უკან გადაქანდება. ისევ გამოფიტული. გამოცარიელებული. ყვე-ლაფრისაგან დაცლილი. როგორც უწინ. როგორც ორი კვირის წინ. როგორც ლინასთან პირველ შეხვედრამდე. ამ წუთის სურვილს სურვილი აღარც ვთ-ქმის: უფრო მეტია — მშვიდი, ურყევი რწმენა. ჯერ ვერც მიმხვდარა ტვინ-მა ტელეგრაფის სიზუსტით თუ გადასცა ბრძანება ხელს და ქორი უკვე გზადან გადაიყავს. მთავრებილის გასწვრივ მიერეკება იქითკენ. საითაც გაქ-ცეულა. ტყეში გაუჩინარებულ კაცს უჭიროავს გეზი. კაცის საბული ფიქრშიაც არ წარმოუთქვამს. არც იმაზე დაფიქრებულა წამით. სად გარბის. რა მიარ-ბენიწებსო. ერთხელაც არ გაუფელვა ფიქრში. ისევ ლინას გამოქცევიანო, არა-და. ადრე თვითონვე იწინასწარმეტყველა ყველაფერი. რომ დაფიქრდეს. აღ-მათ თავსაც დაიწმუნებს. ბრაუნს აბლაც რაღაც გადაუდებელი. სავსებით განონიერი. ჯეფერსონიდან ქელიან-ბავშვიანად გამგზავრებასთან დაკავში-რებული საქმე გამოსჩენია. ოღონდ ამ საქმესაც თავისებურად. უცნაურად აფ-ვარებსო. თუმცა არაფერსაც არ ფიქრობს: ლინას არსებობაც კი დავიწყებია; ვითომც მის დღეში არც ენახოს. საბულოც არ გაეგოს მისი. ფიქრობს: „მა-გის მაგაურად მაგის ქალსაც მე მივხედე და ბავშვსაც. მაგრამ ერთი სამსო-ხური კიდევ შემიძლია გავუწიო. მღვდელი მე არა ვარ და ჯვარს ვერ დაეწერ. ისე გამასწრო. დაწევაც ძალიან გამიჭირდება. ჩემზე ზორბაა და რომც და-ვეწიო. იქნებ ვერც გავლახო. მაგრამ ცდიე რომ მაინც უნდა ვცადო. ცდას იომ არ მიშლის არავინო“.

როცა შერიფის თანაშემწემ საკანში მიაკითხა. — სად მიგყავართო. — მაშინვე ისა პკითხა ბრაუნმა. სადა და სტუმრადო. — მიუგო შერიფის თანა-შემწემ ბრაუნსი შეცბა, თავისი ლამაზი. ვითომ გულადი სახე მიაშტერა. „არა-ვისთან სტუმრობისთვის არა მეცხელა. მე ამ ქალაქში უცხო ვარ“.

„შენ ხველგან უცხო იქნები“. უთხრა შერიფის თანაშემწემ. „შინაც ადვ. წავედიო“.

„მე ამერიკის მოქალაქე ვარ“, თქვა ბრაუნმა. „და. თუ არ ვცდები. უფ-ლებებიც გამოჩნია. მერე რა. თუკი თუნუქის ვარსკვლავი არ მათხეკია ავიმხე“.

„გაგაჩნია. აბა არ გაგაჩნია?!“ კვერი დაუკრა შერიფის თანაშემწემაც. „მაშ ან მე რა მრჯის: მეც უფლებების დაცვაში არ გახმაოები?!“



ბრაუნს საბუ ვაუენათდა: გაუბრწყინდა. „იმათ... ისინი რა, გადაადას აპირებენ?“

„აბა? გაქილდოებენ, და თუ ჯერაც იმ ჭკუაზე ხარ ახლოს, ამ წუთას მიმყევებარ შენს ქილდოსთან“



ბრაუნი დასერიოზულდა, შერიფის თანაშემწეს ეტვიმს ეტვიმს ეტვიმს, მაგრამ მაინც წამოდგა, მაინც გადადგა კარებისკენ ნაბიჯი. „რალაც უცნაურად აეწყო ყველაფერი“. თქვა მან. „მე ციხეში მაყურყუტეთ, ის ნაბიჯვრები კიდევ მშრალზე მიპირებდნენ დატოვებას“

„შენი მშრალზე დამტოვებელი ნაბიჯვარი ჯერ არ გამოჩეკილა“, თქვა შერიფის თანაშემწემ. „ჰა, წავედით, გველოდებიან“.

ციხიდან გამოვიდნენ, მზემ ბრაუნს თვალი მოსჭრა, თვალეზმოწყურულმა მიმოიხედა და მერე თავისებურად, ცხენივით აიქნია ცერად თავი, ტროტუართან მანქანა იცდიდა, ჯერ მანქანას შეხედა ეტვით, მერე შერიფის თანაშემწეს. „მანქანა რალად გვიბდა?“ იკითხა ბრაუნმა. „ამ დილას სასამართლომდე ფეხით მისვლა სულაც არ გამჭირვებია“.

„უატმა გამოგზავნა, ქილდოს ტარება გაუადვილდებოთ“, უთხრა შერიფის თანაშემწემ. „ჩაჯე“

ბრაუნმა ჩაიბუზღუნა, „რალაც ძაან კი მოიქაჩლა უცებ თავი, აი, ბორკილი არაო, მანქანაო, თანაც, ყველა სკვეთესთან ერთად, მარტო ერთ ყარაულს მაყოლებს თან“

„მე შენ არ გყარაულობ“, თქვა შერიფის თანაშემწემ, ის იყო, მანქანის დაძვრას აპირებდა და წამით შეუოვხდა. „გაქცევა თუ გინდა, გაიქეცი, ვინ გიქერს?“

ბრაუნმა ბრანით მიანათა შეურაცხყოფილი, ეტვიანი თვალეზი. „გასაგებია ყველაფერი“, ჩაილაპარაკა ჩუხად. „ეშმაკობს, ჭკუაში მატყუებს: მე გავიქცევი, თვითონ კიდევ ათას დოლარს ჩაიჭიბავს, შენ რამდენს დაგპირდა?“

„მეე? მე ხუსტად შენდენი შერგება, ბოლო ცენტამდე“.

ბრაუნი კოტა ხანს კიდევ შეაცქერდა მერე შეიგინა, უმისამართოდ, უჭიგროდ, ბინძურად. „წავედით“, თქვა ბოლოს. „წავედით თუ მივდივართ“.

ხანძრისა და მკვლელობის ადგილისკენ გაემგზავრნენ. ხანგამოშვებით, თითქოს დრო ხუსტადა აქვს გამოთვლილიო, ბრაუნი თავს აიქნევდა ხოლმე, უკან-უკან იხედებოდა და მართლა ემსგავსებოდა ჯორს, ვიწრო ორლობეში დაფეთებული რომ გაურბის მანქანას. „აქ რალასთვის მოვეთრევიო?“

„რალასთვის და შენი ქილდოსათვის“, უბასუბა შერიფის თანაშემწემ.

„ქილდო სადღაა?“

„აგე, იმ ქოიში, იქ გველოდება“

ბრაუნმა მიიხედ-მოიხედა, ჯერ ხასაზლარის ჩაშავებულ ნაცარს შეავლო თვალი, მერე კი მიგდებულ, მრავალ ავდარგამოვლილ, მზის გულზე გაყუჩებულ ქობს, სადაც ოთხიოდე თვე თვითონაც გაეტარებინა, სერიოზული სახე ედო, სერიოზული და დაძაბული. „რალაც უცნაურად მეჩვენება ეს ამბავი, ქენედის თუ ჭგონია, ჩემი უფლებების გათელვაც შეუძლია, რალაი კი ის თუნუქის ვარსკვლავი თუ ჩემი ფეხები...“

„მიდი“, უთხრა შერიფის თანაშემწემ. „თუ ქილდო არ მოგეწონოს, აქ გველოდები და რა წუთსაც მიბრძანებ, მაშინვე უკან, ციხეში დაგაბრუნებ“. ბრაუნს ზურგში უბიძგა, ქობის კარი გაულო, ოთახში შეავლო, კარი მიუკეტა და თვითონ კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.



ბრაუნმა გაიგონა, როგორ დაიკეტა ზურგს უკან კარი. ჯერ ისევ მიდიოდა, ვერ მოესწრო ნაბიჯის შენელება. დამფრთხალმა, გაცეცებულმა, რამდენჯერმე სარბად მოათვალიერა ოთახი, თითქოს თვალები ვეღარ იხილავდა. სული უსწრებდათ. ერთბაშად სურდათ ყველა კუთბე-კუნძულის დატოვება და უცებ მოთნაკრავივით შედგა ღინა იწვა და ხედავდა. რბილად გაუქრა ტუჩთან თეთრი ნაიარვევი. თითქოს სისხლის მიქცევა დაიკეტა. როგორც ქარმა თოქზე გასაშრობად გაფენილი ჩვარით, ქალს კრინტი არ დაუძრავს. საწოლში სანახევროდ წამომჯდარიყო, ბეჭებქვეშ ბალიშები ამოეწყო და ფნიზული, კვვიანი თვალებით შესცქეროდა თვალებში არც სიზარული ედგა, არც გაოცება, არც საყვედური და არც სიყვარული. — კაცს კი პატარა, მუხანათი, გამცემი ნაიარვევის გასამასხრებლად და გამოსაჯავრებლად, როგრიგობით ჩან აღშფოთება ეხატებოდა სახეზე. ჩან გაკვირვება და ჩან შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა. ვიდრე ბოლოს აშარა შეძრწუნება არ შეაკივდა ზედ. ზოლო დამფრთხალი და სასოწარკვეთილი თვალები კვლავ გაუჩერებლივ აწყდებოდნენ აქეთ-იქით ცარიელ ოთახში, ქალი ხედავდა, ნებისყოფის რა დაძაბვად დაუჭდა იმათი მოთოკვა. იმათი დამორჩილება — ორი დაფეთებული პირუტყვივით, — და ღინასთვის თვალის გასწორება, „ბიჭოს, ბიჭოს“, თქვა ბრაუნმა. „ბიჭოს, ბიჭოს, ბიჭოს, ეს ხომ ღინაა“ ქალი დაჟინებით მისჩერებოდა, ამჩნევდა, როგორ გაურბოდა კაცს თვალები, რა ტანჯვით აოკებდა გასაქცევად გამზადებულ პირუტყვებივით, თითქოს სჯაროდა, ერთი თუ დამასხლტნენ, მერე ვერასდიდებით ვეღარ გავაჩერებ, ვერაფრით მოვარჩუნებ და უეჭველად დავიღუბებო. ღინა ღამის ხედავდა კიდევ, გაუჩერებლივ როგორ დავძებდა გამოსავალს იმისი დამფრთხალი და შეძრწუნებული გონება და იმ სიტყვების პოვნასაც ცდილობდა, რომელთა წარმოთქმასაც ხმა, ვნა მოახერხებდა. „ეს თუ ღინა არ იყოს, კი, ასეა, მაშ, მიგიღია ჩემი ბარათი, ჩამოვედა და დავბინავდი თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნე, გასულ თვეში, მეგონა, დაიკარგა-მეთქი — ვილაც ბიჭს გამოვატანე, წესიერად არც ვიცნობდი, თვითონ ამიჩემა, ვინდა თუ არა მე წავიღებო — სანდო კაცს არა ჰგავდა, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო, უნდა ვნდობოდი, ოღონდ შენთვის სამგზავროდ ათი დოლარიც რომ ჩავუდე, მერე კი შემეშინდა...“ ხმა სადღაც, სასოწარკვეთილ თვალებს მიღმა ჩაკვდა, ღინა კი ჯერაც ხედავდა, როგორ უსასოოდ აწყდებოდა აქეთ-იქით მისი გონება, სიბრაღულის, საერთოდ, ნებისმიერი გრძნობის ვარეშე შესცქეროდა, თავისი მშვიდი, ყურადღებიანი, გაუსადღისი მზერა მიეპყრო და ხედავდა, როგორ გარბოდა, როგორ ბორბიკობდა, როგორ იტებდა კისერს, ვიდრე, თანდათანობით, სიამაყის მონარჩუნებიც საბოლოოდ არ მიმოეფანტა — თუკი, საერთოდ ერქვა სიამაყე თავის მართლების გაუნელებელ ვინს, — და ბრაუნიც დედამობილა არ დარჩა, მაშინ ღინამაც პირველად დაილაპარაკა წყნარი ხმა ჰქონდა, დამშვიდებული, ცივი

„მოდო აქ“, უთხრა ბრაუნს, „მოდო, ნუ გეშინია, არ ვაკებინებ“. ბრაუნმა ნაბიჯი გადადგა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა, ქალმა ესეც შეამჩნია, თუმცა უკვე აღარ უცქეროდა, უბრალოდ, ტანი უგრძნობდა, გრძნობდა, რა უნერსულად, როგორი რიდი და კრძალვით წამოსდგომოდა თავს, ოღონდ ისიც იცოდა, მძინარე ბავშვზე ზრუნვით რომ არ იყო ეს რიდი და კრძალვა ნაკარნახევი, ბავშვისთვის ზეირიანად არც დაუხედავს, ღინა ისევ ამჩნევდა, როგორ მოუსვენრად აწყდებოდა აქეთ-იქით ბრაუნის გონება, უნდა



დამიმტკიცოს, არაფრისა შემშინებიაო ფიქრობდა. არც შერცხვება და დაი-  
უნებს არ შეშინიაო, აკი ადრეც, როცა ტყუოდა, არ შერცხვებია შიშისა

„კარგია, კარგი“, თქვა ბრაუნმა. „მაშ, ეს არის, პა?“

„პო“. თქვა ლინამ. „არ დაჯდები?“ პაითაუერის სკამი ჯერაც სწოლთან  
იდგა. ბრაუნს უკვე ესეც შეემჩნია. წინდაწინვე გაამუხურა უფრო ფიქრა.  
ისევ შეიგინა, უხმოდ, გაღიზიანებულმა, გაცოფებულმა მტკიცებითაოოო,  
ეს ნაბიჯვრები მაგრამ. როცა სკამზე ჩამოჯდა, სასეზე მაინც არაფერი შესტ-  
ყობია.

„ასეა საქმე, ჩემო ბატონო, აი, ისევ ერთადა ვართ, როგორც ვაპირებ-  
დით. მინდოდა მზამზარეულზე ჩამოსულიყავი, ოღონდ ამ ბოლო დროს სულ  
მოუცლელი ვარ. მართლა, არ დამავეიწყდეს...“ ახლაც, მოულოდნელად, ჯო-  
რივით აიქნია თავი და უკან მიიხედა. ქალი არ უყურებდა. მერე უთხრა:

„აქ ერთი მღვდელია, უკვე იყო ჩემს სანახავად“

„ძალიანაც კარგი“. მაშინვე გაეპასუნა ბრაუნიც. ხმამაღლა, გულით  
უპასუნა. თუმცა, ხმისა არ იყოს, ამ გულითადობასაც ვერ ენდობოდა კაცს.  
ისიც როყო სიტყვებთან ერთად ქრებოდა უკვალოდ და არაფერს ტოვებდა,  
არც აზრსა და არც რწმენას. „მაგას რა ჯობია, ჩემს საქმეებს მოვათავებ თუ  
არა...“ თან მრავალმნიშვნელოვნად და თან არაფრისმთქმელად აიქნია ხე-  
ლი, ისევ ლინას მისჩერებოდა, თვალს არ აშორებდა. სახე გადაგლესოდა და  
გამოსცარიელებოდა. მლიქვნელური, დაძაბული, იღუმალეებით მოცული თვა-  
ლები ჰქონდა. ოღონდ, სადღაც სიღრმეში, უწინდელი შიში და სასოწარკ-  
ვეთაც ჩარჩენოდა. მაგრამ ქალი აღარ უყურებდა.

„ახლა რას საქმიანობ? ისევ ფაბრიკაში ხარ?“

ბრაუნი ქალს შესცქეროდა. „არა, იქიდან წამოვედი“. ვერაფრით მოეწ-  
ყვიტა ლინასთვის თვალი. თითქოს მისი არც იყო ეს თვალები, თითქოს არც  
დანარჩენ სხეულთან აკავშირებდათ რამე და არც ნათქვამთან და ნამოქმედარ-  
თან. „ბინძურ ზანგ მონასავით დღეში ათი საათი გაწყვეტინებენ წელს. ახ-  
ლა ერთი ანკესი მაქვს გადაგდებული, წესით სარფიანი საქმე უნდა გამოდ-  
ნეს. საათში თხუთმეტი ცენტრი კი არა, ზოდა, ამ საქმეს მოვათავებ თუ არა,  
კაცმა რომ თქვას, რაღა დარჩა, მაშინ მე და შენც...“ იღუმალეებით მოცული  
თვალები ჯიუტად, ჯიქურ მისჩერებოდნენ თავდაბრილი ქალის პროფილს.  
მერე ერთხელაც აიქნია თავი, ერთხელაც მიიხედა უკან და ქალმაც ერთხელ  
კიდევ გაიგონა სუსტი, მოულოდნელი ჩქამი. „არ დამავეიწყდეს...“

ქალი არ შერხეულა. „მაინც, როდის იქნება ეგ, ლუკას?“ ჰკითხა მერე.  
ჰკითხა და მაშინვე გაიგონა, მაშინვე იგრძნო, რა საოცარმა, რა უსაშველო  
სიჩუმემ დაისადგურა უცებ.

„რა როდის იქნება?“

„თვითონაც იცი, რაცა თქვი, იქ, ჩვენთან, შინ, მარტოკას იქნება არც  
არაფერი გამჭირვებოდა, აკი ერთხელაც არ დამიჩივლია, ახლა კი სხვაა,  
ახლა მე მგონი, წუხილის უფლებაცა მაქვს“.

„პოო, ეგა“, თქვა ბრაუნმა. „შენ ნურაფერზე ნუ იდარდებ, ოღონდ  
დამაცადე საქმეს მოვრჩე და ფული ჩავიგდო ხელში, ჩემი კუთვნილი ფუ-  
ლი. ვერც ერთი ის ნაბიჯვარი ვერ...“ ბრაუნი გაჩუმდა, ნელ-ნელა ისევ შევიდა  
ეშხში, ისევ აუწია ხმას, ეტყობა, დაავეიწყდა სად იყო, ეტყობა, ხმამაღლა გა-  
აბა ფიქრი. სწრაფადვე მოეგო გონს; უკვე ჩუმად თქვა: „შენ მე მაცალე“.



ხურაფერზე იდარდებ. განა აქამდე რამე სადარდებელი განიჩენია შენთვის, პა? გამიჩენია?"

„არა, დარდით არასოდეს მიდარდია. ვიცოდი, შენი იმედოვნებდლო მკონოდა“



„ნუც მანდა ვარ, ეს ნაბიჭვრები კიდუ... აქაურები...“ სანთელი შენდგა. „მართლა, არ დამავიწყდეს...“ ქალს არც თავი აუწევია, აბეჭდეს მისთვის, ის კი მაინც ფეხმოუცვლელად იდგა, დამფრთხალი, სასოწარკვეთილი, უტიფარი თვალებით დასცქეროდა. თითქოს ქალი აკაევებდა და ამას თვითონაც მიხვედრილიყო. უნებართვოდ ფეხი ველარ მოეცვალა. მაგრამ მერე ქალმაც გაუშვა, საკუთარი ნებით, საკუთარი სურვილით მისცა წასვლის უფლება.

„გეტყობა, ახლა ძალიან მოუცვლელი უნდა იყო, არა?“

„რალა დაგიმალო და, ეგრეა, ჩერ ჩემი საწვალუბელი რამდენი მაქვს და თან ეს ნაბიჭვრები ხომ...“ უკვე ქალსაც მისთვის მიეპყრო მზერა, ხედავდა, როგორ შეავლო ბრაუნმა თვალი უკანა კედელში დატანებულ ფანჯარას. მერე როგორ შეავლო კარს მიაცქერდა, ბოლოს კი ქალს, ქალის სერიოზულ, არაფრე ჩაკეტილ კარს მიაცქერდა. მთელი ცოდნის გამომხატველ სახეს, კიდევ რისა თუ, პირიქით, ყველაფრის, მთელი ცოდნის გამომხატველ სახეს, კიდევ უფრო დაიდაბლა ხმა. „შე აქ მტრები მყავს ბევრს არ უნდა, ჩემი კუთვნილი რომ მივიღო, ამიტომაც ვაპირებ...“ ქალი თითქოს ისევ იჭერდა, იჭერდა და თანაც, ეტყობა, გამოცდის მიზნით, იმ უკანასკნელი ტყუილისკენაც უბიძგებდა, რომელსაც მისი სიამაყის საცოდავი მონარჩენებიც კი უჩანყდებოდნენ; მოკით ან საბელით კი არ იჭერდა და აკაევებდა, რალაც სხვა ხერხი გამოენახა, რაც იმის ტყუილს უბრალოდ ხმელი ფოთლებივით თუ ნაგავივით გაატანდა კარს, თუმცა ქალს კრინტიც არ დაუძრავს, თვალმოუშორებლად შესცქეროდა და ხედავდა, როგორ მიუახლოვდა ფეხაკრეფით ფანჯარას, უხმაუროდ როგორ გამოიღო მერე გამოხედა, შეიძლება ფიქრობდა უკვე სამშვიდობოს ვარო, მანამდე გადავბტები ფანჯრიდან, კიდევ ქალი ჩემს დაქერას მოასწრებსო, ან იქნებ ესეც მონარჩენები იყო, ოღონდ, ცოტა ხნის წინანდელი სიამაყისა კი არა, სირცხვილისა, ასეა თუ ისე, ქალს ახლა ყბედობისა და სიცრუის ნიღაბჩამოსხნილი შესცქეროდა, ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა: „გარეთ, ქობის წინ კაცი მელიოდება, შე მიდარაჯებს“. მერე წავიდა, ფანჯრიდან გაიპარა, უხმაუროდ, ერთი ბიძგივით, ერთი მოძრაობით, მიეფარა თვალს, გრძელი გველივით, თავი გარეთ დაიგულა თუ არა, მაშინვე გაიქცა, ერთადერთი სუსტი ჩქამიდა მოესმა ლინას, თვითონაც მაშინლა შეიჩნა, ერთადერთხელ, ღრმად ამოიოხრა.

„მოსულა ჩემი ადგომის დროო“, თქვა ჩამამალლა.

ჩკინიგზის მიწაყრილთან რომ გამოდის ტყიდან, ბრაუნს გული უკვე ამოვარდნაზე აქვს, მართალია, ოც წუთში თითქმის ორი მილიც გამოიარა და არც გზა აურჩევია იოლი, მაგრამ დაღლილობის გამო მაინც არ ქოშინებს ასე, უფრო დევნილი ხადირის გააფთრებით ქშინავს ავისმომასწავებლად; დგას, ხან აღმა ახედავს ცარიელ ლიანდაგს, ხან დაღმა და სახეც სწორედ იქვე, დევნილ ხადირს მიუგავს, ნებისმიერი შემწის უარყოფელს, თავას სიმარტოვეს ჩაბლაქვებულს, მხოლოდ საკუთარი კუნთების რწმენას მინდობილსა და სულის მოსაბრუნებლად შეჩერებულს, ცოცხალი, სულიერი მტერი, ის მიწაც სძულს, რაზე-თ რომ სძულს ყოველი ზე და ბალანის ყოველი ღერი, ის მიწაც სძულს.



ლომელზეც ისევე და თავად პაერიც ურომლისოდაც ვერათრით ჩაიწყნარებს სუნიქვას.

სადაც კარაუდობდა, იქიდან რამდენიმე ასეული იარაღის მოპოვებით გამოსულა რკინიგზასთან. აღმართის ნიღბში ჩრდილოეთისაკენ, მიმავალი სატვირთო მატარებლები სვლას ახელებენ ნოღმე, ძლივძლივ მოსვლილებით მილოლაფეს. მონდომებულს კაცო ლამის ფუქითაც გადაუწყობდა, როდესაც უფრო წინ ლიანდაგის ტყუბა, კამათა ხოლო თითქოს პაერატლით ვადაუქრიათო.

ხეებს მოთარეული, ცოტა ხანს კიდევ იცდის ტყისპირას, რკინიგზის მიწაყრილიდან უშეუდოდ, გამაღებით რაღაცის მოახგარშე კაცსა ჰვავს, თითქოს გონებაში უკვე წაგებულს თამაშის უკანასკნელ, სასოწარკვეთილ სვლას დაეძებს. ურთი პირობა, რაღაცას აყურადებს, მეორე ისევე ტყისკენ იბრუნებს პირს და გარბის. ტყე-ტყე, ლიანდაგის გასწვრივ, ეტეობა, იცის, საითაც უჭირავს გეზი, მალე ბილიკს მოუყოლბს და ბილიკსაც სიბილით მიუყვება. კიდრე იოღოს პატარა ამოხე აო გავა, სადაც ხანგური ქოხი დგას, უკვე შეუხელებია საბიჭი, ქოხის კარს დიხად უბრლოვდება, ბარმაღზე ხანგი დედაბერი ზის, ჩიბუხს ამოლებს, თავი თეთრი ხილბანდით წაუყრავს, აღარ მიბბის, მაგრამ ბრაუნი ჯერაც ჩქარ-ჩქარა, მთიმე-მთიმედ სუხთქავს, სახამ იმას ამოიღებდეს ედილობს ქოშინს მოუბიოს.

„დიდვდას ვარლაქათ“, ეუბნება ქალს „შინ არავინ არის?“

ქალი ჩიბუხს პირიდან აღებს, „მე ვარ, შენ ვინა გნებავს?“

„ბარათი მაქვს ქალაქში წასაღები, საჩქაროდ“, ამბობს და თან სუხთქვის ჩაწყნარებას ედილობს „ფუროს გადაგინდით, პა, არავინაა წამლები?“

„კარე აუ გუჩქარება, ჯობია თითონვე შეიწყუნო თავი“.

„გეუბნები, გადაგინდით-მეთქი!“ ამბობს ბრაუნი, მოთოკილი ბრაზით ლაპარაკობს, უნდა სუხთქვაც დაიწყნაროს და თან არც ხმას აუწიოს, „თუ დროზე იჩამს, დოღარის მივცემ არ მითხრა აბლა, დოღარის მუშტარი არავინა გვყავსო, ბიჭები არ არიან საბლში?“

ქალი ისევე ჩიბუხს ამოლებს, თან ბრაუნს ათვალეფრებს, ბებერი, იდუმალი, ეუბანებტი სახე ლამის დვთაებრავი პირუთვნელობით მიუტყურია მისთვის, ოღონდ - არა კეთილად, არა თანაგრძნობით, „მაშ, დოღარით, ამბობ?“

ბრაუნი რაღაც ენითაუწერელ მოძრაობას აკეთებს ხელით, ერთდროულად სიჩქარის, შეკავებული რიბავისა და სასოწარკვეთილების გამოხატვებს, უკვე მხადაა ქალს ზურგი შეაქციოს და გამობრუნდეს, მაგრამ ქალი ბელახლა უწყებს ლაპარაკს, - ჩემი და ორი ბაღლის მეტი არავინაა, ბაღლები კიდევ შენი საქმისთვის ძალიან პატარები არიან“

ბრაუნი ისევე ჩერდება „როგორ, პატარები? დავიჯერო შერიფს, ბარათს ვერ...“

„შერიფსო? არა გეხაცვალე, მისამართი შეგეშალა, ჩემი ბიჭები შერიფებთან არ დაიარებიან, ჩემ კაცსაც ეგონა, აბლოს ვიცნობ შერიფს, წავალ, ვესტუმრებიო, და მას მეორე სტუმრობს, ჯერაც არ დაბრუნებულა, წადი, შეილოსან, სადმე სხვაგან ეძებე შენი ბარათის წამლები“.

ბრაუნი უკვე გამოტრიალებულა და წამოსულა, ჯერ არ გარბის, ჯერ აჩრადაც არ მოსვლია ბელახლა აუჩქაროს ხაბიჯს; ცოტა ხანს საერთოდ არც ფიქრობს არაფერს, გააფთრებაცა და უძღურებაც ლამის აღფრთოვანების ზღვარს მისდგომია, თითქოს უნებლიე, მაგრამ წესად ქვეულ იმედის გაცრუებათა მარადიულ და გარდაუვალ აუცილებლობაზე ფიქრს გაუჩინებია ასე.



თითქოს წერილმანი ადამიანური ოცნებებისა და სურვილების გადამშლელი და უარყოფელი იმედისგაცრუების უსასრულოება მასაც აღაშაფრთხვებდა. ამ ოცნებებსა და სურვილებზე მალა აყენებს. ამიტომ, ვიდრე გააგონებდეს, ვიდრე ისევ მოაბრუნებდეს უკან, ზანგ დედაბერსაც ორჯერ უხმდება დაბრუნება. ქალი სიტყვასაც არ ამბობს და არც იხმრევა: უბრალოდ, შეეშინება. „ერ-თია, ის წაიღებსო“. ეუბნება მერე ისევ ჭოხთან მიბრუნებულ იმედებს.

პარმალთან მართლაც დგას აშკარად ცით მოვლენილი ზანგი, ვერ გაიგებს, ზრდასრული ყუყუჩია თუ აულაყუდა მოზარდი. იმასაც შავი, უძრავი, იღუ-მალი საბე ადევს. ისა და ბრაუნი პარმალთან დგანან და ერთმანეთს შესცქე-რიან. უფრო სწორად, ბრაუნი შესცქერის ზანგს დაჟინებით. ვერც იტყვის. ზანგიც ხედავს თუ ვერა. ესეც კანონზომიერად ეჩვენება, მეტის ღირსი არცა ვარო, ფიჭრობს, უკანასკნელ იმედად და ნუგეშად ეს პირუტყვი უნდა მო-მელენოდა მაინცდამაინცო. ეს უბედური ქალაქში ვინმეს მოძებნას კი არა. ქალაქამდე გზის გაგნებასაც ვერ მოახერხებსო. მერე ერთხელაც უხმოდ, უსიტყვოდ, არაფრისმთქმელად იქნევს ხელს. „ბარათი მინდა ქალქში წაი-ლო და პასუხი მომიტანო“. ეუბნება ზანგს და ჭიბუზე ითათუნებს ხელს. „მოახერხებ?“ პასუხს არც უსმენს. პერახგის ჭიბიდან ქუჩყიან ქალაღდის ნაგლექსა და ფანქრის დაქბილულ ნალევს იღებს, პარმალზე გადაემბობა და წერს, ჩქარობს, ცოდვილობს ზანგი დედაბრის თვალწინ:

მისტერ ვატ კენედი ძვირფახო ბატონო ქთხოვ მიეცი მამტანს ჩემი კუთვნილი ჩილდოს ფული მკვლელი ქრისმანისთვის გაბვიე ქახალთში მიეცი მამტანს მარად თქვენი

ხელს არ აწერს. მერე ერთხელაც აიტაცებს ქალაღდს, დააკერდება, ზანგი დედაბერი უხმოდ ადევნებს თვალს. ბრაუნი ხარბად დაშტერებია ქუჩყიან. უწყინარ ქალაღდს. ნაცოდვილარ ნაჩქარევ ნაჭლაბნს, რომელშიაც მთელი თავისი სულის, მთელი სიცოცხლის მომწყვდევა მოახერხა წაძით. ქალაღდს ისევ პარმალზე ატყებებს და აწერს — ხელმოწერილი არ არი მარა რაუჭირს რცი ვინც — მერე ბარათს კეცავს. ზანგს უწვდის. „შერიტს მიუტანე, სხვის არავის მისცე, იპოვი?“

„თუ მანამდე შერიფმა არ იპოვა, კი“, ამბობს დედაბერი. „მიეცი, ნუ გეშინია იპოვის, თუ იმას მიწამ არ უყო პირი, დოლარი გამოართვი და დრო-ზე გაადგი ფენი, ბიჭო“.

ზანგი უკვე დაძრულა ადგილიდან. ამ სიტყვების გაგონებაზე კვლავ ჩერ-დება. დგას, ხმას არ იღებს. არაფერს და არავის უცქერს. დედაბერი პარ-მალზე ჩამომჭდარა, ჩიბუბს ეწევა და ზემოდან დასცქერის თეთრკანიანი კა-ცის უძლურ, ცხოველურ სახეს; ლამაზს, გულმისასვლელს, ოღონდ ახლა ფიზიკურ დაღლილობაზე უარესი დაღლილობისგან კუთბეში მიმწყვდეული მელის ნიღბად გადაქცეულს. „მეგონა, გეჩქარებოდა“, ამბობს ქალი.

„კო“, პასუხობს ბრაუნი, ჭიბიდან ფულს იღებს. „აჰა, გამოართვი და ერთ საათში თუ მომიტან პასუხს, ნუთ ამდენს მოგცემ“.

„გასწი, ზანგო“, ამბობს დედაბერი. „ამდენი დრო არ არის, პასუხი აქ მოგიტანოს?“

ბრაუნი კიდევ ცოტა ხანს უსიტყვოდ შესცქერის ქალს. აღარც წელან-ღელი სიფრთხილე შერჩენია და აღარც სირცხვილი. „არა, აქ არა, აღმართის თავში მომიტანოს, სანამ არ დაგიძახო, ლიანდაგს გამოკევი, ბიჭო, იცოდე, თვალს არ მოგაშორებ არ დაგავიწყდეს, გაიგე?“



„დარდი ნუ გაქვს“. ამბობს ქალი. „თუ ყველაფერი კარგად იქნა, მივა. მით-  
ტანს და პასუხსაც წამოიღებს. გასწი-მეთქი. ბიჭო“.

ზანგიც მიდის. მაგრამ ნახევარი მილის გავლისაღ ვერ ასწრებს. და ისევ  
განერება უწევს. ამჯერად სხვა თეთრკანიანი კაცი აჩერებს, რომელი მოჰყავს  
აღვირით.



„სად ნახე?“ ეკითხება ბაირონი. „სად?“

ერქვენული  
გინგლიქთქა

„სადა და ჩვენს საბლთან. ეს წუთია“. თეთრკანიანი გზას აგრძელებს.  
ჯორიც ისევ აღვირით მიჰყავს. ზანგი თვალს აყოლებს. ბარათი არ უჩვენებია.  
რადგან არც თეთრკანიანს უთხოვია. მაჩვენეო. იქნებ იმიტომ არა  
სთხოვა. არც იცოდა ბარათის არსებობა: ეტყობა. ზანგი ამაზე იტებს თავს.  
ღრმად ჩაფიქრებულა და საბეზედაც ატყვია დაძაბული. იდუმალი ფიქრის  
კვალი. მერე საბე უცებ უნათდება. ყვირის. თეთრკანიანი ჩერდება. მისკენ  
ტრიალდება. „იქ ვეღარ ნახე“. ეძახის ზანგი. „მითხრა. აღმართის თავში  
დაგელოდებიო“.

„დიდი მადლობა“. პასუხობს თეთრკანიანი. ზანგი ისევ აგრძელებს გზას.

ბრაუნი რკინიგზასთან დაბრუნდა. აღარ მირბოდა. მიდიოდა და თავის-  
თვის ლაპარაკობდა: „ვერ მოახერხებს. ვერ მოაბამს თავს. ვერც იპოვის.  
ვერც გამოართმევს და ვერც მოიტანსო“. ფიქრშიც არ აბსენებდა და  
არ წარმოთქვამდა სანულებს. ყველა და ყველაფერი ახლა თითქოს ჭადრა-  
კის ფიგურებად ესახებოდა — ზანგიც, შერაფიც, ფულიც, ყველაფერი —  
და ამ ფიგურებს, მოულოდნელად და უმიზეზოდ, მხოლოდ საკუთარი ნება-  
სურვილის კარნახით უცვლიდა ადგილს ვილაც უხილავი და უცნობი მოწი-  
ნააღმდეგე. თან მის გასაკეთებელ სვლებსაც წინდაწინ გამოიცნობდა ხოლ-  
მე და ახალი-ახალი. თვითნებურ წესებსაც ადგენდა, ოღონდ თავისთვის კი  
არა. მხოლოდ მისთვის, მხოლოდ ბრაუნისათვის. როცა ლამის ბოლომდე აათა-  
ვა აღმართი. რკინიგზის მიწაყრილიდან გადაუბვია და მეჩხერ ტყეში შევიდა.  
უკვე სასოწარკვეთილების ზღვარზე იყო მისული. აღარ ჩქარობდა, მხოლოდ  
ისღა ახსოვდა. ლიანდაგს ძალიან არ უნდა დავშორდეო. თითქოს ამქვეყნად  
თუ არა. ყოველ შემთხვევაში, მის ცხოვრებაში მაინც, სხვას ყველაფერს  
დაკარგეოდა აზრი. ადგილი ამოირჩია და ჩამუხლა: რკინიგზიდან ვერავინ  
შეამჩნევდა, თვითონ კი აქედან ყველაფერს კარგად ხედავდა.

„ხომ კიცო. მაინც ვერ მოაბამს თავსო“. ფიქრობს. „არც ველოდები.  
რომც დავინახო, როგორ ბრუნდება ფულიანად, თვალებს არ დავუჭერებ. მე-  
ცოდინება. ჩემთვის არ მოაქვს-მეთქი. შეცდომაა-მეთქი. ვეტიყვი კიდევ  
წადი შვილოსან. შენ ხომ მე არ მეძებ. ლუკას ბარჩს არ ეძებ. არა, ბატო-  
ნო, ლუკას ბარჩს ეგ ფული არ ეკუთვნის, არ იმსახურებს ჭილდოს. სამაგი-  
ნო ნაშდვილად არაფერი გაუკეთებია-მეთქი“ ჩაცუცქტულა. არც ინძრევა, და-  
ქანცული საბე დაუმალია და უცებ სიცილს იწუებს. იცინის. იცინის. ვერ  
ჩერდება. „დიან, ჩემო ბატონო. ლუკას ბარჩს სამართლიანობის მეტი არა-  
ფერი სდომებია. მარტო სამართალს დაეძებდა. ვითომ მე არ მეტყვას იმ  
ნაბიჯვრებისათვის მკვლელის ვინაობა. ვითომ მე არ მესწავლებიხოს, სად უნ-  
და ეძებნათ. იმათ კიდევ თითი თითზე არ დააკარეს. ყურიც არ შეიბერტ-  
ყეს: აბა რა. მაშინ ხომ ლუკას ბარჩისთვის უნდა მიეცათ ფული. ორ, მე მა-  
გათი სამართალი.“ მერე უკვე ჩამამალა ამბობს. ჩანლექილი. ცრემლგარეუ-



ლი ხმით: „სამართალი, ჩემი უფლებები, სხვა არაფერი, ის ნაბიჯები კიდევ, თავიანთი თუნუქის ვარსკვლავებით... არა, ფიციც რომ დადეს საჯაროდ — ამერიკის მოქალაქეებზე ზრუნვაში ამოგვხდება სულიო!“ ხმაღას-  
 ლეჩილი ლაპარაკობს, ლამის ტირის ბრაზისგან, სასოწარკვეთილებიდან და და-  
 ლილობისგან: „ნაღდად ბოლშევიკად გაქცევენ კაცს, ძალღიშვილი ვყოფილი“.  
 ამიტომაც, ვიდრე ბაირონი თავს არ წაადგება და — ფეხზე ატყეპს მის  
 ეტყვის, ჩამიჩუმიც არ ესმის არსაიდან.

ყველაფერი უცებ მთავრდება. ასე ვარაუდობდა ბაირონიც, ვარაუდობდა, მაგრამ ყოყმანი მაინც არ დაუწყია. სანამ დაინახავდა, სანამ მობუზულსა და გასაცოდავებულ ბრაუნს დაადგებოდა თავზე, უხმაუროდ მიიპარებოდა ტყე-  
 ტყე. „შენ ჩემზე ზორბა ხარო“, ფიქრობდა. „მაგრამ არ დავეძებ, ჩემთან შე-  
 დარებით სხვა ბევრი უპირატესობაც გაგაჩნია, ოღონდ მაგასაც არა უშავს...  
 შენ ცბრა თვეში ორჯერ დაუნახებლად მოიშორე ის, რაც მე ოცდათხუთ-  
 მეთი წელიწადია არ მღირსებია, ახლა ვიცი, ძვალსა და რბილსაც გამიერთი-  
 ანებ, მაგრამ არა უშავს, მაგასაც არ დავეძებო“.

ყველაფერი უცებ მთავრდება. ბაირონის ხმით უეცრად გამოფხიზლებული ბრაუნი ახერხებს საკუთარი გაოცებითაც იხეიროს. მართლაც რა დააჯერებ-  
 ბდა, რა აფიქრებინებდა, თავის მტერს, გინდაც უფრო სუსტს, გინდაც უფ-  
 რო უღონოს, კაცი მჯდომარეს თუ დაეცემოდა თავს, თანაც ზურგიდან თუ მიეპარებოდა და წამოდგომას დააცდიდა. თვითონ, რა თქმა უნდა, მსგავსიც არაფერი მოუვიდოდა აზრად. ამიტომაც ბაირონის მხრიდან ასეთი ბედნიერი შემთხვევის უფლებებელყოფა შეურაცხყოფაზე მეტად აცოფებს; ეს კირიანიც მე მიგდებს მასხრადო — ლამის გულზე გასკდეს ბრაზისგან და კიდევ უფრო მეტი გაშმაგებითა და გაცილებით მეტი სისასტიკით იბრძვის, ვიდრე მაშინ იბრძოლებდა. ბაირონი გაუფრთხილებლად რომ დატომოდა ზურგზე: ნაშიმ-  
 შილარი, კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის ბრმა და უსასოო სიმამაციო გა-  
 დადის შეტევაზე.

ორიოდე წუთში მოთავდა საქმე. ბაირონი უკვე წყნარად იწვა მიღეწ-  
 მოღეწილ და გადათელილ ბუჩქნარში, სახეზე ნელ-ნელა სდიოდა სისხლი და ესმოდა, თანდათანობით როგორ სუსტდებოდა, თანდათანობით როგორ გადადიოდა სიჩუმეში ლაწალუწის ხმა. მერე სრულიად მარტო რჩება. მა-  
 ინცდამაინც არაფერი სტკივა, არაფერი აწუხებს, ყველაფერს კი ისა სჯობია, აღარსად რომ აღარ მიეჩქარება, ცეცხლი აღარ უკიდია, აღარც გასაკეთებელი დარჩენია და აღარც წასასვლელი, წევს თავისთვის, გასისხლიანებული, და-  
 მშვიდებული, და იცის — კიდევ კოტაც რომ შეიცადოს, კოტაც რომ და-  
 იგვიანოს სამყაროსა და დროში ხელაბლა დაბრუნება, არც ამით დაშავდება რამე.

აღარ აღარდებს, საით გაქცეულა ბრაუნი, ბრაუნზე ფხქრსაც გასვლია ყავლი, მისი გონება კვლავ უმოძრაო ფიგურებს დაუპყრია, ბავშვობის დრო-  
 ინდელი დამტვრეული და მობეზრებული სათამაშოებივით მტვრით რომ იფა-  
 რებიან მივიწყებულ საუქნარში — ბრაუნი, ლინა გროუვი, პაითაუერა, ბაი-  
 რონ ბანჩი — ყველა პაწაწინა, უსულო საგანს დამსგავსებია, რომლებითაც ბავშვობაში თავს იტყევდა ხოლმე, მერე კი დაამტვრია და დავიწყებას მის-  
 ცა, ასე წევს და მოულოდნელად, ნაბევარი მილის მოშორებით, რკინიგზის გადასასვლელიდან, მატარებლის სასტვენის ხმა ესმის.

ეს ხმა აფხიზლებს; ეს სამყაროსა და დროის ხმაა, ნელ-ნელა, გაუბედა-







წრო საკუთარ თავს და ახლს კობთან უცდის, ელოდება. უიმისოდ არ შე-  
დის შიგ. შერე გავჩერდები იქ და... ისევ ხელმეორედ ცდილობს თავიდან.  
შერე იქ გავჩერდები და... მაგრამ მეტს ვეღარ აგრძელებს. უკვე გზას გა-  
მისულა, ქალაქიდან შინისკენ მიმავალი ფორანი უანლოვდება. ახვ ექსი-  
სათია. მაინც არ იტყვის იბტიბარს. თავისას აგრძელებს. აბუქიქეუქეუქე-  
ქედე, მაგრამ არა უშავს: კარს რომ გავადებ, შევალ და იქ გავჩერდები  
რე მე... შერე შევხედავ, შევხედავ, პო, შევხედავ ნმა ერთხელაც იმეოროებს  
„...ორომტრიალი-მეთქი“.

„რაა?“ ფიქრიდან ერკვევა ბაირონიც. ფორანი გასწორებია და შერე-  
რებულა. შინი ქორიკ დაბდვარა. მეფორნე ისევ უწყებს ლაპარაკს. მოლ-  
ლილი, უკმაყოფილო ნმა აქვს:

„ჩემი ბედი რა ვთქვი! მაინცდამაინც ჩემი წამოსვლისას, არადა, ისე-  
დაც უკვე მაგვიანდებოდა“

„ორომტრიალიო?“ ამბობს ბაირონი, „რა ორომტრიალი?“

მეფორნე ყურადღებით მისჩერებია. „კაცმა რომ შეგხედოთ, თქვენ თვი-  
თონაც კი ომგადანდილსა ჰგავხართ“.

„წაეიქეცი“, ამბობს ბაირონი, „რაო მაინც, რა მოხდა ქალაქში?“

„ვიფიქრე, იქნება არ გაუგია-მეთქი, აი, ამ ერთი საათის წინანდელი,  
ის ზანგი, ქრისტმასი გაასალეს“.

ორშაბათ საღამოს, ვახშმად დამსხდარ ჯეფერსონებს იმდენად ის კი  
არ აოცებდათ, კრასთმასმა გაქცევა რანაირად მოახერხაო, ცდილობდნენ და  
ვერაფრით აეძინათ. უკვე გაქცეულსა და გათავისუფლებულს, რად აერჩია  
ასეთი უცნაური თავშესაფარი — თვითონაც ხომ მშვენივრად უნდა სკოდ-  
ნოდა, აუცილებლად რომ მოაგნებდნენ. აუცილებლად იპოვნიდნენ იქ და  
მართლაც, როცა ბოლოს და ბოლოს ასედაც მოხდა, რატომ არც დაბე-  
ბებოდა და არც წინააღმდეგობა გაეწია მღვეართათვის. რაც მეტს ფიქრობ-  
დნენ, მით უფრო უმტკიცდებოდათ რწმენა, ეტყობა, წინდაწინვე მოიფიქრა,  
წინდაწინვე აწონ-დაწონა, რახაირად მოეკვლევიანებინა მღვერებისთვის თავიო.

ათასწაირად ასაბუთებდნენ, ათასწაირ კუდს აბამდნენ, რალა მაინცდა-  
მაინც პაითაუერის საბლისკენ გაიქცა ბოლოსო. „ფერი ფერსაო“, ამბობდ-  
ნენ უფრო ქარაფშულტა, უფრო არსენი ჯეფერსონელები და მღვდლადყოფი-  
ლის შესაჩებ შეთბზულ ძველისძველ ზღაპრებსაც იხსენებდნენ. ზოგს ყვე-  
ლიფერი წმინდა წყლის შემთხვევისობად მიაჩნდა, სხვები კი ამტკიცებდნენ,  
პირიქით, დიდი გამჭრიახობა გამოამგლავხაო, ვილაცას რომ არ მოეკოა თვა-  
ლი, როგორ გადაირბინა უკანა ეზო და სამზარეულოში როგორ შევარდა, კა-  
ციშვილს არ მოუფიქოდა აზრად მღვდელთან იმისი ძებნაო.

აი, გვეინ სტივენსს კი სრულიად განსხვავებული თეორია ჰქონდა. სტი-  
ვენსი ოლქის პროკურორია, ჰარვარდის კურსდამთავრებული, ფი ბეტა კაპას  
წევრი: მაღალ-მაღალი, მოღვენთილი კაცია. ერთთავად სიმინდისტარიან ჩი-  
ბუნს აბოლებს. ჰალარა, აფოფრილი ქოჩორი აქვს და მუდამდღე ფართხუ-  
ნა, გაუუთოვებელი, მუქი რუხი ფერის ტანისამოსით დაიარება, იმათი გვარ-  
ერთ-ერთი უძველესია ჯეფერსონში. სტივენსის წინაპრებს თავის დროზე  
მონებიც ბეულიათ, ბაბუაშისი კი პირადად იცნობდა (და, სხვებისა არ იყოს,  
ვირივითაც სსულდა, ის კი არა, საჯაროდაც მიულოცა პოლკოვნიკ სარტორისს



იმათი დაბოცვა) მის ბარდენის ბაბუასა და ძმას, სოფლებთანაც, ამო-  
მრჩევლებთანაც და მსაჯულებთანაც იოლად პოულობს საერთო ენას: ხშირად,  
ზაფხულობით, მთელი საღამო ჩაცუცქული ზის ხოლმე გლეხებს შორის სოფ-  
ლის დეჟნის პარმალზე და იმათსავე კილოზე საათობით ~~ესაუბრები~~ აქეთურ-  
იქითურზე.

ერქვეული

ორშაბათ საღამოს, სამხრეთისკენ მიმავალ ცხრაბ ~~სამხრეთისკენ~~ მატარებელს  
მეზობელი შტატის უნივერსიტეტის პროფესორიც ჩამოჰყვა. სტივენსის ჰარ-  
ვარდელი თანაყურსელი, უნდოდა შეებულების რამდენიმე დღე მეგობარ-  
თან გაეტარებინა ჯეფერსონში. მატარებლიდან გადმოვიდა თუ არა, მაშინვე  
დაინახა სტივენსი თავიდან ეჭვიც არ შეჰპარვია, ჩემს დასახვედრად გამო-  
სულაო. თუმცა მერე შეამჩნია. მისი მეგობარი ორ უცნაურ მოხუცს აცო-  
ლებდა და სხვა თითქოს აღარაფერი აღარც ახსოვდა. თვითონაც უფრო ყუ-  
რადღებით დააკვირდა მოხუცებს. პატარა, წვირიან, წვერცანცარა, რალაცანი-  
რად არაბუნებრივად გარინდულ ბერიკაცს და ჯმუხ, სახეჩაცომებულ ქალს,  
ეტყობა, ბერიკაცის ცოლს. რომლისაც ქუდზე გასვრილი ბუმბული უქანქა-  
რებდა და მოდიდან გასულ, მოფლამულ, სამეფო მეწამული ფერის გაბუნე-  
ბულ კაბაში გამოწყობილიყო. ცოტა ხანს შესცქეროდათ და ივდაედა. რა-  
ღაცას რომ უხსნიდა, რალაცას ჩასჩიჩინებდა სტივენსი ქალს. მერე კი, რო-  
გორც პატარა ბავშვს, ლამის ძალისძალათი ჩასჩარა ხელში მატარებლის ორი  
ბილეთი. ბოლოს, შეუმჩნეველად თვითონაც მიუახლოვდა მეგობარს და რო-  
ცა სადგურის მორიგეს მოხუცი ცოლ-ქმარი უკვე ტამბურში აკყავდა, სტი-  
ვენსის უკანასკნელ სიტყვებსაც მოჰკრა ყური: „დიახ, დიახ“, ამშვიდებდა და  
ანუგეშებდა ქალს. „ხვალ დილითვე მატარებელში იქნება. მე თვითონ მივ-  
ზედავ ამ საქმეს, თქვენ მხოლოდ დაკრძალვის, სასაფლაოს ამბავი მოაგვა-  
რეთ, როგორც კი შინ დაბრუნდებით, ბაბუა დააწვინეთ, დაწარჩენზე მე ვიზ-  
რუნებ, პირობას გაძლევთ, ბიჭი ხვალ დილით მატარებელში იქნებაო“.

მატარებელი დაიძრა. სტივენსიც შემოტრიალდა და პროფესორი დაინახა.  
ამბის მოყოლა მანქანაშივე დაიწყო და უკვე შინ, ვერანდაზელა დაასრულა.  
საბოლოო დასვენაც მაშინ გამოიტანა. „მე მგონი, ვხედები, რატომაც მოხ-  
და ასე, რატომაც შეათარა თავი პაითაფერთან, ეტყობა, ბუბიის გამო, სახამ  
სასამართლოში ხელახლა წამოიყვანდნენ. სწორედ ბუბია იყო, ვისაც უკანას-  
კნელად ელაპარაკა საკანში: ბუბიისა და ბაბუის გამო — იმ პატარა, შეშლილი  
ბერიკაცისა. ლონჩის წესით რომ უპირებდა გასამართლებას და მოთსთაუ-  
ნიდანაც მხოლოდ ამ მიზნით ჩამოსულიყო. არა მგონია, ქალს მართლა რამის  
იმედი ქონოდა, უბრალოდ, უნდოდა ქრისტმასი „წესიერად“ მომკვდარიყო.  
„წესიერად“ — სწორედ ასე თქვა იგი. წესითა და რიგით ჩამოეზრჩი-  
ძალას, პრინციპს, თლონდ კი პრმა შემთხვევას არ დაეწვა. არ აუკუწა, მიწაზე  
არ ეთრია მკვდარი, ჩამოსვლით კი აღბათ ქმრის სათვალ-თვალოდ ჩამოვიდა,  
რათა სწორედ ის არ ქაეულიყო ხალხის მოთმინების ფიალის ამავსებელ ბო-  
ლო წვეთად, ამიტომაც, არ იმორებადა გვერდიდან, ამიტომ არ ტოვებდა უმეტ-  
ვალყუროდ რა თქმა უნდა, წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, მართლა ბუბია რომ  
იყო ქრისტმასისა, უბრალოდ, იმედი გადასწურვოდა, თან ისიც არ იცოდა, რა  
გზით, რახარად შეიძლებოდა ხელოვლა გააღვიძებოდა იმედის უნარი. მართ-  
ლაც, ოცდაათი წლის უმოქმედობის მერე, ეტყობა, ოცდაათი საათი ვერ  
გყოფოდა იმედის მანქანის თავიდან ასამოქმედებლად და ასამოძრაველად.

თლონდ მას მერე, რაც ქმრის სივივისა და რწმენის ტალოამ ისიც აიტა-



ცა და ისიც დასძრა ადგილიდან, ვიდრე რამის გააზრებასა და აწონ-დაწონას მოასწრებდა. თავისდა უნებურად თვითონაც საქმეში ჩათრეული აღმოჩნდა. ასე ამოყვეს თავი ჭეფერსონში. კვირას, უთენია ჩამოვიდნენ. დილით, საათზე, კროსთმასის ნახვა თავიდან არც უცდია. ალბათ, ქმრის წიში მყოფი გამუდმებით ქმარს უთვალთვალებდა. თუმცა სხვასაც ვფიქრობ: მ. შ. მკობნი, მაშინ ჭერ იმედს არ გაეღვიძა. არც გაუღვიძია მანამდე. ვიდრე დღეს ვიხილოთ იმ ბავშვის დაბადება არ იხილა საკუთარი თვალით. თანაც ბიჭისა, ბავშვის დედას ადრე არ იცნობდა. მაშის ვინაობა საერთოდ არც იცოდა. საკუთარი შვილიშვილიც სწორედ იმ ბავშვის ხელა ახსოვდა და, რაღა გასაკვირია, ჩვილის პირველ წამოტირებასთანავე განვლილი ოცდაათი წელიწადი ერთიანად თუ წაიშალა მისთვის. უკვალოდ, ვითომც არც არსებულებოდა.

ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი. ძალიან ბევრი სინამდვილე დაატყდა უფეროდ თავს. რისი უარყოფაც მის ხელებსა და თვალებს აღარ შეეძლო. ძალიან ბევრი რამ უნდა ერწმუნა უსაბუთოდ და დაუმტკიცებლად. ხელითა თუ თვალთა შეუმოწმებლად; ბევრი რამ იყო გაუგებარი და აუბნელი, რაც დაუყოვნებლივ, ბრმად და დაუფიქრებლად უნდა ელიარებინათ ხელებსა და თვალებს. ოცდაათწლიანი სიმარტოვის შემდეგ, უცბო ხალხით გაქედდით, აყაყანებულ ოთახში მოხვედრილს ჰგავდა და ამიტომაც სასოწარკვეთილი დაეძებდა სალი აზრის შენარჩუნების თუნდაც რაიმე მცირე საბსარს. ნებისმიერ ლოგიკურ სამოკმედო გზას, რასაც მისი ძალღონე და უნარი გასწვდებოდა. ვიდრე ბავშვი დაიბადებოდა და, ცოტა ხნით, ასე ვთქვათ, ისევ მოახერხებდა საკუთარ თავთან განმარტოებას, მექანიკურ, მოსამართ თოჯინას ჰგავდა. ბაირონიც თითქოს ურიკით დაატარებდა კარდაკარ და ნიშანს რომ მისცემდა ხოლმე, ისიც მხოლოდ მაშინ იღებდა ხმას, როგორც, მაგალითად, წუბელ, პაითაუერთან სტუმრობისას.

ქალი კი ჭერაც ბნელში გზის გაგნებას ცდილობდა. გესმის ალბათ, რისი იქმაც მიხდა? ჯერაც რაღაც ისეთს დაეძებდა, რასაც ოცდაათწლიანი უმოქმედობით მოდუნებული გონება დაიჯერებდა. სინამდვილედ, ქეშმარიტებას აღიარებდა. და, მე მგონი, ეს რაღაც სწორედ იქ იპოვა, პაითაუერთთან; ისეთი კაცი აღმოაჩინა, ვისაც სათქმელსაც გულწრფელად გაანდობდა და ვინც მოუსმენდა კიდევ, ადვილი შესაძლებელია, გუშინდლაშდე არც არასოდეს, არავისთვის მოუყვლია თავისი ამბავი. ის კი არა, შეიძლება თვითონაც მხოლოდ გუშინ გაიზარა ყველაფერი მთელი საგრძე-სიგანით. გუშინ აღიქვა პაითაუერთან ერთად, ამიტომ მაინცდამაინც აღარ მიკვირს. ცოტა ხნით მხოლოდ ბავშვები კი არა, მათი მშობლებიც თუ აერია ერთმანეთში, არ მიკვირს, რადგან იმ ქობში განვლილი ოცდაათი წელიწადი უკვე აღარ არსებობდა—ლინას ბავშვი, იმ ბავშვის მამა, ვისი ვინაობაც კი არ იცოდა. საკუთარი დაკარგული შვილიშვილი და სამარადისოდ უცნობად დარჩენილი მამამისიც, თითქოს ყველა გაერთიანდა. პოდა, როცა ბოლოს და ბოლოს იმედმაც გაიღვიძა და მკვდარი წერტილიდან დაიძრა, იმანაც, მისი ყადის ნებისმიერი ადამიანის დარად, ლოცვის ნებაყოფლობითი მოხების, ლოცვის ნაფიცი ყმებისადმი ამაღლებული და უსაზღვრო რწმენით შეპყრობილმა — სწორედ მღვდელში, სწორედ პაითაუერთში დაიხაბა მხსნელი და გადამრჩენელი.

კროსთმასსაც ამას ეუბნებოდა, დილით, ციხეში, მას მერე, რაც ბერიკაცმა, როგორც იქნა, ხელსაყრელი დრო შეარჩია, გამოეპარა და თვითონაც მის კვალს გამოჰყვა. ბერიკაცს ოღონდ მიაგნო ქალაქში, შუა ქუჩაში იდგა



ახლაც და კვუიდან გადასული, ბმაჩანლოჩილი, ლინჩის სასამართლოს მქადა-  
გებელი, გაიძაბოდა ამდენ ბან იმიტომ ვწყემსუ და იმიტომ ველოლიავე  
ეშმაქს ნაშაქს, დღევანდელ დღეს რომ მოკ...  
შეიძლება ქმარი არც არაფერ შუაში იყო და ქობიდანაც პირდაპირ ციხეს  
მიამურა, პირდაპირ კრისტმასის სანახავად წავიდა, ასევე ქ...  
მუხდამ, ბერიკაცის ხალაპარაკვერ ხალხს უფრო ართ...  
ქმარს თავი მიანება და მაშინვე შერიფს მიადგა, სადილის მერე შერიფი აბა-  
ლი დაბრუნებული იყო შიხიდან, ცოტა ხანს ვერც მიჩნდა, რა უნდოდა, რას  
მოეყვანა ქალი, მთელი მისი ხამბობი ალბათ შეშლილის ბოდვად მოეჩვენა  
და თვითონ ეს სასაცილო, უაზრო, დარბაისლურ საგარეო კაბაში გამოპრან-  
ჭული და ციხის შიგნიდან გატეხვის კინით შეპყრობილი დედაბერიც გოჯად  
ჩათვალა, მაგრამ პატიმრის ნაწვის ნება მაინც დართო, ოღონდ თან თავისი  
თანამემწეც გააყოლა, და აი, საკანში ქალმა პაითაუერი ამსენა, უთბრა, თუ  
გიშეყლის, მხოლოდ ის გიშველის, მით უმეტეს, თვითონაც აპირებს შენს  
გადარჩენასო.

მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვეარაუდობ სინამდვილეში, კაციშვილი ვე-  
ღარ აღადგებს იქ მომხდარ ამბავს ისიც არა მგონია, ვითომ თვითონვე სცოდ-  
ნოდა, თვითონვე წინდაწინ მოეფიქრებინა, რას ეტყოდა პატიმარს, რადგან  
ყველაფერი მაშინ ითქვა და ჩაიწერა, როცა დედამისი გააჩინა, იმ უხსოვარ  
დროსვე დაიღუპა მახსოვრობაში სამუდამოდ და სამარადისოდ, თუმცა მა-  
შინდელი სიტყვები უკვე აღარც ახსოვდა, შეიძლება პატიმარიც ამიტომ ენ-  
დო, ამიტომ დაუჯერა უყოყმაოდ: საკირო სიტყვებს რომ არ დაეძებდა, თავს  
არ იწყებდა, ირწმუნებდნენ მის ხათქვამს, ეკვის თვალთ შეხედავდნენ თუ  
საერთოდ არ მიაქცევდნენ ყურადღებას, სასაცილოდ არ ეყოფოდათ, მართლა  
რომ არსებობდა სადღაც ვიღაც განდგომილი მღვდელი, ვინც საკუთარი  
სხეულით, საკუთარი არსებობითა თუ, რა ვიცი კიდევ სხვა რა გზითა და რა  
საშუალებით, საიმედოდ დაიცავდა და დარეზავდა არა მარტო პოლიციის  
ოფიცრებისგან თუ ბრბოსგან, არამედ სამარადისოდ გამოუსწორებელი და  
უსამველო წარსულისგანაც; ნებისმიერ დანაშაულთაგან, რომელთაც ჩამოე-  
ყალიბებინათ, გამოეწრთოთ და ბოლოს, გაქირვებაში ჩავარდნილი, ჩარაზულ  
საკანში მიეტოვებინათ, იმ საკანში, რომლის ოთხივე კუთხიდანაც მოანლო-  
ებული ქალათის უტყვი ჩრდილი უთვალთვალებდა.

ქოდა, იმანაც დაუჯერა, მიენდო, სწორედ ნდობამ შესძინა გამბედაობა  
ქი არა, კიდევ ერთი, უკანასკნელი საშუალების ცდის, ატანის, გაძღების,  
უღრტვინველად მოთმენის უხარი, მოედანზე შეგროვილი ხალხის ტალღა  
გაბრღვევინა და გააქცია, მაგრამ ამდენი სირბილით უკვე დაქანცული იყო,  
უსაყალიფო მღვეარი ედგა კვალში, სხივები კი არა — საკუთარი ცხოვრების  
გახვლილი წლები, საკუთარი, ჩადენილი თუ ჩაუდენელი დანაშაულებანი მოს-  
დევნენ, უებდაფენ მოპყვებოდნენ, იმის სუნთქვას, იმის გულის ძგერას აყო-  
ლებდნენ თავისას, გული კი ერთი იყო მხოლოდ, ქალისთვის უცნობი ოც-  
დაათი წელი კი არ გამოსდევნებოდა, არამედ ყველა იმ უწინდელ ოცდაათ-  
წლეულთა თანმიმდევრობაც, რამაც მის თეთრსა თუ შავ სისხლს, რომელიც  
გინდა იგულისხმე, საშვილიშვილო დამლა დაადო და საბოლოოდ შეიწირა  
კიდევ, მაგრამ, როცა ადგილს მოსწყდა და გაიქცა, ცოტა ხანს მაინც ალბათ  
რწმუნა მხარბენინებდა, ან, უფრო სწორად, იმედი, ოღონდ სისხლი არა და  
არ წყნარდებოდა, არ სურდა გადარჩენა, არც ერთმა და არც ქეორემ არ



დართეს სხეულს გადარჩენის ნება. შავმა სისხლმა ჯერ ზანგურ ქობთან მი-  
 რყვანა, თეთრმა კი საჩქაროდ გამოაგდო იქიდან; შავმა დამბაჩა შეამართინა,  
 თეთრმა — გასროლა არ დააცალა. თეთრმა სისხლმაც უჩვენა მღვდლის სის-  
 ლის გზაც. ბოლოჯერ, უკანასკნელად აჯანყებულმა ყველა სახეობისა და  
 ნებისმიერი საღი აზრის წინააღმდეგ, ქიმერასთან, დაბეჭდილ წმინდა წერილ-  
 ში ამოკითხულ რაღაც ბრმა რწმენასთან შესაგებებლად გაიტყუებულნი  
 უი არ შეპარება, ცოტა ხნით თეთრმა სისხლმაც უმტყუნა. შავ სისხლს აცალა  
 საბოლოოდ, სულ ერთი წამით აღზევებულიყო და შავმა სისხლმაც სწორედ  
 იმ კაცზე აღამართინა ხელი, ვინც იმედად და მშველელად ესახებოდა. სწორედ  
 შავმა სისხლმა გაიტაცა ადამიანური სულგრძელობის, ადამიანური თანადგო-  
 მის მიჯნის მიღმა და ისიც მიჰყვა, თავდავიწყებულსა და აღფრთოვანებულს,  
 შავმა სისხლმა გამოაგნებინა გზა იმ ბნელი, შავი ჯუნგლიდან, სადაც სიცოცხლე  
 გულის გაჩერებამდე წყდება და სადაც სიკვდილი სურვილისა და ნატურის  
 აღსრულებას ნიშნავს. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ შავმა სისხლმაც კვლავ  
 უღალატა, როგორც მუდამ, როგორც მთელი ცხოვრება დალატობდა ხოლმე  
 გარდატეხის ყამს. მღვდელი არ მოუკლავს, გაუჩერებლივ, სირბილშივე ჩას-  
 ხო თავში დამბაჩის ტარი გამეტებით, სამზარეულოში შევარდა, მაგიდის უკან  
 დაიშალა და აბლა უკვე ერთხელ და სამუდამოდ უარყო, ერთხელ და სამუ-  
 დამოდ თქვა უარი შავ სისხლზე, რასაც მთელი ოცდაათი წლის მანძილზე  
 უარყოფდა. გადაბრუნებული მაგიდის უკან მოიკუნტა და მორჩილად და-  
 აცხრილინა ტყვიებით თავი, არადა, ხელში გატენილი დამბაჩა ეჭირა“.

იმბანად ჯეფერსონში ერთი ახალგაზრდა კაცი, პერსი გრიმიც ცხოვრობ-  
 და. ასე, ოცდახუთიოდე წლისა თუ იქნებოდა და უკვე შტატის ეროვნული  
 გვარდიის კაპიტნობისათვის მიელწია ჯეფერსონში დაბადებულიყო და, ზაფ-  
 ხულის შეკრებებს თუ არ ჩავთვლით, მთელი ცხოვრება ჯეფერსონშივე გაე-  
 ტარებინა. ასაკის გამო ევროპულ ომში ვერ წასულიყო, თუმცა მხოლოდ  
 1922 თუ 1923 წელსლა მიხვდა, ამ ამბავს ვერასოდეს რომ ვერ აპატიებდა მშობ-  
 ლებს. მამამისი კავეულით ვაჭრობდა ჯეფერსონში და შეილისა ვერაფერი  
 გაეგო. უბრალოდ, ზარმაცად და უმაქნისად თვლიდა და არც იმედი ჰქონდა,  
 როდისმე კაცი თუ დადგებოდა მისგან, არადა, სინამდვილეში, ბიჭს საშინელი  
 სატყვივარი უღრღნიდა გულს — უსაშველოდ გვიან კი დაეიბადე, მაგრამ რა  
 იქნებოდა, ცოტაც დაბეგვიანა და პირველი წყაროდან მაინც არ გამეგო მა-  
 შინდელი ამბები, როცა, წესით, სამართალი თუა სადმე, მეც კაცი უნდა ვყო-  
 ფილიყავი და არა ბიჭიო, მერეც, როცა ისტერიამ თანდათანობით გადაიარა,  
 როცა ამ ისტერიის ყამს ყველაზე გულფიცხმა და ყველაზე ხმამაღლა მყვი-  
 რალმა ხალხმაც და თვით მრავალ ტანჯვაგამოვლილმა და ვალმოხდილმა გმი-  
 რებმაც კი, ცოტა არ იყოს, აღმაცერად, ექვის თვალით დაუწყეს ერთ-  
 მანეთს ცქერა, ერთი კაცი არ გამოუჩნდა, ვისაც დარდს გაუზიარებდა, და-  
 უფარავად გადაუშლიდა გულს. პირველი სეროიზული ჩხუბიც ყოფილ ჯა-  
 რისკაცთან მოუბდა, რომელმაც საჩაროდ და გულწრფელად განაცხადა, ხე-  
 ლახლა რომ მომიწიოს იგივეს გაკეთება, უმალ გერმანელების მხარს დავი-  
 ქერ, უმალ ფრანგების წინააღმდეგ ვიბრძოლებო. გრიმი იმწამსვე პირში ეცა-  
 „ამერიკის წინააღმდეგაცო?“ ჰკითხა.

„ამერიკისაც, თუკი მეტი ჰკუა არ ეყოფა და ისევ საფრანგეთს დაუწყებს  
 მიხმარებასო“, თქვა ჯარისკაცმაც, გრიმმა ულაპარაკოდ გაართყა; ჯარისკაც-



ზე ბევრად პატარა იყო, ჭერაც ლამის ბავშვი. წინასწარვე ნათელი ჩანდა, რომ დამთავრდებოდა ყველაფერი: არც გრიმს შეპაარვია ეჭვი, არადა, ჯარისკაცს მაინც მანამდე არ მოეშვა, ვიდრე იმან ირგვლივ მყოფთა ყველა არ დაუწყებო. თქვენი ვირიძე, ეს ბიჭი როგორმე მომამოხრეთო. იმდროის ჩარებასაც ისევე ამაყად დაატარებდა, როგორც მერე, მოგვიანებით, ამ სამხედრო ფორმას, რომლის ღირსებასაც ასეთი ბრმა გადაფურცებით უკიდურესად

ახალმა სამხედრო-სამოქალაქო კანონმა სწორედ სულზე მოუსწრო. მანამდე ბნელში, ქაობში დიდხანს უგზო-უკვლოდ ნახეტილებ კაცსა ჰგავდა. არამცთუ ვერსად ხედავდა გადამრჩენელ ბილიკს, თითქოს დარწმუნებულიც იყო ბილიკის არარსებობაში. და აი, უეცრად თვალწინ ნათელი და გარკვეული ცხოვრება გადაეშალა. ფუჭად დაკარგული წლები, როცა ვერც სკოლაში მოახერხა თავის გამოჩენა, როცა მხოლოდ და მხოლოდ უჩიო, უქნარა, ყველაფრისადმი გულგრილი კაცის სახელი დაიმსახურა. სამუდამოდ უკან დარჩა. უკვე შეეძლო თავიდან ბოლომდე გაედევნებინა თვალი საკუთარი, ცარიელი დერეფანივით პირდაპირი და მარტივი სიცოცხლისათვის. შეეძლო ერობელ და სამუდამოდ, სამარადისოდ გათავისუფლებულიყო ფიქრისა და გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობისაგან და ახალი ტვირთიც, მისივე თითბერის სამკერდე ნიშნებივით უწონო და მხედრული ბრწყინვალეობით თვალისმომჭრელი, მსუბუქად, ამაყად ეტარებინა: ფიზიკური სიმამაცისა და ბრმა მორჩილების დიადი, იდუმალი რწმენა, რწმენა თეთრი რასის უპირატესობისა ყველა სხვა დანარჩენ რასასთან შედარებით, თეთრ რასათა შორის ამერიკულის უზენაესობისა და ამერიკული სამხედრო ფორმის ბატონობისა მთელ კაცობრიობაზე. ამ რწმენის, ამ უპირატესობის საფასურად კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ შეეძლოთ მოეთხოვათ — მისივე საკუთარი სიცოცხლე. ნებისმიერ ეროვნულ დღესასწაულზე, რომელსაც რაიმე მხედრული სურნელება დაკრავდა ხოლმე, კაპიტნის მუნდირში გამოეწყობოდა და ქალაქში გამოდიოდა. მის შემხედვარეს, ყველას მაშინვე ის ძველი, პირველი ჩხუბი ახსენდებოდა ყოფილ ჯარისკაცთან, გრიმი კი, გაბრწყინებული, მოელვარე, სნაიპერის ნიშნითა (მსროლელი მართლაც უბადლო გახლდათ) და ზოლებიანი სამხრეებით დამშვენებული, სერიოზული, წელგამართული მიმოდინდა სამოქალაქო პირთა შორის და სახეზეც სანახევროდ მხედრული და სანახევროდ ბავშვური სიამაყე დასთამაშებდა.

ამერიკული ლეგიონის წევრი არ ყოფილა. ოღონდ ამაშიც მშობლებს უფრო მიუძღვოდათ ბრალი, ვიდრე თვითონ. თუმცა იმ შაბათ საღამოს, როცა ქრისტმასი მოთსთაუნიდან ისევ უკან, ჯეფერსონში დააბრუნეს, მაინც დაუყოვნებლივ ადგილობრივი გარნიზონის მეთაურთან გამოცხადდა. მისი აზრი, მისი ნათქვამი უალრესად მარტივი და გასაგები გახლდათ. „ჩვენ ვალდებული ვართ წესრიგი დავიცვათ“, თქვა მან. „კანონს წინ ნუ აღეუდგებით. ნურც კანონს და ნურც ერს. არც ერთ სამოქალაქო პირს არა აქვს უფლება ვინმეს სიკვდილი მიუსაჯოს. ჩვენ, ჯეფერსონელმა ჯარისკაცებმა უნდა მივხედოთ ყველაფერს“.

„განა ვინმე ფიქრობს სხვაგვარად?“ კვითხა ლეგიონის მეთაურმა. „რამე ლაპარაკს მოჰყარი ყური?“

„არ ვიცი, არავისთვის მოჰისმენია“. არც ტყუოდა, თითქოს იმდენად არ აღარდებდა, იმდენად არად მიაჩნდა, რას იტყოდნენ ან რას არ იტყოდნენ სამოქალაქო პირნი. ტყუილის თქმას ფიქრშიც ვერ გაივლებდა. „ეგ არცაა



მთავარი, მთავარია ჩვენ, ჯარისკაცებმა, ვისაც სამხედრო ფორმა გეცვია, თავიდანვე მტკიცედ ვანვიცხადოთ ჩვენი სათქმელი, მთავრობის აზრს ვავსებინათ ხალხს. მაშინ სალაპარაკოც აღარაფერი ექნებათ“. მისი გეგმა უნდა ყოფილიყო ის, რომ ლეგიონის გარნიზონიდან რაზმის ჩამოყალიბება გულსწრფელად მოელოდა, რომელსაც, მისი წოდებიდან გამომდინარე, გრიმი მოეძებნა სათავეში. „თუმცა, თუ ჩემი უფროსობა არ ისურვეს, მაგას ვერაფერს შეუძლია“. თუ უნდათ, მე უფროსის თანაშემწე ვიქნები, ან სერჟანტი, ან კაპრალი“. გულწრფელად ლაპარაკობდა; ამო დიდება არ ამოძრავებდა, მეტიმეტად გულწრფელი გახლდათ, იმდენად გულწრფელი და საქმიანი, ლეგიონის მეთაურს პირზე შეაშრა კადნიერი უარი.

„მაინც არა მგონია, ამხელა ხმაურის ატეხვა ღირდეს, თანაც, გინდაც მართლა მოხდეს რამე, მაინც სამოქალაქო პირებივით მოგვიწევს ყველას მოქმედება. გარნიზონს საამისოდ ვერ გამოვიყენებ, სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ახლა ჯარისკაცებიც არა გვქვია, მოკლედ, უფლება რომც მქონდეს, მაინც ვერ დაგეთანხმებოდნენ“.

გრიმმა მშვიდად, უბოროტოდ შეავლო თვალი, მღიღის რომ შეხედავენ ისე. „არადა, ერთ დროს თქვენც სამხედრო ფორმა გეცვიათ“, უთბრა გარნიზონის უფროსს, ცდილობდა მოთმინება არ დაეკარგა. „ალბათ თქვენს ავტორიტეტს მაინც არ გამოიყენებთ ბოროტად და მათთან დალაპარაკებას არ დამიშლით, არა? როგორც კერძო პირებთან“.

„არა, მაგის დაშლის უფლება არცა მაქვს, ოღონდ, იცოდეთ, მხოლოდ როგორც კერძო პირებთან, ჩემი სახელიც არ უნდა ახსენო“.

მაშინ უკვე გრიმმაც ვეღარ შეიკავა თავი, „ეგ არც მიფიქრიაო“, მიახალა, ზურგი შეაქცია და წამოვიდა. ეს შაბათს იყო, დაახლოებით ოთხ საათზე; მთელი დარჩენილი საღამო დუქნებსა და ოფისებში სიარულს მოაწოდებდა, სადაც ლეგიონის წევრები მუშაობდნენ, და შებინდებისას რიგაინი რაზმის შესადგენად საკმარისი ხალხიც მოაგროვებდა — თავისი კვუისა და თავის ტალღაზე მომართული, დაუცხროპლად, თავდაკერილად, თუმცა კი ჩიუტად მიიწევდა დასახული მიზნისაკენ: თითქოს წინასწარმეტყველის მიზიდულობის ძალა შეეძინა, ოღონდ ეგ იყო, ახალწვეულებიც, ყველანი, მეთაურის აზრს იზიარებდნენ: ლეგიონი ამ საქმეში ოფიციალურად არ უნდა გარეულიყო — ამიტომაც, რაიმე წინასწარი განზრახვის გარეშე, კემმარიტ მიზანსაც თავისთავად მიაღწია: უკვე თავისუფლად შეეძლო მეთაურის მაგივრობა ეკისრა. რაზმს ზუსტად ვაბშმობის წინ მოუყარა ერთად თავი, ჯგუფებად დაჯყო და ოფიცრები და შტაბიც დანიშნა: შედარებით ახალგაზრდები, ვისაც საფრანგეთში წასვლა ვერ მოესწროთ, ახლა იმუხტებოდნენ საბრძოლველად. რაზმს სიტყვით მიმართა, მოკლედ, ცივად: „...წესრიგი... სამართლიანობის ზეიმი... ხალხს დავუმტკიცოთ, შეერთებული შტატების სამხედრო ფორმა ტყუილად არა სცემიათ... და კიდევ ერთი“, ცოტა ხნით ფამილარობის უფლებაც მისცა თავს: პოლკის მეთაურმა, თითოეულ თავის ჯარისკაცს სახელით რომ იცნობს, „თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ბიჭებო, თქვენ როგორც იტყვით, ისე მოვაქცევით, ვიფიქრე, იქნებ ჯობდეს, ამ ამბის მოთავებამდე ფორმა გეცვას-მეთქი, ნახონ, მია სემის მართლ სული რომ არ ტრიალებს აქ“.

„განა სული კი ტრიალებს?“ მაშინვე, დაუყოვნებლივ შეეხმინა რომელიღაცა: ეტყობა, ისიც იმ თარგზე იყო გამოქრილი, რაზეც ლეგიონის მეთაური, ეინც, სხვათა შორის, ამ თავყრილობას არ ესწრებოდა. „ეს საქმე ჯერ“



მთავრობის საწუბარად არ ქცეულა. ქენედიც არ მოგვიწონებს ალბათ. ცუ-  
ფერსონმა უნდა იტყოს თავს და არა ვაშინგტონმა"

„არ მოეწონება და უნდა მოვაწონოთ“. თქვა გრიშმა. „მაშ კამს სხვა რა  
მიზანს ემსახურება თქვენი ლეგიონი, თუ არა ამერიკისა და ამერიკელების  
დაცვას?“



„არა“. ისევ შეეპასუხა რაზმელი. „მე მგონია, ამერიკელებს თუ არ  
გავმართავთ, უამისოდ გავაკეთოთ, რაც გვიბნდა უკეთესად სწორს არ ვაშბობ,  
ბიჭებო?“

„კეთილი“. დაეიანსმა გრიშიც. „ისე ვიზამ, როგორც აშბობ, ოღონდ დამ-  
ბახები კი ყველას დაგვეკირდება, ერთ საათში ისევ აქ გამოცხადდით და  
იარაღის პატარა შემოწმება ჩავატაროთ“.

„მერედა ქენედი რას იტყვის დამბახაზე?“ იკითხა ვილაკამ.  
„ეგ საქმე მე მომანდით“. თქვა გრიშმა. „ოღონდ თქვენ ზუსტად ერთ  
საათში გამოცხადდით შეიარაღებულები“. მერე რაზმი დაითხოვა, ჩაწყნარე-  
ბული მოედახი გადაიარა და შერიფის ოფისს მიაშურა, შერიფი შინააო. —  
უთარეს. „შინ?“ გაიმეორა გრიშმა. „ახლა, ასეთ დროს? კი, მაგრამ შინ რა  
უნდა?“

ქამს ალბათ, ქენედისთანა ზორბა ვაცს დღეში რამდენჯერმე სკირდება  
ქამა“.

„შინ“, ისევ გაიმეორა გრიშმა. სიბრაზე, არ შესტყობია; ისეთივე ცივი  
და გულგრილი სახე ედო, რა სახითაც ცოტა ხნით ადრე ლეგიონის მეთაურს  
შესტყუროდა. „მაშ კამს, ჯა?“ მერე ჩქარი ნაბიჯით გამობრუნდა ქუჩაში.  
ხელმეორედ გადაჭრა მშვიდი ქვეყნის მშვიდი ქალაქის დამშვიდებულ, წყნა-  
რი, ვაშშმად დამსხდარი ხალხისგან დაკლილი მოედახი და შერიფის საბლინ-  
კენ გაემართა, შერიფმა — არაო — თქვა მაშინვე.

„თხუთმეტმა თუ ოცმა შეიარაღებულმა კაცმა უნდა იბორიალოს მოე-  
დანზე? არა, გენაცვალე, ეგ არ გამოვა, მე მაგას ვერ დაეუშვებ, არავითარ  
შემთხვევაში, მაკალეთ და თვითონ მოვეუვლი ყველაფერს“.

გრიში ცოტა ხანს კიდევ შესტყუროდა უხმოდ, მერე შეტრიალდა, ისევ  
ჩქარი ნაბიჯით გამობრუნდა. „კარგა, პატონო“, თქვა სიარულში. „რაკი ეგრე  
გსურთ, არც მე ჩავერევი თქვენს საქმეში და ნურც თქვენ შემიშლით ხელს“.  
მისი ნათქვამი მუქარას არ აგავდა, უაღრესად უბოროტო იყო, უაღრესად  
გულწრფელი და თან გულგრილიც სწრაფად აგრძელებდა გზას. შერიფი  
თვალს ადევნებდა; მერე დაუძახა, გრიშიც შეჩერდა, შემობრუნდა.

„შენი იარაღიც შინ დატოვე“, თქვა შერიფმა. „გესმის?!“ გრიშს პასუხი  
არ გაუცია, ისევ გზა განაგრძო, ვიდრე არ ვაუჩინარდა, შერიფიც მოლუ-  
შული აყოლებდა თვალს.

ვაშშმის შემდეგ კი ისევ ქალაქში დაბრუნდა, არადა, რამე საგანგაშო, სა-  
ხალდახელო, გადაუდებელი საქმე თუ არ მოითხოვდა, უკვე რამდენიმე წელი  
იყო, საღამოობით შინიდან ფეხს არ დგამდა ხოლმე, გრიშის ხალხის ერთი  
პიკეტი ციხესთან დაუბნდა, მერე — სასამართლოს შენობაში, მესამეს კი  
პატრულის მოვალეობა ეკისრა და მოედანსა და მოედნის მიმდებარე ქუ-  
ჩებზე მიდი-მოდიოდა, დანარჩენებს, როგორც შერიფს აუბნენ — თადარიგში  
მყოფ რაზმელებს, ბამბის კანტორაში მოეყარათ თავი, სადაც გრიში მუშა-  
ობდა და სადაც ახლა შტაბი ჰქონდათ მოწყობილი, ბოლოს ქუჩაში შემოვ-  
ლაზე გამოსული გრიშიც დაინახა. „აქ მოდი, ბიჭოო“, დაუძახა შორიდანვე.



გროში შეჩერდა. ახლოს არ მისულა; ისევ თვითონ მიუახლოვდა და მსუქანზე ზედა ბარდაყზე მოუთათუნა. „აკი გითხარი, შინ დატოვე-მეთქი“. უღებრ შე-  
 რიფმა გრომს პასუხი არ გაუცია. მშვიდად შესცქეროდა. შერიფმა ამოიხუ-  
 ნემა. „ქარგი, რახან ეგრეთა, რა გაეწყობა; ეტყობა, მომიწევს ჩემს საგანგ-  
 ბო თანამშემწედ დაგნიშნო. ოღონდ იცოდე, მე თუ არ ვეტყვი, მარტო მშენს  
 შორიდანაც არავის დაანახო. გესმის, რასაც გეუბნები?“

„რა თქმა უნდა“, უპასუხა გრომმა. „თქვენს ადგილას არც მე მომეწყობე-  
 ბოდა. ვინმეს ტყუილუბრალოდ რომ დაეწყო ქალაქში დამბაჩაამოღებულს  
 სიბილი“.

„მე თუ არ ვეტყვი-მეთქი, ვერ ვაიგე, რა გითხარი?“

„რა თქმა უნდა, ვაიგე“. მშვიდად, მოთმინებით, დაუყოვნებლივ უპასუ-  
 ხა გრომმა. „მეც სწორედ ეგა ვთქვი ხუ ლელავთ. აქ ვიქნები, სადაც საჭიროა“.

მოგვიანებით, როცა ღამეული ქალაქი ნელ-ნელა ჩაწყნარდა, ენოთეატ-  
 რი დაკარიელდა და აფთიაქები ერთიმეორის მიყოლებით დაიკეტა. გრომის  
 ჩაბმაც თანდათანობით შეთხელდა. გრომს ხმა არ ამოუღია. ცივი თვალებით  
 შესცქეროდათ: შემკრთალებს, დარცხვენილებს, უბერხულობაში ჩაყვება-  
 ლებს. თავისდაუნებურად, რაიმე წინასწარი ანგარიშის გარეშე, კიდევ ერთ-  
 ხელ დარჩენილიყო მოგებული, რაკი თავს დამნაშავედ გრძნობდნენ, რაკი  
 რცხვენოდათ — შეთაური გავაწბილეს. ვერ გავამართლეთ მისი ნდობა, ვერ  
 ვაგიზიარეთ მისი ცივი გულმოდგინებაო. — ხვალაც უთუოდ უკან დაბრუნდებოდ-  
 ნენ, უკვე თუნდაც მხოლოდ მის დასანახად, მხოლოდ მისი გულის მოსაგებად.  
 თუმცა რამოდენიმე კაცი მაინც დარჩა: ასე თუ ისე. მაინც შაბათი საღამო  
 იყო. ვიღაცამ საიდანლაც სკამებიც მოათრია და პოკერის თამაშიც გაბურდა.  
 თამაში მთელი ღამე გაგრძელდა. თუმცა, ხანგამოშვებით, გრომი (თვითონ  
 თამაშში არ მონაწილეობდა; არც მოადგილეს დართო ნება, გრომის გარდა  
 ჩაბმის ერთადერთ წევრს. ვისაც ოფიცრის შესატყვისი წოდება ჰქონდა) მო-  
 ედნის შემოსავლელად ვზავნიდა ხოლმე ხალხს. მოგვიანებით პოლიციის ღამის  
 მორიგეც შეუერთდათ. ოღონდ თამაშში არც ის ჩაბმულა.

ევირა დღემ მშვიდად ჩაიარა პოკერის თამაშიც უწინდებურად გრძელდებ-  
 ბოდა. მხოლოდ ხანდახან, მოედნის სავალდებულო შემოვლისას თუ შეწყდებ-  
 ბოდა ხოლმე დროებით, ეკლესიას ხარებიც წყნარად რეკდნენ და საზაფხუ-  
 ლოდ გამოწყობილი მრევლიც ფერად-ფერად, დარბაისელ ჯგუფებად იყრიდა  
 თავს მოედანზე უკვე ყველამ იცოდა მეორე დღეს საგანგებო დიდი ეიფრის  
 შეკრების ამბავი. და ამ ორი სიტყვის ელერადობაც კი, იღუმძალებისა და  
 გარდუფალობის, ადამიანთა ხამოქმედარის უჩინრად მაკქერალი, მარადუბი-  
 ზელი და ყოვლისმხილველი თვალის არსებობის მიმანიშნებელი, თანდათანო-  
 ბით გრომის რაზმელებსაც უმტკიცებდა თავიანთი წამოწყების აუცილებლობი-  
 სა და განსაკუთრებულობის რწმენას ხალხსაც ხომ შეტი არ უნდა. უცებ,  
 მოულოდნელად. თავისდაუნებურად, თითქმის მთელი ქალაქი პატივისცემით,  
 მოკრძალებით და, გარკვეულწილად, რწმენითა და ნდობით განიმსკვალა  
 გრომისადმი, თითქოს მისი წინათგრძნობა, მისი პატრიოტიზმი და მისი სიამა-  
 ყე მშობელი ქალაქითა და საკუთარი მდგომარეობით გაცილებით უფრო ნალ-  
 დი და უტყუარი იყო, ვიდრე სხვების, დანარჩენებისა. ყოველ შემთხვევაში,  
 რაზმელებს ნამდვილად არ შეპარვიათ ექვი საკუთარ განსაკუთრებულობაში  
 და ხალხის პატივისცემაც. მოკრძალებაც და ნდობაც უყოყმანოდ შეიფერეს;  
 უძილო ღამის, დაძაბულობის, უქმე დღის, მსხვერპლად გაღებულის სურვი-



ლებსა და სიაშოვნებების უარყოფის შემდეგ ისე დაბრუნდნენ. საქმე  
თუ მოითხოვდა, ალბათ დაუფიქრებლად გასწირავდნენ მეთაურისთ-  
ვის სახეზედაც უკვე პირველში. უკვე არ იყო შიშის მომგარე. მუქის ან-  
რეკლი დასთამაშებდათ. ლამის იმ ზაკისფერი მუნდურით მისაცემ  
და თვალისმომკრელი, რომლის ჩაცმაც ასე გულით ეწმინდებოდა უკვე  
ჯერზე ისევ შტაბში. ისევ სამორიგეოში დაბრუნებულნი. თითქოს ხელახლა  
იმოსებოდნენ ზოლმე მეთაურის ოცნების ბრწყინვალე, ასკეტურად დიდებუ-  
ლი ჩაკულებით.

ასე გაგრძელდა კვირა ღამესაც, პოკერის თამაში არ შეწყვეტილა. თუმცა  
მისი თანმხლები უწინდელი სიფრთხილე და იდუმალეზა უკვალოდ გამქრა-  
ლიყო. პირიქით, სითამამე და ლამის თავმომწონეობამდე მისული სილაღე  
და უღარდებლობაც კი შეეძინა; როცა იმ ღამითაც მოესმათ კიბიდან პოლი-  
ციის ლამის დარაჯის ნაბიჯების ხმა. „ფრთხილად, სამხედრო პოლიციით“.  
თქვა ერთმა და წამით ყველანი დაძაბული, დაკვესილი, ყველაფრის მკისრებე-  
ლი ხალხის თვალებით მიაჩერდნენ ერთმანეთს; მერე, „ბანდურის ცემით გა-  
აგდეთ ეგ ნაბიჯვარიო“, საკმაოდ ხმაძალდა თქვა მეორემ და ვილაცამ, მოპ-  
რუწული ტურებით, უხსოვარი, წარღვნამდელი ხმაც გამოსცა, მოკლედ, მე-  
ორე დილით, ორშაბათს, რაზმი ისევ მთლიანი და გაუბზარავი შეეგება ქალაქ-  
ში გამოჩენილ პირველ მანქანებსა და სოფლურ ფორნებს. უკვე ფორმაც  
ჩაეცვათ, მათი სააე უნდა ენაბა კაცს, უმრავლესობა ერთი ასაკის, ერთი თათ-  
ვის, ერთი გამოცდილების მქონე ხალხი იყო. მაგრამ მართო ეს არ ამსგავსებდათ  
ერთმანეთს. უსაზღვრო, მკაცრი სიდარბაისლე შეეძინათ. ჩვეუ-ჩვეუდად  
შობორილდე ხალხში დასერიოზულდებულნი, სახეგაქვავებულნი, ყველასაგან  
გამიჯნულნი და განცალკევებულნი იდგნენ და გამოცარიელებული, სუსხია-  
ნი თვალებით უმზერდნენ ზანტ ბრბოს, რომელიც, ეტყობა, რაღაცას ჩვდე-  
ბოდა, რაღაცას გრძნობდა მეექვსე გრძნობით და მათთან მიახლოვებული,  
ნაბიჯს ანელებდა, დაძაბული შესცქეროდა: განუწყვეტლივ ხალხით, გაო-  
ცებული საბეებით იყვნენ გარემოცულნი, ვილაცეები მოდიოდნენ, ჩერდებო-  
დნენ, მერე სსვებს უთმობდნენ ადგილს, ოღონდ ყველა სახე ერთმანეთს  
პგავდა, ძროხებივით ყველას გაშტერებული, უაზრო, უძრავი სახე დასდებო-  
და, მოედანზე მთელი დღე გაუთავებელი გუგუნე იდგა, მთელი დღე ტალ-  
ლა-ტალლა ენაცვლებოდა ერთმანეთს კითხვა-პასუხის უსასრულო რიგი: „აგე-  
მიდის, კო, ეგ ბიჭია, ავტომატურპისტოლეტიანი, მაგათი კაპიტანი ყოფილა,  
გუბერნატორის გამოგზავნილი საგანგებო ოფიცერი, ეგაა ყველაფრის თავი  
და თავი, შერიფს დღეს არაფერი ეკითრება“.

მოგვიანებით, როცა ყველაფერი დასრულდა, გრიშმა შერიფს უსაყვედურა:  
„ნეტავი ჩემთვის დაგეჯარებინათ, ჩემი რჩევისთვის დაგვედოთ ყური და  
გვეცლიათ, ჩემი ბიჭების თანხლებით გამომეყვანა სავნიდან, თქვენ კი ადე-  
ქით და ამოდენა ბრბოში ერთი თანაშემწის ანაბარა გამოუშვიო, თანაც ბორ-  
კილითაც არ ვადაგიბიათ ერთმანეთისათვის; ქვეშაფსია ბოფორდი ხალხში  
სროლას, რას ვაბედავდა? იმისი შნოც არა აქვს, ორი ნაბიჯიდან საბძლის  
კარებს მოარტყას ტყვიო“.

„აბა რას ეიფიქრებდი, გაქცევა თუ ედო გულში, თანაც იქ, მოედანზე  
თუ ეცდებოდა გაქცევას“, თქვა შერიფმა. „აჲი სტივენსმაც მითხრა, დანაშა-  
ულს აღიარებს და სამუდამო პატიმრობას მიუსჯიანო“.  
მაგრამ მაშინ უკვე აღარაფერს აღარ ქკონდა აზრი, უკვე ყველაფერი



მომთავრებულყო. მოსახდენი შუა მოედანზე მოხდა. ტროტუარსა და სასამართლოს შენობას შორის. უკიდევანო, თითქოს ბაზრობაზე თავშეყრილი ხალხის ზღვაში: გრიმმა ქერ თანაშემწის დამბაჩის ორი გასროლა და მძვინვარეობდა. ამ დროს თვითონ სასამართლოში იცდიდა. მაგრამ მაშინვე მიხვდა, რა დაემართა. წამოც არ დაუკარგავს, არ უყოყმანია. უკვე სროლის ხმაზე დახვდნენ თანაც იმ კაცს. ვინც აგერ უკვე ღამის ორმოცდარვა საათის განმავლობაში თანაშემწესავით თუ შიკრიკივით დასდევდა კვალდაკვალ სახანძრო სირენა ჩართვით უყვიროდა.

„სახანძრო სირენა?“ ჰკითხა თანაშემწემ. „რა...“

„სახანძრო სირენა ჩართეთ-მეთქი!“ უყვირა გრიმმა ხელმეორედ. „ხალხმა რაც უნდა იფიქროს. გაიგონ რომ...“ სიტყვა არ დაუმთავრებია, მაშინვე მიეფარა თავს.

ყველა გარბოდა, გრიმი ვილაყვებს ეწეოდა, უსწრებდა. უკან იტოვებდა, რადგან მას მიზანი ჰქონდა. სხვებს კი — არა; სხვები უბრალოდ გარბოდნენ, იმას კი შავი, ბლავი, ვეებერთელა ავტომატური პისტოლეტი გუთანივით უბსნიდა გზას, გაოგნებული, გაფითრებული ხალხი თითქოს მხოლოდ გრიმის დაძაბულ, მკაცრ, ახალგაზრდა სახეს მისჩერებოდა; „იქით, იქით გაიქცაო“. — ერთ, ჩუმ, გაბმულ ამოხვრასავით მიადევნეს კვალად. მაგრამ უკვე თვითონაც დაენახა შერიფის თანაშემწე — დამბაჩა ჩაებლუჭა და ხელაწეული გარბოდა. გრიმმაც ერთი კი მიმოიხედა და ისევ წინ გაიჭრა: თანაშემწესა და პატიმარს ადევნებულ ბრბოში „უესტერნ იუნიონის“ სატელეგრაფო კომპანიის ფორმაში გამოწყობილი ერთი ძონძრობა ბიჭიც ერიო, რომელსაც თავისი ველოსიპედისათვის სახელურებში ჩაველო ხელი და მორჩილ ძროხასავით მოაჩოჩილებდა. გრიმმა პისტოლეტი ისევ ბუდეში ჩაიჩარა, ბიჭი გვერდზე სიაგდო და ველოსიპედს მოაბტა, ერთბაშად, ერთი მოძრაობით გაიკეთა ყველაფერი, ისე, რომ წუთიც არ დაუკარგავს.

ველოსიპედს არც საყვირო ჰქონდა და არც ზარი. თუქცა ხალხი როგორღაც ტანით გრძნობდა გრიმის მოაზლოვებას და გზას უტევდა; თითქოს ანლაც მტკიცე რწმენა ეხმარებოდა, საკუთარი სიმართლისა და შეუმცდარობის ბრმა და ურყვევი რწმენა უკაფავდა გზას. გაქცეულ თანაშემწეს გაუსწორდა და ველოსიპედი ოდნავ შეანელა. თანაშემწემ მისკენ მოაბრუნა პირდაბრენილი, ყვირილისა და სირბილისაგან განვითქული სახე. „იმ შუკაში გადაუხვია“. უთხრა გრიმს.

„ვიცი“. მიუგო გრიმმა. „ბორკილი ეკეთა?“

„იქი!“ თქვა თანაშემწემ. ველოსიპედი ბიძგით მოსწყდა ადგილს.

„მაშ ძალიან სწრაფად ვერ უნდა ირბინოს.“ გაიფიქრა გრიმმა. „მალე მოუწევს ბუნაგის ძებნა. დამალვას შეეცდება“. სწრაფად შეუხვია შუკაში. შუკა ორ სახლს შორის გაწოლილიყო, ცალ მხარეს ფიცრის მესერი ჩასდევდა. იმ წუთას სახანძრო სირენის ხმაც გაისმა პირველად, ნელ-ნელა. თანდათანობით იმატა. ერთ უწყვეტ კვილად იქცა. რომელიც ბოლოს გასცდა კიდევ ერთასმენის ფარგლებს და ახლა მხოლოდ უბნო რხევადლა შეიგრძნობოდა. გრიმი პედლებს ატრიალებდა და გამალებით, საქმიანად, მძვინვარე და დაძაბული მნიარულებით ფიქრობდა. „უპირველეს ყოვლისა, დამალვას მონდობებსო“. თან გაცეცებული აქეთ-იქით იყურებოდა. შუკა ცალ მხარეს მოშიშვლებული იყო, მეორე მხარეს კი ექვსი ფუტის სიმაღლის მესერი გასდევდა. მესერი ქიშკრით ბოლოვდებოდა. ქიშკარს იქით სიძოვარი და ღრმა



ხევი — ქალაქის მიჯნა — იწყებოდა. ხევში მდგარ ხეებს აქედან მხოლოდ კენწეროები მოუჩანდათ; პოლკი ჩასაფრდებოდა იქ. „უფუხურ“ ხმამაღლა გამოსცრა კბილებში გრიშმა. არ შეჩერებულა. სიჩქარეს არ შეუწინებელია. ისე შემოაბრუნა ველოსიპედი და ისევ უკან დაუყვია შუკას იმ ქუჩისაკენ, რომლიდანაც ეს-ესაა გადმოუხვია. სირენის კვილი ქლებზე იქცა. ისევ ყურთასმეხას უბრუნდებოდა. და როცა ველოსიპედი ქუჩაში შეაგდო, წამით კი და თვალი გაქცეულ ხალხსა და მისკენ მომავალ მანქანას. მთელი მისი გამმაგების მიუხედავად, მანქანა მაინც წამოეწია. გაუსწორდა; მანქანის მგზავრები მისკენ გადმოხრილიყვნენ. „ამოდი, აქ ამოდიო“. — უყვიროდნენ. ის პასუხს არა სცემდათ. სახეგაქვავებული წინ იყურებოდა. მანქანამ გადაუსწრო. სვლა შეანელა; ახლა უკვე თვითონ ჩაუქროლა. სწრაფად. უბმოდ. ჯიუტად: მაშინ მანქანამაც უმატა სიჩქარეს და უკან ჩამოიტოვა. ახლა იქიდან გადმოკიდებულ კაცებსაც წინ მიეპყროთ მზერა. გრიში გამმაგებული მიქროდა, მოჩვენების სისწრაფით, ჯაგერნაუტისა თუ ბედისწერის ულმობელი ქედუბრელობით. ზურგს უკან სახანძრო სირენამ ერთხელ კიდევ უმატა ხმას. როცა მანქანაში მსხდომებმა ისევ გამოხედეს, გრიში აღარსად ჩანდა.

მთელი სისწრაფით ახლა სხვა შუკაში შეეხვია. სახე გასალკლდევებოდა. დამშვიდებოდა. ჯერაც უბრწყანავდა ოცნების აღსრულების პირუქტში და განუხჯელი სიხარულისაგან. ეს შუკა წელანდელზე უფრო ოღრჩოდრო და უფრო გრძელიც აღმოჩნდა. ბოლომდე ჩაუყვია, მოტიტვლებულ გორაკს მიადგა და იქ გადმოხტა ველოსიპედიდან. დაფერდებულმა, გვერდზე გადაქანებულმა ველოსიპედმაც ცოტა ხანს კიდევ იგორა და მერე წაიქცა; გრიშს ახლა ხევი მთელი სიგოდე-სიგანით გადაეშალა თვალწინ. ორი-სამი, ზედ ხევის პირას მდგომი ზანგური ქობის გარდა არაფერი უშლიდა ხელს თვალთვალში. უძრავად იდგა. გაქვავებული, ეული სასაზღვრო ბოძივით თვალწინ საცემი. სადღაც. ზურგს უკან დარჩენილ ქალაქში სირენის კვილმა ისევ მიჩუმება იწყო. მერე ქრისტმასი დაინახა. ხევეგალმა გამოჩნდა, ერთი ბეწო, პაწაწინა, ბელებშიტყუპებული. დაინახა, როგორ გაიბრკვეიალეს. პელიოგრაფივით როგორ აელვარდნენ ლტოლვილის ბელები, როცა ბორკილს მზის სხივი დაეცა. მოეჩვენა, თითქოს აქედანაც ესმოდა იმ კაცის ქოშინი და სასოწარკვეთილი სუნთქვა. კინც ახლაც კი არ იყო თავისუფალი. მერე პაწაწინა ფიგურა ისევ გაიქცა და უახლოეს ზანგურ ქობს უკან გაუჩინარდა.

გრიშიც ადგილს მოსწყდა. სწრაფად. უფაციფუცოდ. ძალდაუტანებლად გარბოდა არც შურისმაძიებელს ჰგავდა და არც გამძვინვარებულსა თუ შეურაცხყოფილ კაცს. ამას ქრისტმასიც მიხვდა. საკუთარი თვალთ დაინახა, რადგან წამით ლამის პირისპირ შეეჯანხნენ ერთმანეთს. მაშინ, როცა გრიშმა სირბილით ჩაუქროლა ქობის კუთხეს. ქრისტმასიც სწორედ იმ დროს გადმოხტა ქობის უკანა ფანჯრიდან, თითქოს ჯადოქრობის წყალობით აესვეტა წინ და მისმა დაბორკილმა, ზეაღმართულმა ხელებმაც ცეცხლმოკიდებულე-ბივით გაიკაშქაშეს. წამით ერთიმეორეს მიაშტერდნენ. ერთი, გადმონტომის შემდეგ, ჯერაც ჩაკუზულიყო, ჯერაც არ გამართულიყო წელში. მეორე თავი ქედმოგლეჯილი გარბოდა და ისეთი ქანი აელო. შეჩერება ვერ მოეხერხებინა. გრიში საცაა მეორე კუთხესაც ჩაუქროლებდა, ქრისტმასის ხელში მძიმე, მონიკელებულ დამბაჩას რომ ჰკიდა თვალი. ადგილზევე დაბზრიალდა. შემობრუნდა. თან ბუდიდან თავის პისტოლეტს იღებდა.

სწრაფად. მშვიდად. მშვიდი სიხარულით ფიქრობდა: „ორი გზა აქვს.







მაწყვეარი ღმერთივით დასხმობდა თავს. მონუცი ჯერაც ბარბაცობდა და ისინიც, არ წაიქცესო, ხელს აშველებდნენ.

„რომელ ოთახშია?“ ეკითხებოდა და თან ანჭლრევდა გრიმი. / „რომელ ოთახშია-მეთქი, ბერიკაცო?“



„ბატონებო!“ თქვა ჰაითაუერმა. „ხალხო! ხალხო! ხალხო!“

„ალარ იტყვი, რომელ ოთახშია, ბებერო?“ უყვირა გრიმმა.

ჰაითაუერი ძლივს იდგა ფეხზე; მზის გულიდან შემოცვენილებს ამ ჩაყამებულ წინკარში ჰაითაუერის მელოტი თავი და დიდი, გადაფითრებული, სისხლით ჩამოხაზული სახე საზარლად ეჩვენებოდათ. „ხალხო!“ იყვირა ჰაითაუერმაც. „მომისმინეთ, ეგ იმ ღამეს აქ იყო, მკვლელობის ღამეს, ღმერთსა ვფიცავ...“

„იესო ქრისტე!“ შესძახა გრიმმა ახალგაზრდა მოძღვრის დაწმენდილი რისხვით აღსავეს ხმით. „ნუთუ ყველა ჯეფერსონელმა ხუცესმა და შინაბერა ქალმა აუბლაკა ფეხები იმ დამპალ ნაბიჭვარს?“ ჰაითაუერი გვერდზე მიაგდო და ისევ გაიქცა.

თითქოს მხოლოდ იმასღა ელოდა, ხელახლა როდის აამოძრავებდა მოთამაშე, რადგან იგივე შეუმცდარი აღლოს კარნახით, პირდაპირ სამზარეულოს მიაშურა და სროლაც მანამდე ატეხა, ვიდრე ოთახის კუთხეში გადაბრუნებულ მაგიდასა და მის კიდეზე ჩამოწყობილ, მაგიდის უკან დამალული ლტოლვილის კაშკაშა, მოელვარე ხელებს დაინახავდა. უკანასკნელ ტყვიამდე დააცალა მაგიდას თავისი ავტომატური პისტოლეტი; მოგვიანებით ვილაცამ გაეცილი ცბეირსახოცი დაფარა ხუთივე ნატყვიარი.

თუმცა მოთამაშეს ჯერ არ მოემთავრებინა საქმე, როცა სამზარეულოში დანარჩენებიც შეცვივდნენ, გრიმს მაგიდა გვერდზე მიეგდო და ლტოლვილს დასდგომოდა თავზე. ახლოს რომ მივიდნენ, ქრისტმასს ჯერ ისევ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი, სოლო როცა დაინახეს, რას აკეთებდა გრიმი. ერთ-ერთ მათგანს დაგუბული ხმა აღმოხდა. უკან-უკან, ბორძიკ-ბორძიკით წავიდა კედლისაკენ და არწყია, მერე გრიმიც უკან გადმოხტა, გასისხლიანებული ყასბის დანა მოისროლა. „აბლა ჯოჯოხეთშიც არ გაეკარები სათოფეზე თეთრკანიან ქალებსო“, — თქვა, იატაკზე გართხმული კაცი კი არც შერხეულა. უძრავად იწვა, თვალგახელილი, ცნობიერების გარდა ყველაფრისაგან დაცლილი. და მხოლოდ ბაგესთან დაჭფენოდა ერთადერთი ჩრდილი, დიდბანს ასცქეროდათ კვემოდან მშვიდი. უძირო, გაუსაძლისი თვალებით, მერე, ერთბაშად, სახეც, სხეულიც, ყველაფერი ერთად მოერღვა, თითქოს შიგნით, საკუთარ არსებაშივე ჩაეშალა და უბეზე გამობრდღვნილი შარვიდან შვების ონვრასავით გამოსცდა მანამდე დამწყვდეული შავი სისხლი. ისე გამოიფრქვა ფერმიხდილი სხეულიდან, როგორც ნაპერწყლები ცაში აჭრილი რაკეტიდან; ამ შავმა ნიღვარმა თითქოს თვითონ კაციც აიტაცა და სამუდამოდ, სამარადისოდ შეატოვა მათ ხსოვნას. მათ აღარაფერი დაავიწყდებათ, რა მშვიდ ყურესაც არ უნდა მადგეს ცხოვრება, რა უზრუნველ ნაპირზედაც არ უნდა გარიყოს ისინი სიბერემ, რა გარდასული უბედობები თუ მომავალი იმედებიც არ უნდა ამოიკითხონ ნაშიერთა სარკესავით ყოლისამრეკლავ სახეებზე, ის მაინც მარად იქ იქნება, ჩაფიქრებული, დამშვიდებული, უდრეკი, დროით გაუნუხარი, არც მაინცდამაინც შიშისმომგვრელი, ოღონდ მუდამ უდრტვინველი, მუდამ თავისთავის მოზვიმე ქალაქის მხრიდან ერთხელ კიდევ მოისმა კედლების წყა-



ლობით ოდნავ დახშული სირენის კივილი, წარმოუდგენელ კრესჩენდოს მიღწია და ყურთასმენის ფარგლებს გასცდა.

20



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თანდათანობით, საღაშოს უკანასკნელი, სპილენძისფერი შუქიც ქრება: ჭუჭია ნეკერჩხლებსა და ხელისგულისოდენა აბრის იქით, კაბინეტის ფანჯრის ჩარჩოში სცენასავით მომწყვდეული ქუჩაც უკვე გამზადებულია, უკვე ერთიანად დაცარიელებულია.

ანსოვს ადრე, ახალგაზრდობისას, როცა სემინარიიდან ახალი ჩამოსული იყო ჯეფერსონში, რამდენჯერ მოსჩვენებია, თითქოს ყურთასმენასაც რომ უღიზიანებდა ეს სპილენძისფერი, გასაქრობად განწირული შუქი, რომელიც თითბრის ყვითელი საყვირების შესუსტებულ ხმასავით ნელ-ნელა კედებოდა, ნელ-ნელა იკარგებოდა და იმ სიჩუმესა და მოლოდინს ერწყმოდა. საიდანაც მალე ისინი უნდა გამოჩენილიყვნენ, და მართლაც ძალადაკარგული საყვირები ბოლომდე მიჩუმებასაც ვერ ასწრებდნენ ხოლმე, როცა ჰაერში შორეული, ჭერჭერობით ჩურჩულივით, ჩქამით სუსტი გრიალი გაისმებოდა.


ოღონდ გამხელით არავისთვის არაფერი გაუმხელია, მისთვისაც კი, მაშინაც კი არ უთქვამს არაფერი, როცა ჭერ კიდევ ღამეული მიჯნურები ერჭვათ, როცა ჭერ სირცხვილი და უთანხმოება არ დაწყებულა, როცა ჭერ იმანაც იცოდა, იმისთვისაც არ დაევიწყებინა უთანხმოებას, სინანულსა და ბოლოს, სასოწარკვეთილებას, რად მიუჯდებოდა ხოლმე თავის ფანჯარას და რად ელოდა ასე მოუთმენლად ღამის დადგომას, სიბნელის დასადგურებას, მისთვისაც კი, ქალისთვისაც, ერთადერთისთვის, სწორედ ქალისთვის (და არა სემინარიისთვის, როგორც ერთ დროს სჯეროდა): ჩაგრული და უსახო არსებისთვის. ვინც ღმერთმა არა მარტო მისი სბეულის თესლის მიმღებად და შემნახველად შექმნა, არამედ მისი სულისაც — ესაა სწორედ ჭეშმარიტება, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან, რამდენადაც თვითონ ბედავს მიაბლოებას.

ღაძმა არა ჰყოლია, მისი დაბადებისას მამამისი უკვე ორმოცდაათი წლის კაცი იყო, დედა კი ღამის ოცი წელიწადია გამუდმებით ავადმყოფობდა, იზრდებოდა და თანდათანობით სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა რწმენა, დედის ავადმყოფობა იმ საკვების ბრალი რომ იყო, რითაც ქალს სამოქალაქო ომის ბოლო წლებში გაჰკონდა თავი. შეიძლება არც ცდებოდა, მამამისს მონები არ ჰყავდა, თუმცა იმ კაცის შვილი კი იყო, ვისაც თავის დროზე მონები არ მოჰკლებია, თვითონაც არაფერი უშლიდა ხელს, მამის კვალზე წასულიყო, მაგრამ, თუმცა იმ დროში და იმ მიწაზე დაბადებულყო, გაზრდილიყო და დავაჟკაცებულყო, სადაც მონების ყოლა არყოლაზე გაცილებით იაფია, მაინც ცოცხალი თავით არც ზანგი მონის მოწეულსა და მომზადებულს შეკამდა და არც იმის დაგებულ ლოგინში ჩაწვებოდა, ამიტომაც, ვიდრე თვითონ ომობდა, ცოლი მარტოდმარტო ჯანბრობდა ბოსტანში და მხოლოდ იშვიათად, ათასში ერთხელ თუ გაუმართავდა ხელს სამადლოდ ვინმე მეზობელი, არადა, ქმარს არც ეს დახმარება სიამოვნებდა, ამასაც უშლიდა, რადგან იმედი არა ჰკონდა, სიკეთის სიკეთით გადაბდას მოვანერებო, „ღმერთი მოგვეცემსო“, ეუბნებოდა ცოლს.

„რას მოგვეცემს? ბაბუაწვევრას და სარვევლასო?“



„სხვადაც, ან არადა, ბაბუაწვევრის და სარეველას მოსახელებელ კუჭ-ნაწლავს მაინცო“.

მაშა მოძღვარი იყო, მთელი წლის განმავლობაში (მეზინ  კოლი არა ჰყავდა) ყოველ კვირს დილით ალიონზე გადიოდა ხოლმე შინიდან, ვიდრე ეს ამბავი მამამისის ყურამდეც მიაღწევდა, ვისაც ეპისკოპოსი თავისი მრევლის ერთ-ერთ საპატრიო წევრად კი თვლიდა, თუმცა, რაც შეიძლება ახსოვდა, ერთბედაც არ ენათა ამ ეკლესიაში შესული. მოკლედ, როცა მაშამ გაიგო, მისი ოცდაერთი წლის ვაჟი ყოველ კვირას თექვსმეტი მილით სააღს მოშორებულ პატარა, მთებში ჩაკარგულ სამლოცველოში რომ დადიოდა, თურმე საქადაგოდ, თქმით არაფერი უთქვამს, ოღონდ გულიანად გაეცინა, შვილმა სიცილსაც ისე მოუსმინა, როგორც ყვირილსა და ჩხუბს მოუსმენდა: ცივი, თავაზიანი სამშვიდით, სიტყვის უთქმელად მომდევნო კვირას კი ისევ საკუთარ მრევლს მიაშურა.

ომში მოწინავეთა შორის არ წასულა, თუმცა არც უკანასკნელთათვის დაუცდია, ოთხი წელი დარჩა ჯარში, მაგრამ მუშევეტი ერთბედაც არ გაუსვრია და მუნდირის მაგოვრადაც ის თაღბი სერთუკი ეცვა, საქორწინოდ რომ შეეძინა და შერე ჩვეულებრივ, ქადაგების დროს იცვამდა ხოლმე, სამოცდაჩუბთშიც, შინ დაბრუნებულსაც ისევ ის სერთუკი ეცვა, თუმცა მას შერე, რაც ფორანი კიბესთან გაჩერდა, ორმა კაცმა ფორნიდან გადმოიყვანა, შინ შეიყვანა და საწოლზე დააწვინა, შორიდანაც აღარ მოუკრავს მისთვის თვალი, სერთუკი ცოლმა გახადა და სხვენში, სამგზავრო სკივრში შეინახა, ოცდახუთი წელი იდო იქ, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, უკვე მისმა ვაჟიშვილმა არ გაქსნა სკივრი, ამოიღო და ფროთხალად არ გაასწორა ის ნაკეცები, რომელთაც თითქოს ჯერ კიდევ შერჩენოდათ კარგა ხნის მკვდარი ბელების სითბო და სურნელი.

აღლაც ის დღე ახსენდება, მდუმარე კაბინეტის ბნელ ფანჯარასთან მჯდომს, სიბნელის დადგომის, ღამის, ფლოქვების თქარათქურის მომლოდინეს, სპილენძისფერი შუქი უკვე მთლად გამქრალა; სამყარო მწვანე მდუმარებაში გამოკიდულა და ჟეოად შუშაში გადატეხილი პლანტი სინათლის ელფერი დაქრავს, მალე დადგება წამი, როცა იტყვის უკვე მალე, ცოტაღა დარჩა „რვა წლის ვიყავი მაშინო“, ფაქრობს „წვიმდა“, ეჩვენება, ახლაც რომ გრძნობს იმ წვიმის, ოქტომბრის ნოტიო, ნაღვლიანი მიწის სურნელსა და პიოდაღებული სკივრიდან ამოვარდნილი ომის სუნს, შერე კობტად დაკეცილი სერთუკისას, თავიდან ვერც მიბვდა, რა ეპოვა, იმდენად წალეკა ნაკეცებს შერჩენილმა ხსოვნამ მკვდარი დედის ბელებისა, შერე სერთუკი ნელ-ნელა გაიშალა, ამოიზარდა, მას, ბავშვს, წარმოუდგენლად დიდი, ვეებერთელა, თითქოს გოლიათისთვის შეკერილი მოეჩვენა; რაკი ერთ-ერთ მათგანს ეცვა, თითქოს ნაქერსაც შეეძინა იმ მოჩვენებათა ღირსება და დიდებულება, ვისი გმირული და უზარამაზოი ღანდებიც ბუნდოვნად იკვეთებოდნენ მეხთატების, კვამლას, დაფრეწილს დროშების ფონზე, ყოველივე იმის ფონზე, რითაც ახლა სავსე იყო მისი ძილიცა და ღვიძილიც.

სერთუკს იმდენი ბებკი ედო, ღამის მთლად დაქარგვოდა პირვანდელი სახე, ზოგი ტყავისა იყო, მამაკაცის უბეში ხელით დაკერებული, ზოგი კონფედერატთა ნაცრისფერი, ახლა ხმელი ფოთლებივით გაბუნებული მაუდისა, ერთი კი — ლურჯი, მუქი ლურჯი; შეერთებული შტატების მუნდირის ფერი იმ ერთის ნახვამ გული გაუჩერა, ამ უტყვ, უსახელო ნაკუწს რომ დასც-



ქეროდა. ბიჭი, დედ-მამის სიცოცხლის მიმწუხრზე გაჩენილი ბავშვი, კისი ორგანიზმიც, შვეიცარული საათივით, უკვე განუწყვეტლივ ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვდა. მოკრძალებულ, მოზეიმე შეძრწუნებას ხოლმე, მერე კი — ავად ხდებოდა.

სალამობით, ვახშობისას, ლუკმა არ გადასდიოდა უკვე სამოც წელს შიტანებული, თეფშიდან თავს რომ აიღებდა, ერთთავად შვილის მიმტერებულ თვალებს აწყდებოდა ხოლმე. ამ თვალებში კი შიშს, მოკრძალებასა და კიდევ რაღაც სხვას, გამოუცნობს დაესადგურა. „რაზე ფიქრობდიო?“ ეკითხებოდა, ბიჭი კი ვერაფერს პასუხობდა, კრინტი ვერ დაუძრა, ისეთი სახით მისჩერებოდა. თითქოს ჯოჯონეთს ჩასცქერისო. ძილიც უკრთებოდა. გაშეშებული, გახევებული იწვა ხოლმე ბნელ ოთახში, თრთოლვითაც კი არ თრთოდა, როცა კაცს, მამას, მის ერთადერთ ცოცხალ თვისტომს, ვისგანაც დროს ათწლეულობით განუზომელი მანძილით დაეშორებინა, იმდენად დაეშორებინა, ფიზიკური მსგავსებაც მოესპო მათ შორის, კედლებისა და ოთახების იქით მშვიდად ეძინა. მეორე დღეს ისევ წამოუვლიდა ხოლმე თავისებური მუცლის კვალი. ოღონდ არავის არაფერს უმხელდა, მიზეზს არავის ეუბნებოდა, არც ზანგ დედაკაცს, რომელიც ახლა საოჯახო საქმეს უძღვებოდა, დედობასაც უწყევდა და გადიობასაც. მერე ძალღონე ნელ-ნელა ისევ უბრუნდებოდა. მაშინ ჩუმად ისევ სხვენში აიპარებოდა, სკივრს გახსნიდა, სერთუქს ამოიღებდა და შეძრწუნებული, გაჩაჩხებული, სუსტი სიხარულით და ცნობისწადილით შეპყრობილი — მართლა მოეკლა თუ არა მამამისს ის კაცი, ვისი ლურჯი მუნდირიდანაც გამოეჭრა ეს ბეჭი — უბნოდ უსვამდე ხოლმე ხელს. ყველაზე მეტად კი ის ფიქრი ზარავდა, ერთდროულად როგორი გაუნელებელი და ძლიერი სურვილი და შიში დაუფლებოდა კუშმარიტების შეცნობისა. მაგრამ შიშის მიუხედავად, მეორე დღესვე, როცა ეინშე სოფლელი პაციენტის სანახავად წასულ მამას სალამობდე შინიდან გაიგულენდა. მაშინვე სამზარეულოს მიამურებდა ხოლმე და ზანგ გადიას მოსვენებას არ აძლევდა: „კიდევ მამაზე ბაბუაზე. მითხარი, რამდენი იანკი მოკლა ომშიო?“ უკვე უშიშრად უსმენდა, უსიხარულოდაც: სიამაყით გულგაბერილი.

ეს ბაბუა იყო სწორედ, თვალში ეკალივით რომ ესობოდა საკუთარ ვაჟიშვილს. არადა, შვილი ამის თქმას კი არა, გაფიქრებასაც ვერ გაბედავდა, არც თვითონ და არც მამამისს აზრადაც არ მოუვიდოდათ სხვანაირი მამა ან სხვანაირი შვილი ენატრათ. საკმაოდ მშვიდობიანი ურთიერთობა ქჟონდათ, რაც შვილის მხრიდან ცივი, სერიოზული, გაუაზრებელი პატივისცემითა და თავდაჭერილობით გამოიხატებოდა. მამის მხრიდან კი — უხეში, პირდაპირი, შეუნიღბავი იუმორით, რომელსაც უფრო მარტივი აკლდა, ვიდრე კკუა. კაცმა რომ თქვას, მეგობრულადაც ცხოვრობდნენ თავიანთ ორსართულიან, ქალაქურ სახლში, თუმცა შვილს უკვე კარგა ხანია ეთქვა უარი — მშვიდად, ერთხელ და სამუდამოდ — მისი გამზრდელი მონა ქალის მომზადებული საკმლის ჭამაზე. თავის უღუფას თვითონვე იმზადებდა სამზარეულოში, მიუხედავად შეურაცხყოფილი გადიის აღშფოთებისა, მაგიდასაც თვითონვე გაიწყობდა და მერეღა დაჯდებოდა ხოლმე სუფრასთან მამის გვერდით, რომელიც შვილის გამოჩენას ბურბონით სავსე ჭიქის მუდამ ერთნაირი, ხაზგასმულად ოფიციალური აწვევით ეგებებოდა: შვილი არც ვისკის ეკარებოდა, იმის გემოც არასოდეს გაესინჯა.



შვილის ქორწინების დღეს მამა სხვაგან გადასახლდა. ნეფე-პატარძლის დაბრუნებას პარმალზე ელოდებოდა, ხელში სახლის გასაღები ეჭირა. უკვე სამ-გზავროდ გამზადებულიყო. ქუდი დაეხურა და ლაბადაც ჩაეკვია; გვერდით ბარგი ეწყო. ზურგს უკან კი თავისი ორად ორი მონა ედგა: მზარეული ქალი და მისი ქმარი. ბაბუას პირადი ფარეში, მისი „ბიჭი“ — მთავრობის თვეთონ ეძახ-და, არადა, „ბიჭი“, მგონი, პატრონზედაც უფროსი იყო და თავზე ღერი თმაც არ შერჩენოდა. ბაბუა პლანტატორი არასოდეს ყოფილა; მთელი ცხოვრება ვეჭილობდა. თუმცა სამართალი ამასაც ისე პაიპარად ჰქონდა შესწავლილი, როგორც მის ვაჟიშვილს მედიცინა, „ზოგან მუშტით, ზოგან კრივითო“. ასე ამბობდა. ორი მილის მოშორებით, სოფელში, უკვე ეყიდა პატარა სახლი, პარმალთანაც უკვე უცდიდა მსუბუქი, ორცხენშებმული ეტლი. თვითონ კი ჯერ პარმალზე იდგა, კეფაზე ქუდმოგდებული, ფეხებგაჩახული — ახოვანი, დამცინავი, წითელცხვირა კაცი. ყაჩაღების მეთაურს რომ ჩამოჰგავდა ულ-ვაშით — და ბილიკით სახლისკენ მომავალ ვაჟსა და მანამდე თვალით უნა-ხავ რძალს უყურებდა. როცა დაიხარა და ქალი გადაკოცნა, რძალს ვისკისა და სიგარის სუნი ეცა. „მე მგონი, ივარგებო“, უთბრა, ეშმაკური, თავზე-ლი, ოღონდ კეთილი თვალებით უცქერდა „თანაც ჩვენს ფარისეველს ბევრი ხომ არც უნდა, ოღონდ კი ცოლმა კონტრალტოთი ინღეროს ის პრესვიტერი-ანული პიმნები, რასაც თვითონ მამა ღმერთიც ვერ შეურჩევს მუსიკასო“.

მამა ფოჩებთან ეტლით გაემგზავრა, ბარგიბარხანიანად, ტანსაცმლიანად, ვისკის ბოკოლიანად და მონებიანად. მზარეული ქალი საქორწილო სადილის მოსამზადებლადაც არ დარჩენილა. მისთვის არც არაფერი უთხოვიათ, არც დაუთხოვიათ. მამა სიცოცხლეში ამ სახლში აღარასოდეს დაბრუნებულა, არა-და, მისი სტუმრობა მართლა გაუხარდებოდათ. თვითონაც იცოდა ეს და ვაჟ-მაც, თუმცა ხმამაღლა არც ერთს კრინტიც არ დაუძრავს ამ საკითხზე, რძალ-საც — იმ მრავალშვილიანი ცოლ-ქმრის ნაშიერს, ვისაც ცხოვრებაში გზის გაკაფვა ვერანაირად მოეხერხებინა და, ეტყობა, ეკლესიაში ეცადა იმის ანაზ-ლაურება, რაც სუფრაზე მუდამდღე აკლდა — უყვარდა მანამთილი, უყვარ-და კი არა, არ ამხელდა, თორემ ფარულად აღტაცებულიც კი იყო: მისი ვაჟ-კაცობით, მარტივი კოდექსისადმი მისი „ლალი, უეშმაკო ერთგულებით, იმ-ვიათად ზედავდნენ, თუმცა მისი ამბავი კი ხშირად ესმოდათ: ერთხელ, მა-გალითად, სოფლად გადასახლების წლისთავეზე, მოულოდნელად იქვე, შორი-ახლო მდებარე წარაფში გამოჩენილა, სადაც, ღია ცის ქვეშ, უკვე საკმაოდ გაჭიანურებული ღვთისმსახურება მიმდინარეობდა და ერთგვირიანნი, სამოყ-ვარულო დოღისა და ჭირითის ასპარეზად უქცეუია იქაურობა. სოფლის გამბ-დარ, ფანატიკურსახეებიან მოძღვრებსაც გვარიანად შეთხელებული მრევლის თანდასწრებით ანათემისტვის გადაუციათ და, გაგულისებულებს, დაუწყვე-ლიათ ის ღვთის პირიდან გადავარდნილი, ეშმაკის მოურჩულეებელი მოციქუ-ლი, არც ვაჟიშვილისა და რძლის ოჯახიდან ფეხის ამოკვეთის მიზეზს მაღაე-და, ერთი შეხედვით, გულწრფელადაც აღიარებდა: „თქვენ მე მომაბეზრებთ თავს და მე კიდევ თქვენ, თანაც, ვინ იცის? შეიძლება ბიჭმაც შემაცდინოს, ამ საბერეში შეიძლება სამოთხე მომანატროსო“. მაგრამ მიზეზი სულ სხვა გახლდათ. შვილს ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა: სხვისგან გაგონილ ნაცილს აღბათ პირველი აუშხედრდებოდა, არადა, სხვაზე უკეთ მოეხსენებოდა, მო-ხუც კაცს არც გულისხმაურება რომ არ აკლდა და არც რიდი.

ვაჟი ლამას მანამდე იქცა აბოლიციონისტად, ვიდრე სიტყვად გარდაქმ-



ნელი ეს განწყობილება ჩრდილოეთიდან გამოჟონავდა და სხვაგანაც გავრცელდებოდა. თუმცა, რესპუბლიკელების მოგონილი ტერმინი გაიგო თუ არა, საკუთარ მრწამსს მაშინვე სახელი გადაარქვა. ოღონდ შეხედულებები განკვეთები კი მაინც იოტისოდენადაც არ შეუცვლია. უკვე მაშინ, როცა დაათი წელიც არ შესრულდებოდა, ახალგაზრდობის მიუხედავად სპარტანული ზომიერებით გამოირჩეოდა, როგორც ხშირად მართლაც მე შემთხვევისა და ბოთლის არცთუ მაინცდამაინც მიზეზიანი მსახურების ნაშეერთ. ალბათ ამიტომაც არ გააჩინეს შვილი, ვიდრე ომი არ დაბრუნდებოდა, საიდანაც შეცვლილი და, როგორც ცნობებული მამამისი იტყოდა, ცოტა არ იყოს, სიწმინდის „სურნელდაკარგული“ დაბრუნებულიყო. მართალია, ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გაესროლა თოფი, მაგრამ მისი მოვალეობა მხოლოდ კვირა დღით ჯარისკაცებისთვის ლოცვითა და ქადაგებით მაინც არ ამოიწურებოდა. შინ დაბრუნებულს კრილობა შეუზოცდა თუ არა, როგორც კი ცოტა გამოკეთდა და მომჯობინდა, მაშინვე ექიმობას მიჰყო ხელი: ქირურგობასა და ფარმაცოლოგობას, რაშიც ფრონტზე სამხედრო ექიმებს ეხმარებოდა. რის სწავლაშიც ერთნაირად, განურჩევლად შეეწყო ხელი დაქრალ მტერ-მოყვარეს. მამასაც უთუოდ ყველაზე მეტად ეს მოუბრუნებდა შვილისკენ გულს: დამპყრობელთა და ამაოხრებელთა სხეულებზე რომ გაწაფულიყო თავის ხელობაში.

„ოღონდ სიწმინდე მაინც არ არის ალბათ სწორი სიტყვაო“. ფიქრობს თავის მხრივ ვაჟიშვილის შვილი, ჩაბნელებულ ფანჯარასთან ზის, გარეთ კი, ფანჯრის იქით, დადუმებული საყვირების მიღმა, სამყარო მწვანე რინდში განაბულია. „ბაბუაც დაუფიქრებლად პირში ეცემოდა ამ სიტყვის პირველივე მთქმელსო“. ყოველივე ეს უფრო იმ მკაცრ, ჯერაც ფერგაუმკრთალ, არცთუ შორეულ დროში დაბრუნებას ჰგავდა, როცა ამ მიწაზე მცხოვრები კაცი თითქმის სრულებით არ ეკუთვნოდა საკუთარ თავს, წუთიც არ ჰქონდა ფუქვად დასაკარგი, და ის მცირედიც, რაც გააჩნდა, ერთნაირად უნდა დაეცვა და დაეფარა ბუნების ძალთაგანაც და ადამიანთაგანაც, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ნებისყოფას, საკუთარ გამძლეობას მინდობილს, რის საფასურადიც, ყოველ შემთხვევაში სააქაოში მაინც, არც შვების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა და არც მოსვენებისა. ეს იყო სწორედ მონობისა თუ მამის უინიანობისა და მკრებელობის უარყოფის თავიდათავი. როცა პარტიზანულ ომში მონაწილეობდა, იმათ მხარდამხარ იბრძოდა, ვისი პრინციპებიც მის საკუთარ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა და თან ვერავითარ უცნაურობას ვერ გრძნობდა, არავითარი უცნაურობის შემჩნევა არ უნდოდა, უკვე მარტო ამით ადასტურებდა თვალნათლივ მის არსებაში ორი სხვადასხვა, ოღონდ მტკიცე ხასიათის ადამიანი რომ ჩაბუდებულიყო, რომელთაგანაც ერთ-ერთი იმ სამყაროში სახლობდა მარტივი კანონების კარნახით. სადაც სინამდვილისთვის ადგილი არ დარჩენილიყო.

მაგრამ მეორე, ნამდვილ გარემოში მოხვედრილი, სხვა დანარჩენებით და ბევრზე უკეთესადაც ეგუებოდა ყველაფერს, არც მშვიდობიანობის დროს უღალატია თავისი პრინციპებისათვის და არც მეორე, ომში წასულს შეუცვლია მრწამსი; როცა მშვიდობიან კვირა დილას, სადმე მყუდრო წარათში ქადაგება ჰქონდა ხოლმე წასაკითხი, მიდიოდა და კითხულობდა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ნებისყოფით, საკუთარი რწმენითა და გზადაგზა შეძენილი ცოდნით აღჭურვილი; როცა ცეცხლის წვიმიდან დაჭრილების გამოყვანა, ამა-



თი გადარჩენა და მკურნალობა უბედობდა შიშველი ხელებით. ამ საქმესაც საკუთარი ძალღონის, საკუთარი სიამამისა და გზადაგზა, სახელდახელოდ შეძენილი ცოდნის წყალობით ართმევდა თავს. როცა ომი დამარცხებით დასრულდა, როცა შინ დაბრუნების შემდეგ სხვები ჩიუტად მისჩიუებოდნენ, ჩიუტად არ ამორებდნენ თავს იმას, რისი სიკვდილისა და მტკიცების დაგერებაც არამც და არამც არ სურდათ. ის, პირიქით, მტკიცებით სტკიცობდა. ცდილობდა. დამარცხებიდანაც კი რამე სარგებლობა ენახა და რამენაირად ცხოვრებაშიაც გამოეყენებინა ომში დაგროვილი გამოცდილება. ასე იქცა ექიმად. მისი ერთ-ერთი პირველი პაციენტთაგანი მისივე ცოლი გახდა, შეიძლება, მართლა გაუხანგრძლივა კიდევ სიცოცხლე. ყოველ შემთხვევაში, ახალი სიცოცხლისათვის მიაცემინა დასაბამი. თუმცა ბავშვის დაბადებისას თვითონ ორმოცდაათისა შესრულდა, ცოლი კი ორმოცს იყო გადაცილებული. და აი, ეს ბავშვი ლანდების გარემოცვაში ცხოვრობდა და სულის გავლენით იზრდებოდა.

ლანდები მამა, დედა და ზანგი დედაბერი გახლდნენ. მამამ უეკლესით მღვდელმა და უმტერო ქარისკაცმა. დამარცხების შემდეგ ორი ამ ცნების გაერთიანება მოახერხა და ექიმად, ქირურგად იქცა. თითქოს იმ ცივსა და ურყევ რწმენას, რომელაც ასე ვთქვათ, წელგამართულს, ქედუბრელს ანარჩუნებინებდა წონასწორობას პურიტანსა და მეომარს შორის, ექვი ან შიში კი არ შეჰპარვოდა, პირიქით, მეტი სიბრძნეც შეეძინა დროთა განმავლობაში. თითქოს ზარბაზნების კვალმა, როგორც ჩვენებამ თუ გამოცრადებამ, უეკრად თვალი აუხილა და დაარწმუნა, ბელთდასხმა მხოლოდ პირდაპირ, მხოლოდ სიტყვასიტყვით უნდა გაეგოს კაცმაო. თითქოს მხოლოდ მაშინ ჩასწვდა ქრისტეს ნათქვამის ქეშმარიტ არსს და დაიჭერა, არავინ, არც ერთი კაცი რომ არ ღირდა წაშლობად და გადარჩენად, ვისაც მარტოოდენ სული საკიროებდა წაშლობას, აი, ასეთი გახლდათ ერთი ლანდი. მეორე ლანდი დედა იყო, დედის გახსენებისას მუდამ გაღეული სახე, უშველებელი თვალები, ბალიშზე გადაფენილი შავი თმა და ცისფერი, უძრავი, გაძვალტყავებული ბელები უდგება ხოლმე თვალწინ, ბავშვობიდან დღემდე. დედის გარდაცვალების დღეს ვინმეს რომ ეთქვა, ოდესღაც ლოგინიდან წამომდგარიც გინახავსო, არასდიდებით არ დაუჯერებდა. არადა, მოგვიანებით მართლა ბევრი რამ გაახსენდა: თურმე ახსოვდა, როგორ დადიოდა, როგორ საქმიანობდა, როგორ უძღვებოდა საოჯახო საქმეს, ოღონდ, სანამ რვა, ცხრა, ათი წლისა იყო, დედა სულ უფეხებო, უტერფებო არსებად ჰყავდა წარმოდგენილი; გაღეულ სახედ და ვეება თვალეზად, რომელნიც თითქოს დღითი დღე სულ უფრო და უფრო დიდდებოდნენ, ალბათ ლამობდნენ. ყოველივე ხილული, ყოველივე ცოცხალი ერთ უკანასკნელ, საშინელ, იმედის გაცრუებით, ტანჯვით, ყველაფრის წინასწარ ცოდნით სავსე მზერაში მოემწყყდიათ და როცა მართლა ასე მოხდებოდა, ვგონა, ხმასაც გაიგონებდა: ეს მზერა ყვირილივით შემზარავსა და ყურისწამლებ ხმას გამოსცემდა. დედის სიცოცხლეში ბევრჯერ კედლის იქიდანაც უგრძენია მისი თვალების ძალი. თვალები სახლად ქცეულიყვნენ: ისიც ამ სახლში ცხოვრობდა. ჩასაქრობად განწირული სიცოცხლის ამ ბნელ, ყოვლისმომცველ, ყოვლისმომომენ ახარეკლში, ისიც და დედამისიც, ორივე, ორი პატარა, უმწეო, ბუნავსა თუ გამოკვაბულში განაბული მხეცა, რომლებსაც დროდადრო, მამაც მიაკითხავდათ ხოლმე — ორივესათვის ერთნაირად უცხო, გარეშე, ლამის საშიში კაცი: ასე სწრაფად უცვლის სახეს, ასე სწრაფად ცვლის სულს სხეულის სიმრთელე და სიჯანსაღე; უცხოზე მეტიც: მტერი, მამას სუნაც სხვა-



ნაირი, აქონდა. სხვანაირი ხმით ლაპარაკობდა, სხვა სიტყვებითაც, რადგან, ეტყობა, სხვა გარემოში, სხვა სამყაროში ბანადრობდა; დედის საწოლთან მობუზული ბიჭი გრძნობდა, როგორ ავსებდა ხოლმე ოთახს მამის სანამდ-ვილესი მათსავით უსუსური და სასოწარკვეთილი კაცის, უხეშ ქანმრთელობა და გაუცხოებინებელი, უსაგნო ზიზღი.

უჩინეული

მესამე ლანდი ზანგი დედაბერი იყო, მონა ქალი, რომელიც ვა-ემგზავრა იმ დილას, როცა ვაჟიშვილი და რძალი ჭვარდაწერილი მობრუნ-დნენ შინ. მაშინაც მონა იყო და მერეც, როცა ბნ-ში უკან დაბრუნდა, ახლა უკვე ფეხით — ზოხზროხა ქალი. სახეზე ერთსა და იმავე დროს ფხუკიანო-ბაც რომ ეწერა და სიმშვიდეც, ტრაგედიის შავი ნიღაბი წარმოდგენის ორ სურათს შორის, თავისი პატრონის სიკვდილის მერე, ვიდრე საბოლოოდ არ გადაეწურა იმედი, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს არ დარწმუნდა, ველარასო-დეს ვნახავ ვერც იმას და ვერც ჩემს ქმარსო — „ბიქს“, პატრონს რომ გაპ-ყოლოდა ომში და ისიც უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო — ცოცხალი თავით არ სურდა უფროსი პაითაუერის სოფლური სახლის მიტოვება, რომლის მოვ-ლა-პატრონობაც, ომში წასვლის წინ, პატრონს მისთვის ჩაებარებინა, მამის სიკვდილის შემდეგ ვაჟმაც ჩააკითხა, სახლის დასაკეტად, მამისეული ნივ-თების წამოსაღებად, და შესთავაზა, რითიც გინდა უზრუნველგყოფ სიცოცხ-ლის ბოლომდეო, ქალმა უარი უთხრა, არც შინ გამოჰყვა, თავისი ხელით მო-იწყო პატარა ბოსტანე და იქ დარჩა, მარტოდმარტო; ქმრის დაბრუნებას ელო-დებოდა, არაფრით იჭერებდა იმის დაღუპვის ამბავს, ქორად გაეგო ეს ამ-ბავი, ყურმოკვრით: როგორ დაღუპულა პატრონი ჭეფერსონში, გრანტის საწყობებზე ვან დორნის მხედრობის თავდასხმისას და როგორ დაუტოვებია ობლად თავისი უნუგეშო ზანგი, მერე, ერთ ღამესაც, თურმე ზანგი ბანაკი-დან გამქრალა, ცოტა ხნის მერე კი ყველა ვიდაც შეშლილ ზანგზე ალაპარაკ-და, რომელიც თურმე მტრის ფრონტის ხაზთან კონფედერატთა ხან ერთ პი-კეტს გადაეყრებოდა ხოლმე და ხან მეორეს და ჭიუტად ერთსა და იგივე აბდაუბდას უამბობდათ — დაკარგული პატრონის ამბავს, რომელიც იანკებს შეეპყროთ და ახლა დიდ გამოსასყიდს ელოდებოდნენ, ოდნავი ექვიც კი ვერ გაუღვივებს, ეგება მოკვდა შენი პატრონიო, „არა, სერო“, გაიძახოდა, „მასა გეილი? აბა რას ამბობთ?! პაითაუერის მოკვლას ვინ გაბედავდა, სადღაცა ჰყავთ დამწყვდეული, უნდათ გამოსტეხოთ და ათქმევინონ, სად დავმალეთ მე და იმან ქალბატონის ნაქონი ყავადანი, და ოქროს ლანგარი, ეგ არის და ეგო“, ყოველთვის ახერხებდა თავის დაძვრენას მაგრამ ერთ დღესაც ხმა გა-ვარდა, მტრის პოზიციების შორიანლოს ნიჩბით შეიარაღებული ზანგი იან-კების ოფიცერს დაესხა თავს და იმანაც ესროლა, რა ექნა, თავს ხომ ვერ მოაკვლევინებდაო.

ქალი კარგა ხანს არ იჭერებდა, „განა ჰკუა დაუშლიდაო“, ამბობდა, „უბრალოდ, ტვინიც არ ეყოფოდა, იანკი ეცნო და ნიჩაბი მოვლერებინა, გინ-დაც მართლა გადაყროდა სადმეო“, წელიწადზე მეტხანს იმეორებდა ერთსა და იგივეს, მერე, ერთ დღეს, ისევ გამოჩნდა პატრონისეულ ძველ კარმიდა-მოში, საიდანაც ათი წლის წინ ამოეკვეთა ფეხი და საითაც მერე ერთხე-ლაც აღარ გამოებდა, მოდიოდა, თავისი ავლადიდება ხილაბანდში გამოკრული მოჰქონდა, შინ შევიდა და თქვა: „აი, მოკვდი, დაჩეხილი გაქვთ შეშა, ვახ-შამი რომ მოგიმზადოთ“.

„შენ ახლა თავისუფალი ხარო!“ უთხრა პატრონის ვაჟიშვილმა.



„თავისუფალი?“ გაიმეორა ქალმაც. მშვიდი, ფიქრიახი ზიზლით ლაპარაკობდა. „თავისუფალი? რა მომცა მაგ თქვენმა თავისუფლებამ იმის მეტი, მასა გეილი რომ შეიწირა და პომპიე იმაზე მეტად გამოახუტდა, ვიდრე მამა ღმერთსა ჰყავდა გაჩენილი? თავისუფალი კრინტიც აღარ დაძრავს ჩემთან თავისუფლებაზეო“.

ეს იყო მესამე ლანდი. ამ ლანდთან ბიჭი („მაშინ თქვენს ციხეში“), ფიქრობს ახლა ბნელ ფანჯარასთან მიმჯდარი იგივე ბიჭი) სულის შესაბებ საუბრობდა. უსასრულოდ. გაუთავებლად ლაპარაკობდნენ: ბიჭი ალტაცებული, ძვლებგაბრწყინებული, ერთდროულად შეშინებულიცა და გაბარებულიც. ბებერი ქალი კი ფიქრიახი, გაათრეებული სინანულითა და სიამაყით შეპყრობილი. თუმცა ეს შიშიც უფრო სიამოვნების ურუანტელს ჰგავდა. ოდნავადაც არ აძრწუნებდა იმის ცოდნა, ბაბუამისი თურმე „ასობით“ რომ ხოცავდა ხალხს — ასე ეუბნებოდნენ, ასე სჯეროდა. — სრულებით არ უკვირდა; სანამ თავის წილ ტყვიას მიიღებდა, მოხუც პომპსაც მოსაკლავად რომ გაეწია ვიღაცაზე. ზანგი ქალის ნაამბობი საშინელებად არასოდეს მოსჩვენებია, რადგან ბაბუაცა და პომპიე მისთვის უბრალოდ სულელები იყვნენ, თვალთ უხილავი, უხორცო, გამირული, მარტივი, მახლობელი სულელები; აი, მამა კი, ასეთი ნაცნობი, ასეთი უცხო და ასეთი საშიში, ლანდი იყო და სიკვდილიც არ ეწერა. „რალა გასაკვირია, ერთი თაობა თუ გამოვტოვეო“, ფიქრობს ის ბიჭი ახლა. „რალა გასაკვირია, მამა — თუ არ მყოლია და მანამდე მოვკვდი, ერთ ბნელ ღამეს, ოცი წლით ადრე, სანამ სამზეს მოვევლინებოდიო, ამიტომაც, თუკი ხსნა და გადარჩენა მინდა, იქ უნდა დავბრუნდე, იქ უნდა მოვკვდე ზელახლა, სადაც ჩემი სიცოცხლე დაწყებამდე დასრულდაო“.

პირველ ხანებში, როცა ჯერ ახალი დაწყებული ჰქონდა სემინარიაში სწავლა, ხშირად უფიქრია, როგორ გაუმჩნელდა თავის გულისნადებს ეკლესიის მამებს, დიდებულ და კურთხეულ ადამიანებს, ვისაც საკუთარი ნებასურვილით მინდობოდა. მივიდოდა და ეტყოდა: „მისმინეთ, უფალმა უთუოდ ჯეფერსონში უნდა მიხმოს, რადგან იქ, სწორედ ჯეფერსონის ერთ-ერთ ქუჩაზე შეწყდა ჩემი სიცოცხლე, ტყვიამ დაუსვა წერტილი გატყენებული ცხენის უნაგირზე ერთ ღამეს, ოცი წლით ადრე, ვიდრე დაიწყებოდაო“. თავიდან ფიქრობდა, მოვახერხებ ყოველივე ამის თქმასო, სჯეროდა — გამიგებენ კიდევაცო. აკი მოწოდებაც ამიტომ, ამ მიზნით აერჩია მხოლოდ. თუმცა ურწმუნოც არ ეთქმოდა. ეკლესიისა გულით სჯეროდა, სჯეროდა ყველაფრისა, რასაც ეკლესია ასწავებდა და აცოცხლებდა. მშვიდი სიხარულით გაბარებულს მკაცრად სწამდა. თუკი საერთოდ არსებობს კაცთათვის თავშესაფარი, ეს თავშესაფარი მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიააო; თუკი სადმე შეუძლია სიმართლეს დაუმორცხვებლად და უშიშოდ შიშვლად სიარული, მხოლოდ და მხოლოდ სემინარიის კედლებში შეუძლიაო. და როცა არჩეული მოწოდების სისწორეში რწმუნდებოდა, თითქოს თვალნათლივაც ზედავდა ხოლმე მომავალს, მომავალ ცხოვრებას, მყარს, კლასიკური ლარნაკივით ყოველმხრივ სრულყოფილსა და გაუბზარავს. ამ ცხოვრებაში ყოველდღიური ფუტი და ამოქარიშხლებისგან დაცული სული ზელახლა დაიბადებოდა და ასევე მოკვდებოდა კიდევ — მშვიდად, შორეულ, ამოოდ დაშვრალი ქარის ხმაურში, მხოლოდ და მხოლოდ ერთ ჰემე გახრწხილ მტვერს, განშორებულს, აი, რას ნიშნავდა მისთვის სიტყვა სემინარია: საიმედო და შეუვალ კედლებს. სადაც



მშფოთვარე, საპროსით შეაბრკილი სული ხელახლა მიეჩვეოდა უღრტვიზვე-  
ლობასა და საკუთარი სინაშელის თამბად, ძრწოლის გარეშე ცქერას

„მაგრამ ბევრი რამ ხდება ზეცად და ქვეყნად, რაც სიმაართლეს სწავლად არც კი მოლანდებია“. ფიქრში ცვლის, ფიქრში ასხვაფერებს ნაცნობ სიტყ-  
ვებს, მშვიდად, არც დამკინავად და არც მხიარულად; თუმცა მისი მსჯელობა და ცინიზისა და მხიარულების გარეშე, ისევ ფანჯარასთან ზის, მისი მსჯელობა  
ბანდიასი თავი ჩამუქებულ ბინდბუხდში ილანდება და თითქოს უფრო გაზრ-  
დილა, უფრო მეტად დამსგავსებია მოჩვენებას, ვიდრე თდესმე. „სამდვი-  
ლად ბევრი რამ ხდებაო“, იმეორებს, ფიქრობს — ეტყობა, გამომგონებლო-  
ბის უნარი საიმისოდ მიეცა კაცს, რათა გარდატეხისა და ძნელბედობის ეამს  
სიმაართლისაგან თავდასაცავი საბეები და ჩმები მოიშველიოსო, ასეა თუ  
იხე, ერთი რამ მაინც არ დარჩენია სანანებლად: შეცდომა არ მოსვლი- და  
საკუთარი გულისნადები სემინარიის მესვეურთათვის არ გაუმხელია, ჯერ  
სწავლის ერთ წელიწადსაც არ გაევილო, როცა მიხვდა, რა გამოუსწორებელი  
სისულელის ჩადენას აპიობდა თავიდან, თუმცა უარესი სხვა იყო: მასვე-  
დრამ არამეტყუ არაფერი დააკარგვინა, პირიქით, რაღაცას გადააოჩინა და  
რაღაც შესძინა კიდევ, და სწორედ ამ შენაერთმა სულ სხვა ჩასიათი და  
ელფერი მიანიჭა მის სიყვარულს.

მღვდლის, კოლეჯის ერთ-ერთი მასწავლებლის დედისერთა ქალიშვილი  
შეუფვარდა, ვიდრე ნახავდა, ვიდრე ჯერ მხოლოდ სხვათა ნაამბობით იცნობ-  
და, უკვე მაშინ ირწმუნა უყოყმანოდ მისი სილამაზე, ბოლო როცა თავათო-  
ნაც გაიცნო, როცა ბოლოს და ბოლოს თვითონაც ხახა, თვალწინ მაინც ისევ  
წარმოსახული, ოცნებით წინასწარ შექმნილი ხატება ედგა და ათა სატრფოს  
ნამდვილი სახე, უბრალოდ, მისი ღრმა რწმენით, შეუძლებელი იყო ვინმეს  
მთელი ცხოვრება ამ კედლებში გაეტარებინა და მშვენიერი არ ყოფილიყო, სა-  
მი წელი იარა ასე დაპრმავეზულმა, იმ დროისათვის უკვე ორი წელიწადი  
იყო, რაც ხის ფუღურთში ერთმანეთს ბარათებს უტოვებდნენ, არასოდეს  
დაფიქრებულა, თორემ უეჭველად იტყოდა, ორივეს ერთდროულად გაგვიჩნ-  
და ამის მოთხოვნილებაო, ერთდროულად დაგვებადა აზრი და რა მნიშვნე-  
ლობა აქვს, პირველმა ვინ თქვა ჩამამალაო, არადა, სინამდვილეში, იდგა  
წიგნმა უკარნახათ, წიგნმა ჩააგონათ ერთსაც და მეორესაც, საბეს კი ჯერ  
ისევ და ისევ ვერ ხედავდა, ვერ ხედავდა პატარა, ხელისგულისოდენა თვალს,  
რომელიც უცებ, მკვეთრად ვიწროვდებოდა ნიკაბთან და ვერ იტყოდი, უფ-  
რო უკმაყოფილებას გამოხატავდა თუ ეინიანობას (სატრფო მასზე ერთი,  
ორი ან იქნებ სამი წლითაც უფროსი იყო, თუმცა ეს ვერც თავის დროზე  
შეიტყო და უკვე ვერც ვეღარასოდეს შეიტყობდა), სამი წელი არ შეუშჩ-  
ნევი, მოგების იმედგადაწურულ მოთამაშესავით როგორი დამაბული მოლო-  
დინით, ლამის სასოწარკვეთილი ანგარიშით შესცქეროდნენ მისი თვალები.

მერე, ერთ დამესაც, თვალი აებილა, ბოლოს და ბოლოს, პირველად და-  
ინახა, ქალმა მოულოდნელად და დაურიდებლად ქორწინებაზე ჩამოუგდო  
სიტყვა, გაუფრთხილებლად, ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე, მანამდე  
ქორწინებაზე არასოდეს ულაპარაკიათ, თვითონ ფიქრითაც არ უფიქრია, აღ-  
ბათ სიტყვა „ქორწინებაც“ აღარ ახსოვდა, თუმცა მისი წინააღმდეგობა არ  
ყოფილა, რადგან ხედავდა, პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა ცოლ-  
შვილიანი ხალხი იყო, უბრალოდ, ცოლქმრობა მისთვის მამაკაცისა და ქალის  
ღვთითკურთხეულ, ბუნებრივ ფიზიკურ სიაბლოვეს კი არ ნიშნავდა, არამედ



ყოცხალ არსებათათვის დაწესებულ ჩვეულებად ქცულ მკვდარ ურთიერთობას — ჩაქვის ჩრდილით გადაჩაქველ ორ ჩრდილს. ამას მისჩვეოდა კიდევ: აქი ლანდებისა და სულების გარემოცვაში იზრდებოდა და აი ერთ საღამოსაც ქალმა მოულოდნელად, გაცნარებით დაიწყო ლაპარაკი, როცა ბოლოს და ბოლოს მის ნათქვამს ჩასწვდა. როცა მიხვდა, რომ მისი სიმბოლოა ამჟამინდელი ცხოვრებისაგან გათავისუფლებაში, ან მტკიცე სიყვარულია. მეტისმეტად მიაშიტი იყო და იმითომ, „გათავისუფლება?“ კითხა ქალს: „რისგან გინდა გათავისუფლება?“

„ამისგან!“ უპასუხა ქალმა. მაშინ პირველად დაინახა ქალის სახე. ცოცხალ სახედაც პირველად აღიქვა. წადილისა და სიძულვილის წინ აფარებულ ნიღბად: დაძაბული, ბრმა, ეინსაყილილი, ოღონდ არა უაზრო: მბოლოდ ბრმა, ვახუსკელი და სასოწარკვეთილი. „ყველაფრისგან! ყველაფრისგან!“

სრულებითაც არ გაჩქვირებია, მაშინვე ირწმუნა მისი სისწორე, იმასაც მიხვდა, მე აქამდე არაფერი ვამეგებოდაო, დაიჯერა, მთელი ამ ხნის მანძილზე სულ არასწორი წარმოდგენა მქონდა სემინარიისზეო, არასწორი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ყალბი, მკვდარი მაინც. შეიძლება თვითონ არც იცოდა და ამ დროისათვის უკვე საკუთარ თავშიც შეჰპარვოდა ეჭვი, შეიძლება ამიტომაც არ გაუშხილათ, რად მიილტვოდა ასე ძლიერ ჯეფერსონისაკენ. ქალს კი უამბო, ერთი წლის წინ უთხრა, რატომ სურდა, რატომ იყო ვალდებული, მაინცდამაინც ჯეფერსონში წასულიყო და არც ის დაუმალია, როგორ აპირებდა სემინარიის მესვეურთათვისაც გაენდო წასვლის მიზეზი, ის კი ჯერაც მისთვის უჩინარი თვალებით მისჩერებოდა. „გგონია, არ გამოიშვებენ?“ კითხა ბოლოს. „არ შემიწყობენ ხელს? უსაფუძვლოდ ჩათვლიან ჩემს მიზეზს?“

„რა თქმა უნდა“, უპასუხა ქალმა.

„კი მაგრამ, რატომ? ეს რომ სიძარტლეა, შეიძლება სულელური, მაგრამ სიძარტლე, მაშ რილასთვისაც ეკლესია, თუ არა სიძარტლეს მოწყურებულ სულელთა დასახმარებლად? რატომ არ უნდა გამოიშვან?“

„მე რომ ვიყო იმათ ადგილას და ჩემთვის რომ გეთქვა ეგ მიზეზი, არც მე გაგიშვებდი“.

„ჰოო“, თქვა მან, „გასაგებია“. მაგრამ, სინამდვილეში, ვერაფერსაც ვერ მიხვდა, უბრალოდ, ბრმად ირწმუნა მისი ნათქვამი, რადგან, ეტყობა, ბოლომდე არც საკუთარ სიძარტლეში ყოფილა დარწმუნებული, პოდა, როცა ერთი წლის მერე ქალი მოულოდნელად ერთნაირი, ერთი და იგივე სიტყვებით აღაპარაკდა ქორწინებაზეც და გათავისუფლებაზეც, არც გაჩქვირებია და არც სწყენია, მხოლოდ მშვიდად გაიფიქრა, „აი, თურმე რა ყოფილა სიყვარული, ახლა გასაგებია, ეტყობა, ესეც მეშლებოდაო“ იგივეს ფიქრობდა, რაც ადრეც ეფიქრა, რასაც ეკლავაც აფიქრებდა, რაც საერთოდ ყოველ მამაკაცს უფიქრია თავის დროზე: ცხოვრებასთან შედარებით, რაოდენ ყალბი, რაოდენ მკვდარი აღმოჩნდება ხოლმე თუნდაც ყველაზე ბრძნული წიგნიო.

ერთბაშად, თავფეხიანად შეიცვალა მერე ქორწილის გეგმებიც დააწყვეს, ახლა უკვე იცოდა, მთელი ამ ხნის მანძილზე უხედავდი სასოწარკვეთილ ანგარიშს ქალის თვალებშიო, „შეიძლება, მართლებიც იყვნენ, როცა სიყვარულს წიგნებში მიუჩინეს ბინაო“, ფიქრობდა მშვიდად, „შეიძლება სხვაგან არც არსად შეუძლია სიყვარულს არსებობაო“, სასოწარკვეთა და მო-



ლოდინა ჯერ მაღალ არ გამქრალიყო. მაგრამ ახლა, როცა გარკვეული გეგმები დაისახა, როცა ქორწინების დღეც დაითქვა, ქალის თვალებმა შეტისიმშვიდე შეიძინეს. უპირატესად მხოლოდ ანგარიშიღა დარჩა მათმა უმთავრეს საზრუნავად მისი კურთხევა იქცა. რამუნაობად სწოლოდ ჩვეუროსონში მისი გამწყვება „ჯობია, დაუყოვნებლივ შევუდგეთ ქორწინებას“ ამბობდა ქალი. ოთხი წლისა რომ გავიდა, ამ საქმეს მაშინვე დაიწყეს უთარა. შეიძლება ჩუმობდა კიდევ, თავს იწონებდა. მაგრამ ქალმა არ აცალა, მასუბიე არ აღირსა. მოუთმქელოდით შეპყრობილმა, გაბრაზებულმა შეაწყვეტინა სიტყვა და თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო, ისევ მოპყვა. ვინ უნდა უნახავ პირველ რიგში, ვისი მოთაფლვე აჯობებდა, ვისი კი — დაშინება. დამცირებისა და შეთქმულებას მთელი კამბახია დაუხატა თავიდან პოლომდე. ასიც უსმენდა: საბეზე ულოხო, ეშმაკური, დამცინავი ან, იქნებ, სასოწარკვეთილი ღიმილი შეპყინვოდა. „პო, სო, გასაგებია, მესმისო“, ჩაურთავდა ხოლმე დაბნეულად თითქოს ამბობდა პო, გასაგებია, ახლა მართლა გასაგებია, აი თურმე როგორ კეთდება საქმე, აი თურმე როგორ აღწევენ საწადელს, ასეთი უოფილა წესი, ახლა კი გასაგებია

თავიდან, როცა დემაგოგიამ, დამცირებამ, პატარ-პატარა, წვრილმანმა ტყუილებმა საეკლესიო იერარქიის მხრიდანაც პატარა ტყუილები, თხოვნისა თუ რჩევის ფორმით შენიღბული აშკარა მუქარა გამოიწვია, რაც, ბოლოს მაინც მისი ჯეფერსონში გამწყვებით დასრულდა. ერთი პირობა დაავიწყდა კიდევ, რა ფასად მიუღწია საწადელისათვის, არ გახსენებია, ვიდრე ჯეფერსონში არ ჩავიდა; ყოველ შემთხვევაში, მუხავრობის უკანასკნელ ეტაპზე ნამდვილად არ ახსოვდა, მაშინ როცა მატარებელი ცხოვრების საბოლოო მიზნისკენ, ცხოვრების გეორგვიისისაკენ მიაქახებდა, ბავშვობიდან ნაცნობ მიდამოში მიქროდა. ოღონდ ეს მიდამო მაინც სხვაგვარად გამოიყურებოდა და ამ სხვაობის მიზეზი, როგორც თვითონ ფიქრობდა, გარეთ კი არა, ჭაგონის ფანჯრის შიგნით იყო საძებარი. იმ ფანჯრისა, რომელზედაც ბავშვივით მიეკეცილია ცხვირი, გვერდით კი ცოლი ეჯდა და მოლოდინსა და სასოწარკვეთასთან ერთად საბეზე ჯერაც უცხოობა ხალისიც დასთამაშებდა. უკვე თითქმის ექვსი თვეა ცოლ-ქმარი ერქვათ, სემინარია დაამთავრა თუ არა, მაშინვე იქორწინეს იმ დღიდან მოყოლებული, ცოლის სახეზე ერთხელაც აღარ უნახავს აშკარა სასოწარკვეთა, აღარც სასოწარკვეთა და აღარც ყინი, ორივე გამქრალიყო, და ისიც მშვიდად ფიქრობდა, არც გაოცებული და არც მაინცდამაინც ნაწყენი: გასაგებია, ეტყობა, ასე უოფილა საჭირო, ეტყობა, ესაა ქორწინება, პო, ახლა კი გასაგებია

მატარებელი მიქროდა, ფანჯრის შერბილი, ფანჯრის, აქით შურდულივით ჩაქროლილ სოფლურ ძეგლებს მიშტერებულო, ბავშვივით აღტაცებული, ბავშვურად ბუდნიერი ხმით ლაპარაკობდა: „აღრაც შემეძლო ჯეფერსონში ჩამოსვლა, ნებისმიერ დროს, მაგრამ არ ჩამოვსულვარ, როცა მოვისურვებდი, მაშინ წამოვიდოდი, იცო, ღიდი განსხვავებაა მშვიდობიანობისა და ომიანობის დროინდელ შემთხვევითობებს შორის, თუმცა განა ყველაფერი ომიანობის დროინდელი შემთხვევითობით არისნება? არა, მათი საქციელი განწირულთა ბოლო გაბრძოლებას უფრო ჰგავდა, ერთი მუქა ჩარისკაცებმა (ოფიცრობას ვერ მიაღწია: მე, მგონი, ერთადერთი, რაზეც მაშა და მოსუცი სინტი არ ვამათობდნენ, ეს იყო ბაბუას წილზე ხმალი არ ერტყაო, ყველაზე წინ კი დააგელვებდა ცხენს, ოღონდ ხმალს კი ნამდვი-







ნას, ფლოქვების თქარათქურს. წითლად მოკაშვანე ცისკენ ახლდნენ თითქოს თავზარდაცემისგან გაშვებულ ხეებს და სააღრიბის წაწვეტილ თავეებს — აფუოქებულ და განწითულ მიწის დაკბილ და კაოთის კარდის მოფარებულ ადგილას ავრიან თავს. გრძნობ, ვაჟის სიბნელეში როგორ ძლივძლივობით მოკებენ ცნებებს: ათაღი კბილუნებს, ისმის სურჩევთუხუჩულო, მძიმე სუნთქვა, ჭერაც მოწვევა მხიარული ხმები: საბჭო-საქართველო ერთების მათწყებელი საყვრელბისკენ ქენებ-ქენებით ჩაქროლენს ჯარი, ეს უნდა გაიგონო, უნდა იგრძნო: მერღა დაიხაზე, ვიდრე თოფი იგრიალენდეს, მანამდე დაინახე წამოეო წითელ გაელვებას, რომელიც მოულოდნელად გაანათებს ცნებების დაფეთებულ თვალებს, დაბრულ ხესტოებს, ოფლით დაცვარულ ადაგდებულ თავებს; ლითონის ათინათს, გაფითრებულ, ჩამოშხმარსაბეებს ცოცხალი საფრთხობელებისა, ვისაც აღარც კი ახსოვთ, უკანასკნელად როდის ქამეს ძლომაზე, ზოგე შეიძლება უკვე ჩამოქვეითდა კიდეც შეიძლება ვილაც საქათმეშიც შევიდა — და ამას ყველაფერს მანამდე ხედავ ვიდრე სანადირო თოფი იგრიალენდეს: მერე ასევე წყვილად ისადგურებს ირგვლივ, ერთადერთებულ გავარდა თოფი, და რა თქმა უნდა, მაინცდაძაინც იმას უნდა შეეშვირა ტყვიისთვის თავით, ამბობდა ბოლმე სინტი, „წიწილებს იპარავდა, ასაკოვანი კაცი, ცოლიასე კაეიშვილის პატრონი, ომში იანკების საელეტად წავიდა, არადა, ვილაცის საქათმეში მოკლას, შელიასაფაიო“, წიწილებს იპარავდა“, ბავშვივით ხმაბლლა ლაპარაკობდა, აღფრთოვანებას ვერ მალავდა. **ჩჩჩუუუ! ჩჩჩუუუ!** ხალხი გიუურებს მკლავზე ებლაუქებოდა ცოლი, მაგრამ არაფერი ესმოდა, არაფერი უყურებოდა, მისი, გამხდარი, ავადმყოფური სახე და მისი თვალები თითქოს რაღაც მხურვალე შექს ასნივებენ, ჰო, ასე იყო, არაფერ იცოდა, ვინ ისროლა, ვერც გაიგეს, არც უცდიათ, გარკვევა, შეიძლება ქილმაც ესროლა, აღბათ ეინმე კონფედერატი ჭარისკაცის ცოლმა, მე მოძწონს ასე ფიქრი ასე უფრო ლამაზია ნებისმიერი ჭარისკაცი შეიძლება მოკლას მტერში, გაფურცებულ ბრძოლაში, ომის კანონმდებლებისა და მეუფეების მოწონებული იპილით, ანდა ქალმა საძინებელ ოთახში, ოღონდ არა სანადირო თოფით, არა საფანტით, არა საქათმეში ჰოდა, მაშ განა გასაკვირია, ეს ქვეყანაც უმთავრესად მკვდრებით თუა დასახლებული? რა თქმა უნდა, იმათი შთამომავლობის მემხედვარე, ღმერთსაც აღარ ეთავილება ჩვენთან წილის გაყოფა

-გაჩუმდი! ჩჩჩუუუ! ველო ჩვენ გვიუურებს!

მატარებელი ნელ-ნელა შედარდა ქალაქში: ფანჯარაში ქუჩვიანი გარეუბნები მისრიალებდნენ და უჩინარდებოდნენ, ის ისევე ვარდა იყურებოდა — გამხდარი, ოღნავ დაუდევარი, ჭერაც საკუთარი მოწოდებისა და დანიშნულების დაუბინდავი შექით განათებული კაცი — მოუთმენლობისგან საგულედან ამოსახტომად გამზადებული გულის დაშვიდებას, ჩაბრუნებას, დაოკებას ცდილობდა და ფიქრობდა, საშოთხესაც უიკველად ნებისმიერი იმ სოფლის, გორაკისა თუ ქობახის ფერი და იერი ექნება, რაზეც მორწმუნე ამბობს. ა. ჩემი სახლი და სამშობლოო, მატარებელი გაჩერდა: ფეხათრევით გაუყვა სკამებს შორის ვიწრო გასავლიოს, ყიყრამორეცალი, მალიმალ ისევე უკან, ფანჯრისკენ იკეირებოდა და როგორც უნა ბაქანზე ჩამოვიდა, სადაც ნაძალადევად, ზოდოლობის გამო მომლიძარი, შედიდური, დაძაბული სახეები ელოდებოდნენ: ჩუროჩული, დაუბოლოვებული ფრაზება, ბოლომდე გაუგებარი სიტყვები ეგებებოდნენ — თევაზიანი, მაგრამ ვერ მაინც არაფ-





რის 2-მედილი სარტყვენი, ჯერ კიდევ არამეგობრული და სიძმართლის თვალ-  
 ვერ მოუხედავს ექვიანი. „და მე დავთახხმდი ამას.“ ფიქრობს, „ჩამდ-  
 ვილად დაუთახხმდი“ - უღონდ, უღმერთო, შეძინდე და სხვა... ჩა-  
 მიდენია“. მიწა თანის აკარ ჩანს, მთლიად გაუჩინარდა. რამდენ საბოლოოდ  
 მოიკრიათა ძალა. დიდძალით - დამაინებებულ მის თავს...  
 დაუკარგავს; უძაფრად ვადიკრდეთ... რაში რაი ტყუები... გამოდუ-  
 ბული ფანჯლის რაფაზე ჩამოწყობილი... ზემოთ, მერე თვითონაც  
 ფანჯრიდან გადაიკრება. გრძობს საყვარელ ძმას, უნდა შეერწყას, რაი  
 წამო: უთხო მისი უკოვრებია, ჯამო, უკლავია, ყოველდღე ურად რომ ანახლებს  
 საკუთარ თავს მინდბუნდისა და წყვდის მიჯნაზე. მთორე კი, მარადუცუ-  
 ლელი, გაქვავებული ძალე, უკვამლო უკარხაობს ცოტა ჩინ შემდგე-  
 როცა უფრო ახალგაზრდა უფრო მოცა მოთმბებელ ძათო მოლოდინს ძნელად  
 ეგუებოდა. ზოგჯერ თავს უტყუადა, თავს ჩაგოთებდა, თითქოს დასქმუ-  
 ლი დახიშხელი დროის მოალოებამდეც უსმობდა. რაში გზიანი და თვა-  
 რათქუო.

„შეიძლება მთელი ცხოვრება სხვა არც არაფერა გამოვეთებოთ“, ფიქ-  
 რობს, მერე ფიქრში საბუებოც ამოტივტივდებიან: მისი ახალგაზრდობისადმი  
 ბუნებრივი ექვის თვალით მარტყოფი. უკლავისა, ზედით შეწოთებელი მო-  
 ხუტყვისა, რომელნიც სწორედ ისე აბათლებენ ამ უკლავისა, როგორც სა-  
 პატარძლის, მამა აბათებს შვილს მოძველ სიძეს ჩვეულებრივი, ცხოვრე-  
 ზისეული ამუდის გაყრუებითა და უკვამლო დაღარული საბუებია, რაც ჩშირად  
 ღრმა, უღონდ ჯერაც უარმაგო და ჯამმაგათ სარტყის პორტრეტის უკახა მხა-  
 რესაც წარმოადგენს. უღონდ, სხვათა შორის, ამ მხათეს, რომელსაც პორტ-  
 რეტის მოდელი და მთელიბულოც ვერაფრით აარიდებს თვალს, უნდა თუ  
 არა, მათც უნდა უყქილოს. ამით თავიანთი როცა ზირხათლად შეასრუ-  
 ლეს: „ველა წესი დაიკვას“. ფიქრობს ის, „ამი შებეშალო, მე აფერ დაფურავ  
 ყველაფერი, და აღიანთ ესაა რამე ყველაზე მძიმე კოსტა საზოგადოების  
 წინაშე, ახიქნებ მარტო საზოგადოების ეს არა, ჩნეობის წინაშეც“. ფიქრი  
 ბელ-ხელა, წყნობად, დაუფრო-რადობად მიეღობება, ყველავ საბუებოთ უვსება და  
 ამ მშვიდ საბუებს არც სარტყე აწერია: არც საყვედური და, კაცმა რომ  
 იქვას, არც სარტყელი, ახლა საკუთარ თავსაც იუდავს, აჩრდილებით გარე-  
 მოყვლ აჩრდილს უცხადებს, მათიდაიქსულოს, უაღობ რატომინხმია თუ ეგობიზმს  
 აფოლოლოს, სარტყა, უკლავისთ დაკახობებელი ჯბდაბ ყველაზე მეტად გა-  
 დამცდარ, რცხების განმთავლებელ მდინარებაში, რომა რტოლვასა და ადამ-  
 მიანთა ბუცისაყვბ აღმართულ ბელოებსა და ბუცისაყვბ აღვლენილ ბებში რომ  
 მიავებებს ამას, რიც მოუხად, უკლავისთ მკაცრ, მონასტოულ, მიწიერ ამოთე-  
 რში უერ მთავრობა, ჯგობია, თითქოს ყოველთვის იცოდა, უკლავისთ არც  
 შიგ შეოთერი, მაგობამ გაოთე უღონდ ცუკვებოთ რადიაციის მებებელნი ანგრევენ  
 და არც დაკარგვლის უკლავისთ უაღლოებში მოვების სურვილით შეკურობილი  
 გარეთ დაჩრქილიები, ამაშიდ პოთუვისიონალები, უისაყ მისი თუთ-ილბალი  
 აბოთა უისაყ უკლავისთ საბოყე-რებიდან ზარებრ ჩამოუბნხია, ამ საბრე-  
 ლოებსაც მიუდავს, უსასოულოდ, უწესრაგოდ მიმობბეულ, სიძმობლოურად  
 ცარბელ, მოწყენ ლ საბრეკლოებს, ცისყეს მიძათათულებს, ათა აღტაკებითა  
 და აღფროთოვაბებიათ, ათამერე ვადობიათ, მეუქარიათა და რისხვით დედამიწის  
 ეველა უკლავისაყ მიუდავს, რღობდ უკლავსებო თითქოს ციჩის ბურჯებად  
 გადაქცეოლან, შეერწმანიული სათიბისგან შეერულე შეასათუქხევიისდროინ-



დღე ურუ ბაოიკადად, რომელიც სიძარტლისა და იმ სიმშვიდის მოსაგერი-  
ებლადაა აგებული, რაც იაკოს ცხოვრებას შეუკოდაბასა და კოლდის მძებვე-  
ბასთან აიგვიებს.



„და მე ამასაც დავცაბულდი“, ფიქრობს ის. „უხიბველად დავცაბულდი-  
დავცაბულდი კი არა, უაოესი ჩავიდიხი ვმსახურებდი, ვმსახურებდი კიდევ;  
რათა საკუთარი სუთილისათვის გამეკათაბამწმინდები დაბნეული, შემკრთალი,  
მოწადებულნი საბეები შემოძკქეროდნენ. მე კი არაფერი დამინახავს;  
იმედითა და სასოებით ხელუბაძრობით სჯეროდათ. რაღაც რომ უნდა მომეცა,  
რაღაც უნდა მომეტანა მათთვის. მე კი თვალბზე ლამაზი მქონდა  
გადაკრული, ჯეფერსონში ერთი, შეიძლება მამაკაცის უპირ-  
ველესი, ვალდებულება ჩამომყვა თან, ღუთის წინაზე, საკუთარი ნებით არჩე-  
ული და ნაკისრი; მაგრამ მერე ერთბელაც აღარ გამხსენებია, იმდენად უმ-  
ნიშვნელოდ მიმაჩნდა, ერთბელაც არ მიფიქრია, რას ხიშნავდა სიხამდვილე-  
ში სხვაზე ზრუნვა. ჰოდა, თუკი მართლაც ასე მოვეტევი, რისი იმედი უნდა  
მქონოდა? რა შეელოდა, გარდა შერცხვენისა და სასოწარკვეთისა, რად მიკვირდა,  
უფალმაც თუ სიოცბვილათ იბრუნა ჩემგან პიროქ შეიძლება სწორედ იმ  
წუთას, როცა არა მარტო გაეუძღლავნე, რა ძლიერაი წყურვილი მქლავდა,  
არამედ ისიც უუთარი, შენ ვერასდროს და ვერასდვიდბით ამ წყურვილის  
მოკვლამი ვერ მომქმარებია-მეთქი. მის მაცდუნებლად და მკვლელადაც კი-  
ვეც, მისი შერცხვენისა და დალუპვის მიზეზად და იარაღად, ბოლოს და  
ბოლოს რომ უნდა არსებობდნენ რაღაც, რაშიც ადამიანები ღმერთს ვერ  
დავადანაშაულბებთ, ღმერთს ვერ მოვთბოვებ პასუხს ხამდვილად უნდა არსე-  
ობდნენ“, ფიქრი თანდათან ეაოგავს სისწრაფეს, სიღამში ჩაფლული ბორბა-  
ლივით, როცა არც ბორბლის ღერძს, არც ეტლს და არც ეტლის მამობრა-  
ვებელ ძალას წინააღმდეგობა ჯერ არ უგრძენიათ.

უამრავ საბეათა შოლის თითქოს საკუთარ თავსაც ხედავს, მუდამ საბე-  
ბით გაომეგორტყმულს, საბეებით შემოჭარულს, ხან ვითომ კათედრაზე დგას  
და ეაღესიანბი, უკანა რიგში მჯდომი შესცქერის, ხან ვითომ თევზია და აჯ-  
ვარიუმში ცუროვს, უფრო მეტიც, საბეები თითქოს სარკეებია და ეს სარკე-  
ებიც მას ირეკლავენ, თან უცელა საბე ხაცნობია: მთელი მისი განვლილი  
ცხოვრება აწერიათ ზედა, სარკეებში აბლა გამბაზისა თუ მოხეტიალე ცირკის  
პატრონის ფიგურა მოჩანს, ცოტა არ იყოს შეშლილი, უკუიდან ვადამცდარი  
თაღლითი, რომელიც ერესზე უარესს ქადაგებს, სრვის სცენაზე აქრიალა, სცე-  
ნის კახონიერი პატრონები ფეხებზე დაფეკლია და სიბრაღულისა და სიყვა-  
რულის ჯვარცმული განსაბიერების ხაცელად იმ ზეპრე, გაუთლელი, თავ-  
ზე ხელაღებული ვახლის ამბავს სთავაზობს ბაღს, თავის ყოველდღიურ, ჩვე-  
ულ საქმეს, მკვლელობას მკორე ხხით მომწყდარი, ვილაცის საქათმეში რომ  
დატყროილავთ საფანტით, ფიქრის აორბალი ხელ-ხელა ჩერდება: აბლა ეს  
უკვე ღერძმაც იცის, მაგრამ ეტლს ჯერ კვლავ არაფერი გავგება.

გარშემორტყმული საბეები ჯერ გაოცებას ირეკლავენ, მერე დაბნეულო-  
ბას, ბოლოს — შეურაცხყოფასა და შიშს, თითქოს მისი თავაშვებული და  
უგვანო მასბრობისა და გამბაზობის მიღმა რაღაც სხვაც დაუნახავთ, დაუნა-  
ნახავთ, როგორ დასცქერის ჯერ მისთვის უჩინარი, საბოლოო და უზენაესი  
საბე, ცივი, საზარელი, ყოვლისმცოდნე, ყოვლისმხილველი და მშვიდ-  
ხატო, ისინი კიდევ უფრო მეტსაც ხედავენ და ეს თვითონაც იცის, ხედავენ, რო-  
გორ გადაეყვია სასჯელად მისი ძალღონისათვის შეუფერებელი, შეუსაბამო



ვალდებულა: ეჩვენება, თითქოს იმ საბეს მიმართავს. იმ ბატს ელაპარაკება: „ოქნებ რაც შემეძლო იმაზე მეტი ვიტვირთე? განა ეს რაბანაა? განა ამისთვის დავისჯებ? იმისთვისაც მომეკითხება პასუხი, რაც შენსადლებლობას აღუმატებოდლო?“ საბე კი: „შენ რაც იტვირთე, მათივე ანგარებით იტვირთეო, მხოლოდ იმიტომ, რათა როგორმე ჩეფერს დაეხმარეო, თავი ჩემი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ შენივე საკუთარი მიზნების განსახორციელებლადო“.

„ხუთე მართალია?“ ფიქრობს ის. „ხუთე მართალია ასე აყო ყველაფერი?“ ახლა საკუთარ თავსაც ზედავს, მაშინდელს, შერკბეხილს, გაბითურებულს ჯერ მხოლოდმდე გაუახრებელი გაურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ვახცდა აგონდება, განუწყვეტლივ რომ ანსეხებდა თავს, თუმცა ფიქრობდაც ვერ ბედავდა საკუთარი თავისთვის გაეშხილა, რა ელოდა, რისი მოლოდინი ჰქონდა სულ, ხედავს, წყალობასავით როგორ გაიღებს მოთმინებას, სულგრძელობას, ღირსებას, თვალთმაქცობს, სხვების დასაიახად ვითომ მოტვილივით ამბობს უარს თავის სასულთიერო წოდებაზე, არადა, სწორედ მაშინ, სწორედ იმ წუთას ბედნიერებისგან ლამის საგულედან ამოუხტის კვლე, სიხარულისგან მეცხრე ეახეა, სიხარული სახეზეც ეწერება, ცდილობს და შეიმჩნიოს, ჯგონია, საგულდაგულოდ, საიმედოდ და დაცული და შენიღბული თვალწინ აფარებული ფსალმუნით, მაგრამ სადღაც გვერდით ვერაგულადაა ჩასაფრებული ფორტოგრაფიც, მაინცდამაინც მაშინ აკერს თითს აპარატის ღილაკს.

საკუთარ თავს უთვალთვალვებს, ხედავს, ბანქოს მოთამაშესავით როგორ ფრთხილად, წინდახედულად აკეთებს სწორ სვლებს, სხვების მოსატყუებლად, ვითომ უდრტვიხველად ემორჩილება ბედს, ეგუება იმას, რაზეც ჯერ კიდევ სემინარიაში შესვლამდე ოცნებობდა და სიმართლის ჩამაძალია აღიარებას ახლაც, ამდენი წლის მერვეც მაინც ვერ ბედავს, ჯერაც ისე არიგება წყალობას, თითქოს დამბალ ხილს უყრიდეს ცხვირწინ ღორების კოლტს; მაშინ დანატოვარი მცირე ქონებიდან შემთვისის კოლონიას უყოფს წილს; ძაღლს და მამაძაღლს ხებას აძლევს შეურაცხყოფა მიაყენოს, დასცინოს, დამე საწოდლიდან წამთაგდოს, ტყეში წაათრიოს და ჯობით სცემოს, როდემდის, დმერთო, როდემდის აწერია სახეზე და მოილი ქალაქის დასახალად ნატანჯი, ჩაწამები ვაცის იერით დააბიჯებს, მხოლოდ იმიტომ, საკუთარ, მარტვილის კოვლისმომთმენ და ავბორცულ ეგოს ააშოს და ასიაშოვნოს უკანასკნელად, მერე კი, სამშვიდობოს გასული, შინ დაბრუხებულო, კარებს ეტრავს და ავბორცული მხიარულებით შეპყრობილი მაშინდა იხსნის ხილბს; ესეც ასე, მორჩა, წარსულს ჩაბარდა უველაფერი, უკვე უველაფრის საზღაური გადახდილია

„მაგრამ მე მაშინ აბალგაზრდა ვიყავი“, ფიქრობს ის. „იმისი კეთება კი არ მიწევდა, რაც შემეძლო, არამედ იმისი რაც ვიცოდი“. ფიქრი ტაატით მიიწევს წინ: ადრევე უნდა მიზნედარიყო, ადრევე უნდა ეგრძნო ეს, ეტლმა არაღც არ უწყის, რას უახლოვდება, თანაც საზღაურიც გადავიხადე, საკუთარი სიცოცხლის ფასად მოვიბოვე საკუთარი სული, არა მჭობსა უფლება? ვის უნდა დაეშალა? ხეიისშიერ ადამიანს შეუძლია საკუთარი თავის განადგურება, თუკი, რა ოქმა უნდა, სხვას არ მოუტანს ვხებას, თუკი თავისთვის ჭხოვრობს, თავის ანაბარა...“ უცებ ჩერდება: ერთბაშად კვავდება, სუხთქვა ვკერის, შაში ეუფლება, შიში კი არა, თავჩაიხრიაკემა, უივე სი-







ლანს ესროლა... ამის ვაფიქრებდა და ჩვენი თითქოს რაღაც საბოლოო, ჯოჯობეთურმა ნიაღვარმა ქვირი გამოარღვია და მისი არსებობა გადმოიფრქვა. თითქოს ხედავს კიდეც ამ ნიაღვარს, გრძნობს, როგორ ხვდება მიწას, როგორ მსუბუქდება და მსუბუქდება თანდათანობით, ერთიანად ცარიელდება და სადღაც მიფარფარებს „ვევლები“, ფიქრობს „მე ვინ ვიქნები? ვინ ვიქნები? ვინ ვიქნები?“. მაგრამ არ ლოცულობს, არც ცდილობს. „მთელი სამყარო, მთელი ზეცა სავსეა იმითი ამო, შეუსმენელი მოთქმა-გოდებით, ვისაც ვი ოდესმე უცხოვრია ამქვეყნად, ვინც ახლა გულსაკლავად ქვითინებენ ციხესა და შიშისმომგვრელ ვარსკვლავთა შორის უმწურო ბავშვებით გზადაბნეულნი... მე ისე ცოტა მიხდოდა, ისე ცოტას ვითხოვდი, კაცი იფიქრებდა...“ ბორბალი ისევ ბრუნავს, ოღონდ წინ აღარ მიიწევს და ტრიალ-ტრიალით ქრება, თვალს ეფარება, თითქოს მისი არსებიდან ვადმოხეტქილი უკანასკნელი ნიაღვრით ატყავილო, თვითონ კი, ერთიანად გამოცარიელებული, გამხმარ ფოთოლზე მსუბუქი წყლის ზედაპირზე მოტივტივე ნამსხვრევებზე უფრო უსარგებლო და უმნიშვნელო, მოღვეთილი, გაქვავებული, ღონემიზდილი ზის ფანჯარასთან და სიმკვრივედაკარგულ რაფასაც ველარ შეიგრძნობს წონადაკარგულ ხელებით: მოკლედ, უკვე დროა — დროა — რომ თქვას.

ისინი თითქოს მბოლოდ ამას ელოდებოდნენ: როდის მოახერხებდა სულის მოთქმას, სურვილისა და სიხარულის დასადასტურებლად, როდის მოიკრებდა ღიბების, სიამაყისა და სიკოცულის უკანასკნელ მონარჩებებს, სადღაც, გულის კოუზთან გრძნობს, როგორ ძლიერდება მირიადი, მოგუგუნე ფლოქვის თქარათქური, ჯერ ხეებში გაბმული ქარის ზუზუნით ესმის რაღაც, მერე კი უკვე ხელავს კიდეც ხედავს, როგორ მოქცევიან ზურგზე არარსებული მტერის ღრუბელს, უხაგირებზე წინგადახრილნი მოაგელვებენ ცხენებს, მუქარით ხელაპყრობილნი, შუბები ავისმომასწავებლად, შიშისმომგვრელად შეუშართაეთ და შუბებზე პატარ-პატარა ალმები უფრიალებთ: მრისხანე, უხმო ეფინით მოქრიან, მოქცევის ტალღასავით გადაივლიან, რომლის ზურგიც როგორც აფეთქებული სამყაროს კრატერი, გადარეული ცხენების თავებითა და კაცების მუქარით ხეაწვდილი მკლავებითაა დაკბილული, ჩაიქროლეს, წაყიდნენ, მტვერი ტრიალ-ტრიალით ადის ცისკენ, გამეფებულ ღამეში ითქვიფება არასა, ფანჯარადან წინგადმოხრილს, ფანჯრის რაფაზე ტყუპ ლაქასავით დაღვრილ ხელებზე თეთრდობანდიან, ვეება, ფორმადაკარგულ თავჩამოდებულს, ეჩვენება, თითქოს ჯერაც ესმის მათი ხმა: ჰუკის ველური ყიყინა, ხმლებას ხხარუნნი და ფლოქვების მომაკვდავი თქარათქური.

შტატის აღმოსავლეთ მხარეში ერთი ავეჯით მოვაჭრე დურგალი ცხოვრობს. რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ტენესიში გაემგზავრა მიმოწერით შეძენილი ძველი ავეჯის ჩამოსატანად, თავისი საბარგო მანქანით გაუდგა გზას და რაკი მანქანა ჯერ მთლიან ახალი იყო (ძარაგადაბურული, უკანა კედელში კარგბდატანებული ფურგონი), რაკი ჯერ ზოგადაა, საათში თბუთმეტ მილზე მეტის გავლას არ აპირებდა და თან მარნკდამინც არც სასტუმროებში გაჩერება უნდოდა, ღია ცისქვეშ ღამის გასათუფი მოწყობილობაც გააყოლა ხელს, შინ დაბრუნებულმა ცოლს მგზავრობისას თავს გადახდენილი ამბავი უამბო,



ამ აბაღს თავის დროზე მეტად დაეინტერესებინა და დარწმუნებული იყო. ასეა ცოლსაც გავართობ და გავახალისებო. შეიძლება ყველაფერი უფრო იპიტომაც მოეჩვენა თავისთვისაც და სხვისთვისაც საინტერესოდ და სახალისოდ. არც თვითონ და არც მის ცოლს ჯერ ხნიერები რომ არ ეთქვათ და თანაც კვირაზე მეტია არ უნახავს მეუღლე. კვირაზე მეტია არ ყოფილა შინ, რაკილა წინდაწინვე. აღრევე გადაწყვიტა ბოძნულად. აუნდალყრფიყრფე და დინადად ევლო. თურმე მისისიბის ერთ-ერთ ქალაქში, სწორედ ტენესის საზღვარსაბ; კილაც ორხი. ქალი და კაცი დამგზავრებოდნენ.

„ბუნზინის ჩასხმა გადაწყვიტე. გადავუხვიე კიდეც სადგურისკენ და უცებ კუთხეში ვილაც ახალგაზრდა. სახდომიანი გოგო დაეინაე. თითქოს იდგა და ელოდებოდა. აბა ვინმე თუ გამიჩერებს მანქანას და წაყვანას შემთავაზებსო. ხელში რაღაც ეჭირა. ოღონდ თავიდან ვერ გავარჩიე რა იყო და ვერც ბიჭი დაეინაე. ვიდრე თვითონვე არ მოძიებლოვდა და არ გამომეულაპარაეა. ჯერ ვიფიქრე. მოშორებით იდგა და ალბათ იმიტომ ვერ მოვკარი-მეთქი თვალს. მეოღა მივხვდი. იმ ყაიდის კაცი იყო. თავიდან. უცებ. დაცულილი აუნის ბეტონის ფსკერზე მარტოდმარტო მდგომსაც რომ ვერ შეამჩნევ.

მოკლედ მოვიდა და მეც პიოდაპიო მიუახალე: „მემფისისკენ თუ მიდიხარო. ჩემი მგზავრები არა ყოფილხართ. მე ჯექსონზე უნდა გავიარო. ტენესისში-მეთქი“.

„ძალიანაც კარგიო“. მეუბნება. „ჩვენც ეგ გვინდა. ძალიან დაგვაავალბოთ“.

„თქვენ თვითონ საით მიემგზავრებით-მეთქი“. ვეკითხები. ერთი შემობხედა ტყუილს მიუჩვეველი კაცივით და მაშინვე შეეტყო. რა წვალების ფასად უჯდებოდა ცხელ-ცხელი ტყუილის გამოცბობა. თან. ყველა სიკეთესთან ერთად. დარწმუნებულიც იყო. მაინც არ დამიჩერებსო „ალბათ უბრალოდ თვალს განდათ წყალი დაალევინოთ-მეთქი“.

„ხოო“. მაშინვე დამეთანხმა. „მართალი არძახდებით. უბრალოდ ვმოგზავრითათ. სადამდეც შეძლებთ. ჩვენც ვაგვიყოლეთ და დიდი მადლობელი დაგიბრჩებით“.


მოკლედ. დასხედით-მეთქი. ვუთხარი „არა მგონია. ძემს ვაძარცვას ეს მოკვლის ამირებდეთ-მეთქი“. წავიდა და მალევე დაბრუნდა იმ გოგოსთან ერთად. მეოღა დაეინაე. თურმე სავშვი ეჭირა ხელში. წლისაც არ ეჩნებოდა ჯერ. დააბირა. გოგოს ძარაზე აძვრომაში მიშველეებოდა. და ვუთხარი. „არ გიჩქევნიათ ერთ-ერთი წინ დაჯდეთ-მეთქი?“ ცოტა ჩანს ერთმანეთში იჩურჩულეს. მეორე გოგო მოვიდა და გვერდით დამიჯდა. ის კი სადგურში შებრუნდა. ხელოვხურ ტყავგადაკრული მტყაოს ჩემოდანი გამოიტანა. ძარაზე შეაჯდო და თვითონაც შეხტა ასე გავუღეკით ვხას. გოგო სკამზე ვვერდით მეჯდა. ხელში სავშვი ეჭიოა და მალემალო უკან-უკან იყურებოდა სოლმე. ალბათ უშინდა. რომ აი გადაეარდომ.

თავიდან ცოლ-ქმარი მეგონა. სხვა არ რატომ უნდა მეფიქრა რამე. ერთი ეგ იყო. ცოტა გამიკვირდა. ჯანმრთელი და სახდომიანი გოგო იმისთანა კიანს სად გადაეყარა-მეთქი არა. ცუდი კი არაფერი ეტყობოდა. წესიერ ბოქსა მგავდა. ბუჯაითს. გამრჯეს. სამუშაოს ვუღეს რომ უღებს და არც ხელფასის მომატებას ითხოვს. ოღონდ კი საქმე მისცეს გასაკეთებელი. თავიდანაც შევატყვე. ისიც შევატყვე. სამუშაოს გარდა სწავიან ყველვან ჩრდილში დგომას რომ ეცდებოდა. ვახზე დარჩეხას. მე უბრალოდ ისეთი ქალი ვერ წარმომი-



გინა, უინც იმასთან ღამეც ვაატარებდა და დილას რაზე ტკბილად მოაგონდებოდა. იმაზე რომ საერთოდ აღარაფერს ვამბობ, ღამისთევს მერე საბუთიკ თუ დარჩებოდა კიდევ ხელზე.

არა გრცხვენია? ეუბნება უოლი. განა მანდილოხანთან ასეთი ღაპარაკი შეიძლება? სიბნელეში საუბრობენ.



რა ვიცო, სიწითლეს კი ვერ გატეხობ და... — პასუხობს მკობრივად მერე, ისევ თავის ამბავს აგრძელებს „პოდა, იმას გეუბნებოდი, სანამ ღამის გასათყვად არ გაეჩვიდი. იმათ კოლქმობაზე საერთოდ არ მიფიქრია, გოგო წელგამართული იქნა სკამზე, მეც ზრდილობისთვის ვებაასებოდი: ცოტა ხანში მიტოვა, ალაბაძადას მოვდივართო, მოვდივართ და მოვდივართ — გაიძახოდა ერთსა და იგივეს და მეც შეგონა, ძარაზე მჯდომ ბიჭს გულისხმობს-მეთქი, მალე რვა კვირა შესრულდება, რაც გზაში ვართო. „მე თუ რაზე მესმის, შენს ბავშვს რვა კვირამდე ჯერ ბევრი უკლია-მეთქი“; ბავშვი სამი კვირის წინ, ჯეტერსონში დაიბადაო. — მეუბნება. „ააა, სადაც ის ხანგი გაასამართლეს-მეთქი ლინჩის წესით, არა? მაშ იმ დროს თქვენც იქ უნდა ყოფილიყავით-მეთქი“. ეუთხარი, იმან კიდევ პირში წყალი ჩაიგუბა, თითქოს იმ ბიჭს გაეფრთხილებინა, მაგ ამბავზე კრიტიკა არავისთან დაძრაო, მივხვდი, ასე იქნებოდაო, მოკლედ უკვე ჩუმიად ვაგოძელებდით გზას და რომ მოსალამოვდა, მაშინდა ეუთხარი. „სადაც ქალაქში შევალთ, მე ღამის გათევას ქალაქში არ ვაპირებ, მაგრამ თუ სვალაც მე ვინდათ გამომყვეთ, მაშინ ასე დილის ექვს საათზე სასტუმროში გამოგივლით-მეთქი“. გოგო გაქვავებულივით იქნა, ეტყობა, ელოდებოდა, ჩემი თანამგზავრი რას იტყვის, რას გადაწყვეტსო და ცოტა ხანში იმანაც ამოიღო ხმა.

„ამ მანქანაზე ისეთი ოთახი მოგიწყვიათ, სასტუმრო ნამდვილად არა გქირდებათო“ მე არაფერი მიბასუხია, უკვე ქალაქში შევდიოდით: „დიდი ქალაქიაო“ მკითხა ბიჭმა.

„არ ვიცო-მეთქი“, ეუბასუხებე, „კოველ შემთხვევაში სასტუმრო თუ არა, მანსიონის მაგვარი მაინც ექნებათ-მეთქი რაზე“.

„ნეტა ტურისტული ბანაკი თუ აქვთო“ ჩაილაპარაკა თავისთვის და მეც არაფერი მიბასუხია. „კარავს მაინც ვიქირავებდი, სასტუმროები ძალიან ძვირი ჯდება, მათ უმეტეს, როცა დიდი გზა გიდევს წინო“, არადა, (სად მიდიოდნენ, რა დიდი გზა ედოთ წინ, ერთხელაც არ უთქვამთ, მე მგონი, თვითონაც არ იცოდნენ, თითქოს ალალბედზე მგზავრობდნენ, აბა ერთსა და ერთვით თაყსო, მაგრამ მე მაშინ რა ვიცოდი, ოღონდ იმას კი ვგრძნობდი, რა ბასურსაც ელოდებოდა ჩემგან, ელოდებოდა, ოღონდ პირდაპირ არ მოგხას კი ვერ ბედავდა: ეტყობა, ჩავთქვა, ღმერთს თუ უხდა, თვითონ მეტყვი, სათქმელს თუ არადა, ჩანდაბას, წავალ სასტუმროში და ვინდაც სამი დოლარი მთხოვონ ოთახისთვის, რა ვქნა, გადავიბდიო, პოლოს ვეუბნებო.

„ეკვება რომ თქვას თბილი ღამეა, თუკი კოლოების არ გეშინიათ და მანქანაში მიშველ ფიქრებზე დაძახებასაც მოაგრჩებთ...“

„კი აბა რაო“, არც მაკალა სიტყვის დამთავრება, „შესანიშნავი აზრია, თუკი ნებას დართავთ, თუკი მაგ საკეთეს იზამთ“, ნებას დართავთ — ასე თქვა და ცოტა იმ იყოს შესაძრეა, თან შევამჩნიე, რალაკნაირად უცნაურად დაიძაბა, აფორიაქდა, ელყობოდა, რაგონო იგულიანებდა, როგორ იტყვებდა თავს, ბოლოს და პოლოს როგორმე რომ გადაედგა სასურველი, ოღონდ თან







მეყუდებული. ბეჭებზე შალი მოესხა და ბავშვს აქმევდა: როგორ შეგაწუხეთ და როგორ შეგაწუხებთ. გაიძანოდა წამდაუწუმ. თქვენ დაწეკით. მე ცეცხლთან ვიჯდები. მართლა არა ვარ დაღლილი. არა დაძლია. მოელე დღეა უსაქმოდა ეზოვარ მანქანაშიო. მერე ბიჭიც დაიწყო. იმდენი შიშა მოიტანა. მიელი მოწვერი შეიწვებოდა. გოგომ ეჩუქებდა. გადაულაპარაჯა. ისიც მანქანასთან მივიდა. ჩემოდანი გადმოგდო და საბანი ამოიღო. აი, მაშინ დაიწყო. რაც დაიწყო. კომიქსების გმირები გამანსენდა. ის ორი ფრასვა. ერთმანეთს რომ ეპატიყებიან. არა თქვენ მიბრძანდით პირველი და არა თქვენო. თითქოს შინიდან ამ სიშორეზე მარტო იმითომ წამოვსულიყავით ყველანი. როგორმე შიშველ მიწაზე რომ გაგვეთია ღამე. ცდილობდით. რაც შეიძლება სწრაფად და საფუძვლიანად მოვწყობილიყავით დასაძინებლად. ერთი პირობა დავაპირე მეთქვა. „ვი ბატონო. თუ ეგრე გულის გინდა მიწაზე წოლა. დაწეკი და დაიძინე. ღმერთია მოწმე. მე ეგ არ მანდოდეს-მეთქი“. მაგრამ ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე უფრო სწორად. ჩვენ გავიტანეთ ჩვენი. კაცებმა იმითომ. რომ. როგორც იქნა. როგორც წინასწარვე ვიცოდით სამივემ. ბიჭმა იმათი საბანი დააგო მანქანაში. ჩემი კი მე და მან დავიფინეთ კოცონთან. სამივემ თუ არა ყოველ შემთხვევაში იმ ბიჭმა კი ნამდვილად თავიდანვე იცოდა. რითაც დამთავრდებოდა საქმე. თუკი მართლა სამხრეთ ალაბაშადან მოდიოდნენ. როგორც ვოგო ამტკიცებდა. ალბათ იმოდენა შეშაც ამიტომ მოათრია ერთი ტოლჩა ყავის მოსადუღებლად და ორიოდე ყუთი კონსერვის შესათბობად. მერე ვივანშმეთ და მეც ვახშმის მერეღა ვავიგე სიმართლე“.

რა. რა გაიგე? რა უნდოდა მაინც?

მაშინვე არ გამიგია. ეტყობა, იმ გოგოს შენზე ცოტა მეტი მოთმინება ჰქონდა ისევე აგრძელებს თარობას: „მოკლედ. ვივანშმეთ და მეც საბანზე მივეგდე. გვარიანად დაღლილი ვიყავი და გამოზე გავიშოტე. არც იმათთვის ყურის გდება მიფიქრია და არც თავის მომძინარება. თვითონ მთხოვეს. წაგვაყვანო. მე რომ არ დამიტანებია ძალია — გინდათ თუ არა. ჩემს მანქანაში ჩასხედით-მეთქი. ჰოდა. თუ თვითონ არ ენადღებოდათ. ესმის ვინმეს ჩვენი საუბარი თუ არაო. მე რაღაზე უნდა მეხეთქა გული ასე ვავიგე. თურმე ვიდაცას რომ ედგნენ კვალში. მისდევდნენ. დაეძებდნენ. უფრო სწორად. მარტო გოგო დაეძებდა. „... თურმე რა ყოფილა-მეთქი“. ვუბნები საკუთარ თავს. — კიდევ ერთ გოგოს გადაუწყვეტია შაბათ ღამეს იმის სწავლა. რის გაგვიასაც დედამისი კვირას აპირებდა მღვდლისაგან-მეთქი“. იმ ვილაც კაცის სახელი ერთხელაც არ უბსენებიათ. არც ის იცოდნენ. სად ეძებნათ. მივხვდი. თუკი მაინც ვავიგებდნენ გაქცეულის ასავალ-დასავალს. ეგ იმის ბრალი არამც და არამც არ იქნებოდა. უცებ მივხვდი. მაშინვე. ბიჭი უმტკიცებდა. შეიძლება მთელი ცხოვრება ასე ვიწანწალოთ შტატიდან შტატში. ერთი მანქანიდან მეორეში გადავსნდეთ და იმის კვალს კი მაინც ვერ მივაგნოთო. გოგო კი მორზე იჯდა. ბელში ბავშვი ეკირა და მშვიდად. უხშოდ უსმენდა. ქანდაკებასავით უდრტვიხველი. თითქოს დასათანზმებლად. დასაყაბულებლად გამზადებული. „ეებ, ჩემო ძმაო-მეთქი“. გავიფიქრე. „თქვენ. ეტყობა. კარგა ხანია წესადა გაქვთ. ეს წინ, სკამზე იჯდეს გამოჭიმული. შენ კი უკან. ძარიდან ფეხებგადმოყრილმა. იყურყურტო-მეთქი“. ოღონდ. რა თქმა უნდა. კრიტიც არ დამიძრავს. გასუსული ვიწეკი. ისინი კი ლაპარაკობდნენ. უფრო სწორად. მარტო ბიჭი ლაპარაკობდა. ჩუმად. ხმადაბლა.



ქორწინება ერთხელაც არ უბსენებია. არადა, ქორწინებას კი გულისხმობდა. გოგოც მშვიდად, აუღელვებლად უსძენდა, ეტყობოდა. აღრევ ბევრჯერ ესმინა იგივე და დარწმუნებული იყო, არც კოს და არც არას სათქმელად ეს შეწყობება არ დასჭირდებოდა. თან ოდნავ ელიძებოდა. ოღონდ ბიჭი ლიმილს ვერ ხედავდა.



მერე თითქოს საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი. წამოდგა ბიჭი და წავიდა. მაგრამ, როცა ცეცხლისკენ შემობრუნდა, იმისი სახე დავინახე და მივხვდი. ფარ-ხმალის დაყრას ვერ ბევრი უკლდა. უბრალოდ, ერთი საშუალება კიდევ სცადა და უკვე იმდენად წარკვეთოდა სასო, აღარათურზე დაიხვედა უკან. მინდოდა დამეძაბა, რის ვაკეთებასაც ახლა აპირებ, ეგ სულ თავიდან უნდა გექნა-მეთქი. მაგრამ თავის საქმისა თვითონ იცოდა. ასეა თუ ისე, ბნელში გაუჩინარდა და გოგოც მორზე ჩამომჯდარი დატოვა, ოდნავ თავჩაქინდრული. მომლიმარი. არც გოგოს გაუყოლებია თვალი შეიძლება იცოდა კიდევ. მხოლოდ ცოტა ხნით რომ გასცლოდა ბიჭი. საიმისო ძალის მოსაყრებად. რისკენაც ალბათ თვითონვე უბიძგებდა სულ თავიდან, ოღონდ უთქმელად. უსიტყვოდ. რადგან ბოლოს და ბოლოს მაინც ქალი იყო, მანდილოსანი, რა ვუყოთ, თუკი ოჯახს შაბათ ღამეს მოჰკიდებოდა.

თუმცა, მე მგონი, მთავარი მაინც სხვა იყო. შეიძლება დრო და ადგილი არ მოსდიოდა თვალში, მოწმებებზედაც რომ არათერი ეთქვათ. მალევე წამოდგა, ჩემკენ გამოიხედა, მეც გავეინაბე, თავი მოვიმძინარე, მანქანაში აფორთხდა, ცოტა იქაც იფარუნა და გაინაბა — დასაძინებლად მოეწყო ალბათ. მე კოცონთან ვიწეკი — ძილი საბოლოოდ გამიერთა — კარგა ხანმა გაიარა ასე, მაგრამ ვგრძნობდი, ბიჭიც სადღაც ახლომახლო დაბორილობდა. ელოდებოდა, ცეცხლი როდის ჩაინავლებოდა და მეც როდის ამოვუშვებდი ფშვინვის. მართლაც კოცონი ღამის მთლად ჩაქრა. მოახლოებული ნაბიჯების ხმა გაუიგონე, კატასავით მოიპარებოდა, უჩუმრად მომიახლოვდა, თავზე დამადგა, დამაკერდა, მომაყურადა, ჩქამიც არ გამილია; თუმცა, მგონი, ჩემდა ენებურად, ხერინვა ამოვუშვი. ასე თუ ისე, ცოტა ხანს მიყურა და მერე მანქანისკენ დააღერა თავი, ისე მიდიოდა, თითქოს ფეხქვეშ კვარცხები ეყარა, მეც თვალი გავაყოლე, თან ვფიქრობდი, „ეგ საქმე რომ გუშინ გექნა, ძმაო, ახლა აქედან სამოცი მილით უფრო სამხრეთით იქნებოდი-მეთქი, აი, ორი ღამის წინ რომ მოგეთავებინა მოსათავებელი, მაშინ კი, თუკი რამე გამეგება, საერთოდ ვერც ერთს ვერა გნაბავდით-მეთქი ვერასოდეს“. მერე რაღაცნაირად ავფორიაქდი, ის არ მაშფოთებდა, გოგოს ისეთს უზამს რამეს, რაც ამას არ ენდობება-მეთქი. ჩვენში დარჩეს, მე ბიჭს ვქომაგობდი, იმისი მხარე მეჭირა, რა ვქნა, ცოდვა გამხელილი ჯობია. უბრალოდ, ვერ გადამეწყვიტა, რა უნდა მომემოქმედა, როცა გოგო აყვირდებოდა, ყვირილით, ეცოდი, ნამდვილად აყვირდებოდა და თუ მაშინვე წამოვხტებოდი და მანქანასთან მივირბენდი — ბიჭს დავაფრთხობდი, არადა, თუ არათერში ჩავერეოდი, მაშინ ხომ სულ მთლად გავუხეთქავდი გულს — მივახვედრებდი, ეღვიძა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდაო, არადა, თურმე სულ ტყუილად ვიძვრევიდი თავს. პირველად ვნახე თუ არა ერთიცა და მეორეც, მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი ყველაფერს“.

მე მგონი მაინცდამაინც არც იმტვრევიდი თავს, უკვე იცოდი რასაც იჯამდა ის გოგო ეუბნება ცოლი.



მამდვილად პასუხობს ქმარი. არ მინდოდა შენით მიმხვდარყავი. ცერე-  
ოლონდ შეგონა შენ მაინც აგობნიე გზა-კვალი  
პო. კარვა, გა-არმელე მერე რა მოხდა?



შენ როგორ გგონია? რას იზამდა ზორბა, ჯანმრსელის გოგო როცა გა-  
უფრთხილებლად ის ბიჭი წაადგებოდა თავზე, ის შეიქცევიდა — გა-  
საცოდინებული, პატარა ბავშვივით სატირლად გამწადებულთ? მერე ამბავს  
აგრძელებს: „არც ყვირილი ამტყდარა და არც არაფერი. დავინახე, როგორ  
უცბად, უჩუმრად აძვრა ძარაზე და გაუჩინარდა, მერე კაცი ასე, თხუთმე-  
ტამდე დაითვლიდა ნელ-ნელა, არაფერი მომხდარა და უცებ რალაც გაოც-  
ბისმაგვარი შეძახილი გავიგონე — ეტყობა, გოგომ გაიღვიძა, გაიღვიძა და  
გაუკვირდა. მარტო გაუკვირდა, მეტი არაფერი, არც შეშინებია, არც გაბ-  
რაზებულა, უბრალოდ ცოტათი უკმაყოფილოდ, საყვედურგარეული ხმით  
ჩუმიად, ხმადაბლა ეუბნება: „არა გრცხვენიათ, მისტერ ბანკ, ეგრე ხომ ბავშე-  
საც გააღვიძებთო“. მერე ბიჭი ისევ დავინახე, უკანა კარებიდან გადმოვიდა,  
არ გამოჩნდა, თითქოს თავის ფეხით არც მოდიოდა კაცი არ ვიყო, თუ არ  
მეფიქროს, თვითონ გოგომ აიტატა და ძირს გადმოსვა-მეთქი, თითქოს ისიც  
იძისა ბავშვი ყოფილიყოს, უფროსი ბიჭი, ასე, ექვსიოდე წლისა. „წადით ახ-  
ლა, დაისვენეთ, ცოტა მაინც წაიძინეთ. ხვალაც კარ ჩელა გზა გვაქვს გასაფ-  
ლელიო“. — ეუბნება.

მოკლედ, სარცხვილით იმისკენ ვერ ვიყურებოდი, წარმოიდგინე, რა  
მოუვიდოდა, რომ გაეგო, თუნდაც ვინმემ, ერთმა სულიერმა მაინც დაინახა  
და მოისმინა, რაც მე ახლა ჭირი გამოვიარეო, კაცი არ ვიყო, თუ არ მენატ-  
როს, ნეტაეი ამასთან ერთად სადმე სოროში შემადგრინა-მეთქი, ლამის მართ-  
ლა ჩავძვარი მიწაში, ის კი ისევ იქ იდგა, სადაც გოგომ დააყენა კოცონი  
ჩანაფლებულიყო და თითქმის ვერა ვხედავდი, მაგრამ ხომ ვიცოდი, იმის ად-  
ვილას რა ცეცხლიც იტრიალებდა ჩემს გულში, თავჩაქინდრული ვიდგებოდი  
აღბათ იმის მოლოდინში, როდის გამომიტანდა მოსამართლე განაჩენს და  
როდის იტყოდა, „აქედან მომამორეთ და დროზე ჩამოკიდეთო“. ხმა არ  
გამიღია, ცოტა ხანში გავიგონე, როგორ გაეცალა იქაურობას, ბუნქების  
ლაწალუწი მომესმა, თითქოს ბრმად, უგზოუკვლოდ დაადერა ტყეში თავი,  
მერე, როგორც იქნა, გათენდა კიდევ, მაგრამ მაშინაც არ გამოჩენილა.

კეთილი და პატროსანი, რა ჩემი საქმე იყო, ან მე რა უნდა მეთქვა,  
ვულის სიღრმეში ჯერ მაინც მჭეროდა, საცაა გამოგვეცხადება, საცაა ბუნქე-  
ბიდან გამოაბიჯებს, სულერთია, აქვს გამოსაჩენი პირი თუ არა-მეთქი, მერე  
ცეცხლი დაკანთე და საუზმის თადარიგი დაეჭირე, ამასობაში გოგოც გად-  
მოძვრა მანქანიდან, იმისკენ არ გამიხედია, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ  
იდგა, როგორ ათვალეირებდა იქაურობას და ცეცხლისა და ჩემი საბნის შემ-  
ხედვარე ცდილობდა გამოეცნო, იქ იყო ბიჭი თუ წასულიყო, მე კრინტი  
არ დამიძრავს და არც იმას უკითხავს რამე, ერთი სული მქონდა, როდის  
ავიბოგებოდი და როდის გავუდგებოდი გზას, თან ვერც გოგოს მარტო და-  
ტოვება გადამეწყვიტა, ისე კი ვფიქრობდი, ერთი ჩემს ცოლს გააგებინა,  
როგორ ვმოგზაურობ ლამაზ, სოფლელ გოგოსთან და სამი კვირის ბავშვთან  
ერთად-მეთქი — მართალია, ის ვითომ თავის ქმარს დაედებდა, მაგრამ მაინც,  
ქმარს თუ ქმრებს, ველარაფერს გაიგებდა კაცი, მოკლედ, ვისაუზმეთ და ვე-  
უბნები, „დიდი გზა მიდევს წინ და კობია დროზე დავიძრათ-მეთქი“. სიტყვაც  
არ უთქვამს შევხედე და რასა ვხედავ? — დგას უწინდელივით მშვიდი.



წყნარი, აუღელვებელი. — კაცი არ ვიყო, გაოცება ან საერთოდ რამე თუ შეტყობოდეს. გაშტორებული ვიდრე, არ ვიცოდი, რა წვლისთვის მებრუნებოდა, იმას კი თავის ბაბაყნობაში მოაგროვებდა. გუნდისის ტოტით დასაბრუნებელი სახისი გააზრება, ჩემოდანში დასაბრუნება და უკანა კედელთან დახვეული სახისი გააზრება, ალბათ ბალიშივით რომ ამოვლო ბეჭებზე: „კიდევ იმეტი გუნდისი მეთქი თავი“ გავიფიქრე. „როცა გაგირბიან, შენ უბრალოდ გარბობ, — აქ, უკან დაეკლებიო“. — მეუბნება.

„ბავშვს არ გაუჭირდება-მეთქი?“

„არა უშავს, ხელში დავიკებო“.

„შენი ნებაა-მეთქი“, ვუთხარი. მერე გზას გავუდექით, თან ლამისაა კაბანიდან ვადმოვყარდე, სულ უკან-უკან ვიყურები, იმედი მაქვს, სახამ მოსახვევს გავცდებით, ბიჭიც გამოჩნდება, მაგრამ ის არა და არ ჩანს, ერთი კაცის ამბავს უვებიან, სადგურზე დაუტყობიათ სხვის ბავშვთან ერთად თურმე, მე კი ბავშვთან ერთად სხვისი ცოლიც მეჭდა მანქანაში და მეგონა, ვწვლა მანქანა, რომელიც გვეწვოდა და გვისწრებდა, სულ ქმრებითა და ცოლებით იყო სავსე, შერიფებზე უკვე აღარაფერს ვამბობ, ტენესის სახლვარს ვუახლოვდებოდით, გადაწყვეტილი მქონდა, ან ამ ახალ მანქანას ბოლს ავადენ, ან არადა ისეთ მოზრდილ ქალაქს მიიხვედოდა, სადაც ქალების საქველმოქმედო საზოგადოება იქნება და დედა-შვილს იმით ჩავაბარებ-მეთქი, ხანდაბან ისევ უკან-უკან ვიყურებოდი, იმედი მქონდა, ეგება თუბით გამოგვედევნა-მეთქი, და სულ გოგოს სახე მხედებოდა თვალში, ეკლესიასავეთ მშვიდი საბუ, ბავშვი ხელში ეჭირა, ოღროჩოღრო გზამ არ დაანჯღრიოსო, და ძუძუს აქმევდა, ვერა, მაგათ ვერ მოერევი“. ცოლის გვერდით წევს, იცინის. „დიან, ჩემო ბატონო, კაცი არ ვიყო, თუ მაგათი მორევა შეეძლოს ეინშეს“.

მერე? მერე რა მოხდა?

არც არაფერი, იჯდა, მგზავრობდა, თითქოს პირველად ხედავდა ქვეყანას — გზას, ხეებს, მონღვრებს, ტელეფონის ანძებს, არც დაუნახავს ვიდრე ის უკანა კარებთან არ მივიდა, ან რად უნდოდა დანახვა, ერთადერთი მართოლოდინი სჭირდებოდა, ლოდინში კი ბადალი არა ჰქავდა

არ დაუნახავს?

აბა, ის ბიჭი გზის პირას იდგა, როცა მოსახვევს გავცდით, იდგა და გველოდებოდა, სულერთია, მქონდა გამოსაჩენი პირი თუ არა, სირცხვილნაკამი, შეუპოვარი და თან უკვე დაწყნარებული, თითქოს უკანასკნელ მიჯნამდე მიეუვანა საკუთარი თავი, უკანასკნელი საშუალებაც ეცადა და იცოდა, აღარასოდეს რომ აღარ დასჭირდებოდა ძალად თავის გაბრაზება და გაღიზიანება ისევ აგრძელებს თხოობას.

„მე ზედაც არ შემომხედა, მანქანა გავაჩერე თუ არა, უკვე უკანა კარებამდე მივბოდი, ძარას შემოვრბინა და წინ აეტუზა, იმას კი თითქოს არაფერი გაპყვირებია „უკვე ისე შორს შევტოპეო“, ეუბნება გოგოს, „ახლა ველარაფერი დამახვევინებს უკანო“, გოგო კი ისე უცქვრის, თითქოს თავიდანვე იცოდა, რასაც იზამდა, რასაც მოამოქმედებდა ბიჭი ჯერ კიდევ მაშინ, როცა თვითონ წარმოდგენაც არ მქონდა, და თანაც ისიც მოეხსენებოდა, თაც უნდა ექნა და რაც უნდა მოემოქმედა, დიდი მნიშვნელობა მაინც არაფრისთვის არ უნდა მიენიჭებინა



„არც არავის უთქვამს თქვენთვის, უკან დაიხიეო“. ვუბნება. წევს და იცინის. იცინის გულიანად, გაუჩერებლად, დიდხანს. „ღმერთო ბატონო ჯალს ვერ მოერევი, იცი, რასა ვფიქრობ? მე მგონია, უბრალოდ მოგ/აუბრობდა სერიზობდა, არა მგონია, რამე იმედი ჰქონოდა ამ ვილატუკეტის მოვებისა არც ამირებდა — თუმცა ბრკს კი არაფერს უმხელდებოდა ალბათ პირველად წამოსულიყო შინიდან ასე შორს, ამდენი ხნით, მშვენიერად გრძობდა თავს და არც ხალხი აკლებდა ზრუნვას და ყურადღებას. ჰოდა, მე მგონია, გადაწყვიტა, მოდი ცოტა უფრო შორსაც წავალ, ცოტა მეტს ვნაბავო. ჩადგან იცოდა, როცა საბოლოოდ მოიკიდებდა სადმე ფეხს, საბოლოოდ დამკვიდრდებოდა და დაბინავდებოდა. მერე უკვე ველარასოდეს მოიცლიდა სასერიზოდ და სამოგზაუროდ, რა ეიცი, მე ეგრე მგონია, იჯდა უკან, მანქანის ძარაზე, თავისი ბიჭიც უკვე გვერდით ეჯდა, ხელში ბავშვი ეჭირა — ისევე ჯამდა, მთელი ათი მილი საუზმობდა, თითქოს მატარებლის ვაგონ-რესტორანში ბრძანდებოდა ვაებატონი — და ისეთი ბალისით ადევნებდა თვალს გვერდით ჩაქროლილ სატელეფონო ანძებსა თუ ლობეებს, თითქოს საცირკო პარადს მისჩერებოდა. „ცოტაც და სოლსბერიში ვიქნებით-მეთქი“, ვუბნები „რაო?“ მეკითხება.

„სოლსბერიში შევდივართ, ტენესიში-მეთქი“. მერე უკან მივიხედე და მისი სახე დავინახე, თითქოს ელოდა, თითქოს მზად იყო, როდის გადაურბენდა სახეზე გაოცება და ეჭვიც არ ეპარებოდა, გაოცება სიამოვნების მეტს არც არაფერს რომ უქადდა, მართალიც იყო, არ ეშლებოდა, მოლოდინი გაუმართლდა და თან, ყველა სიკეთესთან ერთად, გაოცება მოუბდა კიდევ.

„ღმერთო, ღმერთო, არ ასვენებს კაცს გამჩენიო“. თქვა ცოტა ხნის მერე. „ორი თვეც არ გასულა, რაც ალაბამადან წამოვედიო და აჰა, უკვე ტენესიშიც მოვსულვართო“.









ერთთავად იმას უდილობდა წუწკი,  
ბლომად აერთოვა ხელოთაგან ქუქკი.  
მაგრამ სად ჰქონდა ტროელს ამდენი.

ეს კი უწყობდა გიმტრობს სატანა.  
თუკი ფარაზე ბევრი ებახრე  
თუ ქაუის ფულიც არ დაატანე  
და ბებერ ბუქნას დაქვეა ხებაზე.  
შესწირა მარტო მადლი კი არა —  
თორმეტი გროშიც ჩაუჩხრიალა.  
რომ ჭაანათლა ზევსის რჩეული.  
გაუჩინარდა ქისა ბუდასლის.  
ამოიკვეცა კალთა ქვედაწლის  
და ქალიც ქისას მიჰყვა წყვეული

გაქრა თუ არა ის ბებრუხანა.  
ზღვისაკენ გაშა ბიჭიც იმავე დროს.  
რომ იუნბნამ არ გაუხუროს  
და კვლავ უშმასთან არ უჩიმიანდროს.  
ერთი კაცით მიჰყვა ამაღაც  
და ფლოტმაც ზღვაში შეაჭრა კამარა.  
მინიბნობდა რა სჯობს ნეტავი.  
ზურგქარში ნაცზე თუ იმყოფება:  
სხვა რამეს თითქოს ვერც კი

ხედავენ —

დაძვრუგუნებენ ზვირთებს ჩოფები.

მაგრამ ზურვის ქარს მზაკვრულ  
ზარზარით.

მტრული ქარები გადაელობნენ,  
რომ გზა უყულონ, ჩასცენ ღახვარა.  
ენიასა და იმის მეზოფეთ:  
ნავებს ისერიან როგორც ნაფოტებს,  
ფლოტი პირწმინდად გადააქოტეს,  
მტრისასს... რა იყო მათი შეტევა...  
ფეხზე ვერ დადგნენ გალაბულები.  
კბილვანს კბილებზე არახუნებენ.  
კვალა მოუცავს შიშის ფეთებას.

და როცა ქახცი გაუწვდათ ქარებს.  
თანდათან კშენას უკლეს ზვირთებმაც.  
გამოანათა ღრუბლებში მთვარემ,  
ცა ვარსკვლავების სარბით ირთვება.  
ამოისუნთქეს ბიჭებმა ზვებით.  
არადა, უკვე ფიქრობდნენ ბჭება,  
მორჩა. გაგვიძვროს სული წვალებით...  
შიშის ამაღე, რომ იციოთ, არა? —

მაწაწკინტელა მიხეზიც კმარა.  
საცროსოდენად ვაქსა... ვეილები.



პოდა, უკლებლოვ იმით ჩავეიბე  
რომ ეზიარა...  
რომ ამობრუნდესენ, როგორც ღლაფებ  
და ხვრიხეაც დასცხეს კაი მაგარი —  
მათი მეზობრზე. ძველა და ხავსი.  
თივის ზვირთით ჩაემო ჩაეშა.  
მორთო ღრიალი გულმეშხარავი:  
ველარ წაუვალთ უშმას ამჯერად. —  
განწირულნი ვართ და გადარჩენა  
არ გვიწყრია. ძმებო, არაყის.

მიწა რომ მოჩახს პირდაპირ.

ხედავით?

ვერა ხედავდეთ აბლა ეგების.  
რა დღე მოგველის, კაიმე, დედა,  
მორჩა. ჩანგალზე წამოვეგებით!  
რადჯან მპყრობელი უმაგ კუნძულის!  
ბორბოტიული, გულბრძო, ურჯული —  
დედოფალია, კირკე გრძნეული...  
ჭირივითა სძულს ხინსალია კაცთა  
და თუ ამ ადგილს ფლოტი ვერ გასცდა  
მხეცებად გვაქცავს ტვირამდერეული.

ორზე დაედივართ? — ოთხზე

გაეიქლოთ!

ველარაფერი ველარ გვიშველის.  
მორჩა! — სულ მალე ბლაგილ

ბლაგილია

უნდა მოვარგოთ უღელს კისერი.  
ვით გვეკადრება ნამდვილ ხაზოლეს  
თხეზად კი არა, — მე ის მალახებს,  
კირკე სუყველის გვაქცავს ხარებად.  
უნდა ვუზიდოთ შეშა ბელუდეს,  
ხვჩისას გუთანში მოძმეს ელოდეთ!  
ცალად მოგაწევთ უღლის ტარება!

იქ არ ეცლება სალაყბოდ ღიასს?  
ბიფთანს, კაბაჩას დაქარგავს იგი.  
დაავიწყებენ „He uozhdam“-ს  
ბევვეკასაეით დაიწყებს კიკინს:  
იგივე კირკე რუსს გაამწარებს  
სულ თხეზად ატყვეს იმ წვერცახცაოებს  
იქ კუდის ქნევა მოკლავს პოესიელს,  
ისე ვით იქნევეს კუდს მელაყუდა.



ელზე მწვერებს რომ დაადევნებენ  
სასთანგადად და გასაგუდად.

ეროდ გარდაქმნა ავსტრიელს ელის,  
საგახლავთ კირკეს დარაჯიც, მცველიც,  
ზღვანაც რგი თან ჰუსარია.

ქმნატვარია იტალიელი,  
შბრაკუნოდ რომ ცეკვავს და მღერის

და გაწაფული ისე აქვს ხელი  
რეკვავს გაქაჩავს, ცაში რომ მოჩანს...

შაბუნია — სახეს ღმეკს, ხავის,  
ელზე რგოლი აქვს სამოგვე ტყავის.

მოდ იმ ყოფილ ხალხს სიცილით  
ხოცავს.

ფრანგის ყასაბის მოდგმაც იქ გახლავს,  
სისხლს და საკბილოს რომ ნძებს

ახლაც —  
ბაღებად მიტომ აქცია კირკემ.

შავანთა ძვლები უკეთ რომ დახრან;  
თვით ხელმწიფისაც არა აქვთ რიდი.

შაფის საკრავად უწყებენ კიდილს  
და მით უმეტეს გლეჯენ ერთმანეთს.

უბც მხეცთა შორის მეტი მხეცია  
სა მბრძანებლობს მოძმეს ქეციანს,

დაბ, ქეცი კირთ ფრანგებს,  
ღმერთმანი.

ულაყად ყოფნა ერგო დანიელს,  
ქსანელი კი ინდაურია.

შილიობა შერჩა შვეიცარიელს,  
ღორად აქცია კირკემ ურია;

თურქი დათვია, შვედი კი — შგელი,  
ტბორში ყაყიხებს პოლანდიელი;

მუდოობა ხვდა პორტუგალიელს,  
საბრალო ფიხელს — კიანჭველობა

და... ღმერთმა უწყის, ჩვენ რას  
დაგვაწევს

ვმაგ ტარტაროზ კირკეს მცდელობა.

საფრთხემ ტრთელთა ტვინა აღახთო,  
ქვალ-რბილში დაპკრა და გაატანა.

შეიყუენენ და ფიქრში დაყვირთეს,  
როგორ დატოვონ მშრალზე სატანა...

და გაახსენდათ, რა შვედრება  
აღროს პიოჯვარს და ლოცვა

ვედრებას.

თუმცა წყალობას ეგრე არ აბნევს,  
დღეს ეოლოსიც დაესმარებათ.

პოდა, შეპპირდნენ მოხუცს  
ოლონდ შეცვალონ გეზი ქარყანა



იმ პარაკლისმა გასწრა!  
ეოლოსისას დაპყვენ ბრძანებას —

ფლოტს გეზის შეცვლა გაუადვილეს —  
გადარჩა ხალხი გადაგვარებას.

ღმერთმა მოხედათ დასაღუპავებს,  
არავს პირდაპირ ბოთლით წრუპავენ.

გამხიარულდნენ ძველი მსმელები;  
მერე კვლავ ხოფებს ჩაბლუჯეს ტორი.

მოუსვენს იმგვარ ძალით და ღონით,  
მონაგონია ფოსტის ცხენები.

ენეასი კი ხელმოჩრდილული  
სივრცეს გაპყურებს გაფაციცებით.

ხომ არ გამოჩნდა ნაოცნებარი  
ნაპირებო აღთქმულ მიწების.

უცებ აბლავლდა ვახარებელი:  
-ვაშააა... ვაშააა... — და თქვენი

ქებული  
რომხულ თუთუნის დაპკრა ნაფაზი.

ჩანს ზევსი ისევ შვილებზე ფიქრობს,  
ქეე, მივალწიეთ, ბიკებო ტიბროსს,

სოტაც კიდევ და მერე შაიაში.

ხოფებს დააწვენენ ჩვენს ვძირები,  
ერთხელაც შეპკრეს კამარა სწრაფი.

და, პა, ბიკებო, დაქორრილები,  
კალიებივით მოედვნენ ნაპირს;

თბრას, შენებას და დაადგილებას  
შეუდგნენ იმგვარ გულ-მოდგინებით.

თითქოს ამბოკრებს ახო არგუნეს...  
... მე მოშაკუთვნა რადგან

გახგებამ. —  
ქუას ენეასი. — სულ ქალიქებად,

ლომებო, ვაქცევ ამ ხოდაბუნებს!

ლათინთა მიწას დაპკრეს ბაოები,  
დაედო თითქოს ზღვარი ყიალსაც.

აქის ხელმწიფეს, კრივანგ ლათინუსს,  
ვერ დასცინცლავდით მანეთოახსაც;

ვინ უერთგულებს მეფეს ერივით? —  
შარვლები, საჯდომგამოკერილი.

ყველას ჩაეცვა მისი წაბამვით.



ფულზე თამაში აქ არ უკების,  
კვერცხებს დასდევენ მხოლოდ  
შეღებოლს.

კუტს არ მოგივდებს მუქთად ხაბაზიც...  
თუმც ვვაფი-ჩბიკვის, ლათინუს მაინც  
ღმერთების იყო ძმაც, ნათესავიც  
ქედს არ უხრიდა მიტომაც არვის,  
სუყველა სძულდა ჭირის დღესავით,  
რას არ სწამებდნენ ჩუმად ბეროკაცს -  
თითქოსდა ეშვას იგი შერიკას  
თურმე ფაენუსთან ხშირი წახწალით...  
ახლა თვითონ ჰყავს შვილი

ლათინუსს. —

გოგო, ბნელშიც რომ ათინათინობს,  
გოგო, კი არა, ცეცხლი, ხანძარი!

დედისერთაა, შხვართსა და ტანადს,  
რა გულ-შეკრდი აქვს, რა შინაა  
შობრა!

ბაგე უჭვივის ალუბლის დარად,  
შეხედავ კაცი, გმინავ და ოხრავ;  
ახლა ზრდილობა! ალარ  
კითხულობ?

რომ გაგიღიმებს, სულ არ დიდგულობს,  
ლაწვები უჩანს კოკო ვარდებად;  
თვალი ერთხელაც შეავლო მოყმემ,  
იმის დანდალა თეძოებს, ოხმე!  
გათავდა, მორჩა, — შეგიყვარდება!

ამგვარი ლუკმის ხილვით შეძრული  
გაილოპრები, როგორც ულაყი,  
მასთან სად მოვა ძეხვი ბერძნული,  
სახელგანთქმული ან მსხლის ბურახი;  
თუ მუცლის გვრემა არ დაგეტაკა,  
ჭკუიდან შეშლა ხალდად ზედა გაქვს,  
გატუტუცდებით, იყოთ ზრდილებიც;  
იმის შემყურე ლუტუე ყმაწვილებს,  
ნეტავი ლამით რა დაგაძინებთ,  
ვიცი ჩემივე გამოცდილებით.

არშიყთა შორის თავაწყვეტილნი,  
საბმილს უნთებენ საწყალ მაჭანკლებს,  
ქალის და მზითვის გამო ტირიან,  
პირზე სულ ნერწყვი დასდიან  
საძაგლებს.

გონებას უმღვრევთ სურვილი ერთი:  
ჩერ ხელთ მოიგდონ იმ გოგოს მკერდი.

რომ შერე ტახტის გემოც გასინჯონ,  
მაგრამ მოცლიათ ერთი ამათაც,  
რადგან დედოფალს ერთი ამათაც  
სუყველა როდი მოსწონს სასიძოდ:

ერქვენულნი

გარდა ერთი მხრისა, რომელია  
მეფე რომ ცხოვრობს კეთილშობილ,  
თვალი ხომ რჩება მასზე დედა-შვილ-  
მისი ბრძანდება მამაც ძმობილი:  
სქელსა და მალალს, ხუჭუჭთმებიანს,  
თვალტანადობა მომადლებია,  
ბიჭია, ძალა შესწევს კადილის,  
ქონების პატრონს, შემძლეს, ფულიანს  
ურაცხვი ჯარი მზად ჰყავს სრულიად,  
ღიამ, მეფეა ტურხუს ნამდვილი!

ასე რომ გახლდათ, მიტომაც იყო,  
ყველას დამზერდა ბიჭი ზემოდან,  
ხოლო გოგოს წინ რაც ჩანდა არა? —  
თრ იმდენს კიდევ აჭიფებოდა:  
მთელი ოჯახი ფიქრობდა, — აწი  
გამოჩნდებაო ტურხუსის კაცი,  
დიდ სამზადისში იყო სასახლე;  
მოაგვირისტეს ხელსახოცები,  
ყველაფერი აქვთ ღვთით ნაბოძები,  
რომ ლირსეულად დახვდნენ  
მაჭანკლებს.

არ მიგიწვდება რაზედაც ხელი,  
ჩემი არისო, ნუ გეგონება;  
კაცმა არ იცის ხვალ რა დღე გელის,  
კუთვნილსაც კარგავ უკებ ქონებას;  
როდესაც ფონი არ იცი, მაშინ  
პირველი შენ ხუ შეტოპავ წყალში, —  
ბენტერამ ხალხი არ გააციხო;  
კარგად გასინჯე სროლის წინ ბადე,  
თევზის დაქერა მერეღა სცადე,  
ასე ყოფილა თურმე საჭირო.

იმათ ნიშნობა რომ დააპირეს  
და საამისოდ თქვეს ხუთშაბათი,  
ტროელმა ბრძანა: „— აქ, ამ ნაპირზე  
ჩამოვიხსნათო გუდა-საბადი.“  
წუთიც არ უნდა უქმად დაკარგოს —  
ხალხს მიუძღვება და სურს საბაღოდ  
ერთხელაც უღვთოდ მიუშვას აღვირს,  
ლუდის და თაფლის თადარიგს იქერს —



რაცთან ერთად დაუდგა ბიჭებს,  
მერე მოსახმობს ჩაპბერა საყვირს.

ზორთით მოიჭრენ. — იმ საყვირის  
ხმამ

სულ აურია მშვივრებს დაეთარი,  
ზადამო ისე გადააყრუეს,  
თიქოს უტევდეს ქვის გუნდს ავდარი:  
ქურკლებს მიცვივდნენ. სასმელი ფიცხი  
შეუბოვრად სვეს ჩამჩით თუ ციცხვით  
და პორაგს ებდღვნენ, როგორც  
მხეცები;

კეუას დაკარგავ მათი შეშეურე,  
პატრონი არ ჰყავთ გამგელებულებს,  
ვეელაფერს ნთქავენ გასამკეცებით.

კაპრიან ხატოტს წვრილად დაჭრილი  
ქიტრა, კომბოსტო მიაშველიეს,  
ხანებში ბოლოკს გააქვეს ხრაშენი,  
მწიფე ჭარხალი შვენის ყველიერს:  
ცირკელს, ბოლლიწოს და სალამანას,<sup>9</sup>  
როგორა ნთქავენ, ერთი განახათ;  
პრწმინდად დახრეს ორცხობილები,  
ძალი დაადგა ჩუმპო-ღვიბტიკებს,  
ვახშმად დამსხდარი მთიბავებივით  
რაცი სულმთლად მიაფინთიბეს.

ანკიზეს ბიჭმა შავი დღისათვის  
თხლაშით ბლომად გადაიხაბა,  
მაგრამ კაცი რომ გატყვერება ჩვენში,  
როგორ უბერავს, მერე გინახავთ —  
მიდი და მიდი! — ელურწე და  
ელურწე! —

და ენეასიც ვეება ჭურჭელს  
ისევ დააცხრა, სავსეს პირამდე...  
მრევლს აღარ იტყვი, სასმელს  
შესეულს? —

პევრი ბოლომდე მიჰყვა მესვეურს,  
სხვები ეგრევე ამოყირავდნენ.

ბოცა-ბოთლები და ამფორები,  
აყიროები თუ ჯამ-ფიალა  
რომ გამოაშრეს, ისე გაბეღდნენ,  
დაფშვნეს, დაღეწეს სულ ერთიანად,  
ჰოდა, საჯელიც რა გინდა მეტი —  
ნანარხოშეუბე არ ჰქონდათ წვეთიც.

ლაშებს ილოკდნენ, როცა გათენდა...  
ბოლოს თქვეს, — მოდი, დავხედოთ

დასამკვიდრებლად ბოძებულ მხარეს,  
სიფათებიცო ვნახოთ ლუჭიჭუჭული  
გინგლიქოთქა

ამის თქმა იყო და ობროდები  
გავარდნენ ამბის გასაკითხავად,  
და რომ დაბრუნდნენ, ის, რაც  
ჩამოფქვეს,

ბატონ ენეასს არ ეპიტნავა;  
თქვეს: აქის მკვიდრთა ბლუკუნს და  
ქიჭინს  
რომ ჩავწვდეთ, ნალდად არ გვაქვსო  
ნიჭი,

ღმერთმა უწყისო, ვინ რას ქაჩანებს,  
რა გინდა რო ქნა, წყეული უს-ი  
როცა მათ სიტყვებს ბოლოში უზის,  
თუ გინდა თავი ქვასაც ახალე!...

ჰოდა, ტროელმაც აფრინა კაცი —  
ღიაკებს ფული ბლომად მიართვა:  
ფსალმუნთანო და ლოცვანთან ერთად,  
გრამატიკაცო გვინდა პიართა,<sup>10</sup>  
თვითონ ირჯება ვენერას ბიჭი,  
აღარ თაკილობს ყაყანს და ჩიჩინს  
თვისტომებს ოფლი რომ დაადინოს;  
ტმუ, მნუ, ზდო და ტლო ძნელია იქნებ,  
მაგრამ დააკლა მოძმენი წიგნებს —  
დაეუფლოთო უნდა ლათინურს.

გეზელ ქორივით ადგა შეგირდებს,  
მისგან შეღავათს არვინ ელოდა —  
შუალამემდე მერხზე ტოვებდა,  
ვისაც მათრახიც არა შველოდა,  
და ერთ კვირაში, — გაკვრივით კი არა —  
ლათინურს ფლობდნენ ძირ-ფესვიანად:  
პან ენეასი გაენეუსდა  
და დომინუსით<sup>11</sup> ხმობდნენ მის სახელს,  
რაც მთავარია, თვითონ ტროელნი —  
ტროელუხებად გარდაიხაზნენ.

მოძღვარმა ძმები წაახალისა —  
რომ განათლდითო, გიდგამთ მალარიჩს,  
ისევ შეავსო რაბით თასები,  
ისევ მოილო ქიქამ კახანი.



მერე ყველაზე მკოდნე ბიჭები,  
გულმოდგინენი და ბეჭითები,  
რომელთაც ნიჭიც მისცა ბუნებამ.  
გამოარჩია თაბუნს საერთოს,  
აქის მეფესთან უნდა საელჩოდ  
და ბოლოს გასცა განკარგულება:

„უამრავ ხიფათს რადგან გადავრჩით,  
და აქ ჩამოსვლა ლომებს გვეღირსა,  
ჩემი სალამი უნდა გადასცეთ  
მეფე-დედოფალს ლათინებისას,  
მჯერა, ხელმწიფის სატახტო კართან  
როცა წარსდგებით, პურ-მარილს

გარდა.

ადათს ძღვენიოთაც არ უღალატებთ:  
გარდა მაგისა, ესეც აცნობეთ,  
რომ თუ სწადია ჩემი გაცნობა,  
თვითონ ვეწვევი იმის პალატებს“.

პოდა, მბრძანებელს რომ მოახსენეს,  
ენეასისგან დასტა ბიჭები. —  
პურ-მარილით და საჩუქრებითო —  
სასახლისაკენ მოაბიჯებენ.

და ლათინუსმაც თუკი იჩება,  
ჩვენთან უნდათო დაძმობილება:

„-- სტუმარს ვერ დავხვდე?! — მყისვე  
ავყირდა...“

ხელმწიფე კაცი ისე დავეცე? —  
ელჩები თუა, თქვენს პირს შაქარი!  
კაცს სამეგობროს სახელით დავეძებ!---

უბრძანა! — ყველა დარბაზი —  
ხელად! —

წინკარებით თუ ეზოები —  
გამოგავონ და დააკრიალონ  
და მერე მორთონ მწვანე რტოვებით!  
— მაჯას რომ მოჩჩეთ, გაეარდით  
ბარემ.

აკვრა უნდაო კედელზე შპალერს!  
— ჩემი ამატა სად მყავსო ნეტა,  
გაახილოსო იმანაც თვალი,  
რომ, როგორც ჭერ არს, მიესადავოს,  
ნობების ფერებს ფერები ბაღის“...

კარის მხატვართან აფრინეს კაცი —  
შეისყიდისო კედლის სურათებს.

საკმელ-სასმელი ოხრად დაყარეს,  
სტუმრის წინ გული გაიგულადეს;  
ილი მოუხდა ღვინოს რაინულს,  
შავ ლუდს — ლომობი ნაირ-ნაირი:  
იმდენს მოლაღვენი კლეს ბოს, ცხვარ  
უჩიქუნქუნ  
ბიზლიჩითეკა ბროხას

დაძლება ყველა ჭურის უძღები,  
რაზი იღვრება ვედროებიდან,  
იტყვიო, დადგაო დღე დაურწყების.

„ფართოებია“<sup>12</sup>, თქვენი ქებული —  
დიდოსტატების ხელით ნატიფი! —  
გორახ მეფიდან მოყოლებული  
სწორუპოვარი გოლიათების;  
ინდოეთს მისვლა ალექსანდრესი —  
პორს ჯარითურთ რომ აუგო წესი;  
პერესვეტ ბერის — კულიკოვოზე  
ჩელუბეი რომ დაამიწა და  
მურომეცისა — პერიასლავს  
პოლოვცელთაგან როცა იცავდა.

— მამაც ბოვასი, — ლომგულ  
პოლკანის.

შერაცხულების ზღაპრულ გმირებად,  
პანებს რომ ეუფავს ველიზნიაკი,  
ქურდ სოლოვეის დაქორწინება;  
აგერ კარტუში — ფრანგი ავხელი,  
პარკუშა! — ქუხდა მისი სახელიც;  
აქა აქვს ბიხა ვანკა-კაენსაც,  
ამ გაღერეას რა შეედრება,  
ხელმწიფის გულმა გაიმამისა  
გამოახილეს თვალი კედლებმა...

გარშემო ერთი ფაციფუცია  
და სამზადისის ცეცხლი ანთია,  
და, პა. მოისხა ბოლოს მეფემაც  
მხარზე მუშამბის კოხტა მანტია —  
ზედ ქუშტაბახი ლაპლაპებს კალის,  
კაცს მარტო მასზე დარჩება თვალი,  
ხელთათმანები მოირგო ნატის,  
ფეხზე-იუბტის თეთრო თუქურა,  
გაფხორილს მამალ ინდაურივით,  
თავზეც უცაო რამ შლაბა ვრურა.

ასე მორთული და მოკაზმული  
დარბაზს შებრძანდა მეფე მორჩმული,  
ფერდებდაბევილ ჩიქვებს სადარო



დიდებულებით გარშემორტყმული:  
კამზე დაბრძანდა. დარბაისლები  
ბლონდლად დგახან მთელის ღირსებით  
ხოლო ბელსკამზე იმის ამატას  
სტარძალივით ასდის აღმური.  
ამასკოური შეენის ხალათი.  
არაბლიკი კი — სიასამურის.

დღეს გერმანული სამოსი მოსავს  
შათ მზისადარს. მწველ ლავინიას.  
მკენაკბენივით ბზრიალ-ტრიალებს.  
სარკის წინ სულ მთლად გადაირია:  
შეკრებილიყო სრულიად მაზრა.  
მეფის ფერხთაგან რომ იწყეს გაშლა  
ქრწკრამდე ნოხის. ახალთახალის:  
გამწკრივდა გშირი ქვეითი ქარი.  
მას ღირსეულად აუბა მხარა  
ცბენოსანმა თუ ქარმა აღაღის.

თ. მობრძანდხენ... და ელჩების წინ  
ღიდის პატრით გაიღო კარა.  
მოიმძღვანებენ დარბაზისაკენ  
არომულსა თუ ბახმუტურ მარილს.  
არშინიანი მოაქვთ ღვეზელი!..  
„აბა-ჭუბუბიც!“ — დიაბ. ესენი  
ტროელმა მეფეს უძღვნა პირადად:  
ხელმწიფეს სამგზის რომ სცეს თაყვანი,  
წინ წარსდგა კაცი უფროსთაგანი  
და ჭივრიანი სკვექა ტირადა:

„გშირი თაყვანი ტროიანორუმ!“  
ენეუს ნოსტერ მაგნუს პანუსი.  
ნუნკ ად ტე. ო. რექს! რომ  
მოვეგზავნეთ,  
ზღვაზე მოშპოდა. ვით ციგანუსი:  
უკირს ჩვესს კაპუტს და ამის გამო  
პოი. დომინე. პოი. როგამუს!  
აქვე ცხოვრება ჩვენი პერმიტტე.  
პეკენით. გრატის — ეს სულ ერთია.  
და გადაუხდით სატის მადლობას  
მაგ თქვენს დიდებულ ბენფიციენციას.

ო. რექს! ინუბეთ მეცენატობა  
და გვიწყალობეთ ლასკამ ტუამი.  
უნდა შეპტიკოთ ენეუსს ძმობა.  
იპტიმე ო. რექს. არ თქვათ უარი:

ენეუს პრინცესს სხვა ბიჭი არი  
მკვირცხლი. ფორმოზუს და ხოშიანი:  
თვით. ინნომენე სულ მალე ნახავს  
და აქციპერე უბრძანეთ ძღვენი.  
რომელიც უნდა მოგართვათ ახლად  
რომ სამეგობროდ ხელს მიგვრქმუნოს  
გნიშ-ნიჭიყმუნა



აი, ხომ ხედავთ მფრინავ ხალიჩას.  
ეტყვით? აგაფრენა. გნებავთ  
მთვარეზეც.

ლავინიასთვის მოგვირთმევიო.  
წინ გაუფინოს თუნდაც სარეცელს.  
სუფრადაც იხმარს კაცი ხანდახან:  
გამოადგება ეტლსაც ჩარდახად:  
იგი ჭერ კიდევ მაშინ მოქარგეს.  
მეფე ბმელის რომ იდგა დროება.  
თქვენს ასულს უფრო ასიამოვნებს.  
რომ დააპირებთ მის გათხოვებას.

პა. ჩადო-სუფრაც სილუზიური.  
ჩამოტანილი ლაიფციგიდან.  
ოღონდაც რამე ჩაიტკვი გულში! —  
მყის მიგიხვდებათ სურვილს იგი. და  
აომიბერტყავს თქვენ წინ გულუბედ  
სულ ნაირ-ნაირ, ხუგბარ ულუფას:  
ლუდის, არაყის, თაფლის და ღვინის  
მდინარეში ხომ ნალდად შეტოპავთ?..  
თვითონვე აწყობს ჭურჭელ-საინსაც..  
პოდა, ფეშქაშად იგი დედოფალს!..

აბა წაღები, მალემსრბოლები.  
გადასარევი, მოდური. კონტა.  
თვითონ ბიბლიურ ადამს კმია და  
არ ვიცი, ჩვენთან საიდან მოხვდა! —  
ესენი ალბათ მაშინ აწაბნეს  
ბიჭებმა ბერძნებს. იმ სამძაძაღლებს.  
ტროას. თავ-ღრანტი რომ დაგვიზგოიეს  
და ენეასის ხელყვეს ღირსებაც..  
დღეს ამ წაღებთან ერთად, მეფეო.  
მიიღეთ ჩვენი თაყვანისცემაც.“

მეფე ლათინუს — თავის ამატას.  
ის — ლავინიას. ყველა მათგანი  
ერთმანეთს ცმუკვით განედვენ ხოლმე  
ნერწყვმოდენილნი ამ იადგარით:



დღეს დაკა-დაკა არ ეკადრებათ;  
(თვითთულს მთლად სურს ძღვენის

დათრევა,  
მაგრამ სტუმრებთან ველარ მიჰქარეს!...) და ბრძანა მეფემ: „ჩემი სახლობით ენეასს ველი, როგორც ახლობელს, როცა ვიხილავ, მთლად გავიხარებ!

ეს ჩემი მრევლი ხომ დააგიყუეთ, მოვლენილებო მართლაც განგებით, რას ამბობ, კაცო, სადღა გაგიშვათ, სულ ერთიანად ასე კარგები; სალაში თქვენს ლომს!.. ძმებო, რა ვუყო.

ეგეთ კაცს ობოლ ლუკმას გავუყოფ... თუმცა... თქვენ მაგის ნუ გუფიქრებათ... ჩემი ასული, მთლად ქორთა ჭერაც, გადასარევედ ართავს და კერავს, ბოლოს დავმოფერდეთ კიდევ იქნება!“

და ენეასის ბოიარები მეფემ სუფრასთან მყისვე მილალა.

ქაქებში უღვთოდ ურტყეს არაყი, ბლითებზე უსვეს სულ ხიზილალა, გულ-ღვიძლთან ერთად სუფრას აყრო ლურთი ყვერული, მსუყე ატრია: ქარხლის მწიფე ყვავილენი ფარავს ხორცს ბურვკისა; მწიფე მწიფე ნაჭრებად ქაფქაფა ბორშთან ლიცლიცებს უხა, კისელს სმენ?... — პანებს რომ ეკადრებათ

ზღვის გაღმურს სვამდნენ სადილად ღვინოს, კიდევ რას სვამდნენ? — არ ვიტყვი ყველას,

რადგან სასმელზე ნერწყვმოდენილებს ვაითუ ნაღდად დასჭირდეთ შველა; აბა რომელ მსმელს არ გაახელებს კომშის, გულაბის, შინდის ნაყენი... სასურველ სტუმრებს ქვემეხებიდან ამ დროს ვივატზე ვივატ მიაგეს, ტუშზე ტუშს ქუხან ბუკწინწილები, მრავალყამიერ შვენით დიაკებს.

შენიშვნები:

1. **ივანე კობლარევი...** და შემდეგ — კუნძულია აიბა მასზე, როგორც „ოდისეაშია“ მოთხრობილი, ცხოვრობდა გრძელული კირკე ანუ კირკეა, რომელმაც ოდისევსის თანამგზავრები ლორებად აქცია.
2. **ლიანხი** — პოლონელი, აქ ლაპარაკია იმ წარჩინებულ შლიახტებსა და მაგნატებზე, რომლებიც თავიანთი თვითნებობით ძირს უთხრიდნენ პოლონეთის სახელმწიფოს.
3. **„He pozwaljam“** — ფრაზა მოდის ლათინური „ლიბერუმ ვეტო“-დან (თავისუფალი ვეტო), რომელიც პრეტესტის ნიშნად შლიახტური პოლონეთის სეიმზე ერთ-ერთ წევრსაც რომ წამოეძახა, სეიმის გადაწყვეტილება უქმდებოდა.
4. **ფრანგის უასაგის მოღმამაც იმ განლაპს** — აქ კოტლიარევისკი შეიძლება იმ სამოქალაქო ომებს გულისხმობდეს, რომელიც გაჩაღდა საფრანგეთში ბურჟუაზიული რევოლუციისას: — დირექტორატის დროს, ზელისუფლებას სათავეში იაკობინელთა და რობესპიერის დამბობის შემდეგ რომ ჩაუდგა სწორედ ამ დროს დანიშნეს ნაპოლეონ ბონაპარტი მხედართმთავრად, რასაც დიდი შიდა ანტილისტურები მოჰყვა.
5. **რომელ თუთანის დაპარა ნაფაზი** — რომნი ქალაქია უკრაინაში.
6. **ლათინთა მიწა** — იგივე ლაციუმში ანტიკურ ეპოქაში შუა იტალიის ერთ-ერთი დასავლეთი ოლქი ამბობდნენ. **ლათინუსი** — ლათინების მეფე, კერგილიუსის „ენეიდაში“ მისი მშობლებია: ფაუნტური — მიხედურებისა და ტყეების ღმერთი და ნიმფა — მარკია, რომლის სახელსაც მომდევნო სტროფში კოტლიარევისკი არასწორად „მეროკად“ იხსენიებს.
7. **ტურნუსი...** — კერგილიუსთან ტურნუსი რომაელთა მონათესავე იტალიური ტომის, რეტულთა მეფეა, რეტულთა ტომი ლაციუმში (ქ. არდუაში) ცხოვრობდა. ტურნუსი ლათინუსის ცოლის ამატან ნათესაეა.
8. **ხელსაბოცი** — (რეშაიკი — უარ) დემორატული უკრაინული ირბამენტებით მოქარავული ქსოვილი ზელსაბოცი ამშვენებენ ხატას დიდი ოთახის წმინდა კუთხეს, გარდა ამისა,









რომანი

გერმანულიდან თარგმნა დალი ვანჯიკიძე

მეჩვე თავი

ერთი სიტყვით, ფეხი შევდგი იმ კაცის სახლში, რომლის საუბარმაც მატარებლით მგზავრობისას სული და გული ამიფორიაქა, აქამდე იმ საცხოვრისის მთავორიანი მიდამოსკენ ქვემოუბნიდან ბევრჯერ ამიპარებია მაძიებელი მზერა, ხოლო მისი მდებრობითი სქესის ბინადართა, ანუ დედა-შვილის უცაბედად გაცნობის წყალობით, იგი ჩემთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გამხდარიყო. ბატონ პურტადოს ნაქები საბაგირო გზით მართლაც სწრაფად და მარჯვედ აველ „იქმოუბანში“ და ზედ რუა ეუან დე კასტილიუშთან აღმოვჩნდი. აქიდან ორ საათზე იდგა ეუკუკის ვილა, ისეთივე თეთრად შეფეთქილი, როგორც სხვა დანარჩენები. სახლს წინა მხარეს პატარა კორდი ამკობდა, კორდს შუაში ყვავილების კვალი დაუყვებოდა. სახლში მეცნიერის შესაფერი სისადავე დამიხვდა, რაც ზომითა და მოწყობილობით ისეთ უხარმაზარ კონტრასტს ქმნიდა ჩემს საცხოვრებელთან, რომ თავს ვერ მოვერიე და, ცოტა არ იყოს, გულმოწყალებდ შევაქე სახლიდან გადაშლილი ხედი და ოთახებში გამეფებული სიმყუდროვე.

სხვათა შორის, ჩემი გულმოწყალება ძალიან მალე გამინელა და ლამის მოკრალეზად მიქცია სხვა, კიდევ უფრო შთამბეჭდავმა კონტრასტმა: სახელდობრ, იჯახის დიასახლისის, სენიორა ეუკუკა და კრუკის შემობრძანებამ, რომელიც, ყველას, უფრო გამორჩევით კი მე, ისე ღირსეულად და მედიდურად მოგუ საღმა, თითქოს ამ პატარა, ზედმიწევნით ბიურგერული სალონის ნაცვლად აიდკაცურ მისაღებ დარბაზში ვმდგარიყავით. ამ ქალის ნახვით მიღებული გუმინდელი შთაბეჭდილება დღეს კიდევ უფრო გამიმძაფრდა, იგი, ეტყობა, დღეს საგანგებოდ გვეჩვენა სხვანაირად ჩაცმული: ეცვა თხელი, თეთრი მუარის, წელში კობტად გამოყვანილი, ქვევით გაგანიერებული კაბა, ვიწრო, მაკრამ ნაკეცებიანი სახელოებითა და მკერდქვეშ შემოჭდომილი შავი ბავერდა, შარფით, სპილოსძვლისფერ ყელზე მედალიონიახი, ოქროს ძეგლებური საკაული ეკეთა და სამკაულიც და მოქანავე საყურეების ჩარჩოში ჩასმული, ერთო, მკაცრი სახის ფერიც ქათქათა თეთრი კაბის ფონზე ოდნავ მუქი მოუჩანდა, გრუზა შავი თმის რამდენიმე კულული შუბლზე ეფინა და რაკი დღეს ქუდი არ ეხურა, უფრო მკაფიოდ ემჩნეოდა შავ თმაში გარე-

ქალთაგანდ ფელიქს კრულის „საუბეჯე“ № 3, 4, 5.



ულო ვერცხლის ძაფები, სამაგიეროდ, აღნაგობა უზადოდ შეენარჩუნებინა, წელში გამართულს თავი მალლა ეჭირა და მუდამ ზემოდან, სიამაყისგან ლამის დაღლილი ქუთუთოებიდან დაგვეტროდა! არ უარეყოფ: ეს ქალი ერთად მკრთობდა, ზუსტად ამავე თვისებებით მიზიდავდა, ოღონდ მისი ასეთი რითქმის პირველობამდე მისული მედიდურობა, თუნდაც გამოჩენილი პირველობის მეუღლეობით ვერ აიხსნებოდა, დიას, მის თავდაპირველში ერთად წინადასწარმის მიერ, რასობრივი ქედმაღლობა, რომელსაც ქკონდა რაღაც ანიმალური და სწორედ ამით გაღელვებდა.

ისე, მუ შაინც ზუზუს გამოჩენას ველოდებოდნი, ცხადია, იგი ჩემს ასაკსა და ინტერესებს სენიორა მარია პიასზე ურო შეეფერებოდა. დიასაბლისის საბელი პროფესორისგან მაშინ გავიგონე, როცა მან ერთ-ერთ პლემგადაფარებულ მაგდასთან მიგვიწვია და ქიქებშემოჯარული გრაფინიდან პორტვანი დაგვისბა. ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია. ის იყო აპერიტივი მოვსვით და ზუზუს შემოვიდა, ჟერ დედას დაუკრა თავი, მერე ამხანაგურად მიესალმა ბატონ პურტადოს და სულ ბოლოს მე მალირსა სალამი, ოღონდ, ეტყობა, ეს პედაგოგიური მოსახზრებით გააკეთა, რომ ღშერთი არ გამწყრობოდა, და არ გავყოყოჩებულყაფი, იგი ჩოგბურთის სათამაშოდ ყოფილიყო ვილაც ნაცნობ უმაწვილებთან, თუ სწორად გავარჩიე, ეუნასთან, კოსტასა და ლოპესთან ერთად ზუზუმ ერთს თამაში შეუქო, სხვებს დაუწუნა, ოღონდ ეს ისეთი სახით თქვა, ეტყობოდა, თვითონ თავს დაოსტატებულ მოთამაშედ თვლიდა. მე მხარსზემთ გადმომხედა და ისე შეითხა, თქვენ თუ თამაშობთო, ოდესღაც ფრანკფურტში, მესრის გადაღმა მდგარს მიყურებია — და სხვათა შორის, დიდი გულისყურით — როგორ თამაშობდნენ ჩოგბურთს ვლეგანტური ახალგაზრდები, ერთი-ორჯერ, ჟიბის ფულის გასაკეთებლად მოედანზე ბურთის მომწოდებლადაც დავმდგარვარ, შორს გადავარდნილ ბურთს მოთამაშეს ვაწვდიდი ხოლმე, ზოგჯერ პირდაპირ ჩოგანზეც დამიღვია ბურთი, სულ ეს იყო ჩემი ჩოგბურთის თამაში, მაგრამ ზუზუს მაინც ვუთხარი, წინათ, სახლში, ცხედარბაზ მონრეფუეს კორტზე ცუდ პარტნიორად არ ვითვლებოდი, ოღონდ მას შემდეგ აღარ მივარჯიშია-მეტქი.

მან მხრები აიჩეჩა, მე კი როგორ მიხაროდა, ისევ რომ ვუცქეროდი ყურებზე ჩამოვარცხნილ მის კულულებს, აბზეკილ ზედატუჩს, კრიალა კბილებს, სათუთად მობაზულ ნიკაპსა და ყელს, მის შავ თვალებს, სწორ წარბებს ქვემოდან უკმებად, გამომცდელად რომ იმზირებოდნენ! ზუზუს ეცვა ტილოს სადა, თეთრი კაბა, წელზე ტყავის ქამარი შემოერთყა, ხოლო კაბის მოკლე საბელოებიდან თითქმის მხრებამდე მოუჩანდა საყვარელი მკლავები, ის მკლავები კიდევ უფრო მეტ ჯადოს იძენდნენ, როცა მკლავებს მოხრიდა და თმაში ჩაბნეულ ოქროს პატარა გველს ორივე ხელით გაისწორებდა. მართალია, სენიორა მარია პიას ჟიშიანი დიდებულება ჩემზე თავზარდამცემ შთაბეჭდილებას აბდენდა, მაგრამ ვულს მისი თვალწარმტაცი შვილი მითრთოლებდა და ის აზრი, რომ ეს ზუზუ სამოგზაუროდ წამოსული ლულუ ვენოსტას ზაზა იყო, თუ უნდა გამბდარიყო, სულ უფრო და უფრო ჟიუტად იპყრობდა ჩემს გრძნობა-გონებას, თუმცა მშვენივრად მესმოდა, ამ სურვილის აღსრულებას წინ რა უზარმაზარი სიძნელეები ელობებოდა, განა ჩემს გამგზავრებამდე დარჩენილი ექვსი, თუ შვიდი დღე მეყოფოდა გამქლხო ყინული და პირველი კოცნა აღმებეტდა ამ ბაგეზე, ამ (წინარეისტორიული ძვლებით აგებულ) უმშვენიერეს მკლავზე? აი სწორედ მაშინ მომივიდა აზრად, მოზომილი დრო გა-



მეჩანგრძლივებინა. მოგზაურობის გეგმა შემეცვალა და პირველივე გემს არ გაველოდი. მერვე ზუზუსთან ურთიერთობისათვის შეტილი დრო რომ მექნებოდა. იქნებ დავახლოვებოდი კიდევ.

რა ვიფიქრებოდა იდეებმა აღარ გამიელვა იმ წუთებში, როდესაც მან დარჩენილი ჩემი მეორე „მეს“ გულში ამოჭრა. ცოლის შეჩვენება და იმის დაბრუნება. ეს ჩემი ლუქსემბურგელი მშობლები, ვინც ეს გულს გადასაცოლებელი მოგზაურობა მომიწყობ. მოვატყუო. პროფესორ კუკუკის მომზადებული ქალიშვილი შევიკრიბო და როგორც მისი მეუღლე, ლისაბონში დაერჩე-მეთქი. ვფიქრობდი უნებურად, მაგრამ თან მშვენიერად ვიცი და გულსაც ის მიკოდავდა, რომ ჩემი ყოფის ეფექტურობა, ორეულის საჩოთირო როლი სინამდვილესთან თამაშს სასტიკად მიკრძალავდა. ეს კი, როგორც ვთქვი, ტკივილს მაყენებდა მაგრამ მაინც რა ბედნიერი ვიყავი, რომ შემეძლო ახალ მეგობრებს ჩემი ნატიფი სუბსტანციის შესატყვისი საზოგადოებრივ რანგში წარესდგომოდი!

ამასობაში სასადილო ოთახში გავედით, რომელიც ოამის მთლიანად ეკუთვნა მისი ზომისათვის შეუფერებლად დიდსა და დიდებულ, თავიდან ბოლომდე მოჩუქურთმებულ კაჯლის ზის პუფეტს პროფესორი სუფრის თავში იჭრდა. მე კი ღიასახლისის გვერდით, ზუზუსა და ბატონ პურტადოს პირისპირ მომიჩინეს ადგილი. მათი გვერდიგვერდ ჯდომა და იმის შეგრძნება, მე თვითონ ზუზუს შერთვაზე ოცნებაც რომ მეკრძალებოდა, მათ ურთიერთობაზე ათასგვარ საფიქრალს მიჩენდა და ორივეს გაფაციცებით ვაკვირდებოდი. ის აზრი, რომ შეიძლებოდა ეს გრძელთმიანი კაცი და მომზიდველი გოგონა ერთმანეთისთვის ყოფილიყვნენ განკუთვნილი, მოსვენებას მიკარგავდა. მაგრამ მათი ურთიერთობა ისეთი თავისუფალი და უშუალო ჩანდა, რომ ეჭვი მალე გამეფანტა და შევბით ამოვისუნთქე.

ხანგრძლივად გრუზათმიანმა მთაბლემ მშვენიერი სადილი მოგვართვა: მრავალფეროვანი საუზმეული, აქაური უგემრიელესი სარდინებიტურთ, შემწვარი ცხვრის ზორცი, დესერტად ბეზე ათქვეფილი ნაღობით და ბოლოს ზილი და ყველიანი ნამცხვარი. სადილს ვატანდით კარგად შემთბარ წითელ ღვინოს. ქალები ღვინოს წყლით აზაგებდნენ, ხოლო პროფესორს წვეთი არ დაუღვია. მან რატომღაც საჭიროდ მიიჩნია აღენიშნა, რა თქმა უნდა, ჩვენი შინაური სადილი „საფორი პალასის“ კერძებს ვერ გაეჭიბრებოდა. მე კი ზუზუმ სიტყვა პირზე შემატოვა და წამოიძახა, ჩვენმა სტუმარმა დღევანდელი სადილი თავისი ნებით აირჩია და ცხადია, ამგვარი არ უნდა მქონოდა, ჩემი გულისთვის საგანგებოდ გაირჩებიანო. სუფრას „გარჯა“ სწორედაც რომ ეტყობოდა, მაგრამ ამ საკითხს გვერდი ავუარე და მხოლოდ ისა ვთქვი, არაერთარი საბაბი არა მაქვს, ჩემი სასტუმროს სამზარეულო ვინატრო, პირიქით, აღტაცებული ვარ ასეთ წარჩინებულ და ყოველმხრივ სასიამოვნო ოჯახურ წრეში, რომ ესა-დილობა და ჩემი მუხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება, ამ სიტყვებს ვისაც უნდა ვუმადლოდებ-მეთქი. ამ სიტყვებზე, მართალია, სენიორას ვეამბორე ხელზე, მაგრამ მზერა ზუზუსკენ მქონდა მიპყრობილი.

მან მწყრალოდ გამომხედა, წარბებზექმუხვნილს ტუჩები ოდნავ გაედო. ნესტოები კი დაებერა, მესიამოვნა, რომ იმ სიმშვიდეს, რაც დონ მიგუელთან მის ურთიერთობაში შევამჩნიე, ჩემთან ველარ ინარჩუნებდა. იგი თითქმის არ მაცილებდა თავს, დაუფარავად უთვალთვალებდა ყოველ ჩემს მოძრაობას. ყური ასევე ამკარად ჩემსკენ მქონდა მოპყრობილი. ჩემს ყოველ სიტყვაზე



წინასწარ ბრახობდა და ამას არც მალავდა. არაერთხელ ხომ არ გაუღიმიოდა დროდადრო კიდევ მოკლედ და აგდებულად ცხვირს აქსუტუნებდა. ვიტი სიტყვით, ჩემი იქ ყოფნა აშკარად აღიზიანებდა, ენამწარობის სურვილს ვიტი ვიძებდა და საერთოდ უცნაურად ალელვებდა და აფორიაქებდა. სოლო ვინ შეიძლება გამკიცხოს, თუკი გულგრილობას თუნდაც მტრული ინტერესი ვიტი ჩია და მეტ იმედსაც მინერგავდა?



ფრანგულად წარმართული საუბარი, რომელშიც აქა-იქ მე და პროფესორი ერთმანეთს გერმანულად ვესიტყვებოდით, ჯერ კიდევ მუზეუმსა და იქაურ, ყოვლისსიმპატიის აღმძვრელ შთაბეჭდილებებს უტრიალებდა. პროფესორს მოვახსენე, ამ შთაბეჭდილებებს თქვენ უნდა გიმაღლოდეთ-მეთქი. საუბარი მერე ბოტანიკურ ბაღში მომავალ ექსკურსიას შეეხო და თანდათან იმ არქიტექტორულ ღირსშესანიშნაობებზე გადაინაცვლა, მათი აზრით აუცილებლად რომ უნდა მენახა, მე ვიფიცებოდი, ჯერ ერთი, ცნობისმოყვარეობა მე თვითონ არ მასვენებს და მეორეც, ჩემი პატივცემული თანამგზავრის რჩევასაც ვერ დაევიწყებ. ლისაბონს ზერელედ ნუ დაათვალიერებ, მის შესწავლას საკმარის დრო უნდა მიუძღვნო, მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ დრო მიჭირს, ლისაბონისთვის მოგზაურობის გეგმაში ძალიან ცოტა დრო მაქვს გამოყოფილი და ახლა სერიოზულად ვჭიკრობ, აქ ყოფნა როგორ გავიზანგრძლივო-მეთქი.

ზუზუ, ჩვეულებებისამებრ, ისე იქცეოდა, ვითომ ჩემს არსებობას ვერც კი ამჩნევსო, და ჩემზე მესამე პირში ლაპარაკობდა. მან ახლაც გესლიანად შენიშნა, რა წესია, მუსიო მარკიზს ლაშის აქ დასახლება მოსთხოვოთ, მისი თქმით, ასეთი მოთხოვნა ჩემი ჩვეულებების უგულვებელყოფას ნიშნავდა, მე ხომ პეპელასავით ყვავილიდან ყვავილზე დავფრინავდი, რათა ყველგან ნაჩქარევად ცოტ-ცოტა სიტკბოება შემეგრძობა. მე ამ სიტყვებზე მისივე სტილით მიუუგე, რა მშვენიერია, მართალია, პატარ-პატარა ხარვეზებით, მაგრამ მადმაზელი მაინც რომ ცდილობს ჩასწვდეს ჩემს ხასიათს და თან თავისი აზრი პოეტური სახეებით გამოხატოს-მეთქი. ზუზუმ ამაზე კიდევ უფრო მწარედ მიპასუხა, თქვენი პიროვნება იმოდენა ბრწყინვალეობას აფრქვევს, ძნელია პოეტური მეტყველებისგან თავი შეიკავოთ, მის სიტყვებში სიბრაზესთან ერთად წინათ ნათქვამი აზრებიც გამოსკვიოდა. საგნებს თავის სახელი უნდა უწოდო, ზოლო „დუმბილი მავნებელიაო“ მამაკაცებს გაეცინათ, დედამ კი თავის ცელქი გოგონა თვალით დატუქსა, მე პატივისცემისა და მოწონების ნიშნად ზუზუს ჭიქას აწვავა, მივესალმე, მანაც ის იყო თავის ჭიქას წაავლო ხელი, რომ უცებ წამოწიალდა, ხელი უკან წაიღო და უსერბულობის გასაფანტად კვლავ მოკლედ და აგდებულად წაიქსუტუნა.

საუბარმა კვლავ ჩემს მოგზაურობაზე გადაინაცვლა, ასე უღმობლად რომ მიკვეცდა ლისაბონში გასატარებელ დღეებს, მე კი ჩემი მბრძო, უფრო დაწვრილებით არგენტინელ მესაქონლეთა ოჯახზე ვისაუბრე, ჩემს მშობლებს ტრუვილში რომ გაეცნოთ და ახლა მე ამ სტუმართმოყვარე მასპინძლებთან შეხვედრა მელოდა. ჩემს მასპინძლებზე, ცხადია, ის მოეყვები, რაც სახლში დარჩენილი ჩემი ორეულისაგან ვიცი. ისინი მაიერები ყოფილან, მაგრამ ნოვაროს გეარსაც ატარებენ, რადგან ქალბატონ მაიერს შეილები — ქალაქი — პიროველი ქმრისგან აყოლია. ვენესუელში დაბადებულ სულ ნორჩი გოგონა ცოლად წააყოლია ერთ არგენტინელ სახელმწიფო მოღვაწეს, 1890 წლის რევოლუციის დღეებში მისი ქმარი დაუბერტიალ, წლისთავის გავ-



ლას შემდეგ ქვირი მდიდარ კონსულ მაიერზე გათხოვლა და შვილებითურა ბუნოს აირესში. კონსულის ქალაქურ სახლში გადასულა. ამ სახლის გარდა კონსულს ქალაქიდან კარგა მოშორებით, მთებში რანჩო "ელ თორეალო" ჰქონია და ოჯახი თურმე თითქმის მთელი წელი იქ ცხოვრობს. ფრანგ მაიერის პენსია გათხოვების შემდეგ მის შვილებზე გადასულა და მალევე მალგაზრდებს მდიდარი მამინაცვლის შემკვიდრეობის გარდა თავის საკუთარი ქონებაც ჰქონიათ. ისინი თუ არ ვცდები, თვრამეტი და ჩვიდმეტი წლისანი უნდა იყვნენ-მეთქი, დაეძახე ბოლოს.

— სენიორა მაიერი აღბათ ლამაზი ქალია, არა? — მკითხა ზუზუმ

— რა მოგაბსუნოთ, მადმუაზელ, მაგრამ რაკი მთხოვნელი ასე მალე გამოსჩენია, გონჯი არ უნდა იყოს.

— ეტყობა, მის შვილებზე, ახუ ორივე ნოვაროზეც, იგივე შეიძლება ვიფიქროთ, თქვენ მათი სახელებიც გეცოდინებათ.

— რაღაც არ მაგონდება, ჩემს მშობლებს მათი სახელები ებსენებინოთ.

— სამაგიეროდ მე დაგენიძლაეებით, რომ ერთი სული გაქვთ, სანამ მათ სახელებს შეიტყობდეთ.

— ვითომ რატომ?

— რა ვიცი, ისეთი დაუფარავი ინტერესით ლაპარაკობდით ამ წყვილზე, რომ.

— მართალი ვითარიათ, ეგ სულ არ გამოცხობიერებია, მივუგე შემცბარმა, რადგან მისი სიტყვები გულში მომხედა - ხამდვილად არავითარი წარმოდგენა არა მაქვს მათზე, მაგრამ ვაძოვიტყლებით, ჩემზე ოდიოგანვე მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას აიძენდა და-ძმობას ფენოშენი და მათი მიმზიდველი იატება.

— ვწუხვარ, ასე ცალფად, მარტო რომ წარმოვიდექით.

— ჯერ ერთი, თავაზიიად დავუყარი თავი და ისე მივუგე მე, — ცალფად წარმოდგენილ ადამიანსაც შეიძლება გაახინდეს, საყმაო მომზიბლაობა.

— და მეორე?

— მეორე? „ჯერ ერთი“-მეთქი, ხამდვილად დაუფიქრებლად წამომცდა, ამიტომ „მეორე“ საერთოდ არ მაქვს მოფიქრებული, მაგრამ საქნე საქმეზე რომ მიდგეს, როგორმე შეიძლებოდა და-ძმობაზე არანაკლებ მომზიბლაევი კომზინაციების დასაბელება.

— ტატატატატა!

— როგორ იქცევი, ზუზუმ, ლაპარაკში ჩაგვერია დედოკო, — რას იფიქრებს მარკია, ეს რა აღზრდილი ყოფილათ.

მე სენიორა დავაწყნარე, მადმუაზელ ზუზუმსადმი პატივისცემას ასე იოლად ვერაფერი შემირყვეს-მეოქი, ამასობაში საუზმესაც მოვოჩით და ყავის დასალევად ისევე სალონში გავედით, პროფესორმა მოგვანენა, ბოტანიკურ ბაღში ვეღარ გამოგყეებით, სამსააურში უნდა მივბრუნდეთ, მართლაც, იგი მხოლოდ აგენიდა და ლიბერდადემდე ჩამოგვეყვა და გულთბილად დამემშვიდობა, ამ გულთბილობაში, ცხადია, მადლობაც გამოსწავოდა, მისი მუზეუმის მიმართ ასეთი ინტერესი რომ გამოვიჩინე, პროფესორმა დასძინა, ჩემთვის და ჩემიანებისთვის დიდად სასურველი და საპატივცემლო სტუმარი ბრძანდებით და ყოველ წუთს მზად ვარ ევლავ პატივისცემით მივიღოთ, სანამ ლისაბონში იქნებითო, თუ ჩივბუბრთის გაბსებება მოგაბსუნოთ და თროც



ამოვიჩნდეთ. ჩემი ქალიშვილი არ დაგზარდებათ და თავის კლუბში წავიყვანო.

დიდი სიამოვნებით. მე მზად ვახლავართო, არ დააბანა ზუზუმ.



პროფესორმა თავი გადააქნია. შემწყნარებლური ღიმილით თავის ღიმილზე მანიშნა, ჩემი არ იყოს. თქვენს შემწყნარებლობა გმართებთ. კიდევ ერთხელ ჩამომართვა ხელი.

სადაც ერთმანეთს დავცილდით. იქიდან მართლა სულ არ ქიოდა იმ ბოლოკვებამდე მისვლა. სადაც ტბებისა და ტბორების იოგელივ. გორაკებზე, ღვიმებსა. თუ ფერდობებზე ის ჩვენთვის საინტერესო. საყოველთაოდ ცნობილი მცენარეულობა იყო გაშენებული. ჩვენ როგორც მოგვიხდებოდა. ისე დავდიოდით: აან მე და დონ მიგუელი მივყვებოდით სენიორას. ზუზუ კი წინ გარბოდა, ზოგჯერ მართო მე აღმოვიჩნდებოდი მედიდური მანდილოსნის გვერდით და ვუყურებდი. ჩვენს წინ როგორ მიაბიჯებდნენ ზუზუ და პურტადო. ისე ხდებოდა. მე და კუკუების ასული სენიორასა და დერმოპლასტიკოსის წინ ან უკან წყვილად რომ მივდიოდით. მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ხშირად მაინც მე მიაბანაგდებოდა. რათა ჩემთვის იქაურ ლანდშაფტსა და მცენარეული სამყაროს საოცოებებზე ახსნა-განმარტებანი შემოეშველებინა და მართალი გითხრათ. ეს ყველაფერს მერჩივნა. ოღონდ „მეფიტულისა“ და მისი ახსნა-განმარტებების ხათრით არა — იმ წუთებში ის, რაც „მეორე რიგში“ უნდა მეთქვა და არ ვთქვი. თავის უფლებებს იძენდა და თვალწინ დედაშვილის მომხიბლავ კომბინაციას მიყენებდა.

აქ უადგილო არ იქნება ჩავუროთო. რომ ბუნება, რაგინდ გამორჩეულიც. რაგინდ ღირსშესანიშნავეც არ უნდა იყოს იგი. ჩვენს ყურადღებას ვერ მოზიდავს. თუ მთელი გრძნობა-გონება ადამიანისკენ გვექნება მიპყრობილი. ბუნება მაშინ. თავის პოეტენზიულობის მიუხედავად. კულისების როლს თუ იკასრულებს. ჩვენი შეგონებების ფონად უბრალო დეკორაციად თუ გამოდგება. ოღონდ. რაც მართალია, მართალია. ამ როლშიც იგი ქება-დიდებას იმსახურებდა. უზარმაზარი სამყებო ალბათ. ორმოცდაათი მეტრი სიმაღლისა. განაცვიფრებდნენ თავიანთი სიდიდით. დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოტანილი მარაოსებრი და ფრთისებრ-ფოთლოვანი პალმების ტევა არ იყო ამ საამურო ბაღნარში. ხოლო ამ მცენარეებს ზოგან ისე გაებარდნათ ტოტები, რომ თავი უსიერ ტყეში გეგონებოდათ. ეგზოტიკური ლერწმის ჭიშები. ბამბუკი და პაპირუსი, შემოჯაოოდნენ დეკორატიულ ტბებს. ხოლო ტბაზე ჭრელ-ჭრელი იხვები დაცუოადნენ, თვალს იტაცებდა იუკა თავის მუქმწვანე ყვავილსაფარით. საიდანაც ბუჩქ-აუჩქად ამოწვერილიყვნენ თეთრი ზარისე-ბური კოკრები. აქვე ხარობდა დედამიწის უძველესი ბინადარი ხე-გვიმრა. ისინი ბევრგან ახლო-ახლო ამოსულნი. ერთმანეთში იხლართებოდნენ. პატარა პატარა კორომებს ჰქმნიდნენ. ფესვები მაწაში მძლავრად და ფართოდ გაედგათ, ამოლტილ ტანზე კი ვეებერთელა. მარაოსებრი ფოთლების გვირგვინი ეხურათ. როგორც პურტადომ აგვიასნა. იმ ფოთლებს სპორების მტვრის შემცველი ბუტკოები ასბდა. პურტადომ ისიც გვითხრა. ამ ნაკრძალის გარდა გვიმრის ხეები დედამიწაზე იშვიათადაა შემორჩენილიო. გვიმრას, ამ უყვავილო და აქედან გამომდინარე. უთესლო მცენარეს, უასოვარ დროიდან პრიტიული ადამიანები ათასგვარ იდუმალ ძალას მიაწერდნენ. განსაკუთრებით წამდათ მისი საყვარულის ქადო.

- ფუა! წამოიძახა ზუზუმ



— ამით რა გხვდებათ გეთქვათ. მადმუაზელ? — ვკითხე მე. განა მოულოდნელი არაა. ასეთი ემოციური რეაქცია მეცნიერული. საქმიანი ტონით ნათქვამ სიტყვებზე. როცა მის მთქმელს თავისი სიტყვების დაზუსტება არც უფიქრია-მეთქი. გავიოცე მე და განგებ ჩავეკითხე: მაინც რომელმ: სიტყვამ გამოიწვია თქვენი აღშფოთება? სიყვარულმა თუ სიყვარულმა?

მას პასუხი არ გაუცია. მხოლოდ წყრომით შეტყვევებულმა თქვენ წარმოადგინეთ. ლამის მუქარით დამიქნია თავი.

მიუხედავად ამისა. ჩვენ ერთმანეთის გვერდით აღმოვიჩნდით და უკან მივეყვით ცხოველთაღმდგენელსა და რასობრივი სიამაკით აღსავსე დედოფს.

სიყვარული თვითონაა ჯადო-მეთქი. ვთქვი მე. ჰოდა, რა გასაკვირია. უძველეს ადამიანებს, ასე ვთქვათ. გვირისებრებს. და, უნდა მოგახსენოთ. რომ ასეთები დღესაც შეგხვდებით. ვინაიდან დედამიწაზე ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით შეიძლება ყველაფერმა მოიყაროს თავი, ჰო. რა გასაკვირია-მეთქი რომ მათ ცდუნებისთვის ვერ გაეძლოთ და სიყვარულის ჯადოს კეთებისათვის მიეყოს ხელი?

— უხამს თემაზე ლაპარაკობთ. — დამტუქსა მან.

— განა სიყვარული უხამსი თემაა? ო. რა სასტიკი ხართ! ადამიანს უყვარს სილამაზე. სილამაზისკენ ისე ილტვის ადამიანის გრძნობა-გონება. როგორც კოკორი ელტვის მზეს. იქნებ გგონიათ სილამაზე ექვემდებარება და აყენოთ მაგ ერთმარცვლიანი წამოძახილით?

— მე პირადად დიდი უხამსობა მგონია სილამაზეზე ჩამოაგდო სიტყვა, როცა თვითონ ხარ ლამაზი.

ამ პირდაპირობას ასეთი პასუხი შევაგებე:

— მეტიმეტად გაგულისებულხართ. ფროილან. ნუთუ სასიამოვნო გარეგნობის გამო ვინმე იმსახურებს ასეთ სასჯელს, ანუ ალტაცების უფლების წარომევას? განა სასჯელს სიმახინჯე უფრო არ იმსახურებს? მე, მაგალითად. სიმახინჯეს ყოველთვის დაუდევრობის გამოვლენად ვთვლიდი. გარესამყაროსადმი თანდაყოლილი პატივისცემის გამო ჩემი ჩამოყალიბების პროცესში ვზრუნავდი არ გამეწაფუნებინა მისი მზერა. ესაა და ეს. ჩემდათავად ამას თვითდისციპლინას ვუწოდებდი. ისე კი. შუშის სახლში მჯდომი ქვების სროლას უნდა ვრიდოს. იცით. თქვენ თვითონ რა ლამაზი ხართ. ზუზუ. რა მომაჯადოებლად გიფარავთ პაწაწინა ყურებს მშვენიერი კულულები. მათვის თვალის ვერ მომიწვევებია და ამიტომაც დავხატე კიდევ ისინი.

სიმართლეს ვამბობდი. იმ დილით. ჩემი სალონის კოხტა სასაუზმე ნიშაში ვისაუზმე თუ არა. სიგარეტის მოწვევაში ლულუს ხელით დახატულ შიშველ ზაზას საფეთქლებზე ზუზუს კავები მივანატე.

— რაო? თქვენ ჩემი დახატვა გაბედეთ? — კბილებში გამოსკრა მან.

— დიახ. თქვენის ნებართვით. უფრო სწორად, უამისოდ, სილამაზე დაუბეგრავი საკუთრებაა. იგი გულისთვის ხელმისაწვდომია. გარდა ამისა. იგი ვერც მისგან აღძრულ გრძნობას ჩაახშობს და ვერც ვერავის უბრძანებს. ჩემს გამოსასვლას ნუ შეეცდებით.

— მე მინდა ის ნახატი ენახო.

— არ ვიცი. ეგ მოხერხდება თუ არა. უფრო სწორად, მინდოდა მეთქვა. არ ვიცი. ღირს თუ არა გიჩვენოთ-მეთქი.

— ეგ სულერთია. მე მოვიტხოვ გამომიგზავნოთ ის ფურცელი.



— ფურცელი ერთი და ორი არ არის, ბევრია, უნდა დაეფიქრდე, თუ საერთოდ გიჩვენებთ, სად და როდის განახლოვდები ისინი.

— „სად და როდის“ გამოიხატება, ხოლო თუ ლაპარაკი კი გინდა, რაც ჩემს ზურგსუკან ვაგვიკეთებიათ, ის ჩემი საკუთრებაა, ხოლო რაც თქვენ „დაუბეგრავ საკუთრებაზე“ ბრძანებთ ნამდვილად დიდი უტაფრობაა.

— თქვენი წყენინება არც მიფიქრია, თავი მოსაკლავი მექნება, თქვენს თუ ჩემს ზრდილობაში შეგეპარათ ვქვი, მე ვთქვი, სილაბაზე გულს ხელი მიუწვდებოდა-მეთქი და განა ასე არ არის? სილაბაზე უმწყო ჩვენი გრძნობების წინაშე შეიძლება იგი ხელშეუხებელი, პელუხლებელი დარჩეს, სავსებით შორს იდგეს სხვისი გრძნობებისაგან, მაგრამ იგი მაინც უმწყო ამ გრძნობების წინაშე.

— ნუთუ აღარ მოიჩქებით ამ თემაზე ლაპარაკს?

— ამ თემას მოვეშვა? სიამოვნებით თუშვა იქნებ სიამოვნებით ვერა, მაგრამ იოლად კი მოვეშვეები, ვცადოთ მაგალითად, ასე. — შედარებით ხმა-მალა და ხაზგასმულიად სასაუბრო ტონით წამოვიწყებ მე. — ნება მიბოძეთ გვიტყვით, იცნობთ თუ არა თქვენ, ანუ, იცნობენ თუ არა თქვენი პატივცემული მშობლები ბატონ და ქალბატონ ფონ ჰიუონებს, ლუქსემბურგის ელჩსა და მის მეუღლეს?

— არა, ლუქსემბურგთან ჩვენ არაფერი გვესაქმება.

— აქაც მართალი ბრძანდებით, მე კი მმართებდა მათი მონახულება, ჩემი მშობლების ხატობით მოვიქცევი ასე, ახლა მათგან აღბათ საუბრედ ან სადილად მოპატრუებას უნდა ველოდე.

— კარგ დროსტარებას ვისურვებთ!

— მე კიდევ რაღაც მაქვს ჩაფიქრებული, მინდა ბატონ ჰიუონის მეშვეობით მის უდიდებულესობა მეფეს წარვუდგე.

— მართლა? მაშ თქვენ კარისკაც ბრძანებულხარა.

— თქვენ თუ გნებავთ ასე მიწოდოს, თქვენი ნებაა, მე კი დიდხანს ვიცნობრე აფრქუაზიულ რესპუბლიკაში და რა წამსაც დადგინდა, რომ სამეფოში მომიწევდა გავლა, გულში საიდუმლო განზრახვა ჩავიდე — მონარქს ვხლებოდი, თქვენ ეს იქნებ ბავშვურ სურვილად ჩამითვალათ, მაგრამ მეფის ნათესის სურვილი მოთხოვნილობად მაქვს ქცეული, ნამდვილად დიდ სიხარულს მომანიჭებს ასე მოვიბარო ქედი, როგორც მხოლოდ მეფის წინაშე შეიძლება ქედი მოიხაროს კაცმა და საუბარში წამდაუწყებ ვიხმარო მიმართვა: თქვენო უდიდებულესობავ, მაგალითად, ასე: „თქვენო უდიდებულესობავ, უმორჩილესად გახოვთ მიიღოთ მადლობა იმ წყალობისათვის, რაც თქვენმა უდიდებულესობამ... და ასე და ამგვარად, კიდევ უფრო ძლიერად მწვეავს პაპთან აფდიენციის მიღების სურვილი და ოდესმე ამასაც ავისრულებ, იქ მუხლსაც აცრავს, რა ჩემთვის უდიდესი ნეტარება იქნებოდა, და votre sainteté, თქვენო უწმინდესობავო, პაპს ასე მიმართავენ.

— მარკიზო, თქვენ, მგონი, აპირებთ თავ შეიძლება კარგად დამარწმუნოთ, პირმოთხეობისკენ რომ გქონიათ მიდრეკილება...

— პირმოთხეობაზე კი არა, მე მშვენიერი ფორმის სიყვარულზე გესაუბრება.

ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა! სინამდვილეში გინდათ ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინოთ თქვენი საცნობობით, საელჩოში თქვენი მიწვევით და საერთოდ



იმიტ, აქაოდა. ყველგან მიმესვლება და სულ საზოგადოების მაღალ წრეებში მიწევს ტრიალიო.

— თქვენმა ქალბატონმა დედოქომ, თუ არ ვცდები, აგისრძელათ ჩემი გამოკავრება და საერთოდაც...

— Maman! — ისე შესძაია მან, რომ სენიორა მარკიზისთვის შემობრუნდა. — უნდა მოვახსენო, რომ ეს ესაა მარკიზის ისევ ვუთხარი ტა-ტა-ტა-მეთქი.

— შენ თუ ჩვენს ახალგაზრდა სტუმარს ეჩხუბები, — თავის საამურო, ოდნავ ჩახრინწული ალტით მიმართა იბერიელმა ქალბატონმა თავის ქალიშვილს. — მაშინ მასთან აღარ გაგატარებ. მოდი აქ და დონ მიგუელთან ერთად იარე. მე კი მარკიზს შევიყოლიებ.

— გარწმუნებთ, მადამ, — ვუთხარი სინიორას, როცა მეწყვილე შევიცვალე. — ჩვენს შორის ჩხუბის მსგავსი არაფერი ყოფილა. განა შეიძლება ალტაცება არ მოგგვაროს მადმუაზელ ზუზუს პირდაპირობამ?

— ჩვენ მეტისმეტად დიდხანს მიგატოვეთ ამ ბავშვის ამარა, ძვირფასო მარკიზო. — მიპასუხა მეფური იერიით მოსილმა სამხრეთელმა მანდილოსანმა და კვლავ შეიარხია თავისი გიშრის საყურეები. — ახალგაზრდობასთან შეხებისას ახალგაზრდა კიდევ უფრო ახალგაზრდა ჩანს. მოწიფულობასთან ურთიერთობა მისთვის თუ უფრო სასურველი არაა, უფრო შესაფერი მაინცაა.

— ეს ურთიერთობა მისთვის ყოველთვის საპატიოა. — მივუგე მე და შევეცადე ამ ფორმალურ სიტყვებში ფრთხილად შემეპარებინა სიტბო.

— ჰოდა, ასე ერთად დავასრულებთ კიდევ გასეირნებას. საინტერესო გამოდგა თქვენთვის ეს გასეირნება?

— უაღრესად საინტერესო. მან ენით აუწერელი სიამოვნებაც მომანიჭა და მტკიცედ დამარწმუნა: ასე ვერ ვისიამოვნებდი და ლისაბონისგან მიღებული შთაბეჭდილებებიც ასე ვერ ამალელებდა. ვერც ნივთები და ადამიანები, უფრო სწორად, ადამიანები და ნივთები, ვერ მომზიბლავდნენ. საამისოდ შემზადებული რომ არ ვყოფილიყავი, ბედს თქვენს დიდად პატივსაცემ მეუღლესთან შეხვედრა და მასთან საუბარი რომ არ ებოძებინა, სენიორა, თუკი შეიძლება საუბარი ეწოდოს იმას, რომ მის ერთ-ერთ მონაწილეს მხოლოდ ალტაცებული მსმენელის როლი არგუნა ბედმა. ხოლო იმ საუბარმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პალეონტოლოგიური ხნული გაავლო ჩემს სულში, ჩემს გრძნობა-გონებაში სათანადო ნიადაგი მოამზადა, რომ ის შთაბეჭდილებანი, მეტადრე რასობრივი შთაბეჭდილებანი, ენთუზიაზმით მიმელო, შემეძინა ცოდნა წინარერასაზე, რომელსაც სხვადასხვა ეპოქებიდან უაღრესად საინტერესო შენაკადები ერთვოდა და დღეს თვალსა და გულს სახილველად დიად, სისხლისმიერ ღირსებას სთავაზობს...

მე სული მოვიტყვი, ჩემმა თანამგზავრმა კი ხმამაღლა ჩაახველა, თუმცა ამით დიდებული იერი მაინც არ შელახვია.

— რა ვქნა, — განვაგრძე მე, — თუკი თავსართი „წინარე“, ანუ le primordial,<sup>1</sup> ყველა ჩემს ფიქრსა და სიტყვაში ქურდულად იპარება. სწორედ ეს გახლავთ იმ პალეონტოლოგიური ხნულის შედეგი. რაზეც მე ვილაპარაკებ, აბა, უმისოდ რა ფასი ექნება ჩემთვის თუნდაც ბე-გვიმრებს, თუნდაც მეოღნოდა, უძველესი წარმოდგენებით იგი სიყვარულის ჯადოდ რომ ითვლება?

<sup>1</sup> პირველყოფილი (ფრანგ.).



მას შემდეგ ჩემთვის ყველაფერმა მნიშვნელობა შეიძინა — ნივთებმა და აღ-  
მიაჩნებმა, მე მიხდოდა მეთქვა, ადამიანებმა და ნივთებმა-მეთქი...

— ოქვენნი მგრძნობიარობის ქეშმარიტი მიზეზი შეიძლება ოქვენნი აბალ-  
გაზრდობა იყოს. ძვირფასო მარკიზო.

— რა საამურად ასმის თქვენი პირიდან სიტყვა აბალგაზრდობის შესახებ  
რომელ თქვენ მას სიმწიფისათვის დამანასიათებელი სიკეთით წაბრუნებულ  
მადმუაზელ ზუზუს, როგორც ჩანს, ჩემი აბალგაზრდობა აღიზიანებს. ზუსტად  
ასე, როგორც თქვენ ბრძანებთ. აბალგაზრდობასთან შეხებისას აბალგაზრდო-  
ბა კიდევ უფრო აბალგაზრდა ჩანსო. ასე თუ ისე, ეგ მეც მეხება. მხოლოდ  
აბალგაზრდობა ვერ წარმოშობდა ჩემს იმ ალტაცებას. რითაც ამ დღეებში  
ესულდგმულობ. მე ის მშველის სილამაზის შეწყვილებულ ხატს რომ შე-  
მიძლია ვუცქირო. გამოვლენილს კოკორივით ოდნავ გაშლილი ბავშვური სი-  
ლამაზისა და მეფური სიმწიფის სახით.

მოკლედ, საოცრად ლამაზ ვმეტყველებდი და უნდა მოგახსენოთ, ჩემს  
მკერძმეტყველებას წყრომა არ გამოუწვევია. პირიქით, როცა საბაგირო გზის  
ქვედა სადგურთან, საიდანაც ჩემი თანხმლებნი კვლავ კუკუკის კილაში უნდა  
ასულიყვნენ. ყველას დაგემშვიდობებ, სენიორამ ბრძანა, იმედი გვაქვს გამ-  
გზავრებაამდე კიდევ გიხილაყოთ, დონ ანტონიომაც ხომ გითხრათ, თუ ისურ-  
ვებთ, შეგიძლიათ ზუზუს ამხანაგებთან გაიხსენოთ თქვენგან მივიწყებული  
ჩოგბურთით, და სხვათა შორის, ამ აზრს არა უშავდა რა.

დიახ, მართლაც არა უშავდა, მაგრამ ჩემი მბრძოლვე თავედური კი გახლ-  
დათ! ზუზუს თვალებით დავეკითხე და რაკი მან გამომეტყველებითა და მბრე-  
ბით წვიტრალიტეტი გამოგვიცხადა, ამ წინადადებაზე თანხმობის თქმა ჩემ-  
თვის შეუძლებელი აღარ იყო. ჩვენც სათამაშოდ შებვედრა ზუკ დილისთვის  
დაუთქვით, მას შემდეგ კი „გამოსამშვიდობებლად“. ოჯახი კვლავ სადილად  
მიწვევდა. მე ჯერ მარია პიას, ხოლო შემდეგ ზუზუს ხელზე საკოცნელად და-  
ვხარე. მერე დონ მიკუელს გულთბილად ჩამოვართვი ხელი და გზას გავუ-  
დექი. მივდიოდი და თან უაბლოესი მომავლის გეგმებს ვაწყობდი.

მეცხრე თავი

ლისაბონი, 25 აგვისტო, 1895 წელი

ძვირფასო მშობლებო! საყვარელო დედიკო! პატივცემულო და ასევე  
საყვარელო მამა!

ეს წერილი კარგახნის მერე დავადევნე დებეშას, რომლითაც აქ ჩემი  
ჩამოსვლის ამბავს გატყობინებდით, და ემიშობ, თქვენს გულისწყრომას და-  
ვიმსახურებ. წყენა გაგიორმაგდებათ — და ეგ არც გამიკვირდება — ამ წერ-  
ილის გამოგზავნის თარიღს რომ დახედავთ, იგი ხომ დიდად ეწინააღმდეგება  
თქვენს მოლოდინს. ჩვენს შეთანხმებებსა და, თქვენ წარმოიდგინებთ, ჩემს სა-  
კუთარ გეგმებსაც. თქვენ ალბათ ათი დღეა ღია ზღვაში გეგულებით, მე კი  
იმ ქალაქიდან გწერთ წერილს, სადაც პირველად გავჩერდი, ანუ ჯერ კიდევ  
პორტუგალიის დედაქალაქში ვიმყოფები. ძვირფასო მშობლებო, ახლავე აგი-  
სნით გაუთვალისწინებელი დაყოვნებისა და ასევე ჩემი ხანგრძლივი დუმბილის  
მიზეზს და ვიმედოვნებ ჩანასახშივე ჩავკლა თქვენი უამაყოფილება.  
ყველაფერი ამით დაიწყოს, რომ გზაში გავიცანი გამოჩენილი მეცნიერი



პროფესორი ექვტეი, ვისი საუბაროც მყარა, ისევე დაიპყრობდა და ააფორია-  
ქებდა თქვენს გრძნობა-გონებას, როგორც ეს თქვენს ძეს დაემართა.

იგი როგორც ვკარო გეუბნებათ, წარმოშობით გარდაცემულია. შენსავეთ  
გოთადან არის. ძვირფასო დედა, დიდგვაროვანი არაა, მაგრამ კარგი ოჯახი-  
შვილია, პროფესიით პალეონტოლოგი. ცოლად აყავს მკვლევარ-ეპოლოგურ  
გვარის ასულს და დიდი ხანია ლისაბონში ცხოვრობს. დასრულებული და და-  
რექტორი გაბლავთ აქაურ სასტუმროსმეტყველო მუზეუმისა, რომელიც მისი  
წინამძღოლობით დაყაფვალა და მისმა პალეონტოლოგიურმა და პალე-  
ოანთროპოლოგიურმა სამეცნიერო ექსპონატებმა (ეს გამოთქმეთ, ალბათ  
გეოლოგებთან) ჩემზე გულში ჩამწვდომი შთაბეჭდილება მოახდინა. სწორედ  
ექვტემა მიჩნია, როგორც ეს გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, იოლად არ მოე-  
კიდებოდა მხოფლიოს გარშემო ჩემი მოგზაურობის დასაწყისს და ლისაბონის-  
ნაირ ქალაქში ხერხელედ არ მიმომხეხდა. მანვე გამოთქვა სინანული, ასეთ  
წაოსულის მქონე, მრავალფეროვანი თანამედროვე ღირსშესანიშნაობებით მდი-  
დარი ქალაქსათვის (აქ, სხვათა შორის, ბოტანიკურ ბაღში შემონახული, ქვა-  
ნახშირის ბანის ხე-გვიმრების ჩხენებაც კმარა) ასე მკითხე დრო რომ გამოგ-  
ვიყავითო.

ძვირფასო მშობლებო, როცა თქვენს სიკეთისა და სიბრძნის კარხანით ეს  
მოგზაურობა გამოშიწერეთ, მხოლოდ იმ უგუნურ ჩანაფიქრზე, დიან, ეალია-  
ოვბ მის უგუნურებას, მხოლოდ ჩემი უმწიფარობის მიზეზით აკვირებულ იმ  
უგუნურ ჩანაფიქრზე ხელის აღებინება არ გქონიათ ალბათ მიზნად, თქვენ  
ამაზეც ფიქრობდით, ეს მოგზაურობა ჩემს განათლებასაც ისეთ რაიმეს შე-  
მატებდა, ოჯახიშვილ ანაღვაზრდას თავის აღზრდის სრულყოფისათვის რომ  
კადრებდა, ჰოდა, ამ მიზანს შესანიშნავად ემსახურება ჩემი დაშეგობრება  
ექვტეის ოჯახთან, რომლის სამი, უფრო სწორად, ოთხი წევრი (ასე თუ იღე,  
ამ ოჯახს მიეკუთვნება პროფესორის ასისტენტი, ბატონი პურტადო, დერმო-  
პლასტიკის ოსტატი, თუკი, ცხადია, ეს სიტყვები რაიმეს გეუბნებათ) სხვა-  
დასხვა დონით მონაწილეობს ჩემს გათვითცნობიერებაში, გამოგიტყდებით,  
რომ ამ ოჯახის მანდილოსნებს ბევრი ვერაფერი გაუგებ, ამ ორი ვერის მან-  
ძილზე მათთან გულთბილი ურთიერთობა ვერ დავამყარე და ეტყობა, დიდ-  
ხანს ვერც დავამყარებ სესიორა, და ქრუცის ასული, ძველი იბერების შთა-  
მომაველი, შეგავრთობს თავისი სიმკაცრით, დიან, სიმკაცრითა და მედიდუ-  
რობით, რასაც მართალი გითხრათ, მე პირადად არსნა ვერ მოუტებებზე; მათი  
ასული ჩემზე ცოტათი უმცროსი იქნება, მისი საბელი ვერაფრით ვერ დავი-  
ახსოვრე, მაგრამ ის კი ვიცი, კახელოიანთა ჩემს რომ უნდა მოაკუთვნო, ისე  
მწაოედ იჩხვლატება ბოლმე, ისე, თუკი ჩემი გამოუცდელი თვალი არ მატ-  
ყუებს, ხეშთასუნებულა დონ მიგუელო (პურტადო) მისი მომავალი საქმრო  
და მეუღლე უნდა იყოს და მართალი გითხრათ, მეეჭვება, ვინმეს თუ შეიქ-  
ლება შუშურდეს მისი.

არა, მე ძირითადად ოჯახის უფროსთან, პროფესორ კ.-სა და კიდევ ცხო-  
ველთა სამჯაროს ფორმებში ღრმად ჩაბედულ მის თანამშრომელთან მაქვს  
ურთიერთობა, ვის რეკონსტრუქციულ ტალანტსაც მუზეუმში ბევრს უნდა უმა-  
ლოდეს, და მაინც, ამ ორიდან, ცხადია, უფრო კ.-გან მომდინარეობს ჩემი გა-  
ნათლებლისთვის ესოდენ საჭირო აღმოჩენები და დარჩევანები, ისინი სცილ-  
დება ლისაბონისა და მისი შემოგარენის არქიტექტურული მარგალიტების  
შესწავლის სფეროს და ენება მთელ ყოფიერებას, მისგან წარმომდგარი ორ-







ნული ხმლით გამოირჩეოდა ავსტრო-უნგრეთის მადრიდელი მრჩეველი. მე პირადად ერთ ულვაშიან ბელგიელ კაპიტანსა და პორტუგალიელ ლეინს ექსპორტიორს შუა მოვხვდი. ამ უკანასკნელს მიბნედილ სახესა და მედიდურ ქცევაზე ეტყობოდა. დიდი სიმდიდრის პატრონი უნდა ყოფილიყო. მთელი ეს თავყრილობა თავიდან მოსაწყენი მეჩვენა, რადგან სუბინარქსების უინტერესო პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს უტრიალებდნენ. საუბარში კარგახანს მხოლოდ ცხოველი ინტერესის გამომხატველი მიმიკით ვმონაწილეობდი. სამაგიეროდ შემდეგ ჩემგან აღმაცერად მჯდომმა პრინცმა, ამ სახეგამოციებულმა, ჩიფჩიფა და ენაბრგვილმა კაცმა, პარიზზე სასაუბროდ გამომიწვია და ერთბაშად ყველამ ამ თემაზე გადმოინაცვლა (პარიზზე ლაპარაკი ახა ვის არ ესია მოვინება!) და მეც, რაკი მისმა უმაღლესობამ გულმოწყალე ღიმილით, ჩიფჩიფითა და ენის ბორძიკით ამიბა მხარი, გული მომეცა და თავს ნება მივეცე საუბარი ცოტახანს მე წარმემართა. ნავაბშმევს კი, როცა ყავისა და ლოჭიორის დასალევად თამბაქოს მოსაწევ სალონში გადავინაცვლეთ და მყუდროდ მოვივალათ. თითქოს საგანგებოდ, საპატიო სტუმრის გვერდით მოვხვდი. ხოლო მეორე მხარეს მას მასპინძელი მიუჯდა. ბატონ პიუონის უხადო, მაგრამ უფერული გარეგნობა, მისი შუაში გაყოფილი მეჩხერი თმა, წყლისფერი თვალები და წვრილი გადაპრებილი ულვაში უეჭველად გეცოდინებოდათ. იოან ფერდინანდს მისკენ არც გაუხედავს, სულ მე მიგდებდა ყურს და, სავათა შორის, ეს ჩვენს მასპინძელსაც სიამოვინებდა. ეტყობა, ჩემს მოულოდნელ მიპატიებებს იმას უნდა ვუმაღლოდე, რომ მასპინძელმა მოინდომა პრინციისთვის მისი წოისა და ასაკის ღირსეული პარტნიორი შეერჩია.

უნდა გითხრათ, პრინცი მართლა კარგად კი გავართე და თან უბრალო ხერხებით, მაგრამ ის ხერხები მისთვის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა. მოვუყუვი ჩემი ბავშვობისა და ყრმობის ამბები, მოვიგონე ჩვენს ციხე-დარბაზში გატარებული დღეები. ჩვენი კეთილი, ბებერი რადიკულის სიძაბუნე, მის გამოჩავრებაზე ხომ პრინცი ბავშვივით აქყოპინდა, რადგან ბებერი რადიკულის წარმოდგენამ საკუთარი მამისგან ნამემკვიდრევი მოთამთალებული კამერდინერი გააბსენა: პრინცმა სიამოვინებისაგან დიდხანს იხითხითა, ძვირფასო დედა, შე რომ შენი ადელაიდეს საოცარი პრანჭვა-გრება წარმოვეუდგინე და დაესძინე, ოთახებში ვითომ ფერიასავეით დაფარფატებს-მეთქი. მოვუყუვი ძაღლების ამბავი, ჩვენი ფრიპონი როგორ აკრაჭუნებს კბილებს, ერთი ციდა მინიმეს დროდადრო იმნაირი პერიოდებო რომ დაუდგება, თვითონ მინიმე ფინიებისთვის დამანასიათებელ, საჩოთირო, საშიშ მიდრეკილებას რომ ამელავნებს, რაც დედაჩემო, შენს ქვედაკაბებს არაერთხელ უხერხულადაც დასტყობია. მამაკაცთა წრეში, რასაკვირველია, ელეგანტური სიტყვებითა და კვამოთქმებით შეიძლებოდა ასეთ რამეებზე ლაპარაკი და არც შევმცდარვარ, რაკი მეფის შთამომავალმა იმდენი იცინა მინიმეს დელიკატური მარცხის წარმოდგენაზე, რომ დროდადრო ცრემლებდადენილ ლოყებს იმშრალებდა ხოლმე. ისე, ცოტა გულისამაჩუყველი კია ენაბრგვილობით შებოჭილი ადამიანის წრეგადასული მხიარულების ყურება.

ძვირფასო დედა, იქნებ გეწყინოს კიდევ, ჩემი საყვარელი ფინიის ავადმყოფურ სისუსტეზე ხალხი რატომ ახარიაჩეო, მაგრამ რომ გენახა, ამ ხუმრობით რა ეფექტი მოვაბდინე, სითამამესა და უტაქტობას თვითონვე მაპატიებდი. ყველამ აიწყვიტა, პრინცი წელში ისე მოიკეცა, რომ მუნდირის საყულოზე მიმაგრებული დიდი ქვარი ქაერში დაეკიდა და აქეთ-იქით ვხლებოდა. მის



დანახვაზე ჩხვებშიც არწყნითეს დაძლიაუნებურად აუბეს მხარი. ყველამ მო-  
 ინდომა რადიკულის ხდელადესა და მინიმეს ამბების მოსმენა და შეძახდნენ.  
 ყველაფერ თავიდან გაიშეორეთ ბევრწემოვლებული უნგრელი ბარდოვ.  
 ხელს ისე გაქეცებით ირტყამდა, შეუძლებელია არ სტკენოდა. ჩასუქებულ.  
 თავის სიმდიდრის წყალობით ჩავარსკვლავებულ ღვინის დიდებულნი  
 ლისგან მუცელი ისე უთბთახებდა, რომ ეილეტზე ღილი ასწყდებოდა და  
 შორის, ჩვენს ელჩსაც არ დაუფარავს თავისი კმაყოფილება.

ყველაფერ ამას შედგებად ის მოჰყვა, რომ ნავაბშმევს ელჩმა ყველას თან-  
 დასწრებით შემოშთავაზა. გამგზავრებამდე მის უდიდებულესობა დონ კარლოს  
 პირველთან მიიდა წარგადგინო. მეც ვიცი, მეფე რომ დედაქალაქში არბან-  
 დებოდა, რადგან ციხე-დარბაზის თავზე სამეფო დროშა ფრიალებდა. ბატონ-  
 მა ფონ ჰიუნონმა განაცხადა. ასე თუ ისე, ჩემი მოვალეობაცაა, აქ გავლი-  
 მყოფი, ლუქსემბურგის მაღალი წრის წარმომადგენელი მონარქს წარვუდგი-  
 ნო, მით უმეტეს, როცა ეს „სასიამოვნო მონაცემებით“ დაჯილდოებული ყმაწ-  
 ვილი კაციო. ელჩმა დასძინა. მეფე ბუნებით ხელოვანიცაა და მეცნიერიც.  
 მისი უდიდებულესობა ზეთით ხატავს და ამავე დროს ოკეანოგრაფიითაც  
 ინტერესდება. ანუ სწავლობს ზღვებსა და ზღვის ბანადართ, ოღონდ სის ბუ-  
 ნებას პოლიტიკაზე ფიქრი და დარდი თრგუნავსო. ეს საზრუნავი ტახტზე  
 ასვლისთანავე, ექვსი წლის წინ დასწოლია მხრებზე. ამის მიზეზი კი გამაღარა  
 პორტუგალიისა და ინგლისის ინტერესების გათიშვა ცენტრალურ აფრიკაში  
 სამფლობელოების განაწილების გამო. მაშინ მის დამთმობ პოლიტიკას საზო-  
 გადობრივი აზრი აუბხედრებია და ლამის მადლობელი დარჩენილა, ინგლისს  
 ულტიმატუმი რომ წამოუყენებია და მთავრობას, ფორმალური პროტესტის  
 მიუხედავად, ბრიტანეთის მოთხოვნებისთვის გაუწევია ანგარიში. ამას ქვეყნის  
 მოზრდილ ქალაქებში მაინც გამოუწვევია მღელვარება, ხოლო ლისაბონში  
 რესპუბლიკელთა აჯანყებაც ჩასაბშობი გახდომია, აქ კიდევ პორტუგალიის  
 რკინიგზის ავბედით დეფიციტს წამოუყვია თავი, რომელსაც სამი წლის  
 უკან მძიმე ფინანსურ კრიზისამდე მიუყვანია ქვეყანა, ეს ყოფილა სახელ-  
 მწიფობრივი გაკოტრების აქტი. სახელდობრ, დეკრეტის ძალით ორი მესამე-  
 დით შეკვეცა სახელმწიფო ვალდებულებებისა! ამ მარცხს დიდად გაუზრდია  
 რესპუბლიკელთა პარტიის აქციები და რადიკალური ელემენტებისათვის გაუ-  
 იოლებია თავიანთი ძირფამომთარული საქმიანობა. მისი უდიდებულესობის  
 ყურს რამდენჯერმე ასეთი დამამწუხრებელი ცნობებიც კი მისწვდენია, პო-  
 ლიტკამ დროზე ამბილა თქვენზე თავდასხმის მიზნით მოწყობილი შეთქმულე-  
 ბო. პოდა, იქნებ ჩემს წარმოდგენას დაერღვია ყოველდღიური აუდიენცი-  
 ბის რუტინა, დიდი ბატონისთვის დარდი გადაევიწყებინა და გული გაეხალი-  
 სებინა, საუბარში, თუკი საშუალება მოგეცეთ, კარგი იქნება მინიმეს თემას  
 თუ ჩართავთ, რაზეც საბრალო პრინციპი ითან ფერდინანდმა ასე გულიანად  
 იცინაო, მითხრა ბოლოს ჩვენმა ელჩმა.

აღბათ გამიგებთ. ძვიოფასო მშობლებო, ჩემი როიალისტური მრწამ-  
 სისა და ენთუზიაზმით აღსავსე მისწრაფების ვადამკიდეს (რაზეც თქვენ აღ-  
 ბათ ბევრი არა იცით რა) როგორ მიმიზიდავდა ელჩის წინადადება. კანონი-  
 ერო ხელმწიფის წინაშე წარვმდგარევი, მის განზრახვას წინ მხოლოდ ის  
 ელობებოდა, რომ აუდიენციის გამოთხოვას ოთხი-ხუთი დღე მაინც დასკირ-  
 დებოდა და ამასობაში ჩემი გემი „კაპ არკონა“ უკვე ზღვაში იქნებოდა გასული.  
 რა უნდა მექნა? მეფის წინაშე წაოდგომის სურვილი შეერწყა ჩემი სწავლუ-



ლი მენტორის — კუკუკის გაფრთხილებას. ლისაბონისაირ ქალაქს ზერელედ  
 ნუ დაათვალიერებო, და უკანასკნელ წუთს შევიცვალე კიდევ გეგმა, გადაე-  
 წვიტე. ეს გეში გამეშვა და შემდეგით წაესულიყავი. მივედი სამოგ ხაურო ბილ-  
 როში. იქ მომაბსუჩეს, იმავე მიმართულებით შემდეგ გეში. სახელი „ამფტ-  
 რიტე“. ლისაბონიდან ოთხბმეტ დღეში გადის. მაგრამ იქნებ ეს მსგავსი უკვე  
 დაკავებულია, თანაც ის გეში „კაპ არკონას“ ბევრად ჩამსვლელად შეგეგნს  
 შესაფერ კომფორტს ვერ შემოგთავაზებთო. ყველაფერს აჯობებს. „კაპ არ-  
 კონას“ დაბრუნებას დაელოდოთ. იგი ამ თვის თხუთმეტში რომ გავა. ექვს-  
 შვიდ კვირაში მობრუნდება. თქვენი ბილეთი შემდეგ რეისზე გადაიტანეთ და  
 ამგვარად, სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში მოგიწევთ გამ-  
 გზავრებაო. პირჩია სანაოსნოს კლერკმა.

ჩემი ამიავი რომ იცით, ძვირფასო მშობლებო, რა მალე ვიცი ხოლმე  
 გადაწყვეტილების მიღება, პოდა, კლერკის წინადადებას დაეთანხმდი, გავეცი  
 შესაბამისი განკარგულება და მხოლოდ იმას დავსძენ, რომ თქვენს მეგობ-  
 რებს, მაიერ-ნოვაროებს, საბოდიშო დეპეშა გავუგზავნე. ლისაბონში დაგ-  
 ყოვნდი და ოქტომბერში ძელოდეთ-მეთქი. ამგვარად, როგორც ხედავთ, ამ  
 ქალაქში იმაზე ბანგრძლივად გამომივიდა შეჩერება, ვიდრე ვისურვებდი, რა  
 გაეწყობა, იყოს, როგორც არის! გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ  
 სასტუმროს, პირობები ასატანია და რაც მთავარია, გემზე ასვლამდე ჭკუის  
 სწვრთნელი გასართობი არ შემომაკლდება. მაშ ვიქონიო თქვენი თანხმობის  
 იმედო?

უამისოდ, რომ გესმით, რომ ვერ მოვისვენებდი, მაგრამ მე მგონი, თანხ-  
 მობის მოკემა უფრო გაგიადვილდებათ, როცა გიამბობთ, რა მშვენიერად  
 ჩაიარა მის უდოდებულესობასთან ჩემმა აუდიენციამ ბატონმა პიუნონმა წი-  
 ხასწარ მაცნობა მისი უდიდებულესობის მოწყალე სურვილი და ნაშუადღევს,  
 დანიშნულ დროზე კოტა ბნით ადრე თავისი კარეტით გამომიარა მეფის ციხე-  
 დარბაზში წასაყვანად, სასახლის გარე და შიდა დაცვამ, ელჩის უფლებამოსი-  
 ლებისა და სადღესასწაულო მუნდირის პატივისცემის ნიშნად, დაუბრკოლებ-  
 ლად გაგვატარა და სათახადო პატივიც მოგვაგო. ზევით ავედით სადარბაზო  
 კიბით, რომელსაც ორი მშვენიერი, ტანდაბარული კარიატიდი შესდგომოდა,  
 და ერთმანეთში გამავალი მისაღები დარბაზებისკენ გავეშურეთ. ისინი წინ  
 უძღვიან მეფის სააუდიენციო დარბაზს, მორთულნი არიან ყოფილი მეფეების  
 ბიუსტებით, ძვირფასი სურათებითა და ბროლის ქალებით, მორთულობაში  
 ქარბობს წითელი აბრეშუში და ძველებური ავეჯი. დინჯად გავდივართ ერთი  
 დარბაზიდან მეორეში, მეორე დარბაზშივე გვეგებება ჰოფმარშლის უწყების  
 მორიგე მობელე და კვთბოეს ჩერჯრობით დავბრძანდეთ და მოვიცადოთ. თუ  
 მდიდრულ მორთულობას არ მივიღებთ მხედველობაში, იქაურობა პაციენტ-  
 მრავალი ექიმის მოსაცდელს ჰგავს, რომელიც გასინჯვას იმაზე მეტხანს უნ-  
 დება, ვიდრე თავიდან ჰქონდა დაგეგმილი. მერე ყოველი ზედმეტი წუთი  
 გროვდება. პაციენტი დანიშნულ დროზე ველარ შედის, ექიმთან და ლოდინი  
 უხდება დარბაზები აქაც სავსე იყო აქაური თუ უცხოელი დიდებულებით,  
 ისინი, მუნდიროებსა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი ან ჩვეუ-  
 ჩვეუდად იდგნენ და წყნარად საუბრობდნენ, ან დივნებზე მისვენებულნი მოწყ-  
 ვნილი იყურებოდნენ, ჩვენ, სადაც კი შევიდოდით, ელჩი დიპლომატებსა  
 თუ ტაციობებს პატივისცემით ვსალმებოდა, მერე წარმადგენდა, მე კი ყოველ  
 ასალ გაყნობილ პართან საუბრისას, ვრწმუნდებოდი, რომ თავის დაჭერა ღირ-



სეულად შემძლება, ეს წახარებდა და ამიტომ ლოდინში გატარებული ორ-  
მოცა წყლის სე გავიდა. არც გამივია.

ბოლოს, როგორც იქნა, მოგვაკითხა მხარზე შარფგადაკიდებულმა ფრუ-  
ველადიუტანტმა, სიაში ჩაბედა და გვთხოვა მეფის კაბინეტში შესასვლელ  
კართან დაემდგარიყავით, კარის აქეთ-იქით გაბუდრულპარიკიანი სირო, ლაქვა  
იდგა, ხოლო კაბინეტიდან გამოვიდა გვარდიის გენერლის ფორმანში წყნად  
ჩილა მოხუცი, რომელიც მეფესთან რაიმე წყალობის გამო მაღლობის  
მელად მიუ ექნებოდა მოსული. ადიუტანტმა გაგვისწრო, რათა მეფისთვის  
ჩვენი ვინაობა მოეხსენებინა და ლაქიებმაც ფართოდ გაგვიღეს ოქროსკანტე-  
ბიანი ორთა კარი.

მეფე ოცდაათსაა გადაცილებული, მაგრამ თმა უკვე გამეჩხერებია და  
ტანზეც შესქელებულია. იმ დღეს ეცვა წითელყოშებიანი წებგოსფური მუნდი-  
რი და მკერდზე ერთადერთი ვარსკვლავი ეკეთა, ვარსკვლავის გულში პოეტო-  
ფრულ არწივს კლანქებში სკიპტრა და სფერო ეჭირა. მეფე თავის საწერ მა-  
ჯდასთან შემოგვეგება. საბუ ამდენ ხალხთან საუბრისგან წამოსწითლებოდა,  
მეფეს წაჩხები ნაპირივით შავი აქვს, ხოლო ბოლოებაცვარტნილ, მძირ  
ულეაში უკვე შეპარვია ქაღარა. ჩვენს ქედმოდრეკილ სალამზე ათასგის  
ნავარჯიშევი მოწყვალე ეესტით გვიპასუხა, შემდეგ ბატონ ფონ პიუონს მი-  
ღეული თქლივით მივსალმა და მზერაში ოსტატურად ჩააქსოვა პირმოთხეი-  
ბათ შეზავებული ხდობა.

ჩემი ძვირფასო Ambassadeur, ჩემთვის, როგორც ყოველთვის, სა-  
სამოუბროა... თქვენ ქალაქში ბრძანდებით? ვიცო, ვიცო... Ce nouveau traité  
de commerce... Mais ça s'arrangera sans aucune difficulté, grâce à votre  
habileté bien connue... ძვირფასო მადამ დე პიუონი როგორღა ბრძანდება...  
კარგად, ჩემს როგორ მინარია? მართლა ძალიან მინარია! კარგია, კარგი, ეს  
რა აღონისა მოგიყვანიათ დღეს ჩემთან?

ეს შეკითხვა ძვირფასო მშობლებო, წმინდა წყლის აუბრობად, უმაქნას  
პურტუაზულ გამოჩათქვამად ჩავუთვალე, არა, ფრავი მართლა მოდინილად  
მადგას ტანზე, ტახადობას კი სხვათა შორის, მამაჩემს უნდა ვუმადლოდე,  
მაგრამ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, სარკეში ჩემს თურაშაული ვაშლივით  
წითელ ლოყებსა და კრუტა თვალებს გულისტკივილით რომ დავეკირვები-  
ვარ, ჩემს გარეგნობაში მითოლოგიური ყერაფერი მიპოვნია, პოდა, მეფურ  
დაცინვას მგეც მოჩჩილების გამომჩატველი მხარულა ეესტით ვუპასუხე და  
ჩისმა უდიდებულესობამ, თითქოს ქათინაურის გაბათილება და მი-  
ფუტჩხება ექქათებათ, ჩემი ბელო ბელში ვაჩჩერა და სწრაფად განაგობო:

— ძვირფასო მარკიზო, ეესთილა იყოს თქვენი ფერი ლისაბონში! თქმა  
არ უნდა, თქვენს გვარს კარგად ეკცნობ და ძალიან მინარია, ქვეყნის უმაღლე-  
სი, არისტოკრატიათა ახალგაზრდა ნაშიერს ლისაბონში რომ ზრედავთ, მოგეხ-  
სენებათ, პორტუგალიას რა გულითადი და მეგობრული ურთიერთობა აქვს  
თქვენს ქვეყანასთან და სხვათა შორის, ამაში არცთუ მცირეა თქვენი მსლებ-  
ლის წვლილი, ერთი მითხარით, წაბოიწყო მან და წყლით ჩაფიქრდა,  
რა უნდა ეთქვა, — ჩვენს ქვეყანაში რამ ჩამოგაყვანათ?

ძვირფასო მშობლებო, თავის ქებაში რუ ჩამომართმევთ და, უნდა გითხ-

1 დღისათვის იყოთახტა  
ქვეყანის აუბრობად გამოგება... მაგრამ ამა დაუბოდა მოვეცება თქვენი ვინაობის  
ქობა-უცხობა ფეხითათა... (თოდათა).



რათ, რომ მონარქს საინტერესო, მეფის ვარის შესახებ, თან დაბრძანებული და თან ბალდაუტანადელი საფარო გავუბი. მე მხოლოდ მიზნად დაგამშვიდოთ და გასიამოვნოთ, რომ არც თავი შეძობოქია და არც მისი მისი წამიგრძელებია ენა. მის უდიდებულესობას მოვახსენე, რა უდიდებულესობა და მსახურვეთ ერთწლიანი განმანათლებლური მოგზაურობით, მოგზაურობის პარიზიდან შევედექი და პირველმა გაჩერებამ ამ შევედქი და პირველი მომიწია-მეთქი



— მამ კოსამონი, მოგზონებითაა?

— Sire, effectivement je suis tout à fait transporté par la beauté de votre capitale qui est vraiment digne d'être la résidence d'un grand Souverain comme Votre Majesté. თავიდან აქ მხოლოდ ორი დღია, მკობლა დარჩენა განზრახული. მაგრამ მივხვდი, რა სულელური იყო ეს განაფიქრი და თავდაყირა დავაყენე ჩემი კამეზი, რათა რამდენიმე ყვირა მაინც გამეტარებოდა იმ ქალაქში, სადახაყ ძალით თუ არ გაგადეს, ნებით არ უნდა წახვიდე... მაინც რა ელაქია, სილი და პროსპექტები, რა პარკები, რა მუღვარები და რაღაც აქვს ჩემი პირადი ურთიერთობების წყალობით პარკებში პროფესორ ქვეყნის ბუნების ისტორიის მუზეუმი დაგათვალიერე, დიდებულ დაწესებულებას, თქვენს უდიდებულესობაზე, პირადად ჩემთვის ეს მუზეუმი უპირველეს ყოვლისა ოკეანოგრაფიული ექსპოზიციითა საინტერესო, რქური ექსპონატების ნაყისას რუშუნდები, რომ სიკოცრლის ვოველი სახეობა ზღვის წყლისგანაა წარმოშობილი. ამ ბოტანიკური ბაღის საოცრებანი რად ღირს, სირ აგენიდას პარკი, ყაბბო გრანდე, პასეუ და ისტრელის პარკი, სადახაყ ქალაქისა და მდინარის საოცარი ბედი იშლება... განა საოცარია, ამ ცით ქურთხეული და ადამიანის ბედათ სანიმუშიოდ მოვლილი ბუნების იდეალურმა სურათებში თვალები აგინწყლიანოს, შით უმეტეს თუ ეს თვალი რდნავ, ღმერთო ჩემო, სულ რდნავ, ხელოვანის თვალისაა? გამოგიტყდებით, რომ მე მართალია, თქვენს უდიდებულესობას ვერ შევედრები... თქვენს ოსტატობა ამ სფეროში საყოველთაოდ ცნობილია მაგრამ პარიზში ცოტ-ცოტას ემეცადინეოდ სახეით ზელოვნებაში, ჟანქრით, ზეთით მიხატავს, ხატეუ ზელოვნებათა აკადემიაში პროფესორ ესტომპაროს ბეჯით, თუმიცა არცათუ წარჩინებულ მოწაფედ ვითვლება, მაგრამ ეს რა საბსენებელია, მთავარია, თქვენა, რომ თქვენი უდიდებულესობის საბით დედაშიწის ერთ-ერთი უმშვენიერესი, ამ იქნებ ყველაზე მშვენიერი ქვეყნის მეუღეს ვხდავთ, ამა სად ნაბავთ ამქვეყნიად სხვა ისეთ მანოთამას, მეფისა ყოველთადახის, უნებრას პორტულიან თვალწინ რომ გად-გეშლება, განა რამე მხიდრება მეუღის ყანბით ზელოვნება და სამხრეთული ბილის ბაღებით სავსე ესტრუმატურას?

თქვენ კი გაგიმხელათ, შეიძლება მშობლებო, რომ კარგადს ცოტ-დაბაზებსა და ბაღების მოხასტობის ნატიბი არქიტექტურაზე ორიოდ, სიტყვა ისე ვთქვი, თორემ ისანი ვერაუარ მომიჩაბულებოა მათი მოხასტობისა, კომდე იმიტომ ვერ შევედელი, რომ დიდხალ რჩის ვაქმარ მოგზაურობა თამაშს, ვთამაშობ უადრესად კულტურულ ანაღგაზადებთან კოფებში, სადაც ვუფკების შეშვეობით მოხვდით, ეს კიდევ არაფერი! რადმინდელს ჩემივ ბრუნადელ შთაბეჭდილებებზე ისე ხატეუჩად უნდაფარე, რომ მისმა უდიდებულესობამ ფრიად მომიწონა მგონითობარე ბუნება და ამქმის უფარი

1 ქალაქის მოსწიბს, ზვეშეაბოთ არფოსთაქინეუნი ამო მკვეთს დასაქმობის სტრატეგია იგა მათხავეუ რომ ღობნია-თათ, აქეუა დაფე, დასაქმობის დასაქმობის დელონა



ამან გამოაშავა და სიყუი რამ მკვერმეტყველების ნაწი გამოაჩინა. ახუ  
 რის ამ საგანგებო სიტუაციაში სტიმული მომცა. სრულად გამოვიყენე და მო-  
 სარქის მიზანზე ვაქვ და ვადიდე პორტუგალიის სახელმწიფო და საზოგადო სად-  
 აუ მითლიდ ქვიყნოს. საზღავეად როდი ჩაღიზარ-მეთქი. — ვაქვ  
 ხალხეუ გაჩქერეს. ჭეჭროს სწოთად. ხალხია მთავარი. ცნობისმოყურობა  
 გვლავს ჩანსვდე აქამდე უცნობ ადაშიანერ ჩიბლს. სფოვილი გინაქვ  
 უცნობ თვალეში. უცხო სახეებს შეაკლო თვალ... ვარგად გინაქვ  
 ვერ უამბომ სათქმელს. მაგონამ მიწია გამოგონს. სფოვილით ვიწვი. გაეინა  
 რა ჩემთვის უცხო სახეებისა და ხე-ჩვეულებების ცქერის. პორტუგალიას  
 ამ ხანსათი სიყუი. მაგონამ მთელი ჩემი უურადლება უბარველეს უოვლისა  
 პორტუგალიელისავეს თქვენი უდიდებულესობის ქვეშევრდომისაყენაა მი-  
 მართული კელტურ-ბველიბერიელ ჯიშს. შებდგომ ათასგვარი სასილო შეე-  
 თიაა უდიკოთოს. კარბაგენული რომაული და არაბული მოდგმისა და ამ  
 გზით შეიქმნა თვალწარბტაკი. დამატყვევებელი ტიპი — ზოგჯერ ზვიად საი-  
 კოპიანოსით შემქმელი. ზოგჯერ ეი გაყეთილშობილებული. მოწიწების მომგე-  
 რული ღამის შემდგომბული თავის ჩასობრივი სიამაყით. ასეთი მომზობლავი  
 ხალხის მტუფეობა ნამდვილად მოსალოცია-მეთქი. დავასრულე შე  
 ჭიან, დიან ძალიან კარგი. დიდად სასიამოვნოა. — მითხრა დომ კარ-  
 ღონმა. მადლობას მოგახსენებთ. ბვირთვასო მარკიზო. ასეთი კეთილი თვა-  
 ღისი რომ შეგისყდაეთ პორტუგალიისა და მისი ხალხისათვის.



მარკიზო  
 ბიბლიოთეკა

შაშინ ეს კითხვოვ. აობით აღუდიენციას ამით ამთავრებს-მეთქი და. მარ-  
 ტული უთარხათ. საბტად დაქ-ნი. როცა დასძინა.

აქვამ გამოემსდათოყავით? Cher ambassadeur, კოტა ახის დავსბდეთ  
 კვერს ამ ბეპაოება. მას თავიდან განზრბაბული ჭქონდა. აღუდიენცია ფეიბზე  
 ჩაღვარეპინა თა რადგან ამჯერად მოლოოდ ჩემი წარდგენა იყო გათყალის-  
 წიბ კველით. რამდენიმე წუთში მოუთავებინა კოდეც. მაგონამ რაკ აღუდიენცია  
 გააგონძელი და მყუდროდ დაჯდომავ მოიწადინა. ამას ჩემს მკვერმეტყველებას  
 ვა მართოს იქმს. თუნდა ვუმადლოდეთ. იმასაც გეტხვით. ამას უფრო  
 საამბელად ვწერს. და არა იბიტომ, რომ თავი მოვიწონო.

მეფე ვლჩი და მე ცხაურით დაცული მარბარილოს ფებრის წიბ ტყა-  
 ვის საფეოძლებში ჩავსბდით. ბუხარს ქანქარიაჩი საათი. კანდელაბრები და  
 მეფე თარბზე შემოსგებელი აღმოსავლური ვაზები ამშვექნებდა სასიამოვნია  
 იყო. დიდ მშვექნივრად პორტულ ყაბინეტში აღომბა, რომელსაც ათეუ შემის-  
 კრობი წიგნის კარადები აკლდა. ხოლო იატაკზე უზარმაზარი სპარსული ჩა-  
 ღისი ეგო ბუყარის ორივე მხარეს მძიმე მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმული  
 სურათები ეყიდა. კოთხე მთავორობის. ლანდშაფტი. მეორეზე ეი აყვავებული  
 მარო ებტა. იატონმა უომ პიუთონმა ქერ სურათებზე მიმახიზნა და იმწამსვე  
 მუფოსკსაც მიქნია თვალთ. მეფე ამ დროს მოჩუქურთმებული პაწია მაგიდო-  
 დამ სურათების ეკრტლოს ზარდაბმას იღებდა. ვლჩს უსიტყვოდ მივუბედი-  
 რაც სურდა.

მეფემა უდიდებულესობამ უნდა მომიტევეს. წამით უურადლენი  
 თამბ მოგაყვლით და მზერა ძალიანებურად ამ დიდებულ ნამუშევრებს მივაპ-  
 ვათო. მას მომცემი უფრო აილოს დავაკვირდენ არ. მესმის. ესაა მხატვრო-

ქვემოთ ხედავთ მარკიზოს თქმას  
 მარკიზო ბიბლიოთეკა  
 მარკიზო ბიბლიოთეკა



ნას გენიალურია! ზელმოწერას ვერ ვარჩევ. მაგრამ ერთი და მეორეც უმკ-  
ველად თქვენი ქვეყნის უპირველესი ხელოვანის ყალამს უნდა ვკუთვნოდეს.

უპირველესის ყალამს? — ღიმილით მკითხა სელმწიფემ. — გააჩნია,  
თას გულისამობით უპირველესში. სურათები ჩემი დაბატული მხრეებზე სი-  
რა და ესტოვლადაც გადაშლილი ის ხედვა გამოსაუღწეველად საბადო-  
როს საბლი მაქვს. მარჯვნივ შევეცადეთ როგორღაც გადმოვწიქვით ქაო-  
ბიანი დაბლობების განწყობილება. სადაც ტყის ქათამზე ენადრობ ხოლმე.  
თქვენც ხედავთ, როგორ ვცდილობ მშვენიერება არ დაუუკარგო თქენისყუ-  
რას, რითაც მოფენილია ჩვენი მინდორ-ველი.

— თითქოს მათ სურნელებასაც კი გოდნობ, — ვთქვი მე. — ღმერთმანი.  
ასეთი ოსტატობის წინაშე დილექტანტიზმს გაწითლებია და რჩენია.

— სწორედ მაგ სურათზე ამბობენ. დილექტანტურიაო. — მიპასუხა დონ  
კარლოსმა და უკმაყოფილების ხიშნად მხრები აჩვენა, მე კი ვითომ ძლივს  
მოვწყვიტე თვალი მის ნამუშევრებს და კვლავ ჩემს ადგილს დავუბრუნდი. —  
ჭგონიათ, რაკი მეფის ნაბატია. აუცილებლად დილექტანტიზმი უნდა დასწამონ.  
რას იხამ. ასეთ დროს ვგელას წერობი და მისი ფსევდოპორტიტული ამბიციები  
აგონდება.

როგორ შეცოდებიან ის ადამიანები, ამდგავარი წინასწარ აკვიატებუ-  
ლი რწმენისგან თავი რომ ვერ დაუღწევიათ! პირიქით უნდა აზარებდეთ ისეთი  
ბედნიერა დამთხვევა, როცა უზენაესი უზენაესობა, მაღალი ჩამომავლობის  
სიკეთე მუხუბაის სიკეთესთანაა შეერწყმული.

მის უდიდებულესობას აშკარად ეამა ჩემი სათქვამი, თვითონ იგი თავი-  
სუფლად იჯდა საყარძელში, საზურგეს მიყრდნობილი, ბოლო ელჩი და მე  
ჩვენ-ჩვენი საყარძლების დაქანებულ საზურგეებს არც ვერებოდით. მუფემ  
ბრძანა.

— როგორ მიხარია ძვირფასო მარკიზო, როცა ვხედავ, რა გოდნობით,  
რა უშუალოდ გამოიატავეთ ალტაცებას ნივთების, გარესამყაროს, ადამიანებისა  
და ბულოვნების ქმნილებათა მიმართ, როგორ მშურს თქვენი სულიერი უბი-  
წოება ასეთი თვისებები მხოლოდ იმ საზოგადოებრივ საფერხურზე მდგომ  
ადამიანს შეიძლება გააჩნდეს, თქვენ რომ დგანართ ცხოვრების სისაძაგლესა  
და სიმწარეს მხოლოდ საზოგადოების უმდაბლეს და უმაღლეს საფერხურზე  
მდგომნი შეიგოდნობენ. ამ ამბებში გამობრძმედილნი მხოლოდ მდაბიობი და  
სასელმწიფოს შესაქვენი არიან. ეს უკანასკნელნი ხომ მთელი თავისი სიცოცხლე  
პოლიტიკური მიაზმებით სუნთქავენ.

— თქვენი უდიდებულესობის სათქვამი უაღრესად გონებაშაბვილურია.  
მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ისე ხუ გამოგვბთ. თითქოს ჩემი უუზადლესა  
ბრიყვეული ნეტარებით დაფარფარებდეს საგანთა ზედაპირზე და სულ არ ცდი-  
ლობდეს ჩასწვდეს მის არცთუ სასიხარულო სიღრმეებს. მე თქვენს უდიდე-  
ბულესობას მივულოცე კაშმარიტად შესაშური ბედი. პორტუგალიისნაირი  
დიდებამოსილი ქვეყნის მმართველობა რომ გარგუნიათ წილად, მაგრამ მე იმ  
ჩრდილებსაც კარგად ვხედავ, ამ ბედნიერების დაბინდვა რომ სწადიათ და  
ხალკლისა და აბზინდის სიმწარესაც კარგად ვიცნობ. თქვენი სიცოცხლის ოქ-  
როს სასმელში ბოროტება წვეთ-წვეთად რომ ასხამს, მე არც ის გამოძრჩენია,  
რომ არც აქ უფრო სწორად, აქაც კი, სწორედ აქ არ გაკლიათ ისეთი ელემენ-  
ტები, საკეთარ რადიკალებს რომ ეძახიან ისინი მინდვრის თავგებოვიით უღრ-



ღმინი საზოგადოებას ფესვებს, და ამიტომ მე პირადად მათ საზიარ ვლემენტებს ეუწოდებდი და ეს გამოთქმა კიდევ ბოძიერია იმ გრძობასთან შედარებით, რასაც იმათ შამართ განვიყდი. ვისაც ბელს აძლევს სახელომწიფი მოვლელი მარცხი. ყოველი პოლიტიკური თუ ფინანსური გასაჭირი, რომელიც ვერაგული მიზნებისათვის კაპიტალი დააგროვონ. ისინი თავს სუფიანს ქმნიან. თუმცა მათი ურთიერთობა ხალხთან იმით ამოიწურა, რომ ხალხის ჯანსაღი ინსტიტუტები და მათდა საზიაროდ წაართვან იმის რწმენა, რომ საფებურებად დაყოფილი საზოგადოებრივი წყობა ხალხისთვისაა აუცილებელი. მაინც რითი ცდილობენ ამას? იმით, რომ ადამიანებს სავსებით არაბუნებრივ და ამიტომაც ხალხისთვის უცხო თანასწორობის იდეას უნერგავენ. უხამსი ლაქობით აცდუნებენ და თავს ატყუებინებენ, თითქოს აუცილებელი ყოველ შემთხვევაში. აუცილებელი თუ არა. სასურველი მაინც იყოს. — სულერთია ეს შესაძლებელია თუ არა — მოისპოს ყოველგვარი განსხვავება ჩამომავლობას. სისხლსა, ღარიბსა და მდიდარს შორის. გათანასწორდეს კეთილშობილი და მდაბიო, ესე იგი. მოისპოს ის განსხვავებანი, რომლის მარად შენარჩუნებისათვის ბუნება სილაშხესთან ამყარებს კავშირს. ძონებში გამოსვეულ მათხოვარს თავისი არსებობით ისეთივე წვლილი შეაქვს სამყაროს ფერადოვან სურათში, როგორც დიდკაცს უძევს. მორჩილად გაწვდილ ხელში მას მოწყალებას, რომ უდებს და თან ზიზღით არიდებს ხელს, როგორმე არ მივეყარო. და მათხოვარმაც იცის ეს; მას გაცნობიერებელი აქვს ის თავისებური ღირსება, მისთვის რომ ურგუნებია წუთისოფლის გამრიგეს და გულის სიღრმეში არც უნდა რაიმე შეიცვალოს. მხოლოდ ბოროტმა წაქეზებამ შეიძლება აურიოს მას ტვინი. გაუქარწყლოს საკუთარი როლის სიმშვენიერის შეგრძნება და ტვინში ჩაუბეჭდოს აღმამფოთებელი მონაჩმბა, თითქოს ადამიანები თანასწორნი იყვნენ. ადამიანები თანასწორნი არ არიან და მათ დაბადებისთანავე იციან ეს. ადამიანს დაბადებითვე დაქვეება არისტოკრატიული სული. მე ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ამ დასკვნამდე მე თვითონ მივედი. ვინც უნდა იყოს ადამიანი, საეკლესიო იერარქიის წევრი თუ სხვა იერარქიისა. ვთქვათ, იყოს თავდადებული უბრალო უნტეროფიცერი. მის თვალსა და კონებას მაინც ექნება უტყუარი ალლო უბეში თუ ნატიფი სუბსტანციის შეგრძნებისა. იმ სისა, რომლისაგანაც თვითონაა გამოთლილი... ხალხის ქომაგობა კი დამიხედეთ, რა კარგები არიან. ისინი მდაბალო და მდაბიოთშობილად უხარს ართმევენ შეპაროდნენ მათზე მალე მდგომ საზოგადოებას. ფუფუნებას, წარჩინებული ფენის კეთილშობილურ ზნე-ჩვეულებებს და ამ სიზარულს შურად, სიხარბედ და ურჩობად გაბრალებიან! ის, ვინც მასას იმ რელიგიას ართმევს, მათ ღეთისპოშიშობისა და ბედნიერების ჩარჩოებში რომ ამყოფებს. ვინც კლასის თავგზას უბნევს, ეველაფერი წყობილების შეცვლით მოწყესრიგდება მონარქია უნდა დაეცეს. შერე რესპუბლიკის დაარსება კმარა. შეიცვალოს ადამიანის ბუნება და ჯადოსნური კვერთხის აქნევით დამყარდეს ბედნიერება და თანასწორობაო... მაგრამ. ეტყობა. დროა თქვენს უდიდებულესობას შეწყალება ვთხოვო, რომ გავკადნიერდი და გული გადაგიშალეთ.

მეფემ წარბები ახიდა და მოწონების ნიშნად ელჩს თავი დაუქნია, რამაც ეს უკანასკნელი უზომოდ გაახარა.

— ძვირფასო მარკიზო, მომმართა შემდეგ მისმა უდიდებულესობამ. თქვენი შეხედულება მხოლოდ ქებას იმსახურებს. იგი არამართო შე-



ვეფერება თქვენს ჩამომავლობას, არამედ, ნება მიბოძეთ ესეც დავსძინო. ზედმიწევნით ამშვენებს თქვენს პიროვნებასაც. ღიახ, ღიახ, ამას ვამბობ. რასაც ვფიქრობ. A propos.<sup>1</sup> თქვენ დემაგოგების წამქეზებლური რიტორიკა და მათი სასიფათო, გამომათაყვანებელი მკვერომეტყველების ბიჭ ანუ-ნეთ. ჩვენდა სავალალოდ, სიტყვის ხელოვნებას მართლაც ამოვიღეთ ასეთი ხალხი: ვეკილები, პატივმოყვარე პოლიტიკოსები, ლიბერალური მოციქულები და არსებული წესწყობილების მტრები ფლობენ. მათსავეთ მგზნებარე ქომაგები ჩვენ ნაკლებად მოგვეძვეება. იშვიათად თუ მოისმენ თქვენ-ნაირ კეთილისმყოფელ, დამაჯერებელ სიტყვებს. კეთილ საქმეს სასიკეთოდ რომ წაადგება.

— ეურც კი გამომიტყვამს, რა პატრეს მდებს და რამოდენა ბედნიერებას მანიჭებს თქვენი ბაგიდან მოსმენილი სიტყვა „კეთილისმყოფელი“. — მივუბნე მე. — განა სასაცილო არ არის, უბრალო აზნაურმა კეთილისმყოფელი გაელენა მოახდინოს მეფეზე, მაგრამ გამოგიტყდებით, ჩემი მიზანიც სწორედ ეგ იყო. პოდა, რამ მაიძულა ასე მოვქცეულიყავი? თანაგრძნობამ, თქვენო უდიდებულესობავ, ღიახ, თანაგრძნობას უდევს წილი ჩემს მოწიწებაში, გავსაღწიერდები და მოგახსენებთ, რომ ამქვეყნად გრძნობათა იმაზე უფრო შთაგონებული ნაზავი არ არსებობს, ვიდრე მოწიწებისა და თანაგრძნობის ნაზავია. რაც ჩემი ახალგაზრდული ქუთით თქვენს უდიდებულესობაზე შევიტყვე. — თქვენი ჭირ-ვარამი, ის მტრობა, რაც არამარტო იმ პრინციპებს უპირისპირდება, თქვენ რომ ანსახიერებთ, არამედ პირადად თქვენს კეთილშობილ პიროვნებასაც ემუქრება. — ყველაფერი ძალეღვებს, და მინდა გისურვოთ, რაც შეიძლება ხშირად გაერთოთ და გული გადააყოლოთ, ეტყობა, გულის გადასაყოლებელ საშუალებას თქვენი უდიდებულესობა ფერწერაში დაეძებს და კიდევ პოულობს, ისიც მაზარებს, ნადირობა რომ გყვარებიათ...

— მართალი ბრძანდებით, ვაღიარებ, ყველაზე უკეთ მაშინ ვარ, დედაქალაქსა და აქაურ პოლიტიკურ ინტრიგებს რომ გავერიდები, მიყვარს ბუნების წიაღში, მთაში თუ ბარში, რამდენიმე ახლობელ და სანდო კაცთან ერთად ნადირ-ფრინველზე სანადიროდ გასვლა. თქვენც მონადირე ბრძანდებით, არა?

— მონადირე ვარ-შეთქი, ვერ ვიტყვი, ნადირობა ნამდვილად ყველაზე რაინდულ გასართობად მიმაჩნია, მაგრამ თოფის მოყვარული კაცი მაინც არა ვარ და მიპატიებებაზე იშვიათად, უფრო შემთხვევით თუ დავთანამდები, ისე, ნადირობისას ყველაზე უფრო ძაღლების ყურება მიხარია, ერთ უღელში ჩაბმული აღგზნებული მეძებრები და მწვერები თასმაზე რომ ვერ კავლებია, ცხვირებით მიწას ჩუგნიან, კუდებს აქიცინებენ და ყველა კუნთი უორთით, აქლა ამაყად თავაღებულ ძაღლს აღარ იკითხავთ, პირში ფრინველი, ან კურღლევი რომ უჭირავს და მოარბენინებს? აი, ამის ყურება ნამდვილად მიყვარს, ერთი სიტყვით, ძაღლების დიდი მოყვარული ვახლავართ, აღამიანის ამ ძველ მეგობართან ურთიერთობას პატარაობიდანვე მივეჩვიე, ძაღლი თვალს თვალში გაგოყრის, თუ გაეთამაშე, ხახადაბჩენილი გიციინის. — იგი ხომ ერთადერთი ცხოველია, სიცილი რომ შეუძლია — მის მოუხეშავ აღერსზე, ჭიშვიანი ძაღლის ელევანტური მიხრა-მოხრისა და მოქნილი სიარულის და-

<sup>1</sup> სხვათა შორის (უჩანგ).



ნახვაზე გული მიიბება. ხოლმე დღეს იმდენი ჭიშის ძაღლი არსებობს. მგლისა ან ტურისგან მისი წარმომავლობის კვალი თითქმის წაშლილია. უმეტეს შემთხვევაში მათთან მსგავსება ისევე ძნელი შესამჩნევია, როგორც სხვა ველარ ვამჩნევთ. ტაბირის ან მარტოქისგან რომაა წარმომავლობის მინიმალური საცხოვრისების წინის კაობის შპიტცი კი ველარ მსგავსებასთან წარმომავლობაზე და სპანიელის, ტაქსის, პუდელის, ლაბრადორის, კარტ-მული შოტლანდიური ტერიერის, ან სიკეთით აღსავსე სენბერნარის დანახვაზე ხომ მგელი აღარავის გააჩნდებდა. მაინც რა საოცარი ვარიაციები მოგვცა ძაღლის ჭიშებმა! მსგავს მრავალფეროვნებას სხვაგან ვერსად წააწყდებით. ღორი ღორია, საქონელი — საქონელი, მაგრამ აბა ვინ დაიჭრებს, რომ ხბოსოდენა დანიური დოგი და ერთი ციდა პინჩერი ერთი და იგივე ცხოველია? — უნას აღარ ვაჩერებდი მე, ამასობაში უფრო მარჯვედ დავჯექი სკამზე, თქვენ წარმოიდგინეთ, საზურგესაც კი მივეყრდენი, რაც, სხვათა შორის, ელჩმა ჩემზე ადრე გააკეთა, — თან კაცს ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ეს არსებანი თავიანთ ზომას ვერ აცნობიერებენ. — განვაგრძე მე. — მათთვის სულერთია უხარმაზარნი იქნებიან თუ პაწაწინები, ერთმანეთთან ურთიერთობაში ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. სიყვარული — მათათვის თქვენმა უდიდებულესობამ ამ სფეროს რომ შეეცხე — სიყვარული ზომ მათ თვალში სავსებით აცამტვერებს შესაფერისის თუ შეუფერებლის ცნებას შინ, ჩვენს ციხე-დარბაზში, ერთი რუსული ჭიშის მწვეარი გვყავს, საბელად ფრიპონი, დადბატონივით ამრეზილი და გოროზი, მთვლემარე ფიზიონომიის პატრონი, რაც სხვათა შორის, მისი ერთი ბეწო ტვინით აიხსნება. იქვეა დედაჩემის ძაღლი მინიმე, მალტური ჭიშის ფინია, ტანი თეთრი აბრეშუმის გორგალს რომ მიუგავს და ჩემს მუშტზე ბევრად დიდი რომ არ იქნება. წესით, ფრიპონმა გულშიც არ უნდა გაივლოს, ეს მუდამ მოცაბცახე პაწია პრინცესა პარტნიორად გამომადგებო, მაგრამ როგორც კი მინიმეს ქალური საწყისი გაუაქტიურდება, ფრიპონს ახლოსაც არ აკარებენ, მაგრამ განუხორციელებელი სიყვარულისგან გამწარებული კბილებს ისე აღრქიალებს, რამდენიმე ოთახს იქით ისმის ხოლმე.

მეფე კბილების ღრქიალის ხსენებაზე უზომოდ გამხიარულდა.

ღიაბ, თქვენს უდიდებულესობას პაწია მინიმეზე ისიც უნდა ვუამბო, რომ მისი კონსტიტუცია ბშირად ხიფათის მომტანია, რაკი თავისი ჭიშის წყალობით ბშირად კალთაში წოლა უწყევს-მეთქი, აღარ დაეახანე მე და გაცილებით უკეთ და უფრო სასაცილო დეტალებით გავიმეორე, ძვირფასო დედა, ჩემი ამასწინანდელი შემოქმედება, აღუწერე შენს კალთაში, საუბედუროდ, ბშირად განმეორებული ტრაგედია, შეშინებული წამოძახილები, ზარების წკრილი, ადელაიდას შემოფარვატება, უმაგალითო მანკვა-გრეხას მინიმეს მარცხის დანახვაზე კიდევ უფრო რომ მოუმატებს ხოლმე, იგი შენს საყვარელ გაუბედურებულ ფრიას გარეთ მიარბებიანებს, ხოლო ხელდება კალბუღულ რადიკულს პატარა ნიჩაბი და ნაცროს, ჩასაყრელი ვედრო შემოაქვს და გაჭირვებიდან შენს დახსნას ლამობს, დიდა წარმატება მოვიპოვე, მეფე სიცილისაგან ფერდებზე აქეოდა ხელს და მეც გულით გავიხარე, ეს გვირგვინოსანი, შეამბოხე პარტიებისგან შევიწხოებული, ზრუნვით დამძიმებული კაცი ასე რომ გავამხიარულე და ჭირ-ვარამი დავავიწყე, არ ვიცი, რას იფიქრებდნენ მისაღებ ოთახში აუდიენციის მომლოდინენი, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ მისი უდიდებულესობა სულათ და გულით მიეცა უწყინარ



მზიარულებას. მაგრამ ბოლოს მასაც გაახსენდა, რომ არც მე და არც ელჩი-რომელიც სიამაყესა და ბედნიერებას ვეღარ მალავდა. ჩემი მზიარულება შეუფერასე რომ გაამზიარულა უკანასკნელი არ ვეწერეთ ფლორენსის პატარა სიაში, სავარძლიდან წაქოღგომით დარბაზობის დამთავრება გეგმიანი და თან სიცილისაგან აცრემლეული თვალები შეიმშრალა. მერე მკვლევარმა შეიძლობების ნიშნად მდაბლად დავუკრავდით თავს. კარგად გავიგონე მონაოქმა მადლომის ნიშნად ელჩს ორჯერ რომ გაუძეორა: Charmant, charmant! თუმცა ეს სიტყვები მე ვილომ არ უნდა გამეგონა და აი ძვირფასო მშობლებო, ახლა კი სამდვილად მ მიხვდებით თქვენს წინაშე ჩემი პატარ-პატარა შეცოდებების მიზეზს და აქ დასარჩენი ვადის გააანგრძლივებაც უფრო ადვილად საპატიებელი მოგეჩვენებათ. ორი დღის შემდეგ მეტის პოფმარშლის კაბინეტიდან მომცრო პაკეტი მივიღე. შიგ იდო წითელი ლომის მეორე ხარისხის ორდენი ყელზე ჩამოსაკიდი ალისფერი ლენტითურთ. ერთი სიტყვით, მისმა უდიდებულესობამ დანაჯილდოვა პორტუგალიის ორდენით და ამიერიდან აღარსად წარვდგები შეუწყობელი ფრაკით. როგორც სულ ცოტა ხნის წინ ელჩთან სტუმრობისას მომიწია.

მშვენივრად ვიცი, ადამიანის კეშმარატ ფასი მკერდზე მიწებებული მიწანჭრით რომ არ განისაზღვრება, ადამიანი იმით ფასობს, რაც გულში უძევს. მაგრამ ადამიანებს — თქვენ ჩემგან არ გესწავლებათ — ღირსების აღმნიშვნელი ხილული, თვალსაჩინო, ხელშესახები ნიშნები ურჩევნიათ და ამისთვის არც ვკიცხავ, კარგად მესმის მათი და მეც წმინდა სიმპათიითა და მოყვასის სიყვარულით აღსავსე გულით ვბარობ. მათ ბავშვურ გრძნობებს ამიერიდან ჩემი მეორე ხარისხის წითელი ლომით კმაყოფილებას რომ მივანიჭებ.

დღეს ამით მოვრჩეთ, ძვირფასო მშობლებო. ნათქვამია, ეშმაკი იმაზე მეტს იძლევა, რაც გააჩნიაო. მალე კიდევ მოგწერთ ჩემს შთაბეჭდილებებსა და მსოფლიო მოგზაურობის საინტერესო ამბებს, რასაც უპირველეს ყოვლისა, თქვენს დიდსულოვნებას უნდა ვუმაღლოდე. თუკ თქვენი საპასუხო სალამი და კარგადყოფნის ამბები ზემოთ ნაჩვენებ მისამართზე კიდევ მომისწრებს, ეს ჩემს კარგადყოფნას დიდად წაადგება.

თქვენი ნაზად მოყვარული, ერთგული და მორჩილი  
კაეიშვილი ლულუ

კარგად ნავარჩიშვევი ხელით, ოდნავ მარცხნივ გადაბრილი ასოებით დაწერილი ფრანგულ-გერმანული წერილით სასტუმრო „სავოი პალასის“ პატარ-პატარა ბარათების მთელი დასტა გავავსე. ზედ ოვალში ჩასმული ზელ-მოწერაც დავურთე და ჩემს მშობლებს, ლუქსემბურგის მანლობლად მდებარე მონრეფუჟის ციხე-დარბაზში გავუგზავნე. კარგი ჯაფაც დამადგა, რადგან მართლა დაინტერესებული გახლდით ჩემთვის ასე ახლობელ ბატონებთან მიმთწერიო, საპასუხო წერილს გულწრფელი ცნობისმოყვარეობით ველოდი და ვფიქრობდი, პასუხს მარკიზა უფრო მომწერდა. ამ პატარა თბზულებას მრავალი დღე მოვანდომე და, სხვათა შორის, თუ დასაწყისში გაპარულ რამდენიმე ბუნდოვან ფრაზას არ მივიღებთ მხედველობაში, წერილი საგსებით სწორად გადმოსცემს ჩემს ნანახსა და განცდილს. თქვენ წარმოიდგანეთ, იმ პუბლიცის ბატონმა ფონ პიუონმა, მეფესთან წარდგენა რომ შემომთავაზა, ამით ჩატვრა შემისრულა-მეთქი, რომ ვწერ, პატარა დახარჯული რუდუნება მით უფრო დიდად დასაფასებელია. რადგან მის დასაწერ წუთებს კუკუკის ოჯახთან ნორმალური ურთიერთობის შესახარჩენებელ დროს ვბარავდი,



თუთი ეს ურთიერთობა კი ვინ იფიქრებდა. უფრო სპორტს თუ დაემყარებო-  
და. ეკოდოდ. სპორტის იმ საზღობას. რომელსაც სხვა საზღობებისა არ იყოს.  
არ ექტასებოდო. დიან. ვინ იფიქრებდა. ჩვენი ურთიერთობა ზეზუთის და  
პის თინაკლუბებთან ჩოგბურთის თამაშში თუ განვითარდებოდა.

ზუზუს წინადადების ჯერ მიღება და მერე დანაპოყების შესრულება  
არცთუ მცირე თავბუდობა იყო ჩემი მარცხი. მაგრამ მესამე დღეს უფრო  
ზუსტად დანიშნულ დროს. უზადო სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი გა-  
მოვყარადო ზუზუს საბლის მატლობლად მდებარე. ზედმიწევნით სუფთა  
ორნაგ სათამაშო მოედანზე. რომელიც იმ სათებში ზუზუს და პის შეგობი-  
რებს ეთმობოდა. ტანთ მეცვა თეთრი ქაბრით დამშვეწებული ფლანგ-  
ლის შარვალს. თოვლივით თეთრი. საყელიშუხსნილი პერანგი. პერანგზე ჯერ-  
ჯერობით ლურჯი პიჯაკი მქონდა მოცმული. ფეხზე უბმაურო. ბეზინისძირი  
ბიანო ტილოს ფენსაცმელი მეცვა. რომლითაც ცეკვა-ცეკვი შეგეძლო გეგ-  
ლო იმ დღეს ასეთივე გუნებაზე ვიყავი. როგორც მაშინ. გულში ავანტიურ-  
რისტული. თან დამორგუნველი და თან ზალისიანი. მტკიცე განზრახვა რომ  
მედო და სამხედრო კომისიას ისე წარვუდგე მტკიცე განზრახვა რომ იყო-  
დეთ. გამრყევას საწინდარია. ჩემი სპორტული სამოსით გათამამებულმა და  
მსუბუქი აფრისაყმლით ფრთაშესხულმა მტკიცედ გადაწყვიტე უვალსა-  
თვის თვალს დამეყენებინა და იმ თამაშში თავი არ შემერცხვინა. რომლის-  
თუისაც. შარვალია. შიყურებია. მაგრამ სხამდვილესი თვითონ არასოდეს  
მითამაშია.

კოტა ნაადრევად მომივიდა მოსვლა და კორტზე მარტო აღმოჩნდი.  
იქვე მატარა საბლი იდგა. სადაც გარდერობაც თავსდებოდა და სათამაშო  
მოწყობილობაც ინახებოდა. იქ ვაყინადო პიჯაკი, ავიღე ჩოგანი რამდენიმე  
ცალი კოსტა. ქათვითა ბურთი და მოედანზე ამ მშუენიერი საგნებით ვარჯიშს  
შევეუდექი. ბურთს ჯან ელასტიურ ბადჯადიკრული ჩოგნით ვკენწლავდი.  
ჯან მიწაზე ვასტუნავებდი. ჯან ჰაერში ვიჭერდი. ჯან კი ჩოგანს ნიჩაბივით  
ანოვლებდი და ისე ვიღებდი. მკლავის გასაყარჯიშებლად და დასარტყმელი  
ძალის მოსასიჯად ბურთებს ზედაზედ ბადის მიღმა ვგზავნიდი. უფრო სწო-  
რად. ეკდილობდი ბადის მიღმა გადამეგდო. თორემ ჩემი ნატყორცნი ბურთი  
მეტწილად ან ბადეს ეჯახებოდა. ან მეზობელ ეზოში ვარდებოდა. ზოლო  
თუ მეტისმეტად ვაეცხარდებოდი. სულაც მალალ მესერს ვადაეცლებოდა და  
შოოს. მოედანს იქით მიფრინავდა ზოლმე

ანუ. ვიქცა. ანუ მოწინააღმდეგის გარეშე. დავქროდი მოედანზე. სი-  
მოვნებით ვუჭერდი ხელს კოტა ჩოგნის ტარს. სანამ თავს ზუზუ კუყუყო არ  
წამომადგა ჩემსავით თეთრებში გამოწყობილ ორ აბალგაზრდა ქალ-ვაყთას  
ერთად. რომლებიც და-ძმა არა და ბიძაშვილები კი აღმოჩნდნენ. ეყის ან კოსტა  
ერქვა. ან კუნა. ქალს კი. თუ ლოპესი არა. მაშინ კამოესი უნდა რქმეოდა. კარვად  
არ მანსოვს. ხანეთ. მარჯიზი სოლოდ ვარჯიშობს. ეს ძრავლისმეტყველო ამბა-  
კილო. დამკინავად თქვა ზუზუმ და საკმაოდ დაბვეწილი. მაგრამ თავისზე გა-  
კლებით შეუხედავი აბალგაზრდები გაბაცხო. მერე ამასობაში შემოკრები-  
ლი კლუბის წევრებიც წამომომიდგინა. მამაკაცები და ქალები. სალდახა. ვი-  
ჩუბტე. დე მენეზესი. ფეიაპარა და მისთანანი. ჩემი ჩათვლით. თორმეტმა კაცი  
მოიყარა თავი. რომელთაგან რამდენიმე მესერს იქით. მაყურებელთათვის  
განკუთვნილ ძელსკამზე დასხდა. ორთავე მოედანზე ოთხ-ოთხი კაცი გამო-  
ვიდა სათამაშოდ. ზუზუ და მე ერთ მოედანზე. ოდოხდ სხვადასხვა წევოლშ-



მოვხვდით. ერთი აყლაყუდა ვაყი მსაჯის კვარცხლბეკზე აძვრა, რათა იქიდან დასათვლელი და აცდენილი ბურთები, აუტები, მოგებული გედმები და სუტები აღენუსხა და გამოეცხადებინა.

ზუზუ ბადესთან დადგა, მე ეს ადგილი ჩემს პარტნიორს, მარკეტელა, მწვანეთვალეა ქალიშვილს დავუთმე, ხოლო მე თვითონ, სხვათა შორის, სიმარტული და ტანდაბარული, უკანა ნაზთან დავდექი. ზუზუს პარტნიორმა, იმ ჩია პიკმა, პირველმა დაარტყა და, სხვათა შორის, საკმაოდ ძლიერად, მაგრამ მე თავიდან ხელი მომემართა, ბურთს ჩოგანი კარგად დავაბვედრე და ისე ზუსტად მოვიგერიე, რომ ზუზუმ, მაშ, ეგრე, არაო, ჩაილაპარაკა, სამაგიეროდ მერე უამრავი სისულელე ჩავიღინე. ჩემი უგერგილობის მისაჩქმალად აქეთ-იქით უაზროდ დავრბოდი და დავხტოდი და მოწინააღმდეგეს ქულებს ვმატებდი: თუმცა არც გამჭირვებია ყველას დასანახად, მოედანზე გორიხად მევლო და მოთამაშე ნეთამაშა, ვითომ თამაშს სერიოზულად არც ვეკიდებოდი. აბტუნავებული ბურთებით ათასგვარ ოინებს ჩავდიოდი, ვვონგლიორობდი, და ყველაფერი ეს, ჩემს უღმერთო აუტებთან ერთად, მაყურებელთა მხიარულებას იწვევდა, რაც, სხვათა შორის, სულაც არ მიშლიდა ხელს, წმინდა ტალანტის წყალობით ისეთი სიმარჯვე გამომეჩინა, რომ დაბნეული მაყურებელი ამას უკვე ჩემს აშკარა უვიცობას ველარ უთავსებდა და შეეძლო ეფიქრა, განგებ დუნედ ირჩება და თავის ნიჭსა და უნარს მალავსო. ერთი სიტყვით, მაყურებელი გაკაოგნე ერთი თუ ორი მწვავედ ჩაკრილი ბურთით, მშვენიერი ჩაწოდებით, წამოსულ ბურთს დროზე ადრე ვეგებებოდი, უძნელეს დარტყმებს ვეგერიებდი და ეს ყველაფერი ფიზიკური და სულიერი აღგზნებითა და აღფრთოვანებით აიხსნებოდა, რასაც ზუზუს იქ ყოფნას ვუმაღლოდი, დღესაც თვალწინ მიდგას ჩემი თავი უძნელესი დრაივის მიღებისას, ცალი ფეხი გამიწვართავს, მეორეთი ჩამიმუხლია და ეტყობა, ერთობ მოხდენილი ვჩანვარ, რაკი მაყურებელთა ძელსკამიდან ტაში მოისმის: ვხედავ საკუთარ თავს, რა მალლა ვხტები, რათა კვლავ ბრავოს ძაბილსა და ტაშის გრიალში იმ ბურთს შევაწვდინო ჩოგანი, თავის პატარა ბიძაშვილის დარტყმის წყალობით ჩემს პარტნიორს თავზე რომ გადაუქროლა, კვლავ მოწინააღმდეგის მოედანზე გადავტყორცნო და რა ვიცი, შეგადაშიგ კიდევ რა აღმაფრთოვანებული ილეთები აღარ გამომდის.

რაც შეეხება ზუზუს, იგი დინჯად, ჩინებულად და კორექტულად თამაშობდა და სხვათა შორის, არც ჩემს მარცხზე ეცინებოდა — როცა მაგალითად, პაერში ჩემგანვე ნასროლ ბურთს ჩოგანს ავაცდენდი — და არც ჩემი ოინები ჰკვრიდა ლიმილს, მაგრამ სამაგიეროდ არც ჩემს მოულოდნელ ჩემპიონურ დარტყმებსა და მოპოვებულ ტაშს იმჩნევდა. ცხადია, მარჯვე დარტყმები ისე იშვიათად გამოძდიოდა, რომ დაპარცხებას თავიდან ვერ ავიცილებდით და მართლაც, ჩემი პარტნიორის თავდაუზოგავი გარჯის მიუხედავად, ოცი წუთის შემდეგ ზუზუს მხარეს ოთხი მოგებული გეიმი აღინიშნა, როლო ცოტა ხნის შემდეგ ათმა მოგებამ უკვე სეტი შეადგინა, ჩვენ თამაში შევწყვიტეთ, ასპარეზი სხვებს დაეუთმეთ და გახურებულები, ოთხივენი ერთ ძელსკამზე დავსხედით.

— სხვათა შორის, მარკეზი სასიამოვნოდ თამაშობს, — თქვა ჩემმა ვვითელ-მწვანე პარტნიორმა, ვისაც საკმაოდ დავაწყვიტე ნერვები.

— Un peu phantastique, pourtant! — მიუგია ზუზუმ, და ამით შეე-

<sup>1</sup> ოლიზ ცოტა ფანტაზიორობს (ფოანგ).



ცადა ჩემთვის ჩამუსა მოეწმინდა, რაკი კლუბში მისი მიყვანილი ვიყავი. თან ისიც ვერწმუნე, ჩემი „ფანტაზიორობა“ მის თვალში რომ არაფერს მაკლებდა. მე მოვიბოდიშე, ლამის ბელახლა დამკირდა ჩოგბურთის სწავლა-მეთქი და იმედი გამოკეთევი, იქნებ დავიბრუნო ძველი სიჩაუქე და ჩემს პარტნიორებსა და მოწინააღმდეგეებს ღირსეულად აეუბა მხარი-მეთქი. ცოტა ხანს ასე ვისაუბრეთ, თან ახალი ოთხეულის თამაშს ვუყურებდით ფიგურულად. მებრის დანახვა გვიჩაროდა, რომ ამ დროს ერთი ბატონი მოგვიახლოვდა. გაგვცნო, გვარად ფიდელიო გაბლავართო. ყვითელ-მწვანე ქალიშვილსა და მის ბიძაშვილს პორტუგალიურად გამოელაპარაკა და სალაპარაკოდ განზე გაიხმო. ზუზუსთან მარტო დავრჩი თუ არა, მაშინვე მეცა:

— აბა, ერთი თქვენი ნახატები მიჩვენეთ, მარკიზო! სად არის? ხომ გითხარით, მიჩვენეთ და მომეცით-მეთქი?

— კი მაგრამ, ზუზუ, — მიუუგე მე, — ნახატებს თან ხომ ვერ წამოვიღებდი? ან სად უნდა დამეტოვებინა, ან თქვენთვის სად უნდა მეჩვენებინა, აქ ხომ ყოველწუთს შეიძლება თავზე წამოგვადგეს ვინმე...

— „თავზე წამოგვადგესო“, რას ჰქვია!

— რას და, ჩემი ნაფიქრ-ნაოცნებარი სურათები მესამე პირის სანახავი არ არის, უფრო მეტიც, იმასაც კი ვფიქრობ, თქვენი სანახავიც არის თუ არა, ღმერთმანი, ვისურვებდი, აქაც, თქვენს სახლშიც და ყველგან ნაკლები დაბოკოლება მეღობებოდეს წინ და უფრო თავისუფლად შემეძლოს თქვენთან საიდუმლოს გაზიარება.

— საიდუმლოსი? სიტყვები შეარჩიეთ, თუ შეიძლება.

— თქვენ თვითონ მიჩნით საიდუმლოს და თან აშკარაა, რომ ამ საიდუმლოს ასე იოლად ვერ მოევლება.

— მე ჩათლად და მარტივად გეუბნებით, რომ თქვენ უნდა მოახერხოთ იმ ფურცლების ჩემთვის გადმოცემა, მოხერხება, მადლობა ღმერთს, არ გაქლიათ, თამაშში სიმარჯვე და მოხერხება კარგად გამოამჟღავნეთ, ფანტასტიური იყო-მეთქი, სათქმელი შევალამაზე, თორემ ხშირად ისეთი მარცხი მოგდიოდათ, თათქოს თქვენს სიცოცხლეში არ ვეთამაშოთ ჩოგბურთი, მაგრამ მოხერხებულობა კი ნამდვილად გამოიჩინეთ.

— რა ბედნიერი ვარ, ზუზუ, თქვენი ბაგიდან ეს სიტყვები რომ მესმის...

— მაინც რამ გაფიქრებინათ, ზუზუ დაგეძახათ ჩემთვის?

— თქვენ ყველა ასე გეძახით და მეც ძალიან მიყვარს ეს სახელი, პირველი გაგონებისთანავე ყურები ვცქვიტე და მაშინვე გულში ჩავიბეჭდე თქვენი სახელი...

— სახელის გულში ჩაბეჭდვა ნეტა როგორღა შეიძლება!

— სახელი რომ მის მატარებელ ადამიანთანაა განუყრელად დაკავშირებული, ამიტომაც ვგრძნობ ბედნიერად თავს, ზუზუ, თქვენი ბაგიდან — როგორ მსიამოვნებს, რომ იცოდეთ, თქვენი ბაგის ხსენება! — თქვენი ბაგიდან ჩემი უბადრუკი თამაშის გულმოწყალე, ნახევრად საქებარი კრიტიკა რომ მესმის, მერწმუნეთ, თუკი ჩემი დილეტანტობა მაინც ასატანი იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს ყოველ მოძრაობას თქვენს საყვარელ, მომხიბლავ შავ თვალებს ადევნებდით.

— ძალიან კარგი, თუ ვარჯიშზე მიდგა საქმე, თქვენ მართლა რაშიც ვარჯიშობთ, მარკიზო, იმას არშიყობა ეწოდება, ოღონდ ორიგინალობით იგი თქვენს ფანტასტიურ თამაშს ვერ გაუტოლდება, აქ მყოფ ქაბუკთა უმეტე-



სობაც ჩოგბურთს მეტ-ნაკლებად ამ საძაგელი საქმიანობის საბაბად იყენებს  
- საძაგელი საქმიანობის საბაბად. ზუზუ? რატომ ამბობთ აბას? სიყ-  
ვარულზე საუბარს თქვენ კოთხელ უკვე უწოდეთ უბაძის ლაშა და ზრზლით  
წამოიძახეთ. ცუო.

- დიას. ვთქვი და ისევ გავიმეორებ, თქვენ ყველაზე უფრო უწესო  
ბიჭები ბრძანდებით და თვალი უწესობაზე გიჭირავთ.

- ო, ასე რომ ადგეთ და წახვიდეთ. ამით საშუალებას მომიბოძბთ,  
სიყვარულის დასაცავად ვთქვა რამე.

- სწორედ მაგას ვაპირებ. მეტისმეტად გაგვიგრძელდა აქ წყვილად  
ჯდომა. ჯერ ერთი, ეს მიღებული არაა და მეორეც (სხვათა შორის, როცა მე  
ვამბობ „ჯერ ერთი“-მეთქი, მაშინ „მეორეს“ გამოტოვება არ მჩვევია). მეო-  
რეც, თქვენ ცალკე აღებულ ერთ ადამიანს ორი არსების შენაერთი გირჩეუ-  
ნიათ.

დედაზე ექვიანობს-მეთქი. გავფიქრე და მართალი გითხრათ, გულში  
სიბარყული ჩამედვარა. ამასობაში მან ფრანგულად მომიგდო, მშვიდობითო და  
გამეცალა. ნეტავ რასათა დედოფალიც ასე ექვიანობდეს თავის ქალიშვილზე!  
მაშინ ეს იმ ექვიანობის ტოლფასი იქნებოდა. ჩემს გულში რომ გიზგიზებს  
მეორეს მიმართ გაჩენილი გრძნობის წყალობით-მეთქი. გულშივე დავსძინე  
მე.

ვზა კორტიდან კუკუეების ვილამდე იმ ახალგაზრდებთან ერთად გავლი-  
ეთ, კინც ზუზუს ახლდნენ, რადგან ბიძაშვილებსაც ვზა ჩვენსკენ ედოთ  
წესით, ეს Dejeuner! გამოსათხოვარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ცხადია,  
გამოსათხოვრად ველარ ჩაითვლებოდა, ასე იყო თუ ისე, ამჯერად სუფრას  
მხოლოდ ოთხნი ვუსხედით ბატონი პურტადო გვაკლდა, საუზმეს ზუზუ  
ჩემი თამაშისკენ მიმართული გესლითა და ირონიით კმაზავდა, მაგრამ როგორც  
აღმოჩნდა, დონა მარია პიასაც არ ასვენებდა ცნობისმოყვარეობა, რაკი დი-  
მილით რამდენიმე შეკითხვა დაგვისვა, განსაკუთრებით კი მაშინ დაინტე-  
რესდა, როცა მისმა ქალიშვილმა რამდენიმე საქებაარი სიტყვა ჩემს ცალკე-  
ულ მარჯვე დარტყმებზეც გამოიმეტა. დიას, გამოიმეტა, რადგან ქება  
ქბილღებშუა გამოცრა, წარბებშეკმუხენილმა და გაბრაზებულმა, რატომ  
ბრაზობთ-მეთქი, რომ ვუსაყვედურე, ასე მიპასუხა:

- ებრაზობ? დიას, ებრაზობ, რადგან ის დარტყმები თქვენს გაუწა-  
ფლობას სულ არ შეესაბამებოდა და არაბუნებრივი ჩანდა.

- ბარემ ზებუჩებრივი გეთქვა და ისაა! - გაეცინა პროფესორს. -  
ბოლოს და ბოლოს, საქმე, მგონი, იჭამდე მიდის, რომ მარკიზს გალანტურობა  
გამოუჩენია და გამარჯვება თქვენთვის ურგუნებია.

- როგორ გეტყობა, სპორტის ბევრი რომ არაფერი გაგეგება, ძვირფა-  
სო მამა. - მწარედ მიაბაღა ზუზუმ მამას, - თორემ გალანტურობას არ  
ახსენებდი და შენი თახამჯზავრის ამსურდულ საქციელს ასეთ უწყინარ  
ახსნას არ მოუძებნიდი.

- მამა კოველთვის გულმოწყალებას იჩენს. - ბრძანა სინიორამ და  
ამით ჩვენს კინკლიობას წერტილი დაუსვა.

იმდღევანდელ საუზმეს, და სხვათა შორის, არც მრავალ სხვა საუზმეს,  
რაც კი მომდევნო კვირების მახძილზე კუკუეების სახლში მიგემია, გასეირ-  
ნება აღარ მოპყოლია ლისაბონის შემოგარენში გასეირნებამ სხვა დროს

1. საუზმე (ფრანგ.)



მოგვიწია და ამას ქვემოთ ვიამბობთ. აქ კი მიხდა ის სიხარული გავიასენო. ჩემი წერილის გავზავნიდან მეოთხეშეტი თუ მეთვრამეტე დღეს რომ მეწვია. როცა სასტუმროში დაბრუნებულს კონსიერემა ჩემი ქალბატონი დედის წერილი მომართვა. გერმანულად დაწერილი წერილის შინაარსი ასეთი ვახლდათ:

ვიქტორია მარკიზა დე ვენოსტა-პლეტე  
 მონრეფუეის ციბე-დარბაზი, 3. სექტ. 1885.

ჩემო ძვირფასო ლულუ!

გასული თვის 25-ში გამოგზავნილი შენი წერილი მე და მამაშენმა დროზე მივიღეთ და ორივენი მადლობას გწირავთ. შენს ამბებს ასე კეთილსინდისიერად და დაწერილებით რომ იწერები. შენი ხელწერა, ჩემო კარგო ლულუ, არც არასოდეს მომწონდა და ახლაც არ აკლია ღვლარქნილობა. მაგრამ საბავიეროდ შენს სტილს შეუძენია სიფაქიზე და სასიამოვნო დაბვეწილობა. რასაც ნაწილობრივ სიტყვისა და მახვილგონიერების დამფასებელ ფრანგულ გარემოს მივაწერ, რითაც ასე დიდხანს სუნთქავდი აქამდე. გარდა ამისა, ეტყობა, მშვენიერი ფორმის შეგრძნების უნარი. რაც ყოველთვის გახასიათებდა. რადგან იგი ბავშვობიდანვე ჩაგინერგეთ. მართლაც ადამიანის არსებობის ქვაყუთსეღია, იგი მხოლოდ გარეგნულ მანერებში კი არა, ყოველგვარ სიტუაციაში ვლინდება და ასევე ვრცელდება მის ზეპირ თუ წერით მეტყველებაზეც.

მართალი ვითარა, არ მჯერა, მართლა ისე მჭევრმეტყველურად და მოხდენილად გესაუბროს მის უდიდებულესობა მეფე კარლოსთან, როგორც იწერები. ეს ალბათ წერილის შესაფერი ფიქციაა, თუმცა ჩვენთვის მონიჭებულ სიამოვნებას ამით არა დაკლებია რა. განსაკუთრებით გვესმია მოვნა შენი შეხედულებები. წერილში რომ გამოთქვამ, ისინი ისევე ესაღბუნებიან ჩემსა და მამაშენის სულსა და გულს. როგორც ხელმწიფეს ეამა. ორივე ვიზიარებთ შენს აზრს ამქვეყნად არსებული უთანასწორობის ღვთიურ წარმოშობაზე. დიან. ღმერთის დაწესებულია განსხვავება მდიდარსა და ღარიბს, კეთილშობილსა და მდაბიოს შორის და გლახაკთა არსებობაც ასევე ღვთის ნებაა. მაშინ ხომ აღარ მოგეცემოდა გულმოწყალების გამოჩენისა და ქრისტიანულ კეთილ საქმეთა კეთების საშუალება, დედამიწაზე სილატაკე და გაქირვება რომ არ არსებულაყო?

შესავალს ამით მოვრჩეთ. ვერ დაგიმაღავ, და ალბათ შენც არ გაგიკვირდება. შენმა მართლაც თვითნებურმა გადაწყვეტილებამ, კარგახნით გადაგედო არგენტინაში გამგზავრება. ჭერ, ცოტა არ იყოს, გუნება გავვიფუქა. მაგრამ მერე შევეგუეთ და ბედს შევურიგდით, რადგან საამისო მიზეზები საპატიო გვეჩვენა. ტყუილად. როდი ამბობ, ჩემს გადაწყვეტილებას შედეგები ამართლებსო. უბრალო. უპირველეს ყოვლისა წითელი ლომის ორდენით შენს დაჯილდოებას ვგულისხმობ, რასაც მეფის წყალობის და შენს გულისმომნადირებელ საქციელს უნდა უმაღლოდ და მე და მამაშენი ამ ჩილდოს გულმაურვალედ ვალოცავთ. ეს მართლაც საპატიო ორდენია. შენოდენებს მას იშვიათად ანიჭებენ და თუმცა იგი მეორე ხარისხისაა, მეორეხარისხოვანს მაინც ვერ უწოდებ. იგი მთელი ჩვენი ოჯახისათვის დიდი პატივია.

შენი წერილის კვალდაკვალ ფრთხილ ირმინგარდ უონ ჰიუონის წერილიც მივიღე, იგი ამ სასიხარულო ამბავსაც მატყობინებს და კირის ნაამბობსაც ამიწერს. საზოგადოებაში რა წარმატება მოგიპოვებია. მას უნდოდა



დედის გული გაეხარებინა და ამ მიზანს სრულად მიადგინა კიდევ ცხადია, სულაც არ მინდა გული გატკინო. მაგრამ მაინც უნდა ვითხრა, რომ მისმა, უფრო სწორად, ელჩის ნაამბობმა, ცოტა არ იყოს, გამოაცხადა არა, ხუმარა ყოველთვის იყავი. მაგრამ პაროდისა და ბურლესკური გარდასახვის იმოდენა ნიჭი და უნარი თუ გაგაჩნდა, რომ მთელი საზოგადოებრივი შეფასების მომავლის ჩათვლით, გულიანად გეხარებინა, ათასგვარის მძაფრსა და ტვირთული მეფისთვის ლამის არამეტყურო მხიარულება მოგეგვარა და დარდი დაგევიწეებინა, ამას კი ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ემარა, ფრაუ ფონ ჰიუონის წერილი შენს მონაწერს ადასტურებს და მეც ისღა დამრჩენია ვითხრა, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. ისიც გეპატიოს, ჩემო შეილო, შენი სპექტაკლი ჩვენს შინაურ ცხოვრებაზე რომ აგიგია, რაც, სხვათა შორის, ყობდა შინაურობაში დარჩენილიყო, ამ წერილს რომ გწერ, მინიმე კალთაში მიზის და ალბათ ისიც ჩვენსავით გულმონყალებას გამოიჩენდა მის პაწია ტვის ვითარებაში გარკვევა რომ შეეძლოს. შენ მეტისმეტად გვიდა, თავს უფლება მიეცი, გრატიესკულად დაგეხატა ზოგიერთი ანუ და განსაკუთრებით დედაშენი წარმოდგინე საკმაოდ სასაცილოდ, როცა აღწერე, როგორ სავალალოდ გათხიპნილი და ნახევრად გონდაკარგული მივსვენებულვარ სავარძელში და მოხუცი რადიკული ჩემს საშველად ნიჩაბსა და ვედროს როგორ მოარბენინებს. ნაცრის ვედროსი მე არაფერი ვიცი, ეტყობა, აგი შენ გამოიგონე, ისე გულით მოგინდომებია, როგორმე გაგერთო საზოგადოება. მაგრამ რაკი შენმა მონდომებამ ასეთი სასიხარულო ნაყოფი გამოიღო, აღარ ღირს გისაყვედურო, ამით ჩემს ღირსებას მცირე ჩრდილი რომ მიაყენე.

იმასაც ნამდვილად დედის გულის საამებლად თუ ერწმუნება ფრაუ ფონ ჰიუონი, თითქოს შენ თავიდან თეხებამდე საოცრად ლამაზი, ლამის კაბუკის სილამაზის ეტალონი იყო, მაგრამ ამ სიტყვებმა ასე თუ ისე მაინც გაგვაოცა, გულახდილად გეტყვი, შენ სანდომიანი ბიჭი ხარ და ცხადია, თავს იმცირებს, საკუთარ თავს უწყინრად რომ დასციინი, ვაშლივით წითელი ლოყები და წვრილ-წვრილი თვალები მაქვსო, ეს მართლა მეტისმეტია, მაგრამ არც არაჩვეულებრივად ლამაზი და მომბობლავი გეფქმის და ასეთი ქათინაურები გამანაწყენებდა. კალური აღლო რომ არ მკარნახობდეს, თავის მოწონების სურვილს როგორ შეუძლია შიგნიდან გაანათოს და გააკეთილშობილოს ადამიანი, მოკლედ, თავის მოწონების სურვილი საუკეთესო საშუალებაა pour corriger la nature.<sup>1</sup>

მაინც რას ჩავაცივდი შენს Extérieur<sup>2</sup>-ს, რა სალაპარაკოა ლამაზი გეფქმის თუ passable! მთავარი რომ შენი სულიერი სიჯანსაღეა, მთავარია საზოგადოებრივ კრახს რომ გადაუოჩა, რის შიშითაც შენს მშობლებს ხშირად გვაკანკალებდა, ახლა კი ნამდვილად გულზე მოგვეშვა, შენი წერილიდან, ხოლო მანამდე შენივე დეპეშიდარი გვენიშნა, ამ მოგზაურობით შენთვის კარგი წამალი რომ გვიპოვია, ეტყობა, იგი შესძლებს დაიხსნას შენი გრძნობა-გონება გადაგვარებული სურვილებისა და ვეგმებისაგან, შესძლებს დაგანახოს მათი ექვემოთი სააღ, დაგარწმუნოს მათ უნიადაგობასა და სიბეჭეში და მათთან

<sup>1</sup> ბუნების შესასწორებლად (ფრანგ.)

<sup>2</sup> გარეგნობა (ფრანგ.)

<sup>3</sup> სანდომიანი (ფრანგ.)



ერთად დავაფიწყოს ის ქალბატონი, ვინც, ჩვენდა სავალალოდ, ისინი შთაგაგონა!

შენი წერილიდან ჩანს, რომ დამატებითი გარემოებანიც დაგხმობია. არ შემოძლია იმ პროფესორსა და მუზეუმის დირექტორთან შეხვედრაში, რომლის გვარი, სხვათა შორის, სასაცილოდ ეღერს, განგების ხელე არ დაგინახო და სასარგებლოდ. შენი გამოჯანსაღებისათვის სასიკეთოდ დაგეგმილი ნიღო მის ოჯახთან შენი ურთიერთობა, გართობა ხომ ისედაც კარგი რამ არის. მაგრამ კიდევ უკეთესია, როცა იგი განათლებისა და ბრწყინვალე ცოდნის შეძენას ეთავსება, როგორც შენი წერილიდან შეიძლება დაასკვნას კაცმა, სადაც ზღვის შროშანთან (ჩემთვის უცნობ მცენარესთან) შენს შედარებასა და ძაღლისა და ცხენის წარმოშობაზეა გაკვირვით ლაპარაკი, ასეთი ცოდნა ამშვენებს არისტოკრატიულ საუბარს და ისეთ ახალგაზრდა კაცს, ვისაც შეუძლია მეცნიერული სიტყვები უპრეტენზიოდ და მოხდენილად ჩაუროს საუბარში. შეუმცდარად გამოარჩევს იმათგან, ვისი ლექსიკონიც მხოლოდ სპორტული ტერმინოლოგიითაა შეზღუდული. ამით იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს არ გვსიამოვნებდეს, დიდი ხნის მივიწყებულ ლაუნ-ჩოგბურთის თამაშა რომ გაგიხსენებია, პირიქით, იგი დიდად სასარგებლოა შენი ჯანმრთელობისათვის.

თუკი ზემოხსენებული ოჯახის მანდილოსნებთან, ანუ დედა-შვილთან ურთიერთობა დიდად არ გსიამოვნებს, რაც მათ ირთნიულ აღწერაზე შეგატყვევ, და მათთან ყოფნას სწავლულ ოჯახის თავთან და მის თანამემწესთან ყოფნა გიორჩევნია, იმედი მაქვს იმის შესენება არ დამჭირდება — თუმცა უკვე შეგახსენე და ისაა — რომ არ შეიმჩნიო შენი განწყობილება, მათ ყოველთვის რაინდულად შენვდე და თავი ისე დაიჭირო, როგორც ქეშმარიტ კავალერს მართებს მშვენიერი სკესის წარმომადგენლებთან მოქცევა!

აბა, ბედნიერად იყავი, ჩემო საყვარელო ლულუ! თუ ოთხიოდე კვირაში, „კაბ არკონას“ დაბრუნების შემდეგ გემზე ახვალ, დაე თან გდევდეს ჩვენი ლოცვა-კურთხევა, ვინძლო სტომაქი არ აგიმღვრიოს ოკეანის გადასერვამ, რაკი აქამდე დაყოვნდა შენი გამგზავრება, აალა არგენტინულ გაზატრულს ჩაუსწრებ და მერე ოკეანისგალმა რეგიონის ზაფხულსაც გაუგებ გემოს, იმედი მაქვს, შესაფერის გარდეოობზე იზრუნებდი, ასეთ დროს თხელ ფლანელზე უკეთესი არაფერია, იგი საუკეთესოდ იცავს ადამიანს გაცივებისაგან, ხოლო გაცივება, შენ წაომოიდგინე, სიცხეში უფრო ადვილია, ვიდრე სიცხეში, თუ შენთვის გამოყოფილი თანხა არასაკმარისი გეჩვენოს, მერწმუნე, იმდენი ძალა კი შემწევს, მაშაშენი ზომიერ წამატებაზე დავითანხმო.

ჩვენი გულთბილი საღამო გადაეცი შენს მასპინძლებს ბატონ და ქალბატონ მაიერებს.

შეგეწიოს ჩემი ლოცვა-კურთხევა

Maman

### მეათე თავი

როცა ვიხსენებ საოცრად დიდკაცურ ეკიპაჟებს, ლაპლაპა ვიქტორიებს, ფაეტონებსა და აბოეშუმგამოკრულ კუბეებს, რაც კი მერე დროებით მქონია, ყველაზე ტკბილად მაინც ის ბავშვური კმაყოფილების გრძნობა მაგონდება, ლისაბონში გატარებული კვირეების მანძილზე ერთი ჩვეულებრივი ნაქირავები ეკიპაჟი რომ მემსახურებოდა, თითქმის მუდმივად ჩემს კარზე რომ იდგა



და მის მოსახმობად მხოლოდ „სავოი პალასის“ კონსიერჟთან ტელეფონით შეხმიანება მჭირდებოდა ხოლმე. ეს მართლაც ერთი უბრალო, ოთხადგილიანი ეტლი იყო. მართალია, გადასახსნელი ჩარდახი ჰქონდა. მაგამც კარგა. გამკარავებულ კონტორას ვილაციკსგან ნახმარი შევიძინა. ცაენებსა და ეკიპაჟს ჯერ კიდევ შეეხედებოდა. მე ერთა ფული კიდევ დავუმატე. ექვნივე კარძო ეკიპაჟის შესაფერი ტანსაცმლით — როზეტებიანი კაშალონით, სერთუკითა და ყოშებიანი წაღებით შევამოსინე.

სიამოვნებით ვჩადებოდი ხოლმე სასტუმროსთან მოქებულ ეკიპაჟში. ასაკვც საფეხურს პაეი გადბომიწევდა. შეეტლე კი, როგორც ვასწავლე. ცალხელს ცილინდრთან მიიტანდა და კოფოდან თავის დაკვრით მესალმებოდა ხოლმე. ეკიპაჟი მარტო კორსოზე, ან პარკებში და ბულვარებზე გასასეირნებლად და თავშესაქცევად როდი მჭირდებოდა. უიმისოდ გამიჭირდებოდა დარბაისლურად მივბრძანებულიყავი წვეულებებზე. ელჩთან სტუმრობას რომ მოსყვა, ხოლო მოპატივეთა მომრავლებას. ცრადია, მეფესთან დარბაზობამაც შეუწყო ხელი. იმ მდიდარმა ღვინის ვაჭარმა, გვარად სალდახამ და მისმა ფაშფაშა მეუღლემ, მაგალითად, Garden Party-ზე მიმიპატივეს ქალაქგარეთ მდებარე დიდებულ მიმულში. სადაც ბევრი წარჩინებული ადამიანი გავიცანი. რადგან ლისაბონის მაღალი საზოგადოება ის იყო აგარაკეზიდან ბრუნდებოდა, თითქმის იმავე საზოგადოებას ოღონდ ოდნავ მცირერიცხოვანს, კვლავ შეეხვდა ორ სადილზე. რომელთაგან ერთი ბერძენმა საქმეთა რწმუნებულმა თავადმა შაუროკორდატომ და მისმა კლასიკური სილამაზის და თან საოცრად დამყოლი ნასიათის მეუღლემ გამართეს. ხოლო მეორე პოლანდიის საელჩოში. ბარონ და ბარონესა ვოს ფონ სტინვიკებთან გაიმართა. მე საშუალება მომეცა თავყრილობებზე წითელი ლომის ორდენით მკერდდამშვენებული მივბრძანებულიყავი და ორდენს ყველა მილოცავდა იმ დღეებში ავენიდაზე მხოლოდ მოსაკითხად თუ შევირბენდი, რადგან წარჩინებული ნაცნობები ფრიად მოშიმრავლდა. ოღონდ ყველა ეს ნაცნობობა ზერელე და ფორმალური გახლდათ. უფრო სწორად, მე ვეკიდებოდი მათ გულგრილად. ჩემი კეშმარიტი ინტერესები იქ, ზევით, პატარა თეთრ სახლს და დედა-შვილის შეწყვილებულ ხატებას დასტრიალებდა.

მე მგონი, არც დამჭირდება იმის თქმა, რომ ეკიპაჟი თითქმის მათი ხატრით, უფრო სწორად, უპირველეს ყოვლისა მათი ხატრით გავიჩინე. ეკიპაჟით შემეძლო მათთვის მესიამოვნებინა. წამეყვანა, მაგალითად, იმ ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად, მეფეს წინასწარ რომ ფუქე და ვუდიდე, აბა რა სჯობდა, ორივეს, ჯიშის დედასა და მის მშვენიერ კალიშვილს ჩემს ნაქირავებ ეკიპაჟში წის რომ ვეჯექი, ზოგჯერ დონ მიგუელთან ერთად, რომელმაც სამსახურიდან რამდენჯერმე გაინთავისუფლა თავი, რათა ციხე-დარბაზსა თუ მონასტერში ჩვენთვის მეგზურობა გაეწია.

გასეირნებებსა და ექსკურსიებს, კვირამი ერთად ან ორჯერ, წინ უძღოდა ხოლმე ჩოგბურთის თამაში და კუეუკების საბლში გამართული ინტინური Déjeuner. ჩოგბურთში ხან ზუზუს პარტნიორობა მიწევდა, ხან მის წინააღმდეგ ვთამაშობდა. ხან სულაც მისგან შორს, სხვა კორტზე მიხდებოდა თამაში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სულ მალე რიგიანად ვთამაშობდი. ბოლო მოედო ჩემს ადრინდელ სიჩაუქესაც და მასთან ერთად ჩემი გაუწაფობის სასაცილო გამოვლინებებიც შეწყდა. უფრო წესიერ, საშუალო დონეს ვჯერდებოდი. თუმცა სატრფოს ამაღელვებელი სიაბლოვე ზოგჯერ ჩემს



გაქანებას იმაზე მეტ ფიზიკურ მგზნებარებას ანიჭებდა, ვიდრე ეს საშუალო მოთამაშეს მოეთხოვებოდა. ნეტავ ჩვენს მართო ყოფნას ნაკლები დაბრკოლებები გადალობოდა! მკაცრი სამბრეთული ადათ-წესები ვველეთში გვიშლიდა ხელს და გზას გვიკეტავდა. მაგალითად, ფიქრადაც ვერ გავივლენბდი. ზუზუსთვის გამოძევლო და სათამაშოდ წამომეყვანა. მართალია, მხოლოდ მოედანზე თუ შეეხვდებოდით, არც იმის საშუალებას ვერ გავივლენბდი, კორტიდან კუკუკების ვილამდე მართონი მივსულიყავით. თითქოს სხვანაირად არც შეიძლებოდა, ისე დაგვემგზავრებოდა ხოლმე ვინმე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თვით მის სახლშიც, საუზმემდე, ან ნასაუზმევს, სალონში თუ სხვაგან, ყოველგვარი Tete-à-tetes წარმოუდგენელი რამ იყო. მხოლოდ ჩოგბურთის მოედნის გადაღმა, ძელსკამზე დასასვენებლად თუ ჩამოვჯდებოდით მართო და იქაც სალაპარაკო თემა პორტრეტების ჩვენება-მიცემას, ან სულაც გაგზავნას უტრიალებდა. მის ამოჩემებულ თეორიას, იმ სურათების ენონიერი მფლობელი მე ვარო. საკამათოდ არ ვხდიდი. მაგრამ თავის დაძვრენას იმ საბაბით ვცდილობდი, არ ვიცი, სურათები სად და როგორ გიჩვენოთ-მეთქი. სინამდვილეში ვყოყმანობდი. გამბედაობა მეყოფოდა თუ არა. მისთვის ის თამაში ჩანახატები მეჩვენებინა და ჩემს ყოყმანსაც ვებლაუქებოდი და მის დაუკმაყოფილებელ ცნობისმოყვარეობასაც — არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი სათქმელი. მაგრამ ცხადია, რომ ის სურათები ჩვენს შორის საიდუმლო ძაფებს აბამდა და ამ აღმათრთოვანებულ გრძნობას ასე იოლად ვერ შეველეოდი.

ზიარი საიდუმლოს არსებობა, რითაც შეთანხმებულეობით ვუპირისპირდებოდით დანარჩენებს — სულერთია, თვითონ ეს მოსწონდა თუ არა — ჩემთვის სანეტარო იყო და დიდმნიშვნელოვანი. ჩვეულებად გადამექცა ყოველ წვეულებაზე მიღებული შთაბეჭდილებები ჯერ მისთვის გამეზიარებინა. სანამ იმასვე მის ოჯახში, სუფრასთან მოვყვებოდი, თან მას ყველაფერს უფრო დაწვრილებით, უფრო ინტიმურად და გონებაამხვილურად ვუყვებოდი. ვიდრე მისიანებს და მიზაროდა, ღიბილით რომ შემეძლო მისთვის ერთხელ უკვე მონათხრობი შემეხსენებინა. ერთ ასეთ მაგალითად თავადის მეუღლე მაუროკორდატოსთან ჩემი შეხვედრის ამბავი გამოდგებოდა: რა სახტად დაჯრჩი. ეს ღვთაებრივი ნაკვთებითა და აღნაგობით შემკული ქალი, ღვთაებარავით კი არა, სუბრეტივით რომ იქცეოდა. ზუზუს ვუამბე, როგორ მიმიწევდია კუთხეში ამ ათენელმა ქალბატონმა, როგორ მიტყაპუნებდა თავის მარაოს, თან ამ დროს ტუჩის კუთხეში ენის წვერს ათამაშებდა, თვალს მიკრავდა, ერთი სიტყვით, აშკარა ავანსებს მაძლედა და სულ არ აგონდებოდა. ბუნებას მისთვის კლასიკური სილამაზის ბოძებასთან ერთად მისი შესატყვისი ღირსება და სიმკაცრე რომ დაეკისრებინა. ჩვენს ძელსკამზე ჯდომისას კარგახანს ვიმსჯელეთ იმ შეუსაბამობაზე, რაც მის გარეგნობასა და საქციელს შორის არსებობდა და ერთ დასკვნამდე მივედით: თავადის მეუღლე ან უკმაყოფილო იყო თავის სანიმუშო გარეგნობით, მას მოსაწყენ ტვირთად მიიჩნევდა და თამაში საქციელით ამბოხს გამოხატავდა, ან მთლად უტვირო იყო და იმ ლამაზი, თეთრი პუდელივით შეუგნებლად იქცეოდა. ახლად დაბანილი და გაქათქათებული პირდაპირ წუშბეს რომ მიაშურებს და შიგ ჩაკორტირალდება ხოლმე.

მერე კი, საუზმეზე, ბერძნული საღამოს ამბავს მაინც რომ ვყვებოდი.



სხვა ყველაფერი გამოვტოვე და მხოლოდ თავადის მეუღლის სრულყოფილ სილამაზე ვახსენე.

რამაც, ბუნებრივია, თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დასძინა სენიორა მარია პიამ, რომელიც მაგიდასთან ჩვეულებრივად წელგამართული იჯდა. საზურგეს ოდნავაც არ ეყრდნობოდა და აქრჩქნუნს მსგავსი ხმებით ერბოდა გიშრის საყურეები.



— შთაბეჭდილებაო, ბრძანეთ, სენიორა? არა, ლისაბონში ჩამოსვლის პირველ დღესვე ქალის სილამაზით მოგვრილი ისეთი შთაბეჭდილებები მარგუნა ბედმა, რომ გამოვიტყდებით, სხვა სილამაზისადმი უგრძობელი გავხდი. — მივუგე მე, ხელზე ვეამბორე და თან ღიმილით ზუზუსკენ გავაპარე თვალი.

ყოველთვის ასე ვიქცეოდი. შეწყვილებული ხატება მავალდებულებდა. თუ ქალიშვილს ვეტყოდი ქათინაურს, დედისკენ გამებნედა და პირიქით, დედიდან მზერა ქალიშვილზე გადამეტანა. სუფრის თავში დაბრძანებული ოჯახის უფროსის ვარსკვლავთვალეები ისე გულმოწყალებდნენ უმზერდნენ ასეთ ეპიზოდებს, თითქოს გულმოწყალებას შორეული სირიუსი ასბივებდა და მისი მზერაც იქიდანვე იღებდა სათავეს. მის წინაშე ჩემს მოწიწებას ვერაფერს აკლებდა იმის შეგნება, შეწყვილებული ხატების გულის მონადირებაში გართულს მისი არსებობა საერთოდ რომ მავიწყდებოდა ხოლმე.

მამა ყოველთვის გულმოწყალებას იჩენსო, სამართლიანად ბრძანა ერთხელ სენიორა მარია პიამ. მე მგონი ოჯახის უფროსი ისევე გულმოწყალებდნენ უგულისყურად და კეთილად მოისმენდა, რომ მე თქვა, ზუზუს ჩოგბურთის მოედანზე, თუ კოოქგარეთ გასეირნებისას თუ დავიმარტოხებოდი, რა მოუტრიდებლად ვესაუბრებოდი. ეს მოუტრიდებლობა მისი პრინციპის, დუმბილი მავნებელიაო, მისი ფენომენალური, ყოველგვარი პირობითობის ფარგლებიდან ამოვარდნილი პარდაპირობის წყალობა გახლდათ, იმ თემის წყალობა გახლდათ, რომელსაც მიუკიბ-მოუკიბავად უტრიალებდა ჩვენი საუბარი. ეს გახლდათ სიყვარულის თემა, რაზეც ერთხელ უკვე ნათქვამი ჰქონდა, თფუო და ამიტომაც მადგა დიდი გასაკირი. ზუზუ მიყვარდა და ყოველნაირად ვცდილობდი მიმეხვედრებინა, მიყვარბარ-მეთქი, ისიც ხვდებოდა, მაგრამ გააჩნია — ოგორ! ამ მომხიბლავ გოგონას სიყვარულზე ერთობ უცნაური და სასაცილო წარმოდგენა ჰქონდა. სიყვარული, ეტყობა, უზნეთ ბიჭ-ბუჭების საიდუმლო ცელქობად მიაჩნდა. სიყვარულად წოდებულ კოდვასაც მხოლოდ და მხოლოდ მამრობით სქესს მიაწერდა და სჯეროდა. მდედრობით სქესს მასთან ხელა არა აქვსო, თურმე ნუ იტყვიო, ეს უკანასკნელი თავისი ბუნებით თავს არიდებს სიყვარულს, ეს ყმაწვილკაცები ცდილობენ ქალიშვილები უწესობაში ჩაითრიონ და ამას, სახელდობრ, არშიყობით ახერხებენო. მისგან მომისმენია!

— თქვენ ისევ მუარშიყებით, ლუი, — (დიახ, მარტონი რომ დავრჩებოდით, იცო უკვე „ლუის“ მეძახდა, ისევე როგორც მე ვეძახდი „ზუზუს“), — დიახ, მეკურკურებით და თან დაყინებით, იქნებ თავხედურადაც, არა, ვითომ სიყვარულით ჩამცქერით თქვენი ცისფერი თვალებით სახეში, თან მშვენივრად იცით ცისფერი თვალები და ქერა თმა თქვენს შავგვრემან პირისკანთან გასაოცარ კონტრასტს რომ ჰქმნიან, და რა ვიცი, რას არ გათქვიფებინებენ, მაინც რა გინდათ? რას გამოელით თქვენი პირფარული სიტყვებისა და მზერისაგან? აღბათ ენით გამოუთქმელ რამეს — სასაცილოს, აბსურდულსა და ბავშვურს, უგემურსა და გულმიუსვლელს. მე ვთქვი, ენით გამოუთქმელს.



მეტქი, მაგრამ ეს ენით მშვენივრად გამოითქმება და გიტყვით კიდევ, თქვენ გინდათ დამითანხმოს, რომ ერთმანეთს ჩავეკრათ. ერთი ადამიანი მკაცრად მეორეს, მაშინ როცა ბუნება იხიბს გულდასმით განაცალკევა და დასწორდება. თქვენ გინდათ თქვენი ბაგე ჩემსას დააკრათ. მაშინ ჩვენი ქვეყნის ხესტოები ჯვარედინად მიედებიან ერთმანეთს. ერთმანეთს ამტკიცებენ მევისუნოქავით და ეს იქნება ამაზრზენი უხერხულობა და მეტი მსახურად გარდაქმნილი მაოლოდ მგრძობელობის წყალობით - დიან. კარგად ვიცი. ასე უწოდებენ ამ ამბავს და რასაც ეს სიტყვა ნიშნავს. ესაა უზნეობის ქაობი. თქვენ კი გინდათ ამ ქაობში ჩამითრიოთ. იქ კკუიდან გადავიდეთ და ორი კულტურული არსება კაციქამიებს დავემსგავსოთ. აი, თქვენი არშიყო-ბით რისკენ მიილტვით.

იგი გაჩუმდა და სიტყვა ისე დაასრულა, იოტისოდენადაც არ აღელვებულა. სუნთქვაც არ გახშირებია, არც დაღლა დასტყობია პირდაპირობის ასეთი ამოხეთქვისგან. თუმცა ამას ამოხეთქვა არც ერქვა. ეს იყო მისი პრინციპის ზორცშესაბა. საგნებს თავიანთი სახელი უნდა ეწოდოსო. მეც ვდუმდი. შემკრთალი, აღელვებული და დანაღვლიანებული.

— ზუზუ. — ეუთხარი ბოლოს და ერთი წამით ხელი მის ხელს ზემოთ ისე გადავატარე. არ შევხებივარ და თმაზეც ასევე ჰაერში. ფრთხილად გადავუსვი ხელი. — ზუზუ, როგორ მატკინეთ თქვენი სიტყვებით გული. არ ვიცი, რა დავარქვა თქვენს სიტყვებს: გულქვა, სასტიკი, მეტისმეტად სწორი და ამიტომაც ნახევრად სწორი, თუ იქნებ არასწორიც. მათ გახივს ის სიფრიფანა ნისლი. ჩემს სულსა და გულს თქვენი მშვენიებისგან გარს რომ ჰქონდა შემოქსოვილი. არ გაამასხარავოთ ეს სიტყვა! განგებ და შეგნებულად ვიზმარე სიტყვა „შემოქსოვილი“. რადგან პოეტური სიტყვით მიზნა დავიცვა სიყვარულის პოეზია და დავიფარო იგი თქვენი უკმები, დამაზინჯებული აღწერისაგან. განა შეიძლება სიყვარულზე და მისგან აღძრულ ლტოლვაზე ასე ლაპარაკი! სიყვარული არაფრისკენ არ მიილტვის, მას არც სურს და არც ფიქრობს საკუთარ თავს გასცდეს. იგი თვითონაა თავისთავადი და თავის თავში ჩაქსოვილი — ცხვირს ნუ იბზუებთ ამ სიტყვაზე, მე ხომ ვითხარით. განგებ უფრო პოეტურ, ანუ უფრო წესიერ სიტყვებს ვარჩევ-მეტქი სიყვარულის სახელით, რადგან იგი თვითონაა ძირის ძირობამდე წესიერი, თქვენი უკმები სიტყვები წინ უსწრებენ მას და იმ გზაზე გარბიან, მას რომ წარმოდგენა არა აქვს. თუმცა ის გზა მისთვის მაინც ნაცნობია, განა შეიძლება კოცნაზე ასე ლაპარაკი, ის ხომ უსათუთესი ურთიერთობაა ამკვეყნად. ყვავილივით უტყვი და სააბური! უცაბედად, თითქოს თავისით ხდება ეს შერწყმა. ორი ანუ წყვილი ბაგე ნეტარებით მიაგნებს ერთმანეთს და გრძობა იმას იქით აღარაფერზე თცნებობს. რადგან იგი ორი ადამიანის ერთ არსებად ქცევის კურთხეული დასტური განლავთ!

მერწმუნეთ, გეფიცებით, ასე ვილაპარაკე. იმიტომ, რომ ზუზუს განზრახვას, როგორმე გაეთათხა სიყვარული, მართლა ბავშვური ეთქმოდა და მის სულიერ მოუხეშაობასთან შედარებით ჩემი პოეტური მეტყველება ნაცლებად ბავშვური ჩანდა. ესეც არ იყოს, ჩემი ჰაერში გამოკიდებული არსებობის გამო პოეზია უფრო ადვილი ხელწამოსაკრავი მეჩვენებოდა და არაფრად მილირდა იმაზე ლაპარაკი, სიყვარული არაფრისკენ არ მიისწრაფვის და კოცნის იქით არც იზედება-მეტქი, მე ხომ ჩემი მოჩვენებითი არსებობის გამო უფლება არ მქონდა სინამდვილეს სერიოზულად მოვკიდებოდი და ზუზუ



ცოლად შემერთო, დიდი-დიდი, მისი შეცდენა დამესახა მიზნად, მაგრამ ამას არა მარტო უდიდესი დაბრკოლებები ელობებოდა წინ, არანაყოფიერ უშლიდა ხელს ზუზუს ზღაპრულად სწორხაზოვანი და ზედმიწევნით საქმიანი შეხედულებანი სიყვარულის უზნეობაზე. ერთი მოგესმინათ, თუნდაც კულისტკი-ვილით, როგორ განაქიქებდა იგი ჩემგან საშველად მოხმობილ პოეტებსაც!

— ტატატატატა! — იძახდა იგი. — ჩაქსოვილ-შემოქსელილი და მშვენიერი ყვავილი — ამბობი, არა! ეგ ყველაფერი კურკურია, მხოლოდ თქვენს ბიჭურ უზნეობაში ჩვენს ჩასათრევად გამიზნული! თფუი, კოცნა სათუთი ურთიერთობააო! დიახაც იგია საწყისი, ნამდვილი საწყისი *mais oui*<sup>1</sup>, რადგან იგი ასე თუ ისე ყველაფერია, *toute la lyre*<sup>2</sup>, და თან ყველაზე უარესიც, იქნებ იკითხოთ, რატომ? იმიტომ რომ იგი კანია, სწორედ ისაა რაც მაგ თქვენს სიყვარულს აინტერესებს. სხეულის შიშველი კანი, თანაც ტუჩების კანი მართლაც სათუთია, მის ქვეშ უკვე სისხლია, ისეთი სათუთია იგი და აქედან მოდის ტუჩების წყვილის პოეტური ურთიერთმიგნებაც და რა ვიცი, ეს სათუთი ტუჩები კიდევ საით აღარ მიისწრაფვიან, თქვენ მხოლოდ ის გინდათ, ჩვენთან შიშველნი იწვეთ, კანით კანზე გვეხებოდეთ და ყოველად აბსურდულ სიამოვნებას გვასწავლიდეთ: ერთი უბადრუკი ადამიანი მეორის მყრალ ზედაპირს უფათურებს ტუჩებსა და ხელებს, არცერთს არ რცხვენია თავის უგვანო და სასაცილო საქციელისა და არც ის აგონდებათ, რაც სიამოვნებას ჩაუმწარებდათ, ეს უკანასკნელი მე ერთ სასაცილო წიგნში ლექსად ამოვიკითხე:

რა მშვენიერიც, რა კრიალაც არ უნდა იყოს,  
 კაცსა ყოველსა შიგნით უძევს მყრალი შიგანი.

— ეგ უხამსი ლექსია, ზუზუ. — განვუცხადე მე და ზიზღის ნიშნად მედიდურად გადავაქნიე თავი. — დიახ, უხამსია, თუნდაც სასულიერო პოეზიის ნიმუშად მიაჩნდეს თავი, თქვენს სულიერ მოუხეშაობას კიდევ ავიტან, მაგრამ რა ლექსიც თქვენ ახლა წამიკითხეთ, ეს აღმაშფოთებელია, იქნებ გნებავთ იცოდეთ, რატომ? დიახ, დიახ, დარწმუნებული ვარ, გინდათ იცოდეთ და მეც მზად ვარ, მოგახსენოთ, ამ ვერაგ ლექსს სილამაზის, ფორმის, ხატისა და ოცნების რწმენის განადგურება სწადია, ყოველივე იმის განადგურება სურს, რაც მოჩვენებითი და ნაოცნებარია, მაგრამ ის სიცოცხლე, ანუ უსიხარულო სიცოცხლე რა ბედუნაა, სადაც მოჩვენებითობა აღარაფრად ფასობს და ზედაპირული გარსი ჩვენი გრძნობების წიაღს აღარ აღელვებს? ერთი რამ მინდა გითხრათ, მშვენიერო ზუზუ: თქვენი სასულიერო ლექსი უფრო ცოდვილია, ვიდრე ყველაზე ცოდვილი ხორციელი ბიწიერება, რადგან იგი სიცოცხლეს უმწარებს ადამიანებს, ხოლო სიცოცხლის ჩამწარება არა მარტო ცოდვაა, არამედ ეშმაკეულიც გაბლავთ, ახლა რაღას იტყვით? არა, არა, იმიტომ როდი გეკითხებით, რომ სიტყვა გამაწყვეტინოთ, მე დაგაკალეთ ლაპარაკი, თუმცა უკმეხად კი ლაპარაკობთ, მე კი კეთილშობილურად ვმეტყველებ და სიტყვა თავისით წარმომდინდება! ეს ქვეყანა იმ მართლაც ავბედითი ლექსის მიხედვით რომ იყოს მოწყობილი, მაშინ მისაღებად და არა მხოლოდ მოჩვენებითად, დიდი-დიდი არაცოცხალი სამყარო, არაორგანული ყოფიერება ჩაგვეთვალა, მე ვთქვი დიდი-დიდი-მეთქი, რადგან პოროტი გულით თუ მიუღეჭი, აქაც გამოგიჩნდება საკირკიტო, მაგალითად,

<sup>1</sup> აბა რა (ფრანგ.).

<sup>2</sup> ეს არა, რაც არა (ფრანგ.).



მთებისა და ჩანჩქერების თვალისმომკრელი სილამაზე უფრო დასაჯერებელია, თუ ხატი და ოცნება. იგი ისეთივე ნამდვილია, როგორც ლამაზი, ანუ თავისთავად, უჩვენოდ, ჩვენი სიყვარულისა და აღტაცების გარეშეც ასეთივე ლამაზი იქნებოდა თუ არა, ბოლოს და ბოლოს ესეც ხომ საეჭვოა, როცა იყო ხომ წარმოიშვა არაკოცხალი, არაორგანული ყოფიდან ორგანულად გადასვლა. მე რე რა, რომ ეს მომენტი თავისთავად წყვილია დიდა მოცული, ანდა რა მოხდა, თუკი შიგნით დიდი სისუფთავე არ სუფევს. ეს ხომ თავიდანვე იყო გასაგები და ცნობილი. გამოვა ვინმე ბრიყვი და იტყვის, ბუნება თავიდან ბოლომდე დამპალი და დაობებულაო, მაგრამ ეს იქნება გესლიანი, ბრიყვული გამოხდომა და იგი თავის დღეში ვერ შეძლებს სიყვარულისა და სიხარულის განადგურებას. ხატის შეგრძნების სიხარულის განადგურებას. ეს სიტყვები ერთი მხატვრისგან მომისმენია, რომელიც გულმოდგინედ ხატავდა ობს და ამისათვის პროფესორად იწოდებოდა. იგი ადამიანის ფიგურასაც იყენებდა მოდელად. რათა ბერძენთა ღმერთი დაეხატა პარიზში, ერთხელ ექიმთან კბილის დასაბეუნად მივედი და მის მოსაცდელში ალბომი ვნახე, ილუსტრირებული წიგნი „La bedule humaine“. გავსებული ადამიანის მშვენიერი სხეულის სურათების ასლებით, რაც კი ოდესმე ვნებითა და გზნებით შექმნილა ფერებით, ბრინჯაოთი, თუ მარმარილოთი. კოდა, რატომ იყო ეს წიგნი გავსებული ადამიანის განმადიდებელი სურათებით? იმიტომ, რომ დედამიწის ზურგზე ყოველთვის მრავლად იყვნენ შერეკილები, რომლებიც არაფრად ავდებდნენ სასულიერო გალექსილ სტრიქონებს „მშვენიერსა და კრიალაზე“, სამაგიეროდ მათ ფორმაში, მოჩვენებითობასა და ზედაპირში დაინახეს ჭეშმარიტება, მათ სულიერ მამებად იქცნენ და არცთუ იშვიათად პროფესორებიც გამხდარან ამის წყალობით.

გეფიცებით, ასე ვილაპარაკე და სიტყვა წყალივით მომდიოდა. და განა ერთხელ და ორჯერ ვილაპარაკია ასე — როგორც კი შემთხვევას მოვიხელთებდი და ზუზუსთან მარტო დავრჩებოდი, ჩოგბურთის კორტზე იქნებოდა ეს თუ გასეირნებისას, როცა სენიორ ჰურტადოსთან ერთად ოთხნი მივსეირნობდით ნასაუზმევს კამპო გრანდეს ტყის ბილიკებზე თუ ლარგო დო პრინსიპე რეალში ბანანის პლანტაციებსა და ტროპიკულ მცენარეებს შორის. აუცილებლად ოთხნი უნდა ვყოფილიყავით, რათა მე ჩან შეწყვილებული ხატების ერთ დიდებულ ნაწილთან მევლო, ჩან კი მის კალიშვილთან დავწყვილებულიყავი, ამ უკანასკნელთან ერთად დანარჩენებს ჩამოვრჩენოდი და მისი ჭიუტი პირდაპირობით აღბეჭდილი სიტყვები, სიყვარულის ბავშვური შეფასება, როგორც ბიჭების უამური ცოდვისა, ნატიფი და ჭკუადაამჯდარ სიტყვებით გამექარწყლებინა.

იგი კვლავ ჭიუტად იდგა თავის ნათქვამზე, თუმცა რამდენჯერმე ჩემი მჭევრმეტყველების წყალობით შეცბუნებისა და მერყეობის ნიშნები შევნიშნე, ამ დროს უსიტყვოდ გამოაპარებდა ხოლმე ჩემსკენ გამომცდელ მზერას, მართალია, თვალს სწრაფად მარიდებდა, მაგრამ ეს მზერა ამბულდა, რომ ჩემი თავგამოდება, ნდომისა და სიყვარულის საქებრად დახარჯული სიტყვები ზოლად უკვალოდ არ იქარგებოდა. ერთი ასეთი წუთი მაშინ დადგა, და იგი არასოდეს დამავიწყდება, როცა ველირსეთ ჩემი ეკიპაჟით სოფელ ცინტრაში წასვლას — ამ ექსკურსიაზე წასვლა რატომღაც ძალიან გაგვიჭიანურდა — და დონ მიგუელის წინამძღოლობითა და მისი ახსნა-განმარტებების თანხლებით სოფელში ძველი ციხე-დარბაზი, კლდეზე გადმომდგარი ციხე-კოშკები



დავათვალე რეთ და შემდეგ ბელემის. ანუ ბეთლემის ცნობილ მონასტერს ეწვიეთ. რომელიც ღვთისმოსავ და თან ფუფუნების მოყვარულ მეფეს, ემანუელ ბედნიერს. პორტუგალიელი პირველალმომჩენების მატროსცემისა და ხსოვნის ნიშნად აეშენებინა. გულანდილად გითხრათ, დონ მიგუელის ახსნა-განმარტებებს, ციხე-დარბაზებისა და მონასტრის კაპიტანტურაში მაგრიტანული, გოთური, იტალიური და ასე განსაჯეთ, ინდურ საოცრებათა ნიშნებიც კი ურევიაო. რომ იტყვიან, ყურიდან ყურში ვუშვებდი, მე სხვა საფიქრალი მქონდა. სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ გამეგებინებინა უკმეხი ზუზუსთვის სიყვარულის არსი, და მოგეხსენებათ, ადამიანური გასაჭირით დაკავებული გრძნობა-გონება. ლანდშაფტსაც და თუნდაც გამოგნებულ ნაგებობასაც მხოლოდ დეკორაციად, ადამიანური გრძნობების ძლივს შესამჩნევ ფონად აღიქვამს ხოლმე მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვაღიარო, რომ დაუჭერებელი, თითქოს ყოველი ეპოქიდან მომდინარე და მაინც რომელიმე ჩვენთვის ნაცნობ ეპოქაში მოუთავსებელი, ბავშვის ნაოცნებარეობით მომაჯადოებელი და ნატიფი იყო ბელემის მონასტრის გალერეა, თავის პატარა პატარა წვეტიანი კოშკებითა და ნიშებში შეყენებული წვრილზეუწვრილესი სვეტებით, სულ ოდნავ პატახირებული თეთრი ქვიშაქვიდან თითქოს ანგელოზის ხელით გამოკვეთილი ზღაპრული ჩუქურთმებით, რომ გაფიქრებინებდა, ყველას შეუძლია უთხლესი ქლიბით დაამუშაოს ქვა და მისგან პაეროვანი მაქმანი დაამზადოსო, დიახ, ამას კი ვიტყვი, რომ ქვის ამ ფეერიამ მართლაც აღმაფრთოვანა, სულიერად ამამაღლა და კიდევ უფრო გაამშვენიერა ის სიტყვები, რითაც ზუზუს მიემართე.

ოთხივემ საკმაოდ დიდხანს დაეყავით ამ ზღაპრულ გალერეაში, მეორე-ქერაც შემოვუარეთ, ამასობაში დონ მიგუელი მიხვდა, ახალგაზრდებს მეფე ემანუელის სტილზე მისი ახსნა-განმარტებანი დიდად რომ არ გვაინტერესებდა, დონა მარია პიას მიეკედლა და მასთან ერთად დაწინაურდა, ჩვენ კი ოდნავ მოშორებით მივყავით უკან და მე ზრუნვა არ დამიკლია, რომ ჩვენს შორის მანძილი გადიდებულყო.

— ამგვარად, ზუზუ, — ვუთხარი მე, — მე მგონი, ამ ნაგებობის ყურებისას ჩვენი გულები ერთ ტაქტში ძგერენ, ასეთი გალერეა მე ჯერ არ მიხილავს, (სხვა გალერეა მე პირადად საერთოდ არ მქონდა ნანახი და პირველივე რაც ვნახე, ბავშვის ნაოცნებარს ჰგავდა) ბედნიერი ვარ, მას თქვენთან ერთად რომ ვხედავ, მოდიტ შევთანხმდეთ, რა სიტყვით შევამკოთ იგი! „ლამაზი?“ არა, არ შეეფერება, თუმცა ულამაზოაო, ვერ იტყვი, მაგრამ „მშვენიერი“ მეტისმეტად მკაცრი და ნატიფი სიტყვაა, არა? კაცმა „ლამაზისა“ და „მომანიბლავის“ აზრი სულ მალლა! უნდა ატყორცნოს, მწვერვალზე აიყვანოს, უკიდურესად გაამძაფროს და იქ იქნება ამ გალერეის ქვეშარიტი სახოტბო სიტყვა, რამეთუ იგი თვითონ სჩადის ამას, უკიდურესობამდე მიჰყავს სილამაზე.

— მეტისმეტს ლაქლაქებთ, მაოკიზო, არც ულამაზო და არც ლამაზი, არამედ უაღრესად ლამაზიო განა უაღრესად ლამაზი ბოლოს და ბოლოს მშვენიერი არ არის?

— არა, არსებობს განსხვავება როგორ აგიხსნათ? დედათქვენი, მაგალითად...

— მშვენიერი ქალია, — არ დამაცალია ზუზუმ, — მე კი ლამაზი ვარ.



მოკლედ, ჩვენ ორივეს მაგალითით გნებავთ თვალსაჩინო გახადოთ თქვენი ნალაქლაქვევი, არა?

— თქვენ წინასწარ ქვერეტო ჩემს აზრებს. — მივუგე მოზომილი პაუზის შემდეგ. — და თან ოდნავ ამახინჯებთ მათ მართალია, თქვენი აზრი ჰგავს ჩემსას. მაგრამ ზედმიწევნით არა, აღმაფრთოვანებს, დედამისი და სხვები საკუთარ თავზე რომ ამბობთ ჩვენ, ორივეო, მაგრამ ამ კავშირით ნასიამოვნები ევლავ თქვენს გამოცალკევებას ვლამობ და ცალკეული დაკვირვებისკენ მიბიწევს გული. დოსა მარია პია ალბათ იმის მაგალითად გამოდგება, რომ მშვენიერებას სისავესისათვის სილამაზე და სანდომიანობაც სჭირდება. დედა-თქვენს ასე ფართო, პირქუში და იბერიული რასობრივი სიამაყით შემაკრთობელი, მკაცრი სახე რომ არ ჰქონდეს და თქვენი სანდომიანობისა ეცხოს რაიმე, მაშინ მართლა სრულყოფილად მშვენიერი ქალი იქნებოდა. აქედან გამომდინარე კი, იგი ის არ არის, რაც შეიძლებაოდა ყოფილიყო: ერთი სიტყვით, მშვენიერს ველარ უწოდებ. თქვენ კი, ზუზუ, პირიქით, სილამაზისა და მომხიბვლელობის მწვერვალზე ხართ ასული, თქვენ აი ამ გაღერვას ჰგავხართ.

— ოჰო, გმადლობთ! ესე იგი, მე მეფე ემანუელის სტილის ქალი, ანუ ეს აბირებული ნაგებობა ვყოფილვარ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, არ-შიყობაც ამას ჰქვია.

— ვერაფერს დაგიშლით ჩემი გულითადი სიტყვები მასხრად აიგდოთ, მათ არშიყობა დაარქვათ და საკუთარ თავს ნაგებობა უწოდოთ, მაგრამ გასაკვირი არაფერია, ამ გაღერვამ ისევე დამახვია თავბრუ, როგორც თქვენ დამახვიეთ და მას ამიტომაც ვადარებთ. მე ხომ მას პირველად ვხედავ, თქვენ კი ალბათ მრავალჯერ გექნებათ ხახახი?

— დიან, რამდენჯერმე მიხახავს.

მაშინ უნდა გიხაროდეთ, რომ ამჯერად მის პირველმხილველთან ერთად მოგიხდათ მისი ნახვა: ასეთ დროს ნაცნობსა და მშობლიურს თქვენც ახლებუთად, პირველმხილველის თვალით უცქერით, ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ყოველი საგანი, თვით ყველაზე ჩვეულებრივიც კი, რომელთა არსებობას ჩვენს გვირდით თითქოს ვერც უნდა ვგრძნობდეთ, ისე ახლებური, გაოცებული თვალით დაინახოს, თითქოს მას პირველად ხედავდეს, ამით იბრუნებს ადამიანი გაოცების გრძობას მიძინებული რომ ჰქონდა ჩვეულებრიობის ბანგით და სამუარო მისი წყალობით სინორჩეს ინარჩუნებს: ასე თუ არ მოვიქცეთ, ყველაფერი მიიძინებს, სიცოცხლეს, სიხარულიც და გაოცებაც, მაგალითად, სიყვარული.

— *Fi donec Taisez vous!*

— რატომ უნდა გაჩუმდეთ? განა ისევ თქვენ არ ჩამოაგდეთ სიყვარულზე სიტყვა, თქვენივე, მგონი მართლა სწორი პრინციპის მიხედვით, დუმილი მაგნეაო, რომ ამბობთ სოლმე? მაგრამ თქვენ ისე უკმეხად ილაპარაკეთ სიყვარულზე, თან ისეთი ამაზოხენი სასულიერო ლექსი დაატანეთ ზედ, რომ კაცს გაოცებადა დაგრჩენია, ნუთუ შეიძლება სიყვარულზე ასე უსიყვარულოდ ლაპარაკო, იფიქრობ, თქვენ ისე უნეშად გამოაცალეთ ამ გრძნობას ყოველგვარი სინაზე, რომ ესეც მაგნებელია და თავს ვალდებულად ვთვლი, შეგისწოროთ შეხედულეპანი, თუ არ მიწყენთ, გეტყვით, რომ თქვენი გონზე მოყვანა მაქვს განზოადული, თუ სიყვარულს სხვა თვალით შევხედავთ.



ანუ ისე, თითქოს პარველად ვხედავდეთ, მაშინ იგი ამაღლდებულ და გამოგნებულ საქმედ მოგვეჩვენება! იგი არც მეტი და არც ნაკლები საოცრებაა! ერთსაც გეტყვით, მთლიანობაში, თავიდან ბოლომდე, ყოველგვარი ყოფიერება საოცრებაა, მაგრამ სიყვარულს, მე თუ მკითხავთ, უფროსია მათ მოწონებას. თქვენ ამასწინათ თქვით, ბუნებამ გულმოდგინედ დაამუშავა განაცალკევა ერთი ადამიანი მეორისგანო, მეტიმეტად გონებადხვილური ნათქვამია, ოღონდ მეტიმეტად სწორიც დია, ეს ბუნების წესია, მაგრამ სიყვარულში ბუნება გამოთავისუფლებს და ეს უაღრესად უცნაური გამოთავისუფლებაა, თუკი სხვა თვალთ დაეკვირდებიან, დაიმახსოვრეთ, ამ საკვირველ გამოთავისუფლებას თვითონ ბუნება უშვებს, უფრო სწორად, თვითონ აყალიბებს და თქვენ თუ სიყვარულის წინააღმდეგ ბრძოლაში ბუნების მხარეს დაიჭერთ, ბუნება ამისთვის მადლობას სულაც არ გეტყვით, ეგ თქვენი Faux-pas<sup>1</sup> არის, თქვენ შეცდომით ბუნებას უპირისპირდებით, ახლავე ავიხსნით, რასაც ვგულისხმობ, რაკი მიზნად დავისავე, გონს მოგიყვანოთ, რასაც თქვენ ამბობთ, სწორია: ადამიანი ცოცხლობს თავის ტყავში, დაშორებულ-გამოცალკეებულ სხვისაგან და ეს მხოლოდ აუცილებლობით როდია გამოწვეული, მას სხვაგვარად არც სურს მას უხდა განცალკევებით ყოფნა, მართო ყოფნა და არც არავისკენ მიუწევს გული, მისსავე ტყავში გახვეული სხვა არსება მას მართლა ეზიზღება, არ ეზიზღება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავი, ეს ბუნების კანონია, დიახ, იმას ვამბობ, რაც არის, ზის კაცი მაგიდასთან, თავი ხელებზე დაუყრდნია, თრი თითი ლოყაზე მიუბჯენია, ერთი კი ტუჩებშია უდევს, ძალიან კარგი, ეს მისი თითია და ტუჩებაც მისია, რა მერე? მაგრამ აი, ტუჩებშია სხვისი თითი რომ ედოს, ამას კი ვერ აიტანდა, უთუოდ შეეზიზღებოდა, იქნებ არა ბოლოს და ბოლოს, სხვასთან მისი დამოკიდებულება ბუნებისგანვე ზიზღება დაფუძნებული, სხვასთან ფიზიკური სიბოლოვე უაღრესად შემაწუხებელი და აუტანელია, ურჩევნია დაიბრუნოს, ვიდრე შეეგუოს თავის ახლოს უცხო სხეულის არსებობას, ადამიანს უნებურად უჩნდება განრიდების გრძნობა, ოღონდ სხვისი განკერძოებულობის შელახვას რომ ერიდება, ამით თავის საკუთარ განკერძოებულობას უფრო უფრო ხილდება, ვიდრე სხვისას, ეს კარგი თუ არა, სწორი მაინც არის, ამ სიტყვებით მე მოკლედ, მაგრამ ნათლად მოვსაზე საქმის ბუნებრივი, საყოველთაოდ მისაღები ვითარება და ახლა საგანგებოდ თქვენთვის მომზადებული სიტყვის მომდევნო მონაკვეთზე გადავდივარ

აი, ახლა იწყება ის ოალაც, რის მეოხებითაც ბუნება უეცრად შეაქცევს ხოლმე ზურგს თავის დაწესებულ ფენომენს, იწყება ის, რის წყალობითაც კრება ადამიანის ფიზიკური განცალკევებულობისა და მართოდყოფნის გულზიზღიანი სურვილი, სავსებით და საკვირველად ბათილდება ის რკინის კანონი, ყოველ ადამიანს ერთადერთი საკუთარი თავი არ ეზიზღება, თორემ სხვა ყველა ზიზღს ჰგვრისო, და ვინც პირველად დაინახავს ასეთ ცვლილებას — ამის დანახვა კი ყოველი ჩვენთაგანის მოვალეობაა — მას გაკვირვებისა და გულაჩუყებისაგან ცრემლნი დასდინდება თვალთაგან, დიახ, „ცრემლნი დასდინდება“-მეთქი ვთქვი, რადგან ამ ამბავს სწორედ ეს პოეტური სიტყვები შეეფერება, „ცრემლების“ თქმა უხამსობად ჩამეთვლებოდა, რადგან ცრემლებს თვალი მაშინაც ღვრის, როცა წამწამებშია ნახშირის მტვერი შეუფრინდება, „ცრემლნი“ კი ამაღლებული სიტყვაა.

<sup>1</sup> შეცდომა (ფრანგ.).



უნდა მიაბატიოთ, ზუზუ, თქვენთვის მომზადებულ სიტყვაში ხანგამომ-  
 ვებით პაუზებს რომ ვაკეთებ და ასე ვთქვათ, ახალ პარაგრაფებს ვიწყოებ.  
 მთავარი სათქმელიდან ადვილად ვიცი ხოლმე გადახვევა, აი, როგორც ცოცხალი  
 ლომდინარებაზე დამეძარტა, და მერე ხელახლა მიხდება აზრების თანმიმდევრულ  
 და მთავარი ამოცანისაკენ, ანუ თქვენი გონს მოყვანისაკენ წარმოდგენაშია  
 ასე! მაინც ბუნების რომელ გადახვევაზეა ლაპარაკი და რა არის ის ახალი,  
 სამყაროს გასაკვირად ერთი სხეთლის მეორისგან გამოცალკევებას რომ აბა-  
 თილებს, ანუ „მესა“ და „შენს“ შორის საზღვარს შლის? ეს სიყვარული  
 ვახლავთ, თითქოს ყოველდღიური, ჩვეულებრივი რამ, მაგრამ მარად ახალი  
 და კარგად თუ დავაკვირდებით არც მეტი, არც ნაკლები — გაუგონარი, მა-  
 ინც რა ზღვება? ორი განცალკევებული მზერა ერთმანეთს ხვდება, ოღონდ  
 ასე ჯერ არასდროს შეხვედრიან ისინი ერთმანეთს, შეშინებულნი არიან და  
 გარესამყაროსგან გამოთიშულნი, შემცბარი და ოდნავ დარცხვენილნი, მათი  
 მზერა სხვა არანაირ მზერას არ ჰგავს, ოღონდ ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც  
 არ ეთმობათ ეს გახსივრეებული მზერა, ისინი ერთმანეთში იძირებიან, თუ  
 გნებავთ ვიტყვი, ერთმანეთში ჩაყურყურმალავდებიან-მეთქი, მაგრამ საჭირო  
 არაა, „ჩაძირვაც“ მშვენიერად გამოგვადგება, აქ სინდისის ქენჭნაც ურევია,  
 ოღონდ საიდან მოდის იგი, ამას არ გამოგვიკიდები, მე ერთი უბრალო აზ-  
 ნაური ვარ და ვერაფერს მომთხოვს სამყაროს საიდუმლოებებში ვერკვეოდვ-  
 ოღონდ მაინც ვიტყვი, რომ ამაზე უტკბესი სინდისის ქენჭნა საერთოდ არ  
 არსებობს, ორივეს გულში უღვივის იგი, ორივეს ეტყობა თვალელებში და  
 ასე, უეცრად, ყოველგვარი მსოფლწესრიგიდან ამოვარდნილები, ჯიქურ  
 მიემართებიან ერთმანეთისაკენ, ისინი ჩვეულებრივ ენაზე საუბრობენ, ხან  
 რას იტყვიან და ხან რას, მაგრამ ყველაფერი სიცრუეა, ისევე როგორც სიც-  
 რუეა ის ჩვეულებრივი ენაც და ამიტომაც აქვთ ბაგე ოდნავ უაღბოდ მოღრე-  
 ცილი და თვალელებშიც ტკბილი სიცრუე უდგათ, ერთი შესცქერის მეორეს თმა-  
 ზე, ტუჩებზე, სხეულის ნაკვეთებზე, მერე მატყუარა თვალეებს სწრაფად ხრიან  
 ან სადღაც ყველაფრის მიღმა იყურებიან, სადაც არც არაფერი აქვთ საძე-  
 ბარი და ვერც ვერაფერს ხედავენ, რადგან ორივეს თვალეები ბრმაა ყველაფ-  
 რის მიმართ, ერთიმეორის ვარდა, ის თვალეები მხოლოდ იმიტომ იმალებიან  
 ამ სამყაროში, რათა სულ მალე კიდევ უფრო გაბრწყინებულნი მიაჩერდნენ  
 ერთიმეორის თმას, ტუჩებს, სხეულის ნაკვეთებს, რამეთუ ყველაფერ ამას  
 ყოველგვარი წესისა და რიგის ჯიბრზე აღარაფერი სცხია სიტუაციისა, მით  
 უმეტეს გულგრილობისა ან უსიამობისა, შესაზიზღებელისა ხომ არა და არა,  
 რადგან იგი ვილაცის კი არა, უკვე მეორესია და ალტაცების, უინის საგნადაა  
 ქცეული, იგი შეხების სუოვილს გილვიძებს, იმ ნეტარებას გპირდება, რასაც  
 წინასწარ გრძნობდნენ, რაზეც ქურდულად ოცნებობდნენ შენი თვალეები.

ეს ჩემი სიტყვის ერთ-ერთი პარაგრაფია, ზუზუ, ვიწყოებ შემდეგ მონაკ-  
 ვეთს, ყურადღებით მისმენთ? დიახ, ისე მიგდებთ ყურს, თითქოს პირველად  
 ისმენდეთ სიყვარულზე საუბარს, არა? როცა სიცრუისა და მიეთ-მოეთისგან  
 თავდახსნილებს მოყირკდებათ მათი ყოველნაირი გამოვლენანი, როცა ისე  
 მოიშორებენ ყოველგვარ სიყალბეს, თითქოს უკვე სამოსს იშორებდნენ ტა-  
 ხიდან, და ამკვეყნად ერთადერთ ქეშმარიტ სიტყვას, მათთვის ერთადერთ  
 ქეშმარიტ სიტყვას წარმოთქვამენ, რომლის წინაშე სხვა დანარჩენი მხოლოდ  
 თვალთმაქცური ლაყბობაა და მეტი არაფერი: ეს სიტყვა არის „მიყვარხარ“.  
 ესაა ქეშმარიტი გახთავისუფლება, უთამამესი და უტკბილესი, რომლის სა-



დარი არათერია ამქვეყნად. და ამ სიტყვის თქმაზე მათი ტუჩები ერთმანეთს  
 კოცნაში უერთდებიან. თუ ერწყმიან და ეს არის ამ გათიშულობისა და  
 განცალკევებულობის სამყაროში ერთადერთი და შეუღებელი მოვლენა,  
 რომელსაც შეუძლია ცრემლნი დაგადინოს თვალითაგან. თქვენ კი რა უკმე-  
 ხად ილაპარაკეთ კოცნაზე, როცა იგი გათიშულობის სრულსა და საკუთარი  
 თავის გარდა ყველას და ყველაფრის მიმართ ზიზღისა და მოკიდებულების  
 დასასრულია! ვალიარებ, ვალიარებ და თან დიდი სიამოვნებით, რომ იგი  
 დასაწყისია სხვა დანარჩენისა, რადგან იგია უსიტყვო, საოცარი დასტური  
 იმისა, რომ სიახლოვე, უკიდურესი სიახლოვე, ზღვარწაშლილი სიახლოვე,  
 სწორედ ის სიახლოვე, აქამდე ლამის გულისამრევი რომ გვეჩვენებოდა,  
 თურმე ყველაზე სანუკვარი გრძნობის გამოხატულება ყოფილა, სიყვარული,  
 ზუზუ. შეყვარებულთა ხელით ყველაფერს ლამობს, უკიდურეს ღონეს მი-  
 მართავს, რათა უსაზღვრო, სოულყოფილ სიახლოვეს მიადწიოს, ორი სიცოცხ-  
 ლის ჰემოარიტ, სრულ ერთარსებადქცევას შეეცადოს, რაიც სასაცილოდ  
 და სამწუხაროდ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად მაინც განუხორციელებელი  
 რჩება. ბუნებას იგი მაინც ვერ მოერევა, მერე რა, რომ სიყვარულიც ბუნების  
 მოგონილია, გულისგულში ბუნება მაინც განცალკევების მომხრეა, ორისგან  
 რომ ერთი წარმოიქმნება, ეს შეყვარებულთა ერთარსებადქცევას სულაც არ  
 ნიშნავს, ეს ამბავი მაინც მათ გარეშე ხდება, მესამის, ბავშვის სახით, რომელიც  
 მათი ძალისხმევის ნაყოფია, ესეც არ იყოს, მე შეიღებსა და ოჯახურ ბედ-  
 ნიერებაზე როდი ვლაპარაკობ, ეგ ჩემი თემის საგანი არც არის და არც შე-  
 ვეჭიდები. მე ვლაპარაკობ სიყვარულზე ახალი და კეთილშობილური სიტყ-  
 ვებით და ვცდილობ სხვა თვალთ დაგანახოთ იგი, ზუზუ, გაგიღვიძოთ მისი  
 ამაღლებელი მშვენიერების აღქმის უნარი, რათა აღარასოდეს წამოგცდეთ  
 მასზე ასეთი უკმეხი სიტყვები. ჩემს სიტყვას პარაგრაფებად ვყოფ, რადგან  
 ერთი ამოსუნთქვით ყველაფრის თქმა არ შემიძლია, აქაც ვასრულებ  
 ერთ მონაკვეთს, მომდევნო მონაკვეთზე გადავდივარ და შემდეგს  
 მოგახსენებ.

სიყვარული, ძვირფასო ზუზუ, მხოლოდ შეყვარებულობაში როდი ძევს,  
 სადაც ჩვენდა გასარცრად, ერთი განცალკევებული სხეული მეორისთვის  
 უსიამო აღარ არის, იგი ყველგან ტოვებს ნაზ ნაკვალევს, რალაცით მიანიშ-  
 ნებს თავის არსებობას და ამ ქვეყანას ასე მოეფინება, როცა ქუჩის კუთხე-  
 ში ატუზული მათხოვარი ბავშვი ამოგჩედავთ და თქვენ არა მარტო ორიო-  
 დე გროშს მიაწვდით, არამედ ხელთათმანითა შეუმოსავ ხელსაც არ მოარი-  
 დებთ და თმაზე გადაუსვამთ, თუმცა თმა შეიძლება ტილებით ჰქონდეს სავ-  
 სე და თან თვალეში შესცინებთ, მაშინ იმაზე უფრო ბედნიერი გააგრძე-  
 ლებთ გზას, ვიდრე აქამდე იყავით, და განა ეს სიყვარულის ნაზი ნაკვალევი  
 არ არის? ერთი რამ მინდა გითხრათ, ზუზუ: ბავშვის ტილიან თმას შიშველ  
 ხელს რომ გადაუსვამთ და ამის შემდეგ იმაზე უფრო ბედნიერად იგრძნობთ  
 თავს, ვიდრე მანამდე იყავით, იქნებ ეს უფრო საკვირველი მაცნე იყოს  
 სიყვარულისა, ვიდრე საყვარელი სხეულის ალერსია, მიმოიხედეთ ირგვლივ,  
 ისე შეხედეთ ადამიანებს, თითქოს პირველად ხედავდეთ! ყველგან დაინახავთ  
 სიყვარულის ნაკვალევს, მის მინიშნებებს, სიყვარულში გამოტყდომას გან-  
 ცალკევებულ, ერთიმეორის სორციელებას დამგმობ-უარმყოფელთაგან, ადა-  
 მნიანები ხელს ართმევენ ერთმანეთს — ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური და  
 ტრადიციული რამაა და შეყვარებულთა გარდა ამ დროს სხვა ფიქრი არც



არავის მოსდის თავში, მაოლოდ ისინი ტკბებიან ამ შედეგით. რადგან მეტი უფლება ჯერ არ შეუძენიათ. სხვები ამ დროს არც არაფერს გრძნობენ. ვერც ხედებიან, რომ ხელის ჩამორთმევაც სიყვარულმა დააკანონა. მაგრამ ასე კი იქცევიან. მათი სხეულები შორი-შორ დგანან არც ამირეცხენ და ნეთთან მეტისმეტად მიახლოებას. ღმერთმანი არა, მაგრამ რა დისკანსაც უნდა დაიკვან. რა მკაცრადაც არ უნდა გაუფრთხილდნენ თავუფლებას. ერთმანეთს ეკვრიან. ექდობიან და ეს ვითომ არაფერია. ჩვეულებრივი ამბავია, ამას რა მნიშვნელობა აქვსო. ასე ფიქრობენ და ასე ჯგონიათ სინამდვილეს. კი, კარგად თუ დაუფერდებით, ხელის ჩამორთმევაც საოცრებათა სუეროს განუკუთვნება. ეს ბუნებისგან მოწყობილი პატარა ზეიშია თავისივე არსიდან გადახვევის გამო. ესაა უცხოისაგან უცხოისადმი ზიზღის დაძლევის მაგალითი. ეს ყველგან საიდუმლოდ მყოფი სიყვარულისგან დატოვებული კვალია.

ჩემი ლუქსემბურგელი ქალბატონი დედოფო უეჭველად იტყოდა. ასე ვერაფრით ვერ ილაპარაკებდიო. ეს მაოლოდ მშვენიერი მონაჩმახიათ, მაგრამ პატიოსნებას ვეფიცებით. ასე ვილაპარაკე, სიტყვა წყალივით მომდიოდა. იქნებ ხაწილობრივ ბელემის გაღერვის არაჩვეულებრივი, ზედმიწევნით თავისებური სილამაზის ბრალიც იყო. ასეთი ორიგინალური სიტყვა რომ გამომივიდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ასე ვილაპარაკე და როცა სიტყვა დაეასრულე, მოხდა საკვირველება: ზუზუმ ხელი გამომიწოდა! ჩემთვის არ შემოუხედავს. თავი ისე ჰქონდა მიბრუნებული. თითქოს იქვე ქვის საოცარ ჩუქურთმას აკვირდებოთ. გამომიწოდა მარჯვენა ხელი, რადგან მე, ცხადია, მარცხნიდან ვედექა. მეც ჩამოვართვი, ხელი ხელზე მოვუჭირე და მანაც ხელის მოჭერით მიპასუხა. თუმცა ხელი იმწამსვე გამომტაცა და წარმშეკმუხვნილობა მითხრა:

ის ნახატები სადღაა, უნებართვოდ რომ დახატეთ? სადაა-მეთქი! ბოლოს და ბოლოს, აღარ მომაწვდათ?

— რას ამბობთ, ზუზუ, ჩემი დაპირება არ დაშვიწყნია და არც ვაპირებ დავივიწყო... თქვენც ხომ კარგად მოგახსენებიათ, შემთხვევა რომ არ მომეცა...

— პირდაპირ ნებრალებით, ფანტაზია რომ არ გყოფნით და შემთხვევა ვერ გამოგიჩინავთ. — ვითხრა მან ვატყობ. ჩემი დახმარება გქირდებათ. მეტი სიფხიზლე და დაკვირვების უნარი რომ გქონდეთ, უჩემოდაც გეცოდინებოდათ. საბლს უკან, პატარა ბაღჩაში, ოლეანდრის ბუჩქებში, უფრო სწორად, ფანჩატურში, ერთი ძელსკამი რომ დგას, სადაც ნასაუზმევს მიყვარს ხოლმე განმარტოება, წესით, ეს უნდა გცოდნოდეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ იცით და ასეც მიფიქრია ხოლმე, როცა იქ ვმჭდარვარ, იოტისოდენა ფანტაზია და მოხერხება რომ გაგაჩნდეთ, ბევრჯერ შეგეძლოთ ნასაუზმევს, ყავის დაღვევის შემდეგ ისე მოგეჩვენებინათ თავი, თითქოს წახვედით, წასვლით მართლა წახვიდოდით, ცოტას გაივლიდით, დაბრუნდებოდით, ფანჩატურში მომაგნებდით და თქვენს ხაჯლაბნს, მომცემდით, მაშ, იქნებ ახლა მაინც მოიქცეთ ასე, რას იტყვით, მპირდებით?

— უეჭველად ზუზუ! რა უბრალო და თან რა ბრწყინვალე აზრია! მაბატოეთ, რომ ოლეანდრებში ჩადგმული ძელსკამისთვის აქამდე ყურადღება არ მიმიქცევია! ეტყოდა ისე ღრმადაა მიმალული, რომ არ შემიძინევია. მაშ, თქვენ ნასაუზმევს იმ ბუჩქნაოში ზიზღით მართოდმართო? მაგას რა ჯობია!



სულტად ისე მოვიქცევი, როგორც მითხარით. ყველას გამოვემშვიდობები მათ შორის თქვენც. ვითომ მართლა შინ მივდიოდე. მერე კი ჩემი ნაბატე-ბიანად თქვენსკენ გამოვეშურები. აი ჩემი ხელი.

— თქვენი ხელი აქვინ გქონდეთ! Shake hands! მუღვე მკვესწრებით თქვენი ეკიპაჟით შინ რომ დაებრუნდებით. მაშინ, აბრეწეწე-ოქქეს წამდა-უწუმ ჩამოვართყათ ერთმანეთს ხელი.



### მეთერთმეტე თავი

ცხადია, პაემანზე შეთანხმების გამო თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მაგრამ ისიც გასაგებია, ზუზუსთვის ის წყეული, მართლა უზნეო სურათები რომ უნდა მეჩვენებინა, ამის გახსენებაზე შიშით მეწურებოდა გული. მე ხომ სხვადასხვა პოზაში დასატულ ზაზას მშვენიერ სხეულს და სახეს ზუზუსთვის დამახასიათებელი კაეები მივახატე. ამით მისი სხეული ზუზუს მივაკუთუნე და ახლა აღარ ვიცოდი, პორტრეტის შექმნის ასეთ თავხედურ მანერას ზუზუ როგორ მოეკიდებოდა. ამავე დროს საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რა აუცი-ლებელია ეუკუაებთან ვისაუზმო და შემდეგ შინ წასვლის კომედია გავითამა-შო-მეთქი. თუკი ზუზუ ნასაუზმევს ყოველთვის იქ იქნა, მაშინ ნებისმიერ დღეს შემეძლო ოლეანდრებში შეყუჟულ ძელსკამთან მალულად მივსული-ყავი. მით უმეტეს, რომ ნასაუზმევს სიესტის დრო დგებოდა. მხოლოდ იმას ვნატრობდი, ხეტავ პაემანზე იმ წყეული, თავხედური სურათების გარეშე შემეძლებოდა მისვლა!

არ ვიცი, რისი ბრალი იყო, ამის, რომ მათ გარეშე მისვლის უფლება არ მქონდა და ზუზუს რისთვის მეშინოდა, რომელიც კაცმა არ იცის, როგორ გამომყდავნიდებოდა. თუ ჩემს მგრძნობიარე სულში გარდატეხა მოხდა ახალი ძლიერი შთაბეჭდილებების გამო, რაზეც ახლავე გიამბობთ, და ამან გამინელა პაემანზე მისვლის სურვილი. ასე იყო თუ ისე, დღეს დღე მისდევდა და ზუზუს წინადადებას კი არ ვიყენებდი. რალაც ნამდვილად მოხდა: ვიმეორებ, მოხდა გარდატეხა. პირქუში დიდებულებით აღსავსე ერთი ამის გამო, რამაც სულ რამდენიმე საათში შეცვალა შეწყვილებულ ხატებას-თან ჩემი დამოკიდებულება — მან მისი ერთ-ერთი ნაწილი, ანუ დედის ხატება, მძლავრი, სისხლივით წითელი შუქის ნაკადში გაახვია და მეორე ნაწილი, ანუ მომხიბლავი ქალიშვილი, ამის გამო ოდნავ ჩრდილში მოექცა.

შუქისა და ჩრდილის შედარება ალბათ იმიტომ ვინმარე, რომ ხარების არენაზე ესოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა განსხვავება მცხუნვარე მზით განათებულ და ჩრდილში მოქცეულ ნახევრებს შორის. იქ, ცხადია, ჩრდილის მხარეს ენიჭებოდა უპირატესობა და წარჩინებული ხალხიც იქ ვისხედით. უბრალო ხალხი კი მცხუნვარე მზეში იხრუკებოდა... პო, მართლა, მე ისე უბრალოდ ვახსენე ხარების არენა, თითქოს მკითხველმა უკვე იცო-დეს, საქმე ამ უაღრესად საინტერესო, ძველიბერიულ სანახაობაზე ჩემს ყოფ-ნას რომ შეეხება. წერა საკუთარ თავთან საუბარს როდი ნიშნავს, წერისას აუცილებელია თანმიმდევრულად მოკყვე მოვლენებს, კარგად აწონ-დაწონო ყველაფერი და მკითხველი დინჯად, ნახტომების გარეშე მიიყვანო სათქმელთან.

1 ხელის ჩამორთმევა (ინგ.).



უპირველად ყოველი, ვიტყვი, რომ იწურობდა ლისაბონში ჩემი ყოფნის ვადა, უკვე სექტემბრის ბოლო დღეები იდგა. მოახლოვდა კვამ არკონას<sup>1</sup> ჩამოსვლის დღე და გამგზავრებამდე ლამის ერთი კვირაც აღარ მოჩვენოდა, ამიტომ გამიჩნდა სურვილი, რუა და პრატაზე მდებარე Museu Scientifico Naturali მეორედ და უკანასკნელად, ჩემით მომენახულებინა, მგზავრებამდე ერთხელ კიდევ მიხდოდა მენახა ვესტიბიულში ეფიქრობოდა თეთრი ირემი, რომელიდაც წინარეისტორიული ფრინველი, საბრალო დინოზავრი, უზარმაზარი კიანკველაქამია, საყვარელი ღამურა მაიმუნი შლანკორი და კიდევ მრავალი სხვა, თუნდაც ნეანდერტალელთა საყვარელი ოჯახი და ის ადრეული ადამიანი. მზეს ყვავილების თაიგულს რომ უძღვნიდა, ეს სურვილი შევისრულე. ყოველისიშპათით გულსავესემ, ერთ მშვენიერ დილას, მეგზურებს გარეშე შემოვარე კუკუქის შექმნილი მუზეუმის პირველი სართულის ოთახები და დარბაზები, სარდაფის ტალანები, მერე ვიფიქრე, აქაურობის პატრონმა რომ უნდა იცოდეს, გულმა აქეთ რომ გამომიწია-მეთქი და პროფესორ კუკუქს თავის ბიუროში შევუარე. იგი ჩვეულებისამებრ გულთბილად შემეგება, მუზეუმის ერთგულება შემოქო და შემდეგ ერთი ამბავი მამცნო:

დღეს, შაბათს, მეფის ძმის, პრინც ლუი-პედროს დაბადების დღეა და მის საპატივცემულოდ ბვალ, კვირას, ნაშუადღევს სამ საათზე, კამპო პეკუენოს დიდ არენაზე, Corrida de touros, ანუ ხარების ბრძოლა იმართებაო, კორიდას თვით პრინცი დაესწრება და მეც, ჩემს ქალბატონებთან და ბატონ პურტადოსთან ერთად ვფიქრობ ამ ხალხურ სანახაობაზე წავიდეო. ბილეთები ჩრდილის მხარეს მაქვს, ერთი ბილეთი თქვენთვისაც ვიგულე, რადგან ვიფიქრე, განათლების მიზნით საშოგზაუროდ წამოსული კაცისთვის უკეთესი რა უნდა იყოს, რაკ პორტუგალიიდან წასვლამდე შემთხვევა გამოგიჩნდათ, კორიდას დასწრებოდითო, თქვენ როგორ ფიქრობთო?

როგორ ვფიქრობდი და ცოტა არ იყოს, გული მიკანკალებდა, პროფესორს ასეც ვუთხარი, სისხლის დანახვის მეშინია და რამდენადაც საკუთარ თავს ვიცნობ, ასე მგონია, ამ ხალხური კრისა და ჩეხვის გამძლები კაცი არ უნდა ვიყო-მეთქი, ხარი ხშირად ისე გამოფატრავს ცხენს მუცელს, ნაწლავებს გადმოაყრევინებსო, გამოგონია, ამის ყურება, არა მგონია, მესიამოვნოს, რომ აღარაფერი ვთქვა ჩარზე, რომელიც, უბრალოდ, შემეცოდებამეთქი, ალბათ მეტყვიით, ისეთი სანახაობა, ქალის ნერვები რომ უძლებს, არც თქვენთვის იქნება აუტახელიო, პირიქით, იქნებ სასიამოვნოც გამოდგესო, მაგრამ ეს ქალები იბერიელები არიან, აქაურ მკაცრ ტრადიციებზე აღზრდილნი, მე კი ერთი აზიზად გაზრდილი უცხოელი ვარ-მეთქი და რა ვიცი, კიდევ რა აღარ ვილაპარაკე, მაგრამ კუკუქმა დამამშვიდა, კორიდაზე ასეთი უსიამო წარმოდგენა რატომ შეგიქმნიათო, კორიდა, მართალია, სერიოზული სანახაობაა, მაგრამ შესაზიზღებელი არაფერი სქირსო, პორტუგალიელები ცხოველების მოყვარული ხალხია და შესაზიზღებელს ვერაფერს აიტანენო, რაც შეგებება ცხენებს, მათ დიდი ბანია გამძლე ასალებს უკეთებენ, რათა სერიოზული არაფერი დაუშავდეთო, ხოლო ხარი აქ უფრო რაინდულად კვდება, ვიდრე სასაკლაოზეო, ისე, თქვენი ნება არ არის, თუ გნებავთ სანახაობას თვალსაც მოარიდებთ და ყურადღებას სადღესასწაულოდ მორთულ მაყურე-

<sup>1</sup> ბუნების ისტორიის მუზეუმი (ლ. 100).



ბელზე გადაიტანთ. თვით ირენას დაათვალიერებთ. რაც თავისთავად ფერადოვანი, საამური სანახავია და ეთნიკური თვალსაზრისითაც საინტერესოაო.

სხვა რა გზა მქონდა, მივხვდი, რომ არც ეს შემთხვევა უნდა გამეშვა ხელიდან და პროფესორის ყურადღებაც უნდა დამეფარებინა. ადლობა მოვახსენე და შევთანხმდით, რომ ჩემი ეკიპაჟით მას და მისი შვილებს დანიშნულ დროს საბაგირო გზას ძირში დაველოდებოდი და იქიდან ამოვართავდი კორიდაზე. ოღონდ ქუჩები ხალხით იქნება გაქედილი და ხელა-ხელა მოგვიწევს სიარულიო, გამაფრთხილა კუკუკმა. ამაში იმწამსვე დავრწმუნდი, როცა კვირას თადარიგი დავიჭირე და სასტუმროდან ჯერ კიდევ სამის თხუთმეტ წუთზე გამოვედი. ასეთი ამბავი ჯერ ამ ქალაქში არ მენახა. თუმცა აქ უკვე არაერთი კვირადღე მქონდა გატარებული. მარტო კორიდა მთელ ქალაქს ნამდვილად ფეხს ვერ ადგმევინებდა. დიდებულად მხრებგაშლილი ავენიდა ეკიპაჟებითა და ხალხით იყო სავსე. ერთმანეთში ირეოდა ცბენ ან ჯორებ შებნული ფურგონები, ვირზე ამხედრებული ჩაღბი და ფეხით მოსიარულეები და ასე იყო ყველა ქუჩა. რომელთაც რუა აუგუსტასაკენ ამ ზედახორაში ნაბიჯით მივუყვებოდით. ყველა კუთხიდან და მოსახვევიდან, ძველი ქალაქიდან თუ გარეუბნებიდან, ახლომახლო სოფლებიდან მოედინებოდა ქალაქელთა და სოფლელების ნაკადი. მოდიოდნენ მეტწილად სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულნი, მხოლოდ დღესასწაულის ამომზეურებულ ტანსაცმელში გამოწყობილნი და ამიტომაც მოდიოდნენ ათაყად, გაციისკროვნებული, მაგრამ ღირსებით აღსავსე, ლამის გრძნობამორეულები. მოდიოდნენ, როგორც მეჩვენა, გუნებადამჯდარნი, უბნოდ და უხმაუროდ, წამოძახილების გარეშე, ერთსულოვნად მიემართებოდნენ კამპო პეკუენოსა და ამფითეატრისაკენ.

მაინც საიდან მოდის ეს უცნაური გულისწუხილი, მოწიწების, თანაგრძნობისა და ნალველშერეული მხიარულების ნახავი გრძნობა, რაც ადამიანს დღესასწაულით აღფრთოვანებული, ამაღლებული განწყობილებით გაყვანილ-გაერთიანებული მასის დანახვაზე ერევა ხოლმე? ამ გრძნობაში ძვეს რაღაც ბუნდოვანი, პირველყოფილი, რომელიც მოწიწებასთან ერთად შეშფოთებასაც აღძრავს, ამინდი ჯერ კიდევ ზაფხულისებური იდგა, მზე ჩაჩახებდა და მის შუქზე ბრჭყვიალი გაქჟონდა გრძელ-გრძელი ქოკების სპილენძის ბუნეებს. შორიდან მომავალი მამაკაცები სიარულში რომ იშველიებდნენ, მათ წელზე ჟერად-ჟერად შარფები ერტყათ და თავზე ფართოფარფლებიანი შლაპები ეხურათ. ქალებს სატიჩის პრიალა კაბები ეცვათ. მკერდზე, სახელოებსა და ქობაზე ოქროსა და ვერცხლის ძაფით ნაწესოვი მაჭმანით შემკული. ზოგს თმაში ესპანური ჯილა-სავარცხელი ებნია და უმეტესობას თავსა და მხრებს უფარავდა სავარცხელში ჩამაგრებული შავი ან ოეთრი გიპიურის მანდილი, რომელსაც აქ მანტილიას ეძახიან. შორიდან ჩამოსული გლეხის ქალების თავზე სულაც არ გამკვირვებია მანტილიის დანახვა, მაგრამ სახტად დავრჩი, ლამის შევშინდი, როცა საბაგირო გზის სადგურთან მისულმა დონა მარია პია დავინახე. მას, მართალია, პრიალა სატიჩის ხალხური კაბა არ სცმია, პირიქით ელეგანტურ საღამოს კაბაში იყო გამოწყობილი, მაგრამ თმაში ჩაბნეულ სავარცხელში მასაც შავი მანტილია მქონდა ჩამაგრებული. დონა მარიას არც უფიქრია თუნდაც ღიმილით მოეზოდისებინა ამ ეთნიკური მასკარადის გამო და მე მითუმეტეს არ მმართებდა გაღიმება გაოგნებული, ჩვეულებრივზე უფრო მეტი მოწიწებით ვკამბოოვ ხელზე მანტილია საოცრად უჩრდებოდა: აუღრულ ქსოვილში მზე ატანდა და



მის დაწვევებზე. მის ფართო სამსრუტოვლად ფერმკრთალ და მკაცრ საბუნე ფილიგრანულ ჩრდილებს ხატავდა.

ზუზუს მანტილია კი არ ებურა, მაგრამ ეთხივერ დეტალად ჩემთვის მისი მშვენიერი კავეები ემაროდა. თქვენ წარმოიდგინეთ, იგი დღესაც უფრო თაღბ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, დაახლოებით ისე, როგორც ეგლესიაში მიმავალს უნდა სცმოდა. მამაკაცებიც, პროფესორიც და დონ მარტინო-მელიც ფეხით მოსულიყო აქამდე და, სანამ ერთმანეთს მოვიკითხავდით, მასობაში ისიც შემოგვიერთდა. მკაცრად იყვნენ გამოწყობილნი — შავი ფრაკები ეცვათ და ცილინდრები ებურათ, მე კი ჩვეულებრივი, ფართოხალაბიანი ლურჯი კოსტიუმი მეცვა. თავს, ცოტა არ იყოს, *genant*<sup>1</sup> ვგრძნობდი, მაგრამ უცხოელს გამოუცდებლობა შეპატიებოდა.

მეეტლეს ვუბრძანე, გეზი ავენიდას პარკისა და კამპო გრანდესაკენ აეღო, სადაც ხალხმრავლობა ნაკლები იქნებოდა, პროფესორი და მისი მეუღლე უკანა სკამზე დაბრძანდნენ. მე და ზუზუ პირით მათკენ დავსხედით, დონ მიგუელი კი მეეტლის გვერდით მოთავსდა, თითქმის ჩუმად მივდიოდით, კანტიკუნტად თუ გაისმოდა სიტყვა და ეს დუმილი უმთავრესად სენიორა მარიას ბრალი გახლდათ, იგი ისე ზვიადად წელგამართული და სახეგაქვივებული იჯდა, რომ ბმის ამოღების ხალისს გვიკარგავდა. მართალია, მისმა მეუღლემ ერთბეღ თუ ორჯერ წყნარად გადმომილაპარაკა რაღაც, მაგრამ ამაზეც თვალთ ითხოვა ნებართვა იბერიულად თავშეკავეებული, მედიდური მეუღლისაგან და ეოცელი კოხვა-მასუჩისაგან მანაც თავი შეიკავა. მთელი გზა ეტლის მსუბუქ რყევაზე ირბოდნენ სენიორას გრძელი, გიშრის საყურეები.

ცირკის მისადგომები ეკიბაყებით იყო გაჭედილი, მათ შორის გზას ნელა მივიკვლევდით და მოთმინებით ველოდით, როდის მოგვეცემოდა ეკიბაყიდან გადმოსვლის საშუალება. შემდეგ შემოგვეგება დიდი, წრიული არენა თავის ტიხრებით, კამაროვანი პალესტრადებითა და ამფითეატრებით, სადაც ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ მოჩანდა თავისუფალი ადგილები, ბაფთიანმა მოსამსახურებმა ჩრდილის მხარეს ჩვენი ადგილები მიგვითითეს. მშვენიერი ადგილები გვქონდა, ზომიერი სიმალიდან გადავყურებდით ნახერხითა და ქვიშით ყვითლად მოფენილ წრიულ მახეებს, უზარმაზარი ამფითეატრი სწრაფად გაიქედა, კუკუს არ გადაუქარბებია, როცა შითხრა, ფერადოვანი, დიდებული სახანაობა გელითო, ეს იყო მთელი ერის ფერადოვანი, საერთო სურათი, სადაც არისტოკრატის ცოტა რცხვენოდა მაინც, თვითონ ჩრდილში რომ იჯდა და ცდილობდა როგორღაც შერწყმოდა მცხუნვარე მზის ქვეშ მოქცეულ უბრალო ხალხს. მახდილოსნებში საკმაოდ ბევრს, უცხოელებსაც კი, როგორც, მაგალითად, ფრაუ ფონ პიუნონი და თავადის მეუღლე მაუროკორდატო ბრძანდებოდნენ, თმაში ჯილა-სავარცხელი ებნია და მანტილია ებურა, ზოგს თავისი სამოსი გლეხური კაბებისთვის წაემსგავსებინა და ოქროსა და ვერცხლის სიბრტყით გაეწყო, ხოლო წარჩინებული ბატონები თავიანთი ოფიციალური ტანსაცმლით ხალხს თუ არა, ამ წარმოდგენის ხალხურ ნასიათს მაინც სცემდნენ პატივს.

უზარმაზარ არენაზე სასიბარულო, ოლონდ თავშეკავეებული მოლოდინის განწყობილება სუფევდა და არც მზის მხარეს იგრძნობოდა მდაბიოთა მდა-

<sup>1</sup> მ. ბოქილი (1800-1860).



ბალი აღტყინება, რასაც ისინი ჩვეულებრივი სპორტული მოედნების ტრიპუნებზე მოურიდებლად ამყლავენებენ ხოლმე. მღელვარებასა და დაძაბულობას მეც ხომ განვიცდიდა. მაგრამ მაყურებელთა საბუნებისმეტყველო რომელნიც ჯერ კიდევ ცარიელ პარკებს ჩასცქეროდნენ, სადაც ყვითელი საფარველი მალე სისხლით უნდა შეღებილიყო. კურთხეული სანაბლობის ქვეყნულად დაოცებულ, თავშეკავებულ მღელვარებას ამოკითხავდით. შეწყდა და მავრიტანულ-ესპანური სტილის საკონცერტო პიესას პირდაპირ გადაება ეროვნული პიმნი. — თავიანთ ლოყაში შემოვიდნენ პრინცი და მისი მეუღლე. პრინცს ფრაკზე, კარსკვლავა ებნია, ხოლო დიდილოში კრიზანთემა ჰქონდა გარკობილი. მის მეუღლეს კი სხვა მანდილოსნების მსგავსად თავზე მანტილია ეხურა, ხალბი ფეხზე წამოდგა და ტაში დაუკრა. იგივე განმეორდა მოგვიანებით, ოღონდ სხვა პიროვნების საპატივცემულოდ.

საპატიო სტუმრები რომ შემოვიდნენ, სამს აკლდა ერთი წუთი. საათმა პირველად ჩამოაქრა თუ არა, მუსიკა გაგრძელდა და შუა დიდი კარიბჭიდან დაიძრა მსახიობთა ჩგუფი წინ მოუძლოდათ სამი მანვილმტვირთველი, მათ აქსელბანდებიანი, ამოქარგული ბოლეროები, ფერადბუზმენტიანი. შუა კანკამდე ჩასული ვიწრო შარვალი, თეთრი წინდები და ბალთიანი ფეხსაცმელი ეცვათ. მათ უკან მოჰყვებოდნენ ბანდერილიეროები კრელბაფთებშებმული წვეტიანი ქოკებით ზელში და იმავე სტილში გამოწყობილი კაპეადორები. რომელთაც ვიწრო, შავი მალსტუჩები ეკეთათ. ხოლო მკლავზე მოკლე, წითელი მოსასხამები ჰქონდათ გადაკიდებული. შემდეგ გამოჩნდა შუბებით შეიარაღებული. შლაპიანი პიკადორების კავალკადა. მათ ცხენებს ლეიბიყით დალიანდაგებული ასალები ეკიდა მკერდსა და ფერდებზე. ხოლო პროცესიას ყვავილებითა და ბაფთებით მორთულ-მოკაზმული, ქორებშებმული ფორანი ამთავრებდა. პროცესიამ გადაჭრა ყვითელი არენა, პირდაპირ პრინცის ლოყისაკენ გაემართა, ყოველმა მონაწილემ დიდებულებს მდაბლად დაუკრა თავი და შემდეგ გაიფანტა. დავინახე, სანამ დამცველ ბარიერს იქით გავიდოდნენ, როგორ გადაიწერა ჩამდენიმე ტორეადორმა პირჯვარი.

ამ დროს პატარა ორკესტრმა ერთხელ კიდევ შუაში გაწყვიტა დაკვრა და დადუმდა. გაისმა ერთადერთი საყვირის გამყივანი ხმა. ირგვლივ სამარასებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს იღება პატარა კიშკარი, რომელიც აქამდე არც შემინიშნავს, და იქიდან მოჰქრის — დიან, აწმყოს ფორმებს ვიშველიებ, რადგან ის სურათი დღესაც ცხადად მიდგას თვალწინ — იქიდან მოჰქრის რაღაც სტიქიური ძალა, ხარი, შავი, მძიმე, უზარმაზარი, აშკარა უძლეველი გროვა გამანაყოფიერებელი და მომაცვდინებელი ძალისა. რაშიც აღრინდელი, ძველი ხალხები უეჭველად ღმერთ-ცხოველს. ანუ ცხოველ ღმერთს დაინახავდნენ. იგი მუჭარით აბრიალებს პატარა თვალებს, რქები, ყანწებივიო გადრეკილი რქები მკვიდრიად ადგას ფართო შუბლზე და მის ზემოთ აშვერილ წვეტებში უეჭველი სიკვდილია ჩაბუდებული. იგი წინ მოისწრაფის, ჩერდება, წინა ფეხებს მიწას დაასობს, გაგიყებული შეაყურებს მოსასხამს. წელში წაბრილი ერთ-ერთი კაპეადორი მისგან მოშორებით სილაზე რომ აფენს, იქით მიეჭანება, მოსასხამს რქებს დაასობს, ქვიშაში ჩაჯუჯუნის და იმ წუთში, როცა კისერს მოიღრუცს და რქის მონაცვლებას დააპირებს, ის რია კაპეადორი მოსასხამს გამოაცლის და ერთი ნახტომით ზურგსუკან მოექცევა. უზარმაზარი, ღონიერი მისა მძიმედ დაბზრიალდება ადგილზე და ამ



დროს ორი ბანდერიოლიორი მსუქან ქედზე ქრელი ბაფთებით შემკულ ორ-  
 ორ შუბს დაარკობს. შუბები სხეულში რჩება, ეტყობა, ბოლოში კაუჭები  
 აქვთ და იოლად არ გამოვარდებიან, ასეცაა, აღმაცერად გამოჩრილნი ქანა-  
 ობენ თამაშის ბოლომდე. ზუსტად შუა კეფაში დაასო მესამე მოკლე ბუმ-  
 ბულით შემოსილი შამფური და მას შემდეგ ამ მტრედის ფრთებით გაშ-  
 ლილ სამკაულს დაატარებდა სიკვდილის წინააღმდეგ სამკვდრს. <sup>სამკვდრს</sup> <sup>სამკვდრს</sup> <sup>სამკვდრს</sup>  
 ბრძოლაში ჩაბმული ხარი.

მე კუკუკსა და დონა მარია პიას შუა ვიჯექი. პროფესორი ჩუმად  
 ნიხსნიდა კორიდის წვრილმანებს. ბრძოლაში ჩაბმული მოთამაშეების სახელებიც  
 მისგან შევიტყე. მისგანვე მოვისძინე, რომ ხარი დღევანდელ დღემდე თურ-  
 მე შეფურად ცხოვრობდა იალალზე და ზრუნვითა და პატივისცემით იყო გა-  
 რემოსილი. ჩემს ხელმარჯვნივ დაბრძანებული დიდებული ქალბატონი ღუმ-  
 და, ნაყოფიერებისა და სიკვდილის ღმერთსა და ქვემოთ გათამაშებულ მთელ  
 სცენას მხოლოდ მაშინ თუ მოაცილებდა თვალს და თავს მოაბრუნებდა,  
 ხმაურისათვის ქმარი რომ უნდა დაეტუქსა. მანტილით მოჩრდილული მკაც-  
 რი, სამბრეტულად ფერმკრთალი სახე გაქვავებოდა, მაგრამ მკერდი სწრა-  
 ფად აუდ-ჩაუდიოდა და მე, რაკი დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერაფერს  
 შემამჩნევდა, მთელი ყურადღებით უფრო მის სახესა და დაუოკებელი  
 მღელვარებისგან აზვირთებულ მკერდს ვუყურებდი, ვიდრე ბანდერიოლებ-  
 დასობილ, ქედზე სასაცილოდ ფრთებაშვერილ და უკვე სისხლდადენილ სამ-  
 სხვერპლო ხარს.

ღიაბ, სამსხვერპლოს ვუწოდებ, რადგან კაცი ბრიყვი უნდა ყოფილა-  
 ყავი, არ გვეგრძნო ის დამთრგუნველი და თან ღვთიური სიხარულის მომგვ-  
 რელი, აღტყინებით, სისხლითა და მოწიწებით შეზავებული განწყობილება.  
 ამ უძველესი ხალხური სანახაობის, საუკუნეების მიღმა ჩაკარგული სიკვდილის  
 ზეიმის გაცოცხლებით გამოწვეული, ირგვლივ ყველაფერი რომ განემსქვალა.  
 შემდეგ, უკვე ეტლში რომ ვისხედით და პროფესორს ლაპარაკის უფლება  
 მიეცა. იგი მესაუბრა ამ ფენომენზე, მაგრამ ჩემს ნატიფ და გრძნობაგამან-  
 ვილებულ სულს მისი ცოდნა-განათლებებისგან არსებითი და ახალი არაფე-  
 რი შეუძენია. მრისხანებასთან შერწყმულმა აღტყინებამ ამოხეთქა, როცა  
 რამდენიმე წუთში ხარმა ინსტინქტით იგრძნო, ეს ამბავი კარგად არ დამ-  
 თავრდებაო, იგრძნო მისი ძალა და გონება უთანასწორო ბრძოლაში რომ  
 იყო ჩაბმული, და იმ კარისკენ იბრუნა პირი, საიდანაც გამოუშვეს, მოინდო-  
 მა ფერდებსა და ქედში ჩასობილი ბაფთებიანი შუბებითურთ ბოსლის სიმ-  
 ყუდროვისთვის შეეფარებინა თავი, დამცინავმა ხარხარმა შეაზანზარა იქა-  
 ურობა. ჭერ მზის მხარეს, მერე ჩვენთანაც წამოიჭრა ხალხი ფეხზე, უსტ-  
 ვენდნენ, ღრიალებდნენ, იფურთხებოდნენ და იგინებოდნენ. ჩემი დიდებული  
 ქალბატონიც წამოიჭრა ფეხზე, მოულოდნელად მქაზედ დაუსტვინა, ლაჩარს  
 ბრანწი გაუკეთა და ო-ხო-ხო-ხოო, დამცინავი ხარხარიც დაადევნა თან. ბი-  
 კადორებმა ხარს გზა გადაუღობეს და თავიანთი ბლაგვი შუბები აძგერეს,  
 ახალ-ახალი, ფერად-ფერადი შუბები ჩაასვეს ხარს კისერსა, ზურგსა და ფერ-  
 დებში. ზოგს გასაშმაგებლად საფოიერვერკო შუშხუნები ჰქონდა დატანებუ-  
 ლი და შუშხუნები ტყაცა-ტყუცითა და შიშინით იწვოდნენ ხარის  
 ტყავზე. მაყურებლის გამალიზიანებელი ის ჰკვიანური რეაქცია შეურაცხყო-  
 ფისაგან ელვისებურად გადაიქცა ბრმა მძვინვარებად, რაც სიკვდილთან თა-  
 მაშში ჩაბმულ ღონიერ პირუტყვს უფრო შეეფერებოდა. იგი ისევ ჩაება



თამაშში და ეტყობა, ღალატს აღარც აპირებდა. ერთი ცხენი თავის მხედ-  
რიანად უკვე ქვიშაში გორავდა. ერთმა კაპეადორმა. ეტყობა, ყურადღები  
მოადუნა. რადგან ხარმა იმწამსვე წამოიგო ღონიერ რქებზე და მიწაზე მძი-  
მედ მოისროლა. გამხეცვებული ცხოველი წითელი ფერისადმი თანდაყოლილი  
ზიზღის წყალობით მოაცილეს უძრავად დაგდებულ სხეულს. მისი ას-  
წიეს და ტაშის გრიალში გაიტანეს არენიდან, ოღონდ მგინბაჟი მისი მიივხე-  
დი, ის ტაში დაშვეებულს ეკუთვნოდა. თუ მორკინალ ხარს, ალბათ ორივეს,  
მარია და კრუსიც გამალებით უკრავდა ტაშს, შიგადაშიგ კი პირჯვარს იწერ-  
და და თვის მშობლიურ ენაზე რაღაცას ჩურჩულებდა. ალბათ დაშვეებულის  
გადარჩენისთვის თუ ლოცულობდა.

პროფესორმა ბრძანა, კაპეადორს რამდენიმე ნეკნი ჩაემტვრეოდა და  
ტვინის შერყევაც ექნებოდა. აი, ეს არის რიბეირო, ნახეთ, რა ლამაზი ბი-  
ჭიაო. წამოიძახა მერე, როცა მებრძოლთა ჯგუფს ერთი ესპადა გამოეყო.  
რომლის პოპულარობას მოწმობდა მაცურებელთა ერთსულოვანი ამოხერა  
და მისასაღებელი შეძახილები. ამ დროს დანარჩენებმა უკან დაიხიეს და  
რიბეირო გამძვინვარებული ხარის პირისპირ მარტო დარჩა მანეჟზე. რიბეირო  
ჯერ კიდევ პროცესიის მსვლელობისას მომხვდა თვალში, ჩემს თვალს ხომ  
სილამაზე და ელეგანტურობა არ გამოეპარებოდა და ჩვეულებრივისგან იმწამსვე  
გამოარჩევდა ხოლმე. ეს თვრამეტ-ცხრამეტა წლის ყმაწვილი მართლაც  
მშვენიერი გახლდათ. წარბებზე ჩამოფხატული სწორი შავი თმის ქვეშ ფა-  
ქიზად გამოკვეთილი ესპანური ტიპის სახე მოუჩანდა. ტუჩებზე ძლივს შე-  
სამჩნევი ღიმილი ეფინა. რაიც ან ტაშმა მოჰკვარა, ან იქნებ სიკვდილის  
ზიზღმა და საკუთარი ძალის შეგრძნებამ, აი წეროდა. შავ თვალებში კი  
სიმშვიდე და სერიოზულობა ეხატებოდა. საბეჭურებიანი ამოქარგული მოკ-  
ლე ქურთუკი ძალიან შეენოდა. ეხ, ასეთივე, მაჯებში მოვიწროებული ქურ-  
თუკი რამდენჯერ ჩაუცმევია ჩემთვის ნათლია შინელპრისტერს და რიბეი-  
როსი არ იყოს, მეც ძალიან მომხდენია, ისიც შეენიშნე, რიბეიროს თხელი,  
ზედმდწევნით არისტოკრატიული ხელები რომ ჰქონდა. ცალ ხელში შიშვე-  
ლი დამასკური დაშნა ხელჯოხივით ეჭირა. მეორე კი წითელი მოსასხამისთ-  
ვის მოეგლო, რომ არ აფრიალებოდა, სხვათა შორის, როცა კარვად აჩუგნულ  
და სისხლით მორწყულ წრეს მიუახლოვდა, დაშნა მიწაზე დააგდო და  
მოსასხამის კალთა ხარს ოდნავ აუფრიალა, რომელიც მოშორებით იდგა და  
ტანიდან შუბების ჩამობერტყვას ლამობდა. შემდეგ რიბეირო ადგილზე გაქ-  
ვავდა და კვლავ ძლივს შესამჩნევი ღიმილითა და სერიოზული თვალებით  
შეაქქერდა მისკენ დაძრულ მრისხანე წამებულს. საკუთარი თავი მინდორში  
მეხის დასახვედრად ეულად მდგარ ხესავით შესთავაზა ერთადერთ სამიზნედ.  
ასე გაქვავებულივით იდგა დიდხანს, ძალიან დიდხანს; იგი კარვად უნდა  
გცნობოდა, რომ არ შეგშინებოდა, თვალის ერთი დახამხამებაც და მიწაზე  
უგდება განგმირული, მუცელგამოფატრული და გათელილიო. ამის სანაცვლოდ  
მობდა რაღაც უაღრესად გრაციოზული, ფაქიზად გათელილი, მშვენიერე-  
ბამდე ამალღებულა. რქებმა გაკენწლეს იგი, ზედ შეირჩინეს ქობაზე შემოე-  
ღებული ბუზმენტი და იმავე წამში ბელის ერთადერთი მსუბუქი მოძრაობით  
ოდნავ აფრიალდა მოსასხამი, ანუ კაბა და მრისხანე რქები იქით მიიშართა.  
სადაც რიბეირო უკვე აღარ იდგა, წელში ერთი გაზნეჭა კმაროდა, რომ იგი  
ურჩხულს მეორე მხარეს მოჰქცეოდა და აი, ადამიანის ფიგურას მკლავი  
შავი ზურგის გასწვრივ დარჩა გაწვართული, იქვე აფრიალებულ კაბას კი



ხარი რქებით ერკინებოდა და ერთმანეთთან შერწყმულმა ამ ჩგუფმა აღაფ-  
 რთოვანა მაყურებელი. ხალხი ყოყინით წამოიჭრა უფებზე და რიბეიროსა და  
 ტოროს ძახილს მკუხარე ტაში შეუერთა. მეც შემოვკარი ტაში და  
 გვერდით მჭდარმა მკერდაზეირთებულმა ჯიშინმა დედოფალმაც. თვალს მხოვეს/  
 ვაცილებდი ადამიანისა და ცხოველის მხატვრულ კომპოზიციას, რომელიც  
 სწრაფად იშლებოდა. მაგრამ თვალი მისკენაც გაძირბოდა. რადგან ლამის ყველა  
 ქვეში და სტიქიური ქალის პიროვნება ჩემს არსებაში სულ უფრო და უფრო  
 განუყოფლად ერწყმოდა იქ. ქვევით წარმოდგენილ სისხლის თამაშს.

რიბეირომ ტოროსთან დუეტში კიდევ არა ერთი და ორი ბრწყინვალე  
 ილეთი გვიჩვენა და მშვენიერად მივხვდი, რომ ამ თამაშში მთავარი იყო საფ-  
 რთხის წინაშე საცეკვაო პოზების მიღება და საერთოდ მოხდენილობისა და  
 ძალის პლასტიკურ სურათად შერწყმა. ერთხელ, როცა უკვე მისუსტებულმა  
 ხარმა ამაო პრისხანებით თავი მოაბეზრა მაყურებელს და მოწინააღმდეგისაგან  
 ზურგშეკეცილი უაზროდ ჩააცქერდა მიწას. თავის მხრივ, მისმა პარტნიორ-  
 მაც შეაქცია მას ზურგი. ქვიშაში ჩაიჩოქა. მოხდენილად წამოიშართა, მკლა-  
 ვები აღმართა, თავი ჩაღუნა, მოსასხამი უკან გადაიგდო და ასე, მოსასხამის  
 თრევით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი. ეს საკმაოდ მამაცური ექსტი გახლდათ.  
 მაგრამ, ეტყობა, დარწმუნებული იყო, რომ ის რქიანი პირუტყვი სულ ცოტა,  
 ერთ წუთს მაინც ვერ გამოფხიზლდებოდა. ერთხელ, ხარი უკან რომ მოსდევ-  
 და, რიბეირომ წაიფორთხილა, მაგრამ ცალი ხელის დაბჯენა მოასწრო, მეორე  
 ხელში აფრიალებული მოსასხამით კი ხარი გვერდზე გაიტყუა. კვლავ ფებზე  
 წამოხტა და მეორე წამში პირუტყვს ზურგზე მსუბუქად გადაეველო. ისევ  
 იჭუნა ტაშმა, მაგრამ რიბეიროს მადლობა არც ამჯერად უთქვამს, ეტყობა,  
 ტაშს ტოროსაც მიათვლიდა და ამ უკანასკნელს ზომ არაფერი გაეგებოდა  
 არც პატივისა და არც მადლიერებისა. მე ლამის მეშინოდა, ესპადას უზერ-  
 ხულობის გრძნობა, არ აწუხებდეს. აქამდე იალაღზე პატივით გარემოსილ სამს-  
 ხვერპლო პირუტყვს ახლა ასე აგდებულად რომ ექცევიან-მეთქი. მაგრამ მალე  
 მივხვდი, რომ მთელ გემოს ხალხური ტრადიცია სისხლისადმი ამ რიდსა და  
 მოწიწებაში ატახდა.

რიბეირომ თამაშს მორჩა. ქვიშაზე დაგდებულ დაშნასთან მიიჩბინა, ცალ  
 მუხლზე ჩაიჩოქა, მოპატივების ნიშნად მოსასხამი წინ გაიფინა და სერიო-  
 ზული მზერა საბრძოლველად შემართულ. მაგრამ მისკენ უკვე ძალაგამოც-  
 ლილი ნახტომებით დაძრულ ხარს მიაპყრო. ანლოს, სულ აბლოს მოუშვა  
 ხარი, ზუსტად ვათვლილ წამს დაშნა ხელში აიტაცა და პრიალა ფოლადი  
 კისერში ვადის ნახევრამდე ჩაასო. ხარი მოეშვა, მძიმედ გადაგორდა. რქები  
 ერთი წამით ისე ჩაასო ქვიშაში, თითქოს კვლავ წითელ მოსასხამს ჯუჯგნისო.  
 შემდეგ გვერდზე გადავარდა და თვალები გაეყინა.

ასეთი სიკვდილი მართლაც მოხდენილი და მშვენიერი იყო. დღესაც  
 თვალწინ მიდგას რიბეირო, როგორ უჭირავს ილლიის ქვეშ მოსასხამი, ოდ-  
 ნავ ცერებზე წამოწეულა, თითქოს უჩუმრად უნდა განერიდოს იქაურობასო  
 და ერთხელ კიდევ მოუხედავს უძრავად მდებარე, ლამარცხებულ შეტო-  
 ქეს, მაყურებელი, როგორც ერთი კაცი. ჯერ კიდევ იმ ხანმოკლე შეტაკები-  
 სას წამოიჭრა ფებზე და ტაშით მიესალმა სასიკვდილო თამაშის მეორე გმირს.  
 რომელსაც გაქცევის იმ ერთი კდის შემდეგ თავი აღარ შეუტყუებენია. ტაშ-  
 მანამდე არ ჩამცხრალა. სანამ ხარი ჯორებშებმული ფორნით არ გაიტანეს.







მსხვერპლთშეწირვასა და გუშინდელ სისხლიან დღესასწაულს შორის. მე  
თვალი დიასახლისის მკერდისკენ გამეყევა. იქნებ კვლავ უღელავს-თქო.

კავა მივირთვი. მერე მანდილოსნებს დავემშვიდობე და ვთხოვე, მებრძო-  
მეცით წასულის წინ ერთხელ კიდევ გინახულოთ-მეთქი. მამაკაცები  
უმში აპირებდნენ მიბრუნებას. მეც მათთან ერთად საბაგირო  
ქვემოთ, იქ დავემშვიდობე. ათასი ბაღლობა გადავუხადე და იმდენად  
რომ ღვთის წყალობით მომავალში ისევ შევხვდებოდი ერთმანეთს. მერე  
ვითომ „საფი პალასისაკენ“ გავემართე. რამდენიმე ნაბიჯი მართლა გადავდ-  
გი. ფრთხილად მივიხედე მოვიხედე და მომდევნო ვაგონეტით კვლავ ზევით-  
კენ გავსწიე.

ვიცოდი, რომ ბაღის ქიშკარი ღია დამხვდებოდა. ამინდი დილიდანვე  
გამოკეთდა და უკვე შემოდგომის მზით იყო გამთბარი. დონა მარია პიას  
ამ დროს სიესტას საათი ჰქონდა. ზუზუ ბაღის იმ კუთხეში მეგულებოდა.  
საითყენაც სახლის გასწვრივ დატოვებული ხრეშმოყრილი ბილიკი მიემართე-  
ბოდა. კორდზე გეორგინები და ასტრები ჰყვავდა. სიღრმეში, ხელმარჯვნივ,  
ოლენდრის ბუჩქნარი ნახევარწრედ შემორტყმოდა ჩემთვის უკვე ნაცნობ  
ძელსკამს. საყვარელი არსება ჩრდილში მიმჯდარიყო, ეცვა თითქმის ისეთი-  
ვე კაბა. პირველად რომ ვნახე მის ტანზე, როგორც უყვარდა, ისეთი სრული,  
ლურჯოლებიანი, იმავე ქსოვილის ფართო ქაშრით შემოკრეფილი და ნახევ-  
რად გრძელ საბელოებზე მაქმანშემოვლებული. იგი წიგნს კითხულობდა და  
მანამდე არ აუწევია თავი. სანამ წინ არ დავუდექი, თუმცა არ შეიძლებოდა  
ჩემი ფრთხილი ნაბიჯების ხმა არ გაეგონა. გული ამიჩქროლდა.

— ოჰო? — წამოიძახა მან. ტუჩები ღია დარჩა და მისი ტუჩებიც და  
მშვენიერი სპილოსძვლისფერი პირისკანიც ჩვეულებრივზე ფერმკრთალი მეჩ-  
ვენა. — ჯერ არ წასულხართ?

— ისევ მოვედი. ზუზუ. უკვე ქვემოთ ვიყავი. მაგრამ ჩემად დავბრუნდი,  
რომ ჩემი დანაპირები შემესრულებინა.

— საქებარი საქციელია! — თქვა მან. — ბატონ მარკიზს გაახსენდა თა-  
ვისი დანაპირები. ოღონდ მეტისმეტად არ აჩქარებულა. ეს მერბი ნელ-ნელა  
ლამის მოსაცდელ მერხად გადაიქცა... — ზედმეტი წამოსცდა მას და სასწრა-  
ფოდ ტუჩზე იკბინა.

— რამ გაფიქრებინათ. რომ იმ თვალწარმტაც გაღერვაში დაღებულ  
აღთქმას არ ვუერთგულებდი! — უმაღ მივუგე მე. — შეიძლება გვერდზე  
მოგიჯდეთ? ამ ბუჩქნარში მიმალული სკამი გაცილებით მოხერხებული და  
მყუდრო ყოფილა. ვიდრე ისინი, ჩოგბურთის კორტებზე რომ დგას. ვში-  
შობ, ისევ არ ავიღო ხელი თამაშზე და თამაშს არ გადავეჩვიო...

— რატომ, რატომ, მაიურ-ნოვაროებს უეჭველად ექნებათ ჩოგბურთის  
კორტი.

— იქნებ ჰქონდეთ კიდევ. მაგრამ ის იგივე აღარ იქნება. ლისაბონთან  
გამომშვიდობება მიჭირს. ზუზუ. იქ, ქვევით, თქვენს პატივცემულ მამიკოს  
უკვე დავემშვიდობე. რა გულში ჩამწვდომად მესაუბრა ამასწინ კაცობრიო-  
ბის ღვთისმოსავ წეს-ჩვეულებებზე! გუშინდელმა კორიდამ ხომ, მეტი რომ  
არა ვთქვა, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

— მე თითქმის არ მიყურებია. მაგრამ თქვენი სურათლებაც გაყოფილი



მეჩვენა. როგორც მეტწილად გჩვევიანთ ხალხზე კარგა საქმეზე გადავიდეთ  
აბა სადაა ჩემი Dessins!

— აქა საქვს. — შივეუა მე — თქვენ თვითონ მიიწოდებთ... უნდა  
გამიგოთ, რომ ეს ჩემი რცნების ნაყოფია, ასე ვთქვათ გიჟი, რომელიც  
უნებურად შექმნილი...



მან რაძღენიძე ფურცელი გამომართვა და ზედა მხარეს დაკვირდა. ეს  
იყო ზაზას სხეული, სიყვარულით დახატული სხვადასხვა პირობებში. ბრტყელი  
საყურეები ზუზუსას მიუგავდა. კავეები ხომ მით უმეტეს ზუზუსი პქონდა.  
სახეებში მსგავსება მცირე იყო. მაგრამ სახეს ვინ დაეძებდა!

მე დონა მარია პიასაივით წელგამართული ვიჯექი. ყველაფერს შეგუებუ-  
ლი. ყველაფერზე თანახმა და ყველაფერი წინასწარ მალეღვებდა. რაც არ  
უნდა მომხდარიყო. ზუზუს თავის საკუთარი საამტარი სიშიშველის დანახვაზე  
წითელმა ფერმა გადაუარა სახეზე. ფეხზე წამოხტა. ნახატები ჯერ გადაფხ-  
რიწა. მერე ნაკუწებად აქცია და აფარფატიებული ნაკუწები ჩიავს ვაატახა.  
სხვას არც არაფერს მოველოდი. მაგრამ რაც შემდეგ მოხდა და მაინც მოხ-  
და. საოცარი ის იყო: იგი ერთი წუთით, სასოწარკვეთილი თვალმოუშორებ-  
ლივ დასცქეროდა მიწაზე მიმოფანტულ ნაკუწებს. მეორე წუთში თვალები  
აუწყლიანდა. კვლავ სკამზე დაეშვა. მკლავები კისერზე შემომმაქრო და ავარ-  
ვარებული სახე ჩემს მკერდში ჩაძალა. იგი ხშირ-ხშირად უხმოდ სუნთქავდა.  
მაგრამ გულისნადებს უსიტყვოდ მამცნობდა. თან, რამაც ყველაზე მეტად  
ამიჩუყა გული, თავის პატარა მუშტს მხარზე რიტმულად მიბაგუნებდა. მე  
ჩემს ყელზე შემოჭდობილ შიშველ მკლავზე ვაკოცე. მერე ბაგე ჩემსკენ  
შემოვაბრუნე და ტუჩები დაუფოცნე. ზუსტად ისე როგორც მოცნებია.  
მინატრია, მიზნად დამისახავს მას შემდეგ. რაც იგი, ჩემი ზაზა, პირველად  
ვიხილე როჩოს მოედანზე: ვისმა თვალმაც არ უნდა წაიკითხოს ეს სტრიქონე-  
ბი, განა შეიძლება იმ ტყბილი წამების გამო ჩემი არ შეშურდეს? ანდა ზუ-  
ზუსი კი არ შეშურდება. რომელიც, მართალია, პატარა მუშტებს მიბაგუ-  
ნებდა, მაგრამ სიყვარულის განცდას იყო ნაზიარებო? მაინც რა უკუღმა შე-  
მობრუნდა ბედის ბორბალი! მაინც როგორ ჩაგვმწარდა ბედნიერება!

ზუზუმ უეცრად თავი უკან გადაიგდო და მკლავებიდან დამისხლტა.  
ბუჩქნარის და სკამის წინ, ანუ ჩვენს წინ დედამისი იდგა.

უსიტყვოდ, თითქოს წუთის წინ შეწებებულ ტუჩებზე ელვამ დაგვკარო,  
ისე შევყურებდით დიდებულ ქალბატონს, მის ფართო, სამხრეთულ, ფერმკრ-  
თალ სახეს, მის მკაცრად მოკუმულ ტუჩებს, ათროლოებულ ნესტოებს, შეკ-  
რულ წარბებსა და იქვე მოქანავე გიშრის საყურეებს უფრო სწორად, მას  
მხოლოდ მე შევეცქეროდი. ზუზუს ნიკაბი მკერდზე დაებჯინა და თავის პატარა  
მუშტს ახლა სკამზე აბაგუნებდა. მე კი, მერწმუნეთ, იმაზე ნაკლებად ვიყავი  
შეშფოთებული, ვიდრე შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა. იგი, მართალია, მოუ-  
ლოდნელად წამომადგა თავს, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მოხმობილივით  
სულზე მომისწრო და ჩემს ბუნებრივ დაბნეულობას სიხარული შემოეკრა.

— მადაძ, — ოფიციალურად მივმართე ქალბატონს და ფეხზე წამოვე-  
დექი. — ძალიან ვწუხვარ, დასვენება რომ ჩაგამწარეთ, ოღონდ მერწმუნეთ,  
რაც აქ მოხდა, უნებლიედ მოხდა და წესიერების ფარგლებს არ გადასცდენია...

— გაჩუბდიო! — მიბრძანა ქალბატონმა თავის მშვენიერი, ოდნავ ჩაბრინ-  
წული, სონორული ხმით და ზუზუს მიუბრუნდა: — სუზანა, ახლაცე წადი

1 სურათები (ფურცლები)



შენს ოთახში და იქიდან ფეხი არ მოიცივალო, სახამ არ დაგიძახებენ. — შემდეგ მე მომშარათა: — მარკიზო, თქვენთან სალაპარაკო მაქვს, წამომყევით! ზუზუმ გაზონზე გადაირბინა და მიიშალა, ეტყობა, სენიოლომას კაზონზე გადმოიარა და მან ჩააბშო მისი ფეხის ხმა, აბლა კი იგი იმეორეობდა ბილიეს დაადგა და მეც, რაკი ნაბრძანები ჰქონდა, წამომყევით, წყნად, მაყვრად, მორჩილად მივყვებოდი უკან, ასე შევედი სალამის ოთახში ერთი კარი სასადილო ოთახში გადიოდა, ხოლო მეორე, ოდნავ შეღებულ კარს იქით, ეტყობა, უფრო ინტიმური კუთხე უნდა ყოფილიყო: მკაცრი ქალბატონის ხელმა მიხურა ის კარი.

მე თვალი გავუხსწორე, იმ წუთებში დონა მარია პიას ლამაზი კი არა უმშვენიერესი ეთქმოდა.

— ოლე, — მითბრა მან, — წესით, პირველ რიგში უნდა მეკითხა, ნუთუ ასე უნდა დაგეფასებინათ ჩვენი პორტუგალიური სტუმართმოყვარეობა-მეთქი? გაჩუმდით! არც მე გისვამთ ამ შეკითხვას და პასუხს არც თქვენგან მოველი, იმიტვის არ წამომიყვანიხართ, თქვენგან სულელური ბოდიშები მოვისმინო, ამაოდ შეეცდებოდით, რითიმე გაგემართლებინათ თქვენი სულელური საქციელი, თქვენს უგუნურებას ვერაფერი შეედრება, ამიერიდან ისლა დაგრჩენიათ და ისლა შეგეფერებათ, გაჩუმდეთ და უფრო მოწიფულ ადამიანს მიანდოთ თქვენი საქმის გაძლოლა, იქნებ მან სწორ გზაზე დაგაყენოთ, იქნებ მოგაბრუნოთ ბავშვური უბასუხისმგებლობით აღბეჭდილი გზიდან, თქვენი ახალგაზრდობის გამო რომ დადგომიხართ, ასეთ მიუტევებელ, ბავშვურ სისულელეებთან და უწესობასთან მივყავართ ახალგაზრდობის შემხანაგებას ახალგაზრდობასთან, მაინც რას ფიქრობთ? რა გინდათ ამ ბავშვისაგან? თქვენ მადლიერება დაივიწყეთ და უგუნურება და აბნეულობა შეიტანეთ იმ სახლში, რომელმაც თქვენი ჩამომავლობისა და სხვა კეთილი თვისებების ბათრით სტუმართმოყვარულად გაგილოთ კარი და ვერ შეამჩნიეთ, რომ იქ წესრიგი და გონიერება მეფობდა და მტკიცე გეგმები იყო დასახული, სუზანა ადრე თუ გვიან, უფრო სწორად, სულ მალე, დონ მიგუელის, დონ ანტონიო ხოზეს ლირსეული ასისტენტის მეუღლე გახდება, ასეთია მამამისის გარდუვალი ნება-სურვილი, თქვენ თვითონ იანგარიშეთ, რა უგუნურება გამოიჩინეთ, თქვენი სასიყვარულო ზრახვები და ჭირვეულობა რომ ვერ მოთოკეთ და შეეცადეთ ამ ბავშვისათვის თავგზა აგებინათ, ასეთი არჩევანი და საქციელი მამაკაცს არ შეეფერება, ასე მხოლოდ ბავშვი თუ მოიქცევა, კიდევ კარგი, დროზე მოგისწროთ მოწიფული ადამიანის გონიერება, თქვენ ერთხელ საუბარში მოწიფულობის სიკეთე აღნიშნეთ, რა კეთილად მოიხსენიებს იგი ახალგაზრდობასო, მოწიფულობასთან სეპედნიერ შეხვედრას მამაკაცური სიმაძავე სჭირდება, ახალგაზრდობას მამაკაცური სიმაძავე რომ გამოეჩინა და ბავშვებში არ დაეწყო ნუგეშის ძებნა, წყალგადასხმული პუდელივით არ ამოიძუებდა კუდს და შორეულ გზას დაურწყულეგელი არ გაუყვებოდა...

— მარია! — შევძახე მე და:

— ოლე! პე-პო! აჰა! — აღტყინებული შეძახილებით გამომეზმაურა იგი, პირველყოფილი ძალით აღსავსე ქარბორბალამ მალე ნეტარების მორევში გადამჩენა და ვხედავდი, ჩემს მხურვალე ალერსზე რა მალლა იზვირთა მეფური მკერდი, უფრო მალლა, ვიდრე იბერიული სისხლიანი თამაშისას იზვირთებოდა.





თარგმნა აკაკი ბალოჩაძე

## გუსტავ შვაბი

### ციხის შენება

„იწყე, ოსტატო, ციხის შენება!  
მყარი საშენი აილე ხელთა!  
დე, ნუ ექნება ქვეყნის მშვენება —  
მსურს იყოს ქვეყნის რისხვა და ელდა!

სავაჭრო გზაზე, ბორცვი კლდოვანი  
რომ დგას ფარულად, დარაჯის  
მსგავსად.

სად ტყეა ბნელი და ბუჩქოვანი,  
მუქი ნაკადი რომ უვლის გარსა, —

იქ შეეჯებოს უცხოელს მუდამ.  
როგორც აჩრდილი, და თუ დაიჭერს,  
ნულარ გაუშვებს ნურავის უკან,  
ვინც მიადგება ციხის კარიბჭეს!

ვიწრო სამზირო ცბიერი, ფრთხილი  
ველს უთვალთვალებს, დარაჯად  
მდგარი.

წყლით აივსება გარშემო თხრილი,  
ხილი ექნება ვიწრო და კარი.

გიბრძანებ სქელი კედლის შენებას,  
სარდაფთა წყებით, მაღალი ბურჯით,  
ვერვინ შელაზოს, ვერვინ შეეებას,  
იდგეს ქვეყნის და დრო-ჟამის ურჩი.

ვამო-ცხენთა უცხო ქარავანს,  
ღია დახედება სამარის კარი!  
ვამო მხვენელ-მთესველს, ვინც ამ  
გალავანს  
გაუსწორდება უღელი ხარით!

ვამო მახლობელ ტყესა და ნადირს!  
აღარ ექნება რისხვას საზღვარი...  
თქვი, ამისრულებ, ოსტატო, წადილს?  
გსურს ამიშენო სახლი საზარი?”

კმუნვით უსმინა ოსტატმა ბატონს:  
„კარგი, — ჩაიკლა გულში ნადველი, —  
მე თქვენ გიჩვენებთ... მითხარით  
მაოტო.

თუ რა ექნება ციხეს სახელი“.

რაინდმა კუშტი სიცილით ხელი  
აღმართა, მძიმე და სისხლიანი:  
„სახლი საზარი და სისხლის მღვრელი  
იყოს შადბურგი — ციხე ზიანის“.

ესმა ბერიკაცს სიტყვა და რისხვით  
ასე შესძახა: „ღმერთმა გვარიდოს!“  
ოსტატს თვალეში მოაწვა სისხლი,  
ლამის მარჯვენაც ცეცხლად აინთოს.

იძრო ნაჯახი, აღმართა, დაჰკრა,  
გაუბო ზუჩი, თაჟი და მკერდი:  
„საძირველის ქვა ხომ ჩამიდგამს  
მაგრად!“  
მამ ძარცვე, ხოცე, რა გინდა მეტი?”

რაც მოაშორეს ის სისხლის მღვრელი  
შვეიცარიის კურობეულ მხარეს,  
ასე არიდებს მამაცთა ხელი  
ხალხს ყველა ქირსა და სიმწუხარეს.



ლუდვიგ ულანი

ბრმა მეფე



ქართული

რად დგას ჩრდილოელ მებრძოლთა  
ჭარი  
ქარაფზე?.. დაბლა ზვირთები ჩქეფენ,  
რად დაღვრემილა უფსკრულთან  
მდგარი

თვალდაშრეტილი მოხუცი მეფე?  
გასძახის შორეთს დამწვარი გულით,  
კვერთაზე დანდობილს თანგავს  
სახმილი.

გაპქუხს სრუტეზე გამწარებული:  
და კუნძულს არყევს გამოძახილი:

„ო, დამიბრუნე, ყაჩაღო, ქალი,  
გადამალული კლდეთა უბეში;  
მისი სიმღერა, ხმატკბილი ქნარი  
ჩემი სიბერის იყო ნუგეში.  
მწვანე ნაპირზე ცეკვავდა, ოდეს  
შენ გაიტაცე ჩემი ასული,  
სირცხვილი შენი! მშობელა გოდებს —  
ჟამმა მომხარა სვედანავსული“.

ეს ტლანქ ყაჩაღს მეფის ძახილი,  
ადგა, გააღო ბუნაგის ქარი,  
აღმართა ჰუნთა მძიმე მახვილი,  
შეაზრიალა მოხუცის ფარი:  
„გყავსო რამდენი მებრძოლი ძველი,  
და რატომ ხელსაც არავენ გიწვდის?  
შენს ასულს ჰყავდა რამდენი მცველი —  
რომელს ენება შემებას მისთვის?“

დგანან და დუმან, ზვირთები ჩქეფენ,  
უძრავი წყობა დანისლულია, —  
შემოუბრუნდა მოხუცი მეფე,  
თქვა: ნუთუ მარტო დავრჩი სრულიად?  
შვილმა შეახო მარჯვენა მაშინ,  
შეენოდა ჰაბუკს რიდი და კრძალვა:  
„ნება მომეცი, მე გავყვე ხმალში,  
მაქვს საამისოდ საკმაო ძალა“.

„ო, შვილო, მტერი, განთქმული  
რისხვით,  
უძლეველია, მძიმე, მტანჯველი,  
მაგრამ შენც გიდულს მეფური სისხლი,

ვიგრძენი ძალა შენი მარჯვენა  
აგერ მახვილი, ჩვენი დიდება,  
ნაჩუქარია ძველი სკალდების,  
და თუ დაეცი, შთანთქან ზვირთებმა  
მოხუცი მამის ძოწის კალთებიც!“

ჩუ! ზღვა გუგუნებს, ტალღები  
ჩქეფენ.

შურისძიების ისმის ხმაური!  
დგას, უხმოდ უსმენს მოხუცი მეფე  
და დუმილს არღვევს მხოლოდ ზღვაური.  
ისმის ფართა და ხმალთა ზრიალი,  
მძიმედ ეშვება მალლით მახვილი,  
არის ძახილი, ბრძოლის რიალი,  
შორს იკარგება გამოძახილი.

ღელავს მოხუცი, ამბობს ხალისით:  
„იქ რასა ხედავთ? მითხარით ჩქარა!  
ხმა შევიცანი ჩემი ხმალისა.  
მძაფრი ნაკრავი ნუგეშად კმარა! —  
„ვხედავ, დაეცა კუშტი ყაჩაღი! —  
ერგო ზღვევა და სიკვდილის ელდა,  
ხარ დიდებული მეფის ნასახი,  
გმირო ჰაბუკო, დიდება შენდა!“

და ჩამოვარდა დუმილი ისევ,  
სმენად ქცეულა მოხუცი მეფე.  
ამბობს: „ნიჩაბთა ხმა მესმა მყისვე,  
ვილაც მოცურავს, ზვირთები ჩქეფენ“.  
„გვიახლოვდება შენი ფარ-ხმალი,  
შენი ვაჟია აბჯარასხმული!  
ახლავს უებრო, ქერა, მაღალი  
გუნილდი, შენი ტურფა ასული“.

„მშვიდობა თქვენდა! — მაღალი  
ქვიდან

ამბობს მოხუცი, იმედის მჩენი, —  
დატკბა სიბერე, წელში რომ მხრიდა,  
განსპეტაკდება სამარე ჩემი,  
შვილო, სიცოცხლე რომ დავასრულო,  
დამადე ხმალი, ასე რომ გშვენის,  
შენ კი, დაბსნილო ჩემო ასულო,  
მიმღერე გლოვის სიმღერა შენი!“



ვინჩესტერის ნადირობა

ვილქელმ მეფემ ნახა მძიმე სიზმარი.  
წამოვარდა, აპყვა ფიქრი მკისე.  
ვინჩესტერის ტყეში ბრძანა ნადირობა,  
ბატონები წამოშალა მყისვე.

რომ მივიდნენ ვინჩესტერის ტყეში,  
ამოიღო მეფემ ისრის დასტა,  
სათითაოდ აძლევს ისარს ყველას.  
ვისაც უნდა ნადირობა მასთან.

რომ მივიდა მეფე მუხის ხესთან,  
აქ ირემი გამოვარდა მძლავრი,  
და მოზიდა მეფემ სწრაფად მშვილდი,  
მაგრამ გაწყდა მარცხად მშვილდის  
ლარი.

ბატონ ტიტანს ეხერხება უკეთ,  
ზუსტად ხედავს მეფის გულის ფიცარს.  
მარჯვე სროლა ეხერხება ტიტანს,  
იღებს მეფის მიწოდებულ ისარს.

მეფე ევლებს, ტიტანს მარცხის,  
ვერ აჩერებს ზღვა და მძლიერ კვლევსა.  
ღვენილ ნადირს მარცხენა მკაცრად  
და სიმშვიდეს ვეზამს მკაცრად.

დადის ჰენრიმ მეფისწული ტყეში,  
მრავალ შველსა და ყურსკვიტას  
ხედავს.

„შევხვდებოდე კეთილშობილ ნადირს —  
მეფის ისრით აღჭურვილსა მხედარს!“

მართლაც ხედავს კეთილშობილ  
მხედრებს —

ეს ლორდები ეხვევიან ირგვლივ.  
აუწყებენ ვილქელმ მეფის სიკვდილს,  
მოწიწებით მოართმევენ გვირგვინს.

„სამწუხარო ნადირობა გერგოთ!  
გაქვთ ნადავლი უმადლესი რიგის —  
თქვენ მოგიკლავთ, დიდო ბატონებო,  
კეთილშობილ ლომთა ჯიშის ჯიქი!“

მომღერლის წყევლა

იყო ძველად ერთი ციხე. მადლი და ზვიადი,  
ლურჯი ზღვის და მწვანე მზარის სახილველი დიადი,  
ბალ-ვენააი ყვავილობდა ირგვლივ ათასფერადა,  
ჩუბჩუბებდნენ შადრევნები, წყარო მალხარს სერავდა.

იჭდა მეფე, მიწითა და გამარჯვებით მდიდარი,  
ზვიადი და მოჭეფრული, მკაცრი, გაუცინარი.  
მისი ფიქრი ელდა იყო. მისი მზერა — ბალღამი,  
მისი სიტყვა — შათრახა და სისხლი — მისი ნათქვამი.

ერთხელ ორი მომღერალი ამ ციხესთან დამდგარა:  
ერთი ქერა ჯახუკა და მეორე კი ჯალარა,  
მოხუცს ეპყრა ხელში ქნარი, ცხენზე აჯდა ხნიერი,  
მოყმე ფეხით მოყვებოდა, გახაფიულის იერით.



მარმარილოს სვეტზე ამსხვრევს მომღერალი თავის  
მერე მძიმე სიტყვით არყევს ციხეს, ბალსაც, მას რომ



„ვამ თქვენდა, დარბაზებო! ამ ბჭეს კარი ჩარაზოდეს!  
სიმღერა და სიმთა ეღერა არ მსმენოდეს არასოდეს!  
ძრწოდეს ციხე, მონურ შიშით მოცული და დანისლული,  
ვიღრე აქცევს მტვრად და ფერფლად შურისგების  
მკაცრი სული!

ვამ თქვენდა, ბაღნარებო, გაშლილებო სამაისოდ!  
ნახოთ ჩემი ცხედრის სახე — ვერ აყვავდეს საგაისოდ!  
დაქენეთ, გახმეთ, გაპარტახდეთ, დაშრეს თქვენი ყველა  
წყარო,  
ნანგრევებში ჩამარხულებს ქვა და მტვერი დაგეფაროთ!

ვამ შენდა, ბილწო მკვლელი! აგყვეს წყველა მგოსანთაო!  
ვერ ეღირსო გვირგვინს, პორფირს, სისხლისმსმელს რომ  
გმოსავედაო,  
დავიწყება გერგოს წილად მარადიულ ღამეშიო,  
როგორც ბოლო ამოსუნთქვა ქრება — სიმწუხარეშიო!“ —

თქვა მოხუცმა და ისმინა ზეცამ მისი ნათქვამიო,  
შეძრა ბჭენი, დააქცია წყველამ ყველა მათგანიო:  
მხოლოდ ერთი სვეტი დარჩა ძეგლად ძველი დიდებისა,  
ისიც მალე დაეცემა მსხვერპლი უამთა დინებისა,

მწირ უდაბნოდ იქცა ბალი, ზურმუხტებში ჩახატული,  
ხე არ არის, ნახო ჩრდილი, არ ჩუხჩუხებს ნაკადული,  
წიგნიც ფარავს მეფის სახელს, დავიწყებას მისცა  
ყველამ,  
დაინთქა და ჩაიძირა! — ასეთია მგოსნის წყველა.

მწყემსი ბიჭის სამთო სიმღერა

მწყემსი ბიჭი ვარ, მთებში შობილი,  
ძირს მოჩანს ყველა ბურჯი ცნობილი,  
ადრე ამოდის მზე, ჩემი შვება,  
ყველაზე მეტხანს ჩემთანა რჩება,  
თავისუფალი მთების შვილი ვარ!

ძუძუ-წყაროა აქ ყველა წყალთა —  
აქ შობს ნაკადებს ბუნების კალთა,  
ვსვამ კლდის გულიდან ანკარა წყალსა,  
ხელით მიჭირავს, ბროლისა მსგავსად —  
თავისუფალი მთების შვილი ვარ!



მთები ხომ ჩემი გიგანტებია!  
 აქ ქარიშხლები იბადებიან.  
 ჩრდილოეთს, სამხრეთს გუგუნით  
 ზარავს.

და მაინც ჩემი სიმღერა ფარავს —  
 თავისუფალი მთების შვილი ვარ!

დაბლა მალლობებს ეცემა მეხი,  
 მაღალ მწვერვალზე მე მიდგას ფეხი:

მე ვიცნობ მეხსა და ჩემი სჯერა:  
 დაინდოს მამის საბლი და კერა!  
 თავისუფალი მთების შვილი ვარ!



მე მომიხმობენ დაფდაფი მკვლევარი  
 და ცეცხლის ენა მოვარდა მთაში.  
 ჩავალ ბარად და შევირტყამ ხმალსა.  
 თან ავაცოლებ სიმღერის ხმასა:  
 — თავისუფალი მთების შვილი ვარ!

## იოსებ ფონ აინანდორფი

### კორფილის ლამე

შუალამეა შრიალებს  
 მდორე ნაკადი რაინის,  
 ნავზე ალამი ფრიალებს,  
 დაბლა დგას ერთი რაინდი.

ფრიალოს ზომავს თვალითა,  
 შიგ ხასდგომია ნალველი,  
 აუწევია თავი და  
 გასდევს წითელი ნახმლევი.

ამბობს: „ციხე ჩანს აქედან.  
 ნისლი რომ ჩამოსწოლია:  
 იქ რომ დგას ღია სარკმელთან,  
 ის ჩემი გულის სწორია.“

მან ერთგულება შემფიცა,  
 მომიხაროდა წარსულთან...  
 გატეხა ფიცი შვეებისა  
 და ყველაფერი დასრულდა“.

მეკორწილენი როკავენ,  
 მორთული ათასფერადა,  
 რაინდს ფიქრებით ბორკავენ,  
 რაინს ჩასცქერის ცერადა.

ხალხი რომ ლხენით ცეკვაავდა,  
 გაქრა მენავეც ნავითა.  
 ქალმა ისურვა შეყრა და  
 ციხიდან ბაღში ჩავიდა.

მეშაითები უკრავდნენ —  
 ფიქრით პანგები შეკონა —  
 ვნებულ გულს ისე უკლავდნენ,  
 გამისკდებაო, ეგონა.

საბედო ბადაგიანი  
 ბნელიდან ესალბუნება, —  
 უძღვნა სალამი გვიანი,  
 გაუხალისა გუნება.

„ლამაზო, რისთვის ღონდები? —  
 ქალს ეუბნება რაინდი, —  
 დაგვციმციმებენ ხომლები,  
 ხალისით მიდის რაინი.“

თავზე გვირგვინი გიხდება,  
 მაშ სიხარულით აივსე!  
 გული რაისად გიკვდება? —  
 ჩავისეირნოთ რაინზე“.

მარჯვედ მიჰყვება ნავზედა,  
 არ უფიქრია წამითაც,  
 კიდეზე ჯდება ნავსადა,  
 და ნავი სწრაფად წავიდა.

ქალმა თქვა: რა ქნას ამ ქარმა!  
 პანგი არ ისმის წყობილად,  
 ფანჯრებში შუქი ჩამქრალა,  
 რა სწრაფი ნავი ყოფილა!




მთებზე რა შუქი აინთო?  
რა მთა დამდგარა სვეტადა?  
შიშმა შემიპყრო, რაინდო,  
თავი მგონია კენტადა!

უცხო კაცები ბრაგებზე  
დგანან, მოსილნი ზღაპრულად,  
სიტყვა შეახმათ ბაგეზე —  
გვიფეხალთვალეებენ მზაკვრულად“.—

სიძე მოუცავს კაეშანს,  
დუმს და შეუკრავს კოპები,  
ლამის ტალღებში ჩაეშვას,  
ჩქერებს მიაპობს ბოფებით.

ქალმა თქვა: „უკვე დგებიან,  
თავს დაგვიარა აისმა,  
ნაპირზე უცხო ხმებია,  
მამლის ყივილიც გაისმა.“

გავხარ მდუმარე აჩრდილებს,  
რა ფერწასული რამა ხარ!  
მე შენი სახე მაშინებს  
შენ ჩემი საქმრო არა ხარ!



წამოდგა ლანდი, ავარდა  
ტყეში ხმაური ქარიშხლის;  
ელდამ თავისი დამართა —  
გული გაუბო ქალიშვილს.

დაიძრა ჟინმორეული,  
რკინის ხელებით აიკრა  
და ქალის თბილი სხეული  
ყინულის მკერდში ჩაიკრა.

ის ლამე მშვიდად გავიდა,  
წითლად გათენდა, ეშველა...  
რაინს მიჰქონდა ნავი და  
შიგ პატარძალი ესვენა.

## ეზილ გინკელი

### სააბერაკი

მოიგონეთ სვაგერაკის მონები! —  
დამბრჩვალეები კუქყითა და სისხლითა;  
გემთან ერთად, ტყვიით განაწონები;  
ზღვა კი, ზღვა კი გადაევლოთ  
რისხვითა,  
მერე რისთვის? ახსნი სალი გონებით?

ზღვის ფსკერზეა გვამი ათი ათასი,  
თეთრი ბაგით უბნობს მთელი ფადასი!\*  
„რისთვის, რისთვის დავიღუპეთ  
ამდენი?  
ცოტანი ვართ, ცოტანი ვართ... ჩამდენი  
იყო მხოლოდ ბატონების თამაში  
ცხრა მთას იქით, სადღაც ბირყის  
დარბაზში —  
დავიღუპეთ ქალათების დავაში!“

\* ფადასი (ძვ. ქართ. სვან.) — ლაშქარი



სკაგერაკზე ქარიშხალი თარეშობს.  
 ტალღებს შოლტავს. სად დგას ყულის  
 ყულის ჩარი სველ საფლავეში  
 ფარეშობს.  
 ყულები გვთხოვენ: გვინდა ჩვარიო!  
 ჩვარს ითხოვენ. მოციქული ზვირთია:  
 გაფრთხილდითო. სამარიდან  
 გვითვლიან —  
 ყულების უბედური ჩარია!



სკაგერაკზე კაფდებიან ტალღები:  
 მონა-ყული ძვრება შავი შლამიდან,  
 ნამუსრევზე გაუშლია თალხები,  
 და გვაშინებს შვილის ბედით შავითა.  
 სკაგერაკზე, სკაგერაკის სრუტეზე  
 ყულები ამოდიან შლამიდან!

სკაგერაკთან, სკაგერაკთან ტიალი  
 ქარიშხალი დანავარდობს რიალით.  
 პური თესეთ! ნუ აშენებთ  
 ნალმოსნებს!  
 მოსპეთ ომი, და ობლები დამოსეთ!  
 მოიგონეთ სკაგერაკის მონები,  
 ნიჩბითა და ტყვიით განაწონები!  
 ნულარ უხმობთ ომის ბოროტ  
 ჩადოსანს!

გაიხსენეთ დაღუპული მონები.  
 სკაგერაკში ჩამხრჩველები სისხლითა —  
 ნამუსრევში ჩაძირულან გოდებით,  
 ზღვა კი თავზე გადაეგლოთ რისხვითა...





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### ძველის სიკვდილი

საკმაოდ სწორკუთხოვნად გადაჭრილ ორ მუხის ძირკვს, მუხალამედ რომ სწვდებოდა არცთუ ისე ტანშალალ კაცს. ორი ბალლი საგონებელში ჩაევდო. მუხებს რომ კრიდნენ, მაშინ კი იქ იყვნენ ბავშვები, მაგრამ იმ ხეების მოცელვა და მათი იქიდან აორთქლება ერთი იყო. ბალებს არც კი უფიქრიათ იქ დარჩენილ ორ ძირკვზე. იქითკენ სულაც არ გაუხედავთ. კარგა ხნის მერეღა ჩამოუვდო სიტყვა ტედმა იმ ძირკვებზე თავის დას. მერის:

— ნუთუ მათაც ისე სდიოდათ სისხლი, როგორც დასტაქრის მიერ მოკვეთილ კაცის ფეხსა სდის?!

ტედს გაგონილი ჰქონდა ომის ამბები. ერთხელ ფერმაში ერთ მუშას ვილაცა კაცი სწვეოდა. მსოფლიო ომგადახდილი უკვალოდ რომ დარჩენილიყო, — ფარდულში იდგა და ამბავს ჰყვებოდა. ამაზე სიტყვა დაძრა თუ არა ტედმა, მერიც ხელად აჰყვა. მას, აბა, სადა ჰქონდა იმის ბედი. ფარდულში ყოფილიყო მაშინ და იმ ცალხელასათვის ესმინა?! ჰოდა, შეშურდა კიდევ ძმისა.

— რატომ კაცის ფეხს და არა ქალისას ან გოგოსას?! — შეეპასუხა იგი; მაგრამ ტედმა მიუგო, ეგ სისულელეაო.

— ქალებსა და გოგოებს ხელ-ფეხს არა ჰკვეთენ. — განაცხადა მან.

— ვითომ რატომ? ერთი გამაგებინე, რატომ! — დაიყინა მერიმ.

უუჰ, რა იქნებოდა, იქ დარჩენილიყვნენ იმ დღეს, ხეები რომ მოკრეს!

— მაშინ ხომ მივიდოდით და იმ ადგილს ხელსაც დავადებდით! — თქვა ტედმა.

ძირკვებსა გულისხმობდა. ნეტავი სითბო თუ შეარჩინეს?! ანდა სისხლი თუ სდიოდათ?! ბოლო-ბოლო კი მივიდნენ და ხელითაც შეეხენ, მაგრამ სუსხიანი დღე იყო და ძირკვებსაც სუსხი შემოჰპარვოდათ. ტედი ისევ იმას იყინებდა. ხელ-ფეხს მარტო კაცებს ჰკვეთენო, მაგრამ მერის უცებ უბედური შემთხვევები მოაგონდა.

— რა სულ ომები გიტრიალებს თავში? ხომ შეიძლება ავტოავარია მოხდეს? — თქვა მან, მაგრამ ტედი მაინც ვერ გადაარწმუნა.

ბავშვები იყვნენ ერთიც და მეორეც, თუმცა რალაცას უცნაური ხნიერების კვალი დაეჩნია ორთავეზე. მერი თოთხმეტისა იყო, ტედი კი — თერთმეტისა. მაგრამ ტედს ჩანმრთელობა შერყეოდა და ეს თითქოს ასაკობრივ ზღვარს შლიდა მათ შორის. ისინი სამხრეთ-დასავლეთ ვირჯინიელი შეძლებული მემამულის ჯონ გრეის შვილები იყვნენ; ის მიდამოები ბლუ-რიჯის! სახელწოდებითაა ცნობილი. გაშლილ ველზე, რომელსაც „ბარაქიან ველს“ ეძახდნენ, რკინიგზა გადი-



ოდა და პატარა მდინარე მოჩუბჩუბობდა. შორით კი, სმხრეთითა და ჩრდილო-  
ეთით, მაღალი მთები ამოზიდულიყო. ტედს რვა წლის ასაკში ყალათმა გამწვა-  
ვებოდა და მას მერე რალაც გულსატკივარი შეპყროდა. გამხდარი იყო და არც/  
ჩანი ერჩოდა. მაგრამ უჩვეულო სიმკვირცხლე მოსდევდა. ექიმი ამბობდა, მისი  
სიკვდილი ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. შესაძლოა აი, ასე, ერთბაშად დასუსტდა  
ლოდ დაეცესო ძირს. ამ ამბავს მით უფრო მიეჭაქვებინა ძმაზე უფროსი და —  
მერი და ძლიერი დედობრივი სულისკვეთება გაეღვივებინა მის არსებაში.

შინაობა იყო, იქვე, ველზე, მომიჯნავე მამულებში მოსაბლე მეზობლობა  
თუ თვით მათთან ერთად სასწავლებელში მოსიარულე სხვა გოგო-ბიჭობა, —  
ყველა ხვდებოდა, რომ ამ ორ ბაბულს შორის იდუმალი რამ ახლობა ჩასახული-  
ყო.

— აი ისინი, აგე, მოდიან, — ამბობდნენ იქაურები, — ისე კი ნაღდია, ერ-  
თად რომ არიან, თავს კარგადა გრძნობენ; მაგრამ რა დარბაისლები არიან! ასე  
პატარებისთვის ამნაირი სიდარბაისლე უკვე მეტიმეტია. თუმცა მაგათ მდგო-  
მარეობაში ეს ალბათ ბუნებრივიცაა.

ლაფერს უცნაური კვალი დაეჩნია; — თოთხმეტი წლისა იგი ერთდრო-  
ულად ბავშვიც იყო და დასრულებული ქალიც. და ეს ქალური მხარე იჩქითად  
გამოკრთოდა ხოლმე მის არსებაში.

მერი გუმანით მიმხვდარიყო, მისი ძმის, ტედის თავს რალაც რომ ხდებოდა;  
ხვდებოდა, რა დღეშიც იყო, ან კი რა დღეში უნდა ყოფილიყო მისი გულის  
პატრონი, — გულისა, რომლის ფეთქვა, ვინ იცის, რა წამს შეწყდებოდა და რო-  
მელიც, არავინ უწყობდა, რა დროს მოცელავდა დღემოსწრაფებულ ბიჭს, ვით  
ახლად ამოყრილ ხეს, სხვებისთვის ამ ოჯახში, ან უკეთ უფროსებისთვის — დე-  
და იქნებოდა, მამა თუ უფროსი ძმა. თვრამეტი წლის დონი, — საცნაური შე-  
იქნა იმ რალაცის არსებობა, რაც ბავშვებს თავისად დაეგულეებინათ და რა-  
საც ერთმანეთს, დიან, მარტო ერთმანეთს უზიარებდნენ; თუმცა ისინი ბოლომ-  
დე მაინც ვერ აცნობიერებდნენ ყველაფერს. შენივე ოჯახის წევრები თითქოს  
მუდამ მზად არიან უცნაურად მოგვექცნენ, ზოგჯერ გულიც კი გატკინონ; სულ  
უნდა იფრთხილო! ტედსა და მერის ეს უკვე ეწვნიათ.

მათი ძმა დონი მამასა ჰგავდა, თვრამეტი წლისა ლამის უკვე დასრულებუ-  
ლი კაცი იყო. სწორედ მისნაირებზე იტყვიან ხოლმე კეთილი ადამიანები. —  
კაი ბიჭია და კაი ყოჩალი, ჩიგრიანი კაცი დადგებაო. მამა ყმაწვილკაცობისას არც  
სასმელს მისტანებია ოდესმე და არც შფოთისთავი და მოარშიყე ყოფილა. მის  
ყრმობაში „ბარაქიან ველზე“ არაერთი დაუდგრომელი ჭაბუკი დაიარებოდა.  
ზოგ მათგანს უზარმაზარი მამული დარჩენოდა სამემკვიდრეოდ. მაგრამ ლო-  
თობას, ფეხმარდ ბედაურებსა და არშიყობას გადაყოლილთ მთელი ქონება ქა-  
რისთვის გაეტანებინათ. ეს ლამის ჩვეულებად გადაქცეოდათ ვირჩინიელებს;  
მაგრამ ჯონ გრეი, ისევე როგორც ყველა სხვა გრეი, მეურნე კაცი გახლდაათ.  
ველზე კიდევ იყო უზარმაზარი სამესაქონლეო ფერმა, — ასევე გრეების  
საკუთრება.

ყველა იმას ამბობდა, ჯონ გრეი მეშამულებდაა დაბადებულიო, იგი კარ-

1 ბლუ-რიჯის მიდამოები — ამალიჩების სამხრეთ-დასავლეთით ჩაიონი ვირჯინიის შტატში.



გად ერკვეოდა ე. წ. საექსპორტო ტიპის ხვასტაგში, — ისიც იცოდა, რა და როგორ შეერჩია და ისიც, თუ რა საკვები მიეცა, რომ სახორცედ ეკარგა. იცოდა, სად და როგორ ეპოვა სათანადო ჭიშის მოზარდული ოთხფეხი რომელსაც თავის საძოვარზე გაუშვებდა საბალახოდ. ის მხარე თივაქასრების სამშობლო იყო. ზორბა ხვასტაგს საძოვრებიდან პირდაპირ ბაზრობაზე მიჰყავდა. გრეის ფერმას ათას ორას აკრაზე მეტი ფართობი ეკავა და მეტი წილად თივაქასრას ბალახით დაფარულიყო.

მიწა იყო მამის სულისდგმა, მიწა აპურებდა საღერდელაშლილს, მას, როგორც შესაქონლე ფერმას, თავისი საქმიანობა მამამისისაგან შემკვიდრებით მიღებული მიწის მცირე ნაკვეთის დამუშავებით დაეწყო. — ნაკვეთისა, რომელიც ორასიოდე აკრით შემოიფარგლებოდა და უზარმაზარ ადგილ-მამულს ებჭინებოდა; ეს ადგილ-მამული ჯერაც ესპინუოლთა საგვარეულოს ეკუთვნოდა იმხანად. ჰოდა, რაკი დაიწყო, წინ რალა დაუდგებოდა, — ნელ-ნელა იგდებდა ხელში მიწას და სულ უფრო ღრმად იჭრებოდა ცხენოსნობასა და დროსტარებას გადაყოლილ ესპინუოლთა ადგილ-მამულში. მათ თავი ვირჩინიელ დიდებულებად მოჰქონდათ და არც იმის აღიარებას თაკილობდნენ, მათი ოჯახის საქმე სულ უკან-უკან რომ მიდიოდა. რისი მიზეზიც გახლდათ მათეული ზნე-ჩვეულებებისამებრ გაუთავებელი სტუმრიანობა, ფეხმარდი ბედაურების შენახვა-პატრონობა თუ მათზე დადებულ სანაძლეოებში ფულის განიავება. ჯონ გრეი კი ნელინელ ეპატრონებოდა მათ მიწას, — ჯერ იყო და ოცი აკრი შემოიმატა, მერე ოცდაათს, ორმოცდაათსაც გადასწვდა და ბოლოს თვით ესპინუოლიანთ ძველი სახლი ჩაიგდო ხელში. ხოლო მათი ერთი ასულთაგანი — არცთუ მთლად ნორჩი და მწყაზარი — ცოლადაც ერგო. ესპინუოლთა სამემკვიდრეო უკვე ას აკრსაც ვეღარ მიითვლიდა, მაგრამ წელი წელს მისდევდა, ჯონ გრეი კი არა ცხრებოდა. — მუდამ ფრთხილად, წინდახედულად მოქმედებდა. თითოეული პენი აღნუსხული ჰქონდა, ცენტი რო ცენტია, ქარს არ გაატანდა და იმას, რასაც ახლა უკვე გრეის ადგილ-მამული ერქვა, გოჯს უმატებდა. ესპინუოლთა უწინდელი სამყოფელი დიდი. მეტად კეთილმოწყობილი ძველი აგურის სახლი იყო. რომლის ყველა ოთახს ბუხარი ამშვენებდა.

ნეტავი ლუიზა ესპინუოლი ჯონ გრეიზე რამ გაათხოვაო. — კვირობდნენ იქაურები. ოლონდ თან კვირობდნენ და თან... ეღიმებოდათ. ესპინუოლთა ქალიშვილები ყველანი კოლეჯში ზიარებოდნენ სწავლა-განათლებას და ჩინებულად იყვნენ განსწავლულნი; ეგაა, რომ ლუიზასათვის გარეგნული ხიბლი არცთუ ჯარბად მოეზლო განგებას. გათხოვების მერე კი გამშვენიერდა, ქალამის უცებ ლამაზ ქალად იქცა. ყველამ იცოდა, რომ ესპინუოლები სულით ნორცამდე დახვეწილი ხალხი იყო, ჰეშმარიტად წარჩინებულთა მოდგმისა; ჰოდა, გრეებივით მიწას ვერ მიაკვდებოდნენ. ვირჩინიის მთელ იმ არე-მიდამოში ჯონ გრეის სანდო კაცად იცნობდნენ და პატივსაც სცემდნენ. კაცური კაცია, კარგი ცხენივით საიმედო, საქონლის საქმეშიაც ნაღდი ალლო აქვსო. — ამბობენ მასზე, ჩამოუსვამდა თუ არა თავის ვეება ხელს მოზვერს ფერდზე, მისხალ-მისხალ გეტყოდათ მის წონას; შეავლებდა თუ არა თვალს ხბოს ან ბოჩოლას და იტყოდა, ივარგებსო. უსიკვდილოდ ივარგებდა. მოზვერი მოზვერია, სახორცედ თუ გამოდგება, აბა, სხვა რის მაქნისია!

აგერ კიდევ, დონი, გრეების ოჯახის უფროსი ვაჟი! განგების ნებით, ისიც მამამისივით ნამდვილ გრეიდ იყო დაბადებული. კარგა ხანს გახლდათ ვირჩინიის



ოლქის 4H კლუბის<sup>1</sup> ვარსკვლავი, ხოლო ცხრა-ათი წლისა უკვე ისე გაწაფუ-  
ლიყო მოზრის შერჩევა-შეფასებაში, რომ ბევრჯერ საპატიო ჩილოც დაემსა-  
ხურებინა. თორმეტი წლისამ — სულ თავისით, კაციშვილს ხელი რომ არ წა-  
მოუქრავს ისე, — ერთ აქრ მიწაზე სიმინდის მოყვანაში შტატის ყველა ბიჭი  
უკან ჩამოიტოვა.

ერჩენული

მერი გრეისათვის — ამ კეშმარიტად გულთამხილავი ქალშეგონებისა  
ასე დაბერებულიც რომ გახლდათ, ასე ნორჩიც და აგრე რიგიანად დაბრძენებუ-  
ლიც — ცოტა არ იყოს, საკვირველი და უცნაურიც კი იყო, რაც მის თავს ხდე-  
ბოდა, აი, დონი, უფროსი ძმა, მამასავით ზორბა და მკლავმაგარი; და, აი, უმ-  
ცროსი ძმა ტედი, ჩვეულებრივ, უცნაურობასა და უჩვეულობას მოკლებული  
ყოფის ყოველდღიურობაში სრულიად ბუნებრივი და მართებული იქნებოდა,  
რომ მერის, მდებრად შობილს, თავისი ყმაწვილქალური აღფრთოვანება დო-  
ნისათვის მიეზლო; მაგრამ არა! დონის არსებობა მისთვის რატომღაც თითქმის  
შეუმჩნეველი რჩებოდა. ის სადღაც გულსგარეთ იყო, თავად გულს არ ეკარე-  
ბოდა; ტედი კი, შინაურთაგან ლამის ყველაზე უმწეო, ქვეყანას ერჩივნა.

და მაინც... იყო დონი, ასეთი ბრგე, ასე მშვიდი, ასე ჭიქურ თავმდაბალი.  
მამამ შესაქონლებას რომ მიჰყო ხელი ყმაწვილკაცობაში, ორასიოდე აკრი  
მიწის პატრონი თუ იქნებოდა, ახლა კი ათას ორასი იყო მის განმგებლობაში.  
ნეტავი რა შნო-მარიფათს გამოიჩენდა დონ გრეი, მისი ეამი რომ მოაწევდა?  
ის თუმცა კრინტს არა ძრავდა, გული ახლავე ერჩოდა, თვითონ უნდოდა აელო  
ხელში სადავეები და საკუთარი თავის ბატონ-პატრონიც თავადვე ყოფილიყო.  
მამამ ისიც კი შესთავაზა, სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში გაგზავნიო, მაგრამ  
არ ინდობა, არა, აქ მეტს ვისწავლიო, — ასე მიუგო.

მამა-შვილს შორის უკვე შეუღლი ჩამოვარდნილიყო, თუმცა ჯერ ზღუდეები  
არ გადაელახა. ცილობა ჰქონდათ იმაზე, თუ რა და როგორ გაეკეთებინათ, რა  
ჯობდა და რა არა, აქამდე სულ შვილი თმობდა.

ასეა ოჯახში. — მოზრდილ ერთობლიობაში იქმნება პატარ-პატარა კერ-  
ძობითი დაჭგუფებანი, რასაც თანა სდევს იჭვი, გულსჩახვეული ჯავრი, ჩუმი,  
ფარული კიდილი, გრეებშიაც ასე იყო, — მერი და ტედი, დონი და მამამისი,  
დედა და ორი უმცროსი ბაღლი — გლედისი, ექვსი წლის გოგონა, თავის ძმას,  
დონს რომ ეთაყვანებოდა და პარი, ორი წლის ბიჭუნა.

მერისა და ტედს თუ ვიტყვით, ისინი საკუთარ სამყაროში შეხიზნულიყ-  
ვნენ, ოღონდ უომრად როდი ზიარებოდნენ ამ ხელშეუვალ საუფლოს. საქმე ისაა,  
რომ ტედს — რომლის გულის ძგერა, კაციშვილმა არ იცოდა, რა წუთს შეწ-  
ყდებოდა — სულ ერთთავად თავს ევლებოდნენ, მერის ესმოდა მარტო, რა  
ბოღმითა და გულისტკივილით ავსებდა ბიჭს ეს ამბავი.

— არა, ტედ, მაგას ნუ იზამ!

— ტედ, გენაცვალე, გაფრთხილდი!

გულმოსულ ბიჭს რამდენჯერ მკვდრისფერი დასდებია და კანკალს აუტა-  
ნია, — დონი, მამა, დედა, ყველა ასე შესჩენოდა, სულ ერთი იყო, რასაც არ

<sup>1</sup> 4H კლუბი — 1900 წელს დაარსებული ორგანიზაცია, რომლის წევრებიც არიან ბავშვე-  
ბი და ნოზარდები 9-იდან 19 წლამდე. ორგანიზაციის მიზანია აღზრდა მისი წევრების მიერ შეს-  
რულებული სხვადასხვაგვარი პროექტების დახმარებით რომლებიც ავითარებენ head, heart  
hands and health ("თავს, გულს, ხელებსა და ჩანმრთელობას"), — ამ ოთხი სიტყვის პირველი  
ასოების მიხედვით (4H) მიიღო დასახელება ორგანიზაციამ.



მოინდომებდა. — გრეების ორი მანქანიდან ერთ-ერთის მართვას, ჩიტის ბუდის საძებრად ხეზე აძრომასა თუ მერისთან სირბილში გაჭიბრებას ბუნებრივია. თავისი ეზო-გარემოს შემყურე, კვიცის გახედნა-შეკაზმვასაც შეეძლებოდა იმ-თავითვე და გაქენებასაც. „ნუ, ტედ, არ შეიძლება!“ ფერმის მუხებზე და თავისი სკოლეელი სოფლის ბიჭებისაგან ლანძღვა-გინებაში გაყოფილნი იქნებოდნენ. ჯანდაბა და დოზანაო. — ეტყოდა ხოლმე მერის მტრის მტრად მარტო. რა ჯავრი კლავდა ბიჭს, ოღონდ მთლად ნათელი სიტყვიერი ხორცშესხმა გოგონას თავის თავშიც ვერ გამოეძებნა ამ ყველაფრისათვის. ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი მისი ყრმობაშივე დაბერებისა. ამ ამბავმა მერი ოჯახის სხვა წევრ-თაგან გაანაპირა და უცნაური შემართებით აღავსო. „ველარ იზამენ, ველარ გაბედავენ!“ — რამდენჯერ წაუსწრია საკუთარი თავისთვის ამ სიტყვებზე. გუნებაში რომ იმეორებდა.

„თუ მართლა დათვლილი აქვს წლები, რაც დარჩენია, იმას მაინც რაღად უწამლავენ? სულ ერთთავად, დღენიადაგ რად უსწრაფებენ სიცოცხლეს?!“ — თუმცა ასე ერთ ყალიბში მოქცეული როდი იყო მერის ეს ფიქრები. სხვათაღმი გულისწყრომით აღვსილი გოგონა ტედს ჯარისკაცისვით გადააფოფროდა.

ეს ორი ბაღლი კი კვლავ იქით და იქით მიილტვოდა. საკუთარი სამყარო-საკენ; და მხოლოდ ერთხელ ამოხეთქა მერის მიერ ნაგრძნობ-განცდილმა. ეს დედის გამოისობით მოხდა.

ადრიანი ზაფხულის დღე იდგა და ტედი და მერი წვიმაში თამაშობდნენ. სახლის გვერდითა პარმალზე გასულიყვნენ. სადაც სახურავის კიდულიდან წყალი დიოდა, პარმალის კუთხეში იგი კარგა დიდ ნაკადად მოჩქეფდა. ტედი და მერი წყლის ქვეშ ჩერდებოდნენ რიგ-რიგობით და კვლავ პარმალისაკენ გარბოდნენ ტანსაცმლიანად გასაწურები; სველი თმიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ. სამოსით დაფარულ სხეულზე ცივი წყლის შეხება მათ რაღაც თავისებურ სიამესა ჰგვრიდა და ისინიც ერთ სიცილ-ხარხარში იყვნენ, კარს დედა რომ მოადგა. ერთი გაჰხედა ტედის და შეშფოთებულს შიში შეეპარა ხმაში.

— ოპ, ტედ, ხომ იცი, რომ შენთვის არ შეიძლება, არ შეიძლება!

სულ ეს იყო, სხვა ყველაფერი თავისთავად იგულისხმებოდა. მერისთვის ხმაც არ გაუცია. საქმეც ეგ იყო. „ოპ, ტედ, არ გინდა! შენთვის არ შეიძლება კისრისტეხით სირბილი, ხეზე ძრომა, ცხენის ქენება; ერთი პატარა ბიძგი და, ვინ იცის, რა მოხდება!“ კვლავ ძველებურად აჭიკჭიკდნენ და ტედიც, რა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდა. ფერი დაკარგა, ააძაგძაგა. რატომ ვერ ხვდებოდა ეს ხალხი, რომ მისთვის ეს ათასჯერ უარესი იყო?! იმ დღეს — დედისთვის პასუხი არ გაუცია, ისე — პარმალიდან წვიმაში გავარდა და ფარდულებისაკენ გაიქცა. არა სულიერს არ უნდოდა დანახვებოდა. იცოდა მერიმ მისი სატკივარი

ვოგონა ერთბაშად ასაქსრულ. გამწყრალ-გაავებულ დედაკაცად იქცა. იდგა დედა-შვილი — ორნოცდაათს მიტანებული ქალი და თოთხმეტი წლის ბავშვი — და თვალი თვალში გაეყარა ერთიმეორისთვის. ცოტაც და, ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა მათ ოჯახში. ეს იგრძნო მერიმ, მაგრამ გუშანით მიხვდა, რომ რაღაც უნდა მოემოქმედა.

— მეტი გულისხმიერება გმართებს, დედა, — თქვა მან ღირსშეფერებით. მასაც მიწისფერი დასდებოდა და ბაგეები უთრთოდა. — მაგრე აღარ უნდა მოიქცე, ეგ აღარა ქნა!

— რა ეგ, ბავშვო?! — რისხვანარევი განცვიფრებით შესძახა დედამ.



— ხელარ აიძულე სულ იმაზე იფიქროს! — მიუგო მერიმ. ეტირებოდა, მაგრამ არ უტირია.

ღედა მიუხვდა სათქმელს. ის წამი უჩვეულოდ დაიძაგრა... მერე კი მერიმ წვიმაში გაიჭრა და ფარდულებისაკენ გაუტია დღესავით ნათელი როდი იყო სუ-ყველაფერი. ღედას უნდოდა თავის შვილს სცემოდა და ალბათ ერთი კარგად შეეჩანჯლარებინა ამნაირი თავგასულობისათვის. ეს თითის სიგრძე უყვანდა იმასა ბედავდა. რალაც-რალაცები გადაეწყვიტა და ღედისთვის უყვანდა ბინა, რამდენი რამ იყო მის სიტყვებში ნაგულისხმევი, — თუნდაც ის, რომ ტედისათვის დაეცლიათ სიკვდილი, სწრაფი, უეცარი. ოღონდ კი წარამარა ტვინი არ მოეწამლათ მისთვის ამ სიკვდილის, ამ უეცარი აღსასრულის განსაცდელით! ღედის კი ამად ეს ცხოვრება, განა სიკვდილზე მეტი ღვთის წყრომა სხვა აღარაფერი იყო. — ამქვეყნად ავისა თუ კარგის განმკითხავ-გამომეტყველი იყო ამ ბალღის სიტყვები. ღედა მიბრუნდა და შინ შევიდა ხმაგაკმენდილი. მერიმ კი, ფარდულებს მიადგა თუ არა, ხელად მოძებნა ტედი. ბიჭი ცარიელ თავლაში იდგა ზურგით კედელს მიყრდნობილი და თვალგაშტერებული. ბავშვები არანაირ განსჯა-გარჩევას არ მოჰყოლიან.

— ესეც ასე. — მყის შეეხმიანა ტედი.

— წამო, ტედ. — მიუგო მერიმ.

უეჭველად რალაც უნდა ეხიმანკლათ, იმაზე მეტადაც რომ გადაედოთ თავი. ეინემ წვიმის ქვეშ ჰყუმპალაობისას. წვიმას საცაა უნდა გადაეღო.

— მოდი, ფეხზე გავიძროთ. — შესთავაზა მერიმ.

ფეხშიშველა ტანტალი, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, აკრძალული იყო ტედისათვის. ფეხზე გაიძრეს. ფეხსაცმელები თავლაში დაყარეს და ხილნარისაკენ გასწიეს. ხილნარს გაღმა პატარა ნაკადული მოჩქეფდა; ეს ნაკადული მდინარისაკენ ჩაედინებოდა და ახლა წყალმომატებული იქნებოდა. ბავშვებმა წყალში შეტოპეს; ერთი პირობა, მერიმ ფეხი ეშალა და ტედს მისი გამოთრევა მოუხდა. გოგონაც მაშინლა ალაპარაკდა.

— მე ვუთხარი ღედას. — თქვა მან დარბაისლური იერით.

— რა უთხარი? — შეეხმიანა ტედი. — ესეც ასე! თუ არა ვცდები, მე მგონი დახრჩობას გადაგარჩინე. — დასძინა მან.

— კი, ნაღდად გადამარჩინე. — მიუგო მერიმ. — ასე ვუთხარი, თავი დაგანებოს! — უცებ გაცხარდა იგი. — ყველამ. ყველამ თავი დაგანებოს! — თქვა მან.

ასე ამგვარად, პირი შეკრეს. ტედი ტოლს არ უღებდა თავის დას. სხარტი გონების პატრონს რა ოინები აღარ მოსდიოდა თავში. ღედამ ალბათ სიტყვა თუ ჩამოუგდო ამ ამბავზე მამასა და დონს, უფროს ძმას. მას მერე შინაურებში დაძმისადმი სულ სხვა განწყობა-დამოკიდებულება დამყარდა. — ეს ორი ბალღი ნებას მიუშვეს და ამან მათ თითქოსდა ახალი ადგილი დაუმკვიდრა ამქვეყნად: გზა გაეხსნათო თითქოს. ერთი ციციქნა მიღმიერი სამყარო შეიქმნა მათთვის. დღენიადიგ ახლად რომ იქმნებოდა და რალაც სულ სხვაგვარ ხელშეუვალობას უთქვამდა ამ ორს. მათ თუმც სიტყვებით ვერ გამოეთქვათ, რასაცა გრძნობდნენ. ასე ეგონათ. საკუთარ. მათგანვე შექმნილ სამყაროში ყოფნისას, ამ სულ სხვაგვარი ხელშეუვალობის მადლს ნაზიარევით, შეეძლოთ ერთი გამოეჭყიტათ. გაფაციცებული მზერა ეტყორცნათ გარე სამყაროსათვის და ახლებურად დაენახათ, თუ რა ხდებოდა იქ. იმ საუფლოში, სხვათა წილხვედრიც რომ იყო.

ეს ის სამყარო გახლდათ, საცქერლადაც რომ ღირდა და განსასჯელადაც.



ამავე დროს ეს გახლდათ სანახაობათა, ადამიანური ურთიერთობების სანახაობათა სამყარო, რომელიც მათი წილხედომილი საუფლოს გარეთ არსებობდა, იქნებოდა ეს ოჯახი, ფერმა თუ სახლი... ხბოები და ბოჩოლები ფერმაში ჩამოჰყავდათ გასასუქებლად; ბაზარში ერეკებოდნენ ვეებურთელი მოზვრებს; სამუშაოდ თუ შესაკაზმავად ხედნიდნენ კვიცებს; ზამთრის მიწურულს კი დოლი იწყებოდა. ამქვეყნიური ყოფის ადამიანური მხარე უფრო რთული იყო და ბავშვის გონებისათვის ხშირად მიუწვდომელიც. მაგრამ იმ წვიმიან დღეს სახლის პარმალზე დედასთან საუბრის მერე მერის ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, რომ მისი და ტედის მეცადინეობით მათი ოჯახი ლამის სულ სხვა ოჯახად გარდასახულიყო. ფერმა იყო, სახლი თუ ფარდული. უკეთესობის ბეჭედი აჩნდა ყველაფერს. უცხო რამ სილალე იგრძნობოდა ყველგან. სკოლიდან ფერმაში რომ ბრუნდებოდნენ ნაშუადღევს, ორთავენი სოფლის შარაგზას მოუყვებოდნენ ხოლმე. სხვა ბავშვებიც იმავე გზით მოდიოდნენ, მაგრამ ესენი იმდენს იზამდნენ, ან უკან ჩამორჩებოდნენ, ან კიდევ გადაუსწრებდნენ დანარჩენთ; მომავლის გეგმებს აწყობდნენ. როცა გავიზრდები, მოწყალების და უნდა გავხდეთ. — ამბობდა მერი. მას ალბათ ის მომვლელი ქალი ახსოვდა ბუნდოვნად, რომელიც ოლქის მთავარი ქალაქიდან ჩამოვიდა და მათთან დარჩა მაშინ, ტედის ავადმყოფობისას. ტედი კი ამბობდა, როგორც კი შევიძლებ — ეს ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე დონის ახლანდელ ასაკს მივალწევ. — აქაურობას გავეცლები და სადმე შორს, დასავლეთისაკენ გავემგზავრებიო. ნატრობდა, კოვბოი, ცხენის მომთვინიერებელი ან რამე ამის მსგავსი გამოსულიყო; თუ არადა, სარკინიგზო ინჟინრობას ფიქრობდა. რკინიგზა, „ბარაქიანი ველის“ გავლით დაბლა რომ ეშვებოდა, გრეების ფერმას კუთხივ კვეთდა და ზოგჯერ, შუადლისას, ბავშვები გზიდან მოჰკრავდნენ ხოლმე თვალს მოშორებით მხრჩოლავ მატარებლებს. სუსტი გუგუნი სწვდებოდა მათ ყურთასმენას და ხანდახან, მოწმენდილ ამინდში, თბომავლის ბარბაცებიც გაკრთებოდა მათ თვალწინ.

მინდორში კი, იქვე, მათ სახლთან, ორი მუხის ხისგან ძირკვებილა დარჩენილიყო. ბავშვებმა იცოდნენ ის ხეები. ისინი შემოდგომის დამდეგს მოჰკრეს, — ერთ მშვენიერ დღეს ადგნენ და მოჰკრეს.

გრეების სახლს — რომელიც ერთ დროს ესპინუოლთა ოჯახის სამკვიდრებელი გახლდათ — უკანა მხარეს პარმალი მიუყვებოდა და ამ პარმალის კიბიდან ბილიკი ჩასდევდა დაბლა, ქვის ნაგებობამდე. სწორედ ამ ადგილას ამოდიოდა მიწიდან წყაროს წყალი და პაწია ნაკადულად მიემართებოდა მინდვრის განაკიდა მხარეს, ორ უზარმაზარ ბელელს გასცდებოდა. მდელოს გადაივლიდა და მდინარის იმ შენაკადთან გადიოდა, „ტოტს“ რომ ეძახდნენ ვირჯინიაში; ორი ხე კი ერთიმეორეს გვერდიგვერდ იდგა ქვის ჯიხურსა და ლობის გადაღმა.

ამ ხეებს მძლავრად გაედგათ ფესვები ნოყიერ, მუდამ ტენიან ნიადაგში. ხოლო ერთ მათგანს ლამის მიწამდე გადმოეხარა უზარმაზარი ტოტი; ისე რომ, ტედსა და მერის შეეძლოთ ამ ტოტით ხეზე აცოცებულიყვნენ და ასე ტოტიდან ტოტზე გადანაცვლებით მის ძმობილ ხეზე გადამძვრალიყვნენ, ადრიანი შემოდგომით, როდესაც სხვა ხეებს — სახლს წინიდან თუ გვერდიდან რომ მიუყვებოდნენ — ფოთლები სცვიოდათ, იმ ორ მუხას ჯერ კიდევ ესხა ხასხასა წითელი ფოთლები, რომლებიც შემხმარ სისხლს ემსგავსებოდნენ მოყამულ ამინდში. მაგრამ სხვა დროს, მზიან დარში, იმ ხეებს აღმური ასდიოდათ შორეული გორაკების ფონზე. ქარის მონაქროლზე მუხებს სხმული ფოთლები ისე აჩურ-



ჩულდებოდნენ და ამუსაიფდებოდნენ. კაცი იფიქრებდა. თავად ხეები ებასებთან ერთმანეთსო.

ჯონ გრეის ამ ორი მუხის მოჭრა ჩადო გულში. თუმც თავდაპირველად არც მთლად ურყევი იყო ეს განაზრახი. ამ ხეებს ალბათ მოვკრიო — ასე ბრძანა.

ერყუნული  
გინჯლიყმეკა

— კი მაგრამ, რატომ? — იკითხა ცოლმა.

რამდენი რამის გამომეტყველნი იყვნენ მისთვის ეს ხეები! ისინი სწორედ მანდ პაპაჩემმა თავის ხელით დარგო. — თქვა მან. ამ სიტყვებით თავისებური შთაბეჭდილების მოხდენას ფიქრობდა.

— იცი, შემოდგომის დამდეგს უკანა აივნიდან რომ გაჰხედავ, ისეთი მშვენიერები არიან გორაკების ფონზე!

და იგი მოყვა, როგორ მოეტანათ ოდესღაც შორეული ტყიდან ახლა უკვე საკმაოდ ტანაყრილი ხეები. დედამისს არაერთხელ ეამბნა ეს ამბავი; ეს ორი მუხა გამორჩევით ჰყვარებოდა პაპამისს.

— ესპინუოლი სწორედ ეგრე მოიქცეოდა, — განაცხადა ჯონ გრეიმ. — აქ ეზოც საკმარისადაა ამ სახლისათვის და ხეებიც. ისინი არც სახლს ჩრდილავენ და არც ეზოს. ესპინუოლი ხის გულისათვის ათას მაგნიირ გასაჭირს გაუძლებდა და. ყველა სიკეთესთან ერთად, იქ დარგავდა მათ, საცა ბალახს უნდა ეხარა.

ის, რაც ჯონ გრეის ჯერ მხოლოდ სანახევროდ ჰქონდა ჩაფიქრებული, უცრად განმტკიცებულიყო და საბოლოო განაჩენად ქცეულიყო. იქნება სულაც ესპინუოლთა წამდაუწუმ ხსენება და მათი ამბების მოსმენა მოჰყირტდებოდა. ხეების მოჭრაზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, ყველანი შუადღის სუფრას უსხდნენ; ასე რომ, შერისა და ტედის ყველაფერი ესმოდათ.

სუფრასთან დაწყებული საუბარი გარეთ გაგრძელდა. სახლის უკანა ეზოში გადაინაცვლა. ცოლი ქმარს გარეთ გაჰყვა. კაცი ყოველთვის უცაბედად გაეცლებოდა ხოლმე სუფრას. ხმაამოუღებლად, სწრაფად წამოდგებოდა, მძიმე-მძიმედ ვააბიჯებდა გარეთ და გასვლისას კარს გაიჭახუნებდა.

— ნუ იზამ მაგას, ჯონ! — გასძახა ქმარს აივანზე მდგარმა ცოლმა.

ცივი, მაგრამ მზიანი დღე იდგა და ხეები ვეება ჰიაკონასავით აბდღერი-ალებულიყვნენ შორეული ველ-მინდვრებისა და გორაკების ნაცრისფერ ფონზე. ოჯახის უფროსი ვაჟი, ჰაბუკი დონი — მამამისის ალი-კვალი რომ გახლდათ იერ-სანით და, როგორც ჩანდა, სხვაფრადაც ყველაფერში პირწავარდნილი მამა იყო — დედამისს გამოჰყოლოდა სახლიდან ორი ბაღლის, ტედისა და შერის თანხლებით. თავიდან დონს კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ როცა მამამ არად ჩააგდო დედის გულისწყრომა და ფარდულისაკენ გასწია, მანაც ხმა ამოიღო. მისმა ნათქვამმა კიდევ მეტად გაამყარა უფრო და უფრო გაჭინიანებული მამის საბოლოო განაჩენი.

იმ ორი ბაღლისათვის კი, ოდნავ განზე რომ გამდგარიყვნენ და ასე გვერდი-გვერდ მდგომნი ყველაფერს თვალყურს ადევნებდნენ, მართლაც რაღაც ხდებოდა დიდმნიშვნელოვანი. მათ თავისი, საკუთარი ბავშვური სამყარო ჰქონდათ. თქვენც თავი დაგვანებეთ და ჩვენც თავს დაგანებებთო, — თუმც ყველაფერი ასე ნათლად როდი იყო გამოკვეთილი. ის, რაც იმ დღეს, შუადღისას, ეზოში მოხდა, მთელი სიცხადით კარგა ხნის შერელა გაისიგრძეგანა შერიმ. უკვე მოწიფულმა ქალმა; იმწუთას სულ მხოლოდ უეცარ გამძაფრებას თუ გრძნობდა განდგომილობისა. სხვებსა და მათ შორის კედლად რომ აღმართულიყო. მის







კიდებული. მისნაირებს ნაადრევი ქორწინება არა სჩვევიათ და არც არასდროს აცუნცრუკლებიან ცოლის თხოვნისას. ახლა მას უკვე საცაა სამოცი მიუკაცუნებს და აგე. ვაჟიც მოესწრო. მისი ასლი და მასავით ქვის ნატები.

მიწის ტრფიალი, ქონების ტრფიალი ასულდგმულედა ორთაგანს. ჩემი მამულია, ჩემი კარ-მიდამო, ჩემი ცხენები, ცხვარ-საქონელი — კიდევ ათიოდე წელი. ჰა-ჰა, თხუთმეტი, — მამაც საიმქვეყნოდ — ჩემი წილია. „აი უკვე. ცოტა არ იყოს, ხელი მღალატობს. არ გინდა შევლიო ამ ყველაფერს?“ მან, ჯონ გრემი, ასე იოლად როდი მოიხვეჭა მთელი ეს ავლადიდება. რამდენ შეჭირვებად, რა სიკერბედ დაუჭდა ეს ყველაფერი! ამას მასავით ვითომ ვინმე გაიგებს ოდესმე?! შრომა-ჯაფასა და მომჭირნეობაში გატარებული ხუთი, ათი, თხუთმეტი წელიწადი ესპინუოლთა ადგილ-მამულის მტკაველ-მტკაველ შემომატებას მოანდომა. „ბრიყვები!“ თავი მოსწონდათ, აქაოდა, კეთილშობილთა გვარისანი ვართო და ქარს ატანენ თავიანთ მიწა-წყალს. — ხან ოც აკრს შევლეოდნენ, ხანაც ოცდაათს. ორმოცდაათს.

ისეთი ცხენების მოშენებას მიჰყვეს ხელი, გოჭი მიწის მოსახნავადაც რომ არ ივარგებდნენ.

მათ მიწაც გააპარტახეს, არასოდეს არაფერი შეუმატებიათ მისთვის და არც არაფერი გაუკეთებიათ საიმისოდ, ბარაქიანი, პოხიერი რომ გაეხადათ იგი. მაგათი ჭილაგის კაცი ასე ფიქრობს, მე ხომ ესპინუოლი ვარ, ჯენტლმენი, ხელს ხენა-თესვაზე როგორ გაეისვრიო.

„ბრიყვები... აზრზე არ არიან, რას ნიშნავს ფული, მამული, ქონება, პასუხისმგებლობა. მდაბიონი სწორედ თვითონ არიან!“

ესპინუოლიანთ გვარის ქალი ცოლად ერგო და მთელ სახლულში ყველაზე ღირსეული, ყველაზე ალლოიანი და შნო-იერითაც კი ყველას მჯობი ის გა-მოდგა ბოლოს.

ახლა მის ვაჟზედაც ვთქვათ, დედის გვერდით რომ იდგა იმ წუთში. პარმალიდან ორთაგანი ქვევით ჩამოსულიყვნენ. სრულიად ბუნებრივიც იყო და მართებულცი, რომ ეს ყმაწვილი — ისეთი, როგორადაც უკვე ჩამოყალიბებულიყო და როგორადაც ჯერ კიდევ ჩამოყალიბდებოდა — თავის დროზე ადგილ-მამულის მფლობელიც უნდა გამხდარიყო და განმკარგულეებელიც.

რა თქმა უნდა, სხვა შვილებიც უფლებამოსილნი იქნებიან. თუ რამედ ღირხარ (ჯონ გრემი გრძნობდა, რომ მისი ვაჟი დონ გრემი ღირდა ამდენად), გზასაც გამონახავ და იმარჯვებ კიდევ. გაურიგდები და მათ წილ საადგილმამულო-საც გამოისყიდი. იყო ტედი, რომელსაც დიდი დღე არ ეწერა, მერი, და ორიც უმცროსი შვილი. „ჯობია კიდევ, საქმე საცილოდ თუ გაგიხდება“.

ყველაფერ ამას, მამა-შვილს შორის უეცარი ცილობის ბუნდოვან არსს კარგა ხნის მერე, თანდათანობით ჩასწვდა ფერმერის ქალიშვილი. იმხანად ბალობის ასაკისათვის ჰა და ჰა რომ გადაებიჯებინა.

როდის იმართება წარმოდგენა, — თესლს რომ აგდებენ მიწაში თუ უფრო გვიან. როცა მცენარე მიწიდან თავს ამოყოფს და აყვავილდება, ან ეგებ, კიდევ უფრო მოგვიანებით, ნაყოფის მწიფობისას? აი, გრემების მოდგმა, — უნარიანი, დინჯი, მომჭირნე, შემძლე, შეუპოვარი, კირთამთმენი ხალხი. რალა მათ ერგოთ „ბარაქიან ველზე“ ესპინუოლიანთ ადგილ-მამული? აგერ კიდევ ესპინუოლთა სისხლი ჩქეფდა ორი ბალობის, მერისა და ტედის ძარღვებში.

ლუიზა გრემის ძმ. ესპინუოლების გვარის კაცი. „ძია ფრედს“ რომ ეძახ-



დნენ, ზოგჯერ სტუმრობდა ხოლმე მათ მამულში. იგი მალალი, ხანდაზმული მამაკაცი გახლდათ, მეტად თვალში საცემი გარეგნობითა და ქალარა ვან-დეიკისებური წვერ-ულვაშით; ცოტა არ იყოს, შელანძლული სამოსი ეცვა, მაგრამ იდუმალი რამ ნიშან-კვალი დიდებულებისა მაინც გამოკრთოდა მის იერში. ეს ხნოვანი, თავაზიანი, მოკრძალებული მამაკაცი — მუდამ უჩვეულოდ რომ გაირინდებოდა თავის დის ქმართან შეყრისას — ოლქის მთავარი ქალაქიდან ჩამოდიოდა ხოლმე, სადაც იმხანად ცხოვრობდა თავის ქალიშვილთან ერთად, რომელიც ვაჭარზე გათხოვილიყო.

იმ დღეს, ადრიანი შემოდგომით, გრეების ვაჟი დონი დედის გვერდით იდგა, ბაღლები კი, მერი და ტედი, განზე გამდგარიყვნენ.

— ნუ იზამ მაგას, ჯონ! — ერთხელაც გაიმეორა ლუიზა გრემი.

— მე ასე გადავწყვიტე და ასე ვიზამ!

— არა, არ იზამ! — უეცრად ენა ამოიდგა ჭაბუკმა დონმა.

უცნაური, გაქვავებული მზერა გამოკრთოდა ვაჟის თვალთაგან. იფეთქა, ხორცი შეესხა იმ რალაცას, ზღუდედ რომ აღმართულიყო ამ ორ კაცს შორის. „ჩემია...“ ჩემი იქნება!“ მამა შემოტრიალდა, შვილი ერთი კი განგმირა მზერით, მაგრამ ეს იყო და ეს. — სხვანაირად მისი გამოხდომა აინუნშიაც არ ჩაუგდია.

დედა ერთხანს კიდევ შესთხოვდა:

— კი მაგრამ, რატომ, რატომ?

— ისინი ზედმეტად ჩრდილავენ ამ ადგილს და აქ ბალახი აღარა ხარობს.

— ჰო, მაგრამ აქ იმდენი ბალახია; ბალახს მიაქვს აქაურობა!

ჯონ გრემი ცოლს ეპასუხებოდა, ცქერით კი ისევ შვილს შესცქეროდა. უთქმელი სიტყვები წინ და უკან დაფარფატებდნენ.

„მე ვარ აქაურობის ბატონ-პატრონი და განმგებელი. რას გულისხმობ, რომ მეუბნები, ამას არ იზამო?“

„ოჰო! კი, ბატონო, ახლა შენა ბრძანდები ბატონ-პატრონი, მაგრამ სულ მალე მე ვიქნები!“

„უმაღლესი ჯანდაბის გზას გაგიყენებ!“

„შე ბრიყვო! მანამდე არაფერი გეტკინოს!“

ამ სიტყვათაგან არც ერთი არ თქმულა იმწუთას, და მერეც გრეების ქალიშვილს — მერის სიტყვასიტყვით ვერა და ვერ მოეგონებინა რაც მაშინ ამ ორ კაცს შორის ითქვა. დონის არსებაში ერთბაშად იძალა უეცარმა სულისკვეთებამ, დიახ, იქნებ სწორედ უეცარმა სულისკვეთებამ შნარში ამოსდგომოდა დედას; ან ეგებ სულ სხვა რამ იგრძნო ჭაბუკმა დონმა. ეგებ სულაც ესპინუოლთა სისხლმა უყვილა და წამიერად ხის ტრფიალმა სძლია ბალახის ტრფიალს, — იმ ბალახისა, საქონლის გასასუქებლად რომ მოემრავლებინათ.

4H კლუბის პრიზების მფლობელი, ჩემპიონი სიმინდის მოყვანაში ჭაბუკთა შორის, საქონლის საქმის უსტაბაში, მიწისა და ქონების ტრფიალი...

— შენ ამას არ იზამ! — გაუმეორა დონმა.

— რას არ ვიზამ?

— არ მოჭრი ამ ხეებს!

მამას ხმა არ ამოუღია, მაგრამ იქაურობას გაეცალა და ფარდულისაკენ გასწია. მზე კვლავ კაშკაშებდა, ცივი, სუსხიანი ნიავე უბერავდა. კიაკოკონასავით ბდღვრილებდა ის ორი ხე შორეული გორაკების ფონზე.

შუადღე იყო ფერმაში ორი დღიური მუშა იდგა, ორთავ ახალგაზრდა, ისინი ბედლებს იქით პატარა სახლში იდგნენ იჯარით. ერთი, კურდღლისტუჩა.



ცოლიანი იყო; მეორე, საკმაოდ წარმოსადეგი ჩუმი ყმაწვილი კაცი, მასთან ერთად პურსა ჰკამდა. მათ ეს-ესაა მიერთვით თავიანთი შუადლის ულუფა და ერთ-ერთი ფარდულისაკენ მიემართებოდნენ. აღნიშნული შემოდგომა იდგა, სიბრძნდმო-სავლიანობა იწყებოდა და ისინი ცოცხლად, შორს, ყანისაკენ ეპირებოდნენ წახვლას მოსავლის ასაღებად.

მამამ ფარდულისაკენ გასწია და მალე უკან მობრუნდა იმ კოლადს, რომელიც მან-ხლებით, ისინი ცულებითა და ბირდაბირებით შეიარაღებულიყვნენ.

— აი, ეს ორი ხე უნდა მოჭრათ.

იყო რაღაც, სიბრძნის კი არა, სიბრძნის მსგავსი ამ კაცის აზრებაში. და ამ დროს მისი მეუღლე, მისი შვილების დედა... არასდროს არც ერთს შვილ-თავანს არ ეწერა იმის გაგება, რამდენჯერ ყოფილა იგი მსგავსი წუთების მომს-წრე და განმცდელი. თავის დროზე ის ცოლად მისთხოვდა ჯონ გრეის; მისი ქმარი ეგ იყო.

— შენ თუ ამას იზამ, მამა! — ცივად წარმოთქვა დონ გრეიმ.

— გააკეთეთ, რას გეუბნებით! მოჭერით ეს ხეები! — იმ ორი მუშის გასაგონად ითქვა ეს სიტყვები. ერთმა, კურდღლისტუჩამ, ჩაიქირქილა. ვირის ყროყინსა ჰგავდა მისი ქირქილი.

— არ გინდა! — თქვა ლუიზა გრეიმ, ამჯერად ქმრისათვის აღარ მიუმა-რთავს; შვილისკენ წადგა ნაბიჯი და მხარზე დაადო ხელი.

„არ გინდა!“

„ნუ გადაუდგები, ჩემს ქმარს ნუ გადაუდგები!“

რას ჩასწვდებოდა ამისთანებს მერი გრეისთანა ლლაპი?! რამდენი დრო გინდა, ამქვეყნისა რამე რომ გაიგო! გონების თვალი ნელ-ნელა სწვდება ყოფის სიღრმეებს, მერი იდგა ტედთან, რომელსაც დაძაბულობა აღბეჭდოდა ნორჩ, გადაფითრებულ პირსახეზე. სიკვდილი ყურს უკან ედგა და ყოველ წუთს, ყო-ველ წამს შეიძლებოდა თავს დასცხრომოდა.

„მსგავსი რამ განა ერთხელ და ორჯერ ამიტანია. ამ გზით გაბდა წარმა-ტებული ეს კაცი, რომელსაც ცოლად გავყევი. მას ვერაფერი დააოკებს, მე მას მივთხოვდი, იგია ჩემი შვილების მამა.

ჩვენ, ქალები, დათმობას ვარჩევთ.

ეს ჩემი საქმე უფროა, ვიდრე შენი, დონ, ჩემო ბიჭო“.

ასეა ქალი, მიჯაჭვული თავისას — ოჯახს, მის ხელში შექმნილს.

ენეც შვილი, არა დედის თვალით მზირალი, მყის მოიცილა დედის ხელი, მხარზე რომ ესვენა. ლუიზა გრეი ქმარზე უმცროსი იყო, თუმცა კაცს თუ უკვე სამოციანთის მიეტანებინა, ქალსაც საცაა ორმოცდაათი მიუკაკუნებდა, მაგ-რამ სინატიფე-სინარნარე კი უხვად ჰქონდა მომადლებული. იყო იმწუთას მის იერში თუ მიხვრა-მოხვრაში რაღაც ისეთი... ეგება, მართლაც ჰქონდათ სულ სხვა რამ, ჯიშისმიერი, სისხლში. — ესპინუოლების სისხლში?!

იმწუთას იქნებ პატარა მერიმაც რაღაც შეიცნო ბუნდოვნად. ქალები და მათი კაცები, ჰოდა, მისთვის მაშინ, იმხანად, მთელი საკაცეთი მართო ერთ მათ-განში — პატარა ტედში მოქცეულიყო. მერე კი, ხანი რომ გამოხდა, ტედის სა-ხეს იხსენებდა, — უჩვეულოდ დარბაისლურ, დაბერებული კაცის გამომეტყვე-ლებას, იმწუთას მის ნორჩ სახეზე აღბეჭდილს. ის კი არადა, მერის მოგვიანე-ბით ისიც კი აგონდებოდა, რომ ტედი თითქოს რაღაც ზიზღნარევი მზერით შეს-ცქეროდა ორთავეს, მამასაც და ქმასაც, თითქოს გულში ამბობდა, — ამასაც



ვნახავთ, ამასაც ვახავთ, ესეც სერიოზო. რა ბრძოლები არიან ჩემი ძმაც და მამამჩემიც! მე კი დიდი დღე არ მიწერია. მაგრამ ვიდრე ცოცხალი ვარ, ვაჩვენებთ რა ბიჭიცა ვარო, თუმცა, აბა, ამას... ათქმევინებდა. — ჯერ ხომ პირველი დედის რძე არ შეშრობოდა!

ეროვნული  
გმობა

- მათმა ძმამ დონმა მამისაკენ წადგა ნაბიჯი.
- შენ თუ ამას იზამ, მამა... — გაიმეორა მან.
- რა, თუ ამას ვიზამ?
- მე ამ ფერმიდან წავალ და ჩემს დღეში არ დავბრუნდები.
- შენი ნებაა, წაბრძანდი!

მამა თავზე დაადგა იმ ორ კაცს, ხეების მოჭრას რომ შესდგომოდნენ. თითოს თითო ხე ერგო. კურდღლისტუჩა ისევ ისე ქირჭილებდა და ეს ქირჭილი ვირის ყროყინსა ჰგავდა. კმარაო. — მკვახედ მიახალა მამამ და იმანაც ხელად ხმა გაიკმინდა. ჰაბუკი დონი იქაურობას გაეცალა და სრულიად უმიზნოდ გაემართა ფარდულეებისაკენ. ერთ-ერთ ფარდულეს რომ მიადგა, მერველა შეჩერდა. ლამის სარბილით შევარდა შინ ფერდაკარგული დედა.

ვაქმა სახლისაკენ ქნა პირი, მაგრამ შიგ არ შესულა: ორ უმცროს ბაბლს ისე ჩაუარა, თავიც არ მიუბრუნებია მათკენ. მამას ზედ არ შეუხედავს მისთვის. ვაქი ყოყმანით გაუყვა სახლის წინ გაკვალულ ბილივს. ჭიშკარს გასცდა და გზაზე გავიდა. გზა, რომელიც რამდენიმე მილზე გაჭიმულიყო, ველსა ქრიდა. მერე ქვევითკენ უხვევდა. მთაზე გადადიოდა და ოლქის მთავარი ქალაქისაკენ მიემართებოდა.

ისე მოხდა, რომ მარტო მერიმ დაინახა დონი, როცა ის ფერმაში დაბრუნდა. სამმა თუ ოთხმა დაძაბულმა დღემ ჩაიარა. შესაძლოა მთელი ამ ხნის განმავლობაში დედა და შვილი ჩუმ-ჩუმად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. — სახლში დროდადრო ტელეფონის ზარი ისმოდა. მამა მთელ დღეს ხნულში ატარებდა და შინ თუ იყო, ხმას არ იღებდა.

მერი ერთ-ერთ ფარდულეში იყო იმ დღეს, დონი რომ დაბრუნდა. მამა-შვილი ერთმანეთს შეხვდა. უცნაური იყო ეს შეხვედრა.

მას მერე მერი სულ იმას ფიქრობდა, რომ შვილი ლაჩრულად შემოიძურწა. მამა ახორიდან გამოდიოდა. — მუშა ცხენებისათვის მარცვალი დაეყარა. მერი არც ერთს არ დაუნახავს. გოგონა ფარდულეში დაყენებულ მანქანაში შეცოცებულყო და მძლოლის ადგილზე წამოსკუბებულსა და საჭეს ჩაჭიდებულს თავი ისე ეჭირა ვითომ მანქანას მართავდა.

— მაშ ასე. — თქვა მამამ. გულში თუ კიდევ ზეიმობდა, არაფრით გაუმხელია.

— ჰო, დავბრუნდი. — უთხრა ვაქიშვილმა.

— კი, ვხედავ. — უპასუხა მამამ. — არლა სიმინდის მოსავალს იღებენ. — იგი ფარდულის კარისაკენ გაემართა და შეჩერდა. — მალე ეს ყველაფერი შენი გახდება: ჰოდა, განმკარგულელებელიც მაშინ იქნები. — დასძინა მან.

მეტი აღარაფერი უთქვამს და ორთავე მამაკაცი იქაურობას გაეცალა. მამამ შორი ყანებისაკენ აიღო გეზი. შვილმა კი სახლისაკენ გასწია. მერის ეჭვიც არასდროს შეჰპარვია, რომ მათ შორის მერეც აღარაფერი თქმულა.

რას გულისხმობდა მამა?

როცა შენია, შეგიძლია იბატონო. — ბავშვისათვის ეს მეტისმეტი იყო. ცოდნა თანდათან მოდიხ. აი, რას გულისხმობდა იგი.)



შენ იქნები ვანშკარგულელებელი და თავის დროზე შენ შენი უნდა ქნა. (ხეუნნაირი კაცი ისე არ უნდა გატუტუცდეს, რომ აზიზმაზიზობას მოჰყვეს. ზოგი იმისათვის იბადება, რომ იბატონოს, სხვები კი მათ უნდა მოჩიოდნენ, შენი ჯერი რომ დადგება, დაიმორჩილებ კიდევ.)



ქრისტეშული

არსებობს ნაირსახეობა სიკვდილისა. რალაც უნდა მოკვდეს შენს სულში, ვიდრე მოიხვეჭ და ცხადზე უცხადესი იყო, რომ მარტო ერთსახოვნად როდი დაიარებოდა სიკვდილი, დონ გრეი სხვა სიკვდილით კვდებოდა, უმცროს ძმას, ტედს კი — ეგებ ახლა უკვე არცთუ ისე შორს იყო ეს დღე, — სულ სხვა სიკვდილი ეწერა. მერი იმ დღეს სირბილით გამოვარდა ფარდულიდან, დღის ნათელს მოწყურებული; და შერეც კიდევ კარგა ხანს არ ცდილა. ჭკუა-გონებაში გადაეხარშა მომხდარი, ეს კია, ხანი რომ გამოხდა, მასა და მის ძმას, ტედს, არაერთხელ ჰქონიათ სჯა-ბაასი იმ ორი ხის თაობაზე, ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ცივ ამინდში, მიაკითხეს კიდევ და თითებიტაც მოსინჯეს ძირკვები, მაგრამ იგრძნეს, სუსხი შეჰპარვოდათ. ტედი ისევე იმას იეინებდა, ხელ-ფეხს მარტო კაცებს ჰკვეთენ. მერი კი ვერა და ვერ შერიგებოდა ამ აზრს, ისინი კვლავ იმას ჩადიოდნენ, რასაც ტედს წინათ უკრძალავდნენ ზოლმე, მაგრამ დაშლით აღარავინ არაფერს უშლიდა და ერთი თუ ორი წლის შემდგ, სიკვდილი თავს რომ წამოადგა ბიკს, ღამით, სასთუმალზე დალია სული.

მაგრამ ვიდრე პირში სული ედგა, როგორც მერე მერი ფიქრობდა, უხვად ჰქონდა მომადლებული ის საოცარი სილაღე, აგრერიგად რომ შესისხლხორცებოდა და მასთან ყოფნა ნეტარება-სიამოვნებად ექცია, და ბოლოს მერიმ ირწმუნა, რომ რაკი სწორედ ამნაირი სიკვდილი იყო ტედის ბედისწერა, მას არასოდეს უფიქრია, — ოლონდ კი წარმატებულობა, ქონების ბატონ-პატრონობა გავინაღდოო, — თავის ძმასავით ქედი მოეხარა; ის არც არასდროს გაივლებდა გულში, თვალი გაესწორებინა იმ კიდევ უფრო მზაკვრული და შემადრწუნებელი სიკვდილისათვის, მის უფროს ძმას რომ ეწვია...

### გამგზავრება

ახალგაზრდა ჯორჯ უილარდი დილის ოთხ საათზე ადგა, აპრილი იყო და აეებზე ის-ის იყო იკვირებოდა ნორჩი ფოთლები, უაინსბურგის დასახლებული ქუჩების გაყოლებაზე ნეკერჩხლის ხეები გამწკრივებულან, მათი მარცვლელი კი აქეთ-იქით დაქარქარებენ; ქარის მონაქროლზე გაშმაგებულნი დაძრწიან, პაერს პირთამდე ავსებენ და ფეხქვეშ ხალიჩად ეგებიან გამვლელ-გამომვლელს.

ჯორჯი სასტუმროს მისაღებში ჩამოვიდა ყავისფერი ტყავის ჩანთით ხელში, მისი ჩემოდანი უკვე შეეფუთათ, ორი საათიდან ფხიზლობდა და წამოწყებულ მოგზაურობაზე ფიქრობდა, — ნეტავი ბოლოს რამე ხეირი თუ იქნება ამ მგზავრობაშიო, სასტუმროს მისაღებში მძინარე ბიკი იქვე, კართან იწვა გასამლელ საწოლზე; პირლია, კარგა გემოზე ხერინავდა, ჯორჯმა ფეხაკრეფით ჩაუარა საწოლს და ჩუმ, უკაცრიელ მთავარ ქუჩაზე გავიდა, აღმოსავლეთი ვარდისფრად შეედება ალიონს და სინათლის გრძელი ზოლები იკლავებოდა ცაში, რომლის კაბადონზე ჯერ კიდევ კიაფობდა აქა-იქ მობნეული ვარსკვლავები.

უაინსბურგში, ტრანიონ პაიკზე აღმართულ ბოლო სახლს იქით გაშლილი მინდვრებია გალაჭიმული კარგა დიდ სივრცეზე, მინდვრებს ეპატრონებიან



ფერმერები. რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ და სალამოს ტრანკონ პაიკის გავლით შინისაკენ მიემგზავრებიან მსუბუქი კრიალა ფურგონებში. მინდვრებში ნაირ-ნაირ ხილ-კენკროვანს ახარებენ. ზაფხულის სიცხეში, ხამულაღვას, გზა და მინდვრები მტვერში რომ გაეხვევა, ჯანლისფერი ბინდი გამოიხვევს. ვერცელ ტაფობზე, ერთს რომ გაჰხედავ, თითქოს ზღვას გაჰყურებოდა. ხომალზე, როცა მიწა მწვანით შეიმოსება, შთაბეჭდილებაც სხვაგვარია. ტაფობი, უხარ-მაზარ საბილიარდო მაგიდად იქცევა ხოლმე, რომელზედაც დაჯახირობს და დაცოდვილარობს ერთი ბეწო ადამიანი-მლილი.

ბავშვობიდან მოყოლებული, აგერ უკვე ყმაწვილკაცობამდე მიტანებულ ჯორჯ უილარდს ტრანკონ პაიკის მიდამოებში ხეტიალი ჩვევად გადაქცეოდა. ზამთრის დამეცებში, ყველაფერი თოვლში რომ გაეხვეოდა და მალლიდან მთვარე დაჰყურებდა მხოლოდ, რამდენჯერ მდგარა უკიდევანოდ გაშლილი მინდვრის შუაგულში: იქა მდგარა ადამიანი შემოდგომითაც, სუსხიანი ქარები თავს რომ დაჰზუზუნებდნენ და ზაფხულის სალამოებშიც, მწერების მოძახილზე ჰაერს თახ-თახი რომ გაუდიოდა ამ აპრილის დილას ისევ იქითკენ გაუწია გულმა. კვლავ სიჩუმეში სეირნობა მოუხდა, იქით გაეშურა, სადაც გზა ქალაქიდან ორი მი-ლის დაშორებით პატარა ნაკადულისაკენ ეშვებოდა. მერე კი შემოტრიალდა და კვლავ უკან გამობრუნდა უხმოდ. მეინ სტრიტს რომ მოადწია, დაინახა, სავიქ-როების წინ ნოქრები ქვაფენილსა ჰგვიდნენ. შენ, ეი, ჯორჯ, ხომ მაგრადა ხარ გამგზავრების წინო, — შეეხმიახენ ისინი.

დასავლეთისაკენ მიმავალი მატარებელი უაინსბურგიდან დილით გადის, შვიდ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე. გამყოლია ტომ ლიტტლი, მისი მატარებე-ლი კლივლენდიდან გადის და შემდეგ დიდ სარკინოვზო მაგისტრალს უკავ-შირდება, რომლის ბოლო სადგურებია ჩიკაგო და ნიუ-იორკი. რკინიგზელთა ენაზე თუ ვიტყვით, ტომს „კაი ცხოვრება“ აქვს: ყოველ სალამოს უბრუნდება თავის ოჯახს, ადრიაან შემოდგომასა და გაზაფხულზე კვირაობით ერის ტბაზე სათევზაოდ დაიარება. წითელი, მრგვალი პირსახე და პატარა, ლურჯი თვალები აქვს. თავისი რკინიგზის გაყოლებით მდებარე ქალაქებში ის უკეთ იცნობს ხალხს, ეოდრე დიდი ქალაქის მკვიდრი მის მრავალბინიან სახლში მცხოვრებ მეზობლებს.

ჯორჯი შვიდ საათზე გამოვიდა ნიუ უილარდ ქაუზიდან და პატარა დალ-მართს დაუყვა. მისი ჩანთა ტომ უილარდს მოჰქონდა. მამისთვის შვილს გაეს-წრო სიმაღლეში.

სადგურის ბაქანზე ყველანი ხელს ართმევდნენ ყმაწვილ კაცს. თხუთმე-ტამდე კაცი მისულიყო მის გასაცილებლად. ყველა თავის ამბავსა ჰყვებოდა. ძილისგულდა უილ ჰენდერსონიც კი, ხშირად ცხრა საათამდე რომ ვერ სწევდა თავს, ძილს შელეოდა ჯორჯი შეცბუნებული იყო. ჰერტრუდა უილმოტმა, ორ-მოცდაათი წლის მაღალმა, გამხდარმა ქალმა უაინსბურგის ფოსტამტში რომ მსახურობდა, სადგურის ბაქანს მოაშურა. აქამდე ჯორჯი ერთხელაც არ გაუხდია თავისი ყურადღების ღირსად, ახლა კი შეჩერდა და ხელიც გაუწოდა, ორი სიტ-ყვითა თქვა ყველას სათქმელი: გზა დამილოცნიაო, — პირქუშად უთხრა, მერე შებრუნდა და თავისი გზით წავიდა.

მატარებელი სადგურს რომ მოადგა, ჯორჯმა შვება იგრძნო. იგი სულ-მოუთქმელად შევარდა ვაგონში, აი, ელენ უაიტოც გამოჩნდა: სულ სირბილით ჩაეთავებინა მეინ-სტრიტი იმ იმედით, ორიოდ სიტყვას ვეტყვი გამოსათხო-ვარსო, მაგრამ ვაგს თავისუფალი ადგილისათვის მიუგნო და ქალიშვილისთვის



თვალი აღარ მოუკრავს. მატარებელი რომ დაიძრა, ტომ ლიტტლმა ერთი კი ჩაიჭირებინა და ბილეთიც გაუხვრიტა, მაგრამ არანაირი განსჯა-გარჩევით თავი არ შეუწყენია მისთვის, თუმცა კი კარგად იცნობდა ყმაწვილს და ისიც იცნობდა, რა სახათაბალო გზას დასდგომოდა. ტომს პატარა ქალაქიდან დიდი ქალაქის გზაზე დამდგარი ათასი ასეთი ჯორჯ უილარდი უნახავს; მსგავსი რამ უხეუბნელი არ იყო მისთვის. მოსაწევ ვაგონში ერთი მგზავრი ეგულეობდა, რომელიც მისთვის იყო სენდასკი-ბეიში სათევზაოდ დაეპატიუნა და ახლა ერთი სული ჰქონდა. მიწვევაზე თანხმობა ეთქვა და ყველაფერზე საგულდაგულოდ მოლაპარაკებოდა.

ჯორჯმა თვალი მოაწვინა ვაგონს და რაკი დარწმუნდა, არაფერი მიუტრიახებდა, უბის წიგნაკი ამოიღო და ფული გადათვალა. გუნებაში სულ იმას ნატრობდა, არიფობა არ დამეტყოსო. მამამისიც თითქოს სწორედ ამას გულისხმობდა, ასე რომ უთხრა გამომშვიდობებისას. — დიდ ქალაქში ყოფნისას, აბა, შენ იცი, როგორ მოიქცევი.

— გულისყურით იყავი — უთხრა ტომ უილარდმა, — ფულზე თვალი გეჭიროს, ფხიზლად იყავ, აი, ბილეთი, ნურავის აფიქრებინებ, უნახავიაო.

ჯორჯმა ფული რომ დაითვალა, ფანჯარაში გაიხედა და გაოცდა, — მატარებელი ჯერაც არ გასულიყო უაინსბურგიდან.

მშობლიური ქალაქიდან ფათერაკიან წუთისოფელთან შესაყრელად აბარგული ყმაწვილი კაცი საფიქრალს მიეცა, მაგრამ რაიმე დიდმნიშვნელოვანსა თუ დრამატულობის ელფერით აღბეჭდილს როდი დასტრიალებდა ჰაბუკის ფიქრები, ისეთი რაღაცები, როგორც იყო დედამისის სიკვდილი, უაინსბურგიდან გამგზავრება, არც თუ მთლად კეთილსაიმედო მომავალი ცხოვრება დიდ ქალაქში თუ მისი ყოფის სწვა უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი მხარეები, აინუნშიაც არ მოსდიოდა.

წერილმან ამბებს უფრო სწვდებოდა ყმაწვილის გონება, — იმას, თუ როგორ გადაჰქონდა ფიცრები ტერკ სმოლეტს დილით ქალაქის მთავარ ქუჩაზე; როგორ გაათია ერთხელ ღამე მამამისის სასტუმროში მაღალმა, ლამაზად ჩაცმულმა ქალმა; აგონდებოდა ბატჩ უილერი, უაინსბურგის მეფარნე, სწრაფად რომ მიაბიჯებდა ქუჩებში ზაფხულის ერთ საღამოს ჩირალდნით ხელში; ელენ უაიტი, უაინსბურგის ფოსტის შენობაში ფანჯარასთან რომ იდგა და კონვერტზე მარკას აწებებდა.

ჰაბუკი თანდათან ოცნებებს მინებდა: მისი გონება უკვე სხვაგან ქროდა. ერთი შეხედვით, დიდი ჰუკის პატრონობას ვერავინ დააბრალებდა, წერილმანი ამბების მოგონებებში ჩაძირულმა თვალეები დახუჭა და სავარძლის საზურგეზე გადაწვა, კარგა ხანს იყო ასე გადაწოლილი, ხოლო როცა წამოდგა და ვაგონის ფანჯრიდან კიდევ ერთხელ გადაიხედა, უაინსბურგი უკვე თვალს მოჰფარებოდა, იქ ჩავლილი ცხოვრება კი იმ ფონად ქცეულიყო, რომელზედაც მისი უკვე მოწიფული კაცის, ნაოცხებარი აღიბეჭდებოდა.

ინგლისურიდან  
თარგმნა რუსუდან მახათაძემ.



**მ**ოქტომბრის მიწურულია. წვიმს; მე ქალაქს ვარ. აგარაკზე. ტყის პირას მდგარი ჩემი სახლი დაბლობს გაჰყურებს. იგი მომცრო ბორცვებით ერწყმის ვრცელ პლატოს. გზისკენ მდებარე დაბლობით ოციოდე მილის მოშორებით, პორიზონტზე მოჩანს ვეება ჩიკაგო.

გზას ორთავ მხარეს არშიად გასდევს ფერადი ნეშო. წვიმის ჩამონატანი წითელ-ყვითელი ფოთლები ეკვრიან მიწას. არადა, რა დიდებული სანააფია. მოქროსტრად რომ გაიღვებენ და ქარდაქარ დაბლობში გაუჩინარდებიან.

გუშინ დილაადრიან გაველ სასეირნოდ. მაგრამ მიდამოს ნისლი ბურავდა და მხარი მექცა. ბორცვებით დავეში დაბლა. ჩემ წინ გაუვალ კედლად აღმართულ სქელი ნისლიდან ისე სასწაულებრივ ილანდებოდა ხეები, როგორც სინათლის წრეში. ფარნების ქვეშ ილანდებიან ხოლმე შეგვიანებული მგზავრები. მალეიდან ბურუსში ნელ-ნელა აღწევდა დღის შუქი. ნისლი ნელა მიცურავდა. ნელა მიცურავდნენ ხეთა კენწეროებიც. ხეების ძირში კი ნისლი იმ შავ კვამლსა ჰგავდა. ქარხნის მილებიდან რომ ეფინება ჩიკაგოს ქუჩებს.

ნისლში მოხუცი კაცი მომიახლოვდა. მე მას კარგად ვიცნობ. აქაურებს შერევილად მიაჩნიათ: თავში ვერა აქვს საქმე კარგადო. — ამბობენ ისინი. მოხუცი უღრან ტყეში ცხოვრობს მარტო, პატარა სახლში. ერთი ძაღლი ჰყავს, რომელსაც მუდამ ხელში ატატებულს დაატარებს. დილაობით ხშირად შევხვედრივარ მოხუცს. იგი მიაშობდა ხოლმე იმ ადამიანებზე, რომლებიც მისი ძმები და დები, ბიძაშვილები და დეიდაშვილები, დეიდები, ბიძები და სიძეები იყვნენ. კაცი ვერ გაიგებდა ვერაფერს. ადამიანებთან საერთოს ვერ პოულობდა. ამიტომ გაზეთში რომ ამოიკითხავდა ხოლმე რომელიმე კაცის სახელს, მერე ამ სახელის გარშემო ავითარებდა თავის ფანტაზიას. ერთხელ შეხვედრისას მითხრა. კოქსი ჩემი ბიძაშვილიაო. — სწორედ ის კოქსი, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატად იყო წამოყენებული იმ ხანებში, ხოლო ამას წინათ მიმტკიცებდა. კარუზოს ქვისლი ვარო — დიახ. საქვეყნოდ სახელგანთქმულ. ცნობილ კარუზოსიო.

— მისი მეუღლე ჩემი ცოლის დაა. — განაგრძობდა მოხუცი. თან ძაღლს იკრავდა გულში. — ადრე ყველანი ერთად ვცხოვრობდით და დილაობით ხელიხელჩაკიდებულნი დავსეირნობდით. მერე ჩემი ცოლის და გათხოვდა. მომლერალს გაჰყვა... ასე დავმოყვრდით მე და კარუზო! — მოხუცის უფერული, წყლიანი თვალები აშკარად მოითხოვდნენ, მემუდარებოდნენ. ექვი არ შემპარვოდა მის ნათქვამში.

ვიცოდი, მოხუცს ცოლი არასოდეს ჰყოლია, და ცოტა არ იყოს გაკვირვებული დავშორდი. ერთხელ თავისსავე ჯარგვალთან ვნახე, ხისძირას ჩამომაჯდარი. ძაღლმა შემომყეფა. მაგრამ მაშინვე უკან გამოცუნცულდა და პატრონს შეაფარა თავი. იმხანად ჩიკაგოს გაზეთები ერთი მილიონერის სასიყვარულო ამბით იყო აჭრელებული. ვილაც მსახიობი ქალის გამრ დიდი უსიამოვნება ჰქონოდა ოჯახში... ის მსახიობი ჩემი და არისო, მითხრა მოხუცმა და მიამბო, ბავ-



შეობა ერთად როგორ გაატარეს, თუმცა მათ შორის მთელი ორმოცი წელი იყო სხვაობა: ქალს ჯერ ოცი არ შესრულებოდა, მოხუცი კი სამოცს გადაცილებოდა უკვე.

— ალბათ არ გჯერათ, ახლა რომ ასე მხედავთ... — თქვა მან, — ჩვენ <sup>დაბადების</sup> ბები ვიყავით. ფერდობზე გვედგა ფარღალა ქოხი. მახსოვს, ერთხელ ქატი ამოვარდა, კინალამ წაგვიღო. ოპო-პო-პო, რას უბერავდა, რას უმუხრებდა... მა ხურო იყო და სხვებს უშენებდა გამძლე სახლებს, თავისთვის კი ველარ მო-ახერდა... — დანანებით გადააქნია თავი: — ჩემს დას, მსახიობს ცუდი ბედი ეწია... მოფამფალეებული ჩვენი სახლი... — ბილიკზე მიმავალს, ზურგს უკან მეს-მოდა მისი ბუტბუტი.

მერე გაზეთები მთელი ორი თვე ერთ საზარელ დანაშაულზე წერდნენ. ქმარმა ცოლი მოკლა, მიზეზი კი ვერ ამოეხსნათ. საქმე კი ასე იყო:

კაცი, რომელიც ახლა უკვე ბრალდებულია და სახრჩობელაც არ ასცდება, ველოსიპედების ქარხანაში ოსტატად მუშაობდა. ცხოვრობდა იქვე, ჩიკაგოში, ოცდამეთორმეტე ქუჩაზე, მეუღლესა და სიდედრთან ერთად. პოდა, ამ კაცს თურმე იმავე ქარხანაში მომუშავე გოგო შეუყვარდა. გოგო აიოვას შტატიდან ყოფილა ჩამოსული და დეიდას შეპყვდლებია, რომელიც ამყამად ცოცხალი აღარ არის. ტლანქ, ყუყუჩ, ნაცრისფერთვალეებიან ოსტატს პირველი შეხედვისთანა-ვე მზეთუნახავად მოსჩვენებია გოგო, ქალიშვილის მაგიდა საამქროს ბოლოში, ფანჯარასთან იდგა. ოსტატის ანგარანიც ფანჯარასთან იდგა. აქ იგი მუშე-ბის ტაბელს ავსებდა და თან დროდადრო გოგოსაკენ აპარებდა მზერას. თავში ჩაიბეჭდა. ეს გოგო უჩვეულოდ ლამაზიო, მაგრამ არ უფიქრია დაახლოებოდა, ან მისი სიყვარული მოეპოვებინა. ვარსკვლავს უჭვრეტენ ასე, ანდა გორაკებს. ოქტომბრის თვეში, როცა იქ კელექტრებივით აენთებიან გადაყვითლებული ხეები. „იგი წმინდა, სუფთა არსებაა“, — ხშირ-ხშირად იმეორებდა ოსტატი, თან ცდილობდა გამოეცნო, რას ფიქრობდა ახლა თავის მაგიდასთან მოფუს-ფუსე გოგო.

ოსტატმა ერთი-ორჯერ ისიც კი წარმოიდგინა, როგორ მიიყვანა აიოველი ქალიშვილი თავის სახლში ოცდამეთორმეტე ქუჩაზე, თავის ცოლთან და სი-დედრთან. მთელი დღე, ჯერ საამქროში, მერე შინ, თვალწინ ედგა მისი ხატება. საღამომობით, თავისი სახლის ფანჯრიდან, ილინოისის რკინიგზის მიღმა ლურ-ჯად მოლივლივე ტბას რომ გაპყურებდა, გოგოც გვერდით ედგა. ქუჩაში მოსე-ირნე ქალებიც ამ აიოველ გოგოს ჰგავდნენ — ზოგი სიარულით, ზოგი მიხერა-მოხვრით: ყველა ქალი, გარდა სიდედრისა და ცოლისა, რაღაცით ჩამოჰგავდა მას.

მასთან ერთ ჰერქვეშ მცხოვრები ეს ორი ქალი კაცს სულს უხუთავდა. აღი-ზიანებდა, რატომღაც უსიამონი გაზდნენ ორივენი. მეტადრე ცოლი ქცეულიყო უამურ ბირკად, მიპყვროდა და ველარ იშორებდა.

ოსტატი საღამომობით ქარხნიდან დაღლილი ბრუნდებოდა და სადილობდა. სიტყვაძვირი კაცი იყო და თუ სუფრასთან არ ლაპარაკობდა, არც არაეინ აქ-ცევდა ყურადღებას. ნავახშმევს კინოში დაჰყავდა ცოლი. კინოდან დაბრუნების შემდეგ ისხდნენ და ისვენებდნენ. ქალს კიბეზე ამოსვლა ლლიდა, ჩაჯდებოდა ხოლმე სავარძელში დედამისის გვერდით და მძიმედ სუნთქავდა. ორი შვილი ჰყავდათ და მალე მესამესაც ელოდნენ.

სიდედრი — ოჯახის უფასო მოახლე — სიკეთისა და სათნოების განსა-ხიერება იყო. კინოში რომ მიიპატივებდნენ, ღიმილით ჩაიქნევდა ხელს:



— თქვენ წადით, შეილებო, მე არ მინდა, შინ მირჩევნია ვიქდე. — წიგნს ჩაუჭდებოდა და კითხულობდა, უმცროსი ბიჭი ტირილით იღვეებდა ქალმა იცოდა, რაც აწუხებდა, და სწრაფად ქოთანზე სვამდა.

კინოდან დაბრუნების შემდეგ კაცი მეტწილად გაზეთს ჩააყურებდა სახლში, თავი ისე ეჭირა, ვითომ კითხულობდა, სინამდვილეში კი ყველაფერს ათვალთვრებდა, მუშაობის დამთავრების შემდეგ საპნით ვაშლით ველოსიპედის საპოხი ზეთი მაინც შავ ლაქად ჩასჯდომოდა. ფრჩხილებში, ქუჩკიან, სადაგელ არსებად მიაჩნდა თავი და ეს ტანჯავდა. აიოველ გოგოს კი ლამაზი, თეთრი თითები ჰქონდა, რომლებიც მანქანის კლავიშებზე ლაღად დანაეარდობდნენ.

გოგომ იცოდა, ოსტატს რომ უყვარდა, და ეს ალელვებდა, დედის გარდაცვალების შემდეგ ავეჯით გაწყობილი ოთახები დაიჭირავა და სალამოობით საქმე აღარაფერი ჰქონდა. თუმც ეს კაცი დიდად არ იზიდავდა, მაინც შეეძლო რაღაცად გამოეყენებინა: ასე იქცა იგი ქალისათვის სიმბოლოდ, კანტორასთან ჩავლისას კაცი კართან შეყოვნდებოდა ხოლმე. გოგო უყურებდა ზეთში მოსვრილ ოსტატს, მაგრამ მის ნაცვლად კარებში მალაღ, მოხდენილ ვაეს ხედავდა. რომელსაც ამ კაცისა მხოლოდ თვალები ჰქონდა, ოსტატის უცნაურად აგიზგიზებული ნაცრისფერი თვალები თაყვანისცემასა და მოკრძალებას გამოხატავდნენ. ქალიშვილი გრძნობდა, რომ ასეთი თვალების პატრონის გვერდით მას არაფრისა შეეშინდებოდა.

იგი ოცნებობდა სწორედ ასეთ თვალებიან გულისსწორზე. ხანდახან, ძალზე იშვიათად, ვითომ საქმემ შეიყოლიაო, კანტორაში განგებ შეიცდიდა. ფანჯრიდან ჩანდა, ოსტატიც როგორ ითრევდა ფეხს ანგარანში, კანტორიდან ხალხი რომ გაიკრიფებოდა, გოგო მაგიდის უჭრებს კეტავდა და მიდიოდა. მალე ქარხნის ალაყაფთან ოსტატიც გამოჩნდებოდა.

ტრამვაის გაჩერებამდე რამდენიმე კვარტალი ფეხით მიდიოდნენ. ქარხანა ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა და ვიდრე ტრამვაის ხაზს მიაღწევდნენ, ქუჩებში უკვე წვებოდა ბინდი. ქუჩკიან ქვაფენილზე, ხის შეუღებავი სახლების წინ, ბავშვები თამაშობდნენ. ქალიშვილი და მისი მხლებელი კაცი ხიდზე გადიოდნენ: წყალში ნახშირსაზიდი ძველი ბარყები ღებობდნენ.

კაცი მძიმედ მიაბიჭებდა, თან ხელების დამალვას ღამობდა. ქარხნიდან გამოსვლისას საგულდაგულოდ იბანდა საპნით, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს წარმოების ნარჩენი ქუჩკიანი ჯართი ეკიდა მხრებზე. მხოლოდ ერთი ზაფხული ვაგრძელდა ასე, ისიც სულ რაღაც ერთი-ორჯერ დაემგზავრნენ ერთმანეთს.

— ცხელა ღღეს, ალბათ გაწვიმდება... — ამბობდა ოსტატი.

სხვა თემაზე მას არასოდეს უსაუბრია, გარდა ამინდისა.

გოგო კი ამ დროს ოცნებობდა ახალგაზრდა მოხდენილ ვაეზე, რომელიც უსათუოდ მდიდარი უნდა ყოფილიყო და სახლი და მამულები უნდა ჰქონოდა. ამ კაცს კი, ახლა მის გვერდით რომ მიაბიჭებდა, ამ ოცნებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ქალიშვილს რცხვენოდა კიდევ მასთან გავლა, მიტომაც ითრევდა ფეხს კანტორაში და თუ ხანდახან მაინც გაცილების ნებასა რთავდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვალები მოსწონდა მისი, თანაც ოსტატის გვერდით თავს ლაღად გრძნობდა და არაფრის არ ეშინოდა. იცოდა, კაცი არც ეცდებოდა როდისმე ოდნავ მაინც მიჰკარებოდა, ოდნავ მაინც დაეკარებინა მისთვის ხელი.

სალამოობით ოსტატი შინ შეუღლესა და სიდდერსთან ერთად იჯდა ხოლმე



ელექტრონით განათებულ ოთახში. გვერდით ბავშვებს ეძინათ. მალე მესამეც შემოემატებოდათ. ცოლ-ქმარი დღეს კინოში უკვე იყვნენ და ახლა დასაწოლად ემზადებოდნენ.



თ. წევს კიდევ ივალგახელილი. ცოლის გვერდით. მეორე ოთახში მის ზამბარების კრიალი — სიდეროც წვება. ცხოვრება ვიწრო და ხეივანურია ჩაჭედული. მთელი ღამე ასე უნდა იწვეს და ელოდოს — რას ეტყობა არაფერს... მერე ბავშვი წამოიტირებს და ბუბიაც მას ქოთანზე სვამს. არაფერი უცნაური ან უჩვეულო ან საგულისხმო არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს. ცხოვრება თითქოს მარწყუბებშია მოქცეული. ერთფეროვანია. ოჯახში სულ ოდნავადაც კი არ ეკარება მის გულს რაიმე: არც ცოლთან გამოლაპარაკება, არც მისი მიმკრალი ვნების იშვიათი გამოვლენა და აღარც სიკეთე სიდერისა, რომელიც უსასყიდლოდ ასრულებს მოახლის მოვალეობას.

ოსტატი ზის ელექტრონით განათებულ ოთახში. გაზეთს ჩაპურებს და ფიქრობს თავისსავე ხელებს დასცქერის მუშა კაცის დიდრონ მოუხეშავ ხელებს.

აიოველი ქალიშვილის ხატება დაფრინავს ოთახში. ისინი ერთად გადიან ქუჩაში. უბნოდ მიაბიჯებენ. ან რა საჭიროა ლაპარაკი? ზღვისპირას დასეირნობენ. მთაზე ადიან. წყნარი. ნათელი ღამეა; ცაზე ვარსკვლავები კრთიან და აიოველი გოგოც ვარსკვლავია. რა საჭიროა ლაპარაკი? მისი თვალები ვარსკვლავებსა ჰგავს. მისი ტუჩები კი — ვარსკვლავთა მკრქალი შეუქით განათებულ დაბლობზე ამოზიდულ ხავერდოვან ბორცვებს. „ის ვარსკვლავივით შორეულია და მიუწვდომელი. თუმცა კი ისევე არსებობს და ცოცხლობს. დადის და სუნთქავს. როგორც მე“.

ქოდა. ერთ საღამოს. ველოსიპედების ქარხანაში ოსტატად მომუშავე ამ კაცმა ცოლი მოკლა. ახლა საქმეს სასამართლო არჩევს და გაზეთებიც ყოველდღე ამბაზე წერენ. იმ საღამოს. ჩვეულებისამებრ. კინოში იყვნენ. დაახლოებით ათი საათი იქნებოდა. შინ რომ ბრუნდებოდნენ. ოცდამეთორმეტე ქუჩაზე. იქვე. სააღმოსავლეთიდან ახლოს. უეცრად ბნელი შესახვევიდან ამოვიჩნთა და კვლავ სიბნელეში გაუჩინარდა ვიღაც უცნობი. ჩანს, ამ წვრილმანმა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო შემთხვევაში. შთააგონა ოსტატს მოეკლა ცოლი.

სახლს რომ მიატანეს და ჩაბნელებულ სადარბაზოში შეაბიჯეს. კაცმა უცებ და თანაც აღმათ ყოველგვარი წინასწარი ფიქრის გარეშე. ჩიბიდან დაწინა ამოიღო... „ბომ შეიძლება იმ უცნობს. წელან რომ სიბნელეში მიიმალა. ჩვენი მოკვლა ხდომოდა“. — გაიფიქრა მან. დაბა გახსნა. მოტრიალდა და მოულოდნელად ჩასცა მუხლს. გაცოფებულმა ორჯერ მოუხაცვლა. ათჯერ... ქალმა დაიყვირა და დაეცა.

დარაჯს სადარბაზოში გაზის ფარხის ანთება დაიწყებოდა. მერე და მერე ოსტატმა დაასკვნა. რომ სწორედ ეს გარემოება — და აგრეთვე საექვო უცნობის გამოჩენაც — ვაბდა მიზეზი მკვლელობისა „რა თქმა უნდა. მე ამას არ ვიზამდი. სადარბაზოში რომ შექი ყოფილიყო“.

იდგა გასასვლელში და ცდილობდა მომხდარი ამბავი გაეაზრებინა. ქალი კი უსულოდ ეგდო მის ფერხთით. მასთან ერთად მოკვდა ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვიც. სადღაც. ზემოთ. კარბა გაიჭრიალა და მერე ყველაფერი მიყუჩდა. ცოლი და ამკვეყნად მოუელენელი ბავშვი მკვდრები იყვნენ — მორჩა და გათავდა.

ცდილობდა სასწრაფოდ რამე მოეფიქრებინა. კიბეზე ფეხი შედგა თუ არა.



დანა ჯიბეში ჩაიდო. როგორც მერე ნახეს, არც ხელზე, არც ტანსაცმელზე სისხლი არ ეცხო. დანა კი, ოდნავ რომ დამშვიდდა, საფულდაგულოდ გარეცხა სააბაზანოში.

თავს დაგვესხნენ... — გაზეპირებულივით იმეორებდა ერთსა/და იმავეს. — ვილაც კაცი მოგვდევდა უკან. სადარბაზოშიც შემოგვეყვებოდა, ბნელოდა. დარაჯი რომ გარჯილიყო და გაზი აენთო... გმზღმმმმმმ

ხოლო შემდეგ... ერთმანეთს შეებნენ და სიბნელეში ცოლი მოუკლეს. ზუსტად ვერ იხსენებდა, როგორ მოხდა ეს.

— სადარბაზოში ბნელოდა. — მალიმალ იმეორებდა იგი. — აი, დარაჯი რომ გარჯილიყო და გაზი აენთო...

ერთიორი დღე დაკითხვით დიდად არ შეუწყუხებიათ ოსტატი და მანაც მოასწრო დანა მოეშორებინა თავიდან. ჩიკაგოს სამხრეთ ნაწილში გავლისას მდინარეში გადააგდო იმ ადგილას. სადაც მიტოვებული ნახშირსაზიდი ბარყები ლპებოდნენ ხიდქვეშ. სწორედ ამ ხიდზე უხდებოდა გავლა ზაფხულში სალამო ხანს. როცა ვარსკვლავივით მიუწვდომელ წმინდასა და "შორეულ — და ამავე დროს ვარსკვლავთაგან გამორჩეულ გოგოს ტრამვაის გაჩერებამდე მიაცილებდა.

მერე ის დააბატიმრეს და მაშინვე აღიარა დანაშაული, მოყვა, როგორ მოხდებდა რაც მოხდა. მან განაცხადა, არ ვიცი, რისთვის მოვეკალიო. ცდილობდა აიოველი ქალიშვილი არ ეხსენებია, გაზეთები ამაოდ ცდილობდნენ გამოეცნოთ მიზეზი ამ საშინელი დანაშაულისა. დღესაც ცდილობენ, მერე ვილაცას ერთიორჯერ უნახავს ქუჩაში ქალიშვილთან ერთად მიმავალი ოსტატი. ამრიგად, აიოველი გოგო გარეული აღმოჩნდა ამ ამბავში და მისი ფოტოსურათებიც მოათავსეს გაზეთებში. რაც სულ არ სიამოვნებდა ქალიშვილს. მაგრამ მან, რა თქმა უნდა, იოლად შეძლო დაემტკიცებინა, რომ ამ კაცს მასთან საერთო არაფერი ჰქონდა.



წუხელ, ნაშუალამევს, სკელ ნისლში გაეხვია ჩვენი სოფელი, რომელიც უზარმაზარი ქალაქის მახლობლად მდებარეობდა. მე ალიონზე გაველ სასეირნოდ. უკან დაბრუნებისას ბორცვებთან შევხვდი ისევ იმ მოხუცს, რომელსაც მეტისმეტად ჩახლართული და უცნაური ნათესაური წრე ჰყავდა. ერთი ხანობა მოხუცი გვერდით მომყვებოდა. ხელში სიცივისაგან მთლად აკანკალებული ძალლი აეტატებინა. ბურუსში მოხუცის სახე გარკვევით არ ჩანდა, ხან წინ და ხანაც უკან ნელ-ნელა ამოიზიდებოდა ხოლმე ბურუსში ხეთა კენწეროებთან ერთად. მოხუცმა წამოიწყო გაზეთში ამოკითხული ერთი კაცის ამბავი, რომელმაც ცოლი მოკლა. ამ კაცის სახელით აკრელებული იყო გაზეთები. ეს გაზეთები ყოველ დილით მოჰქონდათ ქალაქიდან ჩვენს სოფელში. მოხუცი გვერდით მომყვებოდა და მიამბობდა, როგორ ცხოვრობდნენ ოდესღაც ერთად ის და მისი ძმა, რომელიც ახლა მკვლეელი გახდა.

— კი, ჩემი ძმაა, — დაბეჭითებით ამბობდა და თავს მიქნევდა, რათა უფრო მერწმუნა ნათქვამი. — ჩვენ ერთად ვიზრდებოდით და ერთად ვთამაშობდით კალოზე, მამისეული სახლის უკან. მერე მამა მეზღვაურად მოეწყო გემზე და მაშინ იყო სწორედ, გვარები რომ აგვერია, იცით თქვენ, როგორ ხდება ეს. როცა შეიღებო მარტო რჩებიან, გვარი გვაქვს სხვადასხვა, თორემ ალალი, ღვიძ-



ღიშნული ვართ გვიყვარდა მამისებური სახლის უკან კალაქში თანაში. გვიყვარდა კალაქში წილი... რა კარგი იყო... თანაში...



ეროვნული  
შინაგარეო  
საზოგადოებრივი  
კავშირების  
სამსახური

მისი მოხუცი გახდათ სხეული ზეგონებით... თითქოს მათში დავიწყებულ ქალბატონს მოპყვა ჩამომხრეული... ვედრობოდა დამკვირვებელი... რასაც მისი ტუჩები წარმოთქვამდა... მოსახეშიც უველიაფერო არადასირია, სათვალავი დამეკარგა მისი მოყვრებისა და ნაპრობ-მეგობრობისა. მეორე ამ ქალბატონ თანდათან გამოიკვეთა აზრი და მივხვდი, რომ სული კაცისა, რომელიც ცოლი მოკლა, შესახლებულიყო ამ საბრალო, კული მოხუცის სულში, მოხუცისა, რომელიც ცდილობდა ჩემთვის მოკვლას, რასაც ვერასდროს მოყვებოდა იქ, ჩიკაგოში, სასამართლოზე, კაცობრიობის მათად აღმოჩნდა მიუწვდომელი სილამაზისაგან, ადამიანთა მართობის სუვერენი ამბავი აღეოებოდა ახლა მის ბაგეთაგან, და იდგა ჩემ წინ ნისლიან ღილას ძაღლურ ხელში, მიუსაფარი, საბრალოდ აბუტბუტებული მოხუცი, რომელიც მართობის გამო შეშლილიყო.

მოხუცი ისე მაგრად იკრავდა ძაღლს მეერდში, რომ საბრალო ძაღლი ტყვილისგან წკმუტუნებდა. მოხუცს მთელი სხეული ისე უძაგდაგებდა, თითქოს სული მისი ცდილობდა სხეულიდან თავის დახსნას, რათა გაერღვია ნისლი, გაეღწია ამ ხეობიდან და ჩაფრენილიყო ქალაქში თავის მილიონერთან, მოძღვრალთან, პოლიტიკოსთან, მკვლელთან, — დებთან და ძმებთან, ისე ძლიერ იყო ეს სურვილი, რომ მეც ავცახცახდი, ძაღლი წკმუტუნებდა, ისე მაგრად იხლტებდა მოხუცი გულში, ხელი რომ გავაშვებინე, ძაღლი ძირს დაეცა და გულსაკლავად აღივლავდა — ეტყობა, რაღაც ეტყინა, იქნებ შეეჩებო ჩემტვრა, მოხუცი ისე დასცქეროდა მის ფერხთით დაგდებულ ძაღლს, როგორც ოსტატი დაჰყურებდა იმ საღამოს ჩაბნელებულ სადარბაზოში მის მიერვე მოკლულ ცოლს.

— ჩვენ ძმები ვართ, ალალი ძმებო, ვვარი გვაქვს მხოლოდ სხვადასხვა, — თქვა მან კვლავ — კლონდ ეს არის, მამაჩვენი მეზღვაურად მოეწყო გემზე...



მე ქალაქგარეთ ვარ აგარაკზე, წვიმს, გზის გადაღმა, ჩემ თვალწინ თანდათან გაუჩინარდა ბორცვეთი და მათ ხაცულად გადაიჭიმა დაბლობი, დაბლობის მიღმა კი — ქალაქი, სულ რაღაც ერთი საათის წინ მოხუცმა ჩაიარა ჩემი ფანჯრის წინ, ძაღლი აღარ ეჭიოა ხელში, შესაძლოა, როცა ჩვენ ვსაუბრობდით, მოხუცმა მამიბ ამოართვა სოფლი თავის თანამგზავრს, შესაძლოა ოსტატის ცოლისა და მისი გაუჩინებელი მესამე შვილის მსგავსად, ძაღლიც აღარ არის უკვე ცოცხალი.

წვიმისაგან ჩამოცვენილი ფოთლები ზედ ჩემი ფანჯრის წინ შარავზას რთავენ, ყვითელი, წითელი, მოოქროსფერო ფოთლები მძიმედ ეშვებიათ მიწაზე, წვიმამ უღმობლად დააკრა ისინი მიწას, მათ აღარ ეწყობიან ერთხელ კიდევ გაიღვინ ქაში ოქროსფერად, არადა, რა კარგია, როცა ოქტომბრის ქარი შორს ფანტავს ფოთლებს დაბლობზე რა კარგია, როცა ფოთლები ცეცხლ-ცეცხლით უჩინარდებიან.

ინგლისურიდან  
თარგმნა იანა შაქვიშვილიძე.







თარგმნა ბედა ბარძანაძე

ხანის ეპოქაში ცხოვრობდა ძია ი (201-169). რომლის ერთდროულად და ლიტერატურულმა ტალანტმა აღრე მიიქცია თანამედროვეთა ყურადღება. იყო წლის ძია ი ეკვე იმპერატორის სასახლის კარზე იქნა მიღებული. მალე ბოშის წოდებაც უბოძეს. რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს საუკეთესო მოღვაწეებს ენიჭებოდათ. მოწურნეებმა მოახერხეს ის, რომ ძია ი სასახლიდან განედევნათ. იგი გაგზავნილ იქნა ჩანშაში, ამ მხარის პატრონის მოძღვრად, ფაქტიურად, ეს იყო გადასახლება. სწორედ ჩანშაში შექმნა ძია იმ თავისი სახელგანთქმული „ოცნათეობა“, რომელიც ფილოსოფიური პოეზიის ძრწვინვალე ნიმუშია და რომელშიც აისახა ავტორის დასისიტერო იდეები და შეხედულებები.

გადასახლებიდანს ხუთი წლის შემდეგ ძია ი ისევ დაბრუნეს სასახლეში და იმპერატორის ვაჟიშვილის ამბროდიელს დაინიშნეს.

მთარგმნელი

როცა ი ჩანშას მთავრის მოძღვარი იყო, მესამე წელს მის საცხოვრისში ბუები შემოფრინდნენ და იქვე ჩამოსხდნენ. ხოლო ბუ კეთილის მაუწყებელი ფრინველი როდია. ი რომ ჩანშაში საცხოვრებლად იქნა განწესებული, ეს მხარე ნესტიან და უბადრუკ ადგილს წარმოადგენდა. ი მოთქვამდა და მწუხარებდა, ფიჭრობდა, — დიდხანს ვერ გავატან ცოცხალიო, და ეს ოცნათეობა, რათა მისდამი დიდხულოვნება გამოეჩინათ. აი, ასე ითქვა ეს ოცნათეობა:

შანიეს წელიწადს!  
მეოთხე თვეს. ზაფხული რომ ძალას იკრებდა.  
გენ-ძის დღის დამლევს,  
ჩემს საცხოვრისში შემოფრინდნენ ბუები და  
შორიასხლოს ჩამომისხდნენ.  
აუღმვრეველი და გულგრილი სახე-იყრიათ...  
გაგიკვირდება, თავისთავად, რაა მიზეზი.  
უჩვეულო არსებანი მრავლად როცა გამოჩნდებიან:  
გამოსაცნობად წიგნი მოვჭებრიკე,  
და წიგნმა რიცხვი მიმიითითა.  
ხოლო რიცხვქვეშ წინასწარმეტყველება ამგვარად ეღერდა:  
„სახლიდან, სადაც უცხო ფრინველი შეფრინდება,  
პატრონი წავა!“  
„ხედა მომეცი, ვკითხო, ბუო,  
რა მიზეზით წავალ სახლიდან?  
იქნებ კეთილი მიზეზით წავალ?“





და თუ მიზეზი გლოვისაა, თქვი — რაშია უბედურება  
 მკირე იქნება, თუ ხახვრძლივი მოლოდინი  
 დრო მიმიოთიყ!"  
 ამოიხვნეშებს პუ მწუხარად  
 თავს ამართავს, ფრთებს გაისწორებს...  
 „თუ შენი ბაგე უმწეოა სიტყვის სათქმელად,  
 გულის ფარული სიღრმეებით, ვთხოვ, მიპასუხე!“  
 „ცვლილებათა და გარდასახვათა განმცდელია ნივთთა სიბნელე,  
 არ უწყიან მათ სიმშვიდე და მოსვენება  
 მორევის მსგავსად მოძრაობენ:  
 მოძრაობა ვინაც დაიწყო უკუიქცევა,  
 ცოლ და ხილული ფორმები ერთურთს ენაცვლებიან,  
 სწორედ ისე, კრიჭინას მატლი გარსისგან რომ თავისუფლდება,  
 სიტყვა ეცისა უძლეურია, რათა გამოთქვას  
 ამ ყველაფრის უსაზღვრობა და სიღრმე და იდუმალება!  
 ო, უბედურებანი! მათზეა დამენებული ბედნიერება!  
 ო, ბედნიერება! მის უკან იმაღვიან უბედურებანი!  
 სიბარუღნი და მწუხარებათა ერთ ქიშკართან მოგროვდებიან,  
 სიკეთე და ბოროტება ერთსა და იმავე ადგილებში დასახლდებიან,  
 უს სამეფო ხომ დიადი და უძლეველი სამეფო იყო,  
 ზოლო ფუ-ჩამ მარცხი იწვნია,  
 ოდენ გუიძის მეფე იყო იუე, ზოლო  
 გოუ ძიანი მბრძანებელი გახდა ქვეყნისა!  
 წარმატება მოუპოვა ლი სის ხეტებად,  
 აღესრულა ეი ხუთი სასჯელითა!  
 ფუ იუე, კატორღელი რომელიც იყო,  
 კანცლერი გაბდა მერმე უ-დინის!“  
 ვით გაიმიჯნოს ერთ ჩაღიჩად განასკვულო  
 ეგე ძაფები სიბარუღლის და მწუხარების?  
 არ მოიგონდება ბედის წიხასწარმეტყველება  
 უცნობია მისი საზღვარი!  
 ჩქარადმავალი თუა წუალი გვალვა იქნება?  
 ზოლო ისოები თუა სწრაფი შორს მიფრინავენ!  
 ერთი ნივთის ბნელი სხვა ხივთს აღვესებს ბნელით,  
 აფხიზლებს და გაესიტყვება, საპასუხოდ წრებრუხვით ივლის  
 ანაოროტელი რომ ღრუბლდებისკვს ასწრაფდება — წვიმა იქნება:  
 ერთურთათაა უოველიოე კავშირდებულო, ერთმანეთში ჩაწხულა და  
 გადინასკვულა.

ნივთებს განფანტავს თუნის დიდი წრე —  
 მას საზღვრები არ გააჩნია.  
 ვერავეინ შეძლოს გონებით ცის საცნაურყოფა,  
 ვერავეინ შეძლოს ჩვენს ხრახვებში დაოს" მოხილვა,  
 განა ვინ უწყის თავისი ვადა?  
 ეს ეამი მალე დადგება თუ დადგება ვვიან — ამას ბედი განაპირობებს".  
 მაშ ასე, ცა და დედამიწა — სადნობია ეგე ლეძელა.



შენება და გარდასახვანი - აი, მდნობელი:

ათ. მისი ქვანახშირი - ინი, იანი;'

მირიადი ნივთი. -- მათ მიერ გამოდნობილი ათ. ბრიჯალ

შეერთება და მიმოთანტვა. გაქრობა და კვალად

განა არის რამე უცვლელი?

მირიადი გარდასახვა. ათასობით ცვალებადობა --

მათი ბოლო არვის უნახავს!

უკითხავად და მოულოდნელად გაჩენილხარ ადამიანად --

და ღირს განა. მას მიეტმასნო?

სხვა ნივთადაც რომ გადაიქცა --

ამის გამო ღირს განა გლოვა?

მცირედი სიბრძნე თავეკრძია.

მხოლოდ საკუთარ „მე“-ს დარაჯობს. სძულს დანარჩენი.

ხოლო იმათთვის, ვინც არსს სწვდება და ღიადს განჭვრეტს.

ნივთთა შორის არ არსებობს რამე უღირსი.

კაცი ლატაკი სიმდიდრისთვის მისცემს სიცოცხლეს.

მამაცი და გულოვანი - სახელისათვის.

ხოლო ღიადების მოყვარული ძალაუფლების დასაპყრობად თავს არ დახოგავს.

ჩვეულებრივი ადამიანი სიცოცხლის მეტს არაფერს ნატრობს.

იძულებათა. ცდუნებათა მრავალი მონა

ხან ამას და ხანაც იმას დასწაფებია.

მაგრამ ოდენ ღიადი კაცნი არასოდეს იკარგებიან.

მათთვის ტოლი და ერთგვარია ეს ურიცხვი ცვალებადობა.

ბრიყვნი დაბმულან ჩვეულებებით.

მათით შეკრულნი, ბორკილდადებულ კატორღელებს დამსგავსებიან.

დაოს ღირსი და თანასწორი

სრულყოფილი კაცია მხოლოდ. უკუმგდები ყოველი ნივთის.

სხვა ყველა ტყვეა შეცდომათა.

მათი მკერდი სიკეთეს და ბოროტებას გადაუძალავს --

კეშმარტების მსახურია, ერთადერთი, გულმშვიდი და აუმღვრეველი.

დაოს რიტმით მხოლოდ ის სუნთქავს.

ხილულ ფორმათა უარმყოფელი, სიბრძნის გზისგან თავდაღწეული.

საკუთარი თავისადმი სიბრალულის გადამლაზავი.

ცარიელი და უსახლეროა, და -- ბუნდოვან-გაურკვეველი, როგორც სიზმარი.

ღიანებით მსწრაფი

იგი სრბოლას წყვეტს.

როცა მყარს იგრძნობს.

იგი, ოდენ ბედს მინდობილი, თავისუფლებას ანიჭებს სხეულს

და არ თვლის თავის საკუთრებად.

სიცოცხლე მისთვის მინდობაა ტალღათა ნებას.

სიკვდილი მისთვის თავშესაფრის მოპოვებაა.

მსგავსად უღრმესი თავწყაროსი, მშვიდია იგი:

მინებებულა იგი ტალღებს, როგორც ნავი უმეტეაღყურო;

სწორედ ამიტომ, თავის სიცოცხლეს არ თვლის ოდენ თავის სიმდიდრედ.

თავის თავში მზრდელია იგი დანებისადმი მორჩილების, სიკარიელის.





არაფერი ამძიმებს დეს! კაცს,  
მან ცის ბედი და არ მწუხარებს...  
მაშ განა რად ღირს ეჭვებს აყოლა,  
როცა საბაბი ისეთივე უბრალოა, როგორც მდოგვის ერთი მარცვალი!



ქართული  
საქმიანობა

კო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი :

1. პირველი ჩინური განმარტებითი ლექსიკონის — „ერ იას“ — მიხედვით, ასე იწოდებოდა სწულაწადი, როცა პლანეტა სუისინი (იუპიტერი) იმყოფებოდა მათს თანავარსკვლავედში თორმეტ ზოდიაქურ თანავარსკვლავედთაგან რიგით მეოთხე). ჩინელი ავტორები თვლიან, რომ მათობთა მითითებული განლაგება მოდიოდა ჰანის იმპერატორის ვენ-დის ბატონობის მეშვიდე წელზე. ე. ი. ეს იყო ზვ. წ. აღ.-მდე 173 წ.

2. ძველი ჩინელების რწმენით, გული ზემგრძნობელობითი შემეცნების უნარს ფლობდა; მას, სამყაროულ სულიერებაში გახსნილს, შეეძლო ტრანსცენდენტურად შეერთებოდა ნებისმიერ არსებულს; შესაძლებლად მიაჩნდათ აზრის გადაცემაც გულიდან გულში.

3. ე. ი. ამ შემთხვევაში, სულიერი საწყისის გამომხატველია, ხანის პერიოდის ჩინეთში არსებობდა აზრი, რომ ნივთები სულიერი ცინის წარმონაქმნები არიან. მაგალითად, ხანის ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოაზროვნე ვან ჩენი წერდა: „ადამიანი წარმოიშობა სულიერი ეთერისგან (შენ ცი) და გარდაცვალების შემდეგ მასვე უბრუნდება... ეთერი ისევე წარმოშობს ადამიანს, როგორც წყალი — ყინულს. გამყარებული წყალი ყინულად იქცევა, შესქელებული სული — ადამიანად. გამდნარი ყინული ისევე წყლად გარდაიქმნება, ხოლო ადამიანი — სულად“. იგი სწორედ ხილულ და უხილავ ფორმათა ის მონაცვლეობა, რომელიც მხედველობაში იქვს მთა ის.

4. ავტორს მხედველობაში აქვს სამხრეთ ჩინეთის ორი უძლიერესი სამეფოს — უსა და იუეს — შორის არსებული მრავალწლიანი მტრობა. ეს მეფემ, ხე-ლიუიმ (514-496 ზვ. წ. აღ.-მდე) შეიტყო თუ არა, რომ გარდაიცვალა მისი ძველი მტერი, იუეს მეფე იუნ ჩინი, თავს დაესხა მის სამეფოს, მაგრამ ბრძოლაში დაიჭრა და სული განუტევა. სიკვდილის წინ თავის მეშვედრეს, ფუ-ჩას დაუბარა, შური იძიე აუცილებლად იუეზეო. სამი წლის შემდეგ იუეს ახალ მეფეს გოუ ძიანს (496-465 ზვ. წ. აღ.-მდე) აცნობეს, რომ ფუ-ჩა შურისძიებისთვის ემზადებოდა, და გადაწყვიტა თავად გადასულიყო შეტევაზე მან არ უსმინა თავის ბრძენ მრჩეველს ფან ლის, ფუ-ჩას წინააღმდეგ ჯარი დაძრა, მაგრამ ამ უკანასკნელის გაწვრთნილმა არმიამ გოუ ძიანი სასტიკად დაამარცხა ამის შერე გოუ ძიანი იძულებული იყო, მოწყალეობა ეთხოვა ფუ-ჩასთვის, რათა მეფობა შეენარჩუნებინა; მაგრამ რამდენიმე ხელს შემდეგ გოუ ძიანმა ისარგებლა ფუ-ჩას უყურადღებობით და დაამარცხა იგი.

5. ლი სი (230-208 ზვ. წ. აღ.-მდე), ჩუხ სამეფოს მკვიდრი, დიდი ჩინელი მოაზროვნის სიუნ-ძის მოწაფე, აგი დიდხანს ეძებდა ადგილს, სადაც თავისი ტალანტის სრულად გამოყვანებისთვის შესაფერის საქმეს მოძებნიდა, და ამ ძიებამ ცინის სამეფოში მიიყვანა. აქ იგი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და მალე ცინის იმპერიის პირველი მრჩეველის ტიტული მიიღო. ლი სის სახელთანაა დაკავშირებული იმპერიის განმტკიცება, ადმინისტრაციული რეფორმები, უმკაცრესი კანონების შემოღება, წიგნების დაწვა და აკრძალვა და სხვ. მაგრამ როცა ტახტზე ახალი იმპერატორი ავიდა, ლი სის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა: მოხუცი მინისტრი დილეგში ჩაადგენს და შემდეგ დედაქალაქის ბაზრის მოედანზე საქაროდ აწამებს მასთან ერთად აწამებს მისი ვაჟიშვილიც.

„ხუთი სასჯელი“ ეს იყო წამების ხუთი ყველაზე საშიშერი ფორმა, რაც სიკვდილით დასჯასაც გულისხმობდა უმთავრესად ეს იყო შუბლის დაშნაოვა, ცხვირის მოჭრა, ფეხების მოკვეთა, თვალების დათხრა, გვარის განადგურება და მოკვდინება (ყველა წამების შემდეგ ლი სი შუაზე გაკვეთეს).

6. ლეგენდის თანახმად, იანის ბრძენ მეფეს უ-დინს სიზმრად გამოეცხადა ვინმე იუე, რომელსაც შემდგომ ბეჯითად ეძიებდა სასახლის კარზე, როცა ასეთი კაცი სასახლეში ვერ აღმოაჩინა, მეფემ მისი ძებნა დაიწყო მთელ თავის სამფლობელოში და ბოლოს მიაგნო კიდევ იუეს სადღაც მთებში, კატორღელთა შორის. სიზმრის კრეშმარიტებაში დარწმუნებულმა, იუე თავის პირველ მრჩეველად აქცია, და არც გაწბილებულა, მოგვიანებით, იმ ადგილის მიხედვით, სადაც იუეს მიაგნეს, იგი ფუ იუედ მონათლეს.



7. იგულისხმება, რომ როცა წყლები მომწყდარო დინებით დიან, მიწა კერ ასწრებს და რწყულებას

8. ეფრის დიდა წრე - დაოს, გზის საინონიძია.

9. დამ ამგვარადაა დაბასთაებელი ხანის ეპოქის ჩინურ ტექსტებში: უმაღლესი მორალის პრინციპი; გზა ქვეშარიტი, უმაღლესი პრინციპები; ადამიანური მოქმედების ხეობრივი კანონი; შინაგანი თანხმობის ბუნებრივი კანონი და სხვ.



10. ჩინური კოსმოგონიის მიხედვით, ინი და იანი ორი სახის ეთერია, რომლებიც წარმოიშვა ერთიანი ეთერის (ცი) გაყოფის გზით. ცი აქვებდა სიციარიელე-არყოფნას. ინი (იგივე ინი-ცი) ხასიათდება, როგორც მღვრიე და ცივი, ხოლო იანი (იგივე იანი-ცი) — როგორც ნათელი და თბილი საწყისი. პირველმა, მძიმემ და ქვე დაშეებულმა, წარმოქმნა მიწა, მეორემ — მსუბუქმა, წარმოშვა ცა. შესაქმის შემდეგი ეტაპი იყო ინისა და იანის ერთმანეთთან შეჯახება და შეერთება, რის შედეგადაც წარმოიქმნა ჰარმონიული ეთერი (ხე-ცი) და გაჩნდნენ მივთები. ამის მერე კოსმოსი სხვა არაფერია, თუ არა ამ ორი ელემენტის ბრძოლა და ურთიერთდაპირისპირება, რომლის დროსაც დგინდება ეოველი არსებული.

11. დე ასე ხასიათდება ხანის ეპოქის ჩინურ ტექსტებში: სათნოება; სათნოებები; უმაღლესი სათნოება; კეთილი ძალა; მადლიერება; ქვეშარიტი სიკეთე; სამყაროს მომწყვსრიგებელი სათნოება და სხვ.







### ანტიქრისტე

თუ იცის რაიმე ანტიქრისტეს შესახებ,  
მოყვასი იყავი!

წმინდა კირილე იერუსალიმელი

უფალმა იესო ქრისტემ  
თქვა: თუ ამას ელდესა  
შედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ქო-  
ლობითანი ვერ ერეოდნან მას" (მათე 16,  
18), რას ნიშნავს ეს გამოთქმა — „ბჭენი  
ქოლობითანი?"

ძველად იუდეველებს ჩვეულებად ჰქონდათ  
უბრუნებოთ წინამძღოლობით ქალაქის კარიბ-  
ჭებთან შეკრებილიყვნენ და იქ განხილათ  
სწავნიშვნელოვანესი საკითხები თავიანთი ცხოვ-  
რებისა: აქ მსჯელობდნენ სარწმუნოებრივ,  
პოლიტიკურ, სამართლებრივ და სხვა საზოგადო-  
ებო საკმეებზე. ასეთი თავყრილობა იყო ერთ-  
გვარი უწინაესი სამსჯავრო თუ საბჭო ნების-  
მიერი მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტისას.  
ქრისტე რჩეულთა პირით აქვე ეუწყებოდა ზოლ-  
სე ხალხს ღვთის ნებაც. უწყებულთა მათდა  
სადმართო გამოცხადებისა თუ ნათელმხილვის  
ცხილ. ყოველივე ამის გამო კარიბჭებთან გა-  
სართულ თავყრილობებს უდიდესი ავტორი-  
ტეტი ჰქონდა ხალხში იუდეველთა ამ ჩვეუ-  
ლებაზე ცნობები სადმართო წერილშიც მოი-  
პოვება: იგი ნახსენებია რუთის წიგნში (თავი  
1, 1 და 11 მუხლები), ხოლო სოლომონის  
გაგანი, როცა ღირსეულ ცოლს — „მხნე დე-  
დაცაც“ გვიხახიათებს, შემდეგს გვაუწყებს:  
„საბედავ არს ბჭეთა ზედა ქმარი მისი, რა-  
ცა მს დაშქდის კრებულსა შორის მოხუცებულთა  
და მკვიდრთა კვეუანისათა" (იბ. 81, 28). ანუ  
საზოგადოების ნდობით სარგებლობს და  
ქმედით მონაწილეობას იღებს მნიშვნელოვან  
თავყრილობებში.

შემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია  
დავახვეწათ, რომ უფლის ეს სიტყვები —  
„ბჭენი ქოლობითანი“ უბრალოდ ქოლობეთის  
ძალებს კი არ აღნიშნავენ მხოლოდ, არამედ  
თვით უმთავრეს ძაღთ ქოლობეთისა, წყველი-  
დის უბოროტეს შესაკრებელს, მის ყველაზე  
მნიშვნელოვან და ქმედით ნაწილს, რომლის  
მიზანიც ქრისტეს წმიდა ეკლესიასთან ბრძო-  
ლაა, ასე რომ, ეკლესია და ქოლობეთი ერთ-  
მანეთთან მეზრძოლდ ორ საპირისპირო ძაღად  
წარმოსდგებიან, და როგორც ვიცით, ამ ბრძო-  
ლაში ეკლესია უძლეველია, რადგან „ბჭენი  
ქოლობითანი ვერ ერეოდნან მას“.

ქრისტეს ეკლესიასთან ბრძოლის ეს გეგმა, ანუ  
ქოლობეთის ძაღთა უმთავრესი მიზანი — მხა-  
დებდა მომავალი გადაწყვეტი ბრძოლისთვის —  
სადმართო წერილში მოცემულია გამოთქმით—  
„საიდუმლოდ უშჯულოებისა" (11 თესალო-  
ნიკ. 2, 7). უშჯულოების ეს საიდუმლო საუ-  
კუნეთა მანძილზე მოქმედებდა ეკლესიისა და  
ქრისტეობის სარწმუნოების წინააღმდეგ და უნ-  
და დასრულდეს ამკვეუნად კაცობრიობის უბო-  
როტესი მტრის — ანტიქრისტეს გამოჩენით  
(11 თესალონიკ. 2, 8).

ანტიქრისტეს მოსვლა და გაბატონება ამ-  
კვეუნად შესაძლებელი გახდება საყოველთაო  
აპოკალიფსის, ანუ ქრისტეობის რწმენისაგან ადა-  
შინათა დიდი განდგომილების შემდეგ, როცა  
ღვთაებრივი ძაღთა მოკლდება და აღარ  
შეეწევა კაცობრიობის უდიდეს ნაწილს.



ამასთან დაკავშირებით წმიდა დანიელ წინასწარმეტყველი შემდეგ გვიწინასწარმეტყველებს: „და უკანამსკნელთა ზე მეფობისა მათისათა განხრულებასა ცოდვათა მათისა აღდგეს მეფე ურცხვინოა პირითა და გულისხმის-მყოფელი წინდადებათაჲ (ანუ მწაკვარებისა), და მტკიცე იყოს ძალი მიხი, და არა ძალითა მიხითა, და საკვირველნი განხრწნეს, და წარენართოს, და უოს, და განხრწნეს ძლიერნი და ერი წმიდაჲ“ (დან. 8, 23-24). პავლე მოციქულიც გვასწავლის ანტიქრისტესთვის, „რომლისაჲ იგი მოხვლად არს შეწევნითა ეშმაკისაჲთა უოვლითაჲ ძალითა და ნიშებითა ტუილისათა“ (11 თესალ. 2, 1).

ანტიქრისტეს პიროვნებაში თავს მოიყრის ბოროტება მთელი თავისი სისრულით და ძალით, რაც კი შეიძლება ზედოს ადამიანის ბუნებამ როგორც კაცობრივ ბუნებ უველაზე წმიდა და სრულყოფილი ნაყოფის — ღვთისმშობლის გამოსაღებად აუცილებელი იყო ათასწლოვანი სრულყოფა-განვითარება კეთილი ადამიანური თესლისა, ასევე უველაზე ბილწი ნაყოფის გაზოსაღებადაც, მთელს სატანურ ბოროტებას რომ დაიტევს თავში, აუცილებელი გახდება მრავალი თაობის ბოროტი ძალისხმევა კაცობრივი ბუნების უკიდურეს განხრწნასა და წაბილწვაში, რასაც უოველთვის თან ახლავს უგონო სიძულვილი ქრისტესადმი და უგვანი ბრძოლა მისი წმიდა ეკლესიის წინააღმდეგ მამასადაჲ. შეიძლება ითქვას, რომ ბუნებითი და შეძენილი ბოროტება, ანტიქრისტეს უწმინდურ წინაპართა გრძელ რიგში დაგროვილი და უოველ ახალ თაობას მზარდი ძალით გადაცემული, თვით ანტიქრისტეს პიროვნებაში ნიაღწევს არნახულ ძალას, ისეთს, როგორც კი შეუძლია ბუნებას ადამიანისა ზედოს და გამოავლინოს, საერთოდ, მთელს კაცთა მოდგმაში ოდით არსებული ბოროტება მასში მიაღწევს განვითარების ზღვარს.

ამასთანავე ცხადია, რომ საზოგადოდ ადამიანის ბოროტი ნების გაძლიერების კვალად ძლიერდება ეშმაკის თანადგომაც ასეთი ადამიანისადმი, და მწაკვარისათვის სულ უფრო მისაწვდომი ხდება ამ უკანამსკნელის სული. ამიტომ, რადგან ანტიქრისტესი საკუთარი ბოროტი ნება და უმხგავსოება განვითარების ზღვარს მიაღწევს, ამის კვალად ეშმაკის და მოკიდებულებაც მისადმი უაღრესად პირდაპირი, უშუალო გახდება. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ ანტიქრისტეს პიროვნებაში, ანუ მისი სახით განუწყვეტლივ იმოქმედებს თვით ეშმაკი. ეკლესიის დიდი მამა წმიდა იოანე დამასკელი ამასთან დაკავშირებით შემდეგს ამბობს: „წინდაწინვე უწყის რა მომავალი გარდაქცეულება — დამაბინჯება ანტიქრისტეს

ნებისა, ღმერთი დაუშვებს იმას, რომ ადამიანში ეშმაკი შესაბამისად („ზუსტი გოდ მოცემა მართლმადიდებელ სარწმუნოებისა“, წგ. IV, თ. 28 — „ანტიქრისტესთვის“). იგივე გვასწავლის წმიდა კონსტანტინე რუსალიძელს („კათაქმეველთა დახარისხება“, 1, 14). წმიდა ანდრია კესარიელი კი თავის თარგმანებაში გამოცხადებისა ამბობს, რომ ანტიქრისტე, იგივე ანტეა, როგორც იგი უწოდებს „...აღმოვიდეს ბნელთა მთვან აღგოთა, და — იგი ეშმაკი დასწილ არს“ (11: 7). ასევე ნეტარი თეოდორიტეს ამბობს, რომ „ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ქვეყანაზე გოჩნდება ადამიანური ბუნებით შემოსილი მტერი კაცთა მოდგმისა და მოწინააღმდეგე ღმრთისა, დემონი, რომელიც შიიტაცებს და მითვისებს ღვთის სახელს“ („ხალმართო დოგმატთა მოკლე გადმოცემა“). ლაქტანციუსი, გოჯიქე და ნეტარი იერონიმე ანტიქრისტეს სატანის ძეს უწოდებენ.

თანახმად ეკლესიის წმიდა მამათა ასეთი სწავლებისა, ანტიქრისტეს ცხოვრებაში შეუძლებელია ვივარაუდოთ თუნდაც ერთი ისეთი ეამი, როცა იგი თავისუფალი ექნებოდ ეშმაკის ზემოქმედებისაგან. ეშმაკის ეს ზემოქმედება, პირველ უოვლისა, უნდა გამოემდგინებოდა დაბადებაშიც ანტიქრისტესი, ანუ იმაშიც, რომ მისი ჩასახვაც კი თავისი სიბილწით განსაკუთრებული და არგაგონილი ექნეს. „შებილწული ქალწულისაგან ჩამდვილად იშვება მისი (ანუ ეშმაკის) იარაღი“ — ამბობს წმიდა ეფრემ ასური, იგივეს გვიდასტურებს იოანე დამასკელიც: „თვით ეშმაკი კი არ შეიქნება ადამიანად, არამედ იშვება კაცი სივისაგან და აღივსება ხრული მოქმედებით სატანისა“ („ზუსტი გადმოცემა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“, წგ. IV, თ. 28).

წმიდა მამები: ირინეოსი („მწვალებლობათა წინააღმდეგ“, წგ. V, თ. 30), იპოლიტე („სიტუვა ქრისტესა და ანტიქრისტეზე“), აგრეთვე ილარიონი, ამბროსი მედიოლანელი, იერონიმე და ნეტარი ავგუსტინე აღნიშნავენ, ანტიქრისტე წარმოიშვება დანის, იაკობის ერთი ძის, ტომისაგანო.

ბორციელის კვირის სვინაქსარში ვკითხულობთ, რომ მოვა ანტიქრისტე და იშვება სიტყვისაებრ წმიდა იპოლიტე რომაელისა, ბილწი დედაკაცისაგან, ცრუ — ქალწულისაგან, ნათესავისაგან დანისაო.

მსგავსი მტკიცებებისათვის ხაფუძველი თუი საღმრთო წერილშიც მოგვეპოვება: ვნახოთ, რა გვასწავლის იგი:

ა) მამამთავრის იაკობის წინასწარმეტყველებაში თავისი თორმეტი ძის გამო, რომელთაც ის რაელის ტომებს დაუდეს სათავე, დანის ზეა



იმავლობის მომავალი ბედი ისეთი სიტუაცი-  
ისათა მინიშნებული. რაც მხოლოდ ანტიქრის-  
ტებს შეიძლება განეკუთვნებოდეს. წმინდა  
იაკობი ასე ამბობს: „და იყოს დას გველ გზა-  
სა ზედა. მზირად მჭდომარე აღაგას. და უკ-  
ბენდეს ტერფსა ცხენთასა და დაეცეს მხედა-  
რი მართლდუენ“ (დაბადება 49, 17);

ბ) წმიდა იერემიას წინასწარმეტყველების  
ქანში ნათქვამია: „დანიო გვესმა ხმაჲ სი-  
სახვილისა ცხენთა მისთასა. ხმისაგან ზვივი-  
ლისა ცხენოსნობისა ცხენთა მისთასა შეიძრა  
უოველი ქვეყანა. და მოვიდეს და შექამოს  
ქვეყანა და ხავსებაჲ მისი, ქალაქი და შინა დამ-  
კვიდრებულნი მის შორის მით, რამეთუ, ამა.  
კომოვადუნ თქვენდამი გველთა მაკვდინებელთა,  
რომელთა არა არს ხარვაი, და ბებენდენ  
ბქვენ. — იტყვის უფალი. — უკურნებულად  
საღმობიერებისა გულისა თქვენისა უღონო-  
ქნილისათა (იერემ. 5, 18-18);

გ) იოანეს გამოცხადების (აპოკალიპსის)  
წინასწარმეტყველებაში. როცა საუბარია იუდე-  
ველთა ტომების შესახებ (ღმრთის მონათა  
და ანგედლოზის მიერ „შუბლთა ზედა მათთა  
დაბეჭდულთა“), ჩამოთვლილია თორმეტი ტო-  
მის ისრაელისა იაკობის ძეთა შიხედვით. და  
მათ შორის არ არის დასახელებული დანი, რომ-  
ლის ნაცვლად მოხსენიებულია „თესლი ლევი-  
ის ვითარცა საშლველოჲ“ (ანდრია კესარიე-  
ლი. „თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ“, 7, 4-8).

წმიდა მამათა სწავლებით, ანტიქრისტეს დამ-  
კვიდრებისას ეშმაკი შეეცდება მისი ამქვეყნად  
გამოჩენა უველა იმ ნიშან-თვისებით შემოსოს,  
რაც საღმრთოს წერილიდან ვიცით ღმრთის  
ქეშმარიტი ძის. უფალ იესო ქრისტეს ამქვეყ-  
ნად მოვლინების შესახებ. ამის შესახებ მიუ-  
თითებდნენ წმიდა კირილე იერუსალიმელი (იხ.  
ისის ქმრ-ე სიტყვა კათაკმეველთა დასამომღვ-  
რად). წმიდა ეფრემ ასური (მშ-ე სიტყვა), ნე-  
ტარსი თეოდორიტე („საღმრთო დოგმათა მოკ-  
ლე გამოცემა“ 28), წმიდა იოელიტე („სიტყ-  
ვა ქრისტესა და ანტიქრისტეზე“) და სხვა  
მოძღვარნი ეკლესიისა. ეჭვი არ არის, რომ  
აუცი იქნება რაიმე მსგავსება ანტიქრისტესი  
ქეშმარიტ ძესთან ღმრთისა, ეს მსგავსება სხო-  
ლოდ გარეგნული და თავისი არხით ცრუ უნ-  
და იყოს, რადგან მთელი მისი ცხოვრება, რო-  
გორც ეს საღმრთო წერილიდან ვიცით, უოვე-  
ლი მისი საქმე მძვინვარე და მკრებელური  
აღდგომა იქნება ქრისტესა და მისი წმიდა ეკ-  
ლესიის მიმართ. ეს გარეგნული, ცრუ მსგავ-  
სება ანტიქრისტესი უფალთან, ალბათ, პირ-  
ველ უოვლისა თვით მის დაბადებაში უნდა  
გამომეტყვნდეს: რადგან უფალი ჩვენი იესო  
ქრისტე უოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან  
იქნა ზორციელად, ამიტომ ეშმაკიც თავის

ისრაელს ქალწულისაგან დაბადებს. ოღონდ არა  
წმიდა ქალწულისაგან, არამედ აღსავსესი უო-  
ველგვარი მანკიერებითა და ხატანური სი-  
ბილწით. ასევე, როგორც ჩვენი უფალი იესო  
ოცდაათ წლამდე უცნობი, ალბათ ანტიქრისტი  
ცრუ ასეთივე ასაკის შესრულებამდე საიდუმ-  
ლოებით მოცული ცხოვრებით ქვეყნად  
მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდება წმინდა  
და ასპარეზზე. ევალად, როგორც ქრისტემ  
დაიწყო თავისი მხსნელი მსახურება ღვთაებ-  
რივი ქადაგებითა და სასწაულთმოქმედებით,  
ასევე ანტიქრისტეც თავის უოვლად დამღუპ-  
ველ ბოროტ მსახურებას დაიწყებს თავისი  
ცრუ—ნოდვრების ქადაგებითა და ცრუ—სა-  
სწაულთმოქმედებით: ამ გზით შეეცდება იგი  
ადამიანთა ყოუნებას და სამწუბაროდ, მრავალთა  
ყოუნებას, და კიდევ: როგორც უფ-  
ალი იესო ჩვენსა იესო ქრისტემ იწება საუოველ-  
თაოდ—სახალხოდ გამოეცხადებინა თავი, რო-  
ცა საწეიმოდ შევიდა იერუსალიმსა და მის  
წმიდა ტაძარში, ხალხისაგან განდიდებული ძედ  
ღმრთისა და მესიად, ასევე ანტიქრისტეც თავს  
იუდეველთა მესიად გამოაცხადებს და მსოფ-  
ლით თვითმპყრობელ მონარქად განდიდება.  
ამასთან უოველივე ესეც აღესრულება მისი  
საწეიმო შესვლით იერუსალიმში და ზე-დაქდო-  
მიი იერუსალიმის ტაძრის საუდარზე. იმ ტაძ-  
რისა, რომელიც თითქმის ორა ათასი წელია  
დანგრეულია და რომელიც იმ დროისათვის  
აღდგენილ იქნება (ან თვით ანტიქრისტეს, ან-  
და მისი მომლოდინე იუდეველების ძალისხ-  
მევით).

უფლის საწეიმო შესვლა იერუსალიმში ევე-  
ლა იმ იუდეველისათვის, ვინც მოწმე იყო  
ამისა, საჯაროდ განაცხადებდა იმას, რომ იე-  
სო ქრისტე არის ქეშმარიტი მესია,  
რომლის მოხვლაც ამქვეყნად წინასწარ ამცნეს  
თავის ბაღბს ძველი აღთქმის წმიდა წინას-  
წარმეტყველებმა. ამის უეჭველი დადასტურე-  
ბაა თვით მაცხოვრის სიტყვები, წარმოთქმუ-  
ლი მის მიერ იერუსალიმის კარიბჭესთან, რო-  
ცა იგი იტიროდა მას ზედა“ ურწმუნოებისა-  
თვის: „...უკუეთუშეცა გაცნა შენ დღეს ამას  
მშვიდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თვალ-  
თაგან შენთა“-ო (ლუკა 19, 12). ანუ: „მეტავ-  
დდეს მაინც მიმხვდარიყავი, თუ რა ემსახუ-  
რება შენს მშვიდობასაჲო და ამ ღირსახსოვარ  
დღეს როცა იუდეველებმა უარუვეს ქეშმა-  
რიტი მესია, საუკუნოდ გადაწყდა ისრაელი  
ერის ბედი, ასევე იქნება მომავალ დღესაც ან-  
ტიქრისტეს, ანუ ცრუ-მესიის, საწეიმო შეს-  
ვლისა იერუსალიმში: საუკუნოდ და შეუქცე-  
ვად გადაწყდება მისი თანადროული კაცობრი-  
ობის ბედი, უფრო ხწორად კი, კაცობრიობის  
დიდი ნაწილისა, რომელიც ხორციელი ცხოვ-



რების გამო მოკლებული იქნება უნარს სულიერი გულისხმისყოფისა. სულიერი ზედვისა, და ამის გამო ქვეშაობა მესიად, თავის მხსნელად მიიღებს ანტიქრისტეს და ნეტარ არის, ვინც ამ უკანასკნელ დღეს, რომელსაც ღმერთი ხაზოლო თვითგამორკვევისთვის მომადლის ადამიანებს, შესძლებს ანტიქრისტეში დაინახოს სატანის მხაზური, და არა ღმერთისა, და ამის ძალით ახსნას თავი დადუქვისაგან, რაც უდიდეს ნაწილს ეკობრიობისა, ანტიქრისტეს მიმდებსა და ქვეშაობა ღმერთად მადიარებელს, უცილობლად მოედის.

და ხოლო, როგორც უფალმა გამოუცხადა თავი ამა ქვეყანას, როცა თავისი მხაზურება სიკვირველად აღასრულა, იყო რა ქვეშაობა წინასწარმეტყველი, ქვეშაობა მეფე და ქვეშაობა პირველმღვდელმთავარი, ასევე ანტიქრისტეს შეეცდება თავის პიროვნებაში გააერთიანოს ეს სრული სამზაგი ძალიუფლება და ასე აღასრულოს თავისი დაძლეველი მხაზურება, ანუ იგი ეკობრიობის დიდი ნაწილისათვის შეიქმნება უკელაზე დიდი, ავტორიტეტული მოძღვარი და მასწავლებელი, თავს გამოაცხადებს მთელი მსოფლიოს მეფე მონარქად და მსოფლიოში არსებული ყველა სარწმუნოებისა თუ აღმსარებლობის პირველი მღვდელმთავრად: ამასთანავე, შემადრწუნებელი შემოქმედებით ანტიქრისტე უკელა ადამიანისაგან მოითხოვს ღვთის საფერ კატეხსა და თავუანისკემას, და ნეტარ იყვნენ ის მცირედნი, რომელნიც სიკვდილის წინაშე არ სცემენ მას თავუანს!

საღმრთო წერილის, საეკლესიო გადმოცემისა და წმიდა მამათა გამონათქვამების გათვალისწინებით, მთელი მოძავალი ცხოვრება და მოქმედება ანტიქრისტესი შეიძლება განვიხილოთ სამი უმთავრესი პერიოდის სახით, ამასთან, ბუნებრივია, აქ ვერ განვიხილავთ დოკვლივებს, რაც კი თქმულა ანტიქრისტეზე შეძახსებებულ წერაობებში.

**პირველი პერიოდი.** ეს პერიოდი ანტიქრისტეს ცხოვრებისა მისი ბილწი დაბადებიდან სამოქმედო ასპარეზზე გამოჩენის მომენტამდე, როგორც შემოთ აღვნიშნეთ, გაავლის საიდუმლოდ, ფარულ უცნობელობაში, როგორც იოანე დამასკელი ამბობს, „იგი (ანუ ანტიქრისტე) სიძვისაგან იშვება, ფარულად აღიზრდება, აღდგება, უცრად უოველივებს აღაშფოთებს და მეფედ შეიქნება“ („სუსტი გადმოცემა მარადმადიდებელი სარწმუნოებისა“, წგ. 11, თ. 28).

**მეორე პერიოდი.** ეს მონაკვეთი ანტიქრისტეს ცხოვრებისა დაიწება მისი ხმაურიანი გამოსვლით სამოქმედო ასპარეზზე მსოფლიო

მოძღვრისა თუ წინასწარმეტყველის სახით ხავსებით შესაძლებელია, რომ თავისი მოქმედება მან მსოფლიო ომის დროს დაიწყო. რიცა ადამიანები დიდად ევწებოდნენ საუოველო უბედურებითა და არნახულ არეულობით, და უკვე აღარავითარი უბედურებათ უბედურებათა ამ რიგისაგან გამოსვლა, რადგან საუოველო ომის დასრულების უკელა ფარული ბერეტი იმ საიდუმლო ორგანიზაციის ხელში იქნება, რომლებიც უოველმხრე შეუწყობენ ზელს თავიანთი მეფის — ანტიქრისტეს გამოჩენას, გაძლიერებასა და მთელს მსოფლიოზე გაბატონებას, თუკი ამს დაუშვებთ, მაშინ სავარაუდოა, რომ ამ მოძვეთარებაში, აღბათ, სწორედ ანტიქრისტე წამოაყენებს პოლიტიკური და სოციალური სისრძნის ოვალსაზრისით უკელაზე მისაღებ პროექტს მსოფლიო კრიზისიდან თავის დაღწევას, და ამ თავისი გეგმის ძალით შეეცდება მოელს მსოფლიოში ერთიანი პოლიტიკური და სოციალური წეს-წყობილება დაამყაროს და ასეთი საუოველო ომისა, ოუ სხვა რამ არსნაკლებ საშინელი არეულობისა და უბედურებით დაღლილ-გატანჯული, სულიერად დასრმავებული ეკობრიობა, ანუ, უფრო სწორად მისი უდიდესი ნაწილი, არათუ ვერ დაინახავს ანტიქრისტეს ამ გეგმაში მშაკრულ ხაფანგს, დაგებულს ადამიანთა სულიერი დაღუპვისათვის, იმ ხაფრთხეს, რომელიც გამოუვალ და უღმობელ მონობაში ჩააგდებს მათ, არამედ პირიქით. — სიბრძნის, დიდი განსწავლულობისა და გენიალურობის გამოვლინებად მიიღებს ანტიქრისტეს ამ წინადადებას.

მსოფლიო სახელი ანტიქრისტესი როგორც გენიალური მოაზროვნისა, ახალი დიდი ზედადისა და ხალხთა მხსნელისა უმოკლეს დროში ხმაურით მოედება მთელს ქვეყანას, ამასთან დაკავშირებით წმიდა ეფრემ ასური ამბობს, რომ „მშაკარი სულები, უოველგნით წარგზავნილნი, მთელს ქვეყანაზე ადამიანთა შორის ამაღლებულ შეხედულებას დაბერგავენ ანტიქრისტეზე, დაშკადებენ საუოველო აღტაცებას მისი პიროვნებით და ამით უკელაში აღსთებენ დიდ მისწრაფებას „ანტიქრისტესადმი“ (ინ. მისი 111 სიტყვა).

თავისი მოქმედების ამ პერიოდში ანტიქრისტე არავითარ ძალიადობას არ მიმართავს და ეცდება ადამიანთა ნდობას და კეთილგანწყობას მოტუებით მოიპოვოს, თავისი პირფერული, მოჩვენებითი სათნოების გამოვლინებით: როგორც იოანე დამასკელი ამბობს, „თავისი მეფობის, ანდა, უფრო სწორად, თავისი ტირანის დასაწყისში იგი (ანტიქრისტე) შეიმოსება წმიდანობის ნიღბით, ხოლო როცა მომძღვრდება და გაიმარჯვებს, დაიწყებს



უთის ეკლესიის დევნას და მთელს თავის სიბრძნეს გამოაშენავენებს" (წუხტი გადმო-  
 ყმა...". VI, 26). ახალ დროში ვლადიმერ სო-  
 ლოვიცი ფიქრობს, რომ „ანტიქრისტე სი-  
 კეთისა და სიბრძნის გარეგნულად მბრწყო-  
 ნავი ხაშოსლით დაძვარავს საიდუმლოს უს-  
 ულოებისას". წმიდა ეფრემ ასურის გვახწავლის:  
 „ანტიქრისტე „მოვა იმგვარი სახით, რომ უველა  
 ყოფნოს ამქვეყნად — სოვა მდაბალი, მშვი-  
 დი, მოძულე, როგორც ამას თვით იტუვის,  
 სიკრუისა, უარმყოფელი კერპებისა და შედგო-  
 ნილი, ვითომდა, კეთილმსახურებას, გარეგ-  
 ნულად კეთილი, გლახაკთ მოყვარე, უადრესად  
 კეთილსახიერი, ყოველ საქმეში მტკიცე და  
 თანმიმდევრული. უველასადმი მოწუაღე, აღერ-  
 სიანი, ზოლო განსაკუთრებით მოყვარე და  
 სიკეთისმცემელი იუდეველებისა. რადგან უვე-  
 ლაზე შეტად სწორედ იხინი მოვლიან მის ამ-  
 ქვეყნად გამოჩენას... ახე აღასრულებს იგი  
 თავის მწავრულ საქმეს იმ მიზნით, რომ უვე-  
 ლას სათნოეუოს და თავი შეაყვაროს. იგი  
 არავისგან არ მიიღებს ნოღმე ძღვენს, ილაპა-  
 რაკებს მწვიდად, რისხვის გარეშე, არავის არ-  
 ვენებს პირქუშ სახებს, და გარეგნულად კეთილ-  
 მსახური შეუდგება მთელი ქვეყნის ცთუნებას  
 ჩანამდე. სანამ სრულიად არ გაბატონდება  
 მასზე" (VI სიტუ.).

ქრისტეს ეკლესიის დიდი სულიერი მოღვა-  
 წეების, წმიდა მოსაგრე მამების უმდიდრესი  
 სკეტური გამოცდილებით ცნობილია, რომ,  
 როცა ეშნაკს ძალი არ შესწევს თავისი ბო-  
 როტი მანქანებით პირდაპირ სილიოს მოსაგ-  
 რეს, რადგან მის შედგარ წინააღმდეგობას აწ-  
 უდება, მაშინ იგი იცვლის სახებს, და უწინ-  
 დელი ბოროტი სულის სანაცვლოდ მოდის  
 სხვა, უძლიერესი მანქანებით, ანუ მოდის ახე-  
 თი ეშნაკი, რომელიც, ქველუ მოციქულის სიტ-  
 ვებით, „იცვალვისზე ანგელოზად ნათლისა“ (II  
 კორინთ. II, 14) და ამ სახით ცდილობს წმი-  
 და მოსაგრის ნდობა და კეთილგანწყობა მოი-  
 კოვოს, ხოლო თუ მოაბერხებს ამას, მაშინ იო-  
 ლად გაიტაცებს თავის მსხვერპლს საბოლოო  
 დაღუპვისაკენ. ამიტომაც შეგვიძლია წარმო-  
 ვიდგინოთ, ბოლშევიზმის საბით მოვლენილი  
 ყოველადსადაცელი შეგბნელი ეშნაკის შემდგომ  
 რა იოლად და რა სწრაფად მოიპოვებს ან-  
 ტიქრისტეს „ნათლის ანგელოზად“ შეცვლილი  
 საბე სულიერად დაბრმავებული კაცობრიობის  
 საყოველთაო კეთილგანწყობასა და ნდობას!

ახეთი მუზანათური მოტუების შედეგად  
 უთი კაცობრიობის სულიერ განწყობაში „აღ-  
 მოცუნდება მოთხოვნილება ანტიქრისტეს მოწ-  
 ვებისა: ადამიანთა საზოგადოებაში გაისმება  
 მოწოდების ხმა, მიმართული გენიოსთა მო-  
 რის გენიოსის აღსაშვებლად, რომელიც შე-

ძლებდა მატერიალური განვითარება და ამქვეყ-  
 ნიური კეთილდღეობა უმაღლეს საფეხურზე  
 აუვანა და მთელს ქვეყნიერებაზე სხივრება  
 დაემკვიდრებინა" (ეპისკოპოსი ეგნატე ბრიან-  
 ჩანინოვი, ტ. IV, გვ. 214).

ანტიქრისტეს პირმოთნეობას <sup>ქრისტე</sup>  
 საზღვარი არ ექნება, იგი <sup>საზღვარი</sup>  
 მიზნების განხორციელების გზაზე იმასაც კი  
 იწამს, რომ დაუტკება ქეშმარიტ მორწმუნეებს  
 ქრისტესას და არათუ მათს მოწინააღმდეგეზე  
 და ბოროტმყოფელად არ გამოავლენს თავს,  
 არამედ პირიქითაც — გამოთქვამს მზადყოფნას  
 მათი მფარველი იყოს! თავისი გარეგანი, უვე-  
 ლასათვის საჩინო ცხოვრებით იგი შეეცდება  
 ყოველივეში თვით უფალ იესო ქრისტეს მი-  
 ბაქოს, უმრავლესობა ქრისტიანული აღმსარებ-  
 ლობების მიმდევრებისა, რომელიც ამ, უდი-  
 დესი განსაცდელით აღსავსე ეამს ეკლესიის  
 წმიდა სულიერი გონიერებით კი არ იხელმძღ-  
 ვანელებს, არამედ ამქვეყნიური, ხორციელი  
 სიბრძნით, ვერ დაინახავს ყოველივე ამაში  
 საცნაურს, უმწავრეს ტუუილს და, თავისდა  
 საუბედუროდ, ანტიქრისტეს — ქრისტედ აღი-  
 არებს, მეორედ მოსულს ამქვეყნად.

ხოლოვეების მონახტრის მონაზვნები გად-  
 მოგვცემენ ქასუბს ღირსი მამის ზოსიმესი თა-  
 ვისი მოწაფეებისადმი, რომელთაც ბკოთხს  
 მოადვარს — როგორ უნდა შევიცნოთ ანტი-  
 ქრისტე, როცა ის ამქვეყნად გამოჩნდებაო.  
 ზოსიმეს ახეთი ქასუბი გაუცია მათთვის: „რო-  
 გორც კი გაიგონებთ ამბავს, ამა ქვეყანას ქრის-  
 ტე მოევლინაო მეორედ, უწყოდეთ, რომ ეს —  
 ანტიქრისტე იქნება!" მართლაც რომ ამაზე  
 წუხტად და კარგად შეუძლებელია ითქვას.

„მხოფლიო, ანუ კაცობრიობა ვერ იცნობს  
 ანტიქრისტეს და მას ქეშმარიტ მესიად —  
 ქრისტედ აღიარებს... და ეს მაშინ, როცა ქეშ-  
 მარიტი მეორედ მოსვლის ეამს ქრისტესი ამ-  
 ქვეყნად არ იქნება საჭირო, რომ ადამიანებმა  
 ერთმანეთს გადასცენ ანბავი ღმერთის ძის  
 ძღვევამოსილად მოსვლისა, უფრო მეტიც —  
 ახეთი რამ მაშინ შეუძლებელიც იქნება, რადგან  
 იგი მოვა ანაზღუფლად, უეცრად, ქეშმარიტი  
 ძე ღმრთისა მთელი თავისი ყოველადღიერე-  
 ბით მოევლინება უველა ადამიანს (ცოცხალ-  
 თაც და შესვენებულთაც) და მთელს ქვეყნი-  
 ერებას ერთდროულად, ერთს ეამს" (ეპისკ-  
 ეგნატე ბრიანჩანინოვი, ტ. IV გვ. 275). და  
 აკი თვით უფალი იესო ქრისტე გვაფრთხილებს  
 წმიდა საბარებაში: „მაშინ უკუეთუ ვინმე  
 გრქვას თქვენ: ამა აქა არს ქრისტე, გინა თუ  
 იკი, ნუ გრწამნ, რამეთუ აღდგენ ქრისტე-  
 მტყუვარნი და ცრუწინააღმწარმეტყველნი და  
 ჰყოფდენ ხახწყულებსა დიდსა და ნიშნებსა ვიდ-  
 რე ცთუნებამდე, უკუეთუ მსია შეუძლებს, რბი-



უღია მათა. ამა ეხერა წინახარა ვარქე  
ოქვენ უაღიოთ ვარქვენ - ქვენ. ამა უღახნოს-  
არს. ნუ განხვალთ: ამა ეხერა ხაუბრეთა შინ-  
არს. ნუ ვარქვამს. ჩამეთუ ეთარქე. ეღვეო რა  
გამობრწყინდის შინს აღმოსავალით და ჩან  
ეღვეო დასავლაღმდე. ეგჩეთ იყოს მოხვლა-  
თისა ეცოთათ (მთაე 21, 23-27; ლუკა 11,  
24-28).

ადამიანთა ხატოვნებად ანტიქრისტე ში-  
ვალ ხოცარ სახვაულსაც იქმს. რომელნიც  
თავისი არსით, ცრუ იქნება, როგორც პავლე  
მოციქულთა გვასწავლის. „მაშინ იანუ ქრისტის  
ამქვეყნად მეროდ მოხვლის ეამს) გამოჩნდეს  
უწყულოთ იგი. რომელი-იგი უფალმან აღხო-  
ცოს ხულოთა პირისა მისიხათისა და განაქრუო-  
ტი გამოჩინებისა მით მოხვლისა მისიხათისა.  
რომლისა-იგი მოხვდა ანს შეწვევითა ეშმაკი-  
სათა, ეოცლობათეე მადითა და ნიშებითა სას-  
წავლუებითა ტურაფისათა“ (11 კესალონიკ  
2, 3-8).

ამასთან დაკავშირებით წმიდა კობლე იერუ-  
სალიმელთა წერს: „რადგან მამა სიყრუობა იგი  
(ანტიქრისტე) ცრუ ქმედებითა გზით ახოვრებს  
ადამიანთა წარმოსახვას ასე, რომ მისი იფიქ-  
რებენ - ჩამდვილად მოწმენი ვართო ეცის  
წვედრეთით აღდგინებ-სა. იმ დროს, როცა  
იგი ხუდაც არ იქნება წვედრეთით აღმდგარი,  
მოტევენებით, რომ ჩამდვილად ვხედავთო. შე-  
დობდეთ - გამოართულად მავალთ ბრძებს -  
თვალახდელით მაშინ, როცა არავითარი სას-  
წავლუებრივი კერება - ექ მის მიერ აღმო-  
ღებულთ არ იქნება“ („კოთაქმეველითა დას-  
წავლურავად“ 11, 14, 20-23).

ანტიქრისტეს ყველა ამ ქმედებას - მის  
ქადაგება მოძღვრების ხატინაშობას, მოპოვებას  
გენიალური ნიჭითვის ხატედასა, მის ცრუ  
სასწავლებს ე და, ხაეროოდაც, მოგლის მის  
პირმოთნე, მოტევენებით ხაერო ცხოვრებას ერ-  
თა მიწანი ექნება - მსოფლიო ძალაუფლუ-  
ბის მიტაცება და ეველი ხალხსა თუ ქვეყანაზე  
განბოტონება, პირველ ეტაის ამ ბოროტ გზაზე  
შეადგენს იღვეველთაგან აღიარების მიღწევა-  
და მათი მხარდაჭერას მოპოვება. ანტიქრისტე  
ეველი ეონეს იხმარს იმისთვის, რომ ეუდვეე  
ლებმა იგი თავიანთ აღიქმულ შეგონად  
აღიარონ. პირველ ეოვლისა, ანტიქრისტე შეს-  
ძლებს დასარულის ეუდვეველური სახელმწი-  
ფის აღდგენა-ფორმირება და შეუდგება ახ-  
რადეო ერის ათახნლოვანი სახეყვარო ოცნე-  
ბის განხორციელებას - სოლომონ მეფის მი-  
ერ აგებული წმიდა ტაძრის ხელახლა აღმართ-  
ვას იერუსალიმში, ბოროციელის, ყვირის სვი-  
ნაქსარში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია,  
რომ მაშინ (იანუ უკანასკნელ დღეებში, ამა  
ქვეყნისა) იიძულდება იგი (იანუ ანტიქრისტე)

ეცოთაგან და ეოვრედაგიო მიღვიდ გამოცხადე-  
და, და თადათ შეეყვარებენ მამ ებრადელთა ეო-  
მა და მიადწევს იგი ეტრინაშობს. და ეღ-  
მარსა-იგი მათს ტაძარს



მაგრამ აღიარებულა ექვეყნება, რომ  
ანტიქრისტეს ეველითა ექვეყნება, ექმ  
მარტივ მენიოთ წარმოადგენს, მოულოდ-  
ნელ და სასწავლულო ეტრინაშობას წა-  
აწვდება ძველი აღიქმის ორა წინახარებტე-  
ვლის - მისა მანხილებლების მხრიდან, რი-  
მელსაც თვითს საქვირველი განვებულები  
სიკვდილი არ უგვარძნიათ ამქვეყნიური ცხო-  
რების ეამს აჩამედ ეოცხლად და ხხეულებ-  
რავად ეოფილან აღტაცებულნი ზეყად და  
ქვეყნის დასასრულის წინ ევლია უნდა მოე-  
ღინონ დღეამიწის თავიანთი უმთავრესი მი-  
სის აღსასრულებად და ბოროციელი სიკვდი-  
ლის ბისაღებად, ამ წმიდა წინახარებტეველ-  
თა საბულებთა ევლია და ენუქ იმ ეთ  
ნასკრულ დღეებში ამა ქვეყნისა უფალი მით  
იერუსალიმში მოავლენს, რათა მათ თავიანთ  
საკვირველი ქადაგებითა და სასწავლულოქმე-  
დებითა ვანუცხადონ ადამიანებს ის აჩნახულ  
სიყრუე, რომელიც ხუდა უფრო და უფრო  
ეუფლებს ეცობრითას ევლია და ენუქ წი-  
ნახარებტეველნი ხანახვევარა წელს განხე-  
ლობაში თავისუფლად, დაუბრკოლებლად ამ-  
სილებენ ანტიქრისტეს, ვაურობილებენ და-  
მაინებს, არ მიიღონ მისი სიყრუე ანუთა წი-  
ნაღმდევობა ამ უკანასკნელს მისი მოქმედე-  
ბის მეროდ იეროოდაში შეხვდება, როცა ის  
და მისი ხელისშეწყობნი ეოველმხრივ შეეშ-  
წადებთან მსოფლიო ძალაუფლების მიხატ-  
ცებლად, მაგრამ, მიუხედავად მთელი თავისი  
სიძლიერისა, ანტიქრისტე ვერ შეძლებს ხე-  
ლი შედმალის ეთიება და ენუქს მათს მამ-  
ხილებელ ქადაგებაში, ამიტომ ის პერიოდში  
იგი ევლია-ცა ვარტყულად შედაბალი და მი-  
წინაღმდეგეთა მხარდაც ეო ვითომცდა ეო-  
თილგანწყობილი და ეარგის მოსურნე იქნება,  
ბოლოს ეო ამ საშველიწადნახვერის განხლას  
შეძდვა ანტიქრისტე პირდაპირ ძალადობას მი-  
მართავს წმიდა წინახარებტეველთა წინააღმდეგ  
და ამის გამო იძულებული გაბდება უწინდელი  
წილადი დიდი მშვიდობისშეოფებისა მამოცი-  
ლოს.

ჩვენი აზრით, ამოდ ცდომობენ ზოგიერო-  
ნი წმიდა წინახარებტეველების - ელიათ  
და ენუქის ამქვეყნად სასწავლურბრივი მოვლი-  
ნება ქვეყნის დასასრულს სიმბოლურად, არა-  
პირდაპირი მნიშვნელობით გაიგონ და იგავუ-  
რად განმარტონ, ხაღმროთო წერილი, ეკლესიის  
წმიდა მარტები და სიყვალისიო გადმოცემა სრული  
გარკვეულობით აცხადებენ მათს ჩამდვად,  
პირდაპირ გაგებით აღსაქმელ მოხვლაზე ამ



ქვეყნად შვიდი წლით ადრე ქვეყნის დასასრულამდე და უფალ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე: ამ ავტორიტეტულ უტყუარ ცნობებში ნათქვამია ელიასა და ენუქის ნამბილებელ ქადაგებაზე. რაც ანტიქრისტეს წინააღმდეგ იქნება მიმართული. მათს ხაზგაუღობს მოწამეობრივ სიკვდილზე, მკვლართთა აღდგომაზე და ცოდ ამადლებაზე.

იოანეს გამოცხადებაში უოველივე ამის გამო შემდეგს ვკითხულობთ: „და მივსცე ორთა მათ მოწამეთა ჩემთა, და წინასწარმეტყველებდნენ 1240 დღე (ანუ სამწახევარ წელიწადს), შემოსილნი ძაძითა, ესენი არიან ორნი იგი წეთისხილნი და ორნი სასანთლენი, მდგომარენი წინაშე უფლისა უოველისა ქვეყანისა, და რომელსა უნდეს ენებად მათდა, ცეცხლი გამოვალს პირისაგან მათისა და შეშვამს სტერთა მათთა; და რომელსაცა ენებოს ენებაი მათი, ესრეთ ჭერარს მოკვდომაი მისი, ამათ აქვს ზელმწიფებაი დაბშვად ცათა, რაითა არა წვიმდეს დღეთა მათ წინასწარმეტყველებიანთა მათისათა; და ზელმწიფებაი აქვს წუაღთა ზედა, რაითა გარდააკვირონ ხისხლად, და რაითა შეწყურონ ქვეყანაი, რაოდენ-გზისცა ენებოს, უოველითავე წყლულდებიან, და რაეამს აღასრულონ წამებაი მათი, მხეცმან მან, რომელი აღმოვალს უფსკრულით (ანუ ანტიქრისტემ), ბრძოლა-ყოს მათ თანა და სძლოს და მოკლნეს იგინი... და შემდგომად სამისა წინ და ნახევარისა დღისა სული ღმრთისაი ცხოველი შევიდა მათ თანა, და აღდგეს ფერხთა ზედა მათთა, და... ხმანი დიდი წეცით... ეტყოდა მათ: აღმოვედით აქა! და აღვიდეს ზეცად ღრუბლითა, და იბილნეს იგინი სტერთა მისთა“ (გამოცბ. 11, 3-7, 11-12).

წმიდა წინასწარმეტყველ ზაქარიას წიგნში კი ანახთან დაკავშირებით შემდეგა სწერია: „და ორნი წეთისხენი ზედაით მისსა, ერთი მარჯვენით ლამპარისა მისისა და ერთი — მარცხენით, და ვკითხუ: ...რა არიან ესენი, უფალო?.. და მითხრა მე! ესე ორნი ძენი პოპიერებისანი, წარდგომილ არიან უფლისა უოველისა ქვეყანისასა“ (ზაქარია 4, 13-14), რომ წინასწარმეტყველი ზაქარია ამ ორ წეთისხილის ზეში ორ წინასწარმეტყველს — ელიასა და ენუქს გულისხმობს. — ამას წმიდა ანდრია კესარიელიც ამტკიცებს თავის „თარგმანებაში იოანეს გამოცხადებისა“ (2-4).

წმიდა წინასწარმეტყველ მალაქიას წიგნში ერთი ამ ორ მოწამეთაგან პირდაპირაა დასახულებული: „და ამა, მე მოგივლენ თქვენ ელიას თეზბიტელსა პირველ ნოსტვისა დღისა უფლისაიანსა დიდსა და განჩინებულსა, რომელმან კვალად მოაგოს სული მამისა მისა მიმართ და გული კაცისა მოყულისა მისისა მიმართ. ნუ

ნოსტულმან, მოვსო ქვეყანა მუის“ (მალაქია 4, 5-6).

ეკლესიის დიდი მოძღვარნი, წმიდა მამები — ეფრემ ასური (იხ. მისი „სიტყვა უფლის მეორედ მოსვლისათვის“) და იოანე დამასკელი („წესტი გადმოცემა მართლმადიდებელ წარმუნობისა“, წგ. 1V, თ 3 [38] — ქვეყნისა, რომ ორი მოწამის სახით, რომელთა ამქვეყნად მოვლინება ჭერარს ქვეყნის დასასრულის წინ, უნდა შევიცნოთ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი — ელია და ენუქ.

საეკლესიო გადმოცემაც, შემონახული ჩვენს ხალხთისმსახურო წიგნებში, ასევე ლაპარაკობს ამ ამბის პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით გაგებაზე, და არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ელიასა და ენუქის მოვლინების სხვაგვარი, იგავური გახმარებისათვის.

მაგალითად, ზორციელის კვირაში საკითხავ სვინაქსარში ნათქვამია, რომ ქვეყნის დასასრულამდე შვიდი წლით ადრე, სიტყვისაებრ დანიელ წინასწარმეტყველისა, მოვლენ ენუქ და ელია, რომელნიც ადამიანებს უქადაგებენ არ მიიღონ და არ აღიარონ იგი (ანტიქრისტე) ღმერთის მსახურად, ის კი დასტანჯავს მათ და თავებხაც წარკვეთს. კვლავად, ელია წინასწარმეტყველი მსახურებაში სწერია: „ელია თეზბიტელი, უბრწუნელად დაგბადა ღმერთმა, რათა სიკვდილი არ იგემო, ვიდრე უოველენით არ იქადაგებ ქვეყნის დასასრულისთვის!“ ტროპარში ელია წინასწარმეტყველი განიდიდება როგორც „მეორე წინამორბედი ქრისტეს ამქვეყნად მეორედ მოხვლისა“.

სვინაქსარში (20 ივლისი) ვკითხულობთ: „წინასწარმეტყველი ღმრთისა წმიდა ელია, ცეცხლოვანი ეტლით ზეცად აღტაცებული, დღესამომდე ცოცხალია, და იგი ზორციელად იყო ხილული თავბორის მთაზე სამი წმიდა მოციქულის მიერ უფლის საკვირველი ფერისცვალების ეამს, და ამგვარადვე ზორციელად ხილული იქნება მოკვდავ ადამიანთაგან ამქვეყნად უფლის მეორედ მოხვლის წინ, თავიდან აიცილა რა ზორციელი სიკვდილი იუზაბელის მახვილისაგან, იგი ევნება ანტიქრისტეს მახვილით, და უწენაესი დიდების ღირსი შეიქნება სამართლიანი სასუიდლის მიმგები ღმრთისაგან არა მხოლოდ როგორც წინასწარმეტყველი, არამედ როგორც წმიდა მოწამეც“.

იმავე დღის „მეტაფრასში“ ნათქვამია: „ესე ელია ენუქთან ერთად უნდა მოვიდეს ამქვეყნად ქრისტეს მეორედ მოხვლის წინ ანტიქრისტეს სამხილებლად და მორწმუნეთა სანუბეშებლად“.

მაგრამ, მიუხედავად უველა ამ გაფრთხილებისა, ადამიანთა უმრავლესობა, თავისი



ნორცეული გონების მიზნით, არათუ ვერ დაინახავს მთელს სიყალბეს ანტიკრისტეს გარეგნული ხატოებისა, არამედ შეტაც — აღტაცებით შეხვდება მას და განადიდებს კიდევ უფრომ ასური წერს, რომ, როცა ხალხი იხილავს ეხოდენ „სათნოებათ“ და „ძალთ“ ანტიკრისტესი, ყველას ერთი აზრი გაუჩნდება — მეფედ აღიაროს და გამოაცხადოს იგი, და ერთგურობს ესე ეტყვიან, მოიძებნება კი კაცი, ეგზომ კეთილი და მართალი!

შთაბეჭდილება ატიკრისტეს გარეგნული კცევისაგან, რომელშიც კარბად იქნება ხაზიო ბური ელემენტი და რომლითაც იგი ყველგან ღვთის კეშმარიტ წარგზავნილად ნოახტუნებს თავს, იმდენად დიდი იქნება, რომ, მოუხედავად წმიდა წინასწარმეტყველთა — ელიასა და ენუქის მრისხანე მხილებისა, ანტიკრისტეს თავის მეუფედ აღიარებენ, პირველ უოვლისა, იუდეველები.

ისრაელში აღწევებულ სამეფო ძალაუფლებაზე ანტიკრისტესი შეფარვით გვაუწყებს გამოცხადების წინასწარმეტყველებს, როცა საუბარია იმ ადამიანთა შესახებ, რომელთაც მხეცის ბეჭედი ექნებათ მიღებული, „ანუ რიცხვი სახელისა მისისაი, აქა არს სიბრძნე: რომელსა აქვს გონე... აღიპყარს რიცხვი იგი მხეცისაი, რამეთუ რიცხვი კაცისაი არს რიცხვი მისი — „ექვსასდასამეოცდაექვს“ (გამოცხ. 13, 17—18). ამრიგად, გამოცხადების წმიდა შემოქმედი უოველ მკითხველს იწვევს ამოსაყნობად ამ საიდუმლო რიცხვისა — 666-ისა.

აქამდე მრავალ ღვთისმეტყველს უცდია ამ რიცხვის საიდუმლოს ამოცნობა—ამოხსნა, მაგრამ რაკი წინდაწინ არავითარი პრინციპი მხეცის რიცხვის ასეთი გასაიდუმლოებისა ნაკარაუდენია არ მქონდათ, ვერც ერთმა განმმარტებელმა ვერ შესძლო ბოლომდე მისაღები ახსნის შემოთავაზება, გამოცხადების განმმარტებელი, წმიდა ანდრია კესარელი თავის „თარგმანებაში“ ამბობს: „ქეშმარიტებას სახელისა მისისაი ეამბან გამოაცხადოს, რამეთუ სკაუთუმიცა ჯერ—იყო განცხადებულად ცნობად სახელისა მისისაი მხილველსა მას, გამოცხადებადა, არამედ არა ინება ღმერთმან საღმრთოთა წიგნთა შინა ბორბოტისა მის სახელისა დაწერად.“ ასე რომ, მრავალი სახელის კოვნა შეიძლება სიტუიერი და რიცხობრივი მანიპულაციებთ, იზოფსეფიების გამოყვანით ხზადასხვა სიტყვებისა (და სხვადასხვა ენაშიც) — როგორც საკუთარი, ასევე საზოგადო სახელისაც, მაგრამ მხოლოდ ამ გზით ქეშმარიტებას ვერ ჩავწვდებით, საკუთარი სახელებისაგან იზოფსეფიის გამოყვანით შემდეგნი მიუხადაგებაათ მხეცის რიცხვისთვის; ღამ კეტისი ტიტანი, ბენედიქტი, აღწერილი თუ

საზოგადო სახელებით მრავლად უპოვნიათ და მათი შეფარდება უცდიათ მხეცის რიცხვისთვის, მაგალითად, ბერძნული წინამძღვარი, ძველი მოშურნე, ლათინური (ლატინოს), ვაშმარიტად მაცნობელი, უკეთური კრპი და კიდევ სხვა-სხვა სკდა მხეცის რიცხვის საიდუმლო გამოცნობა მ. პოლსკიმ, რომელმაც თავისი სტატია „მხეცის რიცხვი“ გამოაქვეყნა ეურნალში „სვიატაია ზენლია“ (1928 წ., № 1), მისი განმარტებით, ამ რიცხვით — 666 — აღნიშნულია მშუფება მძროსი, და აგრეთვე მშუფება ადამიანის შრომაზე, „მხეცის რიცხვი“ აღნიშნულია წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც თავის ხელში აიღებს არამხოლოდ მთელს სიმდიდრეს ანა კვეყნისა, არამედ შენს შრომასაც მთლიანად დაიმონებს“.— დაასკვნის თავის წერილში დეკანოზი მ. პოლსკი, ვიდრე სხვა რომელიმე განმარტებაზე გადავიდოდეთ მხეცის რიცხვისა, საჭიროა მონახვა ერთადერთი სწორი პრინციპისა, რომელიც რიცხვის ახსნა-გამოცნობას, ანუ გაშიფრავს დაედება საფუძვლად: აუცილებელია ვიხედოდვანდლოთ ისეთი რამით, რაც საშუალებას მოგცემს არამარტო სახელად „ვაქციოთ“ ეს საიდუმლო რიცხვი, არამედ თვით იმ მიზნებსაც მივაგნოთ, რამაც აიძულა წმიდა მოციქული მხეცის სახელის გასაიდუმლოება და შეფრვისათვის მიემართა და ეს სახელი პირდაპირ, განცხადებულად არ მოგვანოდა, თუკი შემოშოყვანილ განმარტებებს ამ თვალსაზრისით მივუდგებით და მარტივ კითხვას დავსვამთ: რატომ ჩათვალა მოციქულმა ასეთი მარტივი ცნებების დაშიფრვა-გასაიდუმლოება, როგორცაა „ოქრო“, „ოქროს მეუფება ადამიანის შრომაზე“, ანდა ისეთი სახელწოდებებისა, როგორცაა „ბორბოტი წინამძღვარი“, „ძველი მოშურნე“, „უკეთური კრავი“ და სხვა, მაშინ ყველა ეს მცდელობა რიცხვის გამოცნობისა თავისთავად უაზრდებული აღმოჩნდება, რადგან ისინი პასუხს ვერ გაცემენ ამ კითხვაზე და თვით საიდუმლოს, მიფრცარიელი, პრაქტიკულად უაზრო თავსატეხად აქცევენ, ამის დაშვება კი, რომ წმიდა ღმრთივესულიერი მოციქული, რომელიც უოველივეს სულიწმიდის კარნახით წერდა, ჩვენს თავშეკცევისათვის ირჯებოდაო, ჩვენ, რატომ უნდა, არაფრით არ შეგვიძლია... ასე რომ, თუშცა შემოთმოყვანილი ეპითეტები ხაზებით შეეფარება ანტიკრისტეს ბუნებას, ჩვენ პრინციპულად სულ სხვა ამოხსნა უნდა ვეძიოთ მხეცის რიცხვისა.

და აი, ერთადერთი სერიოზული, ღრმა ახსნა-განმარტება ამ საიდუმლოში, რასაც ხაზებით ძალუქს აკვირხსნას მიზნით უპოვნიათ და მათი შეფარდება უცდიათ მხეცის რიცხვისთვის, მაგალითად, ბერძნული წინამძღვარი, ძველი მოშურნე, ლათინური (ლატინოს), ვაშმარიტად მაცნობელი, უკეთური კრპი და კიდევ სხვა-სხვა სკდა მხეცის რიცხვის საიდუმლო გამოცნობა მ. პოლსკიმ, რომელმაც თავისი სტატია „მხეცის რიცხვი“ გამოაქვეყნა ეურნალში „სვიატაია ზენლია“ (1928 წ., № 1), მისი განმარტებით, ამ რიცხვით — 666 — აღნიშნულია მშუფება მძროსი, და აგრეთვე მშუფება ადამიანის შრომაზე, „მხეცის რიცხვი“ აღნიშნულია წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც თავის ხელში აიღებს არამხოლოდ მთელს სიმდიდრეს ანა კვეყნისა, არამედ შენს შრომასაც მთლიანად დაიმონებს“.— დაასკვნის თავის წერილში დეკანოზი მ. პოლსკი, ვიდრე სხვა რომელიმე განმარტებაზე გადავიდოდეთ მხეცის რიცხვისა, საჭიროა მონახვა ერთადერთი სწორი პრინციპისა, რომელიც რიცხვის ახსნა-გამოცნობას, ანუ გაშიფრავს დაედება საფუძვლად: აუცილებელია ვიხედოდვანდლოთ ისეთი რამით, რაც საშუალებას მოგცემს არამარტო სახელად „ვაქციოთ“ ეს საიდუმლო რიცხვი, არამედ თვით იმ მიზნებსაც მივაგნოთ, რამაც აიძულა წმიდა მოციქული მხეცის სახელის გასაიდუმლოება და შეფრვისათვის მიემართა და ეს სახელი პირდაპირ, განცხადებულად არ მოგვანოდა, თუკი შემოშოყვანილ განმარტებებს ამ თვალსაზრისით მივუდგებით და მარტივ კითხვას დავსვამთ: რატომ ჩათვალა მოციქულმა ასეთი მარტივი ცნებების დაშიფრვა-გასაიდუმლოება, როგორცაა „ოქრო“, „ოქროს მეუფება ადამიანის შრომაზე“, ანდა ისეთი სახელწოდებებისა, როგორცაა „ბორბოტი წინამძღვარი“, „ძველი მოშურნე“, „უკეთური კრავი“ და სხვა, მაშინ ყველა ეს მცდელობა რიცხვის გამოცნობისა თავისთავად უაზრდებული აღმოჩნდება, რადგან ისინი პასუხს ვერ გაცემენ ამ კითხვაზე და თვით საიდუმლოს, მიფრცარიელი, პრაქტიკულად უაზრო თავსატეხად აქცევენ, ამის დაშვება კი, რომ წმიდა ღმრთივესულიერი მოციქული, რომელიც უოველივეს სულიწმიდის კარნახით წერდა, ჩვენს თავშეკცევისათვის ირჯებოდაო, ჩვენ, რატომ უნდა, არაფრით არ შეგვიძლია... ასე რომ, თუშცა შემოთმოყვანილი ეპითეტები ხაზებით შეეფარება ანტიკრისტეს ბუნებას, ჩვენ პრინციპულად სულ სხვა ამოხსნა უნდა ვეძიოთ მხეცის რიცხვისა.

და აი, ერთადერთი სერიოზული, ღრმა ახსნა-განმარტება ამ საიდუმლოში, რასაც ხაზებით ძალუქს აკვირხსნას მიზნით უპოვნიათ და







ხედავად, თუ როგორ იქნებოდა იგი დაბა-  
სიათებული — კრეშმარტი მესიად თუ ანტი-  
ქრისტედ — იუდეველთაგან შეიძლებოდა აღ-  
ქნული უოფილიყო როგორც პოლიტიკური  
დალატი. რადგანაც ისინი გულდასმით უმა-  
ლავდნენ რომელ ხელისუფლებს თავიანთ სა-  
ნუკვარ მიზნებს, თავიანთ მოლოდინს ისრა-  
ელის ნომავალი ძლევამოსილი მეუფისა და  
მის მიერ მსოფლიო ძალაუფლების მოპოვე-  
ბისა; აქი ისინი უოველმხრივ ცდილობდნენ  
დაერწმუნებინათ რომაელები — ჩვენ არ  
გვყავს სხვა მეფე, თვინიერ რომის კუისრისა,  
და არც გვინდა მეფედ სხვა ვინმეო. ამიტომ  
წმიდა მოციქულმა საიდუმლო რიცხვით და-  
ფარა მხეცის არსი, ისეთი საიდუმლოთი, რომ-  
ლის ამოხსნაც კრეშმარტი ხულიერი ხედვით  
უოველთვის შესაძლებელი იყო.

მესამე კერიოდში, ანტიქრისტეს მოქმე-  
დების ეს, მესამე და უკანასკნელი პერიოდი  
დაიწყო მის მიერ მთელი მსოფლიო ძალაუფ-  
ლების მიტაცებით. ამას დიდად შეუწყობს  
ხელს ხალხთა უკიდურესი ვაჭირვება, ხულიერი  
გადატაცება და სასოწარცვეთა, რაც შესაძლოა  
გამოწვეული იყოს მსოფლიო ომისა თუ სხვა  
რამ დიდი უბედურებისაგან, ამ ერთიან მსოფ-  
ლიო ძალაუფლებაში, რაც უველანაგან განდი-  
დებული ანტიქრისტეს ხელში იქნება მოქ-  
ციული, კაცობრიობის უდიდესი ნაწილი დაი-  
ნახავს ერთადერთ გარანტიას ახალი ომებისა  
და არეულობისაგან თავდასახლდევად. და  
ერთადერთ გზასაც მსოფლიოს შემდგომი  
მშვიდობიანი აუვავებისათვის.

ანტიქრისტეს მოხვლას მსოფლიო ძალა-  
უფლების სათავეში საღმრთო წერილი შემდეგ-  
ნაირად გვიწინასწარმეტყველებს: ომით გავე-  
რანებული და აოხრებული კაცობრიობის სხე-  
ულზე „ათნი მეფენი აღდგენ“ (დანიელი 7, 24);  
შვიდს მათგან „ერთი ნება“ ექნება ანტიქრის-  
ტესთან, და სწორედ ისინი „ძალასა და ხელ-  
მწიფებასა მათსა მხეცსა მიხცემენ“ (გამოცბ.  
17, 13); დანარჩენი სამი მეფე კი თავისი და-  
მოუკიდებლობისათვის იბრძოლებს, რის გამოც  
ანტიქრისტეს მათი დამორჩილება სამხედრო  
ძალით მოუწევს (დან. 7, 8, 20, 24), ლაქტან-  
ციუსი წერდა: „როცა ხალხები განამრავლებენ  
მხედრობას და მიატოვებენ მიწათმოქმედებას,  
რასაც ქვეყნების მოხობრება გავერანება მობ-  
უვება, როცა ისინი უველაფერს გამოლევენ,  
დაცარიელებენ და შექამენ, მაშინ ჩრდილოე-  
თის მხარის უკიდურესი საზღვრებიდან შეც-  
რად აღდგება მის (ანტიქრისტეს) წინააღმდეგ  
უძლიერესი მტერი, სამს ამ მტერთაგან იგი  
დაამარცხებს და მოსპობს, სხვები კი მასთან  
კავშირს შეკრავენ, და იგიც უველას მთავრად  
აღუდგება, სწორედ ეს მთავარი იქნება ანტი-

ქრისტე (საღმრთო დარიგებანი წგ. VII, თ. 16).  
ეს სამი მეფე, რომელთაც უამარცხებს და  
მოსპობს ანტიქრისტე, წმიდა მოციქული  
განმარტებით, არიან მეფენი თუ მთავარნი  
ეგვიპტისა, ლიბიისა და ეთიოპიისა (აბისინიისა),  
სამ სახელმწიფოებში შემდგომ, რომელთაც  
უკანასკნელს დამორჩილება მოსპობა  
ანტიქრისტესთვის მსოფლიო გაბატონების  
გზაზე. იოანეს გამოცხადება მას ხატავს წი-  
თელი მხეცის სახით, რომელსაც ათი რქა  
(ანუ ათი დამორჩილებული სახელმწიფო) და  
შვიდი თავი აქვს (ანუ ეს შვიდი მთავარი, რომ-  
ელნიც მას ნებით დამორჩილდნენ და მისი  
სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან  
თავ-თავიანთ ქვეყნებში): „და ამა ვეშაპი ცეცხ-  
ლისაი (ანუ აღისფერი) დიდი, რომელსა ედგ-  
ნეს თავნი შვიდნი და რქანი ათნი და თავთა  
ზედა მისთა შვიდნი გვირგვინნი“ (გამოცბ. 12,  
3) შემოთქმულთან დაკავშირებით იხილეთ გა-  
მოცხადების განმარტებანი წმიდა მამებისა—  
ირინეოს ლიონელისა და კირილე იერუსალიმე-  
ლისა.

ანტიქრისტეს მსოფლიო პოლიტიკური ბა-  
ტონობის შესახებ გამოცხადება შემდეგს გვი-  
წინასწარმეტყველებს: „და მიეცა მას ბრძოლი-  
საცა-უოფად წმიდათა მიმართ და ძლევად მათ-  
და; მიეცა მას ხელმწიფებაი უოველსა ზედა  
ტომსა და ერსა და ენასა და ნათესავსა“ (18,  
7). ანტიქრისტეს მიერ ასეთი ბატონობის  
მიღწევაში თუმცა ჩვეულებრივ ადამიანურ მა-  
ლისხმევასა და ფიზიკურ საშუალებებსაც გა-  
რკვეული მნიშვნელობა ექნება, მაგრამ მაინც  
მთავარი წყარო მისი ძლევამოსილებისა ეს  
როდი იქნება, „და მტკიცე იყოს ძალი მისი,  
და არა ძალითა მისითა...“ (დანიელი 8, 24).  
მთელ თავის ძალას ანტიქრისტე სატანისაგან  
მიიღებს. „...და მისცა მას ვეშაპმან მან ძა-  
ლი თვისი და ხუდარი თვისი და ხელმწიფებაი  
დიდი“ (გამოცბ. 18, 2). სატანის მხრივ სწო-  
რედ ამ მუდმივი თანადგომით შეიძლება აიხს-  
ნას ანტიქრისტეს უჩვეულო წარმატება მსოფ-  
ლიო ძალაუფლების ესოდენ მოკლე დროის  
მანძილზე მიტაცებაში, და სწორედ ეშმაკისაგან  
ექნება მას მიღებული უჩვეულო ძლიერება,  
რომელსაც ვერავითარი ადამიანური ძლიერე-  
ბა და ვერავითარი ხელისუფლება წინ ვერ  
აღუდგება, ხელს ვერ შეუშლის

როგორც უკვე ვთქვით, ანტიქრისტე ეშმაკის  
ძალითა და მისმიერი ცრუ-სახსწაულებით იმოქ-  
მედებს, ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ  
მას ურიცხვი დამხმარენი ეყოლება ადამიანთა  
შორისაც, გარდა ამისა, თანამედროვე მსოფ-  
ლიოს პირობებში, როცა სწრაფი მიმოსვლის,  
კავშირგაბმულობისა და ფრენის საშუალებები  
არსებობს, ხავსებით შესაძლებელი იქნება უე-



ცარი გადატრიალება მთელს დედამიწაზე, უველა მნიშვნელოვან და ძლიერ საბელმწიფოში, ასე, რომ ზემოთ აღწერილ გაბატონებაში მთელს მსოფლიოზე რაც ანტიქრისტიმ უნდა განახორციელოს, წარსოფდგენელი და შეუძლებელი არაფერია

ანტიქრისტეს საყოველთაო აღიარება ხალხთა მოძღვრად და მისი გამოცხადება მსოფლიო მონარქად იმავდროულად დაკავშირებული იქნება მის მიჩნევასთან უველა რელიგიის სულიერ წინამძღვრადაც, ვლადიმირ სოლოვიოვმა თავის უკანასკნელ ესქატოლოგიურ შრომაში „სამი საუბარი“ გამოთქვა ვარაუდი, რომ ანტიქრისტი, მსოფლიო ძლიერების მოპოვების შემდეგ, მოიწვევს მსოფლიო საეკლესიო კრებასაც უველა ხარწმუნოებისა და აღმსარებლობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ ეგრეთ წოდებულ საეკლესიო კრებაზე, რომელიც აღბათ იერუსალიმში შედგებაო, იგი უველას შესთავაზებს ერთ სამწყობოში გაერთიანებას ერთი სულიერი მწყემსის მთავრობის ქვეშ, უმთავრეს ყურადღებას, ვარაუდობს ვლ. სოლოვიოვი, ანტიქრისტე ქრისტიანულ რელიგიაში არსებულ სხვადასხვა აღმსარებლობას დაუთმობს, და უოველმშრივ მფარველობას აღუთქვამს უველას თავისი აღიარებითავეს უველა ეკლესიის შეუფედ და პირველმდებელმოაზრად. „იგი საუვირით დასცემს საკუთარი თავისთვის, — ამბობს წმიდა ეფრემ ასური. — როგორც საუვირითვე სცემდნენ მისთვის მისი წინამორბედნი: საკუთარ თავს მკადაგებელს და კეშმარიტი ღვთისშემეცნების აღმადრძინებელს უწოდებს. ვისაც ჭეროვნად არ შეუშეცნია კეშმარიტი ქრისტიანობა, იგი მასში კეშმარიტი რწმენით აღესილ კაცსა და მისთვის მებრძოლს დაინაბავს, ამიტომაც ასეთნი მრავლად შეუდგებიან მას, საუვირს დასცემს იგი და თავს აღთქმულ მესიად გამოაცხადებს. ღაღადისით შეეგებებიან მას ხორციელი სიბრძნის შვილები, და იხილავენ რა მის განდობას, ძაღვას, გამორჩეულ უნარს და შემძლებლობას ქვეყნის სტიკიონებზე ზემოქმედებისათვის, მაწინ ღმერთად აღიარებენ მას, თვითონ კი მისი მიმდევარნი შეიქმნებიან“ (106-ე სიტყვა).

აქ ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკლესიის წმიდა მამები აღამიანთა ასეთი შეცდენისა და ანტიქრისტეს მიერ გატაცების მთავარ მიზეზად ასახელებენ სულიერი გონიერებისაგან მოკლებას, რის გამოც თითქმის მთელი კაცობრიობა ხორციელ ნიხწრაფებათა მორევში ჩაიძრება. ხოლო რადგანაც სულიერი გონიერების მოპოვება და წარმატებული ცხოვრება მისი ხელშეღვანელობით შესაძლებელია მხოლოდ სწორი სულიერი ცხოვრების

პირობებში. რასაც კეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია გვასწავლის, ამიტომაც იმ მძიმე დროს, როცა ამქვეყნად ანტიქრისტე გაბატონდება, ხრულყოფილი სულიერი საკურვლით შემოსილნი მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები იქნებიან, მხოლოდ კეშმარიტ მორწმუნეებს ზელეშეუძენს უწინაგონ მისი მზაკვარბანა. თუმცა ~~სხვადასხვა~~ აღიღებელ ქრისტიანთა შორისაც უველა რადი იქნება აღჭურვილი ამ უნარით სიცრუის შეცნობისა, არამედ მხოლოდ ისინი მათგან, რომელნიც სულიერი ცხოვრებით იცხოვრებენ წმიდა ეკლესიის სწავლების შესაბამისად. ხოლო უველა მწვალებელი და ცრულ მორწმუნე, რომლებშიც ან სულ არ იქნება სულიერი ზედვა, რომლებიც ველარ იცხოვრებენ სულიერი ცხოვრებით, ანდა დამახინჯებული ექნებათ იგი. — უველა ასეთი აღამიანი გარდუვალ მსხვერპლად გადაექცევა ანტიქრისტეს ძლიერ ცოუნებას და დაიღუპება.

უველაზე დიდი უმთავრესი მზაკვარება ანტიქრისტესი ის იქნება, რომ იგი მზაკვრული მახვალგონივრულობით შეცვლის აქამდე გაბატონებულ საბეს ღმერთკაცისა — კაცღმერთის ქულტით, და უველა აღამიანისაგან ღვთის საფერ და ღვთის კუთვნილ თავვანისცემას მოითხოვს. საღმერთო წერილში ანტიქრისტე განმსახულია როგორც განმადიდებელი თავისა და მგმობი ღმრთისა: „...მოვიდეს განდგომილება იგი პირველად, და გამორჩდეს კაცი იგი უშჯულთობისა, შვილი იგი წარსაწყმედელინაი, მხდომი იგი და განლაღებული უოველთა ზედა, რომელნი სახელდებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებელად, ვითარმედ და-ცა-ჩდეს იგი ტადარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თავისსა ვითარცა ღმერთი“ (11 თესალონიკ, 2, 4—1); „და მიეცა მას (ანუ მზეცს — ანტიქრისტეს) პირი დიდად მუტუველი და მგმობარი, და მიეცა მას უოფად ბრძოლისა ორმეოც და ორ თვე, და აღადო პირი თვისი გმობად ღმრთისა სიმართ, გმობდა სახელისა მისისა და სამკვიდრებელისა მისისა და ცათა შინა დამკვიდრებულთა მათ“ (გამოცხ, 13, 5—11).

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ქრისტიანობის საწინააღმდეგო — კაცღმერთის კულტთან დაკავშირებულია თანადროული მსოფლიოს მრავალი რელიგიური თუ სხვა სახის თეორიული მიმდინარეობანი, ასეთ შეზედულებათა განავრცელებლად ამჟამად კმედით პროპაგანდას ეწევიან როგორც იოგები, ასევე მათი დასავლელი მიმდევრები — თეოსოფები. უველა ისინი ამტკიცებენ, რომ, თითქოს, ჩვენნი აღამიანური „მე“ ღვთაებრივი იყოს და ერთარსიც ღმრთისა.



„სული ადამიანის სამშენებელში — არის ადამიანის ქეშარიტი „მე“, რომელითაც იგი ნამდვილად და სამარადისოდ ერთარსია მამისა“ (ანუ ღმერთისა), (ენანი იოგა, გვ. 100).

„ქეშარიტი „მე“ ადამიანისა არის ღმერთის გამოვლინება, და მასში („მე“-ში) მდგომარეობს თვით არსი ღვთაებისა“ (რაჯა იოგა, გვ. 50).

„ღვთაებრივი არსებით, რომელიც, ჩვენი უცნობელობის გამო, ჩვენგან მოცილებული წარმოგვიდგენია, სინამდვილეში სულაც არ არის შორს შუოფი ჩვენგან, არამედ იგი არის თვით ჩვენი საკუთარი „მე“, მოქცეული ჩვენი არსების შიგნით“ (სუომი ახედანან და „როგორ გავხდეთ იოგა“, გვ. 28).

იგივე ავტორი ანტიკიცებს, რომ გამოცხადება, ზეშთავონება რომელიდაც განსაკუთრებული წყაროდან ეს არ მომდინარეობს, არამედ იგი არის მხოლოდ გახსნა-გამოვლენა უმაღლესი „მე“-სი თვით ადამიანის არსებაში, — ანუ აქაც ადამიანი ღვთაებას უტოლდება (გვ. 112).

ასეოვე ანტიკრიტიკულ რელიგიურ შეხედულებებს ეხვდებით თეოსოფიის მქადაგებლებთანაც თეოსოფიური ხაზოგადობის კრუზიანტი ა. ბეზანტი ამტკიცებს: „უმაღლესი „მე“ ადამიანისა არის სწორედ ის ძალა, რომელმაც სამყარო შექმნა, იგი ნაწილია ღოგოსის უზღვრებისა და განუყოფელია მისგან“ („ძალა აზრისა“, 1912).

თეოსოფები ამტკიცებენ, რომ ღმერთის მოვლინება ამქვეყნად არ არის ერთხელ აღსრულებული, ერთადერთი მოვლენა, არამედ იგი განმეორებადია ეგროტროფიული ავტირების“ ხაზით, „ავატარების“, ანუ მსოფლიოს მხსენებლების“ მოვლინება ამქვეყნად, თეოსოფების მოძღვრების თანახმად, მრავალგზის განმეორებულა, ა. ბეზანტი წერს, რომ „აკამდე დედამიწაზე ჩამოსულა უბრა ავატარი, მეათე უნდა მოვიდეს“ (ლექცია „ქრისტეს იდეა“, 1914). ამ ავატარებში იგულისხმება ბუდა, კრიშნა, იესო ნაზარეველი, და კიდევ სხვაც (ა. ბეზანტი „მსოფლიო მოძღვარება შეხატებ“, 1913).

ამ შეცდომილებათა საპირისპიროდ უნდა მტკიცედ განვაუხადოთ, რომ ქრისტიანული სარწმუნოებრივი მოძღვრებით მამბ ღმერთის ერთარსნი არიან მხოლოდ ძე ღმერთი და სულიწმიდა, და ეს არის ქეშარიტად ერთარსი და განუყოფელი სამება, ქვეყნის, კაცობრიობის ხსნი, გამოსყიდვა აღსრულა ერთხელ; ადამიანთა ერთადერთი მხსნელი და ცოდვითაგან გამომსყიდველი არის განკაცებული ძე ღმერთისა, უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე; სხვა „მხსნელები“ არც არას-

დროს უოფილან ამქვეყნად მოვლინებული და ვერც მომავალში იქნებიან!

მაგრამ ზემოთ მოყვანილი შეხედვები აღმოჩნდა და დასავლეთის რელიგიის წარმომადგენლებისა მხოლოდ იმას სარწმუნობს, რომ უკვე პირდაპირ მზადდებენ ამის სარწმუნობს ანტიქრისტეს გამოცხადების უსაფუძვლოდ მხოფლიოს, მთელი კაცობრიობის „მხსნელად“.

როგორც ღვთაებრივი წმიდა პავლე მოციქული გვიწინასწარმეტყველებს, ანტიქრისტე „და-ცა-ქდენ ტაძარსა მას ღმერთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თვისსა ვითარცა ღმერთი“ (11 თესალონიკ. 2. 4). რა თქმა უნდა, ანტიქრისტეს არც ხალისი ექნება, არც დრო და არც საშუალება იმისთვის, რომ ტაძარში „და-ცა-ქდომის“ შემდგომი გამუდმებით იქ ისუოფებოდეს, და მით უმეტეს საუდარზე ზე-წამომყდარი ამას იგი, აღბათ, მხოლოდ განსაკუთრებით საზეიმო და მნიშვნელოვან შემთხვევებში იქმს, მაგალითად, შაშინ, როცა საკუთარ თავს მთელი მსოფლიოს მპყრობელად და ღვათებად გამოაცხადებს, ანდა სხვაგან გამოაცხადებინებს, თუმცა მისთვის არც იქნება აუცილებელი გამუდმებით ტაძარში უოფნა იმისთვის, რომ ადამიანებმა ღმერთად აღიარონ და ღვთის საფერი პატივი მიავონ რაჟი ერთხელ შევა ტაძარში და თავს ღმერთად გამოაცხადებს, ამ მოქმედებით ანტიქრისტეს მთელს მსოფლიოს მისცემს ნიშანს და ბრძანებასაც გასცემს, რომ ყველა ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ტაძარში მისი გამოსაბუღებანი დადგან თუ დაქიდონ, და უოველმა ადამიანმა აქედან მოუოლებული ხწორედ მას და მხოლოდ მას უნდა სცეს თაყვანი როგორც ერთადერთ ღმერთს, და მის წინაშე ილოცოს, და მართლაც დედამიწის უმრავლეს ტაძრებში დაიწყება ბილწი მსახურება ანტიქრისტესადმი (ამასთან დაკავშირებით იხ. პროფ. ბელიაევის შრომა „უღმერთობისა და ანტიქრისტესათვის“, ტ. 1, გვ. 284).

ეს შებილწვა ქრისტიანული ტაძრის სიწმიდისა და ქეშარიტი ქრისტიანული სარწმუნოებისა საღმერთო წერილში ინთავითვე არის ნაწინასწარმეტყველები და აღნიშნულია ცნობილი გამოთქმით წმიდა დანიელ წინასწარმეტყველისა — „საძაგელი მოობრებისაი“, რომელიც ღვთის ეკლესიას და ამა ქვეყანას უნდა ეუფლოს. ეს წინასწარმეტყველებანი ძველი აღთქმისა შემდეგია:

ა) წმიდა დანიელი ამბობს: „და შემდგომად შეიდეულისა სამეოცდართა მოისპოს ცხები და მსჯავრი არა იუოს მას შინა, და ქალაქი და წმიდაი განიბრწნას წინამძღვარისა თანამოავალინსა, და მოიკვეთნენ წულითრდუნასა შინა და ეიდრე იასასრულადმდე ბრძოლისა“



შემოკლებულია დააწესნეს უჩინოქმნილება. და განაძლიეროს აღთქმის მრავალთაი შეადე-  
 ულისა ერთსა, და ნახევარსა შორის შეიდეუ-  
 ლისასა დააუბროს მსხვერპლის ხაცავი და  
 მსხვერპლი შესაწირავი, და ფრთესა ზედა და  
 აწესოს უჩინოქმნიებაჲ და უადრე აღსასრუ-  
 ლისადმდე და სწრაფვისა დააწესოს უჩინოქმნასა  
 ზედა, და განაძლიეროს აღთქმის მრავალთაი  
 შეიდეულსა ერთსა და კერძოსა შეიდეულისასა  
 აღებულ იქნას მსხვერპლი ზემო და შესაწირავი  
 და ამით თანა შორის ტაძრისა სპდბპელი  
 მოოხრებინსანი იყოს, და უადრე დასასრუ-  
 ლადმდე ქამისა დასასრული მოეცეს მოოხრებასა  
 შინა" (დან. 4, 24-27).

ბ) იმავე წინასწარმეტყველთან ვკითხულობთ:  
 „და ნათესავისა მისგან აღდგენ და შუაგონ  
 სიწმიდით მძლავრებისა, და გარდაადგინონ  
 სამარადისოდ და მისცენ საძაგელი უჩინოქმნი-  
 ლი“ (11, 31).

ვ) იქვე ნათქვამია: „და უსჯულო აქმნენ უს-  
 ჯულონი, და ვერ გულისხმა-უნ ეოველთა უს-  
 ნოთა, და ვინიერთა გულისხმა-უნ, და ე-  
 მისაგანცა ცვალებიასა მიმდებარისა და მო-  
 ცემისა საძაგელსა მოოხრებისა და დღენი ათას  
 ორას ოთხმოცდაათნი“ (ანუ ეოველდღური  
 მსხვერპლთშეწირვის შეწყვეტისა და მოოხრების  
 სისაძაგლის დამკვიდრების შემდგომ 1200 დღე  
 გავაო); „ნეტარ არს მოთმინე და სიწვენილი  
 დღეთა მას ათას სამას ოცდაათხუთმეტთა“  
 (დან. 12, 11-12).

აქ, წმიდა დანიელის მიერ წინასწარმეტ-  
 ყველევ კერსპექტივაში ერთდროულად არის  
 გამოხატული სამი მოვლენა, რომელნიც  
 თუმცა კი საუკუნეებით არიან დაყოლებულნი  
 ერთმანეთისაგან, მაგრამ ურთიერთ შორის  
 ღრმა შინაგანი კავშირი აქვთ. სინამდვილეში  
 პირველი ორი მოვლენა არის მხოლოდ წინა-  
 საბამ უკანასკნელი, მომავალში აღსასრულე-  
 ბელი მოვლენისა, რომელსაც უმეტესწილად  
 განვსჯით ებრაელებსა და დანიელის ეს წინას-  
 წარმეტყველება, განვიხილოთ ეს მოვლენები  
 და შევეცადოთ მათ ახსნას ხალხთათვის წე-  
 რილის მიხედვით:

ა) პირველი მოვლენა, წინასწარმეტ-  
 ყველევი წმიდა დანიელის მიერ, არის სარწ-  
 მუნოებრივი დევნულება იუდეველებისა, რომ-  
 ელიც დაიწყო ანტიოქე ეპიფანემ, მუოთხე  
 ასიაროდმა მეფემ ეს ანტიოქე თავისი ძმის  
 სელევკოს მეოთხის შემდეგ გამეფდა სე-  
 ლევკიდების ეპოქის 187-ე წელს ანუ 178  
 წელს ქრისტეს შობამდე. მის საშინელ  
 ბეჭობაზე და მის მიერ იუდეველთა უსას-  
 ტიკეს დევნულებაზე მოთხრობილია მა-  
 კაბელთა პირველ ორ წიგნში, ქრისტეანი ღვთის-  
 ნეტყველებისათვის ანტიოქე ეპიფანე ევლელაზე

გამოკვეთილი წინასახეა მომავალი ანტიქრის-  
 ტესი.

ბ) მეორე მოვლენა — იერუსალიმის  
 დაქცევა მოოხრება და მისი წმიდა ტაძრის შე-  
 ბილწვა რომაული ლაშქრის მიერ 70 წელს  
 ქრისტეს შობიდან, იმპერატორ ტიტუსის ზეო-  
 ბის ეპს, დანიელის წინასწარმეტყველება რომ  
 მხოლოდ ანტიოქე ეპიფანეს მეფობას ეხებო-  
 დეს, მაშინ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, იმეო-  
 რებს რა „საძაგელს მოოხრებისას“, ანუ ამ და-  
 ნიელისეულ სიტყვებს (მათე 24, 15-21; ლუკა  
 21, 20-24), არ ილაპარაკებდა მასზე როგორც  
 მომავალში აღსასრულებელი მოვლენაზე, რად-  
 განაც მის ღროს ანტიოქეს ეპოქა დიდი ხნის  
 გადასული იყო.

ეს ფაქტი, რომელთა მიერ იერუსალიმის  
 მოოხრება იმპერატორ ტიტუსის დროს, აღწერი-  
 ლი აქვს ებრაელ ეპოქალმწერელს იოსებ ფლა-  
 ვიოსს, მისი გადმოცემით, რომელთა ლაშქარმა  
 სასტიკად ხაახშო იუდეველთა აქანებია, დააქ-  
 ცია იერუსალიმი და იავარბყო მისი სიწმიდენი:  
 რომელმა ქარისკაცებმა ზარ-ზეიმით შეიტანეს  
 თავიანთი მხედრული დროშები იერუსალიმის  
 წმიდა ტაძარში და აღსავლის კარის წინ დაას-  
 ვენეს: დროშებთან საზეიმო წარმართული  
 მსხვერპლი მოიტანეს შესაწირად და ზმამალაღი  
 შეძახილებით გამოაცხადეს იმპერატორი ტიტუ-  
 სი თვითმპყრობელად, ასე დამკვიდრდა წმიდა  
 ქალაქში „საძაგელი მოოხრებისაი“, ასე შეი-  
 ბილწა მისი უდიდესი სიწმიდე — იერუსალიმის  
 ტაძარი — წარმართთა ხელით აქ მსხვერპლი შე-  
 იწირა წარმართული ღვთაებებისადმი (ხოლო  
 როგორც დავით მეფე ამბობს, „უოველნი ღმერთ-  
 ნი წარმართთანი ეშმაკ არიან“ — ფს. 95, 5).  
 ამიერიდან წმიდა მსხვერპლის შეწირვა და ლოც-  
 ვა-ვერდება ქეშმარიტი ღმერთისადმი საუკუ-  
 ნოდ შეწყდა მასში (ამასთან დაკავშირებით იხ.  
 კროფ. ბელიაევის შრომა „უღმერთობისა და  
 ანტიქრისტესთვის“, ტ. 1, გვ. 230, 216).

ბ) მაგრამ წმიდა დანიელის ეს წინასწარმეტყ-  
 ველება საძაგელი მოოხრების შესახებ მხოლოდ  
 ნაწილობრივ შეიძლება შეხებოდა იერუსალი-  
 მის დაქცევას და მისი ტაძრის შებილწვა-დანგ-  
 რევას რომაული ლაშქრის მიერ 70 წელს ქრის-  
 ტეს აქეთ, უმთავრესად კი მასში ხზვა, მომავა-  
 ლი ეპოქა ნაგულისხმევი, როცა შეიბილწება  
 თითქმის ევლელა ტაძარი დედაშიწაზე, რღვენე  
 ქრისტეს რწმენა და, ამასთანავე, აღსრულდება  
 მოოხრება და შებილწვა ახალი სიონისა  
 — ქრისტეს ეკლესიისა, ეს უნდა მოხდეს ქრის-  
 ტეს მეორედ მოსვლის წინ, ქვეყნის დასასრულს,  
 ანტიქრისტეს გამოჩენისა და გაბატონების ეპს,  
 ნეტარ იერონიმესაჲც მიაჩნია, რომ დანიელის  
 მთელი ეს წინასწარმეტყველება „საძაგელი მო-  
 ოხრების“ შესახებ განეკუთვნება ანტიქრისტეს  
 მოქმედებას, და იგი მხოლოდ ნაწილს ამ წი-



ნახარბიჭველებსაც უკავშირებს ანტიკე  
ვიზიანეს ხაზიანულ ეპოქას.

წემოთმოყვანილ წინასწარმეტყველებაში და-  
ნიელია (II, 26-27). ჩვენთვის გაუგებარია გა-  
მოთქმა — „ფრთხა ზედა დაწესოს უჩინოქმ-  
ნისაგან“ (ანუ მოობრებისაგან); კერძოდ კი  
ნათელი არ არის, თუ რა არის ეს „ფრთხა ზე-  
და“ — რისი ფრთხა ეს? — ეკლესიისა თუ სხვა  
რამის? ამ ადგილის გონებამახვილური განმარ-  
ტება ეკუთვნის ებრაული ენის გრამატიკისა და  
ებრაულ-გერმანული ლექსიკონის ცნობილ შემ-  
დგენელს ჰეზენიოსს. რომელიც მას შემდეგნაი-  
რად თარგმნის: „და საძაგელების ფრთებზე  
იყოს ამოობრებელი“. და თარგმანს შემდეგ გან-  
მარტებდაც ურთავს: „ეკლესიის მტერი, ანუ  
ანტიქრისტე აქ წარმოდგენილია საძაგელი კერ-  
პის ფრთებზე წამოძვარაო, მსგავსად იმისა, რო-  
გორც იელოვაა წარმოდგენილი ქერუბიმებზე  
ამხედრებული და მფრენი“.

მართლაც, სავსებით შესაძლებელი და სავარა-  
უდოა, რომ ანტიქრისტე ფრთოსანი კერპით  
როგორც ეტლით თუ საყდრით მიმოვიდოდეს  
საეროვან სივრცეში. მისთვის ხავეციანურად  
აგებული თვითმფრინავიც შეიძლება წარმოვიდ-  
გინოთ, რომელსაც საძაგელი ფრთოსანი კერ-  
პის სახე ექნება. ამ უკანასკნელი ვარაუდის  
მსგავსი რამ ჰეზენიოსამდე მრავალი ხალხუნით  
ადრე გამოთქმული აქვს (თუმცა დანიელის ამ  
წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებით არა)  
ეკლესიის დიდ მამას ეფრემ ასურს (იხ. მისი  
III-ე სიტყვა — „უფლის მეორედ მოხვლისათ-  
ვის“. ნაწ. III, გვ. 25).

როცა მსოფლიო ბატონობას შეუდგება, ანტი-  
ქრისტე იმავე სახით დაიწყებს კაცობრიობის  
მოქცევას თავის სატანურ სივრცეზე, რა სახითაც  
ეშმაკმა სცადა უფლის შეცდენა იორდანეს უდაბ-  
ნოში. როცა გამოსცდიდა მას, როგორც ვიცი  
უფალი სამგვირად გამოიყადა ეშმაკისაგან. უნა-  
ხოთ რა მიმართებაშია ეს გამოცდანი ანტიქრის-  
ტესთან.

1) ეშმაკის პირველი გამოსცდა იმაში გა-  
მოხატა, რომ მან იესო ქრისტეს, II დღის ნა-  
მარხულევს უდაბნოში, შესთავაზა — ეს ქვები  
პურად იქცეო (მათე 4, 8). ერთი შეხედვით  
შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასეთი მოქმედება  
სავსებით შეესატყვისება ღმერთის ძის მსახურე-  
ბის ხაზოლო მიზანს: თითქოს რა შეიძლება  
გვეკონდეს იმის საწინააღმდეგო, რომ უდა-  
ბნოში ბაღნარი ჰყვოდეს და შიმში-  
ლი, სიღატაკე და გაკირვება არ სტანჯავ-  
დეს ადამიანს, ხოლო ეს მძიმე შრომა და ოფ-  
ლის ღვრა არსობის პურის მოსაპოვებლად, რაც  
პირველმა ადამიანმა შეკოდებით დაწინა თავის  
მოდგმას როგორც ღვთის წყევლა, ერთხელ და  
სამუდამოდ დასრულდეს? მაგრამ მოელი მზაკ-  
ვარება და ცოდვიანობა ეშმაკის ამ წინადად-  
ბისა უფლის მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ

უფალს შესთავაზეს ამით დაეწყო თავისი  
მხსნელი მსახურება, და არა დაეცხრულებო-  
ნა! უფალს შესთავაზეს ხრული უხვება და კე-  
თილდღეობა დაემყარებინა ამ ხილულ, მატერი-  
ალურ სამყაროში, რაც, რა თქმა უნდა, კრწმა-  
რიტ ბედნიერებას უზრუნველყოფდა გახრწნადი  
და მოკვდავი სხეულისთვის. ადამიანს, ანუ  
ვერ დაუბრუნებდა მას თავდაპირველ ბედნიერ  
ცხოვრებას, რომელსაც საუკუნოდ შეიფერებ-  
და, მხოლოდ გარეგანი გაუმჯობესება ცხოვრე-  
ბის ნივთიერი პირობებისა თვით ადამიანთა წნე-  
ობრივი გაუმჯობესების გარეშე, იქნებოდა ბო-  
როტების სრული ზეიმი, რადგან ასეთი მადღა-  
რი კეთილდღეობა განამტკიცებდა მასში ჩაფ-  
ლულ ადამიანთა უიმედო ხორციელ მდგომარე-  
ობას და მიუღწეველად შექმნიდა მათს წნეობრივ  
გამოსწორებასა და სრულყოფას. ამიტომაც იყო,  
რომ უფალმა იესო ქრისტემ მტკიცედ უპასუხა  
მზაკვარ გამომცდელს: „...არა პურითა ხოლო  
ცხოვნდების კაცი, არამედ უოვლითა სიტყვითა,  
რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (მა-  
თე 4, 4).

უფლის ამ პასუხით სულაც არ არის უგულვე-  
ბელყოფილი ადამიანთა ხორციელი მოთხოვნი-  
ლება, მაგრამ მას მეორეხარისხოვანი ადგილი  
აქვს მიჩენილი სულიერი მოთხოვნილების შემ-  
დგომ, წმიდა სახარება კვიცხავს მხოლოდ ისეთ  
მცდელობას სხეულის თნება-ამებისა, როცა ამის  
მიზეზით სრულიად ივიწყებენ შემოქმედ  
ღმერთს: ხახარება გმობს ადამიანთა ისეთს მის-  
წრაფებას მატერიალური ბედნიერების მოხაპო-  
ვებლად, რომელიც, ამასთანავე, არ გულისხმობს  
სულიერ სრულყოფასაც. აქი თვით უფალი გვა-  
ფრთხილებს: „ეკრძალენით თავთა თქვენთა,  
ნუუკუე დაგიმძიმდეს გული თქვენი ნაყროვა-  
ნებითა და სიმთვრალითა!“ — ასე გვაფრთხილებს  
იგი, რადგან თუკი ხორციელება გვძლევს და  
გული დაგვიმძიმდება, მაშინ ჩვენ დავეარგავთ  
წნეობრივ თავისუფლებას, ჩვენი მდაბალი მოთ-  
ხოვნილებების მონები შევიქნებით და ამით სა-  
უკუნო სატანჯველთ ვსწევთ ჩვენს უკვდავ  
სულებს.

სწორედ ასეთი გულდაშობიებისაგან — სული-  
ერი მონობისა და გაღატაკებისაგან მიხყავთ ადა-  
მიანები თანადროული მსოფლიო რევოლუციის  
ეგრეთ წოდებულ ბელადებს, მათი სწავლება და  
მოწოდებანი შემოსილია გარეგნულად ამაღლე-  
ბული სიტყვებით საუოველთაო თანახმობრობასა  
და ძმობაზე, სინამდვილეში კი მათი მიზანია  
მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე ფიქ-  
რით გაიტაცონ ადამიანები, მხოლოდ ამქვეყნი-  
ური ბედნიერება დაუსახონ სანატრელად, და  
ამით ჩაუკლან სულიერი მისწრაფებანი, დაავრწ-  
უნენ შემოქმედი ღმერთი და უმთავრესი მიზანი  
ადამიანის ამაქვეყნიური ცხოვრებისა — საკუ-



თარი ხულის ხსნა, ხოლო როცა ადამიანისათვის ერთადერთ ღირებულებად მატერიალური კეთილდღეობა იქცევა, მაშინ იგი მონა შეიქნება იმისა, ვინც ალუთქვამს თუ მისცემს მას ამ კეთილდღეობას, ადამიანთა ამგვარი მატერიალურ-ხორციელი აღზრდა ანტიკრიტიკებს განუსაზღვრელი ძალაუფლების მოპოვების საშუალებას მისცემს. რადგან ფიზიკური არსებობის უველა წყარო მის ხრულ განკარგულებაში აღმოჩნდება. ამ წყაროსაგან იგი უხვად მისცემს უველა სიკეთეს ნივთიერი უოფისა იმათ, ვინც თაყვანს სცემს მას, მისი მიმდევარი თუ დამკაში იქნება. და ის ადამიანი, ვისაც არ მიუჩვევია თავი მარხვა-კრძალულებისათვის და არა აქვს შეძენილი სულიერი სიმტკიცე, იგი იძულებული გახდება დაჰყვეს ანტიკრიტიკებს ნებას და მისი სრული მონა-მორჩილი შეიქნეს. როგორც გამოცხადების წმიდა ავტორი გვიწინასწარმეტყველებს: „...უოველნი, რომელთა არა თაყვანის-სცენ ხატ-სა მხეცისასა, მოიკლნენ. და უვნეს უოველნივე — მკირენი და ღიღნი და მდიდარნი და ბლახაკნი და აზნაურნი და მონანი, რაითა მიიღონ ბეჭდნი ხელსა მათსა მარჯვენასა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მათსა“ (გამოცხ. 18, 15-17). და როგორც ეფრემ ასური და ეკლესიის სხვა მამები გვასწავლიან, მხოლოდ ასეთი ბეჭდის მქონეთ შეეძლებათ ივაკრონ. უოველდღიური ლუკმა მოიპოვონ და სიცოცხლე შეინარჩუნონ, მაგრამ ამით სამუდამოდ დაიღუპავენ თავს.

2. ეშმაკის მერაი გამოსცდა იმაში მდგომარეობდა, რომ მან უფალი წმიდა ქალაქ იერუსალიმში წაიყვანა, ტაძრის გუმბათზე დააყენა და უთხრა: „უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიდუ თავი შენი ამიერ ქვეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ანგელოსთა მისთადა უბრძანებნიეს შენთვის, და ხელთა მათთა ზედა აღგაყრან შენ, ნუხადა წარსცე ქვასა ფერზი შენი“ (მათე 4,8). მწავარი სულის ეს წინადადება შემდეგს ნიშნავდა: იგი ამით თითქოს ეუბნებოდა უფალს — გადავარდი ქვევით ამ სიმაღლიდან და გაცეცხულ ხალხს ეჩვენე ანგელოზთაგან აპყრობილი და გარშემორტყმული, რათა მათ, ამ სასწაულის ხილვაზე, ღმერთის ძედ შეგიცნონ და გაღიარონო. და ეს გამოცდა ეშმაკისა, რომელსაც, თითქოსდა, ხურდა ადამიანებში მაცხოვრის ღვთაებრივი ძალის რწმენა გაეღვიძებინა, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არ სრული უარყოფა ქრისტეს ჭვარისა, მის მიერ აღსრულებული გამოსუიდვისა ცოდვათან, რადგან ასეთი წინადადებით ქრისტეს სთავაზობდნენ ისეთი წინამძღვარი გამხდარიყო, რომელიც ბრბოს მხოლოდ გარეგნული სახილველით, ეფექტური შემოქმედებით გაიყოლიებდა, და არ მოათხოვდა თავისი მიმდევრებისაგან არავითარ ზნეობრივ ღვაწლსა და თავდადებას, ასეთი წინამძღვარი კი სწორედ ანტიკრიტიკა შეიქნება.

რომელიც ცრუ-სასწაულებითა და საკვირველი სანახაობებით დაიმორჩილებს სულიერ გულისხმას მოკლებულ ადამიანებს.



სასწაულთმოქმედების ასეთი მოთხოვნა უფლისაგან არაერთგზის გამოსულა ფარისევრთაგანაც (მაგალითად, იხ. მარკ. 16:7-13). მისდა შედგომილი ხალხიც მისწავლავს რისაგან ზეციური სასწაულის ჩვენებას. ასე იყო უდაბნოში ხუთი პურისა და ორი თევზის სასწაულბრივი განმრავლების შემდგომაც, როცა იესო ქრისტემ მრავალრიცხოვანი ერი დააპურა, რომელთა შორის, მხოლოდ მამაკაცნი, ქალთა და ყრმათა ჩაუთვლელად, 5,000 იყვნენ. და სწორედ ამ დიდი სასწაულის თვითმხილველნი, ანუ ამ საკვირველი ტრაპეზის მონაწილენიც კი ასე ეუბნებოდნენ უფალს: „რახა სასწაულსა იქმ, რაითა ვიხილოთ და გვრწმენეს შენი? რახა იქმ? მაშანი ჩვენნი კამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეციით მოსცა მათ (ღმერთმა) კამად“ (იოანე 6, 30-31). მაშასადამე, მათთვის არასაკმარისი აღმოჩნდა მაცხოვრის ხელში პურისა და თევზის საკვირველ-გამრავლების სასწაული, რადგან ეს ღვთაებრივი საქმე უდიდესი სიმდაბლით აღასრულა უფალმა, წმიდა სიშშვიდითა და გარეგნული ეფექტის გარეშე, ანუ იმგვარი სულისკვეთებითვე, როგორც რითაც გამსჭვალული იყო უოველი საქმე ღმერთისა, მის მიერ ამქვეყნად უოფნის ეამს მოქმედებული; ამ ადამიანებს კი სანახაობა სწყურდათ, აი, ისეთი, როცა მალლა ცა სქელი ღრუბლებით დაიფარება, საშინელი ქუხილი დაიგრგვინებს, ელვაც თვალისდამაბრმავებლად გაიბრწყინებს და ნამდვილი პურები მალლა ზეციდან ჩამოცვივდება.

ასეთი სასწაულის მოთხოვნა ღმერთკაცისაგან უშეძომესი ცოდვა იყო, რადგან ეს ხორციელი გონებისაგან და ურწმუნოებისაგან გამომდინარეობდა, რომელიც გარეგნული სახილველისა და ეფექტის გულისთვის უოველთვის უარყოფს მალალ სულიერ მიწანს. როცა ასეთი კადნიერი მოთხოვნა მოისმინა, უფალმა „სულთ-ითქუნა სულითა თვისითა და თქუა: რაი არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამინ გეტყვი თქვენ; არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული.“

ზეციური სასწაულის მოთხოვნა ამ ხალხის მიერ იმავე ხასიათისა იყო, რაც ეშმაკის მოთხოვნა, როცა იგი იორდანეს უდაბნოში უფალს გამოსცდიდა, არავითარი განსაკუთრებული უტუარობა ამ ხალხის თვალში ზეციით მოვლენილ სასწაულს არ შეიძლებოდა მქონოდა, რადგან ისინი სულიერად დაბრმავებულნი იყვნენ. რატომ მაინცდამაინც ზეციურ სასწაულს შეეძლო დაედასტურებინა, რომ ის (ანუ ეს სასწაული) ღვთის მიერ იყო აღსრულებული? — ხალმრთო წერილი ხომ საწინააღმდეგოსაც გვიდასტურებს.



იობის წიგნი. მაგალითად, ნათქვამია, რომ სწორედ ეშმაკის მანქანებით გარდამობდა ზეციით ცეცხლი და მოსწყვიდა მართალი იობის საცხოვრებელი — ცხვარნი და მწყემსნი (იობ. 1, 16). აშკარაა, რომ ეს ცეცხლი ზეციიდან კი არ დაეცა მათ ღვთის ნებით, არამედ დედამიწის პაეროვან სივრცეში წარმოიქმნა ეშმაკის მანქანებით, მსგავსად იმისა, როგორადაც ელვა და მუხი წარმოიქმნება ხოლმე. ხალხრომ წერილიდანვე ვიცით, რომ სიმონ მოგვი თავისი „სახაულებით“ დიდად აკვირდება ხულიერად დაბრმავებულ ადამიანებს, რომელნიც მასში მოქმედ სატანურ ძალას ღვთის ძალად მიიჩნევდნენ. (იბ. საქმე მოციქულთა 4, 10). განსაკუთრებით განაკვირვა სიმონ მოგვმა წარმართი რომაელები, როცა მრავალრიცხოვან დახსწრეთა წინაშე თავი ღვთაებად გამოაცხადა. თქვა — ზეცად უნდა ავმალდდეთ. და უცერად მართლაც მოსცილდა მიწას და პაერში ამაღლება დაიწყო. ამის შესახებ ნეტარი სიმონ მეტაფრასი მოგვითხრობს, რომელმაც ეს ცნობა უძველეს ქრისტიან მწერალთაგან აიღო (იბ. მისი „ცხოვრება წმიდა პეტრე მოციქულისა“). ვინმე პინეთი, რომელიც 1711 საუკუნის ბოლოს მოღვაწეობდა, ასევე აოცებდა ადამიანებს მსგავსი მოქმედებით. სხვათაგან მრავალთ გაუკეთებიათ ასეთი რამ (ანუ რაღაც ფიზიკური ძალით მცირეოდნად მოსცილებიან მიწას).

რის აღსრულებაზეც ქრისტემ უარი უთხრა ეშმაკს, იმას ანტიქრისტე აღსრულებს: იგი მიხედვით ადამიანებს ნიშნ ზეციიდან. უფრო სწორად, „სახაულეს“ პაეროვანი სივრციდან, სადაც უპირატესად ეშმაკი მთავრობს. რაზეც პირდაპირ მიუთითებს პავლე მოციქული (ეფეს. 2, 2; 4, 12). ამასთან დაკავშირებით იბ. აგრეთვე ეფრემ ასურის 108-ე სიტყვა, ნაწ. 11). იოანეს გამოცხადებაში კეთილბედობით, რომ იგი (ანუ მზეცი — ანტიქრისტე) „იქმნ სახაულთა დიდთა, და რაითა ცეცხლი გარდამობდეს ზეციით წინაშე კაცთა“ (18, 13). ეს ნიში ხალხრომ წერილში, როგორც ვხედავთ, წოდებულია უდიდეს სახაულად ანტიქრისტესი, ხოლო ადგილი მისი აღსრულებისა — არის პაეროვანი სივრცე, და არა ზეცი, ეს, ალბათ მართლაც შთაბეჭქდავი და საშინელი სახილველი იქნება, უველაზე მეტად იმოქმედებს მხედველობით გრძნობაზე და ამ გზით მოხიბლავს და აცოუნებს მის მხილველთ.

წმიდა სვიმეონი, ახალი ღვთისმეტყველი, გვაფრთხილებს, რომ ჩვენ არ შეგვგავს ცად აღხილვა სახაულის მოლოდინში, რადგანაც პაეროვან სივრცეში მზავარი სულები ბატონობენ, რომელნიც იქ მრავალ სხვადასხვა საცოთურს მოიშოქმედებენ და ამის გამო იწოდებიან კიდევ „მთავრად, ხელმწიფედ აერისა“ (ეფეს. 2, 2; იბ. კრებული „სათნოების მოუვარება“.

ტ. 1, სვიმეონ ღვთისმეტყველის — „სიფრთხილის მესამე სახეობის შესახებ“).

მოხიბლვა, ცოუნება ეშმაკის მიერ პაეროვან სივრცეში აღსრულებული სახაულთით უცილობელი დაღუპვით ემუქრება უველა, ვინც კი შიშით, ღვთის ძალის გამოვლინების მოლოდინით დააკვირდება და რაოდენადღებუ მას. „ეშმაკის უველა მანქანებს ის თვისება აქვს, რომ თუნდაც მცირე უურადლება მათდამი ადამიანის მხრიდან ძალზე სახიფათოა; მხოლოდ ამით, ანუ უურადლების მიქცევით, დაე თუნდ გულგრილი და უოველგვარ თანაგრძნობას მოკლებული იყოს ადამიანი სახილველისადმი, მაინც მისი სული შეიძლება დაიდალოს ისეთი მძიმე და მავნე შთაბეჭქდითებით, რომელიც უსათუოდ გაიტაცებს მას და უმძიმეს განსაყდელსაც სწევს“ (ეგნ. ბრიანჩანინოვი, ტ. IV, გვ. 221). ასე, რომ ანტიქრისტეს მიერ სატანური ძალით აღსრულებული ნიშები უდიდეს ზემოქმედებას იქონიებს მათს მხილველებზე. „ადამიანები ვერ გულისხმობუფენ, რომ ამ „სახაულებს“ ბოროტისა არ ექნებათ არავითარი კეთილგონიერა მიზანი, არავითარი განსაზღვრული მნიშვნელობა; რომ ისინი შორს იქნებიან ქეშმარიტი სახაულეებისაგან, აღსავსენი სიყრუით, მოკლებულნი უოველგვარ აზრს, საშინელნი, უოველად ბოროტნი, სახიობურნი, გამიზნული იმისთვის, რომ განაკვირვონ ადამიანები, თავდავიწყებით დაბანგონ, აცოუნონ, მოატყუნონ, გაიტაცონ ხაუცხოო, ცარიელი, უგნური სახილველის ეფექტით“ (იქვე, გვ. 200).

და როცა ანტიქრისტეს ამ „სახაულებს“ იხილავენ, ადამიანები ღვთაებრივი ძალის უდიდეს გამოვლინებად მიიჩნევენ მათ, რადგანაც ხორციელი ცხოვრების გამო მოკლებულნი იქნებიან ქეშმარიტ რწმენას და აღარ ექნებათ სულიერი ზედვა. „თავის სახაულთა გრგვინვა-ქუხილით ანტიქრისტე შიშს დასცემს ადამიანებს. სახილველთა საკვირველებით დააკმაყოფილებს უგნურთა ცნობისწადილს და აამებს მათს აშკარა პაერ ბუნებას, ახიამოვნებს ხორციელი სიბრძნისადმი ხიუვარულს, ცრურწმენებისადმი და მონებულ აზრს უცნობელი ადამიანებისა და თვით განსწავლულთაც დიდ განკვირებაში მოიყვანს, რის გამოც უველა, ვინც თავისი დაცემული ბუნების სინათლით ხელმძღვანელობს და მოკლებულია უნარს იხელმძღვანელოს მხოლოდ ღვთაებრივი ნათლით. — უველა ასეთი ადამიანი მაცოტური ანტიქრისტეს მონა შეიქნება და მის მიერ წარიტაცება“ (ეპ. ეგნატე ბრიანჩანინოვი, ტ. IV, 202).

8. ეშმაკის მესამე ბანოცდა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ძალად მთაზე აიყვანა უფალი. უჩვენა სუფევანი და დიდება ამა ქვეუნისა და უთხრა: „ესე უოველი მიგცე შენ, უყუითუ დაძვარდე და თაუვანის-მცე მე“ (მათე 4, 8



და ლუკა 4, 1). მართლაც ეშმაკის ძალაუფლება ამა ქვეყანაზე არაერთგზის არის დამოწმებული საღმრთო წერილში. სვეტარისია ითქვას, რომ თვით უფალი უწოდებს ეშმაკს „მოავარს ამის სოფლისა“ (იოანე 14, 30). წმიდა მოციქული გვუბნება, რომ ეშმაკი თავის ძალას, საუღარსა და ხელმწიფებას იმას აძლევს. ვინც მას ემსახურება (გამოცხ. 18, 2). მისი ძალაუფლება სიცრუით, საცთურითა და ძალადობით მკვიდრდება. უფალი ჩვენი იესო ქრისტე კი იმისთვის მოევლინა ქვეყანას, რომ თავისი ძალაუფლება თავისუფალ ზნეობრივ ღვაწლსა და მამისადმი თავისუფალ, ძიებებ მოწილდებაზე დააფუძნოს.

თუ რა პასუხი გასცა უფალმა ეშმაკს ზემო მოყვანილ წინადადებაზე, — კარგად ვიცით, და იმას, რაც ქრისტემ უარყო. მთლიანად აღასრულეს ანტიქრისტიანო თავისი ბოროტი მსახურებით ადამიანთა დაღუპვისათვის. ეშმაკისაგან იგი მიიღებს მთელს ძალაუფლებას და მეუფებას ამა ქვეყანაზე, რადგან თავიანთს ხეობს მას და მოელოდნენ არსებით დაემონება, ამასთან, თვითონაც განცემს ხოლმე ამ ძალაუფლებისაგან დიდსა თუ მცირე ნაწილს. იმისდა მიხედვით დაასახულებს ასე ადამიანებს, თუ ვინ, როგორ ემორჩილება და ემსახურება თვით მას — ანტიქრისტეს, და მისი სახით — ეშმაკს.

როცა მხოფლიო ბატონობას მიადრეფს, ანტიქრისტე მკვეთრად შეცვლის თავისი მოქმედების ხასიათს, ყველასადმი პირმოონე, ფრთხილი და გარეგნულად კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ნაცვლად, რასაც იგი თავის აშკარა მოწინააღმდეგეთა მიმართაც არ დაიშურებს, ახლა იგი დაუფარავად დაუწყებს დევნას, სასტიკსა და დაუძინებელს. ყველა მოწმუნე ქრისტიანს, რომლებიც თავიანთს არ სცემენ მას და ღმერთად არ აღიარებენ, წმიდა დანიელი გვიწინასწარმეტყველებს, რომ ანტიქრისტემ „სიტყვანი მალისა მიმართ (წინააღმდეგ) თქვენს, და წმიდანი მალისანი შეაცთუნნეს, და მოიგონოს ცვალება ეამთა და შჯულისა“ (7, 25). იგივეს ვკითხულობთ იოანეს გამოცხადებაშიც (18, 2-7; 19, 18-17). ანტიქრისტეს ძალადობის შედეგად თავისუფალი საზოგადო ღვთისმსახურებაც ქრისტეს ეკლესიებში უნდა შეწყდეს. ამის გამო პროფ. ბელიაევი წერს:

„ანტიქრისტე და მისი მიმდევრები დაიწყებენ საღმრთო წერილის წმიდა წიგნთა განადგურებას. ღვთის სიტყვის მქადაგებელთა და ქრისტიანული ღვთისმსახურების აღმსრულებელთა დევნას; ისინი თვალუურს ადევნებენ იმას, რომ აღარსად აღესრულებოდეს ევქარისტიის (ზიარებისა) წმიდა საიდუმლო. მაგრამ მიუხედავად სასტიკი დევნა-შევიწროებისა, ღვთის სიტყვის ქადაგება ამ მძიმე დროშიც არ დადუმდება. ქრისტიანული ღვთისმსახურება არ შეწყდება და ევქარისტიის

საიდუმლოც აღესრულება ხოლმე“ („უღმერთობისა და ანტიქრისტიანობის“, გვ. 844); თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფარულად მოხდება, მთავართაგან საიდუმლოდ, ისევე, როგორც ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში იყო, როცა წარმართი იმპერატორებისა და სხვა ხელისუფლების მიერ ქრისტეს მოწმუნენი სასტიკად იღვევებოდნენ. ევნებოდნენ და მრწამთა გვირგვინსაც იღებდნენ.

ანტიქრისტეს მეტად ძლიერი და ქმედითი თანაშემწე ეყოლება ქრისტიანთა დევნა-შევიწროებაში, მათ იძულებაში — თავიანთი სტენ მას როგორც ღმერთს, თავისი სისასტიკისა და არნახული დაუნდობლობის გამო ეს თანამდგომი ანტიქრისტესი საღმრთო წერილში წოდებულია მეორე „სხვა მხეცად“ (გამოცხ. 18, 11-12, 14-15).

„ღვთის წმიდანებსა და მოწმუნებებს საშინელი განსაცდელის დღეები დაუდგებათ: მზაკვარება, პირფერობა, ცრუ-სასწაულები მდევარისა ხელ უფრო გაძლიერდება, და უოველივე ამას ერთი მიზანი ექნება — მათი ცთუნება; შეფარული, მზაკვრული გამოგონებლობით შენიღბული ფორმები დევნისა, მტანჯველის შეუზღუდავი ძალაუფლება — მეტად მძიმე დღეში ჩააგდებს უფლის რჩეულთაც კი. მათი რიცხვი იმ დროისათვის ძალზე მცირე იქნება და უმნიშვნელოდ გამოჩნდება ანტიქრისტეს მიერ დამონებული კაცობრიობის წინაშე... საყოველთაო ზიზღი, სიძულვილი, ცილისწამება, დევნა-შევიწროება, სიკვდილით დასჯა — შეიქმნება მართალ მოწმუნეთა უმრავლესობის ზვედრი... ანტიქრისტეს მოწინააღმდეგენი ჩაითვლებიან საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და წესრიგის მტრებად, მშვიდობის დამრღვევებად, და ამისთვის აშკარა თუ ფარულ დევნას დაითმენენ, ტანჯვა-წამებასა და სიკვდილით დასჯასაც ეწევიან“ (ეპ. ეგნატო ბრიანჩინოვი, ტ. IV, გვ. 102-301).

პირველნი დიდნი მსხვერპლნი ანტიქრისტეს სასტიკი დევნულებისა შეიქნებიან მისი მამხილებელნი — წმინდა წინასწარმეტყველნი ელია და ენუქ ეს ამბავი ნაწინასწარმეტყველივითა იოანეს გამოცხადებაში, ხადაც ნათქვამია: „და რაემს აღასრულონ წამებაჲ მათი (ძაძით მოსილმა „ორმა მოწამემ“ ღმრთისა), მხეცმან მან, რომელი აღმოვალს უფსკრულით, ბრძოლა-უოს მათ თანა და სძლოს და მოკლეს იგინი, და მძორები მათი უბანთა ზედა ქალაქისა მის დიდისათა, რომელსაც ეწოდების სულიერად სოდომი და ეგვიპტი, ხად-იგი უფალი მათი ქვარს ეცვა, და იხილონ ხად-ერთა და ტომთა და ენათა და წარმართთა მძორები მათი ხარ დღე და ნახევარ და არა უტეონ მძორებსა მათსა დადებად სამარესა შინა, და მკვიდრთა ქვეყანისათა განიხარონ მათ ზედა და იშვებდენ და ძღვენი მისცენ ურთიერთას, რამეთუ ამათ ერთა წინასწარმეტყველთა ტანჯენს



მკვიდრი ქვეყანა და შემდგომად სამისა მის და ნახევარისა დღის ხული ღმრთისა ცხოველი შევიდა მათ თანა, და აღდგინ ფერბთა შედა მათთა, და შიში დიდი დაეცა მათ შედა, რომელნი მხედვიდეს მათ, და შესმა ხმაი დიდი შეცით, რომელი ეტყოდა მათ: აღმოვედით აქა და აღვიდეს შეცად ღრუბლითა, და იხილნეს იგინი მტერთა მათთა, მას დღესა შინა იქმნა ძრვადი დიდი, და შეათრდი ქალაქისაი დაეცა, და მოსწუდეს ძერისა მისგან კაცნი შვიდ ათასნი, და სხვანი იგი შეშინებულ იქმნეს და მისცეს დიდებას ღმერთსა ცათასა" (გამოცხ. 11, 7-13).

ამის შემდეგ უნდა აღსრულდეს ღირსშესანიშნავი რამ. რაც უნდა მიეწეროს ამ წმიდა წინასწარმეტყველთა ქადაგების ძალას, მათს საკვირველ აღდგომას მკვიდრებით და შეცად ამალღებას, — მოხდება ის, რომ ანტიქრისტეს თანამედროვე იუდეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქეშმარიტ რწმენაზე მოიქცევა და ქრისტეს შეუდგება. ამასთან დაკავშირებით ნეტარი თეოფილაქტე წერს: „ელია... მოვა როგორც წინამორბედი ქრისტეს შეორედ მოსვლისა, და ქეშმარიტ რწმენას ქრისტესას დაუბრუნებს უველადებრად, ვინც კი მდობალი და მორჩილი აღმოჩნდება, და მამათა მემკვიდრეობას დაუბრუნებს მათ, რაც ამდენი ხნის განმავლობაში დაკარგული მქონდათ“.

საფუძველს ამგვარი მტკიცებისათვის ვაოულობთ თვით ხალხით წერილში, სადაც შემდეგია ნაწინასწარმეტყველები:

ა) მალაქიას წინასწარმეტყველება: „და ამა შე მოგივლენ თქვენ ელიას თეზბიტელსა ძირველ მოხლვისა დღისა უფლისაისა, დიდსა და განჩინებულსა, რომელმან ქვალად მოაგოს გული მამისა ძისა მიმართ და გული კაცი-სა — მოყვისა მიმართ მისისა, ნუ მოსრულმან მოვსპო ქვეყანა მუის" (4, 5-6);

ბ) ესაიას წინასწარმეტყველება: „და იყოს მას დღესა შინა, არღა მერმე, შეამკინოს დაშთომილი ისრაელსა, და განრომილნი იაკობისანი არღა მერმე არმოსავ იყვნენ, მიმძლავრებულთა მიმართ მათთა, არამედ იყვნენ მოსავ ღმრთისა მიმართ წმიდისა ისრაელისასა ქეშმარიტებითა და იყოს დაშთომილი იაკობისი ღმრთისა მიმართ ძლიერისა" (10, 20-21);

გ) იგივეს გულისხმობს ჯავლე მოციქულიც, რომელსაც მოჰყავს ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: „ხოლო ესაია ღაღადებს ისრაელისთვის: დადათუ იყოს რიყნი იგი ძეთა ისრაელისათი ვითარცა ქვიში ზღვისაი, ნუშტნი მდენ ცხონდემ" (რომ. 9, 27; იხ. ესაია 10, 22);

დ) ზაქარიას წინასწარმეტყველება: „და იყოს მას დღესა შინა ვითო მოხაობა უოველთა წარმართთა, მიმავალთა იერუსალებსა შედა, და მივეფინო სახლსა ზედა დაპითისსა და დამამიდრებულთა ზედა იერუსალებისათა

სული მაღლისაი, სიხარულისა და თანაღმობისაი, და მოიხილონ ჩემდამი მის წილ, რომლისა მიმართ უგვირეს" (12, 10);

ე) უველა ამ წინასწარმეტყველებას აგვირგვინებს ღვთაებრივი ჯავლე მოციქულის ღმრთივსულიერი სიტყვები: „ქვეყნისა ქრისტიანული" (თუ არა დაადგურნ ქვეყნისა მისა შედა და ვე-ემუნენ, რამეთუ შემშლბელ არს ღმერთი კვალად დამუნად მათდა, უკუეთუ შენ (ანუ რომელი — წარმართი, მოქცეული ქრისტეს რწმენაზე) ბუნებითისა მისგან მოეკვეთე ველურისა შეთისხილისა და გარეშე ბუნებისა დაემუნენ კეთილსა შეთის ხილსა, რაოდენ უფროს იგინი ბუნებითსა მას დაემუნენ თვისსავე მას შეთისხილსა! არა მნებავს უმეცრებას თქვენი, ძმანო, საიდუმლოისა ამის, — რათა არა იყვნეთ თავით თვისით ბრძენ, — რამეთუ სიბრძნე შამითი ძამად შეჰჰვა ისრაელსა, ვიდრამდე სახსებას იგი წარმართთა შემოხდეს, და ესრეთ უოველი ისრაელი ცხონდეს, ვითარცა წერილ არს, მოვიდეს სიონით მხსნელი და მოაქციოს უღმრთობისაგან იაკობი" (რომ. 11, 25-26; იხ. ესაია 27, 11).

ვლ. სოლოვიოვს, რომელიც ცდილობდა წმიდა ელიასა და ენუქის ამქვეყნად მოვლინებასთან დაკავშირებული უველა წინასწარმეტყველება ხალხით წერილისა იგავურად, არაპირდაპირი მნიშვნელობით განემარტა, უნებლიეთ უნდა შეეცოდა უფლის ამ ორი მოწამის მოღვაწეობასთან დაკავშირებული დიდი მოვლენის — ქრისტესადმი ისრაელის „ნუშტის“ მოქცევის ახსნა-განმარტებაშიც (იხ. მისი ესკატოლოგიური შრომა — „სამი საუბარი“, თავი — „სიტყვა ანტიქრისტეზე“). მისი ინტერპრეტაციით, როცა იუდეველები შეიტყობენ, ჩვენს მიერ ქეშმარიტ მესიად მიჩნეული კაცი (ანუ ანტიქრისტე) წინადაცვეთილი არ არისო, ისინი ზურგს შექცევენ მას, უარყოფენ და ქრისტეანობას მიიღებენო, თუკი ეს ვარაუდი — ანტიქრისტეს წინადაცვეთელობა — მართლაც ნამდვილი აღმოჩნდება, ჯანატაკურად განწყობილ იუდეველებს იგი მხოლოდ იმას აიძულებს, რომ უარყონ ანეთი „მესია“, ანუ ანტიქრისტე, და სხვას, მესიისათვის უფრო შესაფერ კანდიდატს დაუწონლოდინი. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ამბავი, ანუ მომავალი ანტიქრისტეს შესაძლო წინადაცვეთელობა, შეიქნეს მიზეზად იმისთვის, რომ იუდეველებმა უარი თქვან თავიანთ ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე და ქრისტეს რწმენა შეიძინონ. განა აქამდე იუდეველთა ისტორიაში მრავლად არ უოფილან მესიის წოდების მისაღებად ამოდ გარჩილი ქრეტენდენტები, რომელნიც წინამძღვრობდნენ რომის წინააღმდეგ აღსრულ აჯანუებებს? ანეთი „მესიანი“ დიახაც რომ მუღლია ისრაელს, მაგრამ შემდგომი იმედის გაყრუება არახდროს არ



აძულებდა იუდეველებს უარყოფით თავიანთი რწმენა, თავიანთი იდეოლოგია, და ერთადერთ ქრისტიანულ სარწმუნოებად ქრისტიანობა ელიარე-ბინათ.

ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც არის, უფრო სწორად, — როგორც იქნება უფლის მეორედ მოსვლის წინ იუდეველთა ნაწილის („ისრაელის ნეშტის“) საკვირველი მოქცევა ქრისტიანობაში. მთლიანად შეიძლება განპირობებული იყოს მხოლოდ უფლის ორი დიდი წინასწარმეტყველის — ელიასა და ენუქის ქადაგების შემოქმედებით: ისინი ხომ სამნახევარი წლის მანძილზე დაუფარავად ამხილებენ ანტიქრისტეს და დიდი ღვთაებრივი ძალითაც იქნებიან შემოსილნი. ამასთან უდიდესი ზეგავლენა ექნება მათს მოწამეობრივ აღსასრულს. სასწაულებრივ აღდგომას მკვდრებით და ზეცად ამაღლებას, რისი მოწმენიც სწორედ ისრაელში მცხოვრებნი შეიქნებიან. როგორც ვნახეთ, ამასვე გვიდასტურებს ხალხთო წერილიც, რომლის ზემოთ მოყვანილი წინასწარმეტყველებანი „ისრაელის ნეშტის“ მოქცევას ქრისტეს რწმენაზე სწორედ ელიასა და ენუქის მოღვაწეობას მიაწერენ.

იუდეველთა ეს მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ანტიქრისტეში მძვინვარე გაბოროტებას გამოიწვევს ხალხთოდ ქრისტიანთადში. და მაშინ იყოს „ქირი დიდი, რომელი არა იყო და საბამითგან სოფლისაით ვიდრე აქამოდ“ (მათე 24, 21); „და მიეცა მას (მხეცს — ანტიქრისტეს) ბრძოლისაჲცა — უოფად მწიდათა მამართა და ძღვევად მათდა; მიეცა მას ზელმწიფებაჲ უოველსა ზედა ტომსა და ერსა და ენასა და ნათესავსა“ (გამოცხ. 13, 7).

ხსნა მართალ მორწმუნეთათვის, რომელნიც თაყვანს არ სცემენ ანტიქრისტეს და არ მიიღებენ მის ბეჭედს. მხოლოდ ის იქნება, რომ მათი მდევრის სასტიკი შეფობა მცირე ხანს გაგრძელდება, ხალხთოდ წერილი ასე გვახსენებს იმ დღეთა შესახებ: „და უკეთუშესა არა შემოკლდენ დღეი იგი, არამცა განერა უოველი ხორციელი, ხოლო რჩეულთა მათთვის შემოკლდენ დღეი იგი“ (მათე 24, 22).

ანტიქრისტეს მსოფლიო ბატონობა და ქრისტიანული ქრისტიანთა ხასტიკი დევნა, ანუ მესამე პერიოდი ამ ევალაზე დიდ ქრისტიანულ მოქმედებისა, სამნახევარ წელიწადს გაგრძელდება (გავიხსენოთ დანიელის წინასწარმეტყველება: „და ეამიხაგანცა ცვალებადისა მიმდებადისა და მოცემისა საძაგელსა მოხრებისასა დღეი 1280“ — 12, 11; იხ. აგრეთვე დან. 12, 7); იგივე ვადა მხეცის (ანტიქრისტეს) ბატონობისთვის აღნიშნულია იოანეს გამოცხადებაშიც: „და მიეცა მას ქირი დიდად მეტყველი და მგობარი, და მიეცა მას ზელმწიფებაჲ უოფად ბრძოლისა ორმეოდაორ თთვე“ (13, 2)

არავითარ ადამიანურ ძალას არ შეეძლება წინააღმდეგობა ანტიქრისტესი. მხოლოდ თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელსაც მეორედ მოვა ამქვეყნად მთელი თავისი დიდებითა და ძლიერებით, სძლევს მას და გვეულის ეცხლში ჩაადგებს საუკუნო ტანჯვებისა და დადგება საშინელი განკითხვისა და სჯილისა — ცოცხალნიცა და მკვდარნიც, რომელნიც მკვდრებით აღდგებიან. ქრისტეს სამსჯავროს წარუდგებიან, და ეს იქნება ქვეყნის დასასრულიც (იხ. მათე 24, 30-31; 25, 31-46; გამოცხ. 1, 7; 20, 11-15; 21, 1-8). „და შეკურობილ იქნა მხეცი იგი და მის თანა ცრუ-წინასწარმეტყველი იგი, რომელმან ქმნა წინაშე მისსა სასწაულნი, რომლითა აცთუნა იგინი, რომელთა მიიღეს ბეჭედი იგი მხეცისაი და თაყვანის-სცეს ხატსა მისსა, და ცოცხლიც შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა, რომელი-იგი იწვების წუმწუბითა, და სხვანი იგი მოიხრნეს მხეცილითა ცხენსა მას ზედა მქდომარისაათა, რომელი გამოვიდოდა ქირით მისით, და უოველნი მფრინველნი განძღეს ხორცითა მათითა“ (გამოცხ. 19, 20-21), „და ეშმაკი, რომელი — იგი აცთუნებდა მათ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისასა და წუმწუბისასა, სადა იუვენეს მხეცი იგი და ცრუ-წინასწარმეტყველი, და იტანჯებოდიან დღე და ღამე უკუნიითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 20, 10).

ანტიქრისტეს მსოფლიო გაბატონებამდე ევალაზე დიდი უბედურება, რაც კაცობრიობას ეწვევა, ის იქნება, რომ ადამიანთა უმრავლესობა განსაკუთრებული სულიერი სიბრძნევით იქნება შეპყრობილი; ქრისტიანული სულიერი გონიერება, ანუ ის ძალა, რომელსაც ერთადერთს ძალუფლს მიანიჭოს ადამიანს უნარი ღვთაებრივი ნათლის ხედვისა, უკიდურესად იშვიათი რამ შეიქნება, და ამის გამო მრავალნი მოკლდებიან ქრისტიანულ რწმენას ისე, რომ თვით ეგონებოდნენ მართლიად გვწამსო, ასე, რომ კაცობრიობა, რომელიც ხორციელი გონებით იხელმძღვანელებს და უოველივე ამქვეყნიურის მსასობელი იქნება, არათუ ვერ შეიძნობს ანტიქრისტეს მჯავარებას, არამედ თავის სულიერ მოძღვრად და კეთილისმყოფელად მიიღებს მას. მრავალნი ირწმუნებენ მისას და განდიდებას დაუწყებენ როგორც უოველად ძლიერ ღმერთს, ხოლო ის მართალი მორწმუნენი, რომელთა შორისაც ღვთის სული იქნება დაპყვიდრებული, სულიერი ხედვიო შებედავენ უოველთავეს და შეიძნობენ მჯავარს სულს, ვისაც კი ღვთაებრივი გვრდის უნარი და სულიერი გონიერება ექნება მაშინ, ევალა გუსულიერი გონიერება ექნება მაშინ, ევალა გუსულიერი გონიერება ექნება და უოველივე წარმავალი ეუვარებათ, ისინი მაშინაც ვერ მოე-



გებთან გონს და ვერ შეიძინებენ შიკვარს. როცა ღვთაებრივ სიტყვას მოიხმენენ — ანუ ანტიქრისტეს მარდაპირ მხილებას წმინდა წინასწარმეტყველების — ელიასა და ენუქის მიერ: — მეტიც, როცა ამ ღვთივსულიერ კადაგებებს მოისმენენ, ისინი კიდევ უფრო საძაგელნი შეიქნებიან, რადგან საბოლოოდ ექნებათ დაკარგული კრეშმარტი რწმენა (იხ. ეფრემ ასურის 104-ე სიტყვა).

უველაზე კმედით გაფრთხილებას ანტიქრისტეს, ანუ ქრისტემტყუარის, საშიშროების გამო ადამიანისათვის წარმოადგენს თვით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სიტყვები, გადმოცემული ჩვენდა წმიდა სახარებით „ეკრძალენით თავთა თქვენთა, ნუუაჲთ დაძვირდენ გულნი თქვენნი შვეებით და მორცხალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისათა, და შეუსუულად მოიწიოს თქვენ ზედა დღე იგი“ (ლუკა 21, 34), რადგანაც უკიდურესი ჩაფლობა მატერიალური ცხოვრებისა და ბორცვილი სიამოვნების ხაზრუნავში ხელს უწყობს მხოლოდ ბორცვილი გონების განვითარებას, რომელიც უოველთვის წინ აღუდგება საღმრთო სწავლებას და ვერ მიიღებს ღვთაებრივ გამოცხადებას. ხწორედ ასეთა — ბორცვილი გონებაა აღზევებული დღეს, ჩვენს თანადროულ მსოფლიოში, და იგი მხოლოდ უბედურებას უქადის ადამიანებს, რომელნიც მისი მიზეზით მოშორებიან ღმერთს და ამა ქვეყნისას ხსოვებენ.

იშინთვის, რომ ხულიერი გონიერება შევიძინეთ, უპირველეს უოველისა, აუცილებელია დავემორჩილოთ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას; საჭიროა უოველი ჩვენი სიტყვა და შეხედულება შევამოწმოთ ხოლმე საღმრთო წერილით და ეკლესიის წმიდა მამათა სწავლებით; უოველთვის განსაკუთრებული უურადლება უნდა დავუთმოთ ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა კითხვასა და შესწავლას ეკლესიის დიდ მოძღვართა განმარტებების ხელმძღვანელობით, და თუ ჯეროვნად ვიქმთ უოველივე ამას, ჩვენ არახდროს არ მოვშორდებით კრეშმარტი რწმენას და წმიდა სამების მართლად მადიდებელ ეკლესიას, ეფრემ ასური, ამასთან დაკავშირებით, ასე გვასწავლის: „მარად განიცდიდე საღმრთო წერილს, მარად კითხვიდე დედაეკლესიას — როდის მოვალს ნანატრი სიძველე გამოიკითხე და გამოიძიე ნიშნები მისი ამქვეყნად ბეროდ მოხვლისა, რამეთუ მსაქული არ მყრფნის, მარადინ გამოკითხვიდე ამას, ვიდრე სიზუსტით არ შეიტყობდე, მარად მიმართე შეწევნისათვის იმას, ვინც კრეშმარტებით უწყის ეს“ (ტ. 11, გვ. 122, მ., 1950 წ., რუსულ ენაზე).

ეკლესიის წმიდა მამები გვიჩვენებენ უოველს საქმეში, უოველი გაკირვების უამს საღმრთო წერილით ვიხელმძღვანელოთ, მოუვახთა ღმერთივ

ხულიერი რჩევაც დიდად სახარებელია, თუკი ისინიც ღვთის სიტყვით და მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით ხელმძღვანელობენ, ასეთი ხელმძღვანელობა ნაყოფიერებით დაიცავს მორწმუნეებს ფართოდ გავრცელებული ცრუმოდებებისაგან, ხოლო კრეშმარტი მოაკლდება ასეთ ხელმძღვანელობაში, რადგან უოველი მსდარ გზაზე დადგება, რადგან დაემორჩილება უოველში ჩავარდნილი უმრავლესობის აზრს, და ამ დროს თუკი ვინმე გაბედავს კიდევ დადგინილი საზოგადოებრივი შეხედულების წინააღმდეგ გამოსვლას, მას მაინც ვანსაცდელი დაუშუქრება, რადგან უოველის მხრივ ამას გაიგონებს — როგორ, ნუთუ შენ ერთი ხარ მართალი, ჩვენ უველანი კი ვცდებითო! ასეთ მხელობას მხოლოდ იმ ადამიანისთვის არ ექნება ფასი, ვინც საღმრთო წერილით იხელმძღვანელებს, რადგან მისგან ეკოდინება, რომ არა უველა, არა უმრავლესობა, არამედ მხოლოდ მცირედნი ვიდოდინ ხსნის ვიწრო გზით, ხოლო უკანასკნელ უამს ეს გზა კიდევ უფრო ძნელად ხავალი შეიქნება ამით საღმრთო წერილი ადამიანებს მხნეობას შთაბერავს და მათ ვერ შეაშფოთებთ ის გარემოება, რომ კრეშმარტი მორწმუნეთა რიცხვი ძალზე მცირე იქნება, და ეს სამწყსო ქრისტესი მცირე რამ კალაკით გამოჩნდება სიცრუისა და უკეთურების უკიდვანო ოკეანეში, რომელიც მოელს ქვეყნიერებას მოიცავს: ასეთ კრეშმარტი მორწმუნეებს მარად ეხსომებათ უფალი იესო ქრისტეს სიტყვები: „ნუ გეშინიან მცირესა მავას სამწყსოსა, რამეთუ ხათხო-იყო მამამან თქვენმან ზეცათამან მოცებად თქვენდა სასუფიველი“ (ლუკა 12, 32), და განმხნევებულნი ამ ნუგეშით ბორცვილ სიკვდილსაც არ შეუშინდებიან.

სხეც დიდი უბედურება ანტიქრისტეს ბატონობის ეპოქაში ის იქნება კაცობრიობისათვის, რომ მაშინ უკვე შეუძლებელი გახდება რაიმე ორგანიზებული წინააღმდეგობის განევა მისი ბოროტი ძალაუფლებისადმი, და მაშინ „ნუ ეცდები ვაჩერო იგი (ანტიქრისტე) შენა უძლურა ხელით, არამედ თვით განერიდე მას, დაიკრძალე თავი ბოროტისაგან, და ეს შენთვის ხავსებით სავმარინა იქნება“ — გვიჩვენს ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანიჩივი ამიტომაც იმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ გვიჩროდეს ჩხნა იმ ადამიანებს მიუმაღლება, ვისაც ჩამდვილად სურს ჩხნა ხულისა, ვისაც ჩამდვილად სწამს

გორის მოლკანოვი (დეკანოზი ბორისი) იყო მასილიოგარეთ მოქმედი რუსული მართლმადიდებელი (ემიგრაციის) ეკლესიის ძღველმსახური, მისი ექსტრემოლოგიური მრომა უღმერთობისა და ანტიქრისტეოფისა, რომლის ერთ-ერთ თვისაც ჩვენი თარგმანი შეადგენს, გოპოვიდა მუორე მსოფლიოში, წინ



სულის უკადრება. ამიტომაცაა აუცილებელი  
 სწორედ ახლა ვებრძოდეთ მოახლებულ წევრი-  
 ადს, როცა წინააღმდეგობის შესაძლებლობა ჯერ  
 კიდევ გვაქვს უარის თქმა უღმერთობის წინააღ-  
 მდეგ ამხედრებისა. უკველი, რუნდაც სულ უმ-  
 ნიშვნელი კომპრომისი ბოროტის წინაშე იმ  
 მიზნით, რომ „შვიდობიანად“ თანავიარსებოთ  
 მის გვერდით. უკველი დამოძობა დღეს — მხო-  
 ლოდ კიდევ უფრო გაზრდის სიძინელებს ზვალ-  
 დაგვახუხუტებს მომავლისათვის. როცა უკველი-  
 გნით წევრიადი გაბატონდება. ასე, რომ ჩვენი  
 თვისაც „ქერაჩს საქმედ საქმესა... ვიდრე დღე  
 არსდა: მოგვალს ღამე, ოდეს ვერვის ზეფუწიფოს

საქმედ“ (იოანე 8. 1). რადგანაც „მცირედ ეამ  
 ნათელი თქვენ თანა არს უდოდეთ. ვიდრემდე  
 ნათელი გაქუხსთა. რაითა არა გეწიოს თქვენ  
 ბნელი...“ (იოანე 12. 35).



ეს ბნელი, ეს ღამე — არის ის, ვინაშე მო-  
 მავალი სატანური მეთყუება სულელი წევრია-  
 დისა. რომელიც მთელს „ქრისტიანულ“ უნდა  
 ეუფლოს. და მაშინ კე...  
 ცხოვრება იმდენად მამიმე შეიქნება, რომ ისინი  
 მიუხედავად ხაკუთარი ცოდვის შეგნებისა, მიუ-  
 ზედავად საშინელი სამსჯავროს მოლოდინისა,  
 რწმენით შექალაქდებენ მაცხოვარს „მე, მო-  
 ვედ, უფალო იესო!“ (გამოცხ. 22. 30)

□





გერმანულიდან  
თარგმნა ლამარა ნაროშვილმა

თანამედროვე ლირიკის

სტრუქტურა

დიკტატორული ფანტაზია,  
აბსტრაქცია და „აბსოლუტური  
მწერა“

ამ წიგნში არაერთხელ ვილაპარაკეთ დიკტატორულ ფანტაზიაზე. მაღარმესთანაც უნდა შევეხოთ მას. — მისი სურათ-ხატები აქაც იკავებენ სინამდვილის ადგილს, რომელიც თავისი ობიექტური წესრიგით აღარ ანტერესებს შემოქმედს. იგი მაღარმესთან გაცილებით უფრო წყნარია, ვიდრე რეზნოს პოეზიაში. მაგრამ მის წყნარ შემოქმედებას აქვს მტკიცე ფორმად დასაბუთებული აქტის ძალა. მის მნიშვნელობათა სფეროში, ისევე როგორც ნოვალისთან და ბოდლერთან, აბსტრაქციის ცნებაც შემოდის. „შეცვლად ფანტაზიის შესაბამისი და აბსტრაქტული. მაშასადამე, პოეტური“. — გვატუობინებს ერთი დამახასიათებელი შედარება (გვ. 544), სადაც „პოეტური“, ბერძნული სიტყვის შესაბამისად, ასევე ნიშნავს „შემქმნელს“ „მქმნელს“. მაგრამ მათ გვერდით სხვა ცნებაც ჩნდება: აბსოლუტური მწერა, თურა იგულისხმება მასში, ნათელი ხდება სტატიიდან Ballets (1891 წ.) აქვეთხულობთ: „მროკავი არ არის ქალი რომელიც ცეკვავს, იგი არ არის ქალი, არამედ მეთაფორაა, რომელიც საკუთარ თავში ატარებს ჩვენი არსების ერთ ერთ თაურხატს მახვილს, პინაკს, უკავილს; იგი კი არ ცეკვავს.

არამედ სხეულწერით რაღაცას შთაგვაგონებს. რასაც რომელიმე ტექსტი მხოლოდ ხაფუშვლიანი აღწერით შეძლებდა“ (გვ. 304). მაშასადამე, მოცეკვავეს უმჯობრო — ნიშნავს, მის ემპირიულ გამოვლენაში პირველფორმები დაინახო. ასეთი ხედვა მოდის „უპიროვნო, ნაპერწყლიანი, აბსოლუტური ხედვიდან“ (გვ. 306). თითქოს პლატონური აზრია. მაგრამ იმავე სტატიის ბოლოში ვკითხულობთ: „მროკავი გაწვდის (უკანასკნელ საბურველის მიღნიდან, რომელიც მარად რჩება) — შენი იდეების სიწმინდეს და მდუმარედ წერს შენს ბილვებს ნიშნურად: ეს ნიშანი მოცეკვავეა“. აზრი სრულიად არაპლატონურად ერწყმის ხედვის სუბიექტს. იგი ობიექტურ თაურფორმებს კი არ ევრეტს, არამედ — პირველფორმებს საკუთარი სულისას. ისინი მოვლენებში შეაქვს, გარდაქმნის რა მათ ამ სულის ნიშნებად. მოვლენებს ორგუნავს აბსოლუტური მწერა, თავის სუბიექტზე რომ არის მიმართული და ამ მოვლენებს იყენებს მხოლოდ, როგორც მის განკარგულებაში მყოფ ნიშანთა ენას მის მოძრაობათა გამოსახატავად. ეს სტატია ყველაზე გაბედული გამართლებაა, როგორც კი მანამდე წილად რგებია შეუზღუდველ კრეაციულ თბზვას. „აბსოლუტური მწერა“ ამიტომ შეიძლება მიუჩინიოთ მაღარმეს და მის მიმდევართა აბსტრაქტული შემოქმედების მთავარ ცნებად, მაგრამ ასევე მთავარ ცნებად აბსტრაქტული ფერწერისა, რომელიც ხაგზების ნაცვლად წმინდა ხაზების, ფერებისა და ფორმე-

1. დასასრული დასაწყისი იხ. „საფსიქე“ № 3, 4, 5-1991.







ლება, იმის საფასურად, რომ მისი ერთნაირად ეს-  
მით. და არც ესმით. ეს რომ არ ეოფილიყო  
თანამედროვე პოეზიის მთავარი სიტუაცია, მა-  
ლარმეს არასოდეს ეყოლებოდა ესოდენ ბევ-  
რი თაყვანისმცემელი.

V. მემოცე საუკუნის ევროპული  
ლირიკა

ზოგა რამ მეთოდის შესახებ

ხწორედ საფრანგეთში, მე-18 საუკუ-  
ნის ორმოცდაათიან წლებში, გაჩნდა  
ლირიკული სტილი, რომელიც დღემ-  
დეა ვაბატონებული. ეს სტილი ბოდ-  
ლერთან, ხოლო მანამდე — გერმანულ ნო-  
ვალისთან და ამერიკელ პოსთან ჩიხსაბა,  
რემბომ და მალარმემ მის იმ უკიდურეს სამანს  
შეაღწიეს, სანამდეც კი პოეზიას შეეძლო შეე-  
ბუდა. ფუნდამენტურად რაიმე ახალი მე-20 სა-  
უკუნის პოეზიას აღარ მოუტანია, რაგინდ დი-  
დი პოეტებიც მუყადეს ამ საუკუნეს. ეს დასკვ-  
ნა სრულიადაც არ ამცირებს მათ მნიშვნელო-  
ბას. მაგრამ უფლებას გვაძლევს, უფრო მეტიც  
— გვაძულვს, ტექსტებში სტილის ის ერთი-  
ანობა შევიცნოთ, რომელიც მათ ზემოთ დასა-  
ხელებულ წინამორბედებთან აკავშირებთ. სტი-  
ლის ერთიანობა არ ნიშნავს ერთფეროვნე-  
ბას, იგი წარმოადგენს ენობრივი ქმედების,  
ხედვის, თემატიკის შინაგან ერთიანობას, რომ-  
ელიც მთლიანობაში მოიცავს ამ ავტორთა  
განხვავებულობას. გოეთე და თრაკლი არ გა-  
ნეკუთვნებიან ერთ სტილს, მაგრამ ერთი სტი-  
ლისანი არიან ისეთი მწელად შესადარებელი  
ლირიკოსები. როგორებიცაა თრაკლი და ბე-  
ნი. არიგინალობა ამით არაფერს კარგავს.  
ორიგინალობა უკვე ხარისხის საკითხია. მას  
კი ტიპისადმი მიკუთვნება ვერ განსაზღვრავს.  
ტიპი, თავის მხრივ (აქ — თანამედროვე ლი-  
რიკის სტილური ერთიანობა) აადვილებს მის  
შესწავლას. სტილის ერთიანობის შესწავლა  
აქ ერთადერთი ბინადგომად გვევლინება ისეთი  
ლექსებისათვის, რომლებიც შეგნებულად სკოლ-  
დება ნორმალური გაგების ფარგლებს რასაკ-  
ვირველია, ამას უნდა მოჰყვეს პოეტის შემოქ-  
მედებით ინდივიდუალობაში შექრა, რაც აქ  
შესაძლებელია მხოლოდ მინიშნებით. ჩვენ შე-  
ვეცდებით, თანამედროვე ლირიკის მეტად აღ-  
რეულ ხურაიში სინათლე შევიტანოთ იმით,  
რომ საჩინო ვართ. რაბდერად ქმედითია მასში  
ის სიმბტომები, რომლებიც გასულ საუკუნეში  
გაჩნდა.

ისინი დღესაც ინიტომ ცოცხლობენ, რომ

ზეგავლენის საბით განაგრძობენ მოქმედებას?  
ცალკეულ შემთხვევაში ეს სება. მაგრამ ამას  
არა აქვს გადამწუვრეტი მნიშვნელობა. მაღალი  
რანგის პოეტისათვის ზეგავლენა არ არის პა-  
სიური პროცესი, არამედ სულიერი ნათესაო-  
ბის შედეგია. რამდენიმე წინამორბედში ხაკუთარ  
შემოქმედებით სხეულის სიმბტომები მათგან,  
მაგრამ იქაც, სადაც ასეთი ზეგავლენა არ  
ჩანს, აშკარაა დღევანდელთა სტრუქტურული  
შეგავსება წინამორბედებთან. ეს იმის დაშადას-  
ტურებელია, რაც ადრეც იყო ცნობილი, —  
რომ არსებობს ეპოქის სტილისა და სტრუქტუ-  
რის იძულება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს  
სტილთან, რომელიც აგერ საუკუნეა ევროპულ  
ლირიკას განსაზღვრავს. ამიტომ უარს ვიტყვი  
შესაძლებელ ზეგავლენათა განხილვაზე და  
კვლავ მოვიმარჯვებთ იმ მეთოდს, რომლის არ-  
სიც მდგომარეობს საერთო პოეტური პროცე-  
სის სიმბტომების წარმოჩენაში.

ასევე გვერდს ავუვლით ლიტერატურული  
პარტიების პროგრამებსა და კლასიფიკაციებს.  
ლიტერატურის ისტორიაში მიღებულია „სიმ-  
ბოლიზმზე“ ლაპარაკი და მის აღსასრულად  
1900 წლის მიჩნევა. სასკოლო საბელმძღვანე-  
ლოების ამ ცნებას საერთოდ არ შეეხებოდათ.  
რადგან იგი ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ამ მიმ-  
დინარეობის წარმომადგენელი ლირიკოსე-  
ბი — მალარმეს მეთაურობით — ისეთ თავისე-  
ბურებებს ამეღავნებენ, რომლებიც დღევან-  
დელობასაც ახასიათებს. მაგალითად, ვალერის,  
ვილიენის, უნგარეტის, ელიოტის, თრაკლის  
შემოქმედებას. მაშასადამე, ან „სიმბოლიზმი“  
არ მომეკვდარა, ან ეს ცნება ნაკლულად გამო-  
ხტავს პოეტური სტილის სტრუქტურას და  
ამიტომ უნდა შეიცვალოს ამ სტრუქტურის  
დეტალების აღწერით.

ვისაც ამ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავ-  
ლობაში ევროპულ პოეზიაზე დაწერილი ლიტე-  
რატურულ-ისტორიული ან კრიტიკულ-ესეის-  
ტური ნაწერებისათვის თვალი უღვევებია, ეცო-  
დინება, რამდენმა სტილმა, სკოლამ და მიმარ-  
თულებამ შეცვალა ერთმანეთი: დადაიზმი, ფუ-  
ტურიზმი, ექსპრესიონიზმი, უნაშიზმი, კრეაცი-  
ონიზმი, ნეოობიექტივიზმი, მოდერნიზმი, ულ-  
ტრამოდერნიზმი, სიურრეალიზმი, პერმეტრიზმი,  
ანტიპერმეტრიზმი, ულტრაიზმი... ესპანელმა  
რ. გომეზ დე ლა სერნამ 1943 წელს მთელი  
რიგი თხზულებანი დაწერა „იზმების“ სა-  
ხელწოდებით, სადაც უკვლა თანამედროვე-  
ვინც კი ხელში მოიგდო, ამ „იზმებში“ მო-  
აქცია, როგორც ჩანს, ლიტერატურული და მზა-  
ტვრული ვარიანტებით ასე გადაკარბებით შე-  
ფასება უნდა აიხსნას რომანულ ქვეყნებში  
ფართოდ გავრცელებული მიდრეკილებით იმი-



სადმი, რაც მოდის მხრივ აქტუალურია. ეს კი ურთიერთკავშირთა სრულ დაუნახაობას მოახსენებს. აქ, აღბათ, თავისი როლი შეასრულა პოლიტიკურ პარტიათა შექმნამ და პარტიათა შორის კონკლამბაც. თანამედროვე სტილთა მოჩვენებითი სწრაფბედობის ეს სურათი უკვე თავისთავად სიმბოლოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი კარგად ეხადება პოეტების მიერ ხშირად გამოთქმულ წახვას-თითქოს ისინი არ წერენ მარადისობისთვის, არა-ჰედ, დიდი-დიდი, უცნობი მომავლისათვის. რომლის წინაშეც მათი შემოქმედება მხოლოდ დროებითი ექსპერიმენტია, ხოლო იგი, რაკი მომავლისკენა მიმართული, უოველგვარ კავშირს წუვეტს წარსულთან. მათ შორის უახლოესთანაც, ასე ხწამდა ეს პერ კიდევ რემბოს, დღესაც კოქტოსაც ასე ხწამს. 1929 წელს თავის *Démarches d'un poète*-ში იგი აღიარებდა ისეთ ბედოვნებას, რომელიც მოუხვეწრად მარად ახლის ძიებაშია, ტრადიციას უარყოფს და ისე სულმოუთქმელია, როგორც მოდა, და უფრო სწრაფწარმავალიც, ვიდრე უკანახკენელი მოდის „სილამაზედ“. ანუ ჩვეულებად ქცეული მანერა, დროის უქმარისობად ხედოვანის შემოქმედებით კეთილხინდისიერებას სიმუარე გამოაცალა, რეფლექსი აქ შეხედულედა სტილის სწრაფ მონაცვლეობაზე, მაგრამ იგი ოპტიკური ცდომილებაა, მრავალფეროვნება, რომელსაც იგი გვთავაზობს, სინამდვილეში არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ნიუანსები და ვარიანტები, რომლებიც თანამედროვე პოეზიის შესაძლებლობათა სიმრავლეზე შეტყველებს. მაგრამ მისი სტილის სტრუქტურის ანალიზისათვის ბევრს ვერაფერს გვაძლევს.

„ინტელექტის წვიმი“ და „ინტელექტის კრახი“.

ცხადია, გამარტივებას უნდა ვერიდოთ. მაგრამ წოგადად ორი მიმართულება იკვეთება, ისინი პირველი ორიენტირების საშუალებას გვაძლევს ეს ის მიმართულებებია, რომლებსაც გახულ საუკუნეში რემბომ და მალარმემ მისცეს დასაბამი. პირობითად, ერთი თავისუფალი ფორმის, ალოგიკური ლირიაა, მეორე — ინტელექტუალობისა და მკაცრი ფორმის ლირია. ორივე ეს მიმართულება 1929 წელს პროგრამულად იქნა ჩამოყალიბებული და, თანაც, მკაცრად დაპირისპირებული. ერთი ფორმულა ვაღერისაა: „ლექსი ინტელექტის წვიმი უნდა იყოს“. მინაწერები, ტექსტს რომ ახლავს, ამ ფორმულას იმ სრულ დაბვეწილობას ანი-

გებს, რომლითაც ვაღერის აზრები გამოირჩევა მეორე ფორმულა წარმოიშვა, როგორც პროტესტი: მისი ავტორი სიფრუალოები ა. ბრეტონია, იგი ასე ეღერს: „ლექსი ინტელექტის კრახი უნდა იყოს“ და იქვე „სრულყოფილება სიზარმაცა“.

ქრონოლოგია

მე-20 საუკუნის ლირიკის სტრუქტურის პირისპირებულობა არსებობს და, თანაც, უკიდურესი შეურიგებლობითაა აღბუქვლი. ეს მისი საერთო სტილის დამახასიათებელია: მაგრამ არ იქნება მართებული, ისინი რომ მრტიტერატურული პარტიის დაპირისპირებად მივიჩნიოთ, ასეთებად ისინი მხოლოდ გარეგნულად მოჩანს, მათი პოლარულობა მეორდება, მართალია, გარკვეული გადაბრებით, თითოეული ტიპის შიგნითაც. ჩვენი ნაშრომის წინა თავებში ეს არაერთხელ დავამტკიცეთ, იგი თანამედროვე პოეზიის საერთო პოლარულობად გვევლინება, თითქმის უოველ ლირიკოსშია ცერებრალური და არქაული ძალების დაპირისპირება, ამას გარდა, ამ პოლარულ ტიპებს შორის უამრავი თანხვედრა თვალსაჩინოს ხდის მათს, ასე ვთქვათ, შეპარტულ სტრუქტურულ ერთიანობას, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან ინტელექტუალური პოეზია ალოგიკურს თანხვედება მუშანური შუალედოიდან გაქცევით, ნორმალური საგნობრიობისა და ჩვეულებრივი სენტიმენტალობის უკუგდებით, უარყოფით გაგების და საზღვრულობისა, რომლის ადგილსაც მრავალი მნიშვნელოვანი შთავონება იკერს, ასევე — სურვილით, რომ ლექსი დამოუკიდებელ, თავისთავად ოდენობად იქცეს, რომლის წინაარსსაც კმისის მისი ენა შეუზღუდავი ფანტაზიის ან ირეალური, სიზმარული ხატების თამაში და არა სამუაროს ასახვა, გრძნობის გამოხატვა.

საინტერესოა, რომ თანამედროვე მხატვრობაზე დაკვირვებას მსგავს დასკვნამდე მივყავართ, ვ. მაფტმანი წიგნში „მე-20 საუკუნის მხატვრობა“ (1954) იმოწმებს კანდინსკის მიერ ჩამოყალიბებულ დაპირისპირებას „დიად რეალურსა“ და „დიად აბსტრაქტულს“ შორის, იგი მათი საშუალებით ახერხებს თანამედროვე მხატვრობის ერთმანეთს დაპირისპირებული მიმართულებანი „უფრო მაღალ კლანში“ გადაიყვანოს, მხატვრული ნიშან-თვისებანი, რომლებსაც იგი „დიადი რეალურის“ ცნებაში მოიაზრებს, განსაცვიფრებლად თანხვედება ჩვენ მიერ აღწერილ რემბოს გრძნობად ირეალობას. „დიადი აბსტრაქტული“ ასევე სრულად შეესაბამება მალარმეს საგანთა გამანადგურებელი ლირიკის წმინდა დაძაბუ-



ლობით პროცესებს. მაგრამ კვლავ პაუტმანს თუ მიკშარტავთ. — საუბრადღებოა, რომ ორივე ეს „პროვინცია“ უკიდურესად საპირისპირო პოზიციებს წარმოადგენს“. რომელთა ხედვის წესი და მეთოდები პრაქტიკაში ერთმანეთს ერწყმის, რადგან მონათესავენი არიან თანამედროვე პოეზიის სტრუქტურის ერთიანობა. რომლის შესახებაც აქ ამდენს ვმსჯელობთ ამავე დროს გვევლინება მთელი თანამედროვე ხელოვნების სტრუქტურულ ერთიანობად. აქედან განსაგები ხდება სტილის ანალოგიები ლირიკას, მხატვრობასა და მუსიკას შორის. უოველივე ამის გარეგნული. მაგრამ მნიშვნელოვანი დადასტურებაა ცხოველი პირადი კონტაქტები პოეტებსა და მხატვრებს შორის აღნიშნულ ეპოქაში: ბოდლერის ახლო ურთიერთობით დელაკრუასთან, ანრი რუსოს, ამოლინერის, მაქს უაკობის, ბრაჟის დაჭეუფება, ასევე გარსია ლორკასა და სალვადორ დალის მეგობრობა.

მხატვრობისა და მუსიკოსების პროგრამულ ნაწერებში უხვადაა გამოყენებული ლიტერატურული პროგრამების იდეები. ტერმინოლოგია და პარიკითაც. ერთ დროს დიდრომ მხატვრობის ანალიზიდან გადატრიალების მომასწავებელი დასკვნები გამოატანა იმ ვითარების მიხედვით, რომელიც მას შემდეგ დაშკვიდრდა. ეს სტრუქტურული ერთიანობის წინათგარქნობად გვევლინება. რომელიც თანამედროვეობის უველა პოეტურ და შემოქმედებით გამბედაობას უღუვს საფუძვლად.

**მე-20 საუკუნის ესპანური ლირიკა**

შემდგომში ჰვენ ბევრჯერ დავებრუნდებით ესპანურ პოეზიას. ამას თავიხი გამართლება აქვს. მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოშობით ნიკარაგუელი რუბენ დარიოს მოღვაწეობით ესპანეთში ლირიკის ახალი, არხაბული აუვაფების სახა იწყება. ესპანელი კრიტიკოსები ერთხმად წერენ, რომ მათ ლიტერატურაში მეორე ოქროს ხანა დადგა (რასაც უცხოელი მკვლევარებიც ადასტურებენ). ანტონიო მარადოს, რამონ ბიმენების, გორტ ვილიენის, ევრარდო დიეგოს, ფრედერიკო გარსია ლორკას, დამაზოს, ალონსოს, ვისენტე ალვიქსანდრეს, რაფაელ ალბერტისა და ხევათა შემოქმედება თანამედროვე ევროპული პოეზიის უძვირფასესი შეჩაძებია. ესპანელები, მართალია, ვახაზავენ, რომ მათი თანამედროვე ლირიკა სრულიად თავისუფალია უცხო ზეგავლენათაგან. მაგრამ ეს მართლაც რომ ასე იყოს (რაც ფრიად სათუთა), არ შეიძლება თვითი დავბუქოთ მის ზოგიერთ სტრუქტურულ

კავშირზე ფრანგულ, ასევე ინგლისურ და ამერიკულ ლირიკასთან. 1822 წელს ორტეგა-გასეტი თავის ერთ ნაშრომში ახაბუთებდა, რომ მთელი მაშინდელი ესპანური პოეზიის მალარმეს-გავლენის კვლი ატემა. ეს რა აქმა უნდა, გადაჭარბება უნდა იყოს. იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს ესპანური პოეზიის თვით ესპანელებიც გრძნობდნენ, რომ ავტორები, რომლებსაც ორტეგა შეეხო, ევროპულ და განსაკუთრებით, ფრანგულ ლიტერატურასთან დიდ სიახლოვეს აშეღავნებდნენ. მაგრამ ისე კი, რომ თავად ესპანურ სულს, არაფერი დაშკვიდრებია.

ახალი საუკუნის დასაწყისს ესპანეთში სტილის შეცვლა მოჰყვა. იგი წარმოიშვა როგორც რეაქცია მოყირკებულ, გულუბრყვილო, უბეზ და უოველგვარი სახის ნატურალისტურ პოეზიაზე. სტილის ამ შეცვლას დიდად შეუწყო ხელი ეროვნულმა მემკვიდრეობამ ლუის დე გონგორას (1861-1827) სახით, რომელსაც საუკუნეების მანძილზე არ ღირსებია აღიარება. ახლა კი პოეზიის სწორედ ის თვისებები მოსწონდათ და აქებდნენ, რომლებიც კლასიციკლურ ლიტერატურათმცოდნეობას სწორედ მისი უფარგისობის დამამტკიცებლად მიიჩნდა. მის აღზევებას ბიჭი მისცა გარდაცვალების 35 წლის თავისადმი მიძღვნილმა იუბილემ, შინაგანად კი — ნათესაობამ თანამედროვეობასთან. ის, რაც მასში აღმოჩინეს, იყო ბუნების ან შიშობურ საგნებს შორის შორეულ კავშირთა როგორც ცერებრალური, ისე წარმოსახვითი გამოგონების ნიჭი. მისი ენა, როგორც მოვლენების „შეტაფორულ ელიმსებად“ (დიეგო) გარდასახველი ძალა, დახვეწილი, ბუნდოვანი სტილის მიმზიდველობა, რეალური სამყაროს საპირისპირო პოეტურ ანტისამყაროთა აგების დაუშრეტელი წყარო იყო. ასევე, პოეტური ტექნიკის სიმკაცრე, განსაკუთრებით კი სინტაქსური გადაადგილებები მის ლექსებს უღრეს დაძაბულობას ანიჭებდნენ, და ბოლოს — მისი ხირთულის შერიგება სიტუვითა უღერადობის მიმზიდველობასთან. ეს აღმოჩენები გონგორაში უმეტესად პოეტების დაშახურებაა. მათ (გონგორას იუბილეს გამო), ხშირად, 1922 წლის თარიღს უწოდებენ. მათ რიგებში, ზემოთ ჩამოთვლილ ლირიკოსთა გარდა, თანამოაზრე ლიტერატურის ისტორიკოსებსაც უხვდებით.

ასე განხორციელდა, გონგორას მეთაურობით, ესპანელ ლირიკოსთა განდგომა მანამდე არსებულ სტილთაგან. მაგრამ იგი მოხდა იმავე მიზეზების გამო და იმავე პიზნებისათვის, როგორც მოხდა საფრანგეთში, როცა ენის რეფორმირებული გამოსახვის საშუალებებით მო-



პუშკინი ლირიკას ხერხედა უკან დაებრუნებინა. ის იდუმალუბანი და სულიერი დაბეჭდილობა, რომლებიც ცივილიზაციისთვის ხიფხინდებდნენ, ამის შედეგად მოხვედრა ისეთი პოეტური ტექნიკა და თემატიკა, რომელიც უსათუოდ მსგავსი უნდა უყოფილიყო ამისა. რასაც ურანგულ ლირიკაში ვხვდებით. თანამედროვე ესპანელთა პოეზიაში ბევრი შეხების წერტილია რეპობს. მალარმესა და მათ შემკვიდრეთა სხივურ ველთან. მიუხედავად ამისა, ისინი ინარჩუნებენ თავიანთ ესპანურ თვითმყოფადობას. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს შემდეგში: ესპანეთში თანამედროვე პოეზია ასევე ხელ უფრო მეტად ბუნდოვან. ეპოტურულ პოეზიად იქცა. მაგრამ ესპანელებისთვის ეპოტურულის საზღვარი სხვაგან გადის. ვიდრე დანარჩენ ევროპელთათვის. იგი უფრო მაღლაა. მშობლიური ტრადიციისაკენ მიბრუნებაში ისინი მიიყვანა არა მარტო გონგორასთან, არამედ ხალხურ პოეზიასთანაც. განსაკუთრებით, რომანსებთან. (ბალადებთან). ესპანური ლიტერატურის ამ პირველწიაროს იმთავითვე ახასიათებდა ბუნდოვანი სტილი, ლაკონიზმი, ქარაგმა, წინათგრძნობით სავსე მინიშნებები, ლაკონიზმი და ობიექტურ კავშირთა გამოტოვება. თანამედროვე ლირიკამ ეს სტილი შეითვისა. ესპანელის უფრო გარსია ლორკას. ან ალბერტის იდუმალ სტრუქტურებში ძველი რომანსების (ბალადების) ნაცნობი მელოდია. ესპანის უცხოელს კი აქ ესმის მხოლოდ სრულიად გაუგებარი, უცნაური ქარაგმების ენა. მხოლოდ ძალიან მაღალ, მკაცრად ინტელექტუალურ ლირიკოსთა (პირველ რიგში, გილიენის) მიმართ უჩნდება ესპანელს ეპოტურული ბუნდოვანების შეახებუდილება. მაგრამ ეს წმინდა ესპანური ამბებია. საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის ესპანელებმა თავიანთი ხალხური პოეზიიდან (ასევე ანდალუსიელ ბოშათა სიმღერებთან) შეითვისეს იდუმალების საბურველში გამხვევი, უფრო ევოკაციური, ვიდრე საგანთ-დამნიშნელი ნიშანთა ენა. რადგან იგი უფრო ესადაგება თანამედროვე ლირიკის სტილს, რომელსაც, ბევრი მიზეზის გამო, ხურს იუოს თამში და ბუნდოვანი.

**ორი რეფლექსია ლირიკაში:  
აკოლინდერი და ბარსია ლორკა**

ედგარ პოსა და ბოდლერის შემდეგ ლირიკოსები აუალიბებენ თავიანთი შემოქმედების ტოლფასოვან თეორიულ შეხედულებებს პოეზიაზე, თანაც, არა დიდაქტიკურ მოსაზრებათა გამო. ეს უფრო უშუალო გამოძახილია იმ თანამედროვე რწმენისა, რომ პოეტური შემოქმე-

დობა არის თავდაუანებელი მოქმედი და, თან, -ვითქვერეტი ხეივანი... ამბედიც ხეივანი ხაქმიანობაზე დაკვირვებით უფრო მკაფიოდ აღიქვამს პოეტურ ძაბვას. თვალსაზრისით, რომელიც უფლებების არაპოეტურ მდგომარეობაში გადავრავართ. ისევე ცოტას ნიშნავს, რამაც უფრო დელი: „ქმენ ხელოვანო, ნუკა მსჯელონი“ ხეივანი საუკუნის თითქმის უველია დიდმა ლირიკოსმა საკუთარი პოეტიკა დაკვიტოვა: საკუთარი შემოქმედების, ან ხაერთოდ პოეზიის თავისებური სისტემა. რაც თანამედროვე ლირიკის შესახებ არანაკლებ მნიშვნელოვანს გვამცნობს. ვიდრე თვითონ ლექსები. მათ განამტკიცეს უკვე მე-19 საუკუნეში ჩახახული და შემდეგმვერდენისა და მილარმეს მიერ აღიარებული (თანამედრ არსებული თეორიებისათვის სრულიად მიუღებელი) შეხედულება, რომ ლირიკა პოეტური ფენომენის უველაზე წმინდა და უმაღლესი გამოვლინებაა. თანამედროვე პოეტის ხელთიერი მარტოობა კარგად აირველია იმ აზრში, რომ ლირიკისეული მწვერვალებიდან ლიტერატურის უკვე-კალთებისაკენ არც ერთი ბილიკი არ ეშვება. პოეტები ხაზს უხვამენ ლირიკის უსასრულო დისტანციას დრამატულ თხრობით, ობიექტურ კავშირებსა და ლოგიკაზე დაფუძნებულ მწერლობასთან. ეს არის დისტანცია მონოლოგურ და კომუნიკაციურ მწერლობას შორის. „ლირიკა ანაქორეტული ხელოვნებაა“, — განმარტავდა გ. ბენი.

ჩვენ მოკლედ შევხებით ორ თეორიულ განაზრებას. ორივე ცხადყოფს, თუ რამდენი იერიოთადი ნიშანი გადმოვიდა მე-19 საუკუნის პოეტიკიდან მეოცისაში.

პირველი გახლავთ ვიომ პოლინერის საპროგრამო თხზულება: L'esprit nouveau et les poètes, დაბეჭდილი 1918 წელს. ამ საკმაოდ დაულაგებელ ნაწარმოებში ორი მთავარი აზრი იკვეთება: „ახალი სული“ აბსოლუტური თავისუფლების სულია. თავისუფლებას პოეზიაში მოსდევს უოველგვარი მახალის (რანგის მიუხედავად) შეუზღუდველი გამოუენება. პოეზიას ერთნაირად აღანთებს ვარსკვლავთმისლეული და ოკეანე. დავარდნილი ცხვირხაზოცი, ანთებული წუშწუმა უძლიერეს. ასევე უკნინეს ხაგნებში იგი აუღერებს ჭერ არსმენილს და მას თვალისმოშვრულ სიახლედ აქცევს. „ახალ სიხარულად, თუნდაც იგი მწარე ასატანიც იუოს“. უველაზე შეუშჩნველი საგანიც კი მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ პოეტს დაეხმაროს. რათა გაიქრას „უცნობ უსასრულობაში. სადაც მრავალმნიშვნელობათა ცეცხლი გიზგიზებს“. მაგრამ ასევე ქვეცნობიერის ბინდში ჩაეშვას. სასაცილო და აბსურდული იშავე რამგინაა. რაც მეროიკული. იგი იუენებს ტექნიკური ცივლი-



საქონის მიწვევებზე, ტელეფონს, ტელეგრაფს, რადიო-ტელეგრაფებსაც. „მანქანებს — მანქანულ უფროს მანქანებზე“. ახლა ამ საგნებს მათ სივს თვითნებურად გამოკონილ მათებს. რამდენადაც კი — ზეუძღვებელი. მათი მიზანი „სინთეტიკური ლექსია“. იგი გაზეთის ფურცლის მსგავსი უნდა იყოს. ხაიდანაც კვალში ვეცდით სრული სიკრულად. ამ ფილმის მსგავსი, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით სურათს სურათზე ამწყვრივებს. არავითარი აღწერილობითი, შემაჯობელი ან მკვირვებულური სტილი, არავითარი პროვინციული ზიზღი-პატილოები. არამედ — მკაცრი ფორმულები. რომლებიც რაც შეიძლება ზუსტად შემოხაზავენ კომპლექსურს ლექსის წერა ზუსტ მქაანიზმთა ამწყობის მუშაობას წაგავს. კონცეპტუალური უნდა გაიკეთოს. რათა მათემატიკის გაბედულებას გაუთანაბრდეს და კვლავ: „ალქიმიკოსი“. უნდა ისწრაფოდეს „იშვიათი გამოკვლევებისა და ფორმულების“ მიხაგნებად. უნდა იქცეს „პირველლირიკულ ალქიმიად“. იგი ისევე, როგორც საერთოდ ახალი სულისკვეთება. აღსაგნა საფრთხითა და ბიფითობით. გაბედული და, ამავე დროს, გასაბედი ექსპერიმენტია. ხადაც ვველადურს გამბედაობა წყუეტს და არა უისმათი. მაგრამ იგი მუდამ მოულოდნელობას უნდა იყოს დადარაგებული. სწორედ ამ მოულოდნელობაში ზედავს (მკითხველის წინააღმდეგ მიმართული კოეტური თქმის დრამატულ აგრესიულობაში) აპოლინერი ახალ-კოეტის განსხვავებას ძველისაგან. კოეტა კი, რომელიც შეუცნობელს ეძებს, რათა იგი ანომალიური ენით გამოხატოს, განმარტობებულია. გამახხარავეებული ან განკიცხულია.

დასაბუთების გარეშეც მოჩანს, თუ რა ძლიერია პროგრამაში (თანაც ავტორის მიერ საკუთარ კოეტიაში განხორციელებული) რემბოსეული სულისკვეთება. აპოლინერის ეს თხზულება უმნიშვნელოვანესი პერიოდული მკაცრირებელია რემბოსა და მეოცე საუკუნის ლირიკის შორის

მომავლისაგან მიმართულ პროგრამას ზეუნდავურთავთ გარსია ლორკას სიტუვას გონგორაზე, რომელიც მუშა წელს წარმოთქვა. იგი მნიშვნელოვანი წვლილია გონგორას რენესანსისა მე-20 საუკუნის ესპანეთში. მაგრამ, ამავდროს, დღევანდელი კოეტის ესთეტიკაა-გონგორას ზედმეორედ აღმოჩენამ ესპანეთი ახალი კოეტით გაამდიდრა ახალმა კოეტამ კი, თავის მხრივ, დიდად შეუწყო ხელი ესპანეთის ძველ კოეტებში ვველაზე ანელად გახაგები კოეტის ვაგებას გარსია ლორკა მას „თანა

მედროვე ლირიკის მამას“ უწოდებს. ამ სიტუვაში ლორკამ მანქანის ვანგობის ერთერთ საუკეთესო მოწვევად უწოდებდა კოეტის ფრანს და ესპანელი ერთმანეთს. რადიო-ტელეგრაფი უნდა იყოს დანერგებული. გარდა ამისა, მანქანის შორის ნათესაობა მოკვა. რუსული კოეტიაში დანახა. მის გამომწვევს წარმოადგინებო. ვველადური ეს თამაშად შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ლირიკის არაპირდაპირ აღწერად. ახვე უნდა გავიგოთ შემდეგი შემაჯობელი დასკვნებით. მივუვეთ ლორკას მსგელობა:

გონგორა დარწმუნებული იყო, რომ კოეტის ლირებულება მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტად სკრულდება იგი ვარგანი და შინაგანი სამყაროს ნორმალურობას. მას უუვარდა წმინდა, უსარგებლო სილამაზე, რომელიც მხოლოდ მაშინ გვიძღვება, როცა „გახაზირებელი გრძობება“ გამოჩატებულია. მას სძულდა სინამდვილე, ხამაგიეროდ, კოეტურ სამყაროში შეუზღუდველი მონარქი იყო. მის სულიერ ლანდშაფტში არსებობს მხოლოდ ხიტვათა ავტონომია. რომელთაგან იგი დროში გამძლე შენობას აკვებს. იქ ბუნებისთვის არ არის ადგილი. „რადგან ბუნება, რომელიც ღმერთმა მოგვცა, სრულიად სხვაა, ვიდრე ის, რომელიც ლექსში ცოცხლობს“. გონგორას ქმნილებებს ვერ ვავსობავთ სინამდვილათ, არამედ მხოლოდ ისევ საკუთარი თავით. მას შეჰქონდა ხაგნები და მოვლენები „თავისი ტვინის ბზელ ხაკანში. ხაიდანაც ისინი საბეცვლადნი ბრუნდებოდნენ. რათა რეალობიდან გაქრილიყვნენ“. ვარდამ-სახველი ენერგია მეტაფორულ აზროვნებაშია. იგი წარმოქმნის არეალურ სურათ-ხატებს, რომლებიც მითების რანგისაა და ერთმანეთთან ქრავენ უშორეს კავშირებს. თავისი კოეტის ობიექტურ შინაარსს ასეთი სურათ-ხატებით ისე ძალუმ აშუქებს, რომ მას მნიშვნელობას აკლის. მის ლექსებს ადგას „რომის ცივი შუქი“. მათ, აღმათ, წინ ინსპირაცია უძღოდა. მაგრამ, წმინდა და შუარ სუბსტანციად იქცნენ აზრისა და ელერადობის (რომელიც თავად ენაში ვეაქვს მოცემული) გამოწვლილეთი უმკაცრესი გამოცდის შედეგად. ახე წარმოშვა კოეტია. რომელიც კი არ ელტვის. არამედ განუთვთვს მკითხველს. მას გონებით უნდა მივუდვეთ. მისი ბუნდოვანება გონითი ხინათლის სიკარბისაგან მომდინარეობს.

ტონი, მიზანი და დონე ორივე ნაწერისა-სრულიად განხვევებულია. მაგრამ ორივეს ერთიანებას კოეტიაში ცურებრალური ორიენტაციის აღიარება. ახვე, აღიარება ამ კოეტის დაშოუკიდებლობისა იმინგან, რაც ნამდვილი და ნორმალურია. აგრეთვე, მისი დისონანსური უცხოობისა მკითხველისათვის.





ინკონგრუენტული სტილი და „ახალი ენა“

თანამედროვე ლექსის ინტერპრეტაცია იმუ-  
ლებულია უფრო დადბანს შეტყობის გამო-  
ნათვის ტექნიკაზე. ვიდრე შინაარსზე, მოტივ-  
სა და თემაზე. ეს სრულიად გასაგებია მისი  
ბასილიდან გამომდინარე. გოთვს შეეძლო  
მეხედის ან სხვათა ლექსები კუბლიკამდე მიე-  
ტანა შინაარსის გადმოცემით. მართალია, მათი  
პოეტური შინაარსი სადღაც მიღმა რჩებოდა,  
რადგან ამ გზით საერთოდ შეუძლებელია მი-  
სი წარმოჩენა. მაგრამ მსგავსი რამ მაინც იყო  
შესაძლებელი და სახარგებლოც ისეთი ლირი-  
კისათვის, რომელიც ეძებდა მკითხველთა სა-  
ზოგადოებას, რათა მათი და მათი ბუნებ-  
რივი წესრიგის სამსახურში ჩამდგარი ენით  
გასაგებად ეამბნა საგნებსა და გრძნობებზე.  
ელიოტის, სენ-უონ-პერსის, უნგარტის ტექს-  
ტებს შინაარსის მიხედვით ვერ განვმარტავთ,  
თუმცა, რახაკვირველია, მათაც აქვთ თავიან-  
თი „შინაარსები“. უფრო მეტიც — ისინი შე-  
იძლება გარკვეულ თემატურ წრესაც განეკუთ-  
ვნებოდნენ, რომელიც მათი ავტორის გაგებისა-  
თვის ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ დისტან-  
ცია სიუჟეტსა და ენობრივ-მხატვრულ ტექნი-  
კას შორის აქ გაცილებით დიდია, ვიდრე მანამ-  
დედ პოეზიაში იყო. ნაწარმოებისა და მისი  
შემოქმედების უმალესი წერტილი სწორედ ამ  
ტექნიკაშია. მხატვრულ-შემოქმედებითი ენერ-  
გია თითქმის მთლიანად იჭრება სტილში. ეს  
არის ენობრივი განხორციელება და, ამდენად,  
რეალურისა და ნორმალურის დიდი ტრანს-  
ფორმაციის უველაზე უშუალო გამოვლენა.  
მანამდედ ლირიკოსთაგან განსხვავება, მაშახ-  
დაშე, იმაში მდგომარეობს, რომ წონასწორობა  
გამოსახატავ შინაარსსა და გამოხატვის ფორ-  
მას შორის დარღვეულია ამ უკანასკნელის გა-  
დაძალვის გამო. მოუხვეწრობით, ანაზღვეული  
წყვეტით, გაუცხოებით ანომალიური სტილი  
მთელ კურადღებას თავისკენ მიიპყრობს. ახლა  
უკვე შეუძლებელია, როგორც ძველ პოეტებ-  
თან იყო, ნათქვამის მნიშვნელობა ნათქვა-  
მის ფორმას გვაფიქვებდეს. შეუხაბამობა ნიშან-  
სა და აღბანიშნს შორის თანამედროვე ლი-  
რიკის, ისევე როგორც თანამედროვე ზე-  
ლოვნების, ერთ-ერთი კანონია. ახე მაგალითად,  
რომელიმე სურათზე ტილოს ნაკუწი მანდო-  
ლისის შეუხაბამო (ინკონგრუენტულ) ნიშნად  
გვევლინება. ლურჯი ფერი — დავიწყების  
ნიშნად, განმსაზღვრელი არტიკლი — განუსაზ-  
ღვრელობის ნიშნად, მეტაფორა — ობიექ-  
ტური იდენტობის ნიშნად.

ინკონგრუენტული სტილის ასეთი გადაძალვის  
პირობებში თემები და საგნები, რომლებსაც  
იგი ეხება, ზოგჯერ სრულიად უარგავს მნიშვნე-  
ლობას. თანამედროვე ლექსი გაუცხოების კლ-  
წერილობითი ან თბრობითი ბასილითს ლექსე-  
ბით ხცნოს ობიექტური უწყობის (შეუხვეწი)  
სამყარო მის ობიექტურ მნიშვნელობას  
მისი სტილის დომინანტობას დაემუქრებოდა.  
ნორმალური, ობიექტური სამყაროს ნაშთებს,  
რომლებსაც იგი იყენებს, მხოლოდ ერთი ფუნ-  
ქცია აქისრიათ — გარდამქმნელი ფანტაზია  
ამოქმედონ. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას,  
რომ თანამედროვე ლირიკა მხოლოდ ასეთ  
(უწონადო) საგანთა მცირე რაოდენობით შე-  
მოიფარგლოს, როგორც ეს მაღარმესთანაა.  
ასევე არანაკლებ გვხვდება ნივთებით გადა-  
ტვირთული ლირიკაც, მაგრამ ნივთთა სიმრავ-  
ლე ექვემდებარება ხედვისა და სტილურ სა-  
შუალებათა ახალ კომბინაციებს; იგი მახალაა  
ლირიკული სუბიექტის უფლებამოსილების გა-  
მოსავლენად. — რაც საგანთა ობიექტური მნი-  
შვნელობის სიღარიბეს ადახტურებს. ამიტომ  
გასაგებია, როცა თანამედროვე ლირიკოსე-  
ბი თავიანთი ლექსების სიუჟეტების უმნიშ-  
ვნელობაზე ლაპარაკობენ. რევერდი 1948 წელს  
წერდა: „პოეტს არ აქვს საგანი, იგი საკუთარ  
თავში იხარშება... ნაწარმოების ღირებულე-  
ბა სწორედ იხაა, რომ ვერ მივაგნოთ ვერც  
მისი უმეჭვიდრობისა და ვერც მისი მეთოდის  
საფუძველს — შეუკავშირებელი შეაკავშიროს“.  
ესპანელი სალინასისთვის „წმინდა პოეზიის“ წი-  
ნაპირობაა, რაც შეიძლება მეტად ვანიტ-  
ვირთოს ნივთებისა და თემებისაგან, რადგან  
მხოლოდ ასე ექმნება ენის კრეაციულ მოძრაო-  
ბებს თავისუფალი განაქანი. 1950 წელს გოტ-  
ფრიდ ბენმა თქვა: „სტილი ფორმალური ფან-  
დების საშუალებით იხარჩუნებს პათოსს, —  
უცერად გაჩენილი იდეები ლურსმნებივით ჩა-  
კედოს და ზედ სიუჟეტები დაკიდოს. არაფერ-  
რია ერთმანეთში ჩაწნული მატერიალურ-ფი-  
ქოლოგიურად, ყველაფერი მინიშნებულია, არა-  
ფერია გატარებული თავიდან ბოლომდე“.

თანამედროვე პოეზიის სტილი, რომელიც  
მსგავსი წინადადებებით ბასილდება, შინაარსს  
სრულიად უარგავს ღირებულებას და ურთი-  
ერთშეკავშირებულობას; იგი საზრდოობს მხო-  
ლოდ საკუთარი დიქტატორული კრეტენზიებით და  
შეუწელებელ დრამატიზმშია ამ კრეტენზიებსა  
და საკუთარ შინაარსს შორის. იგი, ქერ კი-  
დევ რემბოდან მოუოლებული, მარად „ახალი  
ენის“ ძიებაშია. „ო, პირნო, ადამიანს სურს  
ახალი ენა, რომლის შესახებაც ვერც ერთი  
გრამატიკოსი ვეღარაფერს იტყვის“, — ვი-  
თხულობთ ამოღინერის „კალიგრამებში“. მაგ-



რამ როგორი უნდა იყოს იგი? ამოღებრის  
 პასუხი მანდოტებშია გაუხეშებულ და დისკო-  
 ნანსურ. შედეგ კი კვლავ გადუთავებრებულ  
 ენაზე მიგვანიშნებს: „თანხმონები ხმოვნების  
 გარეშე თანხმონები, რომლებიც ურულ ტელა-  
 შუნობენ. ტონები, როგორც ბზრიალა, როგორც  
 ენის წკლაპუნა, როგორც დამკაწვრელი გა-  
 ფურთება“. მაგრამ ასევე: „ახალი სიტყვა  
 ანაზღვეული და ათრთოლებული ლმერთია“. არა-  
 გონი „ელიზას თვალების“ წინახიტუვაობაში  
 (1942) წერს: „პოეზია არსებობს მხოლოდ ენის  
 უწყვეტი ქმნადობის ხარჯზე. რაც ენის სტრუქ-  
 ტურის, გრამატიკული წესებისა და ხამეტყველო  
 წესრიგის მსხვერვას უტოლდება“. ეს ხეცა-  
 ტურრი განსაზღვრებები ფრიად საუურადღებოა.  
 სიახლისადში შეუყვალა ნება პროგრამულად  
 თავის გამოხატულებას მხოლოდ ძველის მსხვერ-  
 ვაში პოეზებს. იეტსი თავის თავზე ამბობს: „მე  
 ენა კი არ გამაჩნია, არამედ მხოლოდ სურათ-  
 ნატები, ანალოგიები, სიმბოლოები. ტ. ს. ელი-  
 ოტის Ash-Wednesday-ში მოულოდნელი ჩა-  
 ნახითვით ვღერს სტრიქონი: „ენა სიტყვის გა-  
 რეშე. და სიტყვა ენის გარეშე“. სენ-ჟონ პერ-  
 სი ლაპარაკობს მისეულ „გაელვების სინტაქს-  
 ზე“ და აცხადებს: „ჩვენ ახალ გზებს ვკვლავთ  
 ქურ არსმენილ სიტყვებამდე“. უველა ეძებს  
 ენის თავისებურ ტრანსცენდენციას, მაგრამ  
 იხილ იხეთვე გაურკვეველი რჩება, როგორც  
 უველა სხვა: ეს არის ცარიელი ტრანსცენდენ-  
 ცია, რომელსაც ბოდლერიდან ვიცნობთ.

„ახალი ენის“ ცნება მხოლოდ იქ იძენს  
 მეთ გარკვეულობას, სადაც თავის აგრესიულ  
 ზრახვას გახაზავს. წვეტს რა ჩვეულთან კავ-  
 შირს, იგი მკითხველისათვის შოკის მომგვრე-  
 ლია. „გაოგნება“, ბოდლერის მერე, თანამე-  
 დროვე პოეტის სპეციალურ ტერმინად  
 იქცა — როგორც უკვე მანამდე იყო ბარო-  
 კოს ლიტერატურაში. ვალერი წერს: „თა-  
 ნამედროვე ხელოვნებაზე გამოკვლევა რომ  
 დაწერილიყო, ვერჩვენებდა, რომ ბოლო ორ-  
 მოცდაათი წლის მანძილზე უოველ ხუთ წე-  
 დიწადში შოკის პრობლემის ახალი გადაწ-  
 ვვეტა იბადებოდა“. თვადაც აღიარებს, თუ  
 როგორ ჩაგდეს „გი რემბომ და მალარმემ  
 შოკში. სიურრეალისტები ლაპარაკობენ „შე-  
 ცბუნებაზე“. რომელიც უნდა მოდიოდეს  
 პოეზიისაგან, ბრეტონი ლირიკას უწოდებს  
 „პროტესტის გამოკვლენას“. სენ-ჟონ პერსი  
 „ლიტერატურული ქცევის პირველ პარაგრა-  
 ფად“ მიიჩნევს „უჩვეულოს ფუფუნებას“. უფ-  
 რო დიდ ურთიურთკავშირში დანახული ასეთი  
 პრინციპები გვიჩვენებენ, თუ როგორ გაძლი-  
 ერდა პოეზიაში რომანტიზმში დაწუებული  
 პროტესტული ხასიათი. თანამედროვე ლირიკა

მკითხველს თავის თავს განუმარტავს. რო-  
 გორც თავდასხმას. ავტორისა და პუბლიკის  
 შორის ბზარს შოკის ეფექტური მიშველებენ.  
 ფლობერმა „მადამ ბოვარიზე“ მუშაობისას  
 სტილი „ხედვის წესები“ დაწვრილა. რაც აღ-  
 რინდელი, მუშაობისას მისი სტილი პოე-  
 ტიკისათვის წარმოუდგენელი განსაზღვრაა.  
 იგი განხორციელებულია ფლობერისა და. სა-  
 ერთოდ, თანამედროვე რომანებში, ბოლო ლი-  
 რიკაში — გაზრდილი მასშტაბით. ამგვარი  
 სტილი აღარ გამომდინარეობს საგნებისა და  
 თემებისაგან და არც ჩვენამდე მოღწეული  
 ხელოვნების ენიდან. იგი თავად ავტორისგან  
 მომდინარეობს. ამას შედეგად ისეთი მოვლე-  
 ნები მოჰყვა. რაც უველაზე მეტად მხატვ-  
 რობაში ვიცით. სენანის მერე ჩვეულებრივ  
 ამბად იქცა. რომ მხატვარი რომელიმე, მნიშე-  
 წელობით ღარბ მობივს კვლავ და კვლავ  
 უბრუნდება, რადგან მას თავად ეს მოტივი  
 კი არ აინტერესებს, არამედ საკუთარ სტი-  
 ლურ შესაძლებლობათა გამოცდა. პიკასომ რამ-  
 დენჩერმე გადმოხატა და გადააქეთა მანეს  
 „Dejeuner“ (საუზმე) და უოველთვის სხვადა-  
 სხვაგვარად. მოტივი უკან იხევს ფორმალური  
 ტექნიკის წინაშე. ესაა ავტონომიური ორგანიზ-  
 მის შექმნის თავი და თავი, რომელსაც თვით  
 გამომხახველი ხერხები წარმოქმნიან და არა  
 გარე სინამდვილის ელემენტები. ამით მოტი-  
 ვთა რიცხვი არა მარტო იზღუდება, არამედ  
 თვითონ მოტივი ხავარჯიშო მასალა ბდება  
 ვარაციებისათვის. ისინი მხოლოდ სტილის,  
 როგორც ასეთის, განაცხადებია. ამ მეთოდს  
 პოეზიაშიც ვხვდებით. ვალერი ერთგან წერდა,  
 რომ მის წარმოდგენაში პოეზიის საქმეა —  
 „ერთ სიუჟეტზე ბევრი ვარიაცია შექმნას“.

**დემარმინანტთა განუსაზღვრელობის  
 ფუნქცია**

აქ შევეხებით თანამედროვე ლირიკაში ძა-  
 ლიან გავრცელებულ სტილურ მოვლენას, რომელიც  
 ჩვეულის გაუცხოებასთან არის დაკავ-  
 შირებული. ჩვენ მას „დემარმინანტთა განუ-  
 საზღვრელობის ფუნქციას“ ვუწოდებთ და  
 შემდეგს ვგულისხმობთ: გ. ბენის ლექსი „ლა-  
 მის ტალღა“ მთავრდება სტრიქონით: „თეთ-  
 რი მერგალიტი უკან მიგორავს ზღვაში“,  
 ენის ნორმალური აღქმა უცნალოდ ხადებს  
 კითხვას: რომელი მარგალიტი? წინა სტრიქონ-  
 ში ეს მარგალიტი არსად მოჩანს. მას წინ უძ-  
 ლოდა მხოლოდ „ქროლვა“, „მოქცევა“, რომელიც  
 არსებები და საგნები, უფრო მეტად კი  
 მათი მაგიური სახელები. ატარებენ საკუთარ  
 თავში. მარგალიტიც ასეთი მატარებელია. მისით



ხორციელდება ას. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ: ენის ელერადობა და უკუქცევის აბსოლუტური მოძრაობა. განსაზღვრული არტიკლი აქ არ გამოხატავს არსებითი სახელის ობიექტურ განსაზღვრულობას. პოეტს იგი მხოლოდ იმისთვის შემოაყვავს რომ აბსოლუტური მოძრაობის ელერადობის ნიშნად აქციოს, რომელიც, თავის მხრივ, წინა კუთხების წრიულ და აქეთ მომართულ მოძრაობებს უკუშეაქცევს და დაასრულებს. არსებითი სახელით გამოხატული საგანი, ამ შემთხვევაში — მარგალიტი, არაფრით იყო წინააღმდეგობა და სწორედ იმით, რომ განსაზღვრული არტიკლი სრულიად უცნობთა წინ დგას. გაურკვეველისა და იდუმალის შთაბეჭდილებას ახდენს. „რომელიღაც თეთრი მარგალიტი“ მთელ ლექსს სრულიად შეუცვლიდა ატმოსფეროს.

განსაზღვრულ არტიკლს ნორმალურ სიტუაციაში სმარებაში ევალება აღნიშნოს საგანი, ან ვითარება, რომელიც უკვე ნაცნობია, ან წინამავალ წინადადებაშია ნახსენები. იგი უკვე ცნობილის დამადასტურებელი ენობრივი საშუალებაა.

თანამედროვე პოეზიაში იგი გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი საშუალება, რომელიც, მართალია, უკრადღებებს აღძრავს, მაგრამ მას მაშინვე გვიბნევს სრულიად ახალი ვითარების შემოტანით. ეს ხერხი უკვე მე-19 საუკუნის ლირიკოსებთან იჩენს თავს, განსაკუთრებით, რეშოსთან. მასთან ვხვდებით ისეთ განმსაზღვრულებსაც, როგორცაა პირის ნაცვალსახელები, ადგილის ზმნიშვნელები და ა. შ. მე-20 საუკუნეში ეს მეთოდი არაჩვეულებრივად ვითარდება და ჩვენი დროის ლირიკის მთავარ სტილისტურ ნიშნად გვევლინება. სუპერვიელეს ლექსი „ძაბილი“ ზღაპრულ ამბავს გადმოგვცემს: „მანდილოსნები შავებში... სარკე — მარმარილოს ვილინო...“ მოკმედეების უველა ელემენტი ენობრივად განსაზღვრულია ისე, თითქოს მათ დიდი ხანია ვიცნობდეთ. მაგრამ სინამდვილეში არაფერ ნაცნობს არ უკავშირდებიან, როგორც ეს ნამდვილ ზღაპრებში ხდება. ამ ხერხის მაგალითებს ვხვდებით ელიოტთან, სენ-ჯონ პერსთან და გილიენტთან. დეტერმინანტების დახმა სრულიად განუსაზღვრელი ნათქვამის გვერდით და ერთდოულად წარმოშობს ენის ანომალიურ დაძაბულობას, ამასთან ერთად, საშუალებაა — ჩვენთვის ნაცნობს უცხოობის ბეჭედი დაასვას. თანამედ-

როვე ლირიკას. რომელსაც უამისოდაც დაუკავშირებელი შინაარსები უყვარს, სრულიად მოულოდნელად შემოაქვს სიახლე დეტერმინანტები კი, თავის მხრივ, უფრო მეტად ათავსებენ დეტორიენტაციას იმით, რომ უცნობს ნაცნობ იერს აძლევენ და იზიარებენ უწყარმავლო სიახლეს კიდევ უფრო მეტად მხვედრენ გამოუცნობის საბურველში.

აკოლონი დიონისეს მახიმარ

თანამედროვე ლირიკა ცივ საქმიანობად იქცა: მასზე რეფლექსიაც ცივი გახდა. მას არჩევენ ტექნიკური განსწავლულობის მეშვეობით. ამავე დროს, გაცნობიერებული აქვთ, რომ ლირიკა იდუმალებაა, თითქმის გამოუთქმელის ხასაზღვრო ზოლს გამოტაცებული, სასწაული და ძალაა. მაგრამ ამ ძალას სწავლობენ, როგორც ექსპერიმენტულად ჩატარებულ სიტუაცია ატომური ძალების აფეთქებას. მის იდუმალებით მოცულ ენას კი — როგორც პირველად მიღებულ მოულოდნელ ქიმიურ შენაერთს. პოეტი იქცა დღემდე ფებდაუდგამ სემანტიკურ ველეებზე ფათერაკების მაძიებლად. მაგრამ იგი აღჭურვილია საკუთარ ცნებათა გამწოში აპარატურით, რაც მას საშუალებას აძლევს ნებისმიერ წაშს კონტროლი გაუწიოს თავის თავს და საიმედოდ იცავს ბანალური გრძნობების მოულოდნელი შემოტევისაგან. ის მომჭადოებელი ძალა, რომელიც თანამედროვე ლექსებიდან მოდის, მამაკაცურადაა მოთოკილი. მათ დისონანსებსა და ბუნდოვანებებზე აკოლონი მბრძანებლობს — ცხადი, შემოქმედებითი სინდისი. ზეშთაგონების ინტენსივობამ, როგორც პოეტური ხარისხის ერთადერთმა საზომმა, უკვე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დაკარგა ძალა, მაგრამ უკვალოდ არ გამქრალა. დღესაც გვაქვს მისი გამოძაბილი, ფართო საზოგადოებრივი სიმპათიები კვლავ მისკენ იბრება. ამ მხრივ ხანიშუშოდ მიაჩნიათ მე-20 საუკუნის ერთი გერმანელი პოეტი, მისი ხიდიდე, როგორც ხელოვანისა, ექვს არ იწვევს. მაგრამ იგი სრულიად მოწუხებულია თავის თაობას. ლექსი მას „ღამის გრიგალებში“ „დაეკისრა“. იგი „მის ფართოდ განხმულ გრძნობაში“ შეიჭრა ისე ძლიერ, „რომ ხელი უკანკალედა და ქსოვილები ასკდებოდა“... ამას ფატალური შედეგები მოჰყვა, რადგან ეს ერთი განყერპოებული შემთხვევა, სამწუხაროდ, მთელ პოეზიაზე განაზოგადეს.

ევროპის უპირველესი ლირიკოსები, თითქმის უკლებლივ ყველა, უნდობლად ხვდებიან ინსპირაციას. ისინი ზუსტად ასხვავებენ მღელვარებასა და ძალას. პირად ღრმა განცდებმა

1 გერმანულად eine weiße Perle-ში eine განუსაზღვრელი არტიკლია. ჩვენი თარგმანი პირობითია: „ერთი, რომელიღაც“... (მთარგმნ. შენიშვნა).



და გონით ვარვისიანობას. „პოეზია ღრმად სექტაკური ხელოვნებაა. იგი, ჩვენგან განსხვავებით, არაჩვეულებრივი თავისუფლებით გამოირჩევა. ღმერთები მოწუალებდნენ ვაბოძებენ ერთ ლექსს; ბერე კი ჩვენზეა დაშოკადებული. მეორე ისე დავწეროთ, რომ თავისი ზებუნებრივად გაჩენილი ძმის ღირსი იყოს. ამას გამოცდილებასა და გონის ერთობლივი ძალა გახსნის“. — ასე წერდა ვალერი თავის თხზულებაში *La Fontaines Adonis*. „ოხვრას და ელემენტარულ კვნესას არაფერი აქვს საერთო პოეზიასთან, ვიდრე „გონით ფიგურებად“ არ გადაქცეულან“, — ვკითხულობთ სხვა ადგილას (200, 11, 20). გარსია ლორკამ გონგორასადმი მიძღვნილ საიუბილეო სიტყვაში ასეთი აზრებისათვის შეაკო ფრანგი თანამოაზრე და ამ აზრებს კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შესძინა.

დანუნციოს ორატორულ-პათეტიკური ლირიკის წინააღმდეგ მიმართულმა უკურეაქციამ იტალიელი პოეტებიც ამ გზაზე დააყენა. ისინიც დიდხანს ნაფიქრ „შეშველ სიტყვას“ (უნგარეტი) შთაგონებულ მეტყველებაზე მალდა აყენებენ. პრინციპში ეს ძველი შეხედულებებია. ის ფაქტი, რომ ისინი სწორედ რომანულ ქვეყნებში ვხვდებოდა ასე ხშირად, ლათინურის საერთო ფესვებით აიხსნება. მაგრამ მათი გამოვლენის მტკიცე თანმიმდევრული ხასიათი, ბოდლერიდან დღემდე, იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე ლირიკა ჯერ კიდევ დეჰუმანიზაციის პროცესშია.

სხვათა შორის, მსგავსი შეხედულებები სხვა ქვეყნებშიც გამოუთქვამთ. მის ადრეულ გამოვლინებას ნოვალისტან ვხვდებით. ტ. ს. ელიოტი ლაპარაკობს პოეტური სუბიექტის უპიროვნობაზე, რის გამოც მისი საქმიანობა მეცნიერულს ემსგავსება. იგი ხაზს უსვამს „შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობას“ და მოითხოვს, პოეტმა არა მარტო გულში ჩაიხედოს, არამედ უფრო „ღრმად“, სახელობრ, „ტვირის ქერქსა და ნერვულ სისტემაში“. ყველაფერ ამას გ. ბენშა სხარტი ფორმულირება მიუსადაგა და პაერი გაწმინდა. მისი მოხსენება — „ლირიკის პრობლემები“ (1931) დღევანდელი თაობისათვის *ars poetica*-დ იქცა. ბენშა არტისტულის ცნებას კვლავ დაუბრუნა დაკარგული პატივი. იგი ამ ცნებით აღნიშნავდა სტილისა და ფორმის ნებას. რომელსაც საკუთარი ქეშმარიტება გააჩნია, შინაარსების ქეშმარიტებაზე აღმატებული, „რადგან ადამიანი საცნობია მხოლოდ ფორმათქმნადობის სფეროში“. — მეტისმეტად ლათინური ნათქვამია. ინსპირაციას არხად მიუყვართ, იგი მხოლოდ გვაცდუნებს, „რამდენიმე ლექსს ამოაფრქვევს, შემდეგ კი ადამიანი მიადგება მათ თავისი ფორმათქმნელი ენერგიით.

ამ ლექსებს მუის ხელში აიღებს, მიკროსკოპის ქვეშ დადებს, სინჯავს ატერადებს, ეტებს პათოლოგიურ ადგილებს.



ჩვენი დროის ლირიკოსები სიამოვნებას ლაპარაკობენ თვითნებურად „ლაპარაკობაზე“, „ოპერირებაზე“, „გონგორის ლექსის „კალკულაციაზე“. ვალერი თავის წიგნში დეგას შესახებ თანამედროვე მხატვარს ასე წარმოგვიდგენს: არავითარი კვალი სახელოსნოს ლამაზი უწესრიგობისა, როგორც ეს ძველად იყო, არამედ „ხატვის ლაბორატორია“. სადაც ქათქათათვით სამოსში გამოწუობილ კაცს რეზინის ხელთათმანები წამოუცვამს, ზუსტად ვანრიგებულ საათებში მუშაობს და სპეციალური ხელსაწყოებითაა გარშემორტყმული. ვალერი ამას ირონიულად მომავლის სურათს უწოდებს. მაგრამ იგი დიდი ხანია აწმყოდ იქცა. მაფტმანის წიგნს — „მე-20 საუკუნის მხატვრობა“ — რომ გადახედოთ. მხატვრობა უზარმაზარ ლაბორატორიად წარმოგვიდგება, სადაც დიდი ინტელექტით დაჭიდდებული ადამიანები მუშაობენ. ისინი „ფორმულებს“ აღმოაჩენენ, სივრცეს განსაზღვრავენ, „უღერადობის სტრუქტურას“ ხინჯავენ. ასევეა ლირიკაშიც. შთავარტიპი მასში „მოაზროვნე ლირიკოსია“ (ე. ლანგესური), ვისთვისაც ფორთოხლები და ლიმონები „მწიფე ხილის ალგებრად იქცა“ (კროლოვი) და ვისაც, ბენისებურად, საკუთარ თავზე შეუძლია თქვას: „მე პრიზმატიკოსი ვარ, მე უმუშაო მინებით“. დამახასიათებელია, რომ ვალერი პოეზიას, ამ სიტყვის ბერძნული პირველმნიშვნელობის გამოყენებით აღწერს როგორც fabrication-ს (დამზადება, გაკეთება) და ნაწარმოებზე იმდენს არ ფიქრობს, რამდენსაც დამზადების აქტზე, რომლის შეშვეობითაც გონი მალდდება და სრულყოფილი ხდება.

დიდი სიფრთხილედ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ლირიკოსების ამგვარ ქცევაში არ დავინახოთ შემოქმედებითი ძალების ცივი ერზაცი. პირიქით, ყველგან ვაკვირდებით, რომ ინტელექტუალურ კეთილგონიერულობას სწორედ იქ მიჰყავს ენა ლირიკულ გამარჯვებამდე. სადაც რთული, სიჭმარივით უკვალოდ ქრობადი მახალა აქვს დასაძლევი. საუურადღებოა, რომ თანამედროვე სულის არაჩვეულებრივი სენსიბილობა მიუკედლა ხელოვნების აპოლონისეულ ცხად გაგებას. რომელიც ცდილობს ლირიკოსის სწრაფვამ მრავალმნიშვნელოვანი, მაგიური პოეზიისკენ თავისი აუცილებლობა ხანგრძლივი გამოცდილთ დაამტკიცოს, ვიდრე თავს ამეტყველების ნებას მისცემდეს.

უოველთვე ამას შეეხებაშება ის რომლი, რომელსაც თანამედროვე ლირიკაში ფორმის ცნობიერება ასრულებს მალარმეს მსგავს პოეტებ-



ში მეტრული სიზუსტე, მისი შესატყვისი თეორიულ მალარმეს მიერ მინიმუმებულ გზას მიპყრება, როგორც მრავალფეროვანი დასახულების გარეშე. ფორმის სიმკაცრის ქვედაზე ნათელ მაგალითს პრაქტიკულად და თეორიულად ვალერის შემოქმედება გვაძლევს. მისი გამონათქვამები რომანული ფორმის კულტურის მწვერვალს წარმოადგენს. იგი ჩანს წყადა სეპსისისა და ფორმის სიმკაცრის იდუმალი ურთიერთქმედებას: „ექვს მიყვავართ ფორმასთან“. ექვი შეიცნობს თვითნებობას, რომელიც ოდესღაც მეტრული ფორმების შეთხზვაში ბოხოქრობდა. და კარგად უწყის, როგორც არქოფულია მარტო მინარხული მიგნებები: პოეზია მეტრულ ფორმებს იყენებს, როგორც თამაშში წუხტად დასაცავ სავალდებულო წესებს. ისინი იყავენ მას უბეში სპონტანურობისა და თავში გაელვებულ მიგნებათა ქაოსისაგან. თანამედროვე ლირიკის მეტრული სიზუსტის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კონტრასტს ქმნის ბუნდოვან მინარხთან მარტივი სინტაქსისა და ნათქვამის ხირთულის კონტრასტული დაპირისპირების ანალოგიით.

მაგრამ ფორმის სიმკაცრის ნაკლებად მიმდევარ, ან სულაც უარყოფელ ლირიკოსსაც ფორმალურ საშუალებათა მიმართ რეფლექსური დამოკიდებულება ახასიათებს. კლოდელმა თავისუფალი ლექსის რიტმი წუხტად სუნთქვის პერიოდებს შეუსაბამა, არაგონი დაწვრილებით ახალიწებს თავისი რითმული სისტემის ხიხლვებს. მსგავსი რამ თანამედროვე პოეტური შემოქმედების ვაცნობიერებულობას აძლიერებს. იგი რაღაც სრულიად სხვაა, ვიდრე თბწვის ტექნიკის ტრადიციული ცოდნა. გარსია ლორკამ, რომელმაც ფორმათა ვველა შესაძლებლობა ამოწურა ლექსის სრულ განწვევრებაშიდე. ერთ საუბარში გულწრფელად აღიარა: „თუ მართალია, რომ პოეტი ვარ, — ღვთის ან ეშმაკის წყალობით. — მაშინ პოეტი ვარ ტექნიკისა და გარჯის წყალობითაც და იმიტაც, რომ სრულ ანგარიშს ვუწევ იმას, თუ რა არის ლექსი“. ტ. ს. ელიოტი შემოქმედებაში ხედავს წუხტ საქმიანობას, რომელსაც ისეთივე ამოცანები აქვს, როგორც მანქანის დამზადებას, აგებას მისი მეტრული ფორმები თავისუფალია. მაგრამ ეს წუხტი საქმიანობა ჩანს განმეორებულ სტრაქონებისა და დიდი ლექსების აგებაში. მრავალფერაშიანი მუსიკალური კომპოზიციების მსგავსად.

დასასრულს ორიოდვე სიტყვით შევტვრდებით თანამედროვე მუსიკასთან ერთ პარალელზე და ამით კიდევ ერთხელ ცხადვოფთ თანამედროვე ხელოვნების ვველა დარგის სტრუქტურულ ერთიანობას, სტრუქტურის მი-

აჩნდა, რომ უოველი შემოქმედებითი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს პოეტის, ე. ი. კეთების ცოდნის, „უჩრდილო ნათელში“ ხელოვანი homo labor-ის უშუალოდ მისი ღმერთი აპოლონია და არა დიდიწესის-პირაცისა მეორადი მნიშვნელისა ქმნის ხელოვანი საქმიანი მიგნება. რბწვე „სინტაქსისა“ წყადას კონსტრუქციას სვამს. ქაოხური თავისუფლების ადგილას — შემოქმედებითი დასაზღვრულობის საშეფოხს“. სადაც შელოდა: თავის ღიმილს აბრუნებს, პოეტიკა თავის საბოლოო საფუძველში „ონტოლოგიაა“

ორმაგი დამოკიდებულება  
თანამედროვეობასა და  
ლიტერატურულ თანამედროვეობასთან

ბოდლერის შემდეგ ლირიკის ტექნიკურ-ცივილიზატორული ხიხლვე „ტაცებს, ამ შემობრუნების თავისებურებაა ის, რომ იგი შეიძლება როგორც დადებითად, ისე უარყოფითად მიმდინარეობდეს. აპოლინერთან მანქანების უაღრესად რეალური სამყარო შერწყმულია აბსურდულის სტრუქტურულ ხილვებთან. მანქანა მაგიური ხდება: დროდადრო მან რელიგიური კურთხევა უნდა მიიღოს, მაგრამ ამ ცდას დისონანსი მოაქვს, აპოლინერის „აღკომლის“ ერთ დიდ შესავალ ლექსში „ზონა“ (1918) ნიველირებულია თვითმფრინავის სალონები და ეკლესიები, ქრისტე „პირველი მფრინავია“, რომელიც სიმაღლის რეკორდს აშუარებს, ამის ვარიანტია ვ. პრუვერის Le combat avec l'ange (Paroles-ში 1948 წ.). შერკინება ანგელოზთან კრივია რინგზე, მაგნიუმის სინათლეში, ძლიერი ადამიანი ეცემა ნახერხზე, როგორც ჩანს, ტექნიკა და დიდი ქალაქების მანის ცხოვრება იზიდავს და აწამებს ლირიკოსს: ესენი ახალი სტიმულებია, მაგრამ, ამავე დროს, ამას გაუკაცურების ახალი გამოცდილებაც მოაქვს, რადგან ლირიკაც ასევე ორგვარად რეაგირებს მასზე, ეს ძალზე ძნელად ასახსნელი ფენომენია. მთელ ლირიკას გასდევს ტკივილი იმ საუკუნის უთავისუფლებობისა, რომელიც დაუპირისპირებებს, საათებს, კოლექტიურ იძულებებს, ბოლო „შეორე ინდუსტრიულ რევოლუციას“ ადამიანი მინიმუმამდე დაუუვანია. მის მიერვე შექმნილი აპარატები, ძალაუფლების ქმნილებანი გვირგვინს ხდიან მას, კონსონური აფეთქების თეორია და მილიარდობით სინათლის წელიწადი მას სრულიად უმნიშვნელოს ხდის. უველაფერი ეს თანამედროვე პოეზიაში ხშირად არის ასახული, მაგრამ ამ გამოცდილებასა და თანამედროვე პოეზიის გარკვეულ ნიშან-თვისებებს შორის უთუოდ რაღაც კავ



შეიქმნა ირეალური გაჭრა, ნორმალურს დიდად ცდუნილი ფანტაზია, წინასწარგანზრახული იდუმალეობა. ენის სინამდვილისაგან გათიშვა. ეს უოველივე შეიძლება გატივით როგორც ცდა თანამედროვე სულისა ტექნიზებული. იმპერიალიზებული, კომერციზებული ეპოქის წილში შეინარჩუნოს თავისუფლება. ხოლო ქვეყნაერებას შემოუნახოს სასწაული, რომელიც სხვა რამეა. ვიდრე „მეცნიერების სასწაული“.

მაგრამ ასეთი ლირიკა იმ ეპოქის გავლენის კვალსაც ატარებს, რომელსაც თავის ექსტრემულ თავისუფლებას უპირისპირებს. მისი გულცივი საქმიანობა, მისი მიდრეკილება ექსპერიმენტისაადმი, მისი გულის სიბისტე და ამგვარი თვისებები უშუალოდ „დროის სულისკვეთების“ გამოძახილია. იგი ლამობს შექმნას „სინთეზური ლექსი“. სადაც ლირიკული პირველბატები — ვარსკვლავები, ზღვები, ქარი — ტექნიკის წარმოქმნებსა და მეცნიერების სპეციალურ ტერმინებთანაა შერეული. „შე ვხედავ მანქანის ზეთის სქელ ლაქას და დიდხანს, დიდხანს ვფიქრობ დედაჩემის სიხლზე“. — კეთილშობილთა კ. ტუვის ერთ ლექსში. იტალიელი კარდარელისათვის სიკვდილის მოლოდინი მგავს სადგურის ხაათის ქვეშ ლოდინს. როცა წამებს ითვლი, ელიოტისა და სენ-ჯონ პერსის პოეზიაში ასეთი განსჯითობა კვშმარიტ სიმღერამდე მადლდება. მაგრამ იხე, რომ დისონანსურ ხანიათს არ კარგავს, ერთია კიდევ გასათვალისწინებელი. ისევე, როგორც რემბო და მალარმე, დღევანდელი ლირიკაც ხშირად მისხუდა იმ წერტილამდე, სადაც საკუთარ თავს ხელუფს. აქნებ ეს ახალი ტენდენციის უველაზე მძაფრი ზეიშია, კერძოდ, იმის ანალოგიაა, რომ ადამიანი უველაფერს აკეთებს, რათა დედა მიწა პაერში ატუორცნოს.

მსგავსი გაორება ჩანს აგრეთვე ლიტერატურული მემკვიდრეობის, საერთოდ ისტორიის მიმართ დამოკიდებულებაში. ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტა აქ სრულიად დაუფარავი განზრახვაა. ისტორიულმა მეცნიერებამ, ნებისმიერი ლიტერატურის ადვილად ხელმისაწვდომობამ, მუზეუმებმა, რეპროდუცირებისა და ინტერპრეტირების დიდად განვითარებულმა მეთოდებმა უკვე მე-19 საუკუნეში იმდენად გაზარდა ისტორიული მემკვიდრეობის ხვედრითი წონა, რომ უკურეაქცია, ანტიპათია გამოიწვია უოველგვარი წარსული მემკვიდრეობის მიმართ, რაც უკვე კარგა ხანია შემზადებული იყო მუბანისტურ შეხედულებათა მსხვერვიტო, ანტიპათიას შეუძლია უველა სახე მიიღოს, დადლილობიდან სრულ უგულუბელო-

ფამდე. თვით შედარებით უფრო რომიერი შემოქმედისთვისაც კი კლასიკური ლიტერატურის განსენება ხურვილს ხადებდა, რადაც უნდა დახადომოდა. სხვაგვარად ვწერა. ვიდრე ძველები წერდნენ. კალერი მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილი და რჩობილი ტონით წერს: „სწავლედ ჩემთვის ტვიორთია, ზოგჯერ ვინატრებ ლატაკი და უნიჭო ვიუო განძად დახვავებულ ცოდნათა წინაშე. შე ღარბი ვარ, მაგრამ მეფე ვარ ჩემში მონიწადრე მაიმუნე ბინა და თუთიუშებისა“ (200, 1. გვ. 441).

რამდენადაც თანამედროვე ლირიკა სიმბოლური ასახვაა, მალარმედან მოყოლებული, ერთი ფაქტი შეორდება. ეს სიმბოლოები ჩვენთვის კარგად ცნობილ სიმბოლოთა ფართო წრიდან კი არ მოდის. არამედ ავტარკულია. ვალერი და გილიენი გამონაკლისებად გვევლინებიან, მაგრამ მათი სიმბოლოებიც მალარმეს იქით არ მიდის. მაშასადამე, უკვე თანამედროვე სტილის ტიპს განეკუთვნებიან და არა ტრადიციულს. როცა სენ-ჯონ პერსი სიმბოლურნიშნებად აქცევს ისეთ საგნებს, როგორცაა კირი, ქვიშა, წყალქვეშა კლდეები, ნაცარი, მათი გაგებისათვის ვერავითარი ლიტერატურული წვრთნა ვერ გვიშველის. მით უმეტეს, ამნიშნებს არავითარი კონკრეტული აზრის გამოხატვა არ ევალებათ. სრულიად საკმარისია, რომ ისინი სწრაფწარმავალი აზრის შთაგონების შესაძლებლობას იძლევიან. სიმბოლური მნიშვნელობები ავტორიდან ავტორამდე იცვლება მათი დასაბუთება კი, უმეტეს შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელია. რამდენად გავრცელდა ეს ავტარკული სიმბოლიკა, მაგალითად, მუსიკაშიც, ეს კარგად ჩანს მინდემიტის წინახიტუვაობაში, რომელიც თავის „მარიაშის ცხოვრებას“ (1948 წ.) წაუშმდვარა.

მაგრამ ტრადიციასთან კავშირის ამ აშკარა გაწყვეტას უპირისპირდება უველა ლიტერატურისა და რელიგიის მიმართ ცხოველი ინტერესი, აგრეთვე, ხურვილი ადამიანის ფსიქიკის სიღრმეში ჩაძირვისა, სადაც ერამანეის ხვედება ევროპა და აზია, მაგიური და მითიური პირველბატები. ამის მაგალითი უკვე რემბოსთან გვექონდა, ბეტრად აღრე, ვიდრე კ. ზიუნგი თავისი კოლექტიური არაცნობიერის და არქეტიპების საუოველთაოდ ცნობილ ფსიქოლოგიაზ ჩამოაყალიბებდა. თანამედროვე ლირიკა მდიდარია ისეთი ტექსტებით, რომლებშიც ერთად არის თავმოყრილი უნივერსალური პოეტური, მითოსური და არქაული მემკვიდრეობა. ასევე შეიძლება შეხვედეთ ფოლკლორულ მემკვიდრეობასაც. შუა საუკუნეების მასალასა და თქმულეებებს, რომლებმაც შეიძლება ბიბლი მიხსენს ისეთი მომაქადობებელი ნაწარმოების შექმნას, როგორცაა თუნდაც CI და



I. Goli-ების მიერ ფრანგულ ენაზელიც Fiorretti-ის გაგრძელება Nouvelles petites fleurs (1949 წ.), სენ-ჟონ პერსის პოეზია (შემოქმედება) ხავესა ძველი მხატვრობის, ანტიკური მიოტივისა და ეგზოტიკური საკულტოების გამოძახილით. ეზრა პაუნდი თავის ლექსებში ჩაურთავს პროვანსულ, ძველი-ტალიურ, ბერძნულ, ჩინურ პოეზიას, ელიოტის „უნაყოფო მიწა“ სამეცნიერო თხზულებიდან იღებს გრაფიკის ტექნიკების სიმბოლოებს, ასევე უპანიშადეზის და ბიბლიის ზოგიერთ მოტივს. მოპყავს ციტატების ნაწყვეტები ან გაბუნდოვანებული ციტატები რ. ვაგნერის, ბოდლერის, შექსპირის, ოვიდიუსის, დაბტის, ავგუსტინეს ნაწარმოებებიდან. ავტორი ცდილობს საკუთარ კომენტარში, სადაც ძნელი გახარჩევია სერიოზულობა და ირონია, საჭირო განმარტებები მოგვცეს, ამ შეთოდება სკოლა შექმნა, მაგალითად, რატალიელ მონტალესა და ესპანელ დიეგოს შემოქმედებაში.

მაგრამ მსგავსი მოვლენები აღარ მომდინარეობს ტრადიციასთან უშუალო კავშირიდან რომელიც წინასწარ გულისხმობს, რომ ადამიანი ერთიან და ჩაკეტილ ისტორიულ ეპოქაში თავს შინაურულად გრძნობს, ანუ თი გადმოცემები, მინიშნებები და ციტატები გახზარული წარსულის მოღანდებული ნამსხვრეტებია. შესაძლოა, ისინი სინთეზადაც იქნეს გაგებულნი. მაგრამ მათი მოქმედება მაინც მონტალე და კაოსია. ისინი, ისევე როგორც რანგნიველირებული ნივთიერი საშუაროს უსაზღვრო შემოტანა, განეკუთვნებიან ნებისმიერობის, დაუკავშირებლობის სტილს, უველოფრის უველოფერში გათქვეფრას, გვევლინებიან (და ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეზრა პაუნდთან) საშუალებებად პოეტური სუბიექტის თავისებურ კოლექტიურ სუბიექტად გადაქცევისათვის, რაც ნიღბების გამოგნებულ ცვლაშია, ან შეიძლება მომდინარეობდნენ, როგორც ეს სენ-ჟონ პერსთან ან ბენტანაა, განზრახვიდან — რაც შეიძლება შორიდან მოტანილი სიტყვებით შექმნან დიდი ლირიკული მიწშიადველობის მქონე ტონისა და სურათ-ბატის მაგია. ასეთ ტექსტებში ისტორიის ნაგლეტებს და ენობრივ ნიშნებს კვეთს სხვა ნიშნები, რომლებიც დროის სხვა განზომილებას განეკუთვნებიან. ან მათ მკიდროდ სვამენ თანამედროვე საწყობს ძირითად ტერმინთა გვერდით. „ცოცხლები ამოხეტქავს: უძველესი სფინქსები, ვიოლინოები და ბაბილონის კიშკარი, ქაზი რიო გრანდედან, სვინგი და ლოცვა...“ (ბენი). ასეთი სტრუქტურების უფლება იმ ლირიკას აქვს, რომელსაც შეუძლია უველოფერს გატყაის ფრთა, ვიდრე ამახ სიმღერით აკეთებს. მაგრამ საზღვრების მოშლასა და ურთიერთ-

დარღვევაში კვდება ისტორიაც თანამედროვე ლირიკა ისტორიულ სივრცეს ისევე უხამშობლოს ზღის, როგორც საგნობრივს. აქი დადგენა მის დახასიათებას ემსახურება, ეს არის განკითხვა და განაჩენი.



ეროვნული დემუშანიზაცია

1925 წელს გამოქვეყნდა ორტეგა-ი-გასერტის ნაშრომი „ხელოვნების დემუშანიზაციის შესახებ“. მას შემდეგ ეს სათაური ფორმულად იქცა იგი ნათელი მაგალითია იმისა, თუ თანამედროვე ხელოვნებისა და ლიტერატურის მკვლევარი როგორ არის იძულებული ნეგატიურ ცნებებს მიმართოს, ოღონდ არა უარყოფელ, არამედ აღმწერ საშუალებად, ორტეგას მსჯელობებს უკან, მართალია, დაუხამხელებლად, დგას კანტისა და შილერის ესთეტიკის ზოგიერთი დებულება, განსაკუთრებით კი, უშიწნო მშვენიერების მოძღვრება, შრომის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ჭეშმარიტი გრძნობა, რომელსაც ჩვენში რომელიმე ხელოვნების ნაწარმოები აღვიძებს, ხელს გვიშლის მისი ესთეტიკური დებულების აღქმაში, ორტეგა ამ მოსაზრებას ხელოვნების უოველ ეპოქაზე ავრცელებს და უკეთესად იმ სტილს მიიჩნევს, რომელიც ობიექტებს სახეს უცვლის. „სტილიზება ნიშნავს რეალურის დეფორმირებას, სტილიზაცია უკვე თავისთავად გულისხმობს დემუშანიზაციას“. ასე ვხვდებით იქაც დეფორმირების ცნებას, მოუხედავად იმისა, რომ ეს დებულება საუოველთაო ესთეტიკურ პრინციპს გულისხმობს და, ამდენად, გარკვეულ ფარგლებში ხწორიცაა, იგი დეფორმაციისა და დემუშანიზაციის შემოტანით სპეციფიკურ თანამედროვე დებულებად იქცა, სტილის ასეთი განსაზღვრა ნეგატიურის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან შემჩნეული ფაქტების გამო, ორტეგას გამოხატვამები მთელ თანამედროვე ხელოვნებაზე ავრცელდა, იგი მის არსებით ნიშნებს ხედავს ორგანულ წარმონაქმნთა გაუფასურებაში, ასევე, იმ შეხედულებაში, რომ ხელოვნების ნაწარმოებს არავითარი სხვა მნიშვნელობა არ აქვს, გარდა იმისა, რომელიც მისი სტილის მადეფორმირებულ ძალებშია მოქცეული, აგრეთვე, თვითორიონიაში, რომელიც ძველი ხელოვნების პათეტოკურობის წინააღმდეგ მიმართული რეაქციაა. მაგრამ უველაზე არსებით ნიშნად მაინც დემუშანიზაცია რჩება, იგი ხორციელდება ზუნებრივი გრძნობების უკუგდებით, ადამიანსა და ნივთს შორის უწინდელი იერარქიის დარღვევით, რომლის სულ ქვედა საფეხურზეც ახლა ადამიანი დგას, ასევე, ადამიანის ისეთი უველთა-



ხედვით ასახვას, რომ იგი რაც შეიძლება ნაკლებად ზგავდეს ადამიანს. „თანამედროვე ხელოვნების ესთეტიკური ტემბოა სწორედ ადამიანურზე ამ ტრიუმფიდან მოდის“. ამ ნაშრომის სრული თანხმობა პოეტურ პროგრამებსა და პრაქტიკასთან, ბოდლერიდან მოყოლებული, სრულიად ცხადია.

დემუშანიზაციის ცნებით შეიძლება თანამედროვე ლირიკის ბევრი თავისებურების აღწერა. მისი სუბიექტი ანონიმური, უთვისებო განწყობილებია, რომელსაც თუკი სირბილზე შეეპარა. გასამაგრებელი საშუალებებით გაახისტებენ და გააუცხოებენ. მუშახური სუბიექტისაგან განსხვავებულობა კარგად მოჩანს რამონ ბიშენესის მაგალითზე. პირველი მხოფლიო იმის წინ იგი წერს ძალზე სუბიექტურად შეფერილ პოეზიას. სადაც ხევდა, სიჭმარი, ცრემლები და რჩეული ბადებია ერთმანეთში გადაწნული. ოციანი წლებიდან იგი უფრო მკაცრდება. ერთ ლექსში თავის ხულს „ვერცხლის სვეტს“ უწოდებს. ლამაზი შეტაფორაა. მაგრამ იგი — ისევე როგორც მთელი ლექსი — მიუთითებს სულზე. რომელმაც აღარაფერი იცის ხევდის შესახებ და ზედასა და ქვედას შორის ბოლომდე გაუნელებელ დაძაბულობად ქცევდა. უნგარეთის ლირიკა ისეთი პოეტიკიდან მიტყვევლებს. რომელმაც არ იცის არც ხიხარული და არც ტკივილი, არამედ მხოლოდ ნეატრალური კვრეტაა. ასე მაგალითად, ცისკარზე დაწერილ ლექსში იგი გვერდს უვლის იმ აღტაცებას, რომელიც ტრადიციისამებრ ამ თემაზე დაწერილ ლექსს უნდა მქონოდა. ლექსის დინამიკა მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ენობრივი და ირეალურ ხატთა დინამიკაა. მათ არავითარი „ხულიერი“ ღირებულება არ გააჩნიათ. პოეზიაში ინტიმური გრძნობის გაჩენის შიშმა პოეზიის საბელიც კი ხაეკვო გახდა. ამიტომაც ჩნდება სათაურები, როგორიცაა „არა — ლექსი“ მ. პიშეტისა (1917), ბატაის „წილდი პოეზიისადმი“ და ფრ. პონგი „გზავნილებანი“ (1918 წ.). თვით არისტოკრატი ვალერიც გახაზავს, რომ შემოქმედებით მუშაობას, მეცნიერულის შესავსად, „რალაც არადამიანური“ აქვს. თავის ფორმულას ლექსის, როგორც „ინტელექტის დღენახწაულის“ შესახებ დაურთავს, რომ ლექსი იმის ხურათს შეიცავს, „რანიც ჩვეულებრივ არა ვართ“. რადგან ლექსში დუშს ადამიანური „უოველდღიურობანი“ შეადარეთ, თუ რა ძალით მებრველებენ ეს უოველდღიურობანი ვერლენის პოეზიაში.

უადამიანო და „მე“-სგან დაკლილი ლირიკის მაგალითია გარსია ლორკას პატარა ლექსი „უვირილი“ (1921 წ.), „უვირილის ელიქსმა მთიდან მთა გადაიარა“. აქ მთავარია არც სივრცე და არც უვირილი, არამედ ელიქსი. გერმეტრიული ფი-

გურა, იგი მოქმედების საწყისი სუბიექტია. მხოლოდ მისი მეშვეობით ჩნდება, შერადი გასაგნობრივების ვწით, სივრცე, მთები, ზეთისხილის ხეები, ღამე. ელიქსი ნახევრადობიექტურად, ნახევრადმეტაფორულად, შავ ცისარტყელად გადაიქცევა. „შეწვეტიკე ვიოლინოს ხემად, „რომლის შეხებაც კარის გრძელ სიშებს ათრთოლებს“. ვისგან მოდის ეს უვირილი, გაუგებარი რჩება. იგი მხოლოდ მოცემულია ადამიანური გამოვლენა მოწყვეტილია ადამიანს და, ხაერთოდ, ადამიანისგან მოდის კია? მართალია, ბოლოს ადამიანებზე არის ლაქარაკი, რომლებმაც, როგორც ჩანს, უვირილი გაიგონეს: „ადამიანებმა გამოქვაბულებში გამოკიდეს თავიანთი ხანათურები“. მაგრამ ეს ლექსს ველარ სძენს მუშანურობას. მით უმეტეს, რომ სიტყვები ფრჩხილებშია მოქცეული. ლექსი თითქოს დიდი სიშორიდან უსახოდ დასცქერის ახვეუ უსახოო ადამიანებს. „უვირილი“ ენად ქცეული ანონიმურობაა, მისი საგანი მუდერი ხაზია, რომელიც დღეს, ხვალ, გუშინ გადაუვლის მთებს, ზეთისხილის ხეებს, კარს, მაგრამ არავითარი წარმომავლობა არ აქვს ადამიანში. გარსია ლორკა დიდოსტატია თანამედროვე პოეზიის ერთგულ საუფლოში, ანონიმურის საუფლოში.

ზოგჯერ ჩვეულებრივი, უფრო ადამიანური თემატიკ ვაზნდება. ასე, მაგ., სიუვარულის გამო მწუხარების თემა. თუ როგორი მოდერნიზებულია იგი, კარგად მოჩანს რ. ალბერტის ლექსში „დაკრძალვა დახველეთის ქარში“, (1928 წ.). მთხრობელი კი არ ტირის, არამედ „დალაქები ტირიან უშენთშებოდ“. ბარი მწუხარება, რადგან მისს ა აღარ არის ჩქ. „ცა აღარ გვიგზავნის შენს რადიოგამოსვლებს“. გემების, აშფიბიების, დაკეტილი ბანკების, კაზინოების, საკონსულოების სწრაფი მონაცვლეობა დასასრულს ენა იგუდება: „მზე დენის დარტყმისგან მკვდარი, მთვარე დახახშირებული“. არაფერია აქ პიროვნული ტკივილისა, იგი წმინდად ხაგნებშია, ეს ხაგნები კი გროტესკულის, ბანალურის, ცივილიზატორულის და კონსიუტრის ნარევს წარმოადგენს. ტკივილი მათი მეშვეობით ხენტიმენტალობას მოკლებულ ფაქტად ქვავედება.

არჩან ლირიკოსები, რომლებიც ხევდის წინააღმდეგ ილაშქრებენ, მაგრამ ამით ძველი პოეზიის ადამიანური ხიხარული როდი დაიბრუნეს. „შენს ხაწოლს ნუ გადაუხსნი მწუხარებას“. — კვითხულობთ ხენ-უნ კერხთან, მაგრამ მისი ტექსტები მოძრობენ შინაგანი ხულიერი სამუაროს განაპირა ზონებში, რომელთა წვდომა და დაქერა თითქმის შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ ისინი გარე სამუაროს ადგილს და დროს სრულიად მოწყვეტილია და, ამდენად, მოკლებულია ორიენტირების შესაძლებლობებს.



საუ. იმის მოწოდება სიკაცობის ხალხიანობისადმი წოდებულად აკრული და მალმომარეობითა. მის პოეზიას მკითხველი უცნაო ხულიურ ლანდშაფტში შეტყავს. რასაც არ შეუძლია „ბინარული“ უპასუხობს. იმისი თვალისმომჭრელი ხედვითობაა. გავიხსენოთ კიდევ ერთხელ ალბერტი. მის პოეტურ კრებულში *A la pin-lura* (1945) არის მკაფიო მიძღვნილი ხალხიანობის აღმსიშველი სიმბოლური ფერისადმი — თეთრისადმი. ქაოსური სურათები ერთმანეთში არეული და ამ სითყუარესთან დაკავშირებული მაგრამ ეს სოციალურ-სივრცითი ბინთურის ხასიათისაა. იგი ენის დატვირთული მახილია. სინათლით გაბრუნებული. მაგრამ მადეფორმირებული ფანტაზიის ქმნილებაა. გილიენს უკვებდნენ სწორედ ტრაგიკულობისა და ტანჯვის არქონას. „ტანჯვა უმსგავსობა“ ამ პოეზიის მიხედვით (მხ. გვ. 12). მაგრამ ამის გამო ეს პოეზია საქლებს როდია დეპუზანიზებული. იგი ადამიანებსა და საგნებს აბსტრაქტულ კატეგორიებად გარდაქმნის. უპიროვნოდ იშორება იგი სივრცისა და სინათლის წმინდა ფიგურებში. მისი ინტელექტუალური ბედნიერება ვერ აწივს უფრო ღრმად გამქდარ დისონანსს. აზრი არა აქვს. თანამედროვე ლირიკაში ეძიოს. სად გვამცნობს იგი სიბარულს და სად მწუხარებას. ასეთი შინაარსები მართლაც ბშირია. იმისი ზევით იტრებიან. ან ისეთ ზონაში უყუიქცევიან. სადაც სული უფრო ვრცელია. უფრო ცივია და ბევრად უფრო გაბედულიცაა. ვიდრე მგრძობიარე ადამიანი.

მრავალი ვარიანტიდან დეპუზანიზაციის ერთ-ერთი ვარიანტია ისეთი ლირიკაც. რომლის შინაარსსაც მხოლოდ საგნები შეადგენს. ამასთან დაძახისათებელია არა მარტო უმნიშვნელო საგნთა არჩევანი. არამედ უოველგვარი კვალიფიცირების უარყოფა. ასეთი ლირიკა იმის პირდაპირ გაგრძელებად გვევლინება. რამაც ფლოპერის რომანში ბოვა დასაწყისი. შავალითისათვის ფრ. პონგს დავასახებლებთ. ამბობენ. რომ მას გავგავებოხა. აუ რა შეუძლია კიდევ პოეზიას. მაშინაჟ კი. როდესაც მისი აღარ ჯერად (პიკონი). ფორმისაგან თავისუფალი მისი პოეზიის საგნებს ქვეითა პური, კარი, ნიფრა, კენკი, სანთელი, სიგარეტი. იმისი ისეთი ობიექტურობითაჟ „დაკეროლი“. რომ „ღირსკულ ფენომენოლოგიაზეც კი ლაპარაკობენ“ (სარტრი). აღქმელო „მე“ ფიქტიურია. იგი მხოლოდ ენის ბქონა უველაფერი ეს. რასაკვირველია. სრულიად სხვაგვარია. მაგრამ ისე ძლიერ ახვეებს მათ. ან ბუნებია გაბევებულებს ისეთ უცნაურ სიკაცობებს შთაბერავს. რომ ხიზმა-

რეული არაბეალობა ჩნდება და უველაფერი ეს ადამიანის გარეშე.

სწორედ ეს. თითქოსდა ობიექტური პოეზია კიდევ ერთხელ მიგვახიშნებს იმაზე. რომ ადამიანი მთელ თანამედროვე ლირიკაში სრულიად სხვაგვარადაა წარმოდგენილი. როგორც კრეაციული შინაარსებისა და ხულიერი რეაქციების დეპუზანიზაციის ახდენს შეუზღუდავი ძალაუფლება. რომელსაც მთბზუელი ინტელექტი თავის თავს ანიჭებს. პოეზიაშიც ადამიანი საქუთარი თავის დიქტატორად იქცა. იგი საქუთარ ბუნებრივობას სპობს. აძევებს საქუთარ თავს სამუაროდან. დასასრულ ამ სამუაროსაც აძევებს. რათა საქუთარი თავისუფლება დაიკმაყოფილოს. ეს დეპუზანიზაციის ხაოცარი პარადოქსიაა.

შიშის და განმარტობა

აუ ლირიკაში ხაერთოდ კიდევ შეიძლება ვილაპარაკოთ რამდენადმე გახაგებ შინაარსზე. იმისი უპირატესად განმარტობასა და შიშს გამოხატავენ. მუშილი სიკვდილის მერე დაბეჭდილ ერთ-ერთ თბზულებაში პოეტს განმარტავს. „როგორც ადამიანს, რომელმაც უველაზე მძაფრად შეიგნო „მე“ უხასოო მარტოსულობა სამუარობა და ადამიანთა შორის“. ეს აზრი უკვე რომანტიზში გვაქვს მოცემული. მაგრამ იგი მას გასცდა და თანამედროვე აზრად იქცა იხვევ. როგორც აზრი „მოკვეთილი პოეტის“ შესახებ. გრიმანებით დამანჭული საბე შეიძინა მან აპოლინერის მოთბრობაში *Le poète assassiné* (1916 წ.), სადაც ალოგიკურ-აბსურდული მოქმედება გადადის მკვლელობაში. რომელსაც ეველა ქვეუანა ეველა პოეტის მიმართ ხჩადის. მოკლულ გმირს მოქანდაკე უდგამს „ძეგლს არაფრისაგან“. თრაკლის გვიანდელ ლექსებში ადამიანს მხოლოდ საქუთარ თავთანა აქვს ურთიერობა. სენ-ჟონ პერსმა თავის ერთ დიდი მოკულობის ლექსს „გაძევება“ უწოდა (1922). ხოლო მის უცხოობისკენ მზმობელ ენას — „გაძევების წმინდა ენა“. ამბობენ. თითქოს ჩვენ „შიშის საუკუნეში“ ვცხოვრობთ. ინგლისელ ვ. პ. ოდენს აქვს ლექსი ასეთი სათაურით (1948 წ.). შიშის ამ კოველმბრივ პროკლამირებაში დიდი წვლილია მოდური გატაცებისა. შიში უცილოდ თან ახლავს „დროსთან ახლოს მდგომ“ ახალგაზრდების პოეზიას. იხვევ. როგორც უწინ — მთვარე და სევდა. მაგრამ მხოლოდ საუკეთესო და უმაჟაკურეს ტექსტებში მოჩანს ამ მთავარი გამოცდილების ნაღდი ხაზე.

გოეთეს ლექსში „ზღვის სიმშვიდე“ ლაპარაკია თვალშეუდგამ. გაქვავებულ სიშორეთა



შემორკველ მომწესხველობაზე მაგრამ აქვეა სხვა ლექსიც: — „ხედნიერი მგზავრობა“. „შემბოჭველი შიში ქრება“. მგზავე იკრებს მხნეობას და აი. უკვე შორს გამოჩნდა მხნეული მიწა. ასეთი პოეზია იტანდა შიშსა და შეძრწუნებას მხოლოდ როგორც გარდასვლას სინათლისა და იმედისკენ. თანამედროვე პოეზიაში ძნელად იპოვიო ისეთ ტექსტს, რომელიც შიშით იწუებოდეს და შერე მისგან თავს იხსნიდეს. გოცონის ლექსთან მოტივური მსგავსება აქვს რამონ ხიმენესის ლექსს *Mares: მგზავრობა* ორჩხომელით. ორჩხომელი რაღაცას ექაბება. მაგრამ ამას არაფერი მოქვევება. ირგვლივ მხოლოდ ტალღები და სიჩუმეა და რაღაც „ახალი“. რომლისთვისაც არ მოიძებნება რაიმე სიტყვა. გზა აქ გოცონისგან განსხვავებით. შებრუნებულია იმედიდან სრულ უსახოობამდე. გარსია ღორკას ზემოთ მოყვანილ ლექსში „ვერჩილს“ მოხდევს „სიჩუმე“. მაგრამ იგი ვერ ახედებს ადამიანისგან მოწყვეტილი უვირილის შემზარაობას, პირიქით, ახალს წარმოშობს, ამქრად, დუმილის შემზარაობას, რომელსაც „ველები და ექოები გადასერავენ...“ მისი დუმილი ხშირად გაუჩრებული შიშია. ასე მაგ., „დუმილის ელფიცია“. პოეტი მას „მარმონისი აჩრდილს, ზეილის ბოლს“ უწოდებს. რადგან იგი შეიცავს „წველოურწველს ვნებებს, სამარადისოდ გამქრალ უვირილთა ექოს“. შემდეგ იგი ასევე წერს რაღაც შემოშვებ მის გვიანდელ ლექსებს შორის არის *Panorama ciejo de Nueva York* თავისუფალი რიტმისა და შინაარსის მქონე ლექსები. რომლებსაც ძალზე ცოტა ხაერათს აქვს სათაურთან. სად არის დიდი აბსოლუტური ტკივილი? უზარმაზარ ქალაქებში, თავიანთი ხისხლითა და უბედურებით? არა, არც „დედაბინაზე მარად იმავე კიშკრით, რითაც ნაუფთა სიწითლესი შევდივართ“; ხმაშიც არ არის ტკივილი. მხოლოდ კბილებია, „მაგრამ კბილები, რომელთა ხვედრი დუმილია შავ მოლზე“. ეს ის შიშია, რომელიც ხაუთარ თავს აშინებს, რომ შემოაკლდება ტკივილის საზრდო, რომელიც ხაუთარია. ხვდაგვარად მეტყველებს შიში ელუარის ლექსში *Le mal* იგი არაფერს ამბობს შიშზე. მაგრამ ტექსტი მიპროზურად შემოქმედებს მკითხველზე მრავალქერ გამეორებული „il y eut“-ი (ეს ტექნიკა რემბოდან მოდის), ლიტანიის მსგავსი ამ ერთი წინადადებით: „და იყო კარი, როგორც ბერბი... უკაცრიელობა უშიწრო, დამსხვრეული მინები, ქარის დრამატული ხორცი აგლიჯებოდა მათზე... იყო კაობების საზღვრები... ერთ მიტოვებულ ოთახში, ერთ დაქცეულ ოთახში, ოთახში ცარიელში“. სწრაფად მონაცვლე სრულიად დაუკავშირებელ ხაგნებს არ სურთ მათზე შეჩერდეს თვალი. ისი-

ნი მხოლოდ უარყოფის, უარისქმის, დამსხვრევის და დახვრების ნიშნებია. მთლიანობაში კი — ებაში არგამობატული შიშია რომელიც ურველივე ამას უკვრეტს უფრო ხნორად — წარმოქმნის.

ჩვეულებრივი სიტუაციები შეიძლება ვთქვათ, რომ ღარიბული კონტაქტი პოეზია აქვს. იაკობ ზურკმარდტი მას უწოდებდა პოეზიის ისტორიის „საოცარ ხანაზაობას“. პოეზია ორხავე შემთხვევაში გულისხმობს გრძნობად აღთქმულის სულიერ ინტიმურობას. გინდ მწირი იუოს იგა და გინდ საოცრებით ხავსე. ეს კი თავის მხრივ, კონტაქტს ამყარებს ადამიანსა და სამყაროს შორის. დღეს პოეზიას ხვდა ხაზე აქვს. იგი შეგნებულად აუცხოებს ინტიმურს, ახლოს მყოფი სიშორეში გადააქვს. იგი თითქოს იძულებულია, დაარღვიოს კონტაქტი ადამიანსა და სამყაროს, ადამიანსა და ადამიანს შორის. ფლობერის გვიანდელ რომანებში კონტაქტის დარღვევა შინაგანი და გარეგანი სტილის კანონად იქცა. საგნები ადამიანის მიმართ ხაპირისპირო პოზიციას იკაეებენ. თუ ადამიანი იტანება, საგნები ბრწყინავენ და უვავიან; თუ ადამიანი სატრფოსთან მიდის, მაშინ მას მთელ გზაზე ქალაქის გარეუბნის უნუგეშო სახლები აცილებენ; მთავარი სიტუაცია ამ რომანებისა ადამიანთა ურთიერთაცდენაა როგორც სივრცობრივად ისე სულიერად. და რომ ვერც ერთი მიწანს ვერ აღწევს პარატაქტიური კავშირებით ღარიბი წინადადებები სტილისტურად არუკლავენ აგრეგატში მოქმედების გაშლას, რომლის ცალკეული პროცესებიც კაუზალურად ძლივსა და გამომდინარეობენ ერთიმეორისაგან. თანამედროვე რომანებში კონტაქტის დარღვეულობა კიდევ უფრო გაძლიერდა. გავისხენოთ კამიუ და ჰემინგუეი. ოციან წლებში ბრენტმა თავისი პოეზიის თეორიის ამოხავალ ცნებად „გაუცხოება“ აქცია. მხატვრული სიტუაციის ოსტატებს ურჩევდა, ეს გაუცხოება შეექმნათ მოქმედებით. ამოღინერი სიცოცხლის ბოლოს ლაპარაკობდა „უცხო სფეროებზე“. ხაითენაც პოეზია იკრება. მაქს ჟაკობის ლექსში *Jardin mystérieux* (1928) ცარიელი ლოდინი და მიუურადებოა; მაგრამ ის, რაც გვეხმის — აფორიაქებული გარესამყაროს ვაწუვეტილი ხმები — ამ ლოდინს ვერ აქმაუოფილებს; იგი როგორღაც ლექსის მიღმარჩება და მარადიული ლოდინია რაღაცისა, რომელიც არასოდეს მოვა.

მუშილი ზემოთ მოყვანილ წინადადებაში პოეტის შეხაბებ ასე განაგრძობს მსჯელობას: „პოეტი თვით მეგობრობასა და სიუვარულშიც კი გრძნობს ანტიპათიის ჩრდილს, უოველ არსებას რომ მეორისაგან აშორებს“. ის, რომ ადამიანური სიახლოვე ფაქტიურად სიშორეა, დღე-



ვანდელი ლირიკის გატრელებული თემაა. უბ-  
გარეთის „სიმღერა“ გადადის სენტამენტალო-  
ბან მოკლებულ მწუხარებაში. რომ სატრფო  
„შორსაა, როგორც სარკეში“ და რომ ხიუვა-  
რული შინაგანი მარტოხელობის „უძირო სა-  
ბარეს“ აღაჩენს. გარსია ლორკასთან უკითხუ-  
ლობით: „რა შორსა ვარ, როცა შენთან ვარ, და  
რა ახლოს, როცა შორსა ხარ!“ კროლოვის ერთ  
სატრფიანო ლექსში (1983 წ.) ასეთი სტრიქო-  
ნებია: „გაივინ კი ჩემს ხმას, მთვარის  
მწარე ბადაბის სახის უკან, მთვარისა, რომე-  
ლიც ირდევია? და ღამე იფშვინება სოდასავით,  
შავად და ღურჯად“.. მკაცრ სურათებში, ხგრე-  
ვასა და მხხვრევაში, სიმბოლურად გამოხატულია  
გულით სახურველი სიახლოვის შეუძლებლობა.  
მაგრამ ასევე, ხსნაც კრეაციული ენის შეშვეო-  
ბით — ერთადერთი ხსნა.

თვით გარდაცვლილთა ბუნებრივი არყოფნა  
აბსოლუტურ სიშორედ იქცევა. განთქმულია  
გარსია ლორკას ლექსები, რომლებიც ხართან  
ორთაბრძოლაში დადუპულ ტორეადორს ხანჩებ  
მეზიანს (1983) მიუძღვნა. ბოლო ლექსს მკვია  
„გარდასული ხული“. აქ მკვდარზე არცაა ღაპა-  
რაკი, მხოლოდ იმაზე, რომ მას აღარავინ იც-  
ნობს. აღარც ხარი და აღარც ცხენები, აღარც  
მისი საბლის ჭიანჭველები, აღარც ბავშვი და  
სალამო, აღარც ქვა, რომელიც გულზე ადევს,  
იგი ასე შორსაა, რომ გახსენებაც ვერ მისწვდე-  
ბა. „მე კი გიმღერი შენ“ — მაგრამ ესეც რომ  
არ გამოდის? მიუწვდომელი მიცვალებულის წი-  
ნაზე მომღერალიც მარტოვდება. მხოლოდ სეფ-  
დიან ხიოზე თუ შეუძლია იმღეროს, რო-  
მელიც ზეთისხილის ზეებს არხევს.

1984 წელს გამოვიდა რ. ალბერტის ლექ-  
სების კრებული „ანგელოზთა შესახებ“. ისევე,  
როგორც ჩემბოსთან, ამ ანგელოზებსაც არა  
აქვთ კრიტიკიანული მნიშვნელობა. ისინი სიმ-  
ბოლო ნაშთებია რადიც ზეზიწიერისა. მარტო-  
ხელის შეთხზული არხებებია და „მუნჯებია  
მდინარეებსა და ზღვებზევით“. მათსა და ადა-  
მიანს შორის დრამა თამაშდება. რომელიც შეი-  
რდება სრული უკონტაქტობით დამთავრდეს  
„ადამიანში იცის, რომ ანგელოზი აქაა, იგიც  
ვერ ბედავს მას, ვერც ქარი და ვერც მინები.  
მაგრამ ანგელოზიც ვერ ბედავს ადამიანს. არ  
იცნობს ქალაქებს, როცა ჩაივლის, უთვალთა,  
უჩრდილო, თმაში დუბილს იწნავს, „მიუსაფარი,  
ნესტიანი სორთა, გამშრალი კაა“. მკვდარია  
იგი ჩვენ შორის, მან დაკარგა ქალაქი და ქა-  
ლაქმა დაკარგა იგი. ამ ლექსების ძირითადი სიმ-  
ბოლიკა (მას ცოტა გადაკარბებით, სიურრეა-  
ლისტური უწოდებს) საკმაოდ ცხადია. რარიგ  
ძნელი განხამარტავიც არ უნდა იყოს მისი ცალ-

კუდი სტრიქონები. ანგელოზებს ერთ დროს  
ადამიანებთან მომქონდათ სინათლე და ღვთის  
წყალობა, და მაშინაც, როცა დღერთი შურისმა-  
ძიებლად გზავნიდა მათ დედამიწაზე, კვლავ  
ადამიანთან იგზავნებოდნენ. აქ კი ისინი აღარ  
იცნობენ ადამიანს, გული მონსტრუტუტუტუტუტუტ  
ისე ძალიან, რომ ადამიანი ხანგაწმინტუტუტუტ  
ხინჯისა და დრომოკმულის სურათ-ბატებს ქმნის.

ფ. კაფკას ერთ პარაბოლაში „შეშობელი  
სოფელი“ მოხუცი ამბობს: „არ მესმის, რო-  
გორ შეუძლია ახალგაზრდა კაცს თავს იდოს,  
გადაწვიტოს, შეშობელ სოფელში წავიდეს  
ცხენით, როგორ არ ეშინია, ხომ უნდა იცოდეს,  
რომ მშვიდი, დღეგრძელი სიცოცხლის მთელი  
დროც კი არ ეყოფა ამისთვის“. ეს პარაბოლა  
თანამედროვე პოეზიის მოავარ სიტუაციას  
გამოხატავს — ვერმისვლა თვით ახლო მიზან-  
თანაც კი, ამის ლირიკულ მაგალითად გარსია  
ლორკას „მხედრის სიმღერას“ დავსახებლებთ.  
მხედარმა კარგად იცის გზა თავისი მიზნისკენ,  
ქალაქ კორდოვასკენ, მაგრამ ისიც იცის, რომ  
იქ ვერასოდეს მივა: სიკვდილი მიშტერებია  
კორდოვას კოშკებიდან; იგი შინ კი არ მივა,  
არამედ — სიკვდილთან, ტრიალ, ქარიან ველზე,  
თანამედროვე პოეზიის პოზიციის გამოხატვე-  
თად ისევე წარსულს მივმართოთ. ჯერ გავიხსე-  
ნოთ დი ბელაის *Heureux qui comme Ulysse*  
*შე-III* საუკუნიდან. რომში მყოფ პოეტს ენატრე-  
ბა თავისი შორეული სოფელი ლუარას პირას,  
მშობლიური სურათები წარმოუდგება თვალწინ  
მონატრებულს: თავისი სახლის მიდამოები, ბუბ-  
რის კვამლი, სახურავის შიფერი, ცბადად ცო-  
ცხლდება შორეულის წარმოდგენა მის ხულში,  
ინტიმურ სიმშვიდეს აფრქვევს, თუმცა შორსაა  
მისგან. მიზეზი მისი ასე შორსმყოფობისა ადა-  
მიანთა ჩვეული ცხოვრებისეული სიტუაციაა,  
პროფესიული საქმიანობა აიძულებს უცხოო-  
ბაში იყოს, ახლა გავიხსენოთ გოეტის სიკვდი-  
ლის შემდეგ დაბეჭდილი ერთი ლექსი „ალ-  
მონავლური დივანიდან“. იგი იწუნება სიტუებით:  
„გამიშვიტ, ვიტრო“.. აქაც პოეტი დაშორებუ-  
ლია თავის მიზანს, იგი ღამეს უკიდევანო უდა-  
ხნოში ატარებს, წარმოიდგენს იმ მანძილს, რო-  
მელიც მას ზულეიკას აშორებს და ტირის,  
ორივე ლექსს ის აქვს საერთო, რომ ადამიანი  
თავის შორეულ მიზანს იგონებს, რომელიც  
თავისკენ იზიდავს. მაგრამ სივრცობრივად და-  
შორებულნი მისთვის არ არის შორი, იგი ფლობს  
მას, როგორც თავისი ნატურის ხაგანს, ახლობე-  
ლი რჩება მისთვის და მომავალში კვლავ მი-  
ხაწვდომი, დი ბელაის ენატრება სამშობლო,  
კოეფე ტირის „გზის გამგრძელებელი, გულის  
გასახეტქი მოსახვევების“ გამო, ხოლო ორივე  
ტიკვილი ნუგეშის მომცემია საბოლოოდ, ნუ-



გეზის მომდევნო ასევე ანტიკურ გმირთა გაბ-  
სენებაც ერთი იგონებს ოდისევსსა და ააზონს.  
თუშეცა სოტა შურითაც, რომ კერას დაუბრუნ-  
დნენ. მაგრამ ეს შურით შეფერილი მოგონებაც  
პუშკინის გრძნობის ფარგლებში რჩება. მეორე  
ფიქრობს აქილევსზე, ქსერქსეზე, ალექსანდრე-  
ზე და არ რცხვენია თავისი ცრემლებისა, რად-  
გან ამ დიდი ადამიანებითვისაც არ იყო უცხო  
ცრემლი.

ახლა დავუბრუნდეთ გარსია ლორკას. კორ-  
დოვა დახაწყისშივე „შორია“, ამ სიშორეს მხო-  
ლოდ სივრცობრივი მნიშვნელობა როდი აქვს.  
მხედარი უკვე ხედავს ქალაქს. მიუხედავად  
იშისა, რომ სივრცობრივად უფრო ახლოს  
არის, ვიდრე შორს, იგი აბსოლუტურ სიშორე-  
შია უკუქცეული. იდუმალმა ძალამ, რომლის  
შემცვლელად სიკვდილი გვევლინება, იგი მიუ-  
ღწერელი გახადა. ასევე მოკლე ხავალი უსას-  
რულობად და მოძავედინებლად აქცია. არავითარ  
ხამშობლოს მონატრება და ცრემლები, ე. ი.  
არავითარი ცხადი განცდები არ გვაძლევენ პა-  
სუხს. სული უკონტურო განწყობილებაში  
დაუუდებულა. რამდენიმე მოკლე შეძახილია  
ცხენისადმი, ვზისადმი, სიკვდილისადმი, ეს არის  
და ეს. ამას ემატება უზმნო ელიქსური წინადა-  
დებები, რომლებიც ქმნიან ენით ხატს უცხოო-  
ბის უზმოდ მიღებისათვის. ღრმა განხვავება  
აქვარა. იქ, კლასიკოსებთან, სივრცობრივად  
შორსმყოფი მიზანიც სრულიად ახლოა.

თანამედროვეებთან სწორედ სივრცობრივი  
აბლომყოფობა იქცევა წინაგან სიშორედ. გარ-  
სია ლორკას „მხედრის სიმღერა“ არის შინ და-  
ბრუნების შეუძლებლობის სიმღერა, რადგან  
უცხო გრძნეულებამ ეს ახლო „შინ“ უცხოდ  
აქცია.

ბუნდოვანება, „პერმეტივიზმი“,  
უნებარეობა

თანამედროვე ლირიკა ენას პარადოქსულ  
ამოცანას აკისრებს: აზრი ერთდროულად თქვას.  
მაგრამ კიდევ დაშალოს. ბუნდოვანება ხაყო-  
ველთაო ესთეტიკურ პრინციპად იქცა. სწო-  
რედ იგი განახვავებს ლექსს ენის ჩვეული  
ხაკომუნიაციო ფუნქციისაგან. რათა ლექსი სი-  
ცხადეს დააშოროს, სადაც ის თავის თავს უფრო  
სცილდება, ვიდრე უახლოვდება. ზოგჯერ მო-  
გჩვენებს, რომ თანამედროვე შემოქმედება  
ინტუიციისა და ბრმა ექსპერიმენტების აღნუსხვა  
იყოს, რომელიც მერმინისათვის შემონახუ-  
ლი, რომელიც ბიძგს მისცემს უფრო ცხადად  
ინტუიციასა და აბლიან ექსპერიმენტებს. ყველ-  
გან მხოლოდ რადიკის შეშინებაა, რომლის გა-  
მოუყენებაც ამჟამად შეუძლებელია. რეზობსა  
და მაღარმეს შემდეგ კოეზიის შესაძლებელი

ადრესატი სრულიად გაურკვეველი მომავალია.  
მართალია, ყოველთვის იუვენენ კოეტები, რომ-  
ლებიც საკუთარ თავს წინასწარმეტყველურ მიზ-  
ნებს მიაწერდნენ და ამაზე აბსოლუტული ბუნ-  
დოვანებით დაპარაკობდნენ. მაგრამ თანამედ-  
როვე წინასწარმეტყველებას უნდა ვხედავთ. მისი  
ბუნდოვანი კოეზია მოუხვეწრად ბრუნავს დაუ-  
ფიქსირებლად შესაძლებლობათა გარშემო. ეს  
ბუნდოვანება დევს როგორც წინაარსებში, ისე  
სტილისტურ ხაშუალებებში. ლექსში დაპარაკია  
მოქმედებებზე, ისეთ მოვლენებზე, არსებებზე,  
ან საგნებზე, რომელთა მიზეზის, ადგილის,  
დროის შესახებ მკითხველი არ არის ინფორმი-  
რებული და ვერც შემდეგში იქნება. ნათქვამი  
არ მთავრდება, არამედ წუდება. წინაარსს უმე-  
ტესად შეადგენს ენის ცვალებადი კოეციები  
ისინი ხან მკვეთრია, ხან სულმყოფელი. ხა-  
ნაც რბილად მიხრიალებს. მათთვის ობიექტური  
ან აფექტური პროცესები მხოლოდ მახალაა, ხა-  
კუთარი აზრის გარეშე. სტილისტური ხაშუა-  
ლებები, რომლებიც წინაარსობრივ ბუნდოვა-  
ნებას უწყობს ხელს, შემდეგია: თანდებულე-  
ბის, განსაზღვრებებისა და ზმნიშედების, ასე-  
ვე, ზმნის დროისა და მოდალობის ფორმათა  
ფუნქციების შეცვლა; წინადადების ნორმალუ-  
რი წესრიგის დარღვევა, მიხწრაფება ღია წი-  
ნადადებისადმი, — ხშირად იგი მხოლოდ ხა-  
ხელებისაგან შედგება, სრულიად უზმნოა, ზოგ-  
ჯერ მხოლოდ დამოკიდებული წინადადება გვაქვს  
მთავარი კი არ ჩანს; ასევე, არსებითი სახელე-  
ბის უარტიკლო ხმარება, სიტყვათა მნიშვნელო-  
ბები, რომელთა გაგება მხოლოდ სიტყვის ძი-  
რითაა შესაძლებელი. მაგრამ დღეს უკვე აღარ  
იხმარება და ა. შ. თანამედროვე ლექსის სათაუ-  
რი ხშირად არ „ესადაგება“ მის წინაარსს, იგი  
მის მრავალმნიშვნელოვნობას კიდევ უფრო აძ-  
ლიერებს. ზოგჯერ ლექსი უარს ამბობს სათა-  
ურზე და ამით გახაზავს თავის წინაარსობ-  
რივ განდგომას რეალობისა და ჩვეულისაგან.  
ასეთ მეთოდს პიკასოსთან მოვძებნება პარადო-  
ლი, რომელიც, როგორც ცნობილია, თავის სუ-  
რათებს სახელწოდების გარეშე ტოვებდა. ამა-  
ზე სურათებით მოვაჭრენი და გამოფენების ორ-  
განიზატორები წრუნავდნენ.

არსებობს თანამედროვე ლირიკოსთა უამრავი  
გამონათქვამი, სადაც ბუნდოვან წერას პრო-  
გრამულად მოითხოვენ. ზოგჯერ ახაბუთებენ  
კიდევ ზოგიერთ მათგანს პირველ თავში შევ-  
ნეთ. ბუნდოვანებისაკენ მიხწრაფებით ჩნდება  
გაგების პრობლემა. აქ პასუხი მაღარმეხეუ-  
ლია. ოღონდ მისეული ჩაღრმავების გარეშე.  
იეტს სურს, რომ ლექსმა იმდენი მნიშვნე-  
ლობა მიიღოს, რამდენი მკითხველიც იყოლებს



თ. ს. ელიოტისათვის ლექსი დამოუკიდებელი ობიექტია. რომელიც ავტორსა და მკითხველს შორის დგას. ოღონდ ავტორსა და ლექსს შორის სხვა დამოკიდებულებაა, ვიდრე მკითხველსა და ლექსს შორის. ლექსი მკითხველის მეშვეობით მნიშვნელობათა ახალ თამაშში ებმება. რომელსაც საკუთარი უფლება აქვს, თუნდაც ავტორის (ისედაც დაუფიქსირებელ) განზრახვას არიდოს მკითხველი. ესპანელი პ. სალინასი წერს: „პოეზია დამოკიდებულია ინტერპრეტაციის იმ უფრო მაღალ ფორმაზე, რომელიც უკდარ გაგებაში დევს. როცა ლექსი დაწერილია, დახრულებულია კიდევ. მაგრამ იგი არ წყდება. სხვა ლექსს ეძებს საკუთარ თავში ავტორში, მკითხველში, დუმილში“. გაგების ცნებამ აქ ადგილი დაუთმო თხზვის გაგრძელებას მკითხველის მეშვეობით. მაგრამ ასევე ანიჭებურა პოეტური ძალების მეშვეობითაც, რომელთა შესახებაც ავტორმა თავად არაფერი იყოფა და რომლებიც მის საკუთარ ენაში ქერკიდე გამოუყვებლად თვლემენ, მაგრამ, ასევე, დუმილში. ეს აზრი ღრმადინარსიანია და ისეთი ბუნდოვანი, როგორც თხზვა, რომელსაც იგი თან ახლავს. ვილიენის Canticო-ში არის ერთი ლექსი Ciero loro jos. იგი პოეტური ბუნდოვანების პოეტური დასაბუთებაა და მაღარმეს შემოქმედებას ეხმიანება. მას წინ უძღვის ერთი სტრიქონი მაღარმეს ლექსიდან Surgi de la croupe. მისი შინაარსი, ნახევრად რეფერირებული, ნახევრად თარგმნილი, ასე გამოიყურება: შე ვხუჭავ თვალებს და სიშავე ნაბერწყლებს ყრის. — ისინი ბედნიერი ბედისწერაა; ღამე ამსხვრევს თავის ბეჭდებს და უფსკრულიდან ამოაქვს სიყვდილზე აღმატებული ბრწყინვა; შე ვხუჭავ თვალებს და დიდი სამყარო შემოდგება. გაბრმავებს და დაცლილია შფოთისაგან; შე ჰემს რწმენას ვაფუძნებ სიბნელეს; რაც უფრო პირქუშია ელვა, მით უფრო ჰემეულია იგი; სიშავეში ვარდი ამოიპართება. ამ ტექსტის აზრის განმარტება შესაძლებელია: ბუნდოვანება გარესამყაროსგან გამოყოფაშია. შინაგანი სამყარო გადაიხსნება თავისუფალი ცხოვრების აურზაურისა და მომაკვდინებელისაგან, იგი სიბნელეს — რეალობის არყოფნას — სინათლედ აწივებს, გადაიქცევა ვარდის დაბადებად, რომელიც მხოლოდ სიბნელის ნათელში იშლება. „ვარდი“ ისევე, როგორც მაღარმესთან, პოეტური სიტყვის სიმბოლოა. ოღონდ, მარცხის ზემის გარეშე მხოლოდ ირეალურში, რომელიც პოეზიას ამძულებს იყოს ბუნდოვანი, შეიძლება პოეზიის სრულყოფილებას მივადწიოთ. ამ აზრში თანამედროვე ლირიკის პრინციპული გადაწყვეტა მოჩანს. ამ იციოდე წლის წინათ იტალიაში პოეზიის

ბუნდოვანების აღსანიშნავად გაჩნდა სიტყვა პერმეტუმი. თავიდან იგი უარყოფითად გამოხატავდა. მას ოკულტურის სიმბოლოება აღსლდა. მაგრამ მალე დადებითის აღმნიშვნელად იქცა ამდენად მას, ისევე, ენაწილად ლიტერატურულ ჩგუფთა სიტყვების მნიშვნელობის ისტორია აქვს. იტალიელების პერმეტულ ლირიკებს ძირითადად მიეკუთვნებენ უნგარეტის, კვაზიმოდოს, შონტალეს (რომელიც, ამავე დროს, ცნობილია როგორც ტ. ს. ელიოტის მოარგმნელი). ეს კრიტიკის პირობითობაა. ამ ჩგუფს შეიძლება ბევრი სხვა ლირიკოსიც ბივაკუთებოთ. საინტერესოა, რომ პერმეტუმი საერთოდ კრიტიკის მუარცნებად იქცა. სადაც თანამედროვე პოეზიის ერთი დამახასიათებელი ნიშანია დაქერილი

უნგარეტიმ, ვისაც მოკლედ შევებებით, ამკულები მიიღო მაღარმეს, ამოლინერის, ვალერისა და სენ-ჟონ პერსისაგან, აგრეთვე, გონგორასაგან. მისი ლირიკა ოციანი წლებიდან ენის უადრესი კონცენტრაციით გამოირჩევა. სიტყვა, როგორც ამას თავად პოეტი ამბობს, დუმილის წამიერი დარღვევაა. როგორც მაღარმესთან, ფრაგმენტია, ნოთოღვარედ დგას წამით შეზებულ. მაგრამ ძლიერ გაიდუმალეზულ სამყაროსა და სირუმეს შუა, რომელიც ბოლოს ისევ მის თავზე იყვრება. უნგარეტის ყველა ლექსი ატარებს ფრაგმენტულობის ნიშანს. ყველაზე ძლიერ იგი მოკლედ ლექსებშია გამოხატული, რაშიც, გარსია ლორკას მსგავსად, უზადლო ოსტატია. მათი წაკითხვა შინაარსის თვალსაზრისით შეუძლებელია. ზოგჯერ საოცრად უმნიშვნელოა, სრულიად აუხსნელი. მისი სიტყვები, რასაც ვერავითარი თარგმანი ვერ აღმოგვცემს, ტონის ფორმულებად უნდა აღვიკვაოთ, რომლებიც მომწესხველ ელერადობას ქმნიან. უფრო გრძელი ლექსებიც არ შეიკავენ ობიექტურად ერთიმეორისაგან გამომდინარე შინაარსებს. მოძრაობები (მაგ. გახსნა, განათლება, ჩადირვა, თროლოცის განელება) უფრო გახაგებია, ვიდრე ოციონ მოძრავი ხაგანი და შინც ისინი თავის თავში მრავალმნიშვნელოვანია და თავისუფლად შეიძლება სრულიად სხვა თანმიმდევრობითაც განხორციელდნენ.

თუ როგორია უნგარეტის ბუნდოვანება, კარგად ჩანს მეტრულად თავისუფალი ლექსის L'Isola მაგალითზე. იგი დაწერილია ბგერწერით და მარტივად აგებული წინადადებებით, სადაც „შე“ სრულიად არ ჩანს, რადაც მოქმედებას გამოხატავს. მისი მატარებელია „იგი“. ვინ „იგი“ ამაზე პასუხი არ ჩანს: დეტერმინანტების განუსაზღვრელობის ფუნქცია აქ პირის ნაცვალსახელითაა გამოხატული. განუსაზღვრელობას ამლიერებს გამოჩათქვამთა დაუკავ-





შორებელი დამწერებელი ბუკოლიკური იდი-  
ლიის წარმოდგენები აქ კმნიან მოქმედების მა-  
ხალას: ეხაა კუნძულები, ტყეები, წყლის ალი,  
მწყემსი და ცხვრები. „ბღინარის ნაპირთან ჩა-  
მოვიდა იგი. უფრო შორს გასწია, ფრთის შრი-  
ალმა მიიწადა, რომელიც გათავისუფლდა მო-  
ბუზბუყე წყლის მკაზე გულისხგერისაგან: მორ-  
ვენება დაინაბა მან... ალი, საკუთარ თავში მო-  
ხეტიალე მოღანდებიდან ქეშმარიტ ცეცხლამ-  
დე, ამოპყო თავი ერთ მდელოზე, სადაც  
ჩრდილი გოგონების თვალეში ჩამდგარიყო...“  
(რომელი გოგონების?). აქ წყდება მოქმედება  
იგი ფრაგმენტად დარჩა. უმიწეზოდ და უმიწ-  
ნოდ, დასასრული უძრაობაა, სიტყვათა დაჭ-  
გუფებები უფრო ანომალიური ხდება: „ტოტე-  
ბიდან წვეთავდა ისრების წანტი წვიმა“.  
ცხვრები მოვდნენ ნათელ საბანს: მწყემსის  
ხელები შუშისა იყო, „მომთენთავი სიტყვადი-  
საგან გაგლუკებულნი“. ხად არის ის, ვინც  
მოვიდა?

დასასრულის მშვიდ სურათში სრულიად და-  
ვიწყებულია დასაწყისი ამბავი, თითქოს არც  
ეს ამბავი და არც მისი ჩამდენი ხაერთოდ არ  
ყოფილან. მოქმედი პირი თავისთავადაც ჩაქ-  
ლები მნიშვნელობისაა, ვიდრე თვითონ მოქმე-  
დება. ლექსის შინაარსი ნისი მოძრაობის ხაზ-  
შია საძიებელი: მოსვლა, შეხვედრა, დახვეწე-  
ბა, მოძრაობები აბსტრაქტულია. მხოლოდ  
საკუთარ თავს გულისხმობენ და გაჭერებული  
არიან აუხსნელი მოქმედების იდუმალებით,  
რომლის მეოხებითაც წარმოჩნდნენ. დასასრუ-  
ლიც არ ხდის საიდუმლოებას ფარდას, პირი-  
კით, ახალს უმატებს, თუმცა სიმშვიდე აქ  
წერტილს უხვამს მოძრაობას. მაგრამ მისი  
სურათ-ხატის დისონანსურობა (ხელები, რო-  
გორც შუშა) მიგვანიშნებს თვითმპყრობელი  
ენის უფრო მაღალ საფეხურზე — რაც კვლავ  
ბუნდოვანებაა.

პერმეტული პოეზია თანამედროვე ლირიკო-  
ხეობში იწვევს შთაბეჭდილებას, თითქოს ლექსი  
„კარის გაჯახუნებით“ მოავრდებოდეს, როგორც  
ეს ერთხელ ლ. პიკონმა აღნიშნა. მაგრამ იქ,  
სადაც იგი მხოლოდ მოდური წამბედურობაა,  
ფრთას შლის შარლატანობა, რომელსაც შე-  
უძლია უველაფერი წეროს. რაც თავში მოუ-  
ვა — სულ ერთია, მაინც აღტაცებას გამოი-  
წვევს. ავანგარდისტები, რომლებსაც თავი  
რალაცად მიიჩნიათ, შლეგი სტრიქონებით გა-  
მოირჩევიან. ზოგჯერ რემბოსაც კი გაეპარე-  
ბოდა ხოლმე მხგავსი რამ. მოდად ქცეული  
პერმეტის შიშის შედეგია კრიტიკის უღონობა. ავს-  
ტრალიაში ერთხელ რამდენიმე ადამიანმა ასე  
იბუმრა: გამოაქვეუნეს ვითომ ვინმე გარდაცვა-  
ლილი მემხატის სრულიად უაზრო ლექსები.  
კრიტიკა შეძრა ამ ლექსების „ღრმავარონე-

ბამ“. იეტსის ერთ ამერიკულ გამოცემაში შეც-  
დომით დაიბეჭდა „soldier Aristotle“ „soldier  
Aristotle“ მაგერ, ერთი ანთგაზრდა პოეტი,  
რომელმაც ვერ შეამჩნია არიეტის შეცდო-  
მა. აღტაცებაში მოღვანა, ატიხელთელეს ქა-  
რისკაცების“ მისტერიაში ასატანის ზღვართან  
დას. ასევე, ჩილკეს წერილობითი მენიშვნები  
თავისი ორფოსის მეთექვსმეტე სონეტის შე-  
ხაზებ. „სონეტი უნდა ვიცოდეთ, ან გამოვიც-  
ნოთ, იგი ძალღისადმია მიმართული...“ მაღარ-  
შე ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, საკუთარ  
თავს ირონიით უსწორებდა ხოლმე.

ენის მახია და შთაბოძება

თანამედროვე ლირიკა რემბოსა და მაღარ-  
მეს შემდეგ კიდევ უფრო მეტად იქცა ენის  
მაგიად. თუ რა იგულისხმება ამაში, წინა თა-  
ვებში განვიხილოთ. მე-მე საუკუნის პოეზიის  
ოეორიებში კვლავ და კვლავ ჩნდება შთაგო-  
ნების ცნება, როცა კი ლირიკული შემოქმედ-  
ბის საკითხი წამოიჭრება. ბერგსონმა იგი თავის  
Les données immédiates de la  
conscience-ში (1888) ხელოვნების თეორიის  
შემადგებელ ნაწილად აქცია. იგი გვხვდება  
მხატვრებთან და მუსიკოსებთან. შთაგონება  
ის მომენტია, როცა ინტელექტუალურად წარ-  
მართული თხზვა მაგიურ ხელიერ ძალებს გზას  
უხსნის და გამოსხივებას იწყებს. რომლისაგან  
მკითხველი ვერ დაიხსნის თავს მაშინაც კი,  
თუ „არაფერი ეხმის“. ასეთი შთაგონებული  
გამოსხივება მოდის უპირატეხად ენის გრძო-  
ბადი ძალებისაგან, რიტმისაგან, ელერადობისა-  
გან, ტონალობისაგან ისინი შემოქმედებენ იმას-  
თან კავშირში, რასაც შეიძლება სემანტიკური  
ობერტონები ვუწოდოთ, მაშახადამე, მნიშვნე-  
ლობებთან, რომლებიც სიტყვის განაპირა ზო-  
ნებში დევს, ან სიტყვათა ანომალიური შეკავ-  
შირების შედეგად წარმოიქმნება. ენობრივ-მა-  
გიურ-შთაგონებული თხზვა სიტყვას სრულფე-  
ლებიანს ხდის — იყოს პოეტური აქტის ავტორი,  
ასეთი თხზისათვის სამყარო კი არ არის რეალუ-  
რი, არამედ — მხოლოდ სიტყვა. თანამედროვე  
ლირიკოსებში უოველთვის გაზაზავენ: ლექსი  
კი არ ნიშნავს, არამედ არის, „წმინდა პოეზიის“  
ბევრი მოხაზრება ამ აზრის გარშემო ტრია-  
ლებს.

კოს პრინციპი, რომ ლექსის წერის პროცეს-  
ში აზრს წინ უძღვის ენის ტონური ძალა და  
იგი მხოლოდ შემდეგ, უოველთვის მეორეუ-  
ლად — იძენს აზრს, სიკოცხლისუნარიანი აღ-  
მოჩნდა. ბენი წერს: „ლექსი მზადაა მანამ, ხა-  
ნამ დაიწერებოდეს. მხოლოდ ეხაა: ავტორმა  
ჩერ არ იცის თავისი ტექსტი“. ნოვალისის  
ერთ ფრაზას გასაოცრად ეხშიანება ბენის



გამონათქვამი: „არსებობს მხოლოდ ზმნური ტრანსცედენციები: მათემატიკური თეორემები და სიტყვა, როგორც ხელოვნება“, ბენის ლირიკა სიტყვის ავტორობის პრინციპს ცნობს განსაკუთრებით, ტონის უპირატეობას, რომელსაც ხელეწიფება თვით უველაზე პროზაულ შინაარსთა გალირიულება. მისი ლექსი „შოპენი“ მღერის ბიოგრაფია. შინაარსებს ქმნის მინიშნება-ფრაგმენტები მომხდარისა, რეფლექსებისა, შინაგანი მონოლოგებისა. რაც ფრაგმენტულ წინადადებებშია გამოთქმული, მოქმედების თანმიმდევრობა არ შეესაბამება დროის ქრონოლოგიას. სიცოცხლე-სიკვდილი, მას შებრუნებული მიმართულება აქვს. აქ შეხვედრით საკონცერტო როლიების სახელებს, გაიჭონებო პონორარის შესახებ, რაღაც მინამარტს, შოპენის საშემსრულებლო ტექნიკის შესტ მონაცემებს, ასევე საექიმო დიაგნოზს („სინხლის დენითა და შეხორცებებით“). მაგრამ უველაზე უფრო საკმიათ გამონათქვამშიც იგრძნობა პოეტური პრთოლვა. რომელიც ფრაგმენტებსა და ნაწევრებს კიდევ ქაბნის და თან მათი მეოხებით არსებობს. მისი დამსახურებაა, რომ ლექსი თუ ერთზელ წაიკითხეთ, აღარასოდეს დავავიწყდებათ. იგი გვიჩვენებს, რა შორს შეიძლება წავიდე ტრადიციული ლირიკული მოტივების უარყოფა, თან ლირიკული სუბსტანციის დაუზიანებლად იგი უფრო თავისუფლდება ახალი მედიტაციურად დერადობისათვის, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს ძალიან ახლოს დგას პროზასთან.

კიდევ ერთზელ გავიხსენოთ რამონ ხიზნესი. მისი შემოქმედების ბოლო პერიოდში გვხვდება პინოზური შემოქმედების ლექსები. ასეთი შემოქმედება ხორციელდება იმით, რომ ზოგიერთი სტრიქონი რეფრენივით მეორდება, სხვებს კი კითხვის ფორმა აქვთ. რომელიც უპასუხოდ რჩება გამეორება და უპასუხო კითხვა ნათქვამს სიმსუბუქეს ანიჭებს. რომელიც შეუმჩნევლად გადადის მომჭადობელ მინდობულ ტონში. რაც ამ სტრიქონების ნამდვილ ხატონ-პატრონად გვევლინება. თხზვას სიტყვის იმპულსიდან ან მხოლოდ ელერადობიდან ამოხვლით მივყავართ ისეთ უთვალავ მოვლენებთან, რომლებსაც რეშმონადმი მიძღვნილი თავის ბოლოს შევებეთ. ა. მაშოსთან ასეთ სტრიქონებს ეხვდებით: „dans la toux, dans L'atvoce, dans la transe“ საკუთარი კომბინაციების ხურვილს აუღლილი ენა წარმოშობს ამოუხსნელ აზრს. ეურს კი ძალუშად ხვდება გიუტად გამეორებულ მარცვალთა ჩგუფი („dans la“). აღვიძებს სახეცვლილ, მაგრამ ბგერითად მსგავს ჩგუფს. ელიოტის „უნაუფო მაწის“ ბოლოს ანაზდად გაისმის აზრსდაცლილი „dan“ იგი რამდენჯერ-

მე მეორდება და ბუდისტური წინადადების ნაწევრებს ქმნის, რომელიც შორისაც სრულიად სხვა რამეა ჩასმული და რომლებიც ბოლოს სანსკრიტულ სიტყვათა ჩგუფად იკვრება. ეს არის მუსიკალური რეპრეზენტაციული მხოლოდ ისეთ მნიშვნელობის ენას უპირველესად იუენებს, როგორც მღერ პოეტნიკას.

კ მ ლ ვ ა ლ ე რ ი

ენის თვითნებურ ძალიანთან პოეზიის დამოკიდებულებაზე უველაზე ღრმად მალარმეს იდეების ავალდაკვალ ვალერი დაფიქრდა. წერო, — ნიშნავს, როგორც ეს მის მიერ ხშირად გამოთქმული მოსაზრებიდან ჩანს, ენის პირველ შრეებში შეაღწიო, საიდანაც იგი ერთ დროს ქადობს და გრძელულ ფორმულებს გაცემდა და დღესაც შეუძლია გასცეს. წერო, — ნიშნავს, ცვალებადი მნიშვნელობის ზონებსა და ცვალებად მუსიკალურ შემოქმედებას შორის კომბინაციები იმდენხანს სინჯო, ვიდრე არ მოგებ იმ ერთ კომბინაციას, რომელსაც მათემატიკური ფორმულის აუცილებლობა ექნება. ვალერიმ იცის, რომ ასეთ პოეზიაში „აზრი“ ზარალდება. უველ ლექსზე შეიძლება ითქვას, რომ მას „არ აქვს ქეშმარიტი აზრი“, სახელდობრ, ისეთი, რომელიც მას მაღლიანად ამოსწურავდეს. ვალერის ლირიკა ისეა დაწერილი, რომ რამდენხანე წაიკითხვის შესაძლებლობას ქმნის. ასე მაგ. ლექსი Les Pas თითქოს ნაწ სატრფიალო სცენას გამოხატავს: სწორედ ასეთად გვევლინება იგი რილეს თარგმანში. მაგრამ მის პოეტურ ქმოვილში სხვაც გამოსქვივის. ეურძოდ, თავად თხზვის სცენა, რომლისთვისაც მუზის მოლოდინი ბევრად უფრო ეურთხეულია, ვიდრე მისი მოხვლა. ორივე მნიშვნელობა აქ ერთდროულადაა მოცემული, მათი ეზოლირება არ შეიძლება რადგან მაშინ ლექსი დაკარგავდა ორაზროვნებას, რომელიც აქ ასე ობტატურადაა ერთმანეთს გადაწნული.

ვალერის აზროვნებას საფუფვლად უღევს მკვეთრად გამოხატული შემეცნებითი ნიმილიზმი. ჩვენ მას მხოლოდ გაცერით შევებებით. ვინაიდან შეწყნება შეუძლებელია, პოეტური ენა სრულ თავისუფლებას იძენს, თავისი ქმნილებები არარაში დაახაზელოს. ვალერი ასეთ ქმნილებებს „მოთებს“ უწოდებს და ასე განმარტავს: „მოთის სახელია უველაფრისა, რაც არ არსებობს და მხოლოდ სიტყვის ძალითაა აქ სიტყვა სულის საშუალებაა, — არარაში გამრავალეცდეს; რეალობისაგან განსხვავებით, რომელიც არსებობს მხოლოდ როგორც შემთხვევითი და ნებისმიერი, პოეზია



ახორციელებს ხანგრძლივ გარდასახვას იმ ირეალობამდე, რომელსაც ვალერიც „სიზმრის“ ცნებით აღნიშნავს. თხზვის დროს სული საკუთარი ძალების მხილველი ხდება და სრულქმნის მათ, სძლევს რა მკაცრი ფორმის მიერ თვითდასახულ წინააღმდეგობას. მხოლოდ სულის აქტებს მოეპოვებათ აუცილებლობა და მუდამ აღემატებიან მარად შემთხვევით სინამდვილეს. სრულიად ნათელია, თუ რა ახლოს დგას უველაფერი ეს მალარმეს აზრებთან და მეოცნე საუკუნის ეს უდიდესი ფრანგი ლირიკოსი რა ძლიერ ამართლებდა პოეზიას წმინდა (არაპირველად) სუბიექტურობიდან ამოსვლით, რომლის სამშობლოც ენა და „სიზმარია“, მაგრამ არა სამყარო, ასეთ პოეზიას სექტიკური ნათელხილვა აქვს — სინამდვილის უნიშვნელობაში, ისევე, როგორც ტრანსცენდენციის არარაში, თავისი ერთადერთი შესაძლებელი სრულყოფილების, სახელდობრ, მხატვრულობის პირობა შეიცნოს. „ლექსი სრულყოფილად ჩამოყალიბებული ნაწილია არარსებული შენობისა“, — გვიხსნის ვალერიც ერთ-ერთი მეტად საყურადღებო დებულება „არარსებული“ ნიშნავს: შინაარსს მხოლოდ ენის სახით გააჩნია არსებობა. „ნაწილი“ ნიშნავს: ლექსი მიზანთან მიმართებაში მუდამ უკმარისია. საყურადღებოა, რომ აქაც ორი უარყოფითი განსაზღვრა გახდა საჭირო, რათა გაგვეზარებინა მხოლოდ და მხოლოდ დადებითად სათქმელი, თვითონ პოეტური აქტი. მეორე წინადადებაში ვკითხულობთ: „არაფერია ისე ლამაზი, როგორც ის, რაც არ არსებობს“. მისი მსგავსება ამ წიგნში ადრე ციტირებულ რუხოს დებულებასთან თვალში საცემია. სრულიად განსხვავებული, არანეტიმენტალური დასაბუთება აჩენს მკაცრ გზას, რომელიც მას შემდეგ განვლო პოეზიის შესახებ აზროვნებამ.

ვალერი ლექსს ერთგან ვანმარტავს, როგორც „საოცარ და ძალზე ნუჰანობიარე წონასწორობას ენის გრძნობად და ინტელექტუალურ ძალებს შორის“. უნდა ითქვას, რომ მისი ლირიკა ამ წონასწორობას ფლობს. იგი მრავალჯერ გვატყობინებს, თუ როგორ წარმოიქმნა ზოგიერთი მისი ლექსი აზრდაცლილი რიტმის თამაშისა და ელერადობისაგან, რასაც მხოლოდ შემდეგ დაერთო სიტყვები, სახეები, იდეები. მზა ლექსში ეს გენეტიკური საფუძვლებრივობა დატულია, როგორც ღირებულების სკალა. იგი პირველ რიგში სიმღერაა და მხოლოდ მერე — შინაარსი. მომთაბედობელი ელერადობის ლექსები, ასე წარმოიქმნება: „Dormeuse amas dore d'ombres et d'abandons... Puis s'étendre, se fondre, et perdre sa vendange Et

s'eteindre un songe en qui le soir se change“ ეს ხმოვანებისა და ნახსენები ბგერების ზე და ქვე ნავარდია სიმბოლოება და სიღრმეებს შორის, რომელიც ბოლოს დასაწყისის შუა სიმაღლეს ~~ქვემოთ~~ მაგრამ სიტყვათა ინიციატივა ~~შეიქმნა~~ სწიშნელობიდანაც მოდიოდეს. ლექსი Interieur, რომლის მოქმედება ერთდროულად მიმდინარეობს როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში. იწყება სტრიქონებით: „ვიწროთვალება მონაქალი, მზერა აბილი ქაჭვებისგან დამძიმებული, უცვლის ჩემს უვავილებს წყალს, იძირება მალ (prochaines) სარკეებში“, ქაჭვების მეტაფორის სათავე მონა ქალია, ხოლო წყალი — სარკეებში ჩაძირვისა. ასეთი ლექსები არ არის დესკრიპციული. ისინი აღიქმებიან, როგორც ენის შენაქმები. ამასთან, სარკეები დროის და არა სივრცის ეპითეტითაა წარმოდგენილი, რომელიც მათ ანომალიურ განზომილებაში მოაქცევს და თვითონაც კვლავ ენის შენაქმად გვევლინება, კერძოდ, იმ ეპითეტზე უარის თქმად, რომელიც აქ უველაზე მოსალოდნელი იყო: proches („ახლო“). მისი ადრე დაწერილი ლექსი „მშაროველი“ მალარმესეული ადამიანისა და სამყაროს სრული უკონტაქტობის თემას ეხმიანება წმინდა სურათ-ხატების სიმბოლიკით. ქალიშვილი სალამოს ფანჯარასთან მიმჯდარი იძირება ძილსა და სიზმარში; მძინარეს ამოდ ესაღმება ბალიდან ვარდი; მაშინ როცა ქალიშვილსა და უვავილს შორის აღარავითარი კავშირი არ არსებობს, ენა ამ დაშორიშორებას ირეალურ ხლართში აქსოვს იმ სიტყვებით, რომლებიც წამყვანი სიტყვიდან — „როვა“— მოჩვენებებით თავისუფლდებიან. „მძინარე ართავს ეულ მატყლს, იდუმალად ეწვნება მსუბუქი ჩრდილი მისი მომღერალი თითების ნართში“; მაგრამ გარეთაც ბინდში გახვეული | ქვეყანა „მროველად“ იქცევა.

რა თქმა უნდა, ვალერის ლირიკა არ შეიძლება მხოლოდ ენის ამ მოქმედებით განვმარტოთ. მას აქვს თავისი შინაგანი სტილის კანონიც, რომელიც მის თემებში ნაკლებადაა მოსალოდნელი. უფრო მის ხატოვან მახალაში უნდა ვეძოოთ, რომელიც საცნაურტყოფს იმ გონით აქტებს, მხატვრულ ცნობიერებას რომ განეუთვნებინ. ვალერი ერთგან ლაპარაკობს „ინტელექტუალურ კომედიაზე“, რომელიც ლექსის გულს ქმნის. ამის უველაზე ნათელ მაგალითს „ჭადარი“ გვაძლევს. ალბათ, ზედმეტია უთრადლება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ზე აქ არ გვევლინება ბუნების ნაწილად; იგი წმინდა დინამიკაა, დაძაბული ზე მოთქვენ ლტოლვაა და სიღრმით შებოქვას შორის. მას ესმის „ქართა“ ძახილი, რომლებ



გილიენი



საც სურთ. ენად იქცნენ. მაგრამ ასევე იძულებაც — უარი თქვას ენაზე. ვველიაფერი ეს მოცემულია მხატვრულ ცოდნასთან სრულ თანხმობაში, რაც მალარმედან მოყოლებული ვიცით და, ისევე, როგორც მასთან, აქაც დაძაბულობა არ იხსნება. ლექსის აბსტრაქტულ ძალთა დაძაბულობაში დისონანსი შეტყველებს. მაგრამ იგი შეტყველებს იმაშიც, რომ ლექსის ეს დაძაბული შინაარსი მიხსნავს გათავისუფლებულ ხიმღერას უპირობპირდება.

ვალერის ლირიკაში თვალში ხავეშია ის, რომ არც თემები და არც თემების გადაწყვეტა ერთგვაროვანი არ არის სწორედ ეს მიგვიჩივებს, რომ მისთვის მთავარია გონიორ დრამატრია, როგორც ასეთი: „Comedie intellectuelle“. თვით ინტელექტუალური აქტები შეიძლება მრავალგზის შეიცვალოს. ზოგჯერ ეს ქაოსური ხიზსარეული ბინდიდან ცნობიერების სინათლეში გამოდევნებაა. შემდეგ პირობით — ისევ სიწმარეულში ჩაძირვაა. რა ახლოსაც უნდა იდგეს ვალერი მალარმესთან, მისი მკაცრი, თუმცა კი დაფარული ერთგულება თემებისადმი აქ თემატურა მრავალფეროვნებითაა შეცვლილი. *Cantique des Colonnes* არქიტექტონულ სხეულთა წმინდა ხაზების ხიმღერაა. მღუმარე ხიმღერაა თვალეზიხათვის, რომლებიც რიცხვებით მოწესრიგებულ ქვებში დავანებულ უოფიერებას ქვრეტენ სული ბანს აძლევს ამ არსებობას ახლა მოვიგონოთ *Cimetiere Marin*. ამ განთქმულ ლექსს ლუკრეციუსისებური სუნთქვა აქვს არა მხოლოდ ლუკრეციუსისაგან გადმოღებულ თემებსა და სახეებში. იგი სულიერი კრიზისის გამომხატველი ლექსია. ცნობიერება ღამობს მშვიდ უოფნასთან გაიგივებას. ზღვის „აბურავთან“, მალაღი ხინათლის დიადემახთან. შემდეგ — გარდაცვლილთა აღარმყოფობასთან. მაგრამ უფრო ძალუძად იწიდავს მას მოძრავი სიციცხლე, ბოლოს მას ნებდება კიდევ, თუმცა იცის მისი გაუტანლობა. ზღვის ამსახველი ქერსტატაკური, ბოლო შემდეგ დინამიური მეტაფორები ქრება. მას უბრუნდება თავისი ბუნებრივი სახელები (ტალღები, წველი) ამის ნიშნად, რომ ცნობიერება ბუნებრივი რეალობისთვის გაიხსნა. იგი თითქოს უკიდურესი განსაზღვებისაგან უკინდახევაა, რომელიც მალარმეს ლირიკაში განხორციელდა და ერთდროულად *Cantique des Colonnes*-ს კონტრთამაშია. მაგრამ სხვა ლექსებში სრულიად სხვაგვარ გადაწყვეტას ვხვდებით. მთავარი გადაწყვეტა როდია, არამედ ის, რომ სულიერი აქტები ხიმღერებად იქცნენ, სადაც ინტელექტუალობა და მგრძობილობა, სიცხადე და იდუმალება პარმონიულად ეღერენ.

აქედან პირდაპირი გზა უხსანეთ უორე გილიენამდე მისი პოეზია მალარმესა და ვალერის სხივურ ველშია შექცეულია. ვალერი უთარგმნია კიდევ, იგი ინტელექტუალური ლირიკის უველაზე მომწიფებული თანშიმდევრული წარმომადგენელია. უველა მისი ლექსი ერთი ნაწარმოების („ქებანი“) შემადგენელი ნაწილია. პირველად იგი 1928 წელს გამოიცა, მას სურე მრავალჯერ დაიბეჭდა, ხოლო ბოლო, ფართო რედაქციით 1950 წელს გამოვიდა. მას, ისევე როგორც ბოდლერის „ბოროტების უვაილებს“, მთლიანი არქიტექტონია აქვს, რიცხვთა თითქმის დანტესეული, მკაცრი კომპოზიციური წესრიგი. გილიენის პოეზია, უფართოესი მოცულობით, ლირიკული ონტოლოგია და ონტოლოგიურად დასაბუთებული პოეტიკაა. იგი მიმოიქცევა უველაზე უბრალო მოვლენებსა და უმკაცრეს აბსტრაქციებს შორის. ბუნდოვანება, რომლის დასაბუთებისათვის თვითონვე იღვწის (იხ. ზემოთ, გვ. 235), მას ჩვენი დროის ლირიკაში უველაზე ძნელად საკითხავ პოეტად ხდის. მისი პოეზიიდან არ გველაპარაკება არავითარი პიროვნული „მე“. მისი სუბიექტი „გონითი თვალეზია“. იგი მალარმეს „აბსოლუტურ მწერას“ გვაგონებს: გონითი თვალეზი თავისუფლდებიან სასიცოცხლო ნივთიერებათაგან, რათა იქცნენ სამყაროს სავსეობისა და ამ სავსეობაში გამოვლენილი უოფიერების წმინდა სტრუქტურის სარკედ. მშვიდი, მაგრამ ადამიანისათვის უცხო საზეიბო განწყობილება მსკვლავს მოელ მის შემოქმედებას. იგი ინტელექტუალური ზეიშია ქვრეტის ძალითა, რომელიც საგნებში მათი პირველფორმების სიჩუმეს აღიქვამს და რომელიც საკუთარ თავში გრძნობს ძალას. რათა უველაფერ არსებულს სიტყვაში წარუვალი გონითი უოფნა დაუშვიდროს.

გილიენს „უველაზე ელვატურ პოეტს“ უწოდებენ და ამით, ჩვეულებრივ, გამოხატავენ მის მიმართებას ტრანსცენდენტური უოფიერებისადმი. მაგრამ მისი ლირიკა ცოტას გვეუბნება თვითონ უოფიერების შესახებ, რაც მას, როგორც ლირიკას, შეუძლებელს გახდიდა. იგი უფრო მოძრაობაა: მოძრაობა უოფიერებისაკენ, მოძრაობა ქაოსიდან ნათელიხაკენ, შფოთიდან სიმშვიდისკენ. სინათლე, როგორც არსებობის უზადო გამოვლენა, მისი უმაღლესი ღირებულებაა. შინაარსეულად სინათლის შემცველი ლექსები ფორმის მხრივაც უველაზე ცხადია. „სინათლე მარადაა“. ჰქვია მის ერთ ლექსს. მაგრამ ამ პოეზიაში მთავარი სინათლედექცევაა, „გარდაცვლის ნეტარებაა“. მისი ლირიკული ენერჯია მოდის „უფრო მეტად“-ის კენ მიმარ-



თული დაძაბულობიდან. იგი რაიმე საგანს აღა-  
 მალღებს ჯერ თავისი არსების ბუნებითს  
 სრულყოფილებამდე. ზალს აქცევს „უფრო მე-  
 ტად ზალად“. ხიდს „უფრო მეტად ხიდად“.   
 რათა აქედან კატეგორიული არსი გამოიყ-  
 ვანოს (შალარმეს მსგავსად), რომელსაც ბოლო  
 ყოფიერების სრულყოფილების ნათელი დაად-  
 გება. ეს პროცესი მოიცავს ცოცხალისა და  
 გრძნობადის მთელ საუფლოს. სადაც „მატე-  
 რიამ წყალობა მიიღო, მოვლენად ქცეული-  
 უო“, მაგრამ თან ხაზებს უცვლის და აუცხოებს  
 ამ საუფლოს. საგნები „ტირილით“ ქედს უხ-  
 რიან წმინდა იდეალობას. ენა არ კაზმავს მათ.  
 არამედ აშიშვლებს მათ წმინდა რაობას, რო-  
 მელიც სრულიად არარეალურ კავშირებშია  
 ჩაწნული. „ზაფხულის ქალაქს (დახაწყისში  
 „შემთხვევის ქალაქი“ მქვია) ეფინება აბრე-  
 შუშის სინათლე. რომელიც ასწორებს და ამკ-  
 ვეთრებს მის ხაზებს; „თავბრუს ახვევს გეო-  
 მეტრია“, იპყრობს „სიზუსტის ნეტარებანი“;  
 იგი „არსის ქალაქად“ იქცა Ciudad de  
 los estios ლანდშაფტები მატერიისაგან დაც-  
 ლილ დაძაბულობათა ზღარბებად იქცნენ.  
 თოვლი და სიცივე სიმბოლური სიტყვებია აბ-  
 სოლუტის გამოხატავად. სადაც სიცოცხლის  
 სიკვდილით განსაზღვრულობა მოხსნილია, უფ-  
 რო მეტიც — ზოგჯერ თვით სიცოცხლეც კი  
 მოხსნილია თუმცა გილიენი მას ზოგჯერ თა-  
 ვისებურ პანვიტალურად აქებ-ადიდებს კი-  
 დეც. ხილული ჩვენს თვალწინ იცლება  
 გრძნობადისაგან ჩნდება გილიენისათვის და-  
 მახასიათებელი სიცარიელე სურათბატული სიფ-  
 რცისა, სადაც ხტაკური თაურფენომენები ბა-  
 ტონობენ (წრე, ხაზი, მოცულობა) — ან ამ  
 ფენომენთა აბსტრაქტულად ქცეული სიმბოლო-  
 ები (ვარდი, მდინარე, ზღვა). მისი შემოქმედება  
 გვაგონებს ყოფიერების სტერეომეტრიულად  
 აგებულ, სინათლით გაუღებელ მოდელს. იგი  
 ადამიანს არ უტოვებს ბუნებრივ მუშანურობაა.  
 თვით სატრფიალო ლექსებიც კი ყოფიერების  
 ზეალმავალი შემეცნების პოეზიად იქცა. სატრ-  
 ფოს სხეული და არა სული წარმოუჩენს შეყ-  
 ვარებულს, დაფიქრებულს რომ კვრეტს ყო-  
 ფიერებას, მოვლენათა მრავალფეროვნებას.  
 სატრფომ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ  
 იგი „სინათლისკენ გასახედია“ გაზაფხულის  
 ბრწყინვალეობა არ არის ადამიანის გულისათვის  
 განკუთვნილი. „ქაოსურ შრიალში ძაბილი გა-  
 ისმის შორს და მინელდება, ნაზი ძაბილი არა-  
 ვისა არავისადმი“ (გვ. 119). ზღვის ხანაპირო-  
 ზე ბავშვები თამაშობენ, მაგრამ ისინი არ  
 არიან მოქმედნი, არამედ მზე და ნიჟარები.  
 იქნებ ბავშვების ხელებიც. მაგრამ ცალკე არ-  
 ხებებად ქცეულნი. ლექსი მთავრდება ცნებათა  
 მუხიკაში; საბოლოო გადასვლით: „წითელი

ბუნდები, ნიჟარები, ნიჟარები, თანხმობა,  
 დასარული, წრე („Playa) რადგან წრეში „მა-  
 ერის ბლოკს შუა უჩინრად“ ლამაზობს სი-  
 ცოცხლეზე აღმატებული იდეალობა ყოფიე-  
 რებისა, რომელიც ბრწყინვალეობაში ჩნდება და  
 იმალება — როგორც მტრის მსგავსად

თუ ამ ლირიკაზე მტრის მსგავსად მო-  
 ვინდომებთ, აღბათ, გაძნელდება, გასაგებად  
 ავხსნით, რომ იგი სიმღერაა, მეტალისებრი  
 სიმღერა ესპანური ენის ისედაც მძაფრ-მკვეთ-  
 რი ელერადობისა. მისი აბსტრაქციებიც სიმ-  
 ლერაა. მათემატიკის შესაბამისად, იგი აბსტ-  
 რაქტული და გეომეტრიული სიტყვების მდი-  
 დარ საგანძურს იყენებს, მრუდე, სიმრავლე,  
 დღევანდელიობა, უსასრულობა, სუბსტანცია,  
 არარა, ცენტრი, ასეთ სიტყვებსა და სხვა სიტ-  
 ყვებს შორის, რომლებიც მარტივ, არაგეომეტ-  
 რიულ საგნებს აღნიშნავს, ისევე არ არსებობს  
 ენობრივი საზღვარი, როგორც განსხვავება არ  
 არსებობს ცნებითსა და გრძნობად შინაარსებს  
 შორის ამ ლირიკულ სამყაროში. ერთ ლექსში  
 კვითხულობთ, „გედის ფრთები შემობაზავს  
 ბედისწერით ფეხშიძემ დუმილის სისტემას“  
 (გვ. 147) ლექსებში, რომლებიც ერთგვარ  
 სცენას წარმოადგენს, მოქმედი სუბიექტები  
 აბსტრაქციებიცაა. მაგრამ ენა თემატიკას სხვა  
 საშუალებებითაც უდგება. იგი უმეტესად მი-  
 პართავს ზმნებით ღარიბ სახელდებით წინადა-  
 დებებს, რომელთა მეშვეობითაც მოვლენებისა  
 და ცნებების იზოლირებას ახდენს, მათ ღროს  
 გამოსტაცებს ან პინურად მიმართავს. არავი-  
 თარი დინება ენისა, არამედ მხოლოდ ყოყ-  
 მანი და შეჩერება, ბლოკური განლაგება, შემ-  
 დებ ისევ ღიად დარჩენილი მოკლე შეკითხვა,  
 ან კლავის მინიშნება ფრთხილი... გილიე-  
 ნი ვირტუოზია — უმოკლესი სიტყვებით გა-  
 აღვიძოს ექოები, რომლებიც იდეალობით სავ-  
 ხე სივრცეში დიდხანს გამოსცემენ ხმას. აქაც,  
 ისევე, როგორც ბევრ თანამედროვესთან, ძა-  
 ლაშია პრინციპული კონტრასტი ძალიან მარ-  
 ტივ წინადადებებსა და შინაარსთა ბუნდოვა-  
 ნებას შორის, რადგან ისინი — სურათ-ხატია  
 თუ ცნება — ერთმანეთის გვერდით დასმულ  
 ფრაგმენტებად გვევლინებიან, სადაც არც ერთი  
 არ გამომდინარეობს წინამავლიდან. თვით  
 უვიწროესი ასოციაციების ხიდებიც კი ჩაკეტი-  
 ლია. ამ ლექსებში ყოველთვის რაღაც ხდება.  
 მაგრამ მოქმედების ფაზები, რამდენადაც ემ-  
 პირიულში რჩებიან, თავიანთ თავში არავითარ  
 აუცილებლობას არ შეიცავენ, საფუძველსა და  
 შედეგს მოკლებულნი არიან. აუცილებლობა  
 თავს იჩენს მხოლოდ აბსტრაქტული დაძაბუ-  
 ლობების ცვლაში, არაორაზროვანი მხოლოდ  
 ერთია: არვითარი არსებობა ინტიმურობისა.  
 როგორ ექცევა ასეთი ლირიკა ძველ მო-



ტივს, კარგად ჩანს ლექსში „მთვარიანი ღამე“ / ქვესათაური — „ამოხსნის გარეშე“ იგი შემდეგ ცნებათა ლანდშაფტია: სიმაღლე, თეთრი, მოლოდინი, ნება, თბელი. ეს ცნებები ზესაგნობრივ არსთა ცხაურს ქმნიან, რომელიც მოიცავს ღამის ნათელ სიცივეში უაღამიანო მოქმედებას. ის ცოტა ხილული, რომელიც აქ, ამ ლექსშია, ირეალურ მოქმედებაში მოჩვენებასავით მისრიალებს. მისი წესრიგი მოძრაობათა წესრიგია: ქვედაშეება, როცა „სიცივის ფრთები ფარფატებენ“; ველზე ცოტა ხანს დაყოვნება, როცა „ტალღების ლოდინი ჩუმად ვანიფინება“; სიღრმიდან პირველი ზეასვლა, „ზეასვლა სითეთრისაკენ“, როცა „დიდშვენიერი ზღვის სანაპიროები ქარს შეწყალებას ევედრებიან“, და მეორე, ზეასვლა, რომელიც მხოლოდ შეკითხვაა, მაგრამ ეს შეკითხვა ზეახწვეს ქვეყანას „თეთრ, სრულ, მარადიულ აქ არყოფნაში“. ლექსი მთლიანად დაძაბულობათა ველებისაგან შედგება. ისინი დასაბრუნების პასუხგაუცემელი კითხვით ამოუხსნელში დავანებულან, „მე“ არსად შეტყველებს, ლაპარაკობს მხოლოდ ენა, რომელიც დანახულსა და გაფიქრებულს აიგივებს და მათემატიკური ფორმულის სივრცეში ატყვევებს. მაგრამ ეს ფორმულა მღერის.

ალოგიკური პოეზია

მაღარმესა და მის მიმდევართა უკიდურესად საპირისპიროა ალოგიკური პოეზია, რომლის სომნაბულურ, პალუცინაციურ შინაარსებს სათავე ნახევრად ცნობიერსა და არაცნობიერში აქვთ, ან სურთ, რომ ჰქონდეთ. იგი ხშირად მიმართავს რემბოსსა და ლოტრემონს, ასევე, ოკულტიზმს, ალქიმიასა და კაბალას. ალოგიკურ პოეზიას სურს, იყოს სიზმრისეული პოეზია. სიზმარი აქ ნიშნავს ფსიქოლოგიური თვალთახედვით ძილში ნანახს ან ხელოვნურად, წამლებით გამოწვეულ ძილ-ბურანს, განსხვავებით პოეტური ზმანებისაგან, რომელიც, განსაკუთრებით თანამედროვე რომანულ ენებში, კრეაციულ ფანტაზიას აღნიშნავს, ზღვარი სიზმრის ორივე შესაძლებლობას შორის ძალზე არამყარია, უპირველესად კი, მის მხატვრულ გარდასახვაში ეს გახლავთ ზღვარი ფსიქოლოგიურსა და ესთეტიკურ პრინციპს შორის. მაგრამ ორივე ეს პრინციპი ერთმანეთს ხვდება რეალობისაგან მოწყვეტილი სუბიექტურობის გამართლებასა და იმ განცხადებაში, რომ ადამიანი თავისი ხილვების ძალით სამყაროს ქატრონია.

ალოგიკური პოეზია, ისევე როგორც ინტელექტუალური, ირეალურ ხატოვან ფანტაზიას იყენებს. იგი შინაარსებს პასიურად იღებს

სიზმრისა ან ძილ-ბურანის ღრმა შრეებში ისე, რომ მათ არ აწესრიგებს. ადამიანის წინააღდეგ მიმართული, რამდენადაც იგი „ცერებრალური ურჩხულია“ (ა. ბრეტონი), იგი მას იმ ძალასთან ათანაბრებს, რაზეც მის წინაპიროვნულ, ანონიმურ ქრისტეშემქმნელი, მას არ ჩამოართმევს კვერთხს, მისი ძალაუფლება მხოლოდ სხვაგვარად დასაბუთდება, დამახასიათებელია, რომ ალოგიკური პოეზიის ერთ-ერთი თეორეტიკოსი შალაფარდოვნად ლაპარაკობს „სულის“ დიქტატურაზე“ (ტრ. ცარა). ამ ფორმულის მთელი სიმძიმე „დიქტატურაზე“ მოდის, ის, რომ „სულს“ აქ სურს გაბატონდეს სიღრმისეულ ფენებზე, ამ დიქტატურას კიდევ უფრო ძალმომრეობითს ხდის ეს უკვე რემბოსთან იგრძნობა, ამასობაში ფროიდისა და იუნგის მოძღვრებამ უდიდესი ზეგავლენა მოიპოვა. უკანასკნელი პოეზიას განმარტავს, როგორც ბუნდოვანი „პირველხილვების“ იმპულსს, მისთვის პოეტი მხოლოდ მედიუმია, რომელიც საკუთარ თავში გაატარებს კოლექტიური არაცნობიერის მასალას. ფორმა მეორადი საქმეა. მან თავისი შედეგები გამოიღო სიურრეალისტებთან.

მათი უშუალო წინამორბედი აპოლინერია. მისგან მოდის საბელწოდება „სიურრეალიზმი“. 1908 წელს მან დაწერა ლექსი პროზად Onirocritique. სათაური ასაგნობრივებს სიზმრის (ფრანგულში ისედაც მრავალმნიშვნელოვან) ცნებას და მას სპეციალურ მეცნიერულ ტერმინად ხდის. როგორც ჩანს, გვიანი ანტიკური ხანის წერლის არტემიდორის „სიზმრის წიგნის“ (Oneirokritika) მიზმივით (მე-2 ს. ქ. წ.) ამ ტექსტის ზოგიერთ ნაწილს ვაგაცნობთ. მისი ხასიათიდან გამომდინარე, არჩევანი შეიძლება სრულიად ნებისმიერი იყოს. მნიშვნელობა არა აქვს რას გამოვტოვებთ და რას არა: „ზეცის ნაღვერდული ისე ახლოს იყო, რომ მისმა ხუნმა შეაშინა“, ორი უთანასწორო ცხოველი დაწყვილდა და ვარდის ძირის გადანაწინდნი ვაზის ფანჩატურებად იქცნენ, დამძიმებულნი მჯავრეთა კონებისაგან, მაიმუნის უელიდან ამოხეთქეს ცეცხლის ენებმა და შროშანებით შეამკეს ქვეყანა. მონარქები თავს იქცევდნენ, ოცი უსინათლო თერძი მოვიდა, რომ შებინდდა, ხეები გაფრინდნენ, მე კი გავასკეცდი. ფარა, რომელიც მე ვიყავ, ზღვასთან იქდა. მახვილმა ჩამიქრო წყურვილი, ასმა შეზღვაურმა მომკლა ოთხმოცდაცხრამეტჯერ. მილეთის ხალხს, საწნახელში ჩაპრებილს სისხლი სდიოდა და მღეროდნენ, უთანასწორო ჩრდილები სიუვარულით აშუქებდნენ აფრის შეწამულს. ჩემი თვალეები კი ამასობაში გამრავლდნენ მდინარეებში, ქალაქებში და მთების მწვერვალთა თოვლზე“.



საქმეში ჩახედული კაცი აქ რეზობს ხმა-  
შეცნობს, მის წეოდას დაინახავს. ეს ნაწარ-  
მოები Illuminations-ის აპოკრიფულ დაშა-  
ტებახვით ეღერს. თანმიმდევრული თხრობის  
ტონში ირეალური სურათები და მომხდარის  
ნაგლეჯებია გამწვრივებული. რომლებსაც ერთ-  
მანეთთან არავითარი კონტაქტი არ გააჩნიათ.  
მათი განლაგება სხვაგვარადაც შეიძლებადა.  
რთ უკლები მოქმედებთა შორის მაინც შეიძ-  
ლება რაღაც კავშირზე ლაპარაკი. იგი აბ-  
სურდული მეტამორფოზია — როგორც სიზ-  
მარში (თავი გადაიქცევა მარჯალიტად. შე-  
ლოდია — გველებად). უკლები ადამიანი არ-  
ხად ჩანს, მხოლოდ მასებია. სურათ-ხატები ასე-  
ვე — გამოთქმის წესი შეიძლება სიზმარს  
მიუხედავდეს. მაგრამ ეს ხილვების, სიმბოლ-  
იკის, გრონასუბისა და მკვლევლობების სიზმა-  
რული სამყაროა. სწორედ აქ, და არა მარტო  
ექსპერიმენტულ სიზმარულ სტილში, დევს  
ტიქსტის თანამედროვე სამატომატია.

იმის ფონზე, რაც სიურრეალისტებმა ოცი-  
ანი წლებიდან მოყოლებული თავიანთ შექმ-  
ნის, აპოლინერი დღემდე ყველაზე მდიდარი  
ფანტაზიის პოეტად რჩება. სიურრეალისტები  
საინტერესონი არიან მხოლოდ თავიანთი პრო-  
გრამით. რომელიც ნახევრად შეცნიერული არ-  
სენალით რეზობს შემდეგ დაშვიდრებულ პო-  
ეტურ მეთოდს ადასტურებს. ესაა რწმენა, რომ  
ადამიანს არცნობიერის ქაობში შეუძლია თა-  
ვისი გამოცდილება ჟეოდეგანო სიურცეში გა-  
შალოს; რწმენა, რომ სულით ავადმყოფი „შე-  
რეალობის“ შექმნაში არანაკლებ „გენიალუ-  
რია“, ვიდრე პოეტი, ეს უკანასკნელი კი ეს-  
მით როგორც უფორმო დიქტატი არაცნობიერ-  
რიდან: უოველივე ეს ამ პროგრამის ზოგიერთი  
პუნქტია. იგი ერთმანეთში ურევს დებინებას,  
თანაც ხელოვნურად გამოწვეულს — შექმნას-  
თან, მაღალი რანგის პოეზია აქედან ვერ გა-  
მოვიდა: ისეთი მაღალი რანგის პოეტები, რო-  
გორცია არაგონი და ელუარი. რომლებსაც  
სიურრეალიზმს შიაკუთვნებდნენ, თავიანთი შე-  
მოქმედებით მათი პროგრამისაგან როდი არიან  
დავალებულნი არამედ იმ ხერხთა გაბატონე-  
ბული სტილისაგან. რომელსაც რეზობდნენ  
მოყოლებული, ლირიკა ალგაიური სიზმრის  
ენად აქცია. სიურრეალიზმი შედგება და არა  
მიზეზი, ერთ-ერთი ფორმაა პრაქტიკა შორის  
თანამედროვე „ლტოლვისა მისტერიისაკენ“

ლირიკის შექრა სიზმარულ სომნამბულურ  
ბინდში მთელს ევროპაში მოხდა. ერთ დროს  
არსებული რომანტიკული სიზმარული პოეზი-  
ისაგან განსხვავებით. იგი უფრო ღრმად იჭ-  
რება იმ ზღურბლს ქვემოთ, რომლის იქით  
ფიზიკური სამყაროს ზოგიერთ ნაშთს უკანასკ-  
ნელი საყრდენის მოცემა შეუძლია. ბენის

დექსი „სიზმარი“ წმინდად სიზმრის მელოდიაა:  
აქ უცხო სახელები დაბორიალობენ/ არარეა-  
ლურად შეწყვილებული სახეები მოქმედებენ,  
ქრებიან: „დასახელებულ უკვილოა საკუთა-  
რი თავისადმი ვნებოანი სუნთქვა“ ლაიოქი-  
ლი ქალები, ძლივს და დაკავშირებულნი აღ-  
ნაგობით მწუხრში შეიძლება „თავისით“  
დექსი თავადაც ისაა, რასაც სიზმარზე ამბობს:  
„დედაშიწაზე არაფერთანაა დაკავშირებული.  
მისი სახელები... ამ სიზმრის სამყაროები, ამავე  
დროს, დასაშვებია ისევე, როგორც ქროლვა  
და ვარდნა...“

ბარსიბ ლორკას „სომნამბულური  
რომანსი“

გავიხსენოთ გარსია ლორკას სახელგანთქმუ-  
ლი „სომნამბულური რომანსი“, დაწერილი  
1927 წლამდე: „შინაარსი“ დაახლოებით ასე-  
თია: ქალიშვილი დგას მთვარის ნათელში,  
აივნის მოაჯირთან, სადღაც სხვაგან ორი კაცი  
უღაპარაყება ერთმანეთს, შემდეგ ისინიც მო-  
დიან აივანთან. ცოტა ხნის შემდეგ ქალიშვი-  
ლი მკვდარი აგდია ცისტერნაში. მაგრამ დასკ-  
ვნა, რომელიც სიურრეალისტის ნიადაგზე მკვლე-  
ლობას გადმოგვცემს, ანადგურებს ლექსს. რად-  
ვან სინამდვილეში სრულიად სხვა რამ ხდება:  
გვაქვს სომნამბულური ხლართი მოქმედებთა ოდ-  
ნავ მინიშნებულ ნაშთებისა ირეალური სურათ-  
ხატებითა და სიტყვათა ქადოქრობით. იგი რწმე-  
ბა მწვანე ფერით. ამ ფერს არაფერი აქვს საერ-  
თო მომხდარ ამბავთან, არც საგნებთან. იგი მათ-  
გან კი არ მოდის, არამედ მათთან მიდის „მწვანე  
ქარი, მწვანე ხორცი, მწვანე ომა“. იგი მაგიუ-  
რი ძალაა, რომელიც მთელ ლექსს მსჭვალავს.  
მედერი საბურველია (რამონ ხამენესის ერთ  
ლექსში La verdecilla ამდაგვარი წინასაფხუ-  
რი გვაქვს, სადაც მწვანე ფერი ასევე ირეალუ-  
რადაა განფენილი: აქ მას ქერ კიდევ მიზეზ-  
შედგობრობა გააჩნია, ოღონდ მწვანეს თა-  
ვისი წარმომავლობა ქალიშვილის მწვანე ოვა-  
ლებში აქვს. ასეთი მიზეზი სრულიად არ გა-  
აჩნია ლორკას ლექსს: გაურკვევლად და და-  
უკავშირებლად იკვეთება ლანდშაფტის ნაწი-  
ლები, ხოლო მათ შორის — მომხდარი ამ-  
ბის ნაწევრები და ადამიანის სილუეტები.  
ორჩომელი ზღვაზე და ცბენი მთაზე ორ  
სტრიქონში ერთიანდება. ეს ორი სტრიქონიც  
გამეორებულ ტონით ძალად იქცევა. ლექსის  
მხვლელობა არ არის უკიური. არამედ ლირიკუ-  
ლია, ნათქვამის უოველგვარი სიერციხეული,  
დროული, კაუზალური დამაჯერებლობის მიდ-  
მა დგას, ლექსის თემა, სიურრეალური და სიკვ-  
დილი, არც ერთი სიტყვით არაა ნახსენები.  
მაგრამ იგი უოქმულ ძალად ამოხეთქავს ესკი-



ჭერი მოვლენებიდან და საგნებიდან. დიდი მეტაფორები წარმოიქმნება: დედის ხე ტოტების ზემოთაბით ხეხავს გაზაფხულის ქარს მთა, — ქურდი ხვადი კატა — ყალბე შენებს თავის უკარება აგავებს. მოკაბის უნულის ღოღლას მკედარი ქალიშობი წელის ზემოთ უჭირავს. ცხადი მოქმედების მაგიერ, ცხადი მხოლოდ ისაა, რაც სიტყვათა და ფერთა სუვერენულ სფეროში ხდება: მწვანე ფერს, ვიდრე იგი უკანასკნელად აღდრდებოდეს, შავი შეერია — სიკვდილის ნიშანი, თითქმის აღარც ვართ მიწაზე, ისევე, როგორც ადგილებს შორის არ არის სივრცე, სივრცეს მხოლოდ ირეალური მეტაფორები ქმნის, დროც გაჩერებულა, დასაწყისში დაბნა, შემდეგ დილაა, „ათასი ბროლის დოლიო დაქრილი“, დასახრულეს ისევ დაბნა, მაგრამ უოველივე ეს არ წარმოადგენს ეპიკური დროის საფეხურებს, არამედ უსრავი დროის ლირიკული პერსპექტივებია (ისევე, როგორც ვალერიის „მართველი“, სადაც მწუხრიდან სიბნელე და მერე ისევ მწუხრი ჩნდება), ლექსის ბოლო, რომელიც დასაწყისის სტრაქონებს იმეორებს, თითქოს წრეს კრავს, მაგრამ: „იქნებ აქ სულაც არავის უვლია, არამედ რომელიღაც წამის შუაგულში სინათლის უსწრაფესი მარაო გაიხსნა“, — აქაა სურათ-ხატები, რომლებიც იმლებიან ბევრ სიმწვანეში, სადაც ახინო ჩხირებივით არიან ჩასმული (ბ. ცელტენერ-ნოიკოში). ეს დიდი და გაბედული პოეზიაა, იგი არ საჭიროებს სიწმირის ფსიქოლოგიური თეორიებით გამაროლებას.

ანტიპოეზი, „იუმორიზმი“

თანამედროვე სიზმარული პოეზია პოეტი თავისი დისონანსებით ასევე აბსურდულობისკენა მიდრეკილი უავე ბოდლერს სიზმარში მოსწონდა შესაძლებლობა, გამოიგონო აბსურდული, რადგან იგიც განაავისუფლებული სუბიექტურობის ტრიუმფია. (1939 წელს ელუარი, ისევე როგორც ჩემბო, პოეზიისაგან მოითხოვდა „ლოგიკის დარღვევას აბსურდულობამდე“ ბრეტონი უფრო შორს წავიდა, მან გამოაცხადა, რომ მხოლოდ აბსურდულს აქვს პოეზიის უნარი.

ამ სფეროში შედის გროტესკული ლექსები, როგორცაა, მაგალითად, რ. ალბერტიხა, ასევე, უველა ის ნაწარმოები, რომლებიც საფრანგეთში ძნელად ხათარგმნი სახელითაა — („humour noir“) — ცნობილი, ეს გახლავთ

უხადრო იუმორი და ანტიპოეზი პოეტის გროტესკული, უსწრაფესი დალიკალიზმად გვევლინება. ფრაგმენტული დაქვემდებარებული სამყარო, უცნაური უკარგულე — მადეფორმირებული სტრუქტურისა და მომენტების გომეზ დე ლა სერნამ დაწერა თანამედროვე „იუმორის“ თეორია, რომელსაც იგი „იუმორიზმს“ უწოდებს. საინტერესოა, რომ ამ თეორიაში, ისევე როგორც ფრანგების სხვა მსგავს თეორიებში, გვაქვს მადეფორმირებული სტილის უველა ნიშან-თვისება და, მაშასადამე, თანამედროვე ლირიკის უდიდესი ნაწილის მახასიათებლებიც. მოკლედ შევაჯამოთ: „იუმორი“ აბსურდულს სინამდვილეს იმით, რომ უველაზე დაუტერებულს იგონებს, დაშორებულ დროსა და საგნებს ძალით აკავშირებს. უოველივე არსებულს აუცხოებს, ცას გლუვს და აღაჩენს „სიყარელის თვალშეუდგამ ზღვარს“, აღამიანსა და სამყაროს შორის დისკომონიის გამოხატულებათ, შეფერა არარსებულისა როგორც ვხედავთ, აქ სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე პოეტის ერთ-ერთი ვარიანტი.

რეალობა

კიდევ ერთხელ გავიხსენებთ რეალობის საკითხს, რომელსაც ჩემბოა შემოქმედების განხილვისას შევებეთ და — კვლავ ევროსტიკულად, ეს საკითხი ამხვილებს მზერას იმ უფლებამოსილებებზე, რომლითაც თანამედროვე პოეზია სამყაროს სახეს უცვლის, ანგრევს, ან სრულიად უარყოფს მას.

პეოსე სალუტინის პოეტიკა და მხატვრისათვის სამყაროს მიმართ ძალაში რჩება ის გამოცდილება, რომელიც ბოდლერმა გამოხატა სიტყვებით: „სამყარო, ერთდროვანი და პატარა, დღეს, გუშინ, ხვალ, მუდამ...“ მაგრამ ასევე ძალაში რჩება ის, რაც ჩვენ აღვწერეთ როგორც სიხლის დიალექტიკა: ლტოლვა უსახრულობკენ, უხილავისკენ ან შეუცნობლისკენ ეჯახება ცარიელა ტრანსცენდენტოასა და რეალობაში დამანგრეველ უკუდარტმად შემოიქცევა, დღევანდელ ლირიკაზე მსჭელობისას შეიძლება იმდენად ვილაპარაკოთ ცარიელ ტრანსცენდენტოაზე, რამდენადაც იგი არ არის კონტუესიონალური ლირიკა, მაგრამ რომელსაც საკუთარი ხაეჭვობა გააჩნია, ვილიენის პოეზიაში, მართალია, აბსოლუტი სინათლე და გომეტრიული სრულყოფილებაა, მაგრამ შინაარსობრივ განსაზღვრულობას ვერ იძენს, უველგან, სადაც ლირიკა იდეალობას ეხება, ჩნდება სრულიად განუსაზღვრულის აღმნიშვნელები, ან შიშველი იდეალების სიმბოლოები.

დღევანდელი ლირიკის სამყაროსთან მიმართება მრავალქერადია, მაგრამ მას უოველივის

1 ჰელნორეა, ძლიერ წაავას ალოვის სითარტმ, შინაშენა).



ერთი და იგივე შედეგი მოაქვს: რეალური სამყაროს ღირებულებათაგან განძარცვა, როგორც რომანში, ასევე ლირიკაში, რეალური სამყარო ცალკე მოვლენებად დაშლილი, რომლებიც პედანტური სიზუსტითაა დაქვრივნი, და მთელის ადგილას დასწული. ასეთი მოვლენები შეიძლება რეპორტაჟულად გადმოცემულ: ნედლ ფაქტებად მოგვევლინოს, როგორც ბ. სენდრანის ლექსებშია. მის ერთ პოეტურ კრებულს Documentations ჰქვია. თავდაპირველად მას Kodak ერქვა, აქ სამყაროს ისე ძლიერაა გაბათილებული, რომ შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს იგი საერთოდ აღარ ეკუთვნოდეს ადამიანს. მედიალური ლირიკა, რომელიც საგნებისა თუ ლანდშაფტების მეშვეობით ადამიანის ნათელ სულს ამეტყველებს, თითქმის აღარც არის. ისევე, როგორც წინათ, ფლობერის, ხოლო დღეს, ჰემინგუეის რომანებში, ლირიკაც გარე სამყაროს წარმოგვიდგენს, როგორც ადამიანთან დაპირისპირებულ, დაუმუშავებელ წინააღმდეგობას. ობიექტურს უპირველესად ბანალურსა და დაბალში ეძებენ, რადგან აქ მისი ტვირთი ბევრად უფრო საგრძნობია და ადამიანს კიდევ უფრო მარტოსულს ხდის. დიდი ქალაქის სიბინძურე, არუთ ხიზვრადე, ტრამვაის ლიანდაგები, სალუდეები, ფაბრიკის ეზოები, გაზეთის ნაგლეჯები და სხვა. უფრო ხშირად გვხვდება კარგ ტექსტებში, გამსჭვალული იმ „გალვანური შიშის ზარით“, რომელსაც უკვე პო და ბოდლერი მიმართავდნენ თანამედროვე ყოველდღიურობის „გასალირიკულებად“. სიმბინჯე, რემბოდან მოყოლებული დინამიურ, ამგზნებ საშუალებად ქცეული, ინარჩუნებს თავის ბატონობას. შევჩერდეთ ბენის ერთ ლექსზე — „სურათები“. იგი შედგება ერთადერთი რთული ქვეწყობილი წინადადებისაგან. მისი დანაწევრება არ ხდება წინადადების ფორმალური საშუალებებით (პირველ, მეცამეტე და მეთხუთმეტე სტრიქონში შეფარული პირობითი წინადადება, ბოლო წინადადებაში „ხედავ შენ“... „შენ ხედავ“... „ასევე შეფარული მთავარი წინადადება). მთელი სიმძიმე აქ შინაგან მხარეზეა გადატანილი და ბოლომდე შემონახულ ტონთა ცვლაზე. ამ ერთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში თავმოყრილია სიმბინჯის, ავადმყოფობის, დაცემულობის სურათები, რათა მკითხველი დაარწმუნოს, რომ ისინი, ყველანი „დიდი გენიის“ კმნილებები არიან. დაცივდა, თუ სიმბინჯის რაღაც ზესამყაროს ნიშნად მიჩნევა? ალბათ, უკანასკნელი. წყნარი საზეიმო განწყობილების ტონი, განუსაზღვრელი ტრანსცენდენტია, ნაგულისხმევის ორაზროვნება. და ყველაფერი ეს სიმბინჯესთან გაჭერებულ სურათ-ხატებშია მოცემული, რაც სრულიად

სხვა რამეა, ვიდრე მშვენიერთან დაპირისპირება: ყველა ამ ნიშნით ადვილად ცნობა თანამედროვე ლირიკის.

ფაუნისა და ფლორის არჩევანს მდებლისკენა მიმართული, „დაფნაჲ დაღუპულნი იუოს პოეტური“. — ვკითხულობთ: გაჩნდა უფროკასთან, აქ შეხვდებით წყალმცენარებს, ხიოსს, ხახვს, ყვავებს, ლოკოკინებს, ობობებს, თრაკსს გამოჰყავს ანგელოზები, რომელთა ქუთუთობიდან „ქიები წვეთავს“ ამას კარგად ეხამება ხარტრის ერთ რომანში სიცოცხლის შედარება ფესვებთან: გოეთესათვის ფესვები აღრეული უფორმო უწესრიგობაა, რომლისთვისაც „ზეაქრა სამუდამოდ მოკვეთილია“. მონტალე თავისი ლექსების კრებულს ასე ასათურებს: „მელანთევზას ძვლები“. მისი ერთ-ერთი საუვარელი სიტყვათაგანია „უხეში“, იგი ლაპარაკობს „მრუდე მარცვალზე, რომელიც ხმელია ტოტივით“. არაორგანული, ისევე როგორც ბოდლერთან, აქ გვევლინება სიცოცხლეს აღმატებული გონითობის ნიშნად, როგორც ვალერიისთან და გილიესთან გვხვდება. მაგრამ იგი, ასეთი ამალეებული მნიშვნელობის გარეშეც, ნებისმიერად გვხვდება ცოცხალის გვერდით ან მის შიგნითაც. მონტალეს ერთი უხათაურო ლექსი — აღწერს გამომშვიდობებას; გვაქვს მხოლოდ სრულიად განუსაზღვრელი „შენ“. როგორც ადამიანის ნაშთი, მთელი გამომსახველობა ეკისრებათ ავტომატებს, რომლებიც „ძალით შემოტენილნი, დერეფნებში ანათებენ“. — და „ჩქარი მატარებლის ხრინწიან ლიტანიას“.

ბ. ს. ელიოტი

მალარმესა და, შემდგომ, ვალერის პოეტიაში ფრაგმენტის ცნებამ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. იგი გულისხმობს ხილულში უხილავის მაქსიმალურ მხატვრულ წარმოყვანას, რომელიც ხწორედ თავისი ფრაგმენტული ხასიათის გამო წარმოაჩენს უჩინარის აღმატებულობას და ხილულის უკმარისობას. ფრაგმენტულობა დღევანდელი ლირიკის თვისებად რჩება. ეს განსაკუთრებით ნათლად მოჩანს მეოთხედში, რომელიც რეალური სამყაროდან მხოლოდ ნაგლეჯებს იღებს, საკუთარ თავში გულმოდგინედ გადაამუშავებს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ ამ ნაგლეჯთა შედაპირი ერთმანეთს მიესადაგოს. ასეთ პოეზიაში რეალური სამყარო მძიმე ბზარების ძარღვებითაა დახერილი და აღარც არის რეალური. აქედან პირდაპირი გზაა ელიოტამდე. მის ლირიკულ ნაწარმოებთა კრიტიკული ინტერპრეტაციები ზოგჯერ ისე სცილდება ერთმანეთს, რომ მათი გაერთიანება შეუძლებელი ხდება.



სრული თანხმობა მხოლოდ ერთშია, სახედობრ, რომ ეს უცნაურობებით აღსავსე შემოქმედება მომწიფებული მიმწიფელობისაა თავისი ელერადობით. იგი დაუვიწყარი, თუმცა არავითარ შემთხვევაში მრავალხმიანი მარმონიული ელერადობაა. ენა გაივლის, უოველოვის მოულოდნელ, სრულიად განსხვავებულ მოდულაციებს: მშრალი ანგარიში, დაღვრემილობა, დაკვირვება, ფლიტის მსგავსი მელოდია, ზოგჯერ კათოსი, შემდეგ კვლავ ირონია, სარკაზმი, აჩქარებული სასაუბრო ტონი. ეს პოლიფონია უოველ დიდ ლექსს უფრო მეტად კრავს, ვიდრე ამას გონითი ან ხულიერი სიტუაციები ახერხებენ, რომლებიც ლექსებს საფუძვლად უდევს, ისე ღრმად უდევს, რომ დღემდე ვერაიან შეძლო ეთქვა, რაში მდგომარეობს იგი. მართალია, ზოგიერთი თემა შეიძლება გამოვყოთ, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის დაობლება დიდი ქალაქის უდაბნოში, წარმავლობა, რეფლექსიები ღრის ფუნქციებზე, სამყაროს გაუცხოებაზე, მაგრამ ამგვარი თემები მის ლექსებს უფრო ფრთას გაქრავენ, გადაუქროლებენ, და ვერ ვიტყვი, რომ ისინი ამ ლექსებში ისაა, რასაც ელიოტი მხატვრულ ემოციას უწოდებს და რომელიც ესმის როგორც რაღაც სრულიად არაპროვინული რამ, იგი მიიწევს „თეთრსა და ცისფერში, ზღვის ფერებში, და უბანალურეს საგნებზე ლაპარაკობს“, როგორც ამას „დიდი ოთხშაბათი“-ს ორი სტრიქონი გვეუბნება, ემოცია იქრება „საგნობრივ შესატყვისობაში“, მაშასადამე, სურათხატებში, ადამიანურ და საგნობრივ პროცესებში, მაგრამ რომელი სურათები და პროცესებია ეს? ელიოტმა ერთხელ შენიშნა, რომ თანმედროვეობის არსებითი ნიშანია სწრაფწარმავლობა და უკიდურესი დაპირისპირებულობა. სწორედ ეს ნიშნები ახასიათებს მის პოეტურ ტექნიკასაც. იგი, როგორც ითქვა, თანამედროვე ცივილიზაციას ესადაგება, რომელიც თავისი სირთულეებით, წინააღმდეგობებით და ნერვიული განცდებით ისეთ პოეზიას მოითხოვს, რომელიც ტევადი იქნება, მაგრამ მხოლოდ მიწიშნებით ილაპარაკებს და ამიტომ, ცხადია, რთულიც იქნება.

„უნაყოფო მიწის“ დასაწყისში ასეთი ბწყარია: „რადგან შენ იცი მხოლოდ დამსხვრულ სურათთა გროვა“, და დასასრულს: „ეს ფრაგმენტები მე ჩემს ნანგრევებს შევუყენე“. ეს შეიძლება ფრაგმენტარიზმის აღიარებად მივიჩნიოთ. იგი ელიოტის ლექსების კანონია, განსაზღვრავს გამოთქმებს, რომლებიც იწყება მოკლე თხრობით. შემდეგ ანაზღად წუდება, შინაგან მონოლოგში გადადის, რომელსაც სრულიად დაუკავშირებელი წაფენილი ციტატი წევრებს, თავის მხრივ, მოჰყვება ორი უკონ-

ტურო პარტნიორის საუბარი; რაც სტრიქონთა ერთ ჯგუფშია ნათქვამი, შემდეგ წაწევრდება, ან დავიწყებას ეძლევა ასევე სურათხატები და მოქმედებები პეტროგლიფული წარმავლობის ნაწევრთა მხატვრული და სივრცის გარეშე. ქიიბ ~~მხატვრული~~ გაზის მოწყობილობა, ვირობები, ავტომანქანები, ლონდონის ნისლი, ხმელი ფოთლები და ისევ ნიშნები, ტირენია, ძვირფასი ოვლები; მაგრამ წვერგაუპარსავი სმირნული ვაქარიც — უველაფერი ეს ქაოსურადაა ერთმანეთში არეული. ოფიციალის გვერდით ანაზღად გაივლებს აგამემნონის სახე, River Plate ამავე დროს, არის Sacre Coeur; კულტურის სივრცეებიც ერთმანეთში ერთდროულადაა წაფენილი. ლექსს Four Quartets ელიოტი ნოემბრის ერთი დღის აღწერით იწყებს: „ეს არ იყო მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელი ასახვა“. შემდეგ იგივე მოტივი სრულიად სხვაგვარ სტილში გვევლინება და სრულიად სხვა შინაარსი მოაქვს: ესაა მხატვრული ხერხი, რომელიც ლორეამონისაგან მოდის, ამავე თხზულებაში მეორე ნაწევრები შთავრდება სენტენციის მსგავსი სტრიქონით: „თავმოდრეკილობის სიბრძნე, თავმოდრეკილობას არ აქვს დასასრული“. ამათ მოჰყვება სრულიად დაუკავშირებელი ორი სურათი: „უველა სახლი ქრებოდა ზღვაში, უველა მოცეკვავე ქრებოდა ბორცვში“, დასასრულს მოჩანს იდუმალი კავშირი ახლანდელ მოყვანილი სენტენციის შინაარსსა და ობიექტად მომხდარ ამბავს შორის (სადაც სახლებსა და მოცეკვავეებზე, სადაც, სულ სხვაგან იყო ლაპარაკი), მაგრამ სავარაუდო კავშირი შეღავნდება აზრისეულისა და მომხდარის ერთმანეთის გვერდით მკაცრ, დაუკავშირებელ განლაგებაში. კავშირი აქ მიწიშნებულია სრული დაუკავშირებლობის საშუალებით.

რა სამყაროა ეს უველაფერი? „უნაყოფო მიწაში“ ხშირად გვხვდება სიტყვა „არანამდვილი“. „დიდ ბუთშაბათში“ ლაპარაკია „დიდი სიზმრის გაუშიფრავ ხილვებზე“ და „მოუსმენელ სიტყვაზე“. ეს უველაფერი ერთიანდება, ასეთმა თხზვამ არ იცის, რასა იქმს, „სიზმრის“ განმეორებულებელი უფლებამოსილებებს ძალით შეაშუქოს იდუმალებანი, რომლებსაც იგი, ვიდრე რეალურია, ვერასოდეს გამოასხივებს. ენის მაგიური მრავალფერადობა უთქმელთან ახლოს დგას და მას ხელეწიფება უუროსთვის მიუწვდომელი სიზმრის მუსიკა მხოლოდ ადვილად მსხვრევადი სიტყვებით დაიჭიროს.

სენ-ჟონ პერსი

რეპზოს გრძნობად იდეალობაზე ზემოთ გვეკონდა საუბარი. ეს ცნება სენ-ჟონ პერსის



შემოქმედებასაც ესადაგება. მისი ლექსები ზი-  
ნარსობრივად ძნელად მიხაზვედრია. - პიზნები-  
სა თუ უხალმუნების მსგავსი გრძელი ლექსები  
შკიოხველს კომპიური ზვირთებივით ატელება  
თავს. მისი ტექნიკა და ენოთუნიასში გვაგონებს  
უოღატ უიტმენს. საზეიმო ედერადობით ჩაი-  
ლიან გრძნეული სიტყვები, მჭიდრო თანმიმ-  
დევრობით მოაქვთ ახალ-ახალი სურათ-ხატე-  
ბი, რომლებიც შკიოხველის ფანტაზიას ერთ-  
ნაირი ძალით აღაგზნებენ და თავგზასაც უბ-  
ნევენ. არც ერთ მათგანს არ უწერია სიმშვი-  
დე, სული და სამყარო ზვირთდება, ირწევა  
აქაფებულად. ეს უცხო კოსმოსია, „განდევნის  
ადგილია“. რამდენადაც რეალობას შეიცავს,  
იგი უცნობი და უცნაურია, ეგზოტიკური ქვეყნე-  
ბიდან მოდის უკვალოდ გამჭრალი კულტურები-  
დან, იშვიათი მითებიდან. ამ პოეტის ერთ-ერთ  
თავისებურებაა ფანტაზიის გამონაგონში  
დამტკიცებადი ფაქტების ჩართვა, მაგრამ ეს  
ფაქტები ისე შორიდანაა მოტანილი, ისე ანო-  
მალურად, ან მხოლოდ გავრით თქმული, რომ  
მათი რეალური ღირებულება იჩქმალდება და  
ისინიც „არც ერთი ნაპირისთვის განკუთვნილი  
სიმღერის“ მელოდიად გარდაისაზებიათ. უსას-  
რულოსკენ ბუნდოვანი სწრაფვა მკვეთრ კონ-  
ტრასტშია გრძნობადი. შხამით ამოქმული დე-  
ტალების ზუსტ მონაცემებთან, უპირველესად  
ცხოველის უნოსვის სფეროდან, მაგრამ თვით  
ეს დეტალებიც გაიდუმალებულია. ზოგჯერ  
საზღვაოსნო, სანადირო, ბოტანიკის, მედიცინის  
სპეციალური ლექსიკით. რომელთა გასაგებად  
ფრანგი მკითხველიც კი იძულებულია სპეცია-  
ლურ ლექსიკონებში ჩაიხედოს. უმცობესია,  
ასეთი ლექსიკა უცხო საკრავის მელოდიად აღ-  
ვიქვით დეტალებსა და უფორმო უსასრულო-  
ბას შორის სრულიად გამიზნულად იქარგება  
საგნის, ღანდშაფტის, სიტუაციის მოლიანობა  
Eloges-ს ერთი ადგილი ასე შეიძლება შევაქა-  
მოთ: შუბლი უვითელი ზელებით დაფარული,  
მოგონება „ისრებისა, გატუორცნილისა ფერთა  
ზღვაში“, მუსიკის გემები სანაპიროსთან.  
ლურჯი ხის მთები: „მაგრამ რა დაემართონ  
გემებს? ძალშებად იქცნენ!“ შემდეგ: „ზღვა  
თვინიერი და უხილავ მგზავრობათაგან მონა-  
ზულეებული, ერთმანეთზე დაწუობილი. რო-  
გორც ზეცა ბაღებზე, სივდებოდა ოქროს ნა-  
უოფით, იისფერი თევზებოთა და ჩიტებიო  
სურნელებანი საზეიმო სიმაღლეებიდან აღიან  
„და მამაჩემის ბაღში, დარიჩინის ხის წყალო-  
ბით, ირეოდა ქაოსურად სამყარო თვალის-  
ნომკრელ მბრწყინავ ქერკლსა და ჩაქვის პე-  
რაგებში“.

ქაოსური სამყარო, სადაც ადამიანი თავგა-  
დასივალის მაძიებელია უველა დროსა და  
სივრცეში, მეფეა, რომელიც ფეხდაუდგმელში

შეიღწევს. „ლექსად რეა. ამიტომ აქვს  
მის ერთ პოეტურ ნაწარმოებს („ანაბაზისი“)  
„ალექსანდრულ“ დაშქრობა“ ხათურად. მაგრამ  
დამპყრობმა: უველაფერი, აქაფდენ არსებული,  
უნდა დაანგრიოს Plures-ის ერთი უძლიერესი  
ადგილი გვატუობინებს. *ქვემოთადაც* დაქა  
გულმარჩადს თვალზე, *ქვემოთადაც* უკუ-  
ბინა. ნიჭიერებისა: ვადარცხეთ ხალხთა ის-  
ტორია; დიდი ანაღები და ქრონიკები, ვადარცხ-  
ხეთ მოგონებების დაფები, ვამოურცხეთ ადამი-  
ანს გუდიდან ადამიანის უღამაზესი სიტყვები...“.  
რადგან დამპყრობი არავის „მოათხრევიანებს  
თავს ღვინითა და ადამიანის ტირილით“. სა-  
დაა მისი მიზანი? სენ-ჟონ პერსიც არ გვაძ-  
ლევს არავითარ პასუხს. იგი ღამარაკობს მხო-  
ლოდ უხამშობლობაში ვაქრაზე „რაც შეიძ-  
ლება შორს დაბდების ადგილიდან“ — და  
„არასოდეს დაწერილ ლექსთაგან“. იგი სავ-  
სებით ეშთხვევა რემზოს სქენას: ინტიმურის  
წერევა შეუცნობლისკენ სწრაფვისათვის; მაგ-  
რამ „შეუცნობლის“ პირისპირ ენა უშტუუნებს:  
ენას უჩვეულო ედერადობა ძალუძს სიტუ-  
ვითა სიღრმისეული ფენებიდან, რომლებიც  
უფრო დუმილსა და სივითესთანაა წილნაყარი.  
ისევე, როგორც რემზოსთან, აქაც სურათ-  
ხატების დიდი სიჭარბეა. რომელთაც თუშცა  
გრძნობადი თვისებები არ აქლიათ. მაგრამ  
აღარცერთ სინამდვილეს აღარ ვანეკუთვნიბი-  
ან. რამდენიმე ციტატს მოვიყვანოთ: „ზღვა მე-  
ღუზის კრუნჩხვებში“; „ტაიფუნების შავი  
მატელი“; „ზის მწვანე დრუბლიდან წოვს ზე-  
ცა იისფერ წვეწს“. ადამიანი, რომელიც ღი-  
ლის ცას ავირდება, „ნიკას დააურდნობს  
უკანასკნელ ვარსკვლავს“. „სულის სიმყრალე  
მარხლის ტყაცუნში, ცოცხალი კირის რძეში“;  
„მათემატიკა, დაკიდული მარხლის აისბერგებ-  
ზე“. სურათ-ხატის უველა ნაწილი გრძნობადია,  
თავად სურათ-ხატები კი, შეუთავსებელია შე-  
თავსების გამო, ირეალობაა, გრძნობადი ირე-  
ალობა. უცნაურია, რომ სენ-ჟონ პერსი თავის  
სურათ ხატებს ასე ხშირად ურცევს „მარხლს“,  
ამას რემზოც ავეთებდა. აქ სტრუქტურის იძუ-  
ლებაა, როგორც ლოტრეამონთან („ხერხი-  
ბი“), ელუარსა და პიკახოსთან კვლავ რომ  
ვხვდებით? ამ იძულების დადასტურება მო-  
ხერხდებოდა, ეს „მარხლი“ რომ ალქიმიური  
მომღვრებიდან მოდიოდეს, სადაც იგი, გოგირ-  
დისა და ვერცხლისწყლის გვერდიო, ბუნების  
თაურელეშმენტაა.

სენ-ჟონ პერსი ულიოტმა ინგლისურად თარ-  
გმნა, უხვარეტამ — იტალიურად, ესპანელმა  
გილიენმა კი ღირსეულად დააფასა. 1829 წელს  
მოფშანსტალმა პატარა წინასიტუვაობა დაწერა  
„ანაბაზისისათვის“. აქ მან მალარმეს, ვალერი-  
სა და სენ-ჟონ პერსის უწოდა „კრეაციული



ინდივიდები, რომლებიც თვითონ ტყორცნიან საკუთარ თავს ენაში. რასაც ფრთად საყურადღებო შენაშენა მოხდევს: „ახეთი იყო ურველუფის ლათინთა მიახლოება არაცნობიერთან, იგი არ ხორციელდება გერმანეული სულისთვის დამახასიათებელი. საკუთარ თავში ნახევრად მეოცნებე ნეტარი თვითჩაძირვით, არამედ აქ ობიექტების ერთმანეთში აღრევაა. წესრიგთა დარღვევაა. „ბუნდოვანი და ძალმოძრეობითი თვითმოჭადრებაა. სიტყვათა და რიტმთა მაგიის შეშვეობით“.

დიქტატორული ფანტაზია

პოფმანსტალი ამ პოეტებს „კრეაციულ ინდივიდებს“ უწოდებს. ამას ხელახლა მივყავართ ცნებასთან, რომელიც რემბოსთან დაკავშირებით გამოვიყენეთ. სახელდობრ, „დიქტატორულ ფანტაზიასთან“. რადგან, დღევანდელ პოეზიაშიც იგი რეალური სამყაროს გადასხვაფერების და ნგრევის მიზნად რჩება, თანაც ისე ძლიერ, რომ მისი ქმნილებები შეიძლება მხოლოდ ვერტიკალურად და არა ხინამდვილისა და ადამიანის ნორმალური მდგომარეობის მიხედვით შევაფასოთ. მართალია, ლირიკაში ურველთვის იყო წაშლილი განსხვავება „არის“ და „ახეთად ჩანს“ შორის. მაგრამ მისი მასალა პოეტის სულს ექვემდებარებოდა, ახალი კი აქ შეზღვევია: კრეაციული ფანტაზიისა და თვითმპყრობელი ენისმიერ შექმნილი სამყარო რეალური სამყაროს მტერია. ბოდლერის ცნობილი თეორია, რომლის მიხედვითაც ფანტაზია იწევს დანაწევრებითა და დეფორმირებით, რათა საკუთარი კანონებით ხელახლა შეაკავშიროს, დასტურდება არა მხოლოდ მე-20 საუკუნის პრაქტიკაში, არამედ თავად პოეტების, ასევე, სახვითი ხელოვნების შემოქმედთა გამონათქვამებშიც, რომლებიც აშკარად გამოირჩევიან აგრესიული ან ნეგატიური ხასიათით. გარსია ლორკა ხიმუნესზე წერს: „როგორც წმინდა და დიდი კრილობა დატოვა მისმა ფანტაზიამ უბოლოო სითეთრეში“ ორტეგა-ი გახეტი შენიშნავს: „ლირიკული სული ბუნებრივ საგნებს კრილობას აუენებს, ან კლავს“. დიეგო პოეზიას უწოდებს იმის შექმნას, რასაც ვერასოდეს ვერ დავინახავთ. პრუსტი წერს: „შემოქმედი ისევე მოქმედებს, როგორც მაღალი ტემპერატურა, რომლის შემოქმედებითაც ატომთა კავშირი იშლება და სრულიად სხვა ჩვეულებად იკვრება“. ბენი ლაპარაკობს დასავლურ სულზე და მასში ხელოვნებასაც გულისხმობს: „სიცოცხლისა და ბუნების დანაწევრება და ხელახლა აგება ადამიანური კანონის მიხედვით“. პიკასო ბატვას ბრმათა ხელობას უწოდებს და ამით გულისხმობს ხელოვნების თავისუფლებას ობიექ-

ტური რეალობის გათვალისწინებისაგან. მე-19 საუკუნის ბოლოდან ფანტაზიის მნიშვნელობის ზრდა, მე-20 საუკუნეში მისი რეალური დიქტატორით დაგვირგვინდა. ლირიკის მხოლოდ იქცა წმინდა ფანტაზიის მიერ შექმნილი, ხინამდვილის უარყოფელი, მხოლოდ ვერტიკალური სამყაროს ენად.

დიქტატორული ფანტაზიის შედეგები

შინაარსობრივ და ენობრივ-ტექნიკურ შედეგებზე, რომელიც ასეთი თხზვის მბრძანებლურ პრინციპებს მოაქვს, აქ ორიოდ სიტყვით შევჩერდებით.

ლირიკაშიც ინგრევა სივრცე, კარგავს თავის დაკავშირებულობას და ვანჰომილებათა ნორმალური მიმართულების წესრიგს. შილერმა ერთხელ ერო ლექსს ნაკლად ჩაუთვალა, რომ ჯერ მათთა ქობაზე და მერე იქვე, ველზეა ლაპარაკი; სივრცის რეალური დანაწევრებულობიდან ამოსვლით, იგი ამას შეცოდებად მიიჩნევდა, როგორც ნახტომს, რომელიც „ურთიერთკავშირის სამყაროს“ სკობს და მკითხველს შეუძლია მიუბრუნდეს შემოთ მოყვანილ ხენ-ფონ პერსის და ელიოტის ციტატებს, რათა დარწმუნდეს, თუ რა ძლიერ იქრება თანამედროვე ლექსი. ურველგვარი გადასვლების გარეშე, სივრცის ერთმანეთისგან წარმოუდგენლად, დაშორებულ ნაწილებში, ორაკლთან ვკითხულობთ: „ვარსკვლავთ თეორი პერანგი სწავს მის მატარებელ შერებს“. ვარსკვლავთა ამ სრულ შერწყმაში ადამიანის ფიგურასთან სივრცის როგორც ასეთი, საერთოდ მოხსნილია. აპოლინერის „ზონაში“ უველა სივრცის ერთდროულობა ბატონობს: პრადა, მარსელი, კობლენცი, ამსტერდამი ერთსა და იმავე გარეგან და შინაგან მოვლნათა ერთდროული ხანახაობრივი მოედანია, უშეტეს შემთხვევაში, საერთოდ არ არის არავითარი მითითება ადგილისა, ან თუ არის, შებრუნებულადაა გამოყენებული. ვალერისთან ზღვას სძინავს საფლავებს შემოთ: რა ლბერტისთან „ვარსკვლავს შემოთ ქარია და ქარს შემოთ — აფრა“. ამას ემატება სხვა რეალურ წესრიგთა შებრუნება: „ქაერმა ამონისუნთქა მწარე ფოთოლი (კვაშიმოდო). „ბნელ, შეხებად სინესტეს ბიდების სუნი ახდის“ (გილიენი). ბოლო მაგალითში, ამავე დროს, ისეთი მოვლენაც გვაქვს, რომელსაც შეიძლება გადასმული ზედხართავი ვუწოდოთ: „შეხებადი“. რომელიც წესით ხიდს უნდა ეკუთვნოდეს, გადაიქცევა თითქმის არამატერიალური სინესტის მახასიათებლად. ეს მხატვრული ხერხი (უკვე ანტიკურ რიტორიკაში ცნობილი, როგორც დასაშვები, მაგრამ და-



ლიან ფრთხილად გამოაყენებული სტილის ფიგურა). რეზობადან მოკლებული ძალიან გავრცელებულია და აღეს მას ეველგან შესვდებიო. რადგან იგი უპირატესად ირეალური ხლართების შესაქმნელად. მაგრამ ასევე გადაადგილებული სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრებლადაც შეიძლება ეფექტური საშუალებაა „მოხუცი ოქროს ხაათით ძაღბში“ (პრევერი). ნაცვლად გამოთქმისა — „მოხუცი ძაღბში“ „ტანჯვით ხავსე შტო და გამზმარი გული“ (ბიშენესი) „გამზმარი შტოს“ მაგერ და ა. შ.

დროსაც ანობალიური ფუნქცია ეკისრება ზოგჯერ იმით, რომ იგი ხივრცის ერთგვარ მეოთხე განზომილებად გვევლინება, რითაც ის, რაც დროით განცალკევებულია, რაღაც წამით შეერთდება, რომელსაც ერთადერთი მხატვრული ხივრცე შეენატყვისება. ეს ელიოტის დავინანტით ზოგჯერ კი იმით, რომ დროის თვისებები ხივრცის თვისებებადაა გამოყენებული: მაგ., ვაღერის „მალი ხარკე“ ეველაზე გავრცელებულია დროის დანაწევრების სრული უარყოფა. უფრო სტიცი — ზოგჯერ თვით დროისა ხაერთოდ. ეს უპირატესად იმგვარად ხორციელდება, რომ ლექსი დროის მონაკვეთებს შორის ნებისმიერად იცვლება ისე, რომ მისი შინაარსი ასეთ ცვლას სრულიად არ უსადაგება. ზმნის დროის აღნიშვნელი ფორმები აქ მხოლოდ დავანებულის, ან დროის ნიღმა მდგომის ლიოიკული პერსპექტივებია, ან მხოლოდ ენის ავტონომიური მდინარეებისათვის ხაჭირო ტონისა და რიტმის ვარიანტებია. მაგრამ არის სხვა საშუალებებიც მ ლ კაშნიცის ლექსში — Genazzano პირველი ხუთი სტრიქონი უზმნოდ, მხოლოდ არსებითი სახელებით ქმნის რეალური მოქმედების შთაბეჭდილებას: პატარა მთის ქალაქისკენ ცხენით ასვლა; შემდეგ ჩნდება ზმნები. მაგრამ როგორღაც, ზედროულ იმპერფექტში, რომელიც ითავსებს დროის სხვადასხვა საფეხურს (მათ შორის მომავალსაც); მათში უკვე შეიძლება შენდგობი, იღონდ სიზმარეული მოვიაზროთ, თუკი მათი „მოაზრება“ აუცილებელი გახდება. მაშასადამე, რეალური, ემპირიულ დროში მიმდინარე მოქმედება დროის გარეშე წარმოგვიდგება, ირეალური კი პირიქით — მოელა რიგი ზმნებით, მაგრამ მათი საფეხურები წმინდად ირეალურია, რადგან ისინი, წარმოგვიდგენენ რა მომავალს წარსულად, მათ შორის განსხვავებან შლიან.

გარსია ლორკა რვაწვარიან ლექსში „მონადირე“ ოპტიკური შეჭამების ხერხს მიმართავს. ოთხი მტრული ზეაიქრება და უკან ბრუნდება „ჩრდილებდაჭრალი“ ისინი მიწაზე ურთან, უძუნწესადაა დახატული მთელი

მოქმედება, რომლის მიზეზობრივ კავშირი არ არის ნათქვამი მას ცვლის უწყნარო კავშირი „და“ ასევე ხივრცის ცვლილებადღედამიწა). რაღაც წამს ენა ფიქოს უახლოვდება განწირულებს („მეჩქრეწეწე“ შტო იქვე ანელებს იმით, ტყვს მდგომარეობა მხოლოდ ჩრდილია. სურათ ხატისა და ხივრცის ცვლის მიზეზი არსად ჩანს: მონადირის გახროლა. ამას გარდა, დახაწყისი და ბოლო აწმყო დროშია მოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მოქმედება დროის სხვადასხვა მონაკვეთს განეკუთვნება, ან განეკუთვნებოდა, იმ შენობვევაში, თუ ლექსი რეალობას ანგარიშს გაუწევდა. მაგრამ იგი ფანტაზიის მიერ შექმნილი მოძრავი ხატია, რომელიც ამ მოვლენაში რაც შეიძლება მეტს გამოტოვებს, მათ შორის, დროსა და მიზეზ-შედეგობრივ დაკავშირებულობას. ეს ლექსი მოვიყვანეთ კაუზალობის უკუგდების ერთ-ერთ მაგალითად უთვალავს შორის მაგრამ შესაძლებელია საპირისპიროც. ელიოტის ერთ ლექსში კიონხულობთ: „წადი, თქვა ფრინველმა, რადგან ფოთლები ხავსე იყო ხავსეებით“. ლექსში მოჩვენებითი კაუზალური კავშირია დაუკავშირებელია შორის წმინდა ფანტაზიის ძალით, სტრიქონის მეორე ნახევარში ნათქვამი ფრინველის ძახილის „საფუძველია“ ის, რაც ძველ ლირიკაში შესაძლებელი, მაგრამ იშვიათი იყო, თანამედროვე კანონად იქცა, სახელდობრ, პარადოქსში; საგნობრივი, ან მოქმედების გამოხატველი სიმართულებები ირღვევა კაუზალური, მიზნობრივი, მაპირისპირებელი თუ სხვა კავშირების გამოტოვებით, ბოლო ისეთ საგნები და პროცესები, რომლებსაც არაფერი აქვთ ერთმანეთთან ხაერთო, სწორედ ამ კავშირებითაა შეერთებული: ასეთია ფანტაზიის მოჩვენებათა საუფლო.

დაკანონებულ სტილად, თითქმის მანერად იქცა ბილულისა და აბსტრაქტულის გატოლებაც. „სირცხვილის ფერფლი“ (სენ-ჟონ პერსი); „ჩვილის ვაეიშვილები“ (ალბერტი); „დავიწყების თოვლი“ (ელიოტი). და ბოლოს, ფანტაზია იპურობს ბილულსა და, ასევე, გონილს ირეალურ ფერთა მეშვეობითაც. უმეტესად ეს მწვანე ფერია „ნაბიჭები გამწვანდა“; „შენი მწვანე შეწამული თვალები“, „მწვანე ბზე“, „მწვანე ოქრო“, „მწვანე სუნი“, „მწვანე მუსიკა“. მხგავს ან ნაწილობრივ მხგავს რასმე, ჩვეულებრივ, უწოდებენ სინესთეზიას, მაგრამ ამ სასკოლო ცნების გამოყენებისას ავიწყდებათ, რომ აქ საქმე გვაქვს გაუცხოების აქტებთან, დისონანსებთან, საიდანაც ზღაპრულმა შიშმა უნდა გადმოაბიქოს.



წაფენის ტექნიკა და მეთაფორები

პირველად რეზბოსთან შეინიშნა ეს მხატვრული ხერხი, რომელსაც წაფენის ტექნიკა ვუწოდეთ. მე-20 საუკუნის ლირიკაც მიმართავს მას, რიგებს ერთ გვიანდელ ლექსში „მტრედები“ ამ ფრინველებთან დაკავშირებული და უკვე თავისთავად ძლიერ განუცხადებელი სიტყვების გვერდით სრულიად სხვა რიგის სიტყვების გვხვდება, მაგ., შუქნიშნის სინათლე, ბოლი, სიყვარულის მსხვერპლი, შეწირვა, კურჭელი, კურჭში, მაგრამ ისინი აღარ გვევლინებიან შედარებებად და მეტაფორებად. აქ სხვა, მეორე სფეროს წაფენაა (შეწირვის რიტუალი) მტრედების გამოჩენაში, გარსია ლორკასთან ვკითხულობთ: „შავი რაშები შიდას გიტარის ღრმა გუბით“. ამ ტექნიკის ოხტატია დიფგო მის Insonio-ში მღვიძარი მწინარეს გამოვლანაპარაკება. სტრიქონში, სადაც ზმნის მაგიურ სივრცის შემქმნელი „ში“ დგას, ვკითხულობთ: „შენ შენს სიზმრებში და ზღვაში გემები“. მწინარე და ზღვა იერვალურ ერთიანობად იკვრება, იგი თვით მოლანაპარაკებას მოიცავს, რადგან სიტყვები ზღვის წარმოდგენების სფეროდან მასაც გადასწვდება: კუნძული, წყალქვეშა კლდეები მეორე ლექსი Sucesiva ერთმანეთში გადასული მღინარებაა წყლისა და ადამიანისა აქ უკვე შეუძლებელია მეტაფორაზე ლანარკი, მეტაფორაში მოქმედმა შედარებამ აქ ადგილი დაუთმო აბსოლუტურ გატოლებას.

მაგრამ იქაც, სადაც მეტაფორა ბოლომდე არ კარგავს შედარების ფუნქციას, იგი უმდიდრესი საშუალებაა თანამედროვე პოეტთა შეუზღუდავი ფანტაზიისათვის. იგი უხსოვარი დროიდან ემსახურებოდა სამყაროს პოეტურ გარდასახვას, ორტიგა ი-გახეტმა იგი ერთხელ ხატოვნად ასე დაახასიათა: „მეტაფორა უდიდესი ძალაა, რომელსაც კი ადამიანი ფლობს, იგი კადოქრობას ესაზღვრება და სამყაროს შექმნის იარაღითაა, რომელიც ღმერთს მის კმნილ არსებებში დავაწყებია, ისევე როგორც გონებაგაფანტულ კიბურებს, ზოგჯერ ოპერაციის დროს, პაციენტის სხეულში ავიწყდება ინსტრუმენტი“. კლასიკური მეტაფორა შეკრულია ხატისა და ობიექტური ვითარების ანალოგიით, როცა იგი თმას ოქროს უწოდებს, ანალოგია აქ მაშინვე თავისით ჩნდება, ანტიკური პერიოდის შემდგომ, ზოგჯერ ერთ ეპოქაში მეტაფორა ახერხებდა ერთი სფეროს საგანთა უროიერომიმართება პოეტურად გამოეხატა, რაც ქრისტიანული წარმოდგენის მიხედვით მათი შექმნის საერთო მიზეზიდან მოდის, თანამედროვე მეტაფორა კი აქრობს, ან სულაც ანადგურებს ანალოგიას, ურთიერთკუთვნილებას კი არ გამოხატავს.

არამედ სრულიად დაუკავშირებელსა და ერთმანეთისგან განზიდულს ძალით აკავშირებს, მისი ძირითადი ნიშანია, რაც შეიძლება ძიდი დაცილება ობიექტურ ვითარებასა, და სურათხატს შორის, რითაც ბაროქურ [წინა] [წინა] ენათესავება. ეს მხატვრული [წინა] [წინა] ობიექტური ვითარებისა და მისი რეალობის ღირებულების ხარჯზე, კრეაციული ფანტაზიის წარმონაქმნის სურათ ხატის სასარგებლოდ, მეტაფორაში იმთავითვე მოქმედმა გონითმა ძალამ ამყამად ეველა დანარჩენი გადაძალა, მეტაფორა აბსოლუტურ სურათხატად იქცა, რომელშიც ორიგინალის შორეული ნაკვალევის მიგნებაც კი კირს: იგი შედარებითდან კი არ მოდის, არამედ — ნახტომისაგან.

ეზრა პაუნდი მეტაფორული სურათ-ხატისაგან მოითხოვს, რომ იგი „იყოს შუქისმტრქვეველი კორიანტელი, რომელშიც იდეები გაიზუზუნებენ“ და რომლებსაც უხასრულო რეზონანსი აქვთ, რ. ქენოს ერთი ლექსი აქვს, მეტაფორები (ამ ლექსის ლედააზრი ასეთია) თავიანთ „ნეგატიურ სურათ-ხატებას“ არარაში გადაიხვრიან, ისინი მღელვარე სიმრავლეა, „ქვეშარიტების გამოგონილი ორეულებია“, ერთმა სხვა პოეტმა კი ასე თქვა: „მხოლოდ პოეზიან იცის, რომ ქარს ზოგჯერ ტურები აქვია, ზოგჯერ კი ქვიშა“ (ალექსანდრე).

ნათელსაუფად მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს, ელუარის: „ქარიშხლიან ველზე ლება კენესის ფეხები“. გარსია ლორკა: „მთვარე ნელა თიბავს მღინარის ძველ თრთოლვას“, ზოგჯერ მეტაფორა, მირთვის სახით, მკაცრადაა საგნის გვერდით დასმული და ამით თითქმის მასთან იდენტობას იძენს, ვანთქმულია აპოლინურის ლექსის ბოლო ტაქტი: „შე — გამოკრილი ეელი“. ლექსი გარდასახავს შვის ჩახვენებას, ვილიენი: „ოქტომბერი, კუნძული მკვეთრი პროფილებისა“, რაც შეიძლება მეტი მიახლოება გაიგივებასთან, რაც შეიძლება მეტი დაცილება შედარებასთან — ასეთია აბსოლუტური მეტაფორის მიმართულება, შესადარებელი საგანი აქ ან სულ არ მოიხსენიება, ანდა — სადაც შემდეგ მოგვიანებით: კროლოვი: „მღინარის ვერცხლის მონეტები“, ვალერი: „ეს ჩუმი საბურავი“, მხოლოდ შემდეგ ვიგებთ, რომ ეს ზღვაა, თუ ეველა ასეთი მეტაფორა უკვე სრულიად დაშორებულთა ანოშალიურ, იძულებითს შეკავშირებას გვიჩვენებს, არის სხვებიც, რომლებსაც, სულ ცოტა, შეიძლება დიხონანსური ეუწოდოთ, ალბერტი: „გველვარსკვლავა სანაპიროები“, გარსია ლორკა: „სარკის ქვიშა“ ელუარის „წყლის ჩალა“



ბოლო საკითხები: შეხვედრა  
პრობლემის ნაცვალად

ჩვენ დავინახეთ, რა ძლიერ უკავშირდება თანამედროვე მეტაფორიკა იმას, რაც აქამდე აღვეჩრეთ. ეს უბნებია დისონანსაც, რითაც ვუბრუნდებით წიგნის დახაწვისს. იქ ჩვენ მოვიყვანეთ ი, სტრავინსკის ერთი ფრაზა დისონანსის შესახებ, უკვე 1914 წელს მხატვრები მარკი და კანდინსკი მოითხოვდნენ „ფერადი დისონანსის კანონს“. ჩვენი თანამედროვე მუსიკოსები ზოგჯერ ლაპარაკობენ „დაძაბულ“ ან „შემკვებორ“ აკორდებზე, ვულისხმობენ რა მათს საკუთარ ღირებულებასა და არა ფუნქციას — გადახვლას კეთილშობიანებაში. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ლირიკა დისონანსებში თავისი „სტრლის რაღაც კანონს ემორჩილება ეს კანონი კი, თავის მხრივ, ემორჩილება, როგორც ეს არაერთგზის მივანახეთ. თანამედროვე სულის ისტორიულ მდგომარეობას, თავისუფლების დაკარგვის უზომო საშიშროებად, ასევე უზომო გახადა სწრაფვა თავისუფლებისკენ. მისი ხელოვნება, ობიექტურ, დღევანდელ ისტორიულ სინამდვილეში ისევე ვერ პოულობს სიმშვიდეს, როგორც კემშიაიტ ტრანსცენდენტიაში. ამიტომ მისი პოეტური საუფლო მის მიერვე შექმნილი ირეალური სამყაროა, რომელიც არსებობს მხოლოდ სიტყვის ძალით. მისი უაღრესად საკუთარი წესრიგი გამოწვეულად შეუწელებელ წინააღმდეგობაშია ჩვეულებრივსა და დანკვიდრებულთან მაშინ კი, როცა ასეთი პოეზია თითქოს წენარად შემოდის, მას ახლავს ის დისონანსური უცხოობა, რომლის მტანჯველი მდგომარეობაც დადოქრობაა, ხოლო დადოქრობა — მტანჯველი მდგომარეობაა. თანამედროვე ლირიკა დიდი, ჭერ არსმენილი, მეტად მარტოსული ზღაპარია; მის ბაღში უამრავი ევაილია, ქვებიცა და ქომიური ფერებიც, ხილიც არის. მაგრამ ასევე — საშაში მხამიანი მცენარეებიც. მის ღამეებსა და ექსტრემულ ტემპერატურებში ცხოვრება დამძაბველია, ვისაც კარგი უური აქვს, ამ ლირიკაში გაიგონებს მკაცრ სიყვარულს, რომელსაც სურს დაუხარჯველი დარჩება; ამიტომ ამჟობინებს ქაოსს, ან სულაც სიცარიელეს ჩახაბოს, ვიდრე ჩვენ შეგვეხმეიანოს. ფანტაზიის ძალით განძარცული ან დანგრეული სინამდვილე ლექსში ნანგრევების ველად გაშლილია. ზედ ძალით შექმნილი არარეალუბები ძევს, მაგრამ ამ ნანგრევებსა და არარეალუბაში არის იდუმალეობა, რომლის გულისთვისაც წერენ პოეტები.

იმასაც ვერაზეც წერენ, დისონანსურად გამოთქამენ, განუსაზღვრელს განსაზღვრელი სიტყვებით, რათულს მარტო/წინადადებებით. უსაფუძვლოს საფუძვლით (ან პირიქით). დაუკავშირებელი სიტყვებით, სივრცეს ან ფეაშობას სიტყვებით სიტყვის ძალით — აბსტრაქტულს, მკაცრი ფორმებით — შინაარსობრივად ნებისმიერა, გრძნობადი სურათ-ხატების დეტალებით — უბილავის სურათ-ხატს, ასეთია პოეტური ენის თანამედროვე დისონანსები. მაგრამ ეს კვლავაც ენად რჩება, თუმცა იშვიათადღა თუ არის ვაგებინების ენა. პოეტები მარტო რჩებიან ენასთან, მაგრამ ენა მათი მხსნელიცაა. მათ შორის ყველაზე მარტოსულეზმაც იცაან, რომ აქ ისინი მარადისობას განეკუთვნებიან, სახედობრ, ენის ნარადიულ თავისუფლებას — გამომგონებლობას, თამაშს, სიმღერას, დადოქრობას.

ჩვენ მოგვიბდა თითქმის მხოლოდ უარყოფითი ცნებების გამოყენება, რათა თანამედროვე ლირიკა აგვეწერა, გამოიკვია, რა ლოკურად გამომდინარეობენ ერთიმეორისაგან სტილის ცალკეული, თვით ყველაზე ანომალიური ნიშნებიც კი. ამიტომ თანამედროვე ლირიკა, იქაც კი, სადაც იგი სრულიად თავზეხელაღებულია ან გაუგებრად ლაპარაკობს, თავის სტრუქტურაში ადვილად საცნობია. შინაგანი თანმიმდევრულობა, სინამდვილისა და ნორმალურობისაგან გაქცევა, ასევე ენის უსაკუთრესი და თამაში კანონები, მარვენებელია ლირიკოსისა და ლექსის ხარისხისა. პოეზიის ძველი მცნება — მხატვრული სიცხადე — აქაც ქმედითია, მაგრამ იგი სურათ-ხატებისა და იდეებისაგან გადაადგილებულია აზრისაგან დაცლილ ენისა და დაძაბულობის მრუდეებში.

მაშინაც, როცა ისინი ბუნდოვან, ნებისმიერად საინტერპრეტაციო მასალაში გვევლინებიან, არ არის გამორიცხული მათი იძულებითი შემოქმედება. თუ ასეა, მაშინ ლექსი კარგია, ასეთი მონაცემების საფუძველზე დღეს უკვე თავისუფლად შეიძლება განვასხვაოთ ნამდვილი პოეტები დღევანდელი ავანგარდისტებისაგან, უბედები — მომღერლებისაგან.

მხატვრობასა და მუსიკაში დღეს ხშირად გაიხმის კითხვა: როგორ სახეს მიიღებს ეს ყველაფერი მომავალში? პასუხები, როგორც წესი, არადაამკმაყოფილებელია, რადგან ამაზე დღეს შეუძლებელია პასუხის ვაცემა. ჭერ არ უყოფილა, რომ ხელოვნების რომელიმე დარგის მომავალი ეწინასწარმეტყველოთ.



თანამედროვე ლირიკაც, რომელმაც, მხატვრობასა და მუსიკასავით, თითქოს ამოხწურა ეველა თავისი შესაძლებლობა, რა გზას დაადგება ხვალ ჩვენს ხელთა შევიმეცნოთ, როგორია

იგი დღეს და როგორ გახდა იმად, რაც არის. შეიძლება იგი გვიუვარდეს, ან გამოვეთხოვთ მას, მაგრამ სიუვარულიცა და გამოთხოვებაც შეცნობილი უნდა იყოს.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### მერი ჭალიძე

### ნიკოლოზ ბერდიაევი. „რუსული კომუნიზმის სათავაუები და საზრისი“

კომბილი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი (1874-1948) თავის ფილოსოფიურ-ეტნობიოგრაფიულ ნაწარმოებში „თვითშეშეცნება“ (დაიწერა 1940 წ. გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ) წერს: მე ცხოვრება მომიხდა ჩემი სამშობლოსა და მთელი ქვეყნიერებისათვის კატასტროფულ ეპოქაში, მაშინ, როცა ჩემ თვალწინ იმსხვრეოდა ძველი და იქმნებოდა ახალი ქვეყნები, იმ დროს, როდესაც მე შემძლო თვალყური შევხევი ადამიანების ბედის უჩვეულო ვაუკულმართებისათვის, ვხედავდი ადამიანთა ტრანსფორმაციას, მათ მლიქვნელობას, შემგუებლობას და ღალატს და ყოველივე ეს, შესაძლოა სემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე რამ იყო... მოვესწარი სამ ომს და რუსეთის ორ რევოლუციას. შევესწარი საუკუნის დასაწყისის სულიერ რენესანსს, XX ს. დამდეგის რუსული სულიერი კულტურის აღორძინებას. ვნახე რუსული კომუნიზმიც, მსოფლიო კულტურის კრიზისიც, შევესწარი გერმანიაში ფაშისტურ გადატრიალებასა და საფრანგეთის ოკუპაციას.

ფილოსოფოსისათვის, — წერს ბერდიაევი ყველაზე ძნელი ის არის, — ოთხჯერ იქდეს მ ციხეში, ორჯერ ძველი რეჟიმის დროს და ორჯერ ახალი მთავრობისაგან დასჯილი, იყოს სააკვედილო სასჯელის მოლოდინში, ბოლოს გადასახლებული ჩრდილოეთში, საბოლოოდ კი საამშობლოდან გაძევებული და მუდმივ დევნაში მყოფი.

ნ. ბერდიაევის თქმით, ყოველივე ეს მოხდა მიაუხედავად იმისა, რომ ის აქტიურად არ მონაწილეობდა პოლიტიკურ ბრძოლებში და იყო თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი. ამ განაცხადია მიუხედავად. ნ. ბერდიაევი ახალგაზრდობიდანვე საკმაოდ აქტიური თეორიულ-ფილოსოფიური და პოლიტიკური ბრძოლის გზა განვლო, XX ს. დამდეგს იგი კანტიანელობდა და ლეგალურ მარქსიზმს ემხრობოდა. შემდეგ რელიგიურ ფილოსოფიურ მიმართულებას გაჰყვა, დიდი გავლენა განიცადა ვლ. სოლოვიოვისა და თ. დოსტოევსკისა. აქტიურად მონაწილეობდა რუსი ლიბერალების რელიგიურ-ფილოსოფიურ კრებულში „ვეხი“. რომელიც ემსახურებოდა რუსული ინტელიგენტური კულტურის დაცვას რევოლუციისა და ათეიზმისაგან.

1917 წელს ნ. ბერდიაევი ბულგაკოვთან, სტრუვესთან და ფრანკთან ერთად შეადგინა ანტირევოლუციური კრებული „სიღრმიდან“ („იზ გლუბინ“). იგი აქტიურად მონაწილეობდა ვლ. სოლოვიოვის სახელობის რელიგიურ-ფილოსოფიურ საზოგადოებაში, ხოლო 1918-1922 წწ. ფუნქციონირებდა მისი ინიციატივით დაარსებული „სულიერი კულტურის თავისუფალი აკადემია“.

1922 წელს ნ. ბერდიაევი საბჭოთა რუსეთიდან გააძევეს, ამის შემდეგ დაიწყო მისი ემიგრანტული ცხოვრების მძიმე პერიოდი. ბერდიაევის მეთაურობით 1925-1940 წწ. საფრანგეთში გამოდიოდა რელიგიურ-ფილოსოფიური ჟურნალი „გზა“.

ნ. ბერდიაევი რუსული სულის არსებითი ტენდენციებისა და პოტენციების მკვლევარია. ამ თვალსაზრათით სწავლობდა რუსული რევოლუციისა და კომუნიზმის რაობას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ გზით რუსული სულ მოკლებულია ღირებულებათა შექმნის შესაძლებლობას. ამ



საკითხებს რუსი მოაზროვნე არაერთხელ შეხებია. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ 1933 წ. დაწერილი ნაშრომი „რუსული კომუნისმის სფეროები და საზრისი“ (გამოქვეყნდა 1937 წ.). რომლის შინაარსობრივი ანალიზი წინამდებარე ნაშრომში ვაძლევთ.

ფილოსოფიურმა ჯედვამ ამ პირობებიდან აყვასება. ნ. ბერდიაევი რუსული კომუნისმის წარმოშობის წინა ისტორიას, მის საწყისებს და მის ძირითად მიმართულებას. მისი აზრით, რუსული კომუნისმის სათავეებია ახლისავე რუსული კულტურის განვითარება. რუსული კულტურის განვითარება, რამეთუ მარქსიზმის კოდსია ამ საკითხზე არაერთი გამოკვლევა. ამასთანავე რუსული კომუნისმი არა იმდენად ისტორიკოსალური, არამედ სოციალური და პოლიტიკური მოვლენაა.

ნ. ბერდიაევის კონსტრუქცია რუსული კომუნისმის შესახებ პოზიტიურა, ობიექტურობით ვაჩვენებდა და ისტორიული ფაქტების შეფასებაში ახსვებითად სიმართლის აღმოჩენას. მასაჟი რამდენიმე აზრით მისი შინაარსობრივი ანალიზისა. აუცილებელაა ავტორის საკუთარი სტილისტური და კონსტრუქტული ასპექტების შენარჩუნება. უოველგვარი კომენტარებისა და პოლიტიკური შეფასებების გარეშე.

„რუსული სულის კვიზაჟი“

პერსონალიზმის თვალსაზრისით რუსული სულიერი სფეროს განვითარებას თვალსაჩინოდ ჩნდება მისი დამახასიათებელი ორი უმთავრესი ნიშანი. პირველია რუსული სულის შინაგანი წინააღმდეგობრივი ბუნება, რომელშიც გამოსახულია რუსეთის ისტორიული ბედის ხირთულე დაკავშირებული აღმოსავლური და დასავლური ისტორიული ტენდენციების ბრძოლასთან.

რუსის ხალხი თავისი სულიერი სტრუქტურით აღმოსავლური ტიპის ხალხია, „რუსეთი ქრისტიანული აღმოსავლეთია“. რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში დასავლეთის ძლიერ გავლენას განიცდიდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ დასავლეთისა და აღმოსავლური იდეების ასაშლაცაა მართლ მაღალი კულტურული წრეების დონეზე განხორციელდა.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის წინააღმდეგობათა შეხვედრის ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე გაშლილი რუსეთი ისტორიული განვითარების კლასიკური გზისაგან განსხვავებით ვითარდებოდა, მას ჰქონდა განვითარების კატასტროფული პერიოდები, აღმავლობითა და დაკლებით, დისკრეტულობითა და არაპერმანენტულობით.

ნ. ბერდიაევი დაგვიხატავს იდეების თვალსაზრისი რუსეთის ისტორიის ორგანული მთლიანობის შესახებ. მისი აზრით, რუსეთისათვის განვითარების ერთიანი ხალხი მიუწევდომე. იგი უნდა დადგან იგი სოციალური ისტორიული ვითარებით განსაზღვრული ისტორიული ვითარებით.

განსაზღვრავდა მისი მდებარეობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა, რომლის გამო მას უბედობდა აღმოსავლეთიდან თათართა შემოსევების მოგერიება და ამით მთელი ევროპის დაცვა. მეორე მხრივ კი უნდა ეზრუნა თავითავადობის შენარჩუნებისათვის.

რუსეთის ისტორიაში გამოკვეთილად ჩანს საბუნკოვეის რუსეთისა — თათართა ბატონობის დროინდელია, მოსკოვის საბელმწიფოსი, პეტრე დიდის შემდგომ იმპერატორთა რუსეთის და ახალი საბჭოთა რუსეთისა. ანეთ რთულ კატალიზმებში რუსეთი უოველთვის ინარჩუნებდა თავის სულიერ წყობას, საკმაოდ ძველ კულტურას, ქრისტიანობის ხულით უპირისპირდებოდა აღმოსავლეთის არაქრისტიანულ და დასავლეთის ლათინიზებულ კულტურას. მაგრამ რუსული კულტურა იმხანად იყო არა არსებითად თეორიულ-აზროვნებითი, არამედ პლახტაკური და ადამ-ჩვეულებითი ცხოვრების ფორმებში ჩამოყალიბებული. მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ერთიანი რწმენით შეკრული.

როგორც კი გამოიღვიძა აზრმა და სიტუვამ, როგორც კი გაჩნდა მოაზროვნე რუსეთი და შეიქმნა სოციალური სამართლიანობის მაძიებელი მდიდარი ლიტერატურა, მაშინვე დაიკარგა რუსული სულის ერთიანობა, ის დაიშალა და უნდა დაშლილიყო კიდევ, რადგანაც ვლად უნდა ემძლავრა რუსული სულის თანამდევ შინაგან წინააღმდეგობრივ ბუნებას. და ამგვარად ქრისტიანულ რუსეთში სულიერმა ერთობამ გაძლიო მართლ XIX ს. ახალი კულტურის.



რის, ნიკოლოზის რუსული ფორმის განვითარებაში. რომლის საფუძველზე ბოლოს უკვე კომუნისტური მხოფლმხედველობა წარმოიშვა.

რუსი ერის ხულიერ წყობაში ეკლესიის მიერ ნაცადი ერთიანობის მიუხედავად, სულ ებრძოდა ერთმანეთს აღმოსავლური და დასავლური ტენდენციები, პირველყოფილი ბუნებრივი წარმართული ძირებიდან მომდინარე განწყობა და დასავლური ბიზანტიიდან შემოსული ასკეტიზმი, მისწრაფება ამქვეყნიურის დაგმობისა და ზეციურის ზიარებისა. რუსის ბუნებაში უოველთვის იყო დაპირისპირება დიონისეულ და ქრისტოიანულ ასკეტურობას შორის.

რუსული ხულის მეორე არსებითი თავისებურება განსაზღვრულია რუსეთის პეიზაჟის უკიდვანობით, მისი მიწის რელიეფური და სივრცისეული უსაზღვრობით. ძნელი ამოცანა იდგა რუსი ადამიანის წინაშე — გაეფორმებინა ორგანიზაცია გაეკეთებინა თავისი უკიდვანო სივრცეებისათვის და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რუსის ხულში აისახა ეს უსაზღვრობა, ტერიტორიის ხაოცარი სიფართოვე, მისი შემოუსაზღვრელობა, თუ დასავლეთის ადამიანი უოველთვის ერთგვარ სივიწროვეს განიცდიდა და ამიტომ მისთვის უველაფერი უოველთვის განსაზღვრული და გაფორმებული იყო, კატეგორიებში ჩამოყალიბებული და გაცნობიერებული, რაც ბუნებრივია, მაღალი განათლებისა და ცივილიზაციის პირობებს ქმნიდა. რუსი ხალხი შეიძლება ითქვას, მსხვერპლად შეეწირა თავისი მიწის უკიდვანობას, თავის ბუნებრივ სტიქიურობას. მას გაუჭირდა თავისთავის გაფორმების განსაზღვრა და ამიტომ ვერ განუკითარდა ფორმის ნიკი.

„რუსული ხულის პეიზაჟი შეესატყვისება რუსული მიწის პეიზაჟს“! სულს იგივე უსაზღვრობა, სიფართოვე დაჰყვა თავის არსებით ნიშნად, რაც მის უსაზღვროდ გაშლილ გეოგრაფიულ სივრცეებს, არ არის შემთხვევითი, რომ ეს ლანდშაფტური, პეიზაჟური უკიდვანობა სახელმწიფოებრივი გაფორმების ისეთ სიძნელეებს ქმნიდა, რასაც რუსეთში აუცილებლად შედეგად უნდა მოჰყოლოდა რუსული სახელმწიფოს დესპოტური ფორმების განვითარება.

ასე განვითარდა სრულიად ბუნებრივი წესით დესპოტური სახელმწიფოებრივი მართვის რუსული ფორმები, საბოლოოდ საბჭოთა კომუნისტურ სახელმწიფოდ რომ ჩამოყალიბდა, რომლის დროს ხალხის ინტერესები მსხვერპლად შეეწირა კომუნისტური სახელმწიფოს ძლიერებასა და ორგანიზებულობას.

რუსული ხულის სტრუქტურაში მოცემულია შინაგანი განხეთქილება. „რასკოლნიკური“ განწყობა, რაც სხვადასხვაგვარად იჩენდა ბოლშე თავს, მაგრამ უოველთვის განმსაზღვრელი რჩე-

ბოდა სწრაფვა სოციალურა მიზნებისაკენ, ხულის წიაღისეული მიღრეკილება გაბატონებისაკენ სივრცეების უსაზღვრობაზე გამარჯვები. საკენ, ტოტალიტარიზმისაკენ ეს თავისთავად უპირისპირდებოდა რუსული ხულის მეორე სწრაფვას, მის რელიგიურობას, ასკეტიზმს, განდეგილობას. „რასკოლნიკური ხულით“ ცხოვრობდნენ XVII ს. დან მოყოლებული რუსეთის გამოჩენილი ადამიანები, ინტელიგენტები, რუსული ხულის ასეთივე სტრუქტურა განვითარდა რუს რევოლუციონერებში, ნიკოლისტებში, კომუნისტებში.

### რუსი ინტელიგენტის ტიპი და ტოტალიტარიზმი

რუსი კომუნიზმის რაობის ახსნისათვის და რუსული რევოლუციის შეფასებისათვის საკმარისად არ არის მიჩნეული ზოგადად რუსული ხულიერი განწყობის სპეციფიკის გათვალისწინება. დასმული საკითხის განმარტებისათვის საჭიროა რუსი ინტელიგენტის ტიპის განსაზღვრა, რამდენადაც ის არ არის ინტელიგენტი ჩვეულებრივი გაგებით. რუსი ინტელიგენტი დასავლეთის ინტელიგენტის ტიპისაგან სრულიად განსხვავებული ბუნებისაა. ლათინური სიტყვა „ინტელექტუელს“ ჩვეულებრივ ნიშნავს ინტელიგენტური ანუ გონებითი — შემოქმედებითი შრომის ადამიანს, ასეთია დასავლური გაგებით „ინტელიგენტი“.

სულ სხვაა რუსული ინტელიგენცია, ის თავისი არსებით „იდეოლოგიური“ დაჭკუება იყო, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფენიდან გამოდიოდა — თავდაპირველად თავადაზნაურთა, შემდეგ სახულიერო და ჩინოვნიკთა წრიდან, ბოლოს კი გლეხთა წოდებიდანაც, რუსულმა ინტელიგენციამ უველაზე ტიპური სახე „რანოჩინელებთან“ შიილო, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ სოციალური იდეები აერთიანებდათ.

ფართო გაგებით რუსული ინტელიგენცია იისათვის დამახასიათებელია უნიადაგობა, მოწყვეტა უველა ტრადიციულისა და წოდებრივისაგან, რადგანაც იგი ცხოვრობდა მხოლოდ იდეებით, სოციალური ოცნებებით. ამიტომ იყო რომ სწორედ თვითმპყრობელურ რუსეთში უველაზე ფართო მასშტაბით გავრცელდა უველაზე უნიადაგო, მაგრამ ამავე დროს უველაზე რადიკალური სოციალისტური და ანარქისტული იდეები. მოწდა ისე, რომ თვითმპყრობელობის პირობებში პოლიტიკური მოქმედების სიძნელეების გამო ინტელიგენციამ პოლიტიკა თეორიულ აზროვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში გადაიტანა. ასეთ ინტელიგენტს უველა გამოაჩნდა მისთვის ჩვეული რუსული „რასკო-







დნიკური ინტელიგენციის სულიერ განწყობაში  
იყო რწმენა რუსი ხალხის გამორჩეულობისა,  
კაპიტალიზმის გზას აცდენილისა და ნაკუთარი  
გზის მატარებლისა. რომელსაც თითქოს შეეძ-  
ლო რუსულ თემზე დაერდნობით სწრაფად გა-  
დაწყვიტა სოციალური პრობლემები, რუსი  
ხალხი ისტორიულად არ სცნობდა რომელი  
სამართლით დაკანონებულ ვეროპული ტიპის  
კერძო საკუთრებას და არც მისი მიღება სუ-  
რდა. ნ. ბერდიაევის განმარტებით რუსული  
ცნობიერებისათვის მთავარია არა კერძო სა-  
კუთრების პრინციპი, არამედ ცოცხალი ადა-  
მიანი თავისი ქრისტიანული მსოფლმხედველო-  
ბით. მაგრამ მარქსიზმის შემოტანამ დაარღვი-  
ეს საკუთრივ რუსული სულიერი სტრუქტურ-  
ამგვარად მარქსიზმი რუსული ინტელიგენცი-  
ის აღსასრულიც იყო და რუსული ეროვნული  
მსოფლმხედველობრივი მისწრაფების გამამ-  
რუდებელიც. მაგრამ, მეორეს მხრივ, რუსი ხალ-  
ხის სულიერა განწყობა, დაკავშირებული კო-  
ლექტივისტურ თემურ წყობასთან, და ის ტო-  
ტალიტარისტული სულიბკვეთება. მისწრაფება  
უნივერსალიზმისადმი რუსეთს ოდითგანვე რომ  
მოსდგამდა. მარქსიზმის გავრცელებისა და  
რუსული კომუნისმის შექმნის უცილობელ პი-  
რობებს ქმნიდა.

ამიტომ, ასევე ნ. ბერდიევი, კომუნის-  
ტური რევოლუცია მარტო რუსეთში შეიძლე-  
ბოდა მომხდარაყო.

რა იყო რევოლუცია რუსეთისათვის. გან-  
გება, თუ იღბალი?

რუსეთში სოციალიზმის თეორია გავრცელდა  
თავისი მკაცრი, უოველგვარი ემოციურობისა და  
სენტიმენტალურის საპირისპირო „ინტელექ-  
ტუალურად დაფუძნებულ“ მოძღვრებად. პირ-  
ველი რუსი მარქსისტები ნაროდნიკებისაგან  
განსხვავებით უმეტესად დასავლური სულიბ-  
კვეთების ადამიანები იყვნენ. მაგრამ, როგორც  
ეს იდეოლოგია მოითხოვდა, დაინერგა ძლიერი  
ნების, ძალის გაბატონებისადმი მისწრაფება და,  
ამგვარად, მარქსიზმი რუსეთში გავრცელდა რო-  
გორც „ძალის იდეოლოგია“.

თუ ნაროდნიკი რევოლუციონერისათვის და-  
შახასიათებელი იყო თანაგრძობა, ხალხის  
ხსენისა და განაოლების სურვილები, — მარქსი-  
ზმი შემოვიდა რევოლუციური ბრძოლის პათო-  
სით. ძალის მოთხოვნით და ეს ძალა უკვე ხალ-  
ხი კი არა, პროლეტარიატი იყო. — გლეხური  
რუსეთისათვის უცხო, მაგრამ აღიარებული, არ-  
სებულზე ძალადობით განამარტვებლად. მო-  
შავალ მხსენლად. კაცობრიობის გამოთავისუფ-  
ლებლად.

რუსული მარქსიზმი თავდაპირველად რთულ  
მოვლენად განვითარდა: მასში იმთავითვე გა-  
მოიკვეთა ორი ხაზი: ერთის განმსაზღვრელი

იყო ორთოდოქსალური რევოლუციური მსოფლ-  
მხედველობა თავისი შეუწყნარებლობით. ტო-  
ტალიტარული მოთხოვნებით და კრეტენიებით  
ამ ხაზით მარქსიზმი და სოციალიზმი რელიგი-  
ის ღონეზე იყო აყვანილი. რუსული ინტელიგენ-  
ციის ერთადერთ საჩუქმუნო რამედ მარქსისტე-  
რის მგორე ხაზი მოკარბებულს განსხვავ-  
კულტურული სფეროს განსაზღვრებით იყო  
წარმოდგენილი. რომელნიც პირველების საპი-  
რისპიროდ აღიარებდნენ უფლებას რელი-  
გიაზე, თავისუფლებას ფილოსოფიაში, ხელო-  
ვნებაში სულიერი შემოკმედების სჯეროებში.  
რადგან ამ უკანასკნელებმა სოციალიზმი და  
მარქსიზმი რელიგიად არ გააცნობიერეს. ამი-  
ტომ თვით მარქსიზმის წიაღში განთავისუფლდა  
ადგილი რელიგიური ძიებებისათვის. თავისუ-  
ფალი შემოკმედებითი აწროვნებისათვის. ბუ-  
ნებრივად ეს ხაზი მარქსიზმში იდეალისტური  
და რელიგიური გზით განვითარდა. მისი ცნო-  
ბილი წარმომადგენელი იყვნენ ს. ბულგაკოვი  
და თავად ნ. ბერდიევი. ამ უკანასკნელმა 1904  
წ. გამოცემულ წიგნში სუბიექტივიზმი და ინ-  
დივიდუალიზმი საზოგადოებრივ ფილოსოფია-  
ში“ სცადა მარქსიზმის სინთეზირება კანტისა  
და ჰიბტეს იდეალისტურ ფილოსოფიასთან.

მარქსიზმის წიაღში ასეთი მიმართულების  
ჩახახვამ შექმნა ის მსოფლმხედველობრივი კრი-  
ზისი, რომლის გამო ერთმანეთს სამკედრო  
სახიფოცბლოდ დაუპირისპირდა ტოტალიტა-  
ლური მსოფლმხედველობა, მიმართული მარტ-  
ოოდენ მიწიერისაკენ, გრძნობადისაკენ, და მე-  
ორე მარქსისტული პოზიცია, მიმართული სუ-  
ლიერი სამყაროსაკენ, ზნეობრივი იდეალებისა-  
კენ. უარყოფელი მატერიალიზმი და პოზი-  
ტივიზმისა. მომთხოვნო მარქსიზმის იდეალიზ-  
მთან სინოპსისისა, მისი მატერიალიზმისა და  
ტოტალიტარისტისაგან განწყენისა.

ამ უკანასკნელს უკიდურესად მტრულად შე-  
ხვდნენ ორთოდოქსი მარქსისტები და მთელი რა-  
დიკალური ნაროდნიკული ხანაკი. ამის შემდეგ  
როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნულმა მი-  
მართულებამ საერთოდ განუვრტა კავშირი მარ-  
ქსიზმთან და გარდაიქმნა სულიერ ღირებულე-  
ბათა მამიებელ დამოუკიდებელ მოძრაობად.  
რომელიც ხსნას რევოლუციაში კი აღარ ეძებ-  
და, არამედ მარტო სულიერ ხსნაში. რელი-  
გიაში ეს ის პერიოდი იყო რუსეთის ისტორია-  
ში, როცა XX ს. დასაწყისს თან მოხვეა კულ-  
ტურული რენესანსი და დაიწყო რუსული რე-  
ლიგიური, ფილოსოფიური და მხატვრული ლი-  
ტერატურული აწროვნების ხაოცარი აღორ-  
ძინება. ამ დროს მოხდა ჩერნიშევსკისა და პლე-  
ხანოვისაგან მიბრუნება კვლავ ო. დონსტოვე-  
სკისკენ, ვლ. სოლოვიოვისა, ლ. ტოლსტოის-  
კენ. ასე ჩამოყალიბდა კულტურული ელიტა



რომელიც თანდათან მოწყდა სოციალურ პროცესებს, რევოლუციურ მოძრაობას და ამიტომ, ბუნებრივია, გავლენას ვეღარ ახდენდა რუს ხალხზე, საზოგადოების ფართო წრეებზე.

ეს იყო იმ განხეთქილების მაუწყებელი, რომელმაც საბედისწერო მიმართულება მისცა რუსულ რევოლუციას, რამდენადაც გამოვლავნდა ამ ქვეყნის ინტელიგენციის ბრძოლისუნარიანობის სიხუხუტე, მისი იდეოლოგიური ზეგავლენის განწირულობა.

ამ პროცესის საპირისპიროდ მიმდინარეობდა რუსული რევოლუციის აღმავლობა, თავისი უნივერსალიზმით, მაგრამ უკიდურესი რუსული ეროვნული ხასიათით. ინტერნაციონალიზმის მოთხოვნებით და სიმბოლიკით, მაგრამ წმინდა რუსული ეროვნული ხულისკვთებით.

მრავალი თეორიული და ფაქტიური არგუმენტაციით დასაბუთებულა აზრი კომუნისტური რევოლუციის საკუთრად რუსული ხასიათის შესახებ, რომ ის მხოლოდ რუსეთში შეიძლება მომხდარიყო, რომ ეს რევოლუცია ევროპაში ითვლებოდა „აზიურ კომუნიზმად“, რომელიც დასავლეთის ცივილიზაციას არავითარ შემთხვევაში არ მიესადაგებოდა, საკუთრადღებოა მიწინაშეა იმაზეც, რომ რუსულ კომუნისტურ რევოლუციაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ებრაულ მესიანიზმს, რომელიც რუსეთის ისტორიის იმ ეტაპზე ხაოცრად მიესადაგა რუსულ მესიანისტურ განწყობას.

რუსული კომუნისტური რევოლუციის არსების ახსნისათვის უპირველესი ნიშანი მაინც რუსი ინტელიგენციის ბუნებაშია საძებნი, მის ისტორიაში და საფებურებრივ ტრანსფორმაციებში.

რა მოთხოვნებით მოვიდა რუსული კომუნიზმი? — სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა, მშრომელის აღიარება ადამიანურობის უმაღლეს ტიპად, სიძულვილი კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიისადმი, მისწრაფება ტოტალიტარული მსოფლობედველობისაკენ, სექტანტობის შეუწყნარებლობა, საექვო, ან უფრო მეტი, მტრული დამოკიდებულება ინტელიგენტურ ელიტასთან, სულიერ ღირებულებათა უარყოფა, მატერიალიზმის ამალღება თეოლოგიურის, სარწმუნოებრივის დონეზე, უველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი აბასიათებდა რუს ინტელიგენციას სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა დროს.

თუ XIX ს. 40-იანი წლების რუსეთს იდეალისტურად აღზრდილი „რბილი“ ინტელიგენცია ბუავდა, რომელიც სამართლიანობისა და თანასწორობისათვის იბრძოდა, 60-იან წლებში გაჩნდნენ ნიჰილისტი ინტელიგენტები ჩერნი-შევსკის ტიპისა, რომელნიც გერცენსაც კი არ იწყნარებდნენ როგორც 40-იანი წლების

„რბილ“ ინტელიგენტსა და იდეალისტს სამოციანელებმა თავის წინა თაობას თავადაზნაურული ინტელიგენცია უწოდეს, ხოლო ახალი ტიპის კომუნისტურმა ინტელიგენციამ თავის მხრივ სამოციანელებს ბურჟუაზიული ინტელიგენცია შეარქვა და მისთვის შორს დაიჭირა.

**სიხუხუხუტე**

შესაბე ეტაპზე მოხდა რუსული ინტელიგენციის საოცარი ტრანსფორმაცია, გაჩნდა ახალი ანთროპოლოგიური ტიპი, კომუნისტის სახის გამოშეტუველებით, ძველი ტიპის ინტელიგენტისათვის შეუფერებელი უესტებიოთა და ქცევით, მის არსებით ნიშნად იქცა სისახტიკეში გადაზრდილი სიმკაცრე, რადგან იგი რევოლუციის ბატონ-პატრონი უნდა უოფილიყო და თავის ფებქვეშ მოექცია ისეთი უზარმაზარი ქვეყანა, როგორც რუსეთი იყო, ეს კომუნისტური ინტელიგენცია, საზოგადოების ქვედა ფენებიდან ამოხული, სამხედრო და პარტიულ დისციპლინაზე აღზრდილი, სრულიად არ იცნობდა რუსული კულტურის ტრადიციებს, რადგან მათი მამები და პაპები, წერა-კითხვის უცოდინარნი, მარტო რწმენით ცხოვრობდნენ და სხვა კულტურა არ გააჩნდათ, ამიტომ ამ ახალი თაობის ინტელიგენციას სძაგდა ძველი კულტურის ადამიანები, უფრო მეტი, ფსიქოლოგიურად მათდამი შურისძიების გრძნობით იყო გამსჭვალული.

ადრე ეს მონამორჩილი ხალხი, რომელსაც ქედი შეეშვირა ექსპლუატაციისა და უსამართლობისათვის, ახლა მბრძანებლურმა ინსტიტუტმა შეიპყრო, რუსულმა რევოლუციამ მისი სულიერი წყობა მთლიანად „გადააბრუნა“; ის უხეში მბრძანებელი გახდა, მორჩილება სიმკაცრემ შეცვალა, შეგუება მძაფრმა სისახტიკემ, ეს რუსული კომუნისტური რევოლუციის აშკარა ფსიქოლოგიური ანარეკლი იყო.

რუსეთში ხალხთა მასის სულიერი წყობის ასეთი „გადატრიალების“ გარეშე, ინტელიგენციის ახალი ტიპის, კომუნისტი-მბრძანებლის ფსიქოლოგიური სახის ჩამოყალიბების გარეშე ვერ განხორციელდებოდა კომუნისტური რევოლუცია და ხელისუფლების დაპყრობის ღენიწური გეგმა.

**ლენინი — რუსული კომუნისტური რევოლუციის გელადი**

ლენინის სახეში ბერდიაევის განმარტებით, ჩანდა რუსული ხასიათის შესაბამისი შინაგანად გაორებული პიროვნება, ლენინი იყო ტიპური რუსი ადამიანი, თუმცა მის გამოშეტუველებაში ჩანდა რაღაც რუსულ-მონღოლური, მაგრამ არსებითად მასში განხორციელებული იყო რუსული ხალხური ბუნების ძირითადი



ნიშნები: უბრალოება. სიუხვე. მიზანსწრაფობა. ლობა. მორალურ ასპექტში მიდრეკილებულობა. პილიზმისა და ცინიზმისაკენ. ერთი შეხედვით იგი ამ ნიშნებით რუსის ისეთ ტიპურ, სახედატოკვეთება, როგორც ლ. ტოლსტოი იყო მაგონ რამ ლენინს აკლდა საგანგებო რუსული ინტელიგენტობა.

ლენინმა სწორედ ამიტომ შეძლო გამხდარიყო რევოლუციის ბელადი და განხორციელებინა თავისი დიდი ხნიდან შემუშავებული გეგმა, რომ ის არ იყო ტიპური რუსი ინტელიგენტი. მის პიროვნებაში თავისებურად გაერთიანებული იყო ჩერნიშევსკის, ნეჩაევის, ტაჩევის, ელიაბოვის პიროვნული ნიშნები, უფრო მეტად, მასში ჩანდა „დიდი მთავრების“, პეტრე დიდისა და დესპოტური ტიპის სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა თავისებურებანი. ლენინი იყო რევოლუციონერი-მარქსიზმალისტი და ისეთი სახელმწიფოებრივი ადამიანი, რომელსაც შეეძლო რევოლუციური იდეოლოგიის უკიდურესი მაქსიზმალისტი და ტოტალური რევოლუციური მსოფლმხედველობა შეეთავსებინა პრაქტიკულ პოლიტიკაში ბრძოლის მოქნილ, თანდათანულ შეთანხმებებთან. მას აქონდა უბრალოება, პირდაპირობა და ნიმილისტური ასკეტიზმი. მაგრამ დაკავშირებული ეშმაკობასთან, თითქმის ვერაგობასთან.

ლენინის პიროვნებაში არ იყო მოცემული რევოლუციური ბოქმის არც ერთი ნამცეცხი. იგი მას ვერ შეეგუებოდა და ამიტომაც უპირისპირდებოდა ტროცკის და მენშევიკების მემარცხენე ფრთის ლიდერს მარტოვს. პირად ცხოვრებაში წესრიგის და დისციპლინის მოყვარე. მუდმივად სამუშაოში ჩაფლული ლენინი, სრულიად არ მიაგავდა ბოქმურ განწყობილებების რუს რადიკალურ ინტელიგენტებს. ის ვერ იტანდა ვერც ანარქისტულ გატაცებებს, ვერც რევოლუციურ რომანტიკას და რევოლუციურ ფრაზიორობას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნისას, როცა საბჭოთა რუსეთის ბელადი გახდა ლენინის ხასიათში გამოვლინდა პეტრე დიდის ნიშნები. იმ დროს იგი შეუპოვრად ამხელდა კომუნისტების სიკრუეს, მათ ჩამორჩენილობას, იბრძოდა „შემარცხენეობის საუმაწვილო სენის“ წინააღმდეგ კომუნისტურ პარტიაში და იმ დროს, როდესაც რუსეთი, 1814 წელს, ქაოსისა და ანარქიის წინაშე აღმოჩნდა, იგი არაადამიანური ძალით ცდილობდა მოეწესრიგებინა რუსი ხალხი და კომუნისტური პარტია. ასეთ გზად კი მას მიაჩნდა სრულიად ელემენტალური რამ — შრომა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა, ცოდნა, სწავლა, ნგრევის შეცვლა მშენებლობით. მაგრამ ეს მარტი მოწოდებები იყო: რუსეთის ქაოსური დაკემის

პროცესი ლენინმა ფაქტიურად დესპოტური, ტირანული მეთოდებით შეაჩერა.

ლენინის ხასიათი ვერ შეუთავსებლობდა პლენანოვის ინტელიგენტურ ბუნებას. ამიტომ თუცა ახალგაზრდობაში ლენინი ეთავსებებოდა პლენანოვს, მასთან პირველ შეხვედრას უფრო მოწინებოთ ელოდა. მაგრამ შემდგომში ვერ გულგატეხილი დარჩა. ლენინი თავისი პიროვნული ხასიათით არ იყო მკაცრი, მაგრამ ის მკაცრი პოლიტიკის მქადაგებელი გახდა და ასეთად იქცა ძმის სიკვდილით დასჯის გამო.

ლენინისა და პლენანოვის შეუთავსებლობა იმითაც აიხსნება, რომ ფილოსოფიაში, ხელოვნებაში, საერთოდ ხულიერ კულტურაში ლენინი „ძალიან ჩამორჩენილი და ელემენტარული ადამიანი იყო“. მისი გემოვნება და საერთო განათლების დონე არ აღემატებოდა XIX ს. 40-70-იანი წლების განათლების დონეს. ამას ისიც უმატებოდა, რომ ლენინის პიროვნებაში სოციალური რევოლუციონერობა შერთებული იყო ხულიერი რეაქციონერობასთან. ლენინი პლენანოვსა და მენშევიკებს ადანაშაულებდა მარქსიზმისადმი პერსონალურ მიდგომაში, რუსეთის სინამდვილეში მის აბსტრაქტულ გავრცელებაში. იგი ამტკიცებდა რუსული რევოლუციის ორიგინალურობას. ამ პოზიციიდან იბრძოდა დოქტრინულ მარქსიზმს და მასში კორექტივები შეატონდა. სწორედ ამ გზით შეძლო ლენინმა რუსული კომუნისტური რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის შემუშავება და განხორციელება.

კითხვაზე, არის თუ არა ლენინი მარქსიზმის თეორეტიკოსი? — პასუხი ერთმნიშვნელოვანია. — ის მარქსიზმის თეორეტიკოსი არ არის, ასეთი რუსეთში პლენანოვი იყო. ლენინი მხოლოდ რევოლუციის თეორეტიკოსია. მისი ნაშრომები რევოლუციის თეორიისა და პრაქტიკის დამუშავებას ემსახურება და ყველგან ცენტრში დგას ერთი თემა — ხელისუფლების აღება. ლენინმა მარქსიზმი როგორც მსოფლმხედველობა „რევოლუციური ბრძოლის ტექნიკას“ დაუქვემდებარა. კომუნისტებს შორის მას ერთადერთს აქონდა რევოლუციის განხორციელებაზე დამუშავებული საკითხი ხელისუფლების დაპყრობისა და მისი ორგანიზაციის შესახებ იგი „დაპყრობის“ თეორიას ამუშავებდა და ამიტომ არის „იმპერიალისტი“ და არა ანარქისტი. ლენინის აზროვნება იმპერიალისტური, დესპოტური იყო და ამიტომ მიიღო მისმა მსოფლმხედველობამ სწორბაზოვანი და ვიწრო, აზრის ხილარებისა და ასკეტურობის სახე. გაბოხებული ლოზუნგში — „ხელისუფლების დაპყრობა“.

ლენინის განათლებულობა კულტურის ცალმხრივობით ხასიათდება, რადგან ის ყოველ-



თვის გარკვეულ მიზანს ექვემდებარებოდა, უკველივეს აკუმულირება ხდებოდა ბრძოლისა და მოქმედების ტაქტიკის შემუშავებისათვის. ბევრი რამ დარჩა ლენინისათვის მიუწვდომელი და უცნობი. თუმცა ის ბევრს კითხულობდა. მაგრამ ფართო განათლება და დიდი გონებრივი კულტურა არა მქონდა. მან კარგად იცოდა მარქსიზმი, გარკვეულ ფარგლებში ეკონომიკაც, მაგრამ ფილოსოფია მას აინტერესებდა მარტო ბრძოლისათვის, ანგარიშწორებისათვის, მარქსიზმიდან გადახვევის გამო თავდახმებისათვის. ასეთი იყო მისი ბრძოლა ბოლშევიზმისა და ლენინარსკის წინააღმდეგ. რისთვისაც მას დასჭირდა გადაეკობა ვრცელი ფილოსოფიური ლიტერატურა, მათ შორის მახისა და ავენარიუსის შრომებიც, მაგრამ ცალმხრივად ვიწრო მიზნისათვის. ამიტომ არის, რომ ქრეხანოვთან შედარებით ლენინის ფილოსოფიურ ექსკურსებში გაცილებით ნაკლები ფილოსოფიური კულტურა ჩანს.

ლენინი მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა ტოტალიტარული მსოფლმხედველობისათვის, რადგან ეს მას ბრძოლის უნივერსალურ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა და მისგან გადახვევის ან დათმობის სასტიკი წინააღმდეგო იყო. აქ მას მხარს უმაგრებდა ის აზრი, რომ ავენარიუსით, მახით, ნიკშეთი გატაცება და არღვევდა ბოლშევიკური მსოფლმხედველობის მთლიანობას, დაახუსტებდა მის ბრძოლასუნარიანობას. ლენინს კარგად ესმოდა, მთლიანი დოგმატური რწმენის, ორთოდოქსიის გარეშე სტიქიურობის წინააღმდეგ ბრძოლა რომ წაგებული იქნებოდა და ამიტომ ხელმძღვანელობდა პრინციპით: — „ყველა საშუალება გამართლებულია რევოლუციური მიზნების განხორციელებისათვის“. „ყველაფერი ბოროტებაა, რაც კი მას ხელს შეუშლის“.

ლენინმა მაქსიმალისტური რევოლუციის იდეისადმი ერთგულების გამო დაკარგა კრიტიკიუმი სიკეთისა და ბოროტების განსხვავებისა, გაწვივდა უშუალო კავშირი ცოცხალ ადამიანებთან, ამიტომ ადვილად ეტუებოდა სიყრუეს, ვერაგობას, ძალადობას, სიმკაცრეს. ბუნებით ლენინის პიროვნებაში ბევრი რამ იყო კარგი, ის არ იყო განსაკუთრებული პატივმოყვარე, ხელისუფლების, თანამდებობის მოყვარული, მაგრამ შემოთაღნიშნული მაქსიმალისტური იდეით შეკურობილმა განიცადა ცნობიერების არეალის საშინელი სივიწროვე და წნეობრივ გადაგვარებამდეც კი მივიდა, როცა აღიარა ბრძოლის არაწნეობრივი საშუალებით გამოყენების მიზანშეწონილობა. ის ბედისწერას აყრდნობდა ადამიანი იყო და ესეც ამტკიცებდა მის ძალას.

ტოტალიტარული მსოფლმხედველობის კო-

ნიციიდან ლენინი თავს ესხმოდა ღვთისმშენებლებსა და ღვთისმობილებს მოითხოვდა რევოლუციური თვალსაზრისით გადაწყვეტილყო შემეცნების მატერიალური ფილოსოფიური პრინციპების მსგელობის ლოგიკა იყო: უნივერსალისტული დიალექტიკის მატერიალისტი, თუ თქვენ ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ საკითხებში უპირატესობას აძლევთ მახს, მაშინ თქვენ ლათინტობთ რევოლუციურ მსოფლმხედველობას და თქვენ უნდა „გამოირიცხოთ მისგან“. ე. ი. ვახსაც კი თავისი აზროვნების სიახლით გართულება შექმნოდა ტოტალიტარული მსოფლმხედველობაში. ის აუცილებლად უნდა მოკვეთილიყო.

მენშევიკება მოითხოვდნენ ბურჟუაზიულ რევოლუციას, კაპიტალიზმის განვითარებას, მუშათა კლასის გაცნობიერებას. ისინი ფილოსოფიაში არ ხცნობდნენ დიალექტიკური მატერიალისმის მონოპოლიას, პოზიტივისტობდნენ, ნეოკანტიანელობდნენ, მხარს უჭერდნენ ე. წ. „ბურჟუაზიულ ფილოსოფიას“. მენშევიკებს სურდათ უკფილიყვნენ თანმიმდევარი დემოკრატები, დაურდნობდნენ უმრავლესობას. უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას. უოველივე ეს, ცხადია ახუსტებდა რევოლუციურ ნებას. ლენინი ვერ შეუროგდებოდა ამას, რადგან იგი არ იყო დემოკრატი, და იცავდა არა უმრავლესობის, არამედ „შერჩეული უმცირესობის“ პრინციპს. მის მიერ აგებულ რევოლუციის გრანდიოზულ გეგმაში არ იყო გათვალისწინებული რუსეთის მუშათა კლასის ჩამორჩენილობა და მიმდინარე ეკონომიკური პროცესები.

ლენინი დიქტატურის განუწომელი მომხრე იყო არა მარტო პოლიტიკაში არამედ ფილოსოფიაშიც. იგი აზროვნებაზე დიალექტიკური მატერიალისმის დიქტატურას მოითხოვდა. პარტიაში კი უკიდურესად ორგანიზებული ცენტრალიზმის დამცველი იყო. ლენინმა პარტიას აგების დიქტატორული მოდელი გაიზრა მთელი რუსეთის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სქემად. ასეც მოხდა, რუსი ხალხი დაემორჩილა არა მარტო კომუნისტური პარტიის დიქტატურას, მისი ცენტრალური ორგანოს დიქტატს, არამედ კომუნისტური დიქტატურის დოქტრინისაც აზრებში, სინდისში. გაქრა უკველგვარი თავისუფლება პარტიის შიგნითაც და მთელი რუსეთის მასშტაბითაც ეს იყო შედეგი იმ ტოტალიტარული მსოფლმხედველობის დიქტატურისა, რომელსაც ლენინი ასე თანმიმდევრულად აშაადებდა.

როგორ შეძლო ლენინმა ამისი განხორციელება?

ლენინი თავისთავში აერთიანებდა მუდმი-



დას მომდინარე ორ ტრადიციას: რუსული რევოლუციის მისწრაფებას მაქსიმალიზმისაკენ და ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების დესპოტიზმს. რუსი მენშევიკები, სოციალ-დემოკრატები, სოციალ-რევოლუციონერები მარტო პირველი ტრადიციის გამოხატველნი იყვნენ და თანაც ერთობ რბილად, ამიტომ ისინი დამარცხდნენ. სახელმწიფოებრივი დესპოტიზმი ბოლშევიკებმა აქტიურად გამოიყენეს და მათ შექმნეს რუსული დემოკრატიული იმპერიის მესამე სახე. პირველი იყო ივანე მარსხაინის მოსკოვის სახელმწიფო, მეორე პეტრე დიდის იმპერია და მესამე კომუნისტური იმპერიული სახელმწიფო.

ბოლშევიკში იყავს ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, რომელშიც არა მარტო შერითდა სოციალური სიძარტლის ნება სახელმწიფო ძლიერების ნებასთან, არამედ მეორემ მთლიანად დაიმორჩილა პირველი, ბოლშევიკში რუსეთის ცხოვრებაში შევიდა როგორც უმაღლესი ხარისხის მილიტარიზებული ძალა და ესეც ძველი რუსული იმპერიული სახელმწიფოებრიობის ნიშანი იყო.

ლენინმა შექმნა პოლიტიკური სახელმწიფო მართვის ძველი აპარატის მსგავსი საშუალებებით მაგრამ ლენინმა ისიც იცოდა, რომ ხალხის დამორჩილება მარტო აპარატით, მარტო ხელისუფლების ორგანიზებული ფორმებით არ შეიძლება. რომ, ამასთან ერთად საჭიროა ტოტალიტარული დოქტრინა. თუ ადრე რუსეთის ხალხთა ერთიანობაში შემკვრელი ასეთი ძალა რელიგიური რწმენა იყო, ახლა საჭირო გახდა ახალი ერთიანი რწმენის დანერგვა თავისი შესაბამისი ელემენტარული სიბოლოებით, ასეთ საშუალებად გადაიქცა რუსულად ტრანსფორმირებული მარქსიზმი.

ქვე კიდევ 1912 წელს წიგნში „რა უაქოთა?“ ლენინი მოითხოვდა ორგანიზებული ძალის ბატონობას ზევიდან. ეს უკვე დიქტატორული ძალის აღიარება იყო და მისი ეს ანტი-დემოკრატიზმი აისახა „ახალგაზრდა კომუნისტურ ფალსოფიაში“ ლენინი აბოლოტისტია როგორც მატერიალისტი. მას სწამს აბსოლუტური ქვემარტობა განხორციელებული ტოტალიტარული მარქსიზმში. თუმცა ამის დამტკიცება არ შეიძლება, მაგრამ მას ეს არც აწუხებდა; მთავარი იყო რევოლუციური ნების აბსოლუტურობის გამართლება. მაგრამ დიდი დაფიქრება არ სჭირდება იმას, რომ ტოტალიტარული დოქტრინა რომელიც მთელი სისტემით მოიცავს ცხოვრებას, პოლიტიკას, ეკონომიკას, აზროვნებას და კულტურას, სხვა-აზრდის შეიძლება უფილიყო. თუ არა მხოლოდ რწმენის ობიექტი.

რუსეთისათვის ეს არ იყო უცხო, ის იმთა-

ვითვე რაპინალური უფით — რწმენის გამგებლობაში მორჩილებაში ცხოვრობდა. თავის მიწასთანაც კი რაღაც მისტიკური ძალით იყო დაკავშირებული, ლენინმა აიტაცა რუსი ადამიანის ეს ფსიქიკური განწყობა. მისი კულტიდან რუსი გლეხი ადვილად გადავიდა მანქანის კულტზე და გადავიდა რწმენის კულტზე.

ლენინმა იცოდა, რომ ის ტოტალიტარული და განხორციელებულ ქვეყანაში, მას ისტორიული სიტუაციის შეგრძნების საოცარი უნარი აღმოაჩინდა და იგრძნო, რომ 1917 წელს დადგა დრო, როცა მთელი დედამიწის ზურგზე პირველი პროლეტარული რევოლუცია უნდა განხორციელდებოდა უადრესად გლეხურ ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ლენინმა უკვე აღარ მიხატია უშუალოდ მარქსიზმის დოქტრინულ პრინციპებს, მან თავიდან მოიშორა მარქსისტი დოქტრიონერები სრული თავისუფლება იგრძნო, რუსი გლეხობის უზარმაზარი არმია რევოლუციურ ძალად გამოაცხადა და „მუშურ-გლეხური რევოლუციით მუშურ-გლეხური რესპუბლიკა დაამუარა“.

ლენინმა უკველივე ეს გააკეთა უფრო სწრაფად უფრო რადიკალურად და შედეგადადაც, ვიდრე იმით, ვინც დიდი ხნის განმავლობაში რევოლუციისათვის იღვწოდნენ და ეს მან შეძლო „ახალი რევოლუციური მორალით“. სიხასტიკით, დესპოტიზმით. „ლენინი ანტიიმპერიალისტი, ისე როგორც ანტიდემოკრატი“, იგი მის მიერვე შექმნილი ახალი ეპოქის ადამიანია, ეპოქისა რომელიც შემდეგ კომუნისტური გახდა და ფაშისტურიც, ასეთ ეპოქას ახალი რევოლუციური ნების გამტარებელი ადამიანის სჭირდება და ლენინიზმი გადაიქცა ახალი ტიპის „ვოლფიზმად“, რომელმაც შექმნა დიქტატორული ხელისუფლებით აღჭურვილი მასების ბელადი. მას მიზამავენ მიტლერი და მუსოლინი. სტალინიზმი განხორციელდა ბელადის, დიქტატორის დასრულებული ტიპი. ლენინიზმი ქვემარ არის ფაშიზმი, სტალინიზმი კი უკვე ფაშიზმთან მისსგავსებულია.

„ვოლფიზმის“ იდეა პროლეტარიატის დიქტატორისა და პარტიის დიქტატორის ნაყოფია. ეს იდეა ლენინმა 1917 წელს განავითარა წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელიც მის მიერ 1912 წელს იყო წამოყენებული.

ლენინმა დაამყვიდრა აზრი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა კომუნისტური პარტიის დიქტატურაა და ეს ნიშნავდა უფრო დესპოტიკური მართვის დაკანონებას, ვიდრე ის რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფოში განხორციელდებულა. ლენინი ამბობდა, — პროლეტარიატს დემოკრატია არა სჭირდებაო, კომუნისმში რომ განხორციელდეს, მთავარია პოლიტიკის ბატონობა ეკონომიკაზე. საჭიროა ძლიერ-



რი ნების ხელისუფლებამ და მან კარგად იცო-  
და, რომ მისი განხორციელება მხოლოდ პო-  
ლიტიკურად და ეკონომიკურად ჩამორჩენილ  
რუსეთში შეიძლებოდა, თვითმპყრობელონი  
მონარქიის იმ ქვეყანაში, რომელმაც არ იცო-  
და რა არის სამართალი და მოქალაქეთა თა-  
ვისუფლება.

ლენინმა პროლეტარული რევოლუციისათვის  
გამოიყენა რუსი ხალხის დამახასიათებელი  
მორჩილების საუკუნეობრივი ინსტინქტები,  
თეორიულად კი იმას ამტკიცებდა, რომ რუსეთ-  
ში რევოლუცია ორიგინალური ფორმით მოხ-  
დებოდა და მან იცოდა, ეს არ იქნებოდა მარ-  
ქსისტული დასავლური რევოლუცია, მაგრამ  
უოველივეს მარქსის სახელი უნდა დარქმეოდა.

### ბოლშევიზმის რამბა

ლენინი ამტკიცებდა გარდამავალ პერიოდში  
რეალიზდება პროლეტარიატის დიქტატურა  
სრული სახით და ეს იქნება პროლეტარიატის  
ბატონობის ისეთი დრო, როცა ხალხი გაივლის  
ზევიდან რკინიგზური დიქტატის, იძულების  
პერიოდს, როცა ძალდატანებას დაექვემდებარ-  
ება არა მარტო ბურჟუაზიის გადმონაშთები,  
არამედ მუშურ-გლეხური მასებიც, თვით დიქ-  
ტატორიც, ე. ი. პროლეტარიატიც და ეს გაგრ-  
ძელდება მანამ, ვიდრე სახელმწიფო არ მოკვ-  
ლება და ამით დიქტატურაც არ დამთავრდებ-  
აო.

ლენინი ამგვარი მტკიცებინას ხელმძღვანე-  
ლობდა ადამიანის თავისებური გავებით, იგი  
უურადღებას არ აქცევდა სულიერ მხარეს, ადა-  
მიანის სულიერ მიხწრაფებებს თავისუფლე-  
ბისაკენ და ამიტომ მას სჭეროდა ადამიანზე  
საზოგადოებრივი დაწოდის დიდი ძალი, სჭე-  
როდა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს  
იძულებით შეუძლიათ შექმნან როგორც გვინ-  
და ისეთი ახალი ადამიანი, სასურველი სრულ-  
ყოფილი სოციალური ორგანიზმი, რომელსაც  
შემდეგ, აღარ დასჭირდება ძალადობის ზეგავ-  
ლენა. მარქსის მსგავსად ლენინსაც სწამდა, რომ  
ადამიანის ფაბრიკაცია ფაბრიკებში ხდება. ამა-  
ში მდგომარეობდა ლენინის უტოპიზმი, მაგრამ  
ეს რეალიზებადი გახდა და შემდეგ უკვე რეა-  
ლიზებულ უტოპიზმად გადაიქცა.

ლენინს თავის ხქემაში ფაქტიურად გამოჩ-  
ნა ერთი რამ: მან დააფუძნა კაპიტალიზტური-  
საგან განსხვავებული კლასობრივი ტანჯვის  
სრულიად ახალი ფორმა და ასევე დაამყვიდრა  
პროლეტარიატის დიქტატურასთან დაკავშირე-  
ბული კოლსხალური ბიუროკრატიული აპარა-  
ტი, რომელმაც ობობას ქსელივით მოიცვა  
მთელი ქვეყანა და უოველივე დაიმორჩილა,

ასე შეიქმნა ახალი საბჭოთა ბიუროკრატია, უფ-  
რო ძლიერი, ვიდრე მეფისდროინდელი რუსე-  
თისა და ჩამოყალიბდა ახალი პრივილეგირებუ-  
ლი კლასი, რომელსაც შეეძლო სასტიკი ექს-  
პლოატაციაში ჰყოლოდა ხალხის მასები.

საბჭოთა რუსეთი სახელმწიფო კაპიტალიზმის  
ქვეყნად გაფორმდა, რადგან დესპოტურ-  
ად მისთვის ჩვეულებრივად დაშალა დემო-  
ბით — ძალადობით, მოტყუებით, საშხედრო-  
პოლიციური რეჟიმით და შესაფერისი საგა-  
რეო პოლიტიკით, დესპოტურ ძალაუფლებას  
დაბრკოლებას შეუქმნიდა ჰუმანურობისათვის,  
მორალურისთვის ანგარიშის გაწევა, რადგან იქ  
ბატონობდა მარტო ძალის მორალი.

რევოლუციის თავისი ონტოლოგიური საზ-  
რისი აქვს, ეს საზრისი პესიმისტურია და არ  
შეიძლება ოპტიმისტური იყოს, რადგან რელი-  
გიური ისტორიოსოფიის პოზიციიდან რევო-  
ლუცია ისტორიის შინაგანი აპოკალიპსია, ჩვენს  
ცოდვილ, ბოროტებით, სავსე ქვეყანაში შეუძ-  
ლებელია განუწყვეტელი, აღმავალი განვითა-  
რება, მასში გროვდება ბოროტება და ამიტომ  
იწყება რღვევის პროცესი, დგება რევოლუ-  
ციის აუცილებლობის ხანა, რევოლუცია, რო-  
მელიც ძალადობასა და სისხლისღვრას ახორ-  
ციელებს — შეცოდებაა, მთელი ისტორია გარ-  
კვეთლი აზრით, შეცოდებაა, რადგან მასშია ძა-  
ლადობა, სისხლისღვრა, ომები.

რევოლუცია არის სიკვდილის მსგავსი რამ,  
ის არის „გავლა სიკვდილში“ როგორც ცოდვის  
აუცილებელი შედეგი. მაგრამ ამავე დროს რე-  
ვოლუცია არის ისტორიის განგება, მისი ბე-  
დისწერა, რევოლუციაში ხდება ბოროტი ძა-  
ლების განსჯა, იმათი ვინც უსამართლობას ქმნის.  
მაგრამ თავის მხრივ, თვით ეს განმსჯელი ძა-  
ლები თავად სჩადიან ახალ ბოროტებას, რე-  
ვოლუციაში სიკეთესაც ბოროტი ძალები ახორ-  
ციელებენ რადგან კეთილნი უძლურნი არიან,  
თავიანთი სიკეთე ძალადობით განახორციელონ.

რევოლუციის უოველგვარი საზრისის უარ-  
ყოფა აუცილებლად ისტორიის საზრისის უარ-  
ყოფაცაა, თუმცა რევოლუცია საშინელებაა  
როგორც ძალადობა, მაგრამ ის ახალს შობს და  
ამდენად ის ამ დაწყვეტილი ქვეყნიერების ის-  
ტორიული ბედისწერაა.

რევოლუცია საერთოდ ირაციონალური მოვ-  
ლენაა, მასში გადაშწყვეტ რილს ირაციონალუ-  
რი ძალები ასრულებენ. ეს იცოდნენ რევოლუ-  
ციის ორგანიზატორებმა და უოველთვის ცდი-  
ლობდნენ რაციონალური გაეხადათ რევოლუცი-  
ის ირაციონალური სტიქია, ლენინი უკიდუ-  
რესი რაციონალისტი იყო, მას სჭეროდა სო-  
ციალური ცხოვრების საბოლოო რაციონალი-  
ზაციის შესაძლებლობა, მაგრამ იგი თავადაც



ისტორიისათვის ირაციონალური მომენტი იყო, როგორც განგებოთ მოსული, ბედისწერის აღა-  
შიანი.

რუსულ რევოლუციას თან ახლდა რევოლუ-  
ციის ყველა გვარობითი ნიშანი, მაგრამ მას  
ამასთან ერთად თავისი ორიგინალობაც აქვს,  
რაც, როგორც ზევით უკვე ითქვა, რუსეთის  
ისტორიული თავისებურებითა და მისი ინტე-  
ლიგენციის ბუნებით უნდა აიხსნას. რევოლუ-  
ციის პირველ წლებში გავრცელდა ლეგენდა,  
რომლის მიხედვითაც ბოლშევიზმი რუსულ მო-  
ვლენად იყო გამოცხადებული, რუსი ხალხის  
სტიქიით განსაზღვრულად. — კომუნისტიკი კი  
ევროპულ ფენომენად, რომელიც რუსეთში სხვა  
ერებში შემოიტანეს, გაავრცელეს და ამის გა-  
მო მოხდა ირაციონალურის გარაციონალურება,  
ხალხური სტიქიის მოქცევა დასავლეთის რა-  
ციონალისტური ორგანიზებულობის ქვეშ.

ამ ლეგენდის მიხედვით რუსი ხალხის ბუნე-  
ბა იყო დედრობითი ელემენტი, რომელზედაც  
ძალადობდა დასავლური მამრობითი საწყისი.  
ეს ლეგენდა დაედო საფუძვლად ისტორიაში  
პეტრე დიდის ეპოქის ახსნას. ამ ლეგენდით  
რუსული კომუნისტური რევოლუციის ახსნაც  
შეიძლება, რადგან ამ რევოლუციაში აშლილი  
ქაოსური ძალები მართლაც კომუნისტიკის იდეამ  
დაიმორჩილა და თავისი შესაბამისი სიმბო-  
ლოები მონახა.

ამ თვალსაზრისით, უდავოდ დიდია კომუ-  
ნიზმის იდეების დანიშნულება რუსული სა-  
ხელმწიფოს წინაშე, რუსეთს ემუქრებოდა სრუ-  
ლი ანარქია, დაცემა, ეს კი შეაჩერა კომუნის-  
ტიკმა დიქტატურამ თავისი ლოზუნგებით,  
მოწოდებებით, რომელსაც ხალხი გაჰყვა და  
დაემორჩილა.

არის კიდევ ერთი მომენტი, — რუსული  
კომუნისტური რევოლუცია დააჩქარა მსოფ-  
ლიო ომმა, რომლის მიმართ კომუნისტებმა სა-  
ოცარი ორპირობა გამოავლინეს. ისინი გამოდ-  
ნენ, ლანძღავდნენ იმპერიალისტურ ომს, პრო-  
ტესტს უცხადებდნენ მას და თითქოს ომის და-  
შთავრება უნდოდათ, ნამდვილად კი მეტად  
დაინტერესებულნი იყვნენ ომის გაგრძელებით  
და ამით კიდევ მოიგეს, ვაჩანაგებული მანის  
მიმბრობისათვის ომი მათ ძალზე გამოადგათ.

კომუნისტებს ომი იმისთვისაც აწყობდათ, რომ  
შესძლებდნენ ეროვნებებს შორის ომი კლასებს  
შორის ომად გადაექციათ. ომი კომუნისტური  
რევოლუციის ერთ-ერთი პირობა იყო, ამის  
გარეშე რუსეთში რევოლუცია შესაძლოა მომ-  
ხდარიყო, მაგრამ შედარებით გვიან და სხვა-  
ნაირად.

რუსეთის მარცხიანი ომი ძალზე ხელშემწე-  
ყობი პირობა იყო ბოლშევიკების გა-  
მარჯვებისათვის, გარდა ამისა, ომმა განსაზ-

ღვრა ბოლშევიკის ტიპის ჩამოყალიბება, რო-  
გორც გამარჯვებულისა და დამპყრობელისა. ომ-  
მა სადემარკაციო ხაზი გაავლო ძველ ინტელი-  
გენციასა და ახალს შორის. ომის შედეგები  
ბოლშევიკებმა რუსეთში გადმოიტანეს და  
ცხოვრების წესად აქციეს, გაჩნდა რელიგიური  
ზებული ახალგაზრდა კაცის რელიგიური  
დაუპირისპირდა ძველ, მტკიცე-მტკიცე  
ფული იერის ინტელიგენტს, კარგად გააჩინულ-  
სა და ლამაზად ჩაცმულს. ეს უკანასკნელი შე-  
ცვალა დამპყრობელმა, რომელიც ყოველთვის  
მზად არის ძალადობისათვის და განვითარებული  
აქვს ძალაუფლების დაპყრობის ნება.

გლების, მუშის ან ნახევრად ინტელიგენტის  
ოჯახიდან გამოსულ მხოლოდ ასეთ ახალგაზრ-  
და კაცს შეეძლო კომუნისტური რევოლუციის  
მოხდენა. ამას ძველი უაღრეს ინტელიგენტი ვერ  
გააკეთებდა თავისი მეოცნებე და თანამგრ-  
ძნობი ბუნებით. ისე როგორც ყოველი რევო-  
ლუცია, რუსული კომუნისტური რევოლუციაც  
უბედურებაში და უბედურებისაგან დაიბადა,  
დამანგრეველ ომის უბედურებისაგან და მა-  
შასადამე, ის არ წარმოქმნილა რუსეთში შე-  
მოქმედებითი ძალების სიჭარბის მიზეზით.

ბოლშევიზმმა ყველაფერი გამოიყენა თავისი  
გამარჯვებისათვის: ლიბერალური დემოკრატიუ-  
ლი ხელისუფლების უსუსურობა, ომის გაგრ-  
ძელების შეუძლებლობა, ჯარისკაცთა მღელ-  
ვარებანი ომის წინააღმდეგ, გლების უკმაყო-  
ფილება უმიწობის გამო, რაც მთავარია, ზე-  
ვიდან დესპოტური მართვის რუსული უკუღმარ-  
თობა; გამოიყენა რუსული სულის დაპირისპი-  
რებულობა ბურჟუაზიულ სეკულარიზმთან, ხა-  
ლხის რელიგიურობა, მისი დოგმატიზმი და მა-  
ქსიმალიზმი, მისი ძიებები სოციალური სა-  
მართლიანობისათვის და რწმენა მიწაზე ღვთიუ-  
რი სამეფოს დამყარებისა, უნარი მსხვერპლის  
გაღებისა და ტანჯვის მორჩილად გადატანისა,  
გამოიყენა მისი უბედობა და სიხასტიკე, რუსი  
ხალხის მესიანიზმი, რწმენა ისტორიაში მათი  
განსაკუთრებული მისიისა.

ბოლშევიზმმა რუს ხალხსა და კულტურულ  
ფენებს შორის განხეთქილებაც გამოიყენა, ინ-  
ტელიგენციას უნდობლობა გამოეცხადა და ად-  
ვილად განადგურდა როგორც დაუმორჩილებე-  
ლი ძალა.

ბოლშევიზმმა კარგად გამოიყენა ისიც, რომ  
რუსი ხალხი არ იცნობდა ბურჟუაზიული ცხოვ-  
რების კეთილდღეობას, რომ მას მუდმივ რუსუ-  
ლი კოლექტივისტური და რელიგიური სულის-  
კვეთება ახაზდოებდა. ნაძალადევად დაიწყო  
ძველი პატრიარქალური წესის ნგრევა, რელი-  
გიური რწმენის უარყოფა, მაგრამ ინერგებოდა  
მათივე მსგავსი ახალი რწმენა და ახალი კო-  
ლექტიური მეურნეობა. ერთი საუკველთაო



ქრისტიანული რწმენიდან რუსული სული გა-  
დაინტერესდა ახალზე. კომუნიზმის საყოველთაო  
რწმენაზე.

ის რაზეც ვერ კიდევ სლავოფილები ოცნე-  
ბობდნენ, წითელმა კომუნისტებმა განხორ-  
ციელეს — რუსეთის დედაქალაქი პეტერბურ-  
გიდან მოსკოვში, კრემლში გადმოიტანეს. მათ  
განააზღეს რუსეთის ძველი ინტელიგენციის  
ცნობილი მოწოდება: „ხინათღე აღმოსავლე-  
თიდან ამოდის“ და მას ტრანსფორმირებული  
სახე მიხცეს: „ხინათღე მოსკოვიდან, კრემლი-  
დან ამოდის, მან უნდა გააშუქოს ბურჟუაზიული  
დასავლეთის წუვდიადი“.

კვლავ წამოიჭრა მესამე რომის იდეა, ოღონდ  
მესამე რომის ნაცვლად რუსეთში გაფორმდა  
მესამე ინტერნაციონალი. დასავლეთში ეგო-  
ნათ მესამე ინტერნაციონალი მართლაც ინტერ-  
ნაციონალისტური იქნებოდა, მაგრამ იგი წმინდა  
რუსულ ნაციონალურ იდეად გადაიქცა, რომ-  
ელშიც ტრანსფორმირებული სახით გამოიხა-  
ტა რუსული მესაანიზმი.

ბოლშევიკებმა გამოაცოცხლეს რუსების მიდ-  
რეკილება პროფეტორებისადმი, განუხორციე-  
ლებელი, უსაფუძვლო გეგმების აგებისადმი და  
ეს მისწრაფება კომუნიზმის მთელი ქლანეტის  
მასშტაბით გავრცელების გეგმის დასახვად გა-  
ნავითარეს.

რუსეთში წარმოიშვა ახალი ბოლშევიკური  
ტიპის ბიუროკრატია, ობლომოვები და რუდინე-  
ბი პრაქტიკოსმა ადამიანმა შეცვალა, რომლის-  
თვისაც მანქანა სალოცავ ეკრძაღ, ტოტემად გა-  
დაიქცა, დასავლეთის ადამიანისათვის ტექნიკის  
ჩვეულებრიობა რუსის მიერ მანქანის მისტი-  
კურმა განცდამ შეცვალა და მისი ქულტით  
კონსერვირი გადატრიალების გეგმები დაისახა.

### როგორია რუსული კომუნიზმის საბოლოო სახე?

რუსული კომუნიზმის წარმომშობი მიწეზების  
ახსნა, მისი სათავეებისა და საზრისის გამო-  
კვლევა ერთია, მეორეა მისი, როგორც ფაქტის  
გამართლების შესაძლებლობა. ნ. ბერდიაევის  
აზრით, ახსნა-გამოკვლევა შესაძლებელია, მი-  
სი გამართლება კი შეუძლებელი. ვინც არ უნ-  
და შეეცადოს რუსული კომუნიზმის გამართ-  
ლებას, ამას ვერ შეძლებს. „გაუფონარი ტირა-  
ნია, რომელიც საბჭოთა წყობილებას ახასია-  
თებს, წნეობრივი სასამართლოს საგანი უნდა  
გაჩდეს“.

როგორ შეიძლება გამართლება იმისა რომ  
„ორგანიზაციულად ყველაზე სრულყოფილი  
დაწესებულება“ შექმნილი კომუნიზმის პირვე-  
ლხვე წლებში იყო „ჩეკა“ — საგანგებო კო-  
მისია, რომელსაც შემდეგ „კაუ“ ეწოდა? ეს

იყო „სახელმწიფოებრივი პოლიციური ორგა-  
ნიზაცია, შეუდარებლად უფრო ტირანული, ვიდრე  
ძველი რეჟიმის ენდარბერა“.

რუსულმა კომუნიზმმა ერთმანეთთან დააკავ-  
შირა ორგვარი მესაანიზმი — რუსული და  
პროლეტარული, რომლის შედეგადაც კომუნიზ-  
მი ორგანულად შექმნილი რუსული ნაციონალურ  
საწყისებს, კომუნიზმი, განხორციელებული  
მსოფლიოს მხოლოდ ერთადერთ ქვეყანაში, რუ-  
სეთში, იმის საფუძვლად იქცა, რომ შექმნილი-  
ყო ნაციონალისტური საერთაშორისო პოლიტი-  
კა, რომ რუსეთს სოციალისტური სამშობლოს  
წოდება მოეპოვებინა და საბჭოთა რუსეთის  
დამარცხება გამოცხადებულყო საზოგადოდ  
კომუნიზმის მარცხად და კომუნიზმის იდეის  
დასამარცხად.

კომუნისტურ რუსეთს თვითმყოფობის შე-  
ნარჩუნებისათვის ინდუსტრიალიზაცია სჭირდუ-  
ბოდა და შეიქმნა ხუთწლიანი გეგმები, ჩამორ-  
ჩენილ ქვეყანაში ამის განხორციელება ადვი-  
ლი არ იყო და ამისათვის გამოიყენეს ნაცადი  
ხერხი, — ამუშავდა ენთუზიაზმი, შეიქმნა მი-  
თი და თავიებური ინდუსტრიული მისტიკა,  
რომელსაც თან ახლდა ტერორი და „გეპეტუს“  
აქციები. ხერხმა გასჭრა, გამოჩნდა ახალგაზრდა  
თაობა, რომელიც ენთუზიაზმით ეკვეთა ხუთ-  
წლიანი გეგმის განხორციელებას, რუსი ხალხის  
რელიგიური ენერჯია გადაიზარდა სოციალის-  
ტური მშენებლობისათვის კომუნისტური ახალ-  
გაზრდობის ენთუზიაზმად.

ხუთწლიანმა გეგმებმა ვერ ააშენეს სოცია-  
ლიზმის სამეფო, პირიქით, წარმოიშვა სახელ-  
მწიფო კაპიტალიზმი, რომელშიც ღირებულე-  
ბებად გამოცხადდა არა მუშათა ინტერესები,  
არა ადამიანის ღირსება და მისი შრომა, არა-  
მედ სახელმწიფოს ძლიერება, მისი ეკონომი-  
კური სიმტკიცე.

კომუნიზმი სტალინიზმის პერიოდში შეიძლე-  
ბა წარმოვიდგინოთ პეტრე დიდის საქმის გაგრ-  
ძელებად. მეორე მხრივ, სტალინიზმი კომუნიზ-  
მის მშენებლობის პერიოდში შეუმჩნევლად გა-  
დაიზარდა თავისებურ რუსულ ფაშიზმში მას  
გამოუჩნდა ფაშიზმის ყველა ნიშანი: ტოტალი-  
ტარული სახელმწიფო, ნაციონალიზმი, სახელ-  
მწიფო კაპიტალიზმი, „ვოჟდიზმი“, მილიტარი-  
ზმი.

ობიექტურად ეს პროცესი მიმდინარეობდა  
ინტეგრაციის ფორმით, რუს ხალხს კომუნიზმის  
დროშის ქვეშ უნდა შემოეკრიბა მსოფლიოს  
ხალხები და ეს ხდებოდა არაადამიანური სისა-  
სტიკით, სისხლით, ხელისუფლების მარწყებე-  
ში ხალხის გამომწყვდევიტ.

ამ პროცესებს თან ახლდა კიდევ ერთი რამ,  
რუსეთში განვითარდა არა მარტო საერთაშო-  
რისო კომუნისტური პატრიოტიზმი, რომელიც



რუსი ერის მესიანურ იდეას უცავშირდებოდა. არამედ საბჭოთა კატრიოტიზმი, რაც სრულიად უბრალოდ რუსული კატრიოტიზმია. ასე გა-  
მოიკვეთა და გაცნობიერდა რუსი ხალხის მსო-  
ფლიო ისტორიული მისია: — მას უნდა აეჭო  
პირველი ადამიანური საზოგადოება, განეხორ-  
ცილებინა სოციალური სამართლიანობა არა  
მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში,  
და მოხდა პირიქით, სოციალური სამართლიანო-  
ბის ნაცვლად საშინელი უსამართლობა, ძალა-  
დობა, დანაშაული სისხსტიკე, სიცრუე, უოც-  
ლივე ამის ინსცენირება სასამართლო პროცე-  
სებზე ხდებოდა.

ასეთ ვითარებაში თავისუფლების ასეთი გა-  
გება ჩამოყალიბდა, რომელსაც ფაქტურად თა-  
ვისუფლებასთან არაფერი აქონდა ხაერათ, თა-  
ვისუფლება გაგებულთ იყო არა არჩევანის თა-  
ვისუფლებად, არა შინაგან თავისუფლებად,  
არამედ სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათ-  
ვის არგანიზებულ კოლექტიურ ქმედებად. ე. ი.  
არჩევანი უკვე გაკეთებული იყო, არჩევანი  
ასეთი იყო: პარტიის მიერ დასახული გუნერა-  
ლური ხაზით მიმდინარეობს კოლექტიური მშე-  
ნებლობა და პიროვნების ერთადერთი არჩევა-  
ნი და თავისუფლება კოლექტივის წინაშე მორ-  
ჩილება და შეგუება. თავისუფლების ასეთი  
გაგებიდან ჩანს, რომ საბჭოთა კავშირში უარ-  
უყოფელი სინდისის, აზრის თავისუფლება.

უმაღლესი ქრისტიანული რწმენისდაგვარად  
ევანგელიკური ემორჩილება ერთიან უპიროვნო  
მიზანს, ეველაზე უღაადებს, კომუნისმის მშე-  
ნებლობის იდეას, ადამიანი გადაიქცა რსვო-  
ლუციის იარაღად და საშუალებად, მან და-  
კარგა თავისი სულიერი თავისუფლება.

აგებულია უნავერსალოდო მასშტაბის მსო-  
ფლიო მოდელი: მთელი სამყარო მიეშარტება  
ძველი კაპიტალისტური საზოგადოების ლიკვი-  
დაციისაკენ, სოციალიზმისაკენ მსვლელობა  
მსოფლიო მოვლენაა, ამიტომ უოველნაირი თე-  
ორიული, ადგილი, ფილოსოფიური კამათი, უო-  
ველი პრაქტიკული, პოლიტიკური და ეკონომი-  
კური აქციები საბჭოთა რუსეთში მას უნდა  
დაუკავშირდეს, უბრალო უოველი გადახრა ამ  
მოსართმეველ ურებსა და სასტყად ისება. ქვე-  
ყანაში მიმდინარეობს ამნაირი ერთკოსების  
მოდმიური მხილება და დევნა, ასე მიიღო საბ-  
ჭოთა სახელმწიფომ ერთგვარი ეკლესიური სა-  
ხე, პოლიტიკამ — ორთოდოქსიისა, ზოლო კო-  
მუნისტური მსოფლმშედველობა და ფილოსო-  
ფია რელიგიის როლში გამოვიდა.

თუ კომუნისტურ ხელისუფლებას ასე თუ  
ისე შეუძლია ჩამშენაირი ევოლუცია განიცა-  
დოს, ეს არ შეიძლება შეეხოს იდეოლოგიას,  
ამგვარმა იდეოლოგიამ ფილოსოფია გადაიქცა  
შეურაცხებელ დაუჩინებელ, ფახტიკურ ორთო-

დოქსიად, ამან გახადა საბჭოთა ფილოსოფიური  
ლიტერატურა და ანტირელიგიური პროპაგანდა  
„უაღრესად ბნელი და გაქვავებული“, რომლის  
გამო იგი თავისი დოგმატიზმით დაუმატებდა  
თვით ქრისტიანულ თეოლოგიასაც.  
ისიც აღსანიშნავია, რომ კომუნისტები ქრის-  
ტიანობისადმი სიძულვილით განსწავლეს, წი-  
ნააღმდეგობაში ვარდებიან, რომლებმაც მათ  
ცხოვრობენ რწმენის სამეფოში და რწმენას ებ-  
რძვიან, მათ როგორც მორწმუნეებს სულიერი  
აღმავლობა სჭირდებათ, ამის ნაცვლად იბინა  
მატრიალურს აბატონებენ და სულიერს კო-  
უარყოფენ.

ლენინს სურდა კომუნისმი განხორციელე-  
ბულიყო მუშტით, გარეგან ძმობაზე, რომელიც  
იძულებას ემყარება, მთავარი კი უნდა ეოფო-  
ლიყო შინაგანი სულიერი ძალების ამადლება,  
პიროვნების თავისუფლება.

კომუნისტურ რუსეთში აიგო სახელმწიფო,  
რომელიც მანქანას დაემსგავსა, რომელშიც ადა-  
პიანების სახეებს ერთმანეთისაგან ვერ გაარ-  
ჩევთ, პიროვნებამ პიროვნულობა დაკარგა, იგი  
გაუპიროვნებული დაშვირებული და ნივლე-  
რებული გახდა.

როგორ ესმოდა მარქსს ადამიანი? მარქსი შე-  
სანიშნავი სოციოლოგი იყო, მაგრამ ძალზე  
სუსტი ანთროპოლოგი, მარქსის ინტერესი მთ-  
ლიანად მიმართულია საზოგადოებისაკენ, იგი  
აყენებს საზოგადოების განთავისუფლების, ხს-  
ნის პრობლემას და არა ადამიანისა, მისთვის  
ადამიანი საზოგადოების, ეკონომიკის ტექნი-  
კური ფუნქციონერია, საზოგადოება პირველი  
ფენომენია, ადამიანი, უპიფენომენი, ამან მარ-  
ქსთან ადამიანის დებუმანიზაცია, მისი „განივ-  
თება“ გამოიწვია, მარქსიზმის ეს თეორიული  
პრინციპები საბჭოთა რუსეთში განახორციელა.

საბჭოთა კომუნისმი პრეტენზიას აცხადებს  
ახალი ადამიანის ფორმირებაზე, მაგრამ ახალი  
ადამიანის ჩამოყალიბება მხოლოდ მაშინ ართი  
შესაძლებელი, როცა ის უმაღლეს ღირებულე-  
ბად იქცევა, თუკი ადამიანი სხვა არაფერია, თუ  
არა საზოგადოების საშენი აგური, მაშინ ის  
არამც თუ ახალი ადამიანი ვერ გახდება, არა-  
მედ ხაერთოდ ქრება როგორც ადამიანი, მას  
ჩნება მარტო ორი გარეგნული განზომილება,  
ქრება მისი სიღრმისეული, სულიერი ღირებუ-  
ლებანი.

კომუნისმი, იმ ფორმით როგორც ის რუ-  
სეთში განხორციელდა, უკიდურესი ეტატიზმია,  
გამოხატული ფორმულაში — „ევანგელიკური სა-  
ხელმწიფოს ივის“ სახელმწიფო დაემსგავსა  
დევიოიასს, უზარმაზარ ურჩხულს, რომელშიც  
ევანგელიკური თავის კონიერ კლანკებში მოაქ-  
ცია.

საბჭოთა სახელმწიფო არის ეველა სახელ



მწიფოთა შორის ერთადერთი თანამიმდევრული, სრულყოფილი ტოტალიტარული სახელმწიფო იგი მონისტური სოციალური სისტემაა. რომელიც როგორც წესი, ტირანიაზე, ადამიანის პიროვნების დაჩაგრვამდე მიდის.

არის გამოსავალი? ნ. ბერდიაევის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: გამოსავალი ის არის, რომ უნდა შეიქმნას საზოგადოების სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ერთადერთი და უველაზე მისაღები ფორმა, — კლურალისტური სახელმწიფო, მეორე — ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც პიროვნება უმაღლეს ღირებულებად იქნება წარმოდგენილი.

ნ. ბერდიაევი უკლასო საზოგადოების მომხრეა, მაგრამ ისეთისა, რომელსაც თავისი ხაწუისი არისტოკრატიულ-პიროვნულში აქვს მისი აზრით, უნდა გადაიღობოს კლასობრივი უთანასწორობა, რათა ხელ უფრო ძლიერად და სრულად გამოვლინდეს პიროვნული თავისუფლება. ადამიანი ადამიანის მიმართ უნდა დარჩეს თავისი პირადი მიზნებითა და მისწრაფებებით და არა თავისი სოციალური მდგომარეობით. ნ. ბერდიაევი მომხრეა „ქრისტიანული პერსონალიზმისა“, რომელიც პიროვნებაში ხულიერ ხაწუისს აღორძინებს და მასში უმაღლეს ღირებულებას, ისტორიის, ცხოვრების მთელ საზრისს აღმოაჩენს და დააფასებს.



და რადგან სცენაზე ნანატრი ცხენი არ გამოჩნდა, დარბაზიდან ვიღაც მაყურებელმა წამოიძახა: ვირი არ გამოდგებაო.

— როგორ არა, ამოდი სცენაზე! — მიუგო მუხივე მსახიობმა.

განუკურნავი ავადმყოფი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რობერტ კობთან ერთი ავადმყოფი არისტოკრატი ქალი მივიდა.

— რა გიჭირთ, ჩემო კეთილო? — ჰკითხა ექიმმა.

— მე ყოველთვის „მოწყალეო ქალბატონს“ მიწოდებენ, ბატონო პროფესორო, — უთხრა მწყრალოდ ქალმა.

— სამწუხაროდ, მაგ ავადმყოფობის განკურნვა არ შემიძლია, — მშვიდად მიუგო კობმა.

პოეტი

— დიდი ხანია ლექსებს წერთ?

— პირველი ლექსი თბუთმეტი წლის წინ დავწერე.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— მეორეზე.

გულწრფელი საუბარი

ერთხელ ჰაინრიხ ჰაინეს ახალგაზრდა მკვლევარი ეწვია. სტუმარმა, ცხადია, იცოდა, რომ ჰაინე ებრაელი იყო და სხვათა შორის ჰკითხა:

— იცით, კუნძულ ტაიტზე მოგზაურობის დროს ჩემზე განსაკუთრებით რამ მოახდინა შთაბეჭდილება?

— რამ? — ჰკითხა კოეტმა.

— იმან, რომ იქ არც ებრაელებია და არც ვირები.

— მაგ მდგომარეობის გამოსწორება სავსებით შესაძლებელია, — მიუგო მშვიდად ჰაინემ.

— თუ მე და თქვენ ერთად მოვხვდებით იმ კუნძულზე.

უველაზე მოკლე რეცენზია

ერთმა ახალგაზრდა მწერალმა ვოლტერს თავისი ნაწარმოები მიუტანა და სთხოვა, აზრი გამოეთქვა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვოლტერმა მას ნაწარმოები დაუბრუნა და უთხრა, ჩემი აზრი ბოლოში აქვს მიწერილიო.

მწერალმა გულდასმით გახიზნა, მაგრამ ვოლტერის მინაწერი ვერ იპოვა.

საქმე ის გახლავთ, რომ ნაწარმოების ბოლოს ავტორის მიერ მიწერილ „ფინ“-ს, რაც ფრანგულად დასასრულს ნიშნავს, ვოლტერმა ასო „ნ“ წაუშალა და ამით გამოხატა თავისი აზრი ნაწარმოებზე.

მასკინძელობა

ალექსანდრე დიუმა რუსეთში მოგზაურობისაა თბილისსაც ეწვია და ერთმა მაშინდელმა წიგნით მოვაჭრემ მალაზიაში მიიქატირა. თავაზიანმა მასკინძელმა საპატიო სტუმრის მოსვლამდე მის საამებლად წიგნის უველა თარო დიუმას ნაწარმოებებით აავსო.

— დანარჩენი ავტორების წიგნები სადღაა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ფრანგმა მწერალმა.

— ისა... გ... გაიყიდა. — ენა დაება წიგნით მოვაჭრეს.







საქართველოს  
ბიბლიოთეკა

პისანო კარდუჩო. ქაღალკის ფიგურა.



677/36



დიდგო ველახეი. გოგონას თავი.

76132